ჯონი ხეცურიანი

რჩეული შრომები

თბილისი
2021

წიგნში თავმოყრილია აკადემიკოს ჯონი ხეცურიანის რჩეული შრომები, რომლებიც გამოქვეყნდა 1979-2020 წლებში და ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის აქტუალურ სამართლებრივ პრობლემებს.

გამოცემა განკუთვნილია სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, საქართველოს ისტორიითა და სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორები
ქეთევან ერემაძე – სამართლის დოქტორი
გიორგი კვერენჩხილაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

© ჯონი ხეცურიანი
© „გამომცემლობა კოლორი“, 2021

ISBN 978-9941-8-3871-2

სარჩევი

რედაქტორებისაგან 5

თავი I. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 17

1. 9 აპრილიდან 9 აპრილამდე 19

2. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ხელნაწერები 32

თავი II. რუსეთის აგრესია და საქართველოს ავტონომიები 43

3. აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის 45

4. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები 58

თავი III. სიკვდილით დასჯის პრობლემა 75

5. სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან 77

6. სიკვდილით დასჯა. არგუმენტები და ფაქტები 97

7. სიკვდილით დასჯა ქართულ სამართალში 144

თავი IV. საკონსტიტუციო სამართლის აქტუალური პრობლემები 159

8. სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები 161

9. სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში 201

10. საქართველოს სახელმწიფო ენა 213
11. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო 236

თავი V. სამოქალაქო სამართლისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემურ-ფუნქციური კვლევები 261
12. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები 263
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება 445

რედაქტორებისაგან

გამოჩენილ მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს, აკადემიკოს ჯონი ხეცურიანს 70 წელი შეუსრულდა. მან სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო 1973 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში და განვლო მეცნიერი თანამშრომლის თითქმის ყველა საფეხური: იყო ასპირანტი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის დამოუკიდებელი კვლევის ცენტრის ჩამოყალიბებაში. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ჯონი ხეცურიანი მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით (1999 წ.) მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

ჯონი ხეცურიანი ფართოდ მოაზროვნე, მაღალკვალიფიციური იურისტია, წარმატებით მოღვაწეობს სამართლის რამდენიმე დარგში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ქართული იურიდიული მეცნიერების, ისე სამართალშემოქმედებისა და სასამართლო ხელისუფლების განვითარებაში.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ჯონი ხეცურიანის დამსახურება საქართველოს სამოქალაქო სამართლის განვითარებასა და სამართლის ამ ფუნდამენტური დარგის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნაში. 1973-1976 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მან საკანდიდატო დისერტაციის თემად აირჩია უაღრესად რთული და აქტუალური პრობლემა - მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში.

ჯონი ხეცურიანმა მორალური ნორმების მნიშვნელობის საკითხები მეცნიერულად დაამუშავა სამოქალაქო სამართლის აქტივობის ყველა სტადიაზე: სამოქალაქო სამართლის ნორმების ფორმირებისას, სამოქალაქო სამართლის ნორმების განხორციელებისას და სამოქალაქო სამართლის ნორმების შეფარდებისას. მეცნიერული კვლევის შედეგად მან დაასაბუთა წინადადებები სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებაში მორალური ნორმების იურიდიული მნიშვნელობის

ფარგლების დასადგენად, წამოაყენა კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შემოღების, გარიგების ბათილობის დამოუკიდებელ საფუძვლად მორალურ ნორმებთან მისი წინააღმდეგობის მიჩნევის და პირადი არაქონებრივი უფლებების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის გაფართოების აუცილებლობის შესახებ. კვლევის შედეგები აისახა მის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1977 წელს ქ. ხარკოვის იურიდიულ ინსტიტუტში და 1980 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „Значение моральных норм в советском гражданском праве“. ამ მონოგრაფიისათვის 1982 წელს ჯონი ხეცურიანს მიენიჭა საკავშირო ახალგაზრდული პრემიის ლაურეატის წოდება მეცნიერების დარგში.

აღსანიშნავია, რომ ჯონი ხეცურიანის მიერ ზემოაღნიშნული პრობლემის გამოკვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებები 20 წლის შემდეგ გაზიარებულია და დანერგილია საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში (1997 წ.).

სამოქალაქო სამართალში მორალური ნორმების მნიშვნელობის გამოკვლევის შემდეგ, ჯონი ხეცურიანი შეუდგა სამოქალაქო სამართლის ნორმების ფუნქციების მეცნიერულ დამუშავებას. ეს პრობლემა საერთოდ შეუსწავლელი იყო ცივილისტიკაში და ნაკლებად გამოკვლეული სამართლის ზოგად თეორიაში, არც ფილოსოფიურ მეცნიერებაში იყო გარკვეული ფუნქციების, სისტემის და სტრუქტურის კატეგორიალური სტატუსი. მან პირველად სისტემურ-ფუნქციური მეთოდით გამოიკვლია სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნება და სისტემა, გააანალიზა სამოქალაქო სამართლის ფუნქციების საკანონმდებლო ბაზა და შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები სამოქალაქო სამართლის ფუნქციური შესაძლებლობის ეფექტიანი განხორციელებისათვის. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები აისახა 1990 წელს გამოცემულ წიგნში „Функции советского гражданского права“, 1994 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულ მის სადოქტორო დისერტაციაში და 1995 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები“. საბჭოურ პერიოდში ჯონი ხეცურიანის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ზემოაღნიშნული მონოგრაფია, გარდა მისი თეორიული ღირებულებისა, იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასში დასაბუთებული იყო იდეა მოკავშირე რესპუბლიკის, როგორც საკუთრების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარების შესახებ. ამის საფუძველზე ჯონი ხეცურიანმა

შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება მაშინ მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, რომლის თანახმად მიწა, წიაღი, ტყე, წყლები და ა.შ. უნდა გამოცხადებულიყო მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტებად, მის ეროვნულ სიმდიდრედ. ამ იდეის მეცნიერულ დასაბუთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სუვერენული უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო სამართლის ფუნქციებისადმი მიძღვნილ ჯონი ხეცურიანის სამეცნიერო ნაშრომებში:

– პირველად იურიდიულ მეცნიერებაში განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის ფუნქციების ცნება და სამართლის ამ დარგის ფუნქციათა სისტემა, რომლის შედეგადაც დაზუსტებულია სამოქალაქო სამართლის ადგილი სამართლის ერთიან სისტემაში და მისი სოციალური დანიშნულება;

– ახლებურად განისაზღვრა სამოქალაქო სამართლის საგანი იმის დასაბუთებით, რომ სამართლის ეს დარგი ქონებრივ ურთიერთობებთან ერთად არეგულირებს პირად ურთიერთობებს, მიუხედავად მათი კავშირისა ქონებრივ ურთიერთობებთან;

– დასაბუთებულია მოსაზრება, რომლის თანახმად უარი უნდა ვთქვათ საკუთრების ფორმების საკანონმდებლო რეგლამენტაციაზე. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს საკუთრების უფლება, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა სუბიექტს. საკუთრების უფლების ობიექტები უნდა დაიყოს უძრავ და მოძრავ ნივთებად. მიწა, როგორც მნიშვნელოვანი უძრავი ქონება, უნდა მოექცეს სამოქალაქო ბრუნვაში. საკუთრების ინსტიტუტთან ერთად შემოღებული უნდა იქნეს სანივთო სამართალი;

– დასაბუთებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით იურიდიული პირები უნდა დაიყოს საჯარო და კერძო სამართლის, კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებად, ამასთან სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი, სხვა სუბიექტებთან თანასწორად უნდა მონაწილეობდეს სამოქალაქო ურთიერთობებში. დაზუსტებულია იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი შექმნისა და რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები, უფლებაუნარიანობის ფარგლები;

– დასაბუთებულია მოსაზრება, რომ საოჯახო სამართალი არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და იგი უნდა შევიდეს სამოქალაქო სამართლის ერთიან სისტემაში, ამასთან შემოღებული უნდა იქნეს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი;

– დასაბუთებულია მოსაზრება, რომ საბინაო სამართალი არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და საბინაო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები უნდა გადანაწილდეს დარგობრივი პრინციპით, უარი უნდა ვთქვათ საბინაო კოდექსის მიღებაზე;

– წამოყენებულია წინადადება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ;

– გამოთქმულია იდეა მონოპოლიური მდგომარეობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებების გამოყენების გაფართოებისა და ამ სფეროში სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღების შესახებ.

სამოქალაქო სამართლის ფუნქციების პრობლემის მეცნიერული კვლევის ზემოაღნიშნულ და სხვა შედეგებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამართლის ზოგადი თეორიისა და ცივილისტიკისათვის, ისე კანონშემოქმედებისათვის. მან ხელი შეუწყო ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შექმნისათვის თეორიული საფუძვლების მომზადებას. ჯონი ხეცურიანის მიერ შესრულებული კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნა საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში (1997 წ.), რომლის შექმნაშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო. ასევე მნიშვნელოვანია ჯონი ხეცურიანის მონაწილეობა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების მომზადებაში, რომელიც 1999-2001 წლებში გამოიცა ხუთ ტომად.

ჯონი ხეცურიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის – სიკვდილით დასჯის მეცნიერულ გამოკვლევასა და საქართველოს კანონმდებლობაში ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტაში. ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში მან ხელი მოჰკიდა სიკვდილით დასჯის პრობლემის მეცნიერულ შესწავლას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის მხარდაჭერით ჯონი ხეცურიანმა 1979 წელს გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო წერილები სიკვდილით დასჯის თაობაზე, რომელშიც დასაბუთებული იყო სასჯელის ამ სახეობის გაუქმების აუცილებლობა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის არ ქვეყნდებოდა სიკვდილით დასჯის შესახებ არც მეცნიერული და არც პუბლიცისტური წერილები, ეს ქართველი მეცნიერის გაბედული ნაბიჯი იყო.

ჯონი ხეცურიანმა საფუძვლიანად გამოიკვლია ამ პრობლემის ისტორიული, კრიმინოლოგიური, სოციოლოგიური, საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები, წარმოაჩინა ქართული სამართლისა და იურიდიული აზროვნების ჰუმანური ტრადიციები სასჯელის უმაღლესი ზომის – სიკვდილით დასჯის გამოყენებაში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, შედარებითი მეთოდის გამოყენების საფუძველზე ჯონი ხეცურიანმა დაასაბუთა, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენებას არა აქვს ისეთი ზოგადპრევენციული მნიშვნელობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენდეს დამნაშავეობის დინამიკაზე, აგრეთვე სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა და ამდენად, მისი გაუქმებისათვის საკმაო ზნეობრივი, კრიმინოლოგიური და ზოგადსამართლებრივი საფუძვლები არსებობს.

ჯონი ხეცურიანმა არა მარტო მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა სიკვდილით დასჯას, არამედ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის. 1991 წელს მან, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, წარადგინა კანონპროექტი ქონებრივი ხასიათის დანაშაულობისათვის სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. პარლამენტმა მხარი დაუჭირა მის საკანონმდებლო ინიციატივას და მიღებულ იქნა შესაბამისი კანონიც. ამით საქართველოში სიკვდილით დასჯის ეტაპობრივი გაუქმების პროცესი დაიწყო.

80-იან წლებში ჯონი ხეცურიანი (ქართულ და რუსულ ენებზე) აქვეყნებს წერილებს როგორც სამეცნიერო გამოცემებში, ისე პერიოდულ პრესაში სიკვდილით დასჯის პრობლემის თაობაზე, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის. 1996 წელს მისი წერილით „სიკვდილით დასჯა: ჰო თუ არა“ დაიწყო დისკუსია ამ პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად. დისკუსიის შედეგები და მეცნიერული არგუმენტები სიკვდილით დასჯის პრობლემის შესახებ სრულყოფილად იქნა გაშუქებული 1997 წელს გამოცემულ მის ნაშრომში „სიკვდილით დასჯა. არგუმენტები და ფაქტები“. იმავე წელს საქართველომ სრულად გააუქმა სასჯელის ეს სახეობა. ამ კანონპროექტის შემუშავებასა და მიღებაში ჯონი ხეცურიანს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „საერთაშორისო ამნისტიამ“ მაღალი შეფასება მისცა ჯონი ხეცურიანის ღვაწლს საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების საქმეში.

ჯონი ხეცურიანმა მეცნიერულად დაამუშავა აგრეთვე საკონსტიტუციო სამართლის მთელი რიგი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკური პარტიების სამართლებრივ სტატუსს, საარჩევნო სისტემას, უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტებს და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი კვლევის შედეგები აისახა ზემოაღნიშნულ საკითხებზე მიღებულ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის კონსტიტუციაშიც. მან დაამუშავა, მაგალითად, უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – რეფერენდუმის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ძირითადი პრობლემები, რომლის საფუძველზეც 90-იანი წლების დასაწყისში მიღებულ იქნა კანონი რეფერენდუმის შესახებ. სწორედ ამ კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ჯონი ხეცურიანი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991 წლის 9 აპრილი) ერთ-ერთი ავტორი და ხელმომწერი.

ჯონი ხეცურიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ.) პროექტის შემუშავებაში. იგი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონაწილეობდა ქ. ჩიკაგოში და ვენეციის კომისიაში გამართულ (1994 წ.) საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჯონი ხეცურიანის მიერ ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების მნიშვნელობა. მან მეცნიერულად დაასაბუთა მოსაზრება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში სრულიად ახალი სამართლებრივი ფორმების შემოღების მიზანშეწონილობის, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის სახელშეკრულებო პრინციპებზე დაფუძნების შესახებ. მის სამეცნიერო ნაშრომებში „სახელმწიფო და ეკლესია“ (ადამიანი და კონსტიტუცია, 2001 წ., N 1), „ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები“ (ადამიანი და კონსტიტუცია, 2002 წ., N 3) დასაბუთებულია წინადადება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ, რომელიც კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობებს, გაანალიზებულია კონსტიტუციური შეთანხმების იურიდიული ბუნება, მისი დადების წესი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

სამართლებრივი სტატუსი. კანონმდებელმა გაიზიარა ეს წინადადება და 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო. ჯონი ხეცურიანი უშუალოდ მონაწილეობდა კონსტიტუციური შეთანხმების პროექტის შემუშავებასა და მიღებაში. მან ყურადღება დაუთმო აგრეთვე სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის საკითხების კვლევას, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა რელიგიის სამართალში, რომელიც საქართველოში ახლა ყალიბდება, როგორც საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთი დარგი.

რელიგიის სამართლებრივი პრობლემების მის მიერ გაწეული კვლევა შეჯამებულია ნაშრომში „სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები“, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა 2013 წელს („ფავორიტი პრინტი“, თბილისი).

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის 2014 წელს ჯონი ხეცურიანი დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

ჯონი ხეცურიანმა 2006 წელს გამოსცა წიგნი „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივ სახელმწიფოსაკენ“ („სეზანი“, თბილისი), რომელშიც სამართლებრივი რაკურსით გაშუქებულია XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ჯონი ხეცურიანის ეს ნაშრომი საინტერესოა როგორც სამართალმცოდნეებისათვის, ისე საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში პირველად გამოქვეყნდა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ხელნაწერები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და ჯონი ხეცურიანს ეკუთვნის.

ჯონი ხეცურიანმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმართებით ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტების კვლევას. 2004 წელს გამოქვეყნებულ მის ნაშრომში „თანამეგობრობა რუსულად“ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძველზე კრიტიკულადაა გაანალიზებული რუსეთის სახელმწიფო სათათბირო-

ში წარდგენილი (2004 წ.) კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში არსებული ავტონომიების რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების გამარტივებულ პროცედურას. ჯონი ხეცურიანის ნაშრომში დასაბუთებულია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ამ წესის შემოღება პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს. ეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე, გაეგზავნა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს.

ჯონი ხეცურიანის 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები“ (2008 წ.) გამოკვლეულია 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენებისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებების იურიდიული ბუნება. ნაშრომში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ რუსეთის პრეზიდენტის ეს ბრძანებულებები უხეშად არღვევენ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის, ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის შედეგების იურიდიულად გაფორმების მცდელობაა მხოლოდ. ამის გამო მათ არა აქვთ იურიდიული ძალა და არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს.

ჯონი ხეცურიანის ეს ნაშრომი 2008 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე შვედეთში გამომავალ ჟურნალში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის სწორი ინფორმირებისა და საქართველოს ინტერესების დასაცავად.

ჯონი ხეცურიანმა 2001-2011 წლებში გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია საქართველოში სასამართლო ხელისუფლების შედარებით ახალი ინსტიტუტის - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. კვლევის კონკრეტულ საგანს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთი უფლებამოსილებები, როგორიცაა ნორმათა აბსტრაქტული და ფორმალური კონტროლი, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომ-

პეტენციური დავების გადაწყვეტა, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი, რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი და სხვ. ამ გამოკვლევების საფუძველზე ჯონი ხეცურიანმა 2016 წელს გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“, რომელშიც სრულყოფილად არის განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა უფლებამოსილება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს გამოცემა საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავს მიეძღვნა.

ჯონი ხეცურიანის სამეცნიერო ნაშრომში „სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში“ (2008 წ.) გაანალიზებულია ის არგუმენტები, რომლებიც საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღების სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამასთანავე, წარმოდგენილია ის ხელისშემშლელი გარემოებებიც, რომლებიც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიან სახელმწიფო მმართველობის ფორმის ასეთი ტრანსფორმირებისათვის. ავტორის აზრით, არჩევანი რესპუბლიკასა და მონარქიას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით.

ჯონი ხეცურიანმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს სახელმწიფო ენის სამართლებრივ პრობლემებს. 2011 წელს გამოქვეყნებულ მის სამეცნიერო ნაშრომში „საქართველოს სახელმწიფო ენა“ განხილულია საქართველოს სახელმწიფო ენის საკანონმდებლო რეგულირებაში არსებული ხარვეზები, დასაბუთებულია წინადადება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ ორგანული კანონის მიღების აუცილებლობის თაობაზე, გადმოცემულია ამ კანონის პროექტის ძირითადი პრინციპები და სახელმწიფო ენის გამოყენებისა და დაცვის ინსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიები. ჯონი ხეცურიანი უშუალოდ მონაწილეობდა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებასა და მიღებაში (2015 წ.). მისი, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის, წინადადებით საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონს მიენიჭა ორგანული კანონის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ ჯონი ხეცურიანმა სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ პრობლემებზე მის მიერ შესრულებული სამეც-

ნიერო ნაშრომები გამოსცა ცალკე წიგნად – „ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში“ („ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011 წ.). ამ ნაშრომებისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2011 წელს ჯონი ხეცურიანს მიანიჭა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის თინათინ წერეთლის სახელობის პრემია.

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, რომელმაც დაასრულა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესი. ჯონი ხეცურიანმა, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადებაში, მისი წინადადებები გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციაში უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის, ქორწინების დეფინიციის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების განსაზღვრისას და სხვ. საკონსტიტუციო რეფორმა საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეხო, ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების მომწესრიგებელმა ნორმებმა. ჯონი ხეცურიანმა 2018 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია „საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო“, რომელშიც კრიტიკულადაა შეფასებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შესახებ საქართველოს ძირითად კანონში განხორციელებული ზოგიერთი ცვლილება, 2020 წელს კი მან გამოაქვეყნა თავისი მონოგრაფიის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“ მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხები განხილულია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) საფუძველზე.

2001 წელს ჯონი ხეცურიანი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ჯონი ხეცურიანი სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო-პოლიტიკურ საქმიანობას. ჯონი ხეცურიანი ორჯერ იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, არჩეული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში საბჭოთა ჯარების მიერ მშვიდობიანი მიტინგის აღკვეთისას მომხდარი ტრა-

გედიის გამოძიებაში. მოამზადა და გამოაქვეყნა მიტინგის აღკვეთისა და ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების კანონიერების შესახებ დასკვნები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრაგედიის გარემოებათა ობიექტურ გამოკვლევაში და ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯონი ხეცურიანის მოღვაწეობა ახალი ქართული კანონმდებლობის შექმნასა და სამართალდამცველი სისტემის რეფორმირებაში. იგი ხელმძღვანელობდა კანონმდებლობის ფუნდამენტურ დარგებში კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადების სამთავრობო კომისიას, საფუძველი ჩაუყარა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან ურთიერთობას, მისი ხელმძღვანელობით საქართველოში, პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველად, განხორციელდა სასამართლო რეფორმა (1990-1991 წწ.), პენიტენციური სისტემის რეფორმა (1999-2000 წწ.), კონსტიტუციური მართლმსაჯულების რეფორმა (2002 წ.).

გულითადად ვულოცავთ ჯონი ხეცურიანს 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს. ჩვენ მისი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის რედაქტორები ვიყავით და დარწმუნებული ვართ, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ამ სასიამოვნო მისიის შესრულება.

ქეთევან ერემაძე
სამართლის
დოქტორი

გიორგი კვერენჩხილაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

I თავი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

1. 9 აპრილიდან 9 აპრილამდე
(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 83-84, 2001, 8 აპრილი)

2. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ხელნაწერები
(ჯონი ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006, გვ. 18-19; 139-146)

1. 9 აპრილიდან 9 აპრილამდე

9 აპრილი გამორჩეული თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ თარიღით აღინიშნება, ერთი მხრივ, 1989 წის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო მთავრობის სახლის წინ მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი, რომელზეც ქართველი ხალხი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და, მეორე მხრივ, 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ეს ორმაგი ბუნება 9 აპრილისა, კერძოდ, ეროვნული გლოვის დღე და ეროვნული დღესასწაულის დღე მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლით 9 აპრილი გამოცხადებულია უქმე დღედ, როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე - საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე“.

ამ ორ 9 აპრილს შორის 2 წელი ძევს - 2 წელი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული და რომელმაც მოამზადა, წინაპირობა შეუქმნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: რომ არა 1989 წლის 9 აპრილი, არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილი. შეიძლება ასეთი შეფასება ვინმეს მართლაც გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა სხვა გზით მიაღწიეს ასეთ შედეგს, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილამდე და მის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ვფიქრობ, ასეთი დასკვნისთვის საფუძველს იძლევა.

ერთი რამ კი შეიძლება ახლავე აღვნიშნოთ: ყოფილ საბჭოეთში საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის რღვევის პროცესი დაჩქარდა.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ახალი სტრატეგიული კურსის (ე.წ. პერესტროიკის) განხორციელებას შეუდგნენ, რომელიც მათი ავტორების აზრით, გულისხმობდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს საფუძვლიან რეფორმირებას. ამასთან, აქტუალური გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის, საჯაროობისა და საერთოდ საზოგადოების დემოკრატიზაციის იდეები.

ამ პოლიტიკურ ფონზე საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ძირითადად ეროვნული ინტერესების დასაცავად (მხედველობაში მაქვს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვისათვის მოძრაობა, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის ეკოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემები, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის შემზღუდავი ნორმების საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში დადგენისადმი საპროტესტო აქცია, საბჭოთა არმიაში ქართველ ჯარისკაცთა დისკრიმინაციის საკითხი და სხვ.). წარმოიშვნენ ე.წ. არაფორმალური გაერთიანებები, რომლებიც დღევანდელი პოლიტიკური პარტიების ჩანასახს წარმოადგენდნენ. ისინი ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას და უშუალო დემოკრატიის ისეთი ინსტიტუტების მეოხებით, როგორებიცაა მიტინგები და მანიფესტაციები, ცდილობდნენ ზემოქმედების მოხდენას პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე. თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია ეროვნული დამოუკიდებლობის, 1921 წელს გარეშე ძალის, საბჭოთა არმიის აგრესიის შედეგად დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეამ. აშკარა იყო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იწყებოდა ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი.

საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერ გაერკვა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ძველი იდეოლოგიური სტერეოტიპებით აზროვნებდა, თავიდანვე მკვეთრად უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება გამოავლინა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მიმართ, რომელიც არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების აქტიურობის წყალობით სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. სულ მალე ხელისუფლებისა და ხალხის პოზიციების სრული პოლარიზაცია მოხდა. ასეთ პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებამ საბჭოთა წყობილებისათვის ნაცად, ტრადიციულ მეთოდს - შიშველ ძალას მიმართა.

ეს უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა მიტინგებისა და მანიფესტაციების აკრძალვასა და დარბევაში. უფრო მეტიც, 1988 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების აუცილებლობის შესახებ. ესეც საბჭოური ტრადიციის მიხედვით მოხდა, თუმცა მაშინ გარეშე ძალის გამოყენება აღარ გახდა საჭირო. სამაგიეროდ, 1989 წლის გაზაფხულზე მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპირისპიროდ ცენტრი შეეცადა, საქართველოზე ზემოქმედება მოეხდინა ავტონომიების საკითხის წინ წამოწევით.

18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა აფხაზი მოსახლეობის მიტინგი. მათი მოთხოვნა იყო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა.

25 მარტს ქართველი მოსახლეობის საპასუხო მიტინგი გაიმართა სოხუმში, რომელშიც მონაწილეობდნენ არაფორმალური გაერთიანებების ლიდერები. იმავე დღესვე ნებადართული მიტინგი მოეწყო თბილისში, გამარჯვების პარკში. მას მოჰყვა რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობა და მთავრობის სახლთან მანიფესტაცია.

4 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ატარებენ მიტინგს ე.წ. „აფხაზეთის საკითხზე“. საღამოს მომიტინგეებმა მთავრობის სახლთან გადაინაცვლეს.

მიტინგის მონაწილეებმა დღის წესრიგიდან მოხსნეს ე. წ. „აფხაზეთის საკითხი“, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ იგი ინსპირირებული იყო და წამოაყენეს მოთხოვნა საქართველოს 1921 წელს დაკარგული (უფრო სწორად წართმეული) დამოუკიდებლობის აღდგენის და კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ამ კონსტიტუციური მოთხოვნის გამოსახატავად მათ მიმართეს მშვიდობიან ფორმას - შიმშილობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგს არ ჰქონდა ულტიმატუმის ხასიათი, არ იყო მოწოდება ხელისუფლების ძალად დამხობის ან შეიარაღებული ამბოხისკენ და მიზნად არ ისახავდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგის დაუყოვნებლივ მიღწევას. უფრო მეტიც, საჯაროდ გამოცხადდა, რომ მიტინგი ყველა შემთხვევაში 14

აპრილს დაიშლებოდა. მიტინგმა ფართო ხასიათი მიიღო და პერმანენტულად დღედაღამ მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. მომიტინგეებს სოლიდარობას უცხადებდნენ საქართველოს რაიონები და ქალაქები, საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეები აყენებდნენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საბჭოთა იდეოლოგიისა და სინამდვილისათვის იგი არა თუ მიუღებელი, არამედ დანაშაულებრივი იყო. მართალია, იმდროინდელი კონსტიტუციური წყობილებით საბჭოთა კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით კავშირად იყო აღიარებული, საიდანაც რესპუბლიკას ჰქონდა თავისუფალი (უპირობო) გასვლის უფლება, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგია უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევდა თვით აზრის გამოთქმასაც კი საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის კონსტიტუციური უფლების განხორციელების შესახებ. სწორედ ამიტომ და იმ მიზნითაც, რომ სამაგალითოდ დაესაჯათ ერი, რომელიც გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მოითხოვდა, 1989 წლის 9 აპრილს, ღამის 4 საათზე სამხედრო ძალის გამოყენებით დაარბიეს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი. მიტინგის დარბევის შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი, რომელთაგან 16 ქალი იყო (მათ შორის 2 არასრულწლოვანი და ერთი ფეხმძიმე). 200-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. მომწამვლელი გაზების გამოყენების შედეგად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4 ათასზე მეტმა პიროვნებამ, მათგან 500 სტაციონარულ, ხოლო 3828 ამბულატორიულ მკურნალობაზე აიყვანეს.

მეორე დღესვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ 9 აპრილს გამთენიისას, მთავრობის სახლის წინ მოხდა ტრაგედია. ანტისახელმწიფოებრივი მიტინგის აღკვეთას შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. არიან დაზარალებულებიც. ამ უბედურებისათვის პასუხისმგებლობა, ნათქვამია განცხადებაში, პირველ რიგში ეკისრებათ რადიკალურად განწყობილ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც დაუშვებელი, თავაშვებული, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება და მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება,

ხალხი, რესპუბლიკა კატასტროფამდე. ამასთანავე აღნიშნული იყო, რომ ამ ტრაგედიის ყველა გარემოების გამოსარკვევად შეიქმნა სამთავრობო კომისია მთავრობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით, თბილისში შემოიღეს კომენდანტის საათი, რომლის ამოქმედება 10 აპრილის 23 საათიდან საქართველოს მოსახლეობას ამცნო თბილისის კომენდანტად დანიშნულმა გენერალმა როდიონოვმა 4 წუთით ადრე სატელევიზიო გამოსვლისას.

აშკარა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მომხდარზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციას და საბჭოთა არმიაზე დაყრდნობით არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და რეჟიმის შენარჩუნებას. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, საკავშირო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მათ აძლევდა ხელს.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, საჭირო იყო, ერთი მხრივ, 9 აპრილის ტრაგედიის ყველა გარემოების დეტალური გამოძიება, რომლის შედეგები თვალსაჩინოს გახდიდა, რომ საბჭოთა კავშირში გამოცხადებული გარდაქმნის, რეფორმების, საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიზაციის, ხალხთა სუვერენული უფლებების დაცვის პოლიტიკა ფიქციაა, რომ ძველი საბჭოური რეჟიმი არსებითად არ შეცვლილა, მისთვის დამახასიათებელი ძალმომრეობის სახელმწიფო მექანიზმი სრულ მწყობრშია და ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში მზადაა, ძალის გამოყენებით ჩაახშოს ცალკეული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამას კი ხელისუფლების შექმნილი სამთავრობო კომისია ვერ ან, უფრო სწორად, არ გააკეთებდა. მეორე მხრივ, საჭირო იყო მორალურ-პოლიტიკური უპირატესობის ფონზე მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით ეროვნული ძალების ხელისუფლების ორგანოებში არჩევა, მარიონეტული ხელისუფლების შეცვლა. მანამდე კი - საზოგადოებრივი აზრის გამოყენებით, ხელისუფლებაზე ზემოქმედება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ტრაგედიიდან მეორე დღესვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის 38 თანამშრომელი (მთ შორის გახლდით მეც) პრესაში გამოვიდა განცხადებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია შეიცავს უდანაშაულო ადამიანების ორგანიზებული, მასობრივი განადგურების ნიშნებს, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით

და ხელისუფლების განკარგულებით. ამდენად, სამთავრობო კომისია ობიექტური ვერ იქნებოდა ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენაში, რადგანაც არავინ არ შეიძლება იყოს საკუთარი მოქმედებების პირუთვნელი მსაჯული. საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლზე დაყრდნობით, სწავლულ იურისტთა ეს ჯგუფი მოითხოვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის შექმნას და გამოთქვამდა მზადყოფნას, მონაწილეობა მიეღო მის საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს მიმართვა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა დასადგენად საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1989 წლის 17 აპრილს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ასეთი კომისია მართლაც შეიქმნა დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი პროფესორი თამაზ შავგულიძე. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ხელმძღვანელობით, ყველა პირობა შეუქმნა კომისიას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

რა დაადგინა და რა შეფასებები გააკეთა კომისიამ? როგორი იყო მისი საქმიანობის მთავარი შედეგი?

- კომისიამ მოკვლეული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ, რადგანაც მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგი ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და მიზნად არ ისახავდა ხელისუფლების ძალად დამხობას, არ იყო დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ქმედებებთან, ამდენად, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად;

- გადაწყვეტილება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ მიღებულია საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და პოლიტბიუროს დასტურით;

- გადაწყვეტილება მიღებულია კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგანაც საბჭოთა არმიის ნაწილები ისე გამოიყენეს მიტინგის აღსაკვეთად, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში საომარი ან საგანგებო მდგომარეობა. უკანონო გადაწყვეტილების მიღების გამო, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, უნდა დადგეს გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირთა პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

- უკანონოა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ, რადგანაც საქართველოს მთავრობას საბჭოთა არმიის მიმართ ასეთი დავალების დაკისრების უფლებამოსილება არ ჰქონდა;

- უკანონოა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს პარტიული აქტივის კრებაზე, რადგანაც პარტიული ორგანოები ასეთი უფლებამოსილებებით აღჭურვილი არ არიან;

- მიტინგის აღკვეთა განხორციელდა დანაშაულებრივი მეთოდებით. უიარაღო მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ გამოიყენეს მესანგრის ორლესული ნიჩბები, ცეცხლსასროლი იარაღი, ქალებისა და არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული იყო. მომიტინგეების მიმართ გამოყენებული იყო მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები (სი-ესი), რომლებიც შინაგანი ჯარების შეიარაღებაში არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაც არ წარმოადგენდნენ მათ სატაბელო საშუალებებს;

- მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს ისეთი საშუალებებითა და ისეთი ფორმით, რომ იგი იყო არა მიტინგის დასაშლელად გამიზნული, არამედ იგი წარმოადგენდა სამხედრო სადამსჯელო ოპერაციას. ამდენად, სახეზეა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნები, რისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს;

- მიტინგის აღკვეთის შემდეგ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგანაც ამ ორგანოს არც საქართველოს და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით ასეთი უფლება არ ჰქონდა. ამდენად, მან გადააჭარბა უფლებამოსილებას, რისთვისაც უნდა დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა;

- საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა თბილისის კომენდანტის დანიშვნის უფლება, ხოლო ამ უკანასკნელს - განეხორციელებინა საგანგებო ზომები, რადგანაც თბილისში არ იყო საომარი ან საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული;

- თბილისის სამხედრო კომენდანტმა არ მიიღო ზომები მოსახლეობის დროული ინფორმირებისთვის დედაქალაქში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, რასაც კომენდანტის საათის შემოღებისთანავე მოჰყვა მძიმე შედეგები (სამხედრო პირთა მიერ არაინფორმირებული მოქალაქეების მკვლელობისა და დაჭრის ფაქტები), რისთვისაც უნდა დადგეს ამ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

6 თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ კომისიამ მის წინაშე დასახული ამოცანა შეასრულა და თავისი დასკვნა (ქართულ და რუსულ ენებზე) გამოაქვეყნა პრესაში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური კომისია შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი იურისტი, დეპუტატი ანატოლი სობჩაკი. კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს ბატონი ელდარ შენგელაია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკური და საკავშირო კომისიების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფაში. ჩვენი და საკავშირო კომისიების ძირითადი დასკვნები 9 აპრილის ტრაგედიის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების თვალსაზრისით თითქმის იდენტური აღმოჩნდა. კომისიისა და ჩვენი დეპუტაციის ძალისხმევით საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების მეორე ყრილობამ 1989 წლის 24 დეკემბერს მოიწონა ამ კომისიის დასკვნა და, რაც მთავარია, დაგმო ძალის გამოყენება მიტინგის მონაწილეთა მიმართ.

უმთავრესი დასკვნა კი, რომელიც ზემოთ აღნიშნული კომისიების მუშაობის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ, და რომელსაც ჩვენი აზრით განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გაცნობიერებაში მდგომარეობდა, რომ უკვე აღარ არის ის დრო, როდესაც შეიძლებოდა საკუთარი ხალხის მიმართ შიშველი ძალისა და რეპრესიების გამოყენების მიჩქმალვა (როგორც ეს ხდებოდა 1924, 1937 და 1956 წლებში) და ამავე მეთოდებით - დასჯით, ეგზეკუციით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელის აღება. დადგა

ის დრო, როდესაც არაფერი არ დარჩება დამალული, გამოუძიებელი, გამოუკვლეველი და ყოველი დანაშაული, რომელიც მიმართულია კაცობრიობის წინააღმდეგ, ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე იქნება გამოტანილი.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არ ჩაკლა და ჩააქრო, პირიქით, ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი მუხტი შესძინა მას. ამის დასტურია, თუნდაც მოვლენების შემდგომი განვითარება. პოლიტიკურ ძალთა მოთხოვნით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 20 ივნისს შექმნა კომისია, რომელსაც პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევისთვის. ამით ხელისუფლების იმჟამინდელი ორგანო იძულებული იქნებოდა, დაედასტურებინა ფაქტი, რომ საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გარეშე ძალის ჩარევით შეწყვიტა არსებობა და საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ვფიქრობ, დამატებით განმარტებას არ საჭიროებს, თუ რა პოლიტიკურ, სამართლებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებს ისახავდა მიზნად ამგვარი აღიარება არსებული ხელისუფლების მხრიდან, რომელიც 1921 წელს რუსეთის არმიის აგრესიის წყალობით მოსული ხელისუფლების უშუალო სამართალმემკვიდრე იყო.

კომისიის დასკვნით, „1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით - ფაქტობრივ ანექსიას“.

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭოს სესიამ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და გადაწყვიტა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების მე-2 ყრილობის წინაშე დაესვა ეს საკითხი.

იმავე სესიაზე ცვლილებები განიცადა საქართველოს კონსტიტუციამ. ახალი კონსტიტუციური ნორმებით განისაზღვრა, რომ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს თავისუფალი გასვლის უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების გაუქმების მომენტიდან საქართველო გასულად ითვლება საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ახლებურად განისაზღვრა საკავშირო კანონებისა და სხვა ნორმატიული

აქტების მოქმედების წესი საქართველოს ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ ეს საკანონმდებლო აქტები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო აჩერებს მათ მოქმედებას რესპუბლიკაში.

ამავე პერიოდში შეინიშნება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კონსოლიდაციისა და ერთიანობის ტენდენციები. 1990 წლის 13-15 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და რეგიონების წარმომადგენლებმა. კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად: 1. საქართველოს უნდა განესაზღვროს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსი. 2. საქართველოს ამჟამინდელი სტატუსი მიჩნეულ იქნეს ფიქციად და აგრესიის შედეგების დაფარვისათვის გამიზნულად. 3. საქართველოში „დე ფაქტოდ“ არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივად. 4. 1990 წლის 25 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს ბოიკოტი. 5. დემოკრატიულ საფუძვლებზე აირჩეს გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც რეალურად დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. 6. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

ამ პერიოდისათვის ხელისუფლებაზე ეროვნული ძალების გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ უზენაესმა საბჭომ ზემოთ აღნიშნული კონფერენციის ჩატარებიდან 5 დღეში მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 მარტს დანიშნული უზენაესი საბჭოს არჩევნების იმავე წლის შემოდგომაზე გადატანის შესახებ, თანაც იმ მოტივით, რომ არჩევნები უნდა გამართულიყო მრავალპარტიულობის საფუძველზე. ამავე დროს კომუნისტებით თითქმის სრულად დაკომპლექტებულმა უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ უპრეცედენტო დადგენილება, რომელშიც აღიარა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესია, ოკუპაცია და ანექსია. დაგმო ეს ფაქტი, როგორც

საერთაშორისო დანაშაული და დაადასტურა, რომ საქართველო ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას. ამავე დოკუმენტით უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი სსრ კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულება და მოთხოვნილ იქნა მოლაპარაკების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე.

იმავე სესიაზე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში. ლეგალურად იქნა შემოღებული მრავალპარტიულობა.

1990 წლის ზაფხულში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო უნდა არჩეულიყო შერეული წესით, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის მიწურულს ქართველი ხალხი, საზოგადოებრივი ცნობიერება მზად იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებისათვის. ეს გამოიხატა კიდევაც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებში. საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. „მრგვალმა მაგიდამ - თავისუფალმა საქართველომ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა ჯგუფმა, რითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ბზარი გაჩნდა და მომავალი პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფრონტაციის წინა პირობა გახდა.

ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ განახორციელა აუცილებელი ცვლილებები საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. არსებული კონსტიტუცია მიიჩნიეს დროებით ძირითად კანონად. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. გატარდა სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი. საქართველოს სასამართლოები გამოყვანილ იქნენ საბჭოთა კავშირის მართლმსაჯულების სისტემიდან. ჩატარდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, მიღებული იქნა პრესისა

და მასობრივი ინფორმაციის, რეფერენდუმის, ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ კანონები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას და სხვ.

ისმის კითხვა: უზენაესმა საბჭომ, რომელშიც აბსოლუტურ უმრავლესობას ეროვნული მოძრაობიდან მოსული დეპუტატები შეადგენდნენ, რატომ დაუყოვნებლივ არ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა? საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო საკავშირო მასშტაბით რეფერენდუმისათვის მზადება საბჭოთა კავშირის როგორც განახლებული ფედერაციის შენარჩუნების საკითხზე. ამასთანავე, მთლიანად საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შედეგები უნდა განსაზღვრულიყო თითოეულ რესპუბლიკაში კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, რეფერენდუმის გზით მიღებულ სახალხო გადაწყვეტილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს აქტს (დეკლარაციას, რეზოლუციას). საყურადღებოა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში რეფერენდუმი პირველად ტარდებოდა. რეფერენდუმის გამართვის თარიღად 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მაშინ გადაწყვიტა უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის გამოყენება, როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევა უკვე დაწყებული იყო და ხალხის ნებით აპელირებით ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას.

ასეთ პირობებში პოლიტიკურად და სამართლებრივად გამართლებული იყო, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე დავპირისპირებოდით. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი თვით საქართველოს მოსახლეობას გადაეწყვიტა და არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, მაინც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობით იყო აღჭურვილი.

საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო და იმავე წლის 31 მარტს დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე.

1991 წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9

აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნება. ამრიგად, რეფერენდუმით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მყარი სამართლებრივი გარანტია შეექმნა.

ასეთია საქართველოს უახლეს ისტორიაში ამ ორ თარიღთან დაკავშირებული მოვლენები. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

პირველი. ქართველმა ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა არა საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. იმპერია აგებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე, ძალადობასა და უსამართლობაზე. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს, განსაკუთრებით იმ ერისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები აქვს.

მეორე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეფუძნება ქართველი ერის ნებას, რომელიც იურიდიულად 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა.

ამიტომ, ხელისუფლებაში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალების მონაცვლეობისას, იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს კომპეტენციას სცილდება და მხოლოდ ქართველი ერის ნებაზეა დამოკიდებული. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით.

მესამე და უმთავრესი. ერი მხოლოდ მაშინ აღწევს გამარჯვებას, როდესაც გაცნობიერებული აქვს თავისი ინტერესები, ერთსულოვანია და დაუცხრომლად იბრძვის მათ დასაცავად.

2. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ხელნაწერები[1]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის შედგენისას, რა თქმა უნდა, ჩვენი მზერა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისაკენ იყო მიპყრობილი, თუმცა მისი მიღებიდან უკვე საკმაო დრო იყო გასული, რეალობებიც შეცვლილი იყო მსოფლიოში და ამასთან, ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა გარკვეული შენიშვნები მის მიმართ. კერძოდ, იგი, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად, გამოთქვამდა გულისწყრომას დამოუკიდებლობის აქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს...“ ასევე არ მოსწონდა ისიც, რომ დამოუკიდებლობის აქტის გაცნობისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იმ დროს არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო, იძულებული იყო, გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, ეს გარემოებები სრულებითაც არ აკნინებდა ამ აქტის უდიდეს პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობას და მისი გათვალისწინება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემუშავებისას აუცილებელი იყო. როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი წარვუდგინე ზვიად გამსახურდიას, მან თავისი ხელით რამდენიმე არსებითი ცვლილება და დამატება შეიტანა მასში.

მაგალითად, პროექტში ეწერა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ზვიად გამსახურდიამ ამის ნაცვლად ჩაწერა: საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართველმა ერმა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად.

პროექტში მითითებული იყო, რომ „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით...“. ზვიად გამსა-

1 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ჩემ მიერ შესრულებული ხელნაწერები, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან 30-ე წლისთავზე, 2021 წლის 9 აპრილს გადავეცი საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს და გამოფენილია პრეზიდენტის სასახლეში.

ხურდიამ ამ აბზაცს ასეთი დამატება წაუმძღვარა: “საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია“.

ზვიად გამსახურდიამ კიდევ ორი მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა პროექტში. ერთი ეხებოდა ავტონომიებს, ხოლო მეორე საქართველოს საგარეო პოლიტიკას. პირველი დამატება ასეთი შინაარსის გახლდათ: „საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“. მეორე დამატების თანახმად, სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ სამხედრო კონფლიქტებში საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო. მე ჩემი მოსაზრებები მოვახსენე ზვიად გამსახურდიას ამ ორი დამატების თაობაზე. ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ავტონომიის შესაძლო გაუქმების შესახებ თუნდაც მინიშნება, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მეტადრე იმ პირობებში, როდესაც ერთი ავტონომია, სახელდობრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე გაუქმებული იყო ამ ხელისუფლების მიერ და იქ წარმოშობილი კონფლიქტი კვლავაც გრძელდებოდა. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, მართალია, ეს იდეა მომხიბვლელად გამოიყურებოდა, თანაც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის დებულებას იმეორებდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალები, თავდაცვის ეფექტური საშუალებები, ნეიტრალურად ყოფნა, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო იყო. საბჭოთა იმპერიისაგან თავის დახსნა და შესაძლო აგრესიის არდაშვება, მით უმეტეს მოგერიება, ძლიერი მოკავშირეების გარეშე უიმედო საქმედ მეჩვენებოდა.

საბოლოოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტი ამ ორი დამატების გარეშე შევიმუშავეთ, ხოლო მისი მიღების დღედ 1991 წლის 9 აპრილი განისაზღვრა. 1991 წლის 9 აპრილს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც ეყრდნობოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის - ზვიად გამსახურდიას წინადადებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო. ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, რომ ამ აქტზე ჩემი ხელმოწერაცაა.

პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, XIX-XX საუკუნის დასაწყისში [illegible] ისტორიული ბედის [illegible] გარდაუვალი [illegible] არასოდეს შეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღსდგა [illegible] გაუქმებული სახელმწიფოებრიობა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია [illegible] საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს okupacia, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება, მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1921 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერისუფლოვან ნებას

აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელია და მის ფარგლებში მოქმედებს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა. ყოველი მოქმედება მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის ჩაითვლება სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, უზრუნველყოფს ადამიანის, ეროვნულ უმცირესობათა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.



პროექტში შესწორებები და დამატებები შეტანილია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ.

პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ქართველი ხალხი არასდეს შეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა რუსეთის იმპერატორობის მიერ საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანიებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიარაღებულ აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ძალადებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება, მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ნებას,

აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ფარგლებში მოქმედებს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის დამყარდეს მსოფლიოს თანასწორად სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, იცავს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, უზრუნველყოფს ადამიანის, ერთგვარ უმცირესობათა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.



პროექტში ცვლილებები და დამატებები შესრულებულია ჩემ მიერ (ჯ.ხეცურიანი).

პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველოს-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს okupacia, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული მთავრობას გაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ~~ცალკეულ~~ ნაწილებში ცვლილებას მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით და ხელისუფლების უზენაესობა. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფის რა დაიკავოს დირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლი: გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, ~~მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, აღმსარებლობის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა~~, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უ[illegible]შროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

რბ.

პროექტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ხელმოსაწერად გადაეცა უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, რედაქციული შენიშვნები ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას, ფანქრით აღნიშნული შესწორებები კი შესრულებულია ჩემ მიერ (ჯ. ხეცურიანი).


საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

II თავი

რუსეთის აგრესია და საქართველოს ავტონომიები

3. ფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის *(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N166, 1992 წელი, 1 სექტემბერი. Газета “Свободная Грузия”, № 110, 1 сентября 1992 года; Абхазия – мифы и реальность. Сборник статей по вопросам истории и политического статуса. Тбилиси, 2003, с. 23-37)*

4. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები *(ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2998 წელი, №4(19), გვ. 6-17; „Кавказ и Глобализация“, Журнал социально-политических и экономических исследований, т. 2, вып. 4, Швеция, 2008, с. 26-36; The Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Vol. 2, Issue 4, 2008, CA & Press, Sweden, 23-32*)

3. აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისათვის

საქართველოს განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება პარალიზებულია, ერთა შორის დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, მსხვერპლთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

შექმნილი მდგომარეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების სწორი შეფასებისათვის აუცილებელია იმ სამართლებრივი აქტების ანალიზი, რომლებიც ბოლო წლებში მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესმა ორგანოებმა, რადგანაც ყველაზე უფრო ნათლად სწორედ სამართლებრივ აქტებში პოვებს ასახვას პოლიტიკა და ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ცდილობს სამართალშემოქმედი ამ პოლიტიკის გატარებით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ ორგანოთა კომპეტენცია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალოდ გამომდინარეობს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსიდან.

1978 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოა. მისი ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. ამავე კონსტიტუციის 71-ე, 79-ე და 82-ე მუხლების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს რესპუბლიკის უფლებათა ფარგლებს გარეთ, დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობაში შემავალ საკითხებს. მას აქვს კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს. საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და ერთნაირი

ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის კანონს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის თაობაზე ანალოგიური დებულებებია მოცემული 1978 წლის აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით 1978 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია გაუქმდა და აღდგენილია 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლი საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის სტატუსს განიხილავს როგორც ავტონომიური მმართველობის სოხუმის ოლქს, მაგრამ ამავე დეკლარაციის პირველი მუხლის ძალით, 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უზენაესობის აღიარება და მისი ამოქმედება განხორციელდა დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბოლო წლებში რამდენჯერმე შეეცადა, ცალმხრივად შეეცვალა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. სახელდობრ, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 25 აგვისტოს მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ" და დადგენილება "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ". ამ დოკუმენტების მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომლის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს სს რესპუბლიკასთან და სსრ კავშირთან აგებული უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო პრინციპებზე, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ერთადერთ მესაკუთრედ მიჩნეულ იქნა აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხი, დადგენილ იქნა ტერიტორიული უზენაესობის პრინციპი, მხოლოდ აფხაზეთის სსრ და სსრ კავშირის მოქალაქეობა და სხვა.

საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური

სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები გამოცხადდა ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, არღვევდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, ეწინააღმდეგებოდნენ მოქმედი კონსტიტუციის დებულებებს და მიღებული იყო სესიის ჩატარების წესების დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებით, დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ 1992 წლის 23 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შეწყდა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. საგულისხმოა, რომ ეს ე. წ. კონსტიტუცია სრულიად აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობას არ მიუღია. ყრილობამ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პროექტი გადამუშავებულიყო და შეესატყვისებინათ საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციებისათვის. კონსტიტუციის ტექსტი არ გამოქვეყნებულა.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო აფხაზეთის მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების გვერდის ავლით, თვით აფხაზეთის მოქმედი კონსტიტუციის 162-ე მუხლის დარღვევით, რომელიც კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისათვის ითვალისწინებს დეპუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობას და ამდენად, ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ, 1992 წლის 25 ივლისის დადგენილებით, იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება.

მაშასადამე, აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსი, მიუხედავად ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებისა და აფხაზეთის ხელმძღვანელობის მცდელობისა, არ შეცვლილა.

ამიტომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ამ ორგანოების კომპეტენციის განმსაზღვრელი დებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია 1978 წლის აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კონსტიტუციითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ამჟამად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – უმაღლესი საბჭო მეტად რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ჩამოყალიბდა. მას საფუძვლად დაედო თანამედროვე პარლამენტარიზმისათვის უჩვეულო საარჩევნო კანონი, "აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" 1991 წლის 9 ივლისის კანონი აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენენ, სხვა ერებთან შედარებით საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიას აძლევდა – 28 ადგილს, ქართველებს – მოსახლეობის 46 პროცენტს - 26 ადგილს, ხოლო დანარჩენ ეროვნულ უმცირესობებს – 11 ადგილს.

საყურადღებოა, რომ ასეთი საარჩევნო კანონის მიღება არ იყო შემთხვევითი. მისი კონცეპტუალური საფუძველი ადრიდანვე მზადდებოდა. "აფხაზეთის საბჭოთა სოცი-ალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია, მაგალითად, შეიცავდა ასეთ დებულებასაც: "აფხაზეთის სსრ უმაღლეს საბჭოში უზრუნველყოფილია იმ ერის ინსტიტუციური წარმომადგენლობა, რომელმაც სახელწოდება მისცა რესპუბლიკას". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში უნდა უზრუნველყოფილიყო აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა უმრავლესობა.

საარჩევნო კანონის ზემოაღნიშნული დებულება აშკარად ეწინააღმდეგება "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" (1948 წ.) მე-2, მე-7 და 21-ე მუხლების, "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-2, 25-ე და 26-ე მუხლების და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ კანონის წინაშე

ყველა ადამიანის თანასწორობის, ყველა უფლებისა და თავისუფლების თანაბრად ფლობის, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩევნებსა და სახელმწიფო მართვაში ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობას, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა და სხვა მდგომარეობისა.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის დაწესებამ, აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები, სხვა ეროვნული უმცირესობანი და მან რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა მიიღო.

"რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი "რასობრივ დისკრიმინაციად" მიიჩნევს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით, რომლის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში თანასწორობის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, გამოყენებისა და განხორციელების გაუქმება ან შელახვა.

ამავე კონვენციის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინების ყველა ფორმა და უზრუნველყოს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა.

ასეთი საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის, მთელი საზოგადოების ნებისა და ინტერესების გამომხატველი და საფრთხეს ქმნიდა ისედაც დაძაბული ერთაშორისი ურთიერთობების შემდგომი გამწვავებისა და კონფლიქტში გადაზრდისათვის. თუმცა არსებობდა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც პოლიტიკური კომპრომისების შედეგად შეიქმნა და რომელსაც უნდა შეეკავებინა "აფხაზი უმცირესობის – საპარლამენტო უმრავლესობის" თვითნებობა ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას. კერძოდ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის 27 აგვისტოს მიიღო კანონები "აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს

მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ", "აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ", "აფხაზეთის ასსრ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ აფხაზეთის ასსრ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომელთა თანახმად, აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე კანონებისა და სხვა აქტების მიღება, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარების და უმაღლესი თანამდებობის პირების და ორგანოების არჩევის თუ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმების უმრავლესობით.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევის შემდეგ მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, რომ ეს სამართლებრივი მექანიზმი სრულიად არაეფექტიანი და სიცოცხლისუუნარო აღმოჩნდა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ მოერიდა საკუთარი კონსტიტუციის დარღვევას, ფეხქვეშ გათელა პოლიტიკური კომპრომისების შედეგად შექმნილი კანონები და სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად მიმართა რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურეს ფორმას – აპარტეიდის პოლიტიკის გატარებას.

აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთის შესახებ 1973 წლის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, "აპარტეიდად" მიჩნეულია პოლიტიკა და პრაქტიკა, მათ შორის საკანონმდებლო ხასიათის ზომები, რომლის მიზანია ერთი რასობრივი ჯგუფის სხვა რასობრივ ჯგუფზე ბატონობის დამყარება და შენარჩუნება. ამავე კონვენციის მიხედვით, აპარტეიდი განიხილება როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ასეთი შეფასებისათვის საკმაო საფუძველი არსებობს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ბატონ ვ. არძინბას არჩევის შემდეგ, რომელსაც პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე ქართველი დეპუტატების მთელმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი, მის მიერ სეპარატისტული პოლიტიკის გატარებამ და ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებებმა ქართველი დეპუტატები და ეროვნული უმცირესობის დეპუტატთა ნაწილი აიძულა, დაეტოვებინა პარლამენტი. ამის შედეგად,

ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი ფაქტობრივად მონოეთნიკური გახდა და დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 31 მარტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 30 აპრილის დადგენილებით, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადდა მოქალაქეთა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში – აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში იმ განრიგის მიხედვით, რომელიც დაამტკიცა ე. წ. სამხედრო ნაწილების საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭოს თავმჯდომარემ – ბატონმა ვ. არძინბამ. საყურადღებოა, რომ საკოორდინაციო საბჭოს თორმეტი წევრიდან მხოლოდ ერთია ქართველი. ამ გაწვევის შედეგად ჩამოყალიბდა მონოეთნიკური შინაგანი ჯარის ნაწილები, რომლებიც მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული და უშუალოდ დაექვემდებარა საბჭოს თავმჯდომარეს.

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილებები მიღებულია მათი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებით და ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას შინაგან ჯარებში მოქალაქეთა გაწვევის წესის შესახებ, რომლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში არ შედის საჯარისო ფორმირებების შექმნის, მისი ხელმძღვანელობისა და სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის საკითხების გადაწყვეტა.

„აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 27 აგვისტოს კანონის უხეში დარღვევით განხორციელდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით მონოეთნიკური პარლამენტის მიერ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მათთვის სასურველი და ქართველი დეპუტატებისათვის მიუღებელი პიროვნება. აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, ფიზიკური ძალის გამოყენებით, უკანონოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ამ პოსტზე დანიშნეს აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ უკანონოდ გამოცხადებული დეკლარაციის საფუძველზე, მეთოდურად მიმართავდა საკანონმდებლო და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა საბოლოო მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა.

ამ მიზნის განსახორციელებლად, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლის დარღვევით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის წევრთა უმრავლესობას აფხაზები წარმოადგენდნენ, მიიღო მთელი წყება საკანონმდებლო აქტებისა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს პრეზიდიუმის ფუნქციებს, არ ითვალისწინებს ამ ორგანოს მიერ ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტების მიღებას. მიუხედავად ამისა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ფაქტობრივად საკანონმდებლო ორგანოდ გადააქციეს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამართალშემოქმედებითი საქმიანობიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არა მარტო მიღებულია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის დარღვევით, არამედ თავისი შინაარსით აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას და ხელყოფს საქართველოს სუვერენულ უფლებებს:

– პრეზიდიუმის 1991 წლის 30 აგვისტოს დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ", "საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და "ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების თაობაზე.

ამ დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის მითითებული კანონები გამოცხადებულია იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე;

– პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება "აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ", რომლის თანახმად, მინისტრთა საბჭოს დაევალა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა

და ორგანიზაციების აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების უზრუნველყოფა;

– პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება "აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ";

– პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილება "აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ";

– პრეზიდიუმის 1992 წლის 24 იანვრის დადგენილება "რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების აფხაზეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ";

– პრეზიდიუმის 1992 წლის 18 თებერვლის დადგენილება "აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ჩაწერის დროებით აკრძალვის შესახებ", რომლის თანახმად, მოქალაქეობის შესახებ აფხაზეთის კანონის მიღებამდე, აფხაზეთის ტერიტორიაზე აიკრძალა აფხაზეთის ფარგლებს გარედან შემოსული მოქალაქეების ყოველგვარი სახის ჩაწერა. განსაკუთრებულ შემთხვევებში მოქალაქეთა ჩაწერის ნებართვის გაცემის უფლება მიეცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

– პრეზიდიუმის 1992 წლის 17 მარტის დადგენილება "აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხელმძღვანელი კადრების დანიშვნის წესის შესახებ", რომლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, მოადგილეები, რაიონებისა და ქალაქების შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოს), ტრანსპორტის შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსები თანამდებობაზე ინიშნებიან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

ასევე კანონსაწინააღმდეგოა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა არ შედის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში. ასეთია, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 23 აპრილის დადგენილება "სამსახურებრივ საქმეებზე აფხაზეთის რესპუბლიკიდან

საზღვარგარეთ მოქალაქეთა გასვლის წესის შესახებ", 1992 წლის 24 აპრილის დადგენილება "აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე მოქალაქეთა გადასვლის დროებითი წესების შესახებ" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუქმებდნენ, აჩერებდნენ ან იურიდიული ძალის არმქონედ აცხადებდნენ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივ აქტებს. ამასთანავე, ღებულობდნენ ზომებს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსთან, საქართველოს რესპუბლიკასა და მასში შემავალ ავტონომიებს შორის კომპეტენციების გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხების მოლაპარაკების გზით გადასაჭრელად.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტული იდეებით შეპყრობილი აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კვლავ განაგრძობდა ანტიკონსტიტუციური სამართლებრივი აქტების მიღებას, რომლის უკანასკნელი გამოვლინება იყო მიმდინარე წლის 23 ივლისს 1925 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელისუფალთა უკანონო, ანტიკონსტიტუციურმა მოქმედებებმა, მათ მიერ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეშმა დარღვევამ, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებამ, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის შეზღუდვისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობამ უკიდურესად დაძაბა ამ რეგიონში ერთაშორისი ურთიერთობები, მოშალა სახელმწიფო მმართველობის მექანიზმი და ხელისუფლების პარალიზება გამოიწვია. შეიქმნა უაღრესად მძიმე კრიმინოგენური ვითარება.

განსაკუთრებული საფრთხე შეექმნა ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის არტერიას – რკინიგზის ტრანსპორტს, რომელზეც ბოლო დრომდე გრძელდება შეიარაღებული თავდასხმები, გახშირდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების, აფეთქებისა და დაზიანების, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და ტვირთის ხელში ჩაგდების, გატაცების, მგზავრთა გაძარცვის, ტრანსპორტის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები.

რკინიგზის ტრანსპორტზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნვ-

ელყოფის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიმდინარე წლის 11 აგვისტოს საგანგებო წესები შემოიღო რკინიგზაზე და მისი განხორციელება დაავალა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს. დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება "სახელმწიფო სუვერენიტეტგამოცხადებულმა" აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ "აგრესიად" და "ოკუპაციად" მიიჩნია და მონოეთნიკური შინაგანი ჯარების მეშვეობით შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებულ სამხედრო ძალებს.

კანონთა ომი შეიარაღებულ ეთნოკონფლიქტში გადაიზარდა.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ნაცვლად იმისა, რომ შეეჩერებინა უაზრო სისხლისღვრა და თავიდან აეცილებინა საომარი მოქმედების შემდგომი ესკალაცია, სამხედრო დახმარებისათვის მიმართა ე. წ. კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაციას, რომელმაც, თავის მხრივ, არ დააყოვნა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოგზავნა ტერორისტული შეიარაღებული რაზმები, საქართველოს დედაქალაქი კი გამოაცხადა უბედურების ზონად.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის 1992 წლის 25 აგვისტოს განცხადებით, კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაცია მიჩნეულია ანტიკონსტიტუციურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებად, რომლის ტერორისტული საქმიანობა კანონგარეშე აყენებდა მას.

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება საფუძველს იძლევა, გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევით, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებით, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია და დაამყარა მონოეთნიკური დიქტატურა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის, მთელი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გა-

რეშე ძალების დახმარებით, ახორციელებს საკანონმდებლო და ორგანიზაციულ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებების დაცვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს, ამავე დოკუმენტების ძალით, ვალდებულია, მიიღოს საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები მის იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა შელახვის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის გამოვლინების ყველა ფორმის აღსაკვეთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

ამ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა:

– იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად გამოცხადდეს "აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების შესახებ" აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 9 ივლისის კანონი;

– დათხოვნილ იქნეს დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული, ამჟამად ფორმალურად მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;

– იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად გამოცხადდეს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული უკანონო სამართლებრივი აქტები;

– აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში შემუშავდეს დეპუტატთა არჩევნების ახალი კანონი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. შესაძლებლად მოკლე ვადაში მოეწყოს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ამ კანონის შესაბამისად;

– კანონგარეშე და დაშლილად გამოცხადდეს აფხაზეთის ასსრ მონოეთნიკური შინაგანი ჯარები. აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა და შეიარაღებული ძალების ფორმირება

განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით;

– საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა უზრუნველყოს რკინიგზაზე საგანგებო წესებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;

– დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი და საბრძოლო მოქმედება. ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხების შესამუშავებლად, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომავალ კონსტიტუციებში.

4. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დასრულდა. ახლა იგი ცდილობს „მოგებული ომის“ შედეგების იურიდიულად გაფორმებას. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს, რომელთა მიხედვით, რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) დამოუკიდებლობას ცნობს.[1] ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა გააკეთა საგანგებო მიმართვა და საზოგადოებას აუწყა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობისა და აუცილებლობის შესახებ.[2] დიმიტრი მედვედევის აზრით, ბრძანებულების გამოცემისათვის არსებობდა რამდენიმე საფუძველი, კერძოდ:

1. საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია გაერო-ს წესდება, საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობები და განაახლა შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, რომლის მსხვერპლიც გახდა მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები. ასეთივე ბედი ელოდა აფხაზეთს. 8 აგვისტოს თბილისმა გააკეთა არჩევანი - საკუთარი პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მან აირჩია გენოციდი, რითაც გადაწურა ყველა იმედი ოსების, აფხაზებისა და ქართველების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობისა;

2. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხალხებმა არაერთხელ გამოავლინეს თავისუფალი ნება და მხარი დაუჭირეს თავიანთი რესპუბლიკების დამოუკიდებლობას რეფერენდუმების მეშვეობით, მათ უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი;

3. რუსეთის ფედერაციას თხოვნით მიმართეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტებმა ამ რეგიონების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე;

4. რუსეთის ფედერაციის საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ მათ ამ თხოვნას მხარი დაუჭირა და 2008 წლის 25 აგვისტოს

---

1 იხ.: Указ Президента РФ от 26.08.2008 № 1260 «О признании Республики Абхазия»; Указ Президента РФ от 26.08.2008 № 1261 «О признании Республики Южная Осетия» (http://document .kremlin.ru/index.asp).

2 იხ.: Заявление Президента Российской Федерации Дмитрия Медведева. Опубликовано на сайте «Российской газеты» от 26 августа 2008 года (http://www.rg.ru/2008/08/26 medvedev_anons.html).

გადაწყვეტილებით, რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის თხოვნით მიმართა;

5. გაერო-ს წესდება, „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ გაერო-ს 1970 წლის დეკლარაცია, ეუთო-ს 1975 წლის დასკვნითი აქტი და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები უფლებას აძლევს რუსეთს, ცნოს სხვა სახელმწიფოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.

ასეთია ის საფუძვლები, რომლებმაც გადააწყვეტინა რუსეთის პრეზიდენტს გამოეცა ბრძანებულებები საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

რუსეთის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობასა და კანონიერებაში და თავის მიმართვაში მოუწოდებს სხვა სახელმწიფოებს რუსეთის მსგავსად იმოქმედონ. ამ მოწოდების შესახებ წერილის ბოლოს ვისაუბრებთ. ახლა კი განვიხილოთ საკითხი ზემოაღნიშნული საფუძვლების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც რუსეთის პრეზიდენტმა 2008 წლის 26 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულებები. ეს საჭიროა იმისათვის, რათა დავადგინოთ ამ ბრძანებულებების იურიდიული ბუნება, მათი შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და პრინციპებთან და თვით რუსეთის კანონმდებლობასთან.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები და თანამედროვე საერთაშორისო სამართალი

რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, ამ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულება კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტია, რომელიც „არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და ფედერალურ კანონებს“ (90-ე მუხლი).[1] რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, მართალია, რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტებია, მაგრამ მათ საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ და,

1 Конституция Российской Федерации. М.: «Юридическая литература», 1997.

ამდენად, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ აგრეთვე საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსა და რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც რუსეთის კონსტიტუციით, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია“ და მათ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (მე-15 მუხლი).[1] მაშასადამე, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება უნდა შეესაბამებოდეს რუსეთის საკანონმდებლო აქტებს, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები, აგრეთვე რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება უკანონო აქტი იქნება.

ამის გამოა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თავის მიმართვაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი მის მიერ გამოცემული ბრძანებულებების სრულ შესაბამისობას გაერო-ს წესდებასთან,[2] საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ გაერო-ს 1970 წლის დეკლარაციასთან[3] და ეუთო-ს 1975 წლის დასკვნით აქტთან.[4]

ცნობილია, რომ სწორედ ამ საერთაშორისო - სამართლებრივ აქტებშია მოცემული საერთაშორისო სამართლის ათი ძირითადი პრინციპი, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი საწყისებია, მისი შინაგანი საფუძველია, საყოველთაოდ აღიარებულია, უნივერსალურია და ყველა სახელმწიფო ვალდებულია, მკაცრად დაიცვას მათი მოთხოვნები.

ახლა კი ვნახოთ, რამდენად იცავს რუსეთი ამ პრინციპებს, რამდენად შეესაბამება რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებები საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

---

1 იქვე

2 იხ.: Устав Организации Объединенных Наций. Глава I, статья 2 (UN: http:/www.un.org/russian/dokumen/ basicdoc/charter.htm).

3 იხ.: Декларация о принципах международного права, касающаяся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом Организации Объединенных Наций (принята Генеральной Ассамблеей ООН 24 октября 1970 г.) (http:www.boom.ru/DATA.002/018.txt).

4 იხ.: Совещание по безопасности и сотрудничеству в Европе. Заключительный акт (Хельсинки, 1 августа 1975 г.) (http://bestpravo.ru/fed 1991/data 03/tex 15797.htm).

1. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები, უწინარეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპს.

ისტორიულად და სამართლებრივად აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ჩათვლით.

საქართველომ გასულ საუკუნეში რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის ამ რეგიონებში მცხოვრებთა, უმრავლესობამ რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამის შედეგად, საქართველო გაერო-ს წევრად მიიღეს იმ საზღვრებში, იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე.ი. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის რუსეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობა გულისხმობს ამ ორი რეგიონის ტერიტორიების საქართველოსგან მისი ნების გარეშე ჩამოცილებას.

2. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებს ურღვევად მიაჩნიათ ერთმანეთის საზღვრები და ამიტომ ისინი თავს შეიკავებენ ამ საზღვრების ყოველგვარი ხელყოფისაგან, არ შეეცდებიან მათ გადასინჯვას და არ ექნებათ ტერიტორიული პრეტენზიები. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნებისა თუ მოქმედებებისაგან, რომელთა მიზანი იქნება ნებისმიერი სახელმწიფოს ნაწილის თუ

მთელი ტერიტორიის დაპყრობა - უზურპაცია. სახელწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპი დასაშვებად მიიჩნევს საზღვრების მხოლოდ ნებაყოფლობით შეცვლას, დაინტერესებული სახელმწიფოების თანასწორუფლებიანი შეთანხმების შედეგად.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ზემოაღნიშნული პრინციპის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობით, რუსეთმა ცალმხრივად, საქართველოსთან შეთანხმების გარეშე, შეცვალა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, ამ პრინციპის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დანაშაულადაა მიჩნეული.

3. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება, ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში; დაუშვებელია შეიარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა სხვა ფორმა ან ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ამ პრინციპის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის - აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით, რუსეთმა თვითნებურად გადაწყვიტა სხვა სახელმწიფოს - საქართველოს რეგიონების სტატუსის საკითხი, რომელიც მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეა. რუსეთის პრეზიდენტის ეს ბრძანებულებები უშუალოდაა მიმართული საქართველოს პოლიტიკური საფუძვლების წინააღმდეგ.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობა იმიტომ მოხდა, რომ საქართველომ თავისი მოქმედებით „გადაწურა ყველა იმედი ოსების, აფხაზების და ქართველების ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობისა“, არ შეიძლება რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებების საფუძვლად იქნეს განხილული, რადგანაც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირის თვითასეთი განცხადებაც კი თავისთავად წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის უხეშ დარღვევას. არც ერთ სახელმწიფოს,

და მათ შორის რუსეთს, არა აქვს არანაირი უფლება გადაწყვიტოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი და განსაზღვროს ესა თუ ის ერები ერთ სახელმწიფოში იცხოვრებენ თუ ცალ-ცალკე.

ზემოაღნიშნული პრინციპის დარღვევას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ინტერვენციად მიიჩნევს.

4. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, ყველა სახელწიფო, მიუხედავად მისი ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, თანასწორუფლებიანია საერთაშორისო სამართლის წინაშე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას, აგრეთვე ყველა უფლებას, რომელიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის, მათ შორის თითოეული სახელმწიფოს იურიდიული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს მოახვიოს სხვა სახელმწიფოს თავისი ბატონობა ან პრივილეგიურ მდგომარეობაში დააყენოს თავისი თავი.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით, ე.ი. ცალმხრივი აქტის გამოცემით, რუსეთმა დაადასტურა, რომ იგი საქართველოს არ განიხილავს როგორც იურიდიულად თანასწორ სუბიექტს და პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ.

5. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, ყოველი სახელმწიფო თავის საერთაშორისო დავებს სხვა სახელმწიფოებთან უნდა წყვეტდეს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას. ამის შესაბამისად, სახელმწიფოები, რომლებიც მხარეები არიან საერთაშორისო დავაში, და აგრეთვე სხვა სახელმწიფოები, თავს უნდა იკავებდნენ ყოველგვარი მოქმედებებისგან, რომელთაც შეუძლიათ იმდენად გააუარესონ მდგომარეობა, რომ საფრთხე შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას.

რუსეთი, რომელიც თავიდანვე მონაწილეა და მხარეა მის მიერ შეიარაღებული და მართული სეპარატისტული ძალების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ინსპირირებული კონფლიქტებისა, თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე უარყოფდა ამ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ყველა წინადადებას, რომელიც საქართველოს ხელისუფლების, გაერო-ს, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო შეთავაზებული. ამ ფონზე, ცალმხრივად, საქართველოს სუვერენული უფლებების გაუთვალისწინებლად, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა არა თუ ხელს შეუწყობს რუსეთ - საქართველოს ურთიერთობების მშვიდობიან მოწესრიგებას (როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართლის ზემოაღნიშნული პრინციპი), არამედ, პირიქით, იგი იმდენად გააუარესებს ამ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებულ ისედაც უაღრესად დაძაბულ ურთიერთობას, რომ რეალური საფრთხე შეექმნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას.

6. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომლის ძალითაც ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

ამასთანავე, თვითგამორკვევის უფლების განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის დანაწილება ან დარღვევა. ყოველმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია სხვა რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივ თუ მთლიანი დარღვევისაკენ.

რუსეთის პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, ამ პრინციპის მხოლოდ პირველი ნაწილით იხელმძღვანელა, როდესაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ბრძანებულებების გამოცემის საფუძვლად მიუთითა ამ სეპარატისტული რეჟიმების მიერ ჩატარებულ რეფერენდუმებზე, რომლებშიც გამოვლინდა აფხაზი და ოსი ხალხების ნება მათი არაღიარებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის თაობაზე და რომელზე დაყრდნობითაც სეპა-

რატისტული რეგიონების ლიდერებმა დამოუკიდებლობის ცნობის თხოვნით მიმართეს რუსეთის სახელმწიფოს.

არც სეპარატისტულ რეგიონებში ჩატარებული რეფერენდუმები და არც მათი ლიდერების თხოვნა სამართლებრივ საფუძვლად ვერ გამოდგება შემდეგ გარემოებათა გამო: ამ სეპარატისტულ რეგიონებში რეფერენდუმები გაიმართა მას შემდეგ, რაც იქ ეთნიკური წმენდა განხორციელდა, რომლის შედეგადაც, მაგალითად, აფხაზეთიდან განდევნილი იქნა 250 ათასამდე ქართველი, 100 ათასამდე სხვა ეროვნების წარმომადგენელი და თვით აფხაზი მოსახლეობის ნახევარი (40 ათასამდე აფხაზი).[1] ამიტომ ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმი ვერანაირად ვერ გამოხატავს აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხების და თვით აფხაზებისა და ოსების ნებას. არც ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში სეპარატისტთა მიერ ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია ლეგიტიმური. გამომდინარე აქედან, ამ დე-ფაქტო ლიდერების მიერ გამოცემულ აქტებსა და მიმართვებს არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. ამის ნათელი დადასტურებაა ეუთო-ს სტამბოლის (1999 წ.) დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია: „მიუღებლად და უკანონოდ ვთვლით ამ წელს აფხაზეთში, საქართველო, ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებას".[2] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დეკლარაცია მიღებულია თვით რუსეთის მონაწილეობითა და დასტურით.

ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეობის გზით, მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. ამიტომ იყო რომ ჩეჩნეთში კონფლიქტის დროს, რომელშიც დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოსახლეობა, დასავლეთის სახელმწიფოები, რუსეთის კრიტიკისას, მართალია, მიუთითებდნენ სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ გამოყენებული ძალის არაპროპორციულობაზე, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ეს მაინც რუსეთის საშინაო საქმე იყო.[3] სწორედ ამიტომაც არის, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა უარს ამბობს სეპარატისტთა მიერ ეთნიკური წმენდის საფუძველზე შექმნილი თვითმარქვია დამოუკიდებელი

1 იხ.: (http://www.geocities.com/abkhazia - dream/public/19.htm).

2 იხ.: Декларация Стамбульской встречи на высшем уровне ОБСЕ, Стамбул, 19 ноября 1999 года, пункт 17 (http://bureau.kz/lib/download/727.dok).

3 აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. პიტერ მალანჩუკის რედაქტორობით. მეშვიდე შესწორებული გამოცემა. პირველი ქართული გამოცემა.

სახელმწიფოების ცნობაზე და მოითხოვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის როგორც საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილების სტატუსის განსაზღვრას მხოლოდ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

გავიხსენოთ, თუნდაც სულ ახლახან, 2008 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს შესახებ ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი, რომლის თანახმად, ევროკავშირი გმობს რუსეთის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და მოუწოდებს სხვა ქვეყნებს, არ ცნონ გამოცხადებული დამოუკიდებლობა. ამასთანავე, ევროკავშირი აღნიშნავს, რომ საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა იყოს დაფუძნებული საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.[1]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ აფხაზებისა და ოსების თვითგამორკვევის ყალბად გაგებული უფლების რეალიზაციის მოტივით, სეპარატისტულ რეგიონებში ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით მოხდა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის ხელყოფა.

7. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოები კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარეობენ, აგრეთვე იმ ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით თუ სხვა შეთანხმებით იკისრეს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავი აარიდოს იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლე-

---

თბილისი. „დიოგენე“, 2005 წ., გვ. 371.

1 იხ.: Итоговая декларация саммита Евросоюза от1 сентября 2008 года (http://www.newsru.com/world/ 01 sep 2008/closesummit.html).

ბიც გამომდინარეობენ საერთაშორისო - სამართლებრივი ნორმებიდან, ასევე, არა აქვს უფლება, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელოს მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებები ან ნებისმიერი სხვა გარემოება. სახელმწიფომ თავისი კანონმდებლობა და ადმინისტრაციული წესები უნდა შეუსაბამოს თავის საერთაშორისო - სამართლებრივ ვალდებულებებს.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ამ პრინციპის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით რუსეთმა უხეშად დაარღვია როგორც ის ვალდებულებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარეობს (ეს კარგად ჩანს ამ წერილში მოყვანილი მაგალითებიდან), ისე ვალდებულებები, გამომდინარე რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან თუ შეთანხმებიდან, რომლებშიც რუსეთი ცნობს და აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული სახელმწიფო საზღვრების ურღვეობას.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ამონარიდს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ“ 1994 წლის 15 აპრილის (მოსკოვის) დეკლარაციიდან, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსეთის მიერაცაა ხელმოწერილი. დეკლარაციაში ვკითხულობთ:

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები:

1. უზრუნველყოფენ თავიანთ ურთიერთობაში სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპებს;

2. ადასტურებენ, რომ, აგებენ რა თავიანთ ურთიერთობას, როგორც მეგობარი სახელმწიფოები, თავს შეიკავებენ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა ფორმის ზეგავლენისაგან, მათ შორის ბლოკადისაგან, რომ მხარს არ დაუჭერენ და არ გამოიყენებენ სეპარატიზმს თანამეგობრობის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, აგრეთვე, პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;

3. ადასტურებენ, რომ ტერიტორიების მიტაცება ძალის გამოყენებით არ შეიძლება აღიარებულ იქნეს, ხოლო სახელმწიფოთა ტერი-

ტორიების ოკუპაცია - გამოყენებული საერთაშორისო ცნობის ან მისი სამართლებრივი სტატუსის შეცვლის თავსმოხვევისათვის“[1]

ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება პირშივე ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ ნაკისრ ამ ვალდებულების ყველა პუნქტს.

8. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოები, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განსხვავებისა, მოვალენი არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა დარგში, რათა დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ზემოაღნიშნული პრინციპის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით, რუსეთი ადასტურებს თავის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას აგრესიული სეპარატიზმისადმი, უპირატესობას ანიჭებს ეთნიკური წმენდის შედეგად ჩამოყალიბებული თვითაღიარებული რესპუბლიკების დეფაქტო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ნაცვლად იმისა, რომ ითანამშრომლოს საქართველოსთან, როგორც მეზობელ, სუვერენულ, გაერო-ს წევრ სახელმწიფოსთან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

9. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპს.

ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის არსებითი ფაქტორია და აუცილებელია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათვის.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსე-

1 იხ.: Декларация «О соблюдении суверенитета, территориальной целостности и неприкосновенности границ государств-участников Содружества Независимых Государств» от 15 апреля 1994 года (Москва) (http://www.inpravo.ru/data/base 250/text 25 v 878 i 300.htm).

თის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ შეუძლებელი იქნება ამ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების ლიკვიდაცია, ასიათასობით დევნილ საქართველოს მოქალაქეს წაერთმევა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, საკუთრების, არჩევნებში მონაწილეობისა და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, რუსეთის პრეზიდენტის ამ ბრძანებულებებმა ბიძგი მისცა ამ რეგიონში ჯერ კიდევ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ახალ ტალღას, რომლის გამოც ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლის და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები სრულიად დაუცველი გახდა.

აგრესიის იურიდიული გამართლების მცდელობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულებების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა სწორედ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტურ რეგიონებში ჩადენილი ადამიანის უფლებათა მასობრივი და მძიმე დარღვევის, გენოციდის ფაქტებზე და ამით გაამართლა რუსეთის სამხედრო ძალების შეჭრა მეზობელ ქვეყანაში, შემდეგ კი კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ბრძანებულებების გამოცემა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს დებულება, რომელიც კრძალავს ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით უცხო სახელმწიფოში იძულებითი ზომების გამოყენებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს კომპეტენტური ორგანოები ჩათვლიან, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მასობრივ და სისტემატურ დარღვევას, რაც საერთაშორისო - სამართლებრივ დანაშაულად ითვლება. ცნობილია, რომ გაერო-ს არც ერთ კომპეტენტურ ორგანოს ამის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია და, შესაბამისად, არც რუსეთისათვის მიუციათ უფლება, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ძალებით აღეკვეთა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი გენოციდის შესახებ, ეს მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის შიშველი ბრალდებაა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასამართლებლად და არ არის

დადასტურებული არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. სამაგიეროდ, რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილმა ადამიანის უფლებათა მასობრივმა დარღვევებმა, ქართველი მოსახლეობის ფართომასშტაბიანმა დეპორტაციამ და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებებმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო.

ეუთო-ს ბუდაპეშტის (1994 წ.),[1] ლისაბონის (1996 წ.)[2] და სტამბოლის (1999 წ.)[3] დასკვნით დოკუმენტებში, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (2008 წ.)[4] დადასტურებულია, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რომლის შედეგად, აფხაზეთში მოკლულია 10 ათასამდე სამოქალაქო პირი, ხოლო 250 ათასამდე ეთნიკური ქართველი განდევნილია თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები მიღებულია რუსეთის მონაწილეობითა და თანხმობით, ე.ი. მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად რუსეთმაც დაადასტურა აფხაზეთში სეპარატისტული ძალების მიერ ჩადენილი ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტები.

ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც, სადაც სეპარატისტებმა 1990 წელს მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების უზურპაცია, ბოლშევიკების მიერ 1922 წელს ხელოვნურად შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გამოაცხადეს დამოუკიდებელ „საბჭოთა რესპუბლიკად“ და საქართველოსაგან ამ რეგიონის ჩამოცილების მიზნით, გააჩაღეს ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის შედეგადაც დაიღუპა უამრავი ოსი და ქართველი ეროვნების ადამიანი, ეთნიკური წმენდის შედეგად კი ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილი გახდა.

---

1 იხ.: Резолюция встречи СБСЕ на высшем уровне. Будапешт, 6 декабря 1994 года, пункт II // Свободная Грузия, 17 декабря 1994, № 182

2 იხ.: Декларация саммита ОБСЕ, Лиссабон, 2-3 декабря 1996 года, пункт 20. В сб.: Международные акты о правах человека. Сборник документов /Сост.: В.А. Карташкин, Е.А. Лукашёва. Изд. второе, дополненное. М.: Норма, 2002, с. 822.

3 იხ.: Декларация Стамбульской встречи на высшем уровне ОБСЕ, Стамбул, 19 ноября 1999 года, пункт 17 (www.osce.org//Russian).

4 იხ.: Резолюция Генеральной Ассамблеи Организации Объединенных Наций 62/249 от 15 мая 2008 года. Положение внутренне перемещенных лиц и беженцев из Абхазии, Грузия (http://daccessdds.un.org/ doc/UNDOC/GEN/N 07/478/73/PDF/N 0747873.pdf ? Open Element).

რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებული სამშვიდობო ძალები სამშვიდობო მისიის შესრულების ნაცვლად სეპარატისტული რეჟიმების აქტიურ მხარდამჭერ ძალად გადაიქცნენ და ფაქტობრივად ამ რეგიონების სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებდნენ. ამ მხარდაჭერის იმედით, სეპარატისტული რეჟიმები თავს არიდებდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და უარს აცხადებდნენ დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე.

ეთნიკური წმენდა საერთაშორისო სამართალში აღიარებულია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახეობად და გენოციდის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში სწორედ გენოციდი და ეთნიკური წმენდა იქცა აგრესიული სეპარატიზმის ძირითად იარაღად. „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ“ გაერო-ს (1948 წ.) კონვენციის თანახმად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად ებრძოლოს გენოციდის ნებისმიერ გამოვლინებას თავისი საზღვრების შიგნით.[1]

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველო არა თუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, ყველა საშუალებით, მათ შორის იძულებითი ზომებით, აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ნებისმიერი გამოვლინება, მით უმეტეს, როდესაც ეთნიკური წმენდის ფაქტები დადასტურებულია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი რუსეთს, „საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის“ პრინციპის თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავს დაესხას მეორე სახელწიფოს, რაგინდ სამართლიანიც უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა ძალითაც ასეთი პრევენციული ზომების აუცილებლობა იქნება ნაკარნახევი. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს უფლება, მიიღოს სათანადო ზომები, შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით, როდესაც ამას უშიშროების საბჭო დაადგენს. ამისათვის გაერო-ს წესდება სპეციალურ პროცედურებს ითვალისწინებს, რომელიც წესდების მე-7

1 იხ.: Конвенция о предупреждении преступления геноцида и наказания за него. Принята и предложена для подписания, ратификации или присоединения резолюцией 260 A (III) Генеральной Ассамблеи Организации Объединенных Наций от 9 декабря 1948 года, ст. 1. В сб.: Международные акты о правах человека. Сборник документов, с. 518

თავშია გადმოცემული - „მოქმედება მშვიდობის დარღვევის საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების შემთხვევაში“.[1] ასეთია საერთაშორისო მართლწესრიგის მოთხოვნები.

მაგრამ, როგორც ჩანს, საერთაშორისო - სამართლებრივ ამკრძალავ ნორმებს რუსეთისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ზორკინი გაზეთ „როსიისკაია გაზეტა“-ში გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ეხება.[2] ვ. ზორკინი რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებს მშვიდობის ძალით დამყარების ოპერაციას უწოდებს და წერს, რომ, ჩვეულებრივ, ასეთი ოპერაციების განხორციელება ხდება გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციით, მაგრამ რუსეთი რომ დალოდებოდა გაერო-საგან სპეციალური მანდატის მიღებას, დაიღუპებოდა უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები, ამასთან, ეს მშვიდობიანი მცხოვრებნი უბრალოდ მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეები კი არ იყვნენ მხოლოდ, არამედ მათი დიდი ნაწილი რუსეთის მოქალაქეები არიან.

მაშასადამე, რუსეთის პრეზიდენტის დ. მედვედევის და რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ზორკინის აზრით, რუსეთს აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ, მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში, რუსეთის მოქალექეების (თუმცა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებნი რუსეთის მოქალაქეებად გადაიქცნენ რუსული პასპორტების დარიგების ყოვლად უკანონო და სამარცხვინო კამპანიის შედეგად) ან საერთოდ ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით, შეიყვანოს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეიარაღებული ძალები, დაბომბოს დასახლებული პუნქტები, გაანადგუროს ინფრასტრუქტურა და მოახდინოს ამ სახელმწიფოს ტერიტორიების დაპყრობა. ეს, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპის სრული პროფანაციაა და „საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის“ პრინციპის უხეში დარღვევაა.

ამ პრინციპის მიხედვით, ძალის გამოყენების ყველაზე საშიშ ქმედებად მიჩნეულია აგრესია, რომელიც მშვიდობის წინააღმდეგ

---

1 იხ.: Устав ООН. Глава VII: Действия в отношении угрозы миру, нарушений мира и актов агрессии (статьи 39-51) (http://www.un.org/russian/documen/basicdoc/charter.htm).

2 იხ.: Зорькин В. (Председатель Конституционного суда). Пройти по лезвию бритвы // Российская газета – Федеральный выпуск № 4727 от 13 августа 2008 года.

მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს. აგრესია არის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიის ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. აგრესიის განსაზღვრების შესახებ გაერო-ს 1974 წლის რეზოლუციის[1] შესაბამისად აგრესიულ აქტად ჩაითვლება:

ა) ერთი სახელმწიფოს შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ასეთი თავდასხმის შედეგია; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით;

ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით სხვა იარაღის გამოყენება;

გ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან სანაპიროების ბლოკადა;

დ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე;

ე) ერთი სახელმწიფოს მიერ, ან მისი სახელით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, არარეგულარული ან დაქირავებული ძალების შეგზავნა და ა.შ.

ეს ნუსხა არ არის ამომწურავი, თუმცა ზემოაღნიშნული ჩამონათვალიც საკმარისია რუსეთის მიერ ძალის გამოყენებისათვის სათანადო კვალიფიკაციის მისაცემად. თუ თვალს გადავავლებთ 2008 წლის 8 აგვისტოდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მოქმედებებს, რომლებიც დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, და შევაფასებთ მათ ზემოაღნიშნული საერთაშორისო - სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება - რუსეთმა საქართველოს მიმართ განახორციელა სამხედრო აგრესია და მოახდინა მისი ტერიტორიების ოკუპაცია. ამასთანავე, რუსეთის სამხედრო აგრესიას და ოკუპაციას თან ახლდა ხელახალი ეთნიკური წმენდა, რომლის შედეგადაც ზემო აფხაზეთიდან განდევნილია 2500-მდე, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან 30 000-მდე ქართველი მოსახლეობა, დაღუპულია მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები და განადგურებულია მათი საცხოვრებელი სახლები. ამიტომ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ამ სამხედრო აგრესიის,

1 იხ.: Определение агрессии. Утверждено резолюцией 3314 (XXIX) Генеральной Ассамблеи ООН от 14 декабря 1974 года (www.un.org/russian/documen/convents/aggression.htm).

ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის შედეგების იურიდიულად გაფორმების მცდელობაა მხოლოდ.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებები საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო - სამართლებრივ ყველა ნორმასა და პრინციპს, რომელიც რუსეთის კონსტიტუციით რუსეთის ნაციონალური სამართლის შემადგენელი ნაწილია, ის არა მარტო საერთაშორისო კანონიერებას, არამედ თვით რუსეთის კონსტიტუციურ კანონიერებას არღვევს. ამის გამო მას არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

ახლა რაც შეეხება ამ ბრძანებულებების ხელმოწერისას რუსეთის პრეზიდენტის მოწოდებას, რომ სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძონ რუსეთის მაგალითს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სხვა სახელმწიფოებმა მართლაც რომ მიბაძონ რუსეთის მაგალითს, მსოფლიოში რა მოხდება. მოხდება ის, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართვაში: „რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ.

სეპარატიზმი გადამდები ცენტრიდანული საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს და თუ მას სერიოზული გასაქანი მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინდომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებელი ომები“.[1]

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები არა თუ არ მიბაძავენ რუსეთის მაგალითს, არამედ დაგმობენ მას, რადგან რუსეთის მაგალითი არის გზა არსაით.

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 აგვისტო, 2008 წ.

III თავი

სიკვდილით დასჯის პრობლემა

5. სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან
(ჟურნალი "საბჭოთა სამართალი", 1979, №3, გვ. 20-31)

6. სიკვდილით დასჯა. არგუმენტები და ფაქტები
(„აზრი", თბილისი, 1997)

7. სიკვდილით დასჯა ქართულ სამართალში
(ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", თბილისი, 1998 წელი, №4, გვ. 39-49; „Georgian Law Review", july, 1999, Tbilisi, pp. 3-9; ჯონი ხეცურიანი. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. „ფავორიტი პრინტი", თბილისი, 2011, გვ. 112-127)

5. სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან

იურისპრუდენციის არც ერთ პრობლემას არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც სიკვდილით დასჯას. კაცობრიობას დღემდე ვერ გადაუწყვეტია ან, უკეთეს შემთხვევაში, ვერ დაურწმუნებია საკუთარი თავი, არის თუ არა აუცილებელი და საჭირო სასჯელის ეს სახე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი მრავალჯერ შემოუღიათ და ასევე მრავალჯერ გაუუქმებიათ მთელ რიგ ქვეყნებში. სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი ხან იწონებს სიკვდილით დასჯას და ხან უარყოფითად ეკიდება მას. ერთსა და იმავე ქვეყანაში ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, სხვადასხვა ასაკის, განათლების თუ სქესის პირებს[1].

სიკვდილით დასჯის პრობლემა დიდი ხანია გასცდა წმინდა იურისპრუდენციის ფარგლებს. მასზე სამართლისმცოდნეებთან ერთად მსჯელობენ ფილოსოფოსები, ეთიკოსები, სოციოლოგები, ლიტერატორები. არ დარჩენილა ალბათ არც ერთი ცნობილი პიროვნება, რომელიც არ შეხებოდეს ამ პრობლებას და არ გამოეთქვას მასზე საკუთარი აზრი. პოლემიკა ამ საკითხის ირგვლივ დღესაც გრძელდება.

მოსაზრებები, რომლებიც სიკვდილით დასჯის თაობაზეა გამოთქმული, ბუნებრივად, სამ ძირითად მიმდინარეობად ჩამოყალიბდა[2].

პირველი მიმდინარეობა საერთოდ უარყოფს სიკვდილით დასჯას როგორც სასჯელის ზომას და მოითხოვს მის სრულ გაუქმებას[3].

მეორე მიმდინარეობა თეორიულად ამართლებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას და მოითხოვს მის შენარჩუნებას ან შემოღებას.

მესამე პრინციპულად ურიგდება სასჯელის ამ სახეს, ოღონდ მოითხოვს მისი გამოყენების სფეროს შეზღუდვას. ყველაზე უფრო მეტი მომხრეები მესამე მიმდინარეობას ჰყავს.

---

1 Capital Punishment, United Nations, Department of Economic and Social Affairs, New York, 1962, p. 162-163.

2 Г.З. Анашкин, Смертная казнь в капиталистических государствах. "Юридическая литература", М., 1971, с. 68.

3 ამ მიმდინარეობის მომხრეებს სხვაგვარად აბოლიციონისტებსაც უწოდებენ. აბოლიციონისტი ინგლისური სიტყვაა და, თავის მხრივ, მომდინარეობს ლათინური აბოლიტიო-დან, რაც გაუქმებას, მოსპობას ნიშნავს. სიტყვა "აბოლიციონიზმით" აღნიშნავენ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის მიზანია ამა თუ იმ კანონის გაუქმება. ამ სიტყვით XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს აღნიშნავდნენ მოძრაობას მონობის, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში შავკანიანთა მონობის გასაუქმებლად.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი, არსებითი ხასიათის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ პირველი მიმდინარეობის წარმომადგენლების არგუმენტები.

1. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად სიკვდილით დასჯის მომხრეებს ის მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი, პრევენციული მნიშვნელობა, რომ მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, მძიმე დანაშაულობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგანაც სიცოცხლე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიკეთეა, რაც ადამიანს გააჩნია, ამდენად, დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა არის დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება.

ცნობილი იურისტის, პროფესორ პ. ლოდის აზრით, სიკვდილით დასჯა მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის აუცილებელი საშუალებაა. სიკვდილით დასჯის, ისე როგორც სხვა სასჯელების მთავარი მიზანია, ფსიქოლოგიური ზემოქმედებით აიძულოს პიროვნება, თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან[1].

ეს არგუმენტი, ერთი შეხედვით, იმდენად დამაჯერებელია, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართო გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზიც კი გახდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ძველი ქვეყნების კანონების მიხედვით, სიკვდილით დასჯა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვისაც კი იყო გათვალისწინებული. მაგალითად, ძველ რომში XII ტაბულის კანონებით, სიკვდილით ისჯებოდა მოვალე, რომელსაც არ გამოისყიდდნენ ან არ ყიდულობდნენ. სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე ისიც, ვინც თხზავდა ან მღეროდა სხვის შესახებ ცილისმწამებლურ სიმღერას. ძველ საბერძნეთში დრაკონტის კანონების მიხედვით, მკვლელობის თანაბრად სიკვდილით ისჯებოდა ბოსტნეულისა და ხილის ქურდობა[2]. ამ მხრივ არც ფეოდალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჩამორჩებოდა მონათმფლობელურს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი "კაროლინა", რომელიც 1532 წელს შემოიღო სამოქმედოდ იმპერატორმა კარლოს V-მ, სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა 44 სახის დანაშაულისათვის. ხოლო ე. ვ. ტარლეს მტკიცებით, XVI საუკუნის ინგლისში სიკვდილით

1 П. Лодий, Теория общих прав, СПБ, 1828, с. 124, 166, 169.
2 В. С. Сергеев, История Древней Греции, М., 1963, с. 171.

ისჯებოდა ისეთი უმნიშვნელო დანაშაულებრივი ქმედობები, როგორებიც იყო ერთ შილინგზე მეტი ღირებულების ნივთების ქურდობა, სხვის ტყეში ხის მოჭრა და სხვა[1].

სიკვდილით დასჯის პრევენციულ-გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებულმა წარმოდგენამ განაპირობა ისიც, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც არ დარჩენილან გულგრილი ამ სასჯელის გამოყენებისადმი და მათ კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯას უფრო ფართო ასპარეზი მიეცა. თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სიკვდილით დასჯა, საერთო ანგარიშით, გათვალისწინებულია 30 სახის დანაშაულისათვის. სხვა დანაშაულთა გვერდით სიკვდილით დასჯა დაწესებულია ისეთი ქმედობებისთვისაც, როგორებიცაა: მღვდლის (რელიგიის მსახურის) ცემა; ძალადობა ისეთი იარაღით, რომლითაც შეიძლებოდა პიროვნების მოკვლა (აშშ - ტენესის შტატი); აბორტი, რომელმაც გამოიწვია ქალის სიკვდილი (აშშ - ჯორჯიის შტატი); ავღანეთის კანონმდებლობით სიკვდილით ისჯება ცოლქმრული ერთგულების დარღვევა ქალის მიერ და სხვა[2].

სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობის ზედმეტად შეფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში, თითქმის ყველა ქვეყანაში, ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ. ამ მიზნისათვის დიდი ქალაქების მოედნებზე აღმართული იყო ქვის სპეციალური მყარი ნაგებობები, სადაც განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ქალაქის მოსახლეობის თანდასწრებით[3].

სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების წესს დღესაც ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა. მაგალითად, სალვადორში სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, ხოლო ფილიპინებში სიკვდილით დასჯა საჯაროდ შეიძლება მოეწყოს გუბერნატორის განკარგულებით. თვით ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთია, 1939 წლის 27 ივლისის კანონის მიღებამდე, სიკვდილით დასჯა გილიოტინით საჯაროდ სრულდებოდა განაჩენში მითითებულ მოედანზე.

2. შემდეგი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მომხრეებს

---

1 Е. В. Тарле. Общественные воззрения Томаса Мора. СПБ, 1901, с. 117

2 Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, с. 87-98.

3 ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სახრჩობელა აღმართული იყო პარიზში, რომელიც ცნობილი იყო „მონტფოკონის“ სახელწოდებით.

მოჰყავთ, ის არის, რომ ამ სასჯელის გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება, ჩაიდინოს სხვა დანაშაული. ერთი სიტყვით, დამნაშავის ფიზიკური მოსპობით, თავიდან ვიცილებთ მისგან მოსალოდნელ და შესაძლებელ სხვა მძიმე დანაშაულს. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეუძლებელია. ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს, თავი დაიცვას მათგან. სოციალური დაცვის ყველაზეეფექტიანსაშუალებადკიმათმიაჩნიათდამნაშავისსიკვდილით დასჯა. ამგვარად, სიკვდილით დასჯა მიჩნეულია სოციალური დაცვის იძულებით ღონისძიებად. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთ-ერთი ინგლისელი მოსამართლის სიტყვები: თუ თქვენ დამნაშავეს ინგლისის საპატიმროში მოათავსებთ, მალე მისგან მიიღებთ უფრო უარეს პიროვნებას დამნაშავის მთელი კომპლექსებით. ხოლო, თუკი მათ გადაასახლებთ ოკეანის გაღმა ტერიტორიებში, ამით კიდევ უფრო გაამრავლებთ დამნაშავეობის თესლს და გარყვნით ხალხებს, რომლებიც პატიოსნად ცხოვრობენ. დღევანდელ საზოგადოებაში არ არის საშიში დამნაშავის გამოსწორების საშუალება, ამიტომ საზოგადოებისთვისაც და თვით დამნაშავისთვისაც უკეთესი იქნება, თუკი მას ჩამოახრჩობენ[1]. რევოლუციამდელი რუსი იურისტის, პროფესორ ს.ბ. ბარშევის აზრით, მხოლოდ სიკვდილით დასჯა, რომელიც ფიზიკურ საშუალებას უსპობს დამნაშავეს, შემდგომში ჩაიდინოს დანაშაული, შეიძლება განხილულ იქნეს სასჯელის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ სახედ[2]. ეს მოსაზრება უშუალოდ აისახა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, ეკატერინეს განაწესის 205-ე მუხლში ჩაწერილი იყო: "Намерение установленных наказаний не то, чтоб мучити тварь, чувствами одаренную, они на тот конец предписаны, чтобы воспрепятствовать виноватому, дабы он впредь не мог вредить обществу и чтобы отвратить граждан от соделания подобных преступлений"[3].

საზოგადოების დაცვის, მის წევრთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს, რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი გამოყენება ზემოაღნიშნული მოტივებით. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ,

1 G. Godwin. Crime and social Action. London, 1956, p. 115.
2 С.Б. Баршев. О мере наказаний. М., 1840, с. 15.
3 Наказ ее императорского величества Екатерины Второй. С.-Петербург, 1796, с. 77.

როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს როგორც "ცოფიანი ძაღლი"[1]. ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, თითოეული დამნაშავე, რომელიც თავს ესხმის საზოგადოებრივ სამართალს, თავისი დანაშაულის წყალობით იქცევა მეამბოხედ და სამშობლოს გამცემად. არღვევს რა ამ უკანასკნელის კანონებს, იგი უკვე აღარ არის მისი წევრი. იგი ებმება მის წინააღმდეგ ომში. ასეთ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელი ხდება დამნაშავის არსებობასთან. აუცილებელია ერთ-ერთი მათგანი დაიღუპოს. და როცა დამნაშავეს სჯიან, მას სიცოცხლეს ართმევენ როგორც მტერს და არა როგორც მოქალაქეს[2]. რუსოს ეს აზრი შემდეგში გაიზიარა ცნობილმა დეკაბრისტმა ა.პ. კუნიცინმა. მისი აზრით, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახელმწიფოს მტერი ხდება. თუ გარეშე მტრების მოკვლა ნებადართულია, რატომ არ შეიძლება შინაური მტრების განადგურება?[3] - წერს იგი. ამავე მოსაზრებით, სიკვდილით დასჯის გამოყენებას მხარს უჭერდა ჩეზარე ბეკარია[4] და სხვები.

3. სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას, სამაგიეროს მიზღვას, შურისძიებას[5]. ამიტომ, მათი აზრით, რადგანაც დამნაშავე უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, ამდენად, მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა. პლატონის აზრით, სიკვდილით უნდა დაისაჯონ მკვლელები, "чтобы человек неизбежно подвергся сам тому, что он совершил"[6].

სასჯელის ასეთი გაგება განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლების კანტისა და ჰეგელის შრომებში. კანტი სასჯელის საფუძვლად მიიჩნევდა ჩადენილი დანაშაულის შესაბამის შურისძიებას, სამაგიეროს მიზღვას. თუ დამნაშავე ვინმეს კლავს - აღნიშნავდა კანტი - იგი, უპირველეს ყოვლისა, კლავს საკუთარ თავს. მხოლოდ სრულ შურისძიებას შეუძლია ზუსტად დაადგინოს სასჯელის რაოდენობა და ხარისხი. შურისძიება

---

1 Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, с. 225.

2 Ж.-Ж. Руссо. Об общественном договоре, М., 1938, с.29.

3 Избранные социально-политические и философские произведения декабристов, т. I, М., 1951, с. 618.

4 Чезаре Беккария. О преступлениях и наказаниях, М., 1939, с. 316-317.

5 სწორედ ამ მოსაზრებაზეა აგებული ყველასათვის ცნობილი ტალიონის პრინციპი - „jus talionis" – „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, სისხლი სისხლისა წილ".

6 Платон. Законы и последования к законам, т. XIV, Петроград, 1923, с. 107.

ბოროტებით ბოროტების წინააღმდეგ არის სასჯელის საფუძველი. რამდენიც მკვლელია, ასკვნის კანტი, იმდენი უნდა დავსაჯოთ სიკვდილით, ასე სურს სამართლიანობას[1].

ჰეგელის მიხედვით, დამნაშავე სამართლის დარღვევას აცხადებს თავის უფლებად. მისი დანაშაული სამართლის უარყოფაა, ხოლო სასჯელი ამ "უარყოფის უარყოფა", "მოხსნილი დანაშაული", დარღვეული სამართლის აღდგენა. ამის საფუძველზე ჰეგელი სასჯელს მიიჩნევდა შურისძიებად, სამაგიეროს მიზღვად ჩადენილი ქმედობისათვის. ამიტომ მკვლელობა, ჰეგელის აზრით, აუცილებლად სიკვდილით უნდა ისჯებოდეს[2].

ამავე თვალსაზრისზეა რევოლუციამდელი რუსი პროფესორი ს. დესნიცკი. იგი მიიჩნევდა, რომ სიკვდილით დასჯას საფუძვლად უდევს შურისძიების გრძნობა ("мздовоздаяния злом на зло")[3].

სიკვდილით დასჯის, როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების საშუალებად გაგება აისახა კანონმდებლობაშიც. ძველი ქვეყნების სამართლის ძეგლები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ სიკვდილით დასჯა დაწესებულია სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების, სამაგიეროს გადახდის მიზნით. მაგალითად, მოკლე "Русская Правда"-ში (XI ს) მითითებული იყო: "Если убьет человек человека, то пусть мстит брат за брата, сын за отца, отец за сына, племянник за дядю и тетку"[4].

გერმანიაში ძველად გაუპატიურებისათვის, ბავშვთა მკვლელობისა და სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯის ისეთი სახეობა, როგორიც არის პალოს გაყრა მკერდში. წვერწამახვილებულ მუხის პალოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დამაგრებულ დამნაშავეს მკერდზე დაადებდნენ და შემდეგ ჩაასობდნენ მას. აღსანიშნავია ამ სახის სასჯელის აღსრულების ერთი საყურადღებო დეტალიც, რომელშიც ნათლად მოჩანს შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის მომენტი, კერძოდ, პირველ სამ დარტყმას პალოზე, როგორც წესი, აკეთებდა დანაშაულისაგან დაზარალებული მხარე, დანარჩენს კი ჯალათი[5].

სამაგიეროს მიზღვით იყო ნაკარნახევი ისიც, რომ დამნაშავეს

1 Кант. Метафизика нравов. Метафизические начала учения о праве, СПБ, 1903, с. 58-59.
2 Гегель. Философия права, Соч. т. VII, стр. 115-117; В.С. Нерсесянц. Гегелевская философия права. "Наука", М., 1974, с.81 - 82.
3 С. Десницкий. Слово о причинах смертных казней по делам криминальным, М., 1770, с. 11- 9.
4 Памятники русского права, выпуск первый, Госюриздат, 1952, с. 77.
5 А. Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни. С. - Петербург, 1896, с. 254.

სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ტანჯვასა და წამებას მიაყენებდა. ისტორიამ შემოგვინახა სიკვდილით დასჯის მრავალი სახე, რომლებსაც სხვანაირ ახსნას ვერ მოვუძებნით. ასეთი იყო, მაგალითად, სარზე ჩამოცმა, ნაწლავების გამოღება, დაბორბვლა, ოთხად გაპობა, შიმშილით სულის ამოხდა, დამნაშავის მიგდება მხეცების დასაგლეჯად ან გასათელად მიცემა, ადუღებულ წყალში ჩაგდება, ცოცხლად დამარხვა და სხვა. არცთუ ისე შორეულ წარსულში, მათ იშვიათად როდი იყენებდნენ.

4. სიკვდილით დასჯის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს სასჯელი ერთადერთია, რომლის გამოყენებაც შეიძლება განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. შეუძლებელია სიკვდილით დასჯის შეცვლა სასჯელის ისეთი სახით, რომელიც მისი ეკვივალენტური იქნება. რაც შეეხება სამუდამო პატიმრობას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი სიკვდილით დასჯის მომხრეებს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სთავაზობს, მას მიუღებლად თვლიან შემდეგი გარემოებების გამო:

ჯერ ერთი, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება, ე. ი. მათი მოსპობა საზოგადოების გარკვეულ მორალურ კმაყოფილებას იწვევს. ამ აქტით ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მორალურად უფრო მაღლა დგანან დამნაშავეზე. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს ვერ შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი, ხშირად კი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენს რჩება სიცოცხლის უფლება.

მეორე, სიკვდილით დასჯა უფრო საიმედოა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა, რადგანაც ამ უკანასკნელის დროს მსჯავრდებულს შესაძლებელია შეეხოს ამნისტია.

მესამე, სიკვდილით დასჯა უფრო ეკონომიურია, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. სიკვდილით დასჯის შეცვლა სამუდამო პატიმრობით იწვევს იმას, რომ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების შენახვა მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას, რომელსაც მან ზიანი მიაყენა.

მეოთხე, გარკვეული თვალსაზრისით, სამუდამო პატიმრობა უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა ზნეობრივად და ფსიქოლოგიურად უფრო ჰუმანური საშუალებაა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა[1].

5. დაბოლოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც

1 Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, М., 1971, с. 78-86. ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ მაგალითი, როცა დამნაშავემ, რომელიც

სიკვდილით დასჯის მომხრეებს მოჰყავთ, ის გარემოებაა, რომ საზოგადოებრივი აზრი ფაქტობრივად იწონებს სიკვდილით დასჯას. ამის დასასაბუთებლად მოჰყავთ სხვადასხვა ფაქტი. მაგალითად, ხალხს ზოგჯერ თვით შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვ[1]. თანამედროვე ავტორები იშველიებენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც შესრულდა საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ესპანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შერჩევითი ანკეტური გამოკვლევების მიხედვით, 1952 წელს სიკვდილით დასჯის შემოღების მომხრე იყო გამოკითხულთა 55 პროცენტი, 1957 წელს - 72 პროცენტი, ხოლო 1958 წელს - 75 პროცენტი[2].

ასეთია ძირითადად ის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი ასაბუთებენ სასჯელის ამ უმაღლესი და უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობას.

ახლა განვიხილოთ ის მოსაზრებები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მოწინა-აღმდეგეები ცდილობენ სიკვდილით დასჯის მომხრეთა არგუმენტების გაბათილებას და ამ სასჯელის მიზანშეუწონლობისა და არასამართლიანობის დასაბუთებას.

1. პირველი, რაზეც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები, ე. ი. აბოლიციონისტები მიუთითებენ, არის ის, რომ სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. ცნობილია, რომ სასჯელის მიზნებია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედობა (კერძო პრევენცია) და მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილებაც, რომ მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს კი სასჯელი ვერ ასრულებს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. დამნაშავე ფიზიკურად ნადგურდება, ხდება მისი მთლიანი უარყოფა, ამით მას არ რჩება გამოსწორებისა

შეიწყალეს და სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით, თვით-მკვლელობა ამჯობინა ციხეში სამუდამოდ ყოფნას. 1759 წელს კი, როცა ინგლისის მეფემ 23 დამნაშავეს სიკვდილით დასჯა შეუცვალა სამუდამო კატორღით, ექვსმა მსჯავრდებულმა უარი თქვა შეწყალებაზე;

И.С. Джабадари, Смертная казнь в связи с правом наказания. С. - Петербург, 1895, с. 160-161.

1 М. Н. Гернет. Смертная казнъ, М., 1913, с. 1-34.

2 “Capital Punishment”, 1967, S. 162.

და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. დამნაშავის დასჯა ასეთ შემთხვევაში ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს. ამასთან დაკავშირებით, მეტად ნიშანდობლივია კ. მარქსის სიტყვები: "Наказание как правило, оправдывалось как средство либо исправления, либо устрашения. Но какое право вы имеете наказывать меня для того, чтобы исправлять или устрашить других"[1].

სიკვდილით დასჯის გამოყენებისას ჩვენ ხშირად სიცოცხლეს ვუსპობთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნანობენ მათ მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულს და მზად არიან, გამოისყიდონ თავიანთი ბრალი. ამიტომ დამნაშავის სიკვდილით დასჯის გამართლება ასეთ შემთხვევაში - დაასკვნის ა. ფ. კისტიაკოვსკი – სხვა არა არის რა, თუ არა ცხოველური შურისძიება[2].

სიკვდილით დასჯის მომხრეთა აზრით, სასჯელის ეს ზომა აუცილებელია გამოუსწორებელი დამნაშავეების მიმართ. მაგრამ ხშირად, აღნიშნავს ი.ი. ფოინიცკი, გამოუსწორებელი დამნაშავეა არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი, არამედ წვრილმანი ხულიგანი, ქურდი და ა. შ., რომელიც მზად არის ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტში ჩაიდინოს დანაშაული. ამიტომ, თუ დავუშვებთ, რომ სიკვდილით დასჯა საჭიროა გამოუსწორებელი დამნაშავის მიმართ, მაშინ იგი უპირველესად უნდა გამოვიყენოთ არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი, არამედ შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების დანაშაულის ჩამდენებისადმიც. ამ მოსაზრების გამო, ი.ი. ფოინიცკი სიკვდილით დასჯას არ მიიჩნევს აუცილებელ და მიზანშეწონილ სასჯელის ზომად[3].

2. აბოლიციონისტები იმითაც ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, რომ სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ფაქტობრივად შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. ამერიკელი კრიმინოლოგის დ. მაკნამარას გამოანგარიშებით, 406 მსჯავრდებულიდან, რომლებიც 1886-1927 წლებში სიკვდილით იყვნენ დასჯილი "სინგ-სინგის" საპატიმროში, 50 შეცდომით იყო გასამართლებული[4].

მართლმსაჯულებას, აღნიშნავს მ.ნ. გერნეტი, ჯერ არ მიუღწევია ისეთი ორგანიზებულობისათვის, რომლის დროსაც გამოირიცხება სასამართლოს შეცდომები. რუსულმა სინამდვილემ იცის სიკვდილით

1 К. Маркс. Смертная казнь. - Памфлет г-на Кобдена. - Мероприятия Английского банка. Соч., т. 8, с. 530.

2 А. Ф. Кистяковский, მითითებული შრომა, გვ. 62.

3 И. Я. Фоиницкий.Учение о наказании. СПБ, 1889, с. 151.

4 Г.З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, с. 71.

დასჯის განაჩენის შეცდომით გამოტანის რამდენიმე შემთხვევა. ზოგი მათგანი თავიდან იქნა აცილებული, ზოგი კი – სისრულეშია მოყვანილი[1].

ამ აზრის საბუთად მ.ნ. გერნეტს იქვე მოჰყავს მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

ეჭვი არ არის, წერდა ა.ფ. კისტიაკოვსკი, რომ ძველ დროში უდანაშაულოთა დასჯა ხშირად ხდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ჭეშმარიტების დადგენის საშუალებები მაშინ უკიდურესად არასრულყოფილი იყო. წამება, სასამართლო წარმოების გასაიდუმლოება, დამცველის არარსებობა, მოსამართლეთა მიდრეკილება, ბოროტი განზრახვა დაენახათ იქ, სადაც ის არ არის და სხვა, ხელს უწყობდა უდანაშაულოთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. სასამართლო წარმოების ფორმების გარდაქმნამ და ჭეშმარიტების დადგენის საუკეთესო საშუალებების გამონახვამ თითქმის მთლიანად მოსპო ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდნენ უდანაშაულოთა დასჯას. შესაბამისად, მათი რიცხვიც ძალზე შემცირდა. ამასთან ერთად, თანამედროვე პერიოდშიც ისე არ გაივლის წელი, რომ საზოგადოებამ არ შეიტყოს უდანაშაულოთა დასჯის ფაქტი ამა თუ იმ ქვეყანაში. ამის მიზეზია, აღნიშნავს ა.ფ. კისტიაკოვსკი, არა რაიმე დროებითი გარემოებები, არამედ ადამიანის ბუნების არასრულყოფილება[2].

3. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ილაშქრებენ სასჯელის როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიებად გაგების წინააღმდეგ. ტალიონის პრინციპის მომხრეებს ვოლტერი ეკითხება: გექნებათ თქვენ ერთი თვალით მეტი, თუ იმას, ვინც დაგაბრმავათ, ერთი თვალით ნაკლები გაუხდება? გაცოცხლდება თქვენი ძმა, თუ მე წამებით მოვკლავ მის მკვლელს?[3]

სასჯელის მიზანია - წერდა ბეკარია - არა ადამიანის წამება და გვემა, არამედ ის, რომ ხელი შეუშალოს დამნაშავეს კვლავ ჩაიდინოს დანაშაული და თავი შეაკავებინოს სხვებსაც ანალოგიური ქმედობის

---

1 М.Н. Гернет. Смертная казнь, М., 1913, с. 148.

2 А.Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни, с. 60. სიკვდილით დასჯის მომხრეები ამ არგუმენტის საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ, ჯერ ერთი, ასეთი შეცდომები იშვიათია და მეორეც, თუ დავდებთ სასწორზე ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც დაცულია საკვდილით დასჯის არსებობით და იმ უდანაშაულოთა სიცოცხლეს, რომლებიც შეცდომით არიან სიკვდილით დასჯილი - პირველი ყოველთვის გადაწონის მეორეს. აქედან გამომდინარე, სიკვდილით დასჯის გამოყენება, მათი აზრით, უფრო შეესაბამება კაცთმოყვარეობას, ვიდრე მისი გაუქმება.
K. Mittermeier. Die Todesstrafe, nach den Ergebnissen der Wissenschaftlichen Vorschungen, der Forschritte Gesetzgebung und der Erfarungen, Heidelberg, 1862, S. 145-148.

3 Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, с. 223.

ჩადენისაგან[1].

აბოლიციონისტებს ეჭვი შეაქვთ სიკვდილით დასჯის ზოგადპრევენციულ მნიშვნელობაშიც. ისინი სვამენ კითხვას: არის თუ არა სიკვდილით დასჯა ეფექტიანი საშუალება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად და გამოიწვევს თუ არა მისი გაუქმება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ზრდას?

ამერიკელი სენატორი ჰარტი, რომელიც მოითხოვდა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობანი თანაბარი რაოდენობით აღინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია სიკვდილით დასჯა, და იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი გაუქმებულია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილით დასჯის გამოყენება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ სხვა ფაქტორები[2].

სიკვდილით დასჯის გამართლება, წერს პ.დ. კალმიკოვი, შეუძლებელია რაიმე თეორიული თუ ფილოსოფიური მოსაზრებებით. მისი ერთადერთი საფუძველი ის არის, რომ იგი თითქოს საჭირო იყოს საზოგადოების უშიშროებისათვის, მაშინ როცა გამოცდილება მოწმობს, რომ მართლმსაჯულებას ჩვენს ქვეყანაში ოდნავაც არ დაუკარგავს თავისი სადამსჯელო ძალა სიკვდილით დასჯის არარსებობით და რომ საზოგადოების უშიშროებას ამის გამო ჩრდილიც არ მისდგომია. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დადგება დრო, როცა სიკვდილით დასჯა საერთოდ ამოიშლება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან და ეს ზოგადი წესი არ დაუშვებს არავითარ გამონაკლისს ცალკეულ დანაშაულთათვის[3].

დამნაშავის დასჯისას, აღნიშნავდა ჟან-პოლ მარატი, მართლმსაჯულება უნდა ისწრაფოდეს, რომ კანონის დამრღვევზე შური კი არ იძიოს, არამედ იზრუნოს იმაზე, რომ მან თავი შეიკავოს სამართალდარღვევისაგან. ნუთუ ის დანაშაულობანი, რომელთა ჩადენაც უსასტიკესი ფორმებით ისჯება, ამის გამო ნაკლებ გავრცელებული

1 Чезаре Беккария. О преступлениях и наказаниях, М., 1939, с. 243.

2 Hart. Abolishment of Death Penalty under all Laws of the United States. "Congressional Record", 1966. Vol.112, № 119. ჰარტს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავს ასეთი მაგალითი: პატიმარმა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა, დახმარება გაეწია ელექტროსკამზე დასჯის აღსრულებაში, რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა ამ უკანასკნელის გასაუმჯობესებლად. როცა იგი შემდეგში გაათავისუფლეს (პატიოსანი სიტყვით), ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. იგი დააბრუნეს ციხეში და დასაჯეს მის მიერ გაუმჯობესებულ სკამზე.

3 П.Д. Калмыков. Учебник уголовного права, СПБ, 1866, с. 212.

გახდა? თვით საჯაროდ დასჯასაც, წერს იგი, არა აქვს ყოველთვის გამაფრთხილებელი ძალა. რამდენჯერ ჩაუდენია ეშაფოტთან შეკრებილ ხალხს ისეთი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრდებულს იქვე სიკვდილით სჯიდნენ?[1]

ცნობილი რუსი კრიმინალისტი, პროფესორი ვ. სპასოვიჩი პოლიტიკური დანაშაულის მაგალითზე საინტერესო არგუმენტებით ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ სიკვდილით დასჯას არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. პოლიტიკური დანაშაულობანი, წერდა იგი, ხშირად ჩნდება მხოლოდ პოლიტიკურად ავადმყოფ ორგანიზმზე. იგი უტყუარი პათოლოგიური ნიშანია არადამაკმაყოფილებელი სახელმწიფოებრივი წყობილებისა... საჯარო ხელისუფლება, რომელსაც ისინი საშიშ მტრებად მიაჩნია, სიკვდილით სჯის ამ უკანასკნელთ სხვების დაშინების მიზნით, მაგრამ ცდება, რამდენადაც იგი ფიქრობს, დასჯილ პიროვნებასთან ერთად მოსპოს ის იდეა, რომლისთვისაც დამნაშავე იბრძოდა. იდეა კი ხელშეუხებადია. მომავალ დანაშაულობათა ფესვები ყოველთვის რჩება ამა თუ იმ მოკვეთილი მეამბოხე თავის ადგილზე, ეს ფესვები შემდგომში ყოველთვის ამოიყრის ახალ ყლორტებს[2].

პროფესორ ს.პ. მოკრინსკის არ სწამს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა იმ მოსაზრებით, რომ ადამიანებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ, გასწიონ სიცოცხლის რისკი. ვის არ გაუგონია, აღნიშნავს იგი, ეშაფოტთან ჩადენილი ქურდობების შესახებ, როცა იქვე სიკვდილით სჯიდნენ ქურდებს. ამაში საკვირველი არაფერია. ჩვეულება გამორიცხავს შიშს. ადამიანს ყველაზე უფრო მყარი მიდრეკილება სწორედ საკუთარი სიცოცხლის რისკისადმი აქვს. მატროსი ან მეთევზე მშვიდად შედის იმ ზღვაში, რომელშიც მისი მამა და პაპა დაიხრჩვნენ. მეშახტე თავისი ამხანაგის დაღუპვიდან ორი-სამი საათის შემდეგ ისევ განაგრძობს მუშაობას... არავის არ სურს სიკვდილი, მაგრამ ყველა შეეგუა აზრს, რომ ადრე თუ გვიან იგი მაინც მოკვდება, რომ სიცოცხლე და სიცოცხლის რისკი თითქმის სინონიმებია. თვით გართობებიც კი, მაგალითად, სპორტის ბევრი სახეობა, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია სიცოცხლის დიდ რისკთან. ამის გამო ს.პ. მოკრინსკის მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯის მუქარას ამა თუ იმ დანაშაულის

1 Ж.-П. Марат. План уголовного законодателътва, с. 47, 48. მარატს იქვე მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, ტულუზში სახრჩობელის პლატფორმის ქვეშ წლების განმავლობაში იმალებოდა მკვლელების მთელი ბანდა.

2 В. Спасович. Учебник уголовного права. СПБ, 1863, с. 186-187.

ჩადენისათვის არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა[1].

სიკვდილით დასჯა მძიმე დანაშაულობათა აღკვეთის მთავარი ფაქტორი რომ არ არის და მას დიდი გამაფრთხილებელი ძალა არა აქვს, ამას სტატისტიკური გამოკვლევებიც ადასტურებენ.

ტოსკანაში სიკვდილით დასჯა რამდენჯერმე შემოიღეს და გააუქმეს. მიტერმაიერის დაკვირვებით, რომელიც ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა, სიკვდილით დასჯის გაუქმების პერიოდში არ გაზრდილა იმ დანაშაულობათა რიცხვი, რომლებზეც დაწესებული იყო ეს სასჯელი[2]. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა შვეიცასა და ჰოლანდიაში[3]. 1887 წელს იტალიაში საკანონმდებლო წესით სიკვდილით დასჯის გაუქმებას არ მოჰყოლია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის ზრდა. მაგალითად, სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე, 1880-1886 წლებში, იტალიაში ყოველწლიურად ჩადენილი მკვლელობის საშუალო რიცხვი იყო 4692, 1887-1890 წლებში - 4089, 1890 წელს, ე. ი. სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების შემდეგ იგი არათუ არ გაზრდილა, არამედ საგრძნობლად შემცირდა კიდეც და 1890-1892 წლებში შეადგინა მხოლოდ 3993, 1893-1895 წლებში - 4043, ხოლო 1896 წლისათვის - 3866[4].

ბელგიაში სიკვდილით დასჯის გამოყენება ფაქტობრივად შეწყდა 1863 წლიდან. მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ მოუტანია საზოგადოებრივი უშიშროებისათვის, სამხედრო დისციპლინისათვის და არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა ზრდა. 1841-1855 წლებში ბელგიის სასამართლოებმა 191 სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანეს (მათგან სისრულეში მოიყვანეს 48), ხოლო 1876-1890 წლებში სიკვდილი მიუსაჯეს მხოლოდ 124 დამნაშავეს (აქედან არც ერთი არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი), თუმცა ამ დროისათვის ბელგიის მოსახლეობა თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა[5].

ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ, არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესრულებული სოციოლოგიური და სტატისტიკური გამო-

1 С. П. Мокринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями. “Право”, 1906, №22.

2 К. Ю. Митермайер. Смертная казнь. СПБ, 1864, с. 87.

3 D’Olivecrona. Dela peine de mort, 1984, с. 209, 263.

4 А. А. Пионтковский. Смертная казнь в Европе. Казань, 1908, с. 106-109.

5 Francart. La peine de mort. Bulletin de L’Union Internationale de Droit Penal, VIII, 1893, S. 45.

კვლევების შედეგები.

1959 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ევალებოდა სიკვდილით დასჯის პრობლემის შესწავლა, კერძოდ, უნდა გამოეკვლიათ კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის შესახებ, მისი გამოყენების პრაქტიკა და ის, თუ რა გავლენას ახდენდა სიკვდილით დასჯის გაუქმება თუ შემოღება დამნაშავეობის დინამიკაზე. გამოიკვლიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 66 წევრი და 5 არაწევრი ქვეყნის მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას იმ ქვეყნებში, სადაც იგი მოქმედებდა, არ გამოუწვევია იმ დანაშაულობათა რიცხვის შესამჩნევი ზრდა, რომლებისთვისაც წინათ გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში აღინიშნა საწინააღმდეგო შედეგები. მაგალითად, ავსტრიაში 1934 წელს სიკვდილით დასჯის აღდგენის შემდეგ დამნაშავეობა საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო 1945 წელს მისი გაუქმების შემდეგ მკვლელობათა რიცხვი ისეთ დონემდე შემცირდა, რომლის მსგავსიც საერთოდ არ ყოფილა ამ ქვეყანაში. ასეთივე მდგომარეობა აღინიშნა ავსტრალიაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში. კანადაში 1954 წელს გაუქმდა სიკვდილით დასჯა გაუპატიურებისათვის. ამ დანაშაულის რიცხვი იმ წელს შეადგენდა 27-ს, მაშინ როცა 1950 წელს 37 იყო.

ინგლისში 1965 წელს ხუთი წლით შეაჩერეს სიკვდილით დასჯის გამოყენება. ამ ხნის განმავლობაში მძიმე დანაშაულობათა რიცხვი ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ინგლისის პარლამენტის ორივე პალატამ მოიწონა პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1952 წლის დემოგრაფიული წელიწდეულის მონაცემების მიხედვით, 1948 წლისათვის მკვლელობათა რიცხვი იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც იგი გაუქმებულია, 100 ათას მცხოვრებზე შემდეგი იყო:

ა) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება: ამერიკის შეერთებული შტატები – 5,8%, ესპანეთი – 1,4%, კანადა – 1,2%, საფრანგეთი – 0,8%, სალვადორი – 4,48%.

ბ) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება: ფინეთი –

4,6%, იტალია – 2,4%, შვეცია – 0,8%, ნიდერლანდები – 0,4%[1].

ეს მონაცემები არ იძლევა რაიმე საფუძველს იმის მტკიცებისათვის, ახდენს თუ არა გავლენას საერთოდ სიკვდილით დასჯა დამნაშავეობის დინამიკაზე.

4. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ამ სასჯელს გამოეძებნოს ეკვივალენტი, ე. ი. ისეთი სასჯელით შეიცვალოს, რომელიც მიზანშეწონილიც იქნება და, ამავე დროს, საზოგადოების მორალურ კმაყოფილებასაც გამოიწვევს.

ვოლტერის აზრით, საზოგადოების ინტერესებისათვის უფრო მიზანშეწონილია, სიკვდილით კი არ დავსაჯოთ დამნაშავე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ დავაკისროთ მას სხვადასხვა მძიმე საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება. ადამიანი, რომელიც არხებს გათხრის, კაშხლებს ააგებს, ჭაობებს დააშრობს, სახელმწიფოს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე რკინის ჯაჭვზე ჩამოკიდებული თავის ქალა ან ურმის თვლით დაგლეჯილი სხეული[2].

დენი დიდრო წერდა: იმ ფაქტებიდან, რომ ერთი ადამიანი მოკლულია, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ საჭიროა მეორის მოკვლაც. მკვლელი, როცა იგი სიკვდილით დასჯილია, უკვე არაფერში გამოსადეგი აღარ არის, მაშინ როცა არსებობს მრავალი საზოგადოებრივი სამუშაო, რომელთა შესრულებაც შეიძლებოდა მათთვის დაგვეკისრებინა[3].

ჟან-პოლ მარატი გამოუსწორებელი დამნაშავეების შესახებ ამბობდა: თუკი ისინი გამოუსწორებელი არიან, მაშინ მათი დასჯა უნდა გამოვიყენოთ საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, მივუსაჯოთ სხვადასხვა მძიმე და საშიში სამუშაოს შესრულება[4].

რუსი ფილოსოფოსი მატერიალისტის თ.ვ. უშაკოვის აზრით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ დამნაშავისაგან თავიდან ავიცილოთ სხვა დანაშაული, საკმარისია საპყრობილე, დილეგი. ხოლო რაც შეეხება სხვების გაფრთხილებას, ამისათვის საჭიროა გამოიძებნოს ისეთი სასჯელი, რომელიც უფრო ძლიერად და ხანგრძლივად იმოქმედებს ადამიანის სულზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სასჯელის ასეთ სახედ თ.ვ. უშაკოვს მიაჩნია სამუდამო პატიმრობა. იგი საკმარისია, რათა დამნაშავემ კვლავ აღარ ჩაიდინოს დანაშაული და ამავე დროს, უფრო

1 Г. З. Анашкин.Смертная казнь в капиталистических государствах, с. 77.

2 Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, с. 225

3 Дени Дидро. Замечания на наказ ее императорского величества депутатам комиссии по составлению законов. Соч., М.-Л., 1947, с. 443.

4 Ж.-П. Марат. План уголовного законодательства, с. 49.

ძლიერად და ხანგრძლივად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა[1]. პროფესორი ს.პ. მოკრინსკიც უერთდება ამავე აზრს და მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობას უფრო მეტი დამაშინებელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიკვდილით დასჯას[2]. საინტერესო არგუმენტებით ამაგრებს ამ მოსაზრებას აგრეთვე ი.ს. ჯაბადარი[3].

ჩეზარე ბეკარია თვლიდა, რომ სამუდამო პატიმრობა უფრო ეფექტიანია და უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობისაა, ვიდრე სიკვდილით დასჯა. არა სასჯელის სიმკაცრე, წერდა იგი, არამედ მისი გარდუვალობა და ხანგრძლივობა ახდენს ყველაზე უფრო დიდ ზემოქმედებას ადამიანზე. მის გრძნობაზე უფრო ეფექტიანად მოქმედებს სუსტი, მაგრამ განმეორებითი შთაბეჭდილებები, ვიდრე ძლიერი, მაგრამ სწრაფად წარმავალი ფაქტები. სიკვდილით დასჯის აღსრულება ბევრს მალე ავიწყდება, ხოლო სამუდამო პატიმრობა, რომლითაც შეიძლებოდა მისი შეცვლა, საკმარისი სიმკაცრის სასჯელი იქნებოდა, რომელიც ყველაზე გაბედულებსაც კი ხელს ააღებინებდა დანაშაულის ჩადენაზე[4].

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი გ.ე. კოლოკოლოვი წერს: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამოუსწორებელი დამნაშავეები არ არიან. თუ ეს ასეა, მაშინ რეციდივის აღკვეთა ყოველთვის შეიძლება გამასწორებელი სასჯელით. მაგრამ, თუ დავუშვებთ კიდეც, რომ ზოგჯერ ნამდვილად გამოუსწორებელ დამნაშავესთან გვაქვს საქმე, მაშინ რეციდივის აღკვეთისათვის სავსებით საკმარისი იქნება ისეთი ზომა, როგორიც არის სამუდამო პატიმრობა[5].

ასეთია სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები. სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების გაცნობისას ბუნებრივად იბადება კითხვები: რომელია მათ შორის უფრო დასაბუთებული, უფრო დამაჯერებელი? რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ მათი შედარებისას? ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ მათ.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ შეამჩნიეს, რომ სიკვდილით დასჯის

---

1 Ф.В. Ушаков. Размышления о праве наказания и о смертной казни, в кн.: А. Н. Радишев, Полн. собр. соч., т. I, М.-Л., 1938, с. 186-199.

2 С.П. Мокринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями, “Право”, 1906, № 22.

3 И.С. Джабадари, Смертная казнь в связи с правом наказания, 1895, с. 157-179.

4 Чезаре Беккария, О преступлениях и наказаниях, с. 318-321.

5 Г.Е. Колоколов. Уголовное право, 1899, с. 568.

უმკაცრესი სახეების დაწესებას არასოდეს არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის შემცირება. მაგრამ იდგა საკითხი: ვინ იქნება იმის თავდები, რომ მისი გაუქმების შემდეგ მათი რიცხვი არ გაიზრდება? შემდგომში, როგორც დავინახეთ, ბევრ ქვეყანაში გააუქმეს სიკვდილით დასჯა. ზოგში ექსპერიმენტიც ჩაატარეს, კერძოდ, დროებით შეაჩერეს მისი გამოყენება. აღმოჩნდა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არ იწვევს იმ დანაშაულობათა ზრდას, რისთვისაც წინათ დაწესებული იყო ეს სასჯელი. მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. აქ, უდავოდ, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღების თუ გაუქმების ფაქტთან, სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის საბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება (როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა) არ არის გამართლებული. “История - წერდა კ. მარქსი - и такая наука, как статистика, с очевидностъю доказывают, что со времени Каина мир никогда не удавалось ни исправить, ни устрашить наказанием”[1].

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა მისი საჯაროობაა, კერძოდ ის, რომ მისი აღსრულება წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს უშუალო მნახველზე. ალბათ არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმ უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რაც მის თვალწინ ხდება, ვიდრე ის, რასაც იგი სხვებისგან გაიგებს. ყოველივე ამის მიუხედავად, დღესდღეობით, თითქმის ყველა ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება. თავისთავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულებას, რაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, არასდროს არ მოუტანია ის შედეგები, რომლებსაც მისგან მოელოდნენ, მაშინ რაღასღა უნდა მოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან?

სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მხოლოდ მაშინ,

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, с. 530.

როცა დგება მისი აღსრულების დრო. მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციებიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა. მთავარია არა ის, რომ დამნაშავე იტანჯებოდეს როცა მას სჯიან, არამედ ეშინოდეს ადრევე, სანამ დასჯად ქმედობას ჩაიდენდეს. როცა ვასაბუთებთ იმას, რომ სიკვდილით დასჯას არა აქვს დიდი გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობა, ამასთან ერთად, სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ სხვა სახეობის სასჯელს, ვთქვათ, სამუდამო პატიმრობას უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია. საკითხი შემდეგნაირად დგას: სიკვდილით დასჯის გამოყენებას არ მოაქვს ის ეფექტი, რომელსაც მისგან უნდა მოველოდეთ, ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება, რათა უსარგებლოდ არ შევიწიროთ ადამიანთა სიცოცხლე. ადამიანთა სიცოცხლესთან არის დაკავშირებული აგრეთვე სასამართლო შეცდომების საკითხიც. კერძოდ, უტყუარი მონაცემებით რომ იყოს დამტკიცებული, რომ სიკვდილით დასჯის გამოუყენებლად შეუძლებელი იქნებოდა მართლმსაჯულების განხორციელება და საერთოდ საზოგადოების ნორმალური არსებობა და განვითარება, მაშინ სასამართლო შეცდომები სიკვდილით დასჯისას, უფრო სწორად, უდანაშაულოთა შეცდომით დასჯა ის მცირე ბოროტება იქნებოდა, რომელსაც, როგორც სხვა ბოროტებას, ითმენს დღევანდელი საზოგადოება უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ, მაშინ როცა დამტკიცებულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელება და საზოგადოების ნორმალური არსებობაც სავსებით შესაძლებელია ამ სასჯელის გამოუყენებლად, სასამართლო შეცდომის, უდანაშაულო პიროვნების სიკვდილით დასჯის თვით ერთი ფაქტიც კი ყოვლად შეუწყნარებელი და აუტანელია დღევანდელი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ეს ისეთი შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც, შემდეგში როგორც უნდა ვეცადოთ, შეუძლებელი ხდება. ჩვენი აზრით, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე. სასამართლო შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული, შესაბამისად, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სანამ მედიცინა მკვდრის გაცოცხლებას ვერ შეძლებს და ალბათ ამას იგი ვერასდროს ვერ შეძლებს, ეს არგუმენტი ყოველთვის ძალაში დარჩება.

ახლა, რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, უფრო სწორად, იმ ადამიანებს, რომლებიც იწონებენ სიკვდილით დასჯას. ჯერ ერთი, მათ ალაპარაკებთ შურისძიების გრძნობა და, თუ კერძო შურისძიებას ვერსად წავუვალთ, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება

საღიც იყოს, მაშინ მისი დაკმაყოფილება საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სავსებით შესაძლებელია სხვა საშუალებებით, გარდა სიკვდილით დასჯისა. მეორეც, ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება, თუ ამ ადამიანებს შევთავაზებთ, რომ სიკვდილით დასჯა თვითონ მოიყვანონ სისრულეში, ალბათ ყველა ზიზღით უარს იტყვის და ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრეც კი უკან დაიხევს. რატომ? პასუხი იმდენად ნათელია, რომ ახსნას არ საჭიროებს.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ სიკვდილით დასჯა არ არის სასჯელის მიზანშეწონილი და სამართლიანი სახე, ბუნებრივად იბადება კითხვა: რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილით დასჯა? სასჯელის რომელი სახე იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი? საერთოდ ცნობილია, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სამართლიანობის მიღწევა სასჯელთა სისტემაში. შეუძლებელია, როგორც ამას კანტი და ჰეგელი მოითხოვდნენ, ყოველი სასჯელი ზუსტად უდრიდეს ჩადენილი დანაშაულის ხარისხს. ამაზე მეტყველებს თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩვენი აზრით, სიკვდილით დასჯის სხვა სასჯელით შეცვლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები:

ა) საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრებისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალური გარემოს ზემოქმედებით, რომელშიც მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება იმიტომ, რომ მას ცუდად ექცევიან. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა იზრუნოს მისი გამოსწორებისათვის;

ბ) გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით ამა თუ იმ დამნაშავის გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია;

გ) დამნაშავის დასჯით გარკვეულწილად უნდა ისარგებლოს იმ საზოგადოებამ, რომელსაც მან ზიანი მიაყენა;

დ) სასჯელის ზომა უნდა იწვევდეს საზოგადოების კმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სასჯელის შედარებით უფრო გამართლებულ ზომად გვესახება "სამუდამო პატიმრობა", მაგრამ გარკვეული პირობებით. კერძოდ, მსჯავრდებული გამოყენებული უნდა იქნეს

სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება, განაჩენის გამოტანისას განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება დაისვას მისი განთავისუფლების საკითხი. ეს ვადა ამავე დროს 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუმცა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, უნდა შესრულდეს სათანადო სოციოლოგიური გამოკვლევა.

დასასრულ, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და საერთოდ ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას. აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. რამდენიმე საუკუნის წინათ წამება გამართლებული იყო ჭეშმარიტების დასადგენად. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ეთიკურად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმის, ოთხად გაპობის, ნაწლავების გამოღების და სიკვდილით დასჯის სხვა კვალიფიციური სახეების აღდგენას მოითხოვს. მას, უდავოდ, ყველა ზნეობრივად დეგრადირებულ პიროვნებად მიიჩნევს. ამიტომ, საბოლოო ანგარიშით, სიკვდილით დასჯის საკითხი, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს თუ არა სიკვდილით დასჯას, მთავარია ის, რომ მის გამოყენებას ეთიკური საფუძველი არა აქვს. სწორედ ამის გამო, იგი უნდა გაუქმდეს.

საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, წერდა პროფ. ნ.ს. ტაგანცევი, რომ თქვა: შორს არ არის ის დრო, როცა სიკვდილით დასჯა გაქრება სისხლის სამართლის კოდექსებიდან და თვით კამათიც კი მისი მიზანშეწონილობის შესახებ ჩვენს მომავალ თაობას ისევე უცხოდ მოეჩვენება, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ დღეს დავა დამნაშავის ცეცხლზე დაწვის თუ სარზე ჩამოცმის აუცილებლობისა და სამართლიანობის შესახებ[1]. აქვე არ შეიძლება არ მოვიგონოთ კ. მარქსის სიტყვები: “Весьма трудно, а может быть вообще невозможно, найти принцип, посредством которого можно было бы обосновать справедливость и целесообразность смертной казни в обществе, кичащемся своей цивилизацией”[2].

1 Смертная казнь, сборник статей под ред. Н. С. Таганцева. С.-Петербург, 1913 г., с. 139.
2 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, с. 530.

6. სიკვდილით დასჯა

არგუმენტები და ფაქტები

შინაარსი

წინასიტყვაობა 99

სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის სახეობის წარმოშობა 100

სიკვდილით დასჯის სახეობები..... 101

დანაშაულობანი, რომელთა ჩადენა ისჯება სიკვდილით..... 112

სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა 114

საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ 116

სიკვდილით დასჯის საერთაშორისო-სამართლებრივი
ასპექტები..... 117

სიკვდილით დასჯა: ტენდენციები კანონმდებლობაში..... 125

სიკვდილით დასჯის მომხრეები და მოწინააღმდეგეები..... 133

წინასიტყვაობა

სიკვდილით დასჯა ის პრობლემაა, რომელზეც წერა უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული. ამ პრობლემის ცალკეული საკითხების გააზრება იმდენად არასასიამოვნო განცდებს იწვევს, რომ მარტო ეს გარემოებაც ხშირად საკმაო საბაბი ხდება მკვლევარმა ხელი აიღოს მის დამუშავებაზე. მაგრამ პრობლემა თავისი სოციალური მნიშვნელობით იმდენად აქტუალურია, რომ მასზე ფიქრი, კვლევა და ნააზრევის საჯაროდ წარმოდგენა იურისტის ისეთივე მოვალეობად მიგვაჩნია, როგორც ექიმი პათანატომისათვის გვამების ხანგრძლივი დამუშავება და შესწავლა, რომლის საფუძველზე მიღებული დასკვნებითაც ცდილობს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას.

სიკვდილით დასჯის პრობლემაზე ფიქრი სტუდენტური ცნობისმოყვარეობით გამიჩნდა, შემდგომ კი მან სერიოზული ხასიათი მიიღო და მრავალი წლის მანძილზე არ გამოსულა ჩემი ინტერესების სფეროდან. 1979 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მე-3 და მე-6 ნომრებში გამოქვეყნდა ჩემი წერილები სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე. იმ პერიოდში შეუძლებელი თუ არა, უაღრესად ძნელი იყო სიკვდილით დასჯაზე წერილების პუბლიკაცია და მეტადრე მისი გაუქმების საკითხის საჯაროდ დაყენება. თუ ამ წერილებმა მზის სინათლე იხილეს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით აწ განსვენებულ პროფესორ თინათინ წერეთელს და ჟურნალ „„საბჭოთა სამართლის“ იმჟამინდელ რედაქტორს ბატონ ოთარ კაციტაძეს, რომელთა გაბედულობას, პრინციპულობასა და ახალგაზრდებისადმი მხარდაჭერას ყოველთვის სიამოვნებით და მადლიერებით ვიგონებ.

ცნობილმა გარდაქმნის ეპოქამ ბევრ პრობლემას მოხსნა ტაბუ, მათ შორის სიკვდილით დასჯასაც. ამან შესაძლებლობა მოგვცა 80-იანი წლების შუა ხანებიდან ჩვენი წერილებით, რომლებიც ქვეყნდებოდა როგორც პრესაში, ისე პერიოდიკაში (ქართულ და რუსულ ენებზე),[1] საზოგადოებრიობის ყურადღება მიგვეპყრო სიკვდილით დასჯის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე.

საქართველოს კანონმდებელი 90-იანი წლებიდან მტკიცედ დაადგა სიკვდილით დასჯის პრობლემის გადაწყვეტის გზას. განვლილია

---

1 ჯ. ხეცურიანი. სიკვდილით დასჯა და თანამედროვეობა. გაზ. „კომუნისტი“, 1989, 22 იანვარი; Дж.Г. Хецуриани. Смертная казнь и современность. Известия АН ГССР, Серия экономики и права, 1988, №4, с.113-117; Дж.Г. Хецуриани. Проблема смертной казни в советском уголовном законодательстве. Вопросы реформы уголовного законодательства (материалы научно-практической конференции), Тбилиси, 1989, с.37-40.

ამ გზის მეტად რთული, წინააღმდეგობრივი და ამასთან ძირითადი მონაკვეთი. ახლა, როცა დღის წესრიგში დგას ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების ამოცანა და სავსებით რეალური გახდა ჩვენი ქვეყნის ევროსაბჭოში გაწევრიანება, საჭიროა გადაიდგას ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ გადაჭრის ამ პრობლემას და დაადასტურებს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგულებას მისი ჰუმანური ტრადიციებისადმი.

წინამდებარე ნაშრომი ამ მიზანს ემსახურება. ჩვენი აზრით, იგი საკმაო არგუმენტებსა და ფაქტებს მისცემს მკითხველს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ ამ გადამწყვეტ ეტაპზე კიდევ ერთხელ გადაამოწმონ თავიანთი შეხედულებები სისხლის სამართლის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან, გვსურდა კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა საკმაოდ დიდი ხნის, თუმცა რატომღაც მივიწყებული ჭეშმარიტება, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდაუვალობა. ზუსტად ორსაუკუნენახევრის წინათ შ. მონტესკიე თავის ნაშრომში ,,კანონთა გონი“ წერდა: შეისწავლეთ ყოველი თავაშვებულობის მიზეზი და დაინახავთ, რომ იგი მომდინარეობს დანაშაულთა დაუსჯელობისაგან და არა სასჯელთა სისუსტისაგან.[1]

სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის სახეობის წარმოშობა

სიკვდილით დასჯის პირველსახედ, წინამორბედად, როგორც ფორმით, ისე განსაკუთრებით შინაარსით სისხლის აღებას მიიჩნევენ. არსებობს გამოთქმა, რომ სიკვდილით დასჯა სისხლის აღების ცივილიზებული ფორმაა, რომელსაც აქვს ცივილიზაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

სისხლის აღება გვარის თუ ტომის თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრებოდა. მან გარკვეულ პერიოდში ზნეობრივი და რელიგიური მოვალეობის სახე შეიძინა. თავდაპირველად მთელი გვარი იყო ვალდებული შური ეძია და მოეკლა მოსისხლე გვარის ნებისმიერი წევრი.

1 შ.ლ. მონტესკიე. კანონთა გონი. ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. თბილისი, 1994, გვ. 114.

გვაროვნული წყობილების რღვევის, საკუთრებისა და მონოგამიური ოჯახების გაჩენის შემდეგ სისხლის აღების მოვალეობა ოჯახის წევრებით შემოიფარგლა. დაწესდა სხვა შეზღუდვებიც, კერძოდ, სისხლის აღება უნდა დამთავრებულიყო ერთჯერადი აქტით, აგრეთვე სისხლის აღება მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მკვლელისადმი, განისაზღვრა სისხლის აღების ვადები, მისი შესრულება იკრძალებოდა გარკვეულ დროსა და ადგილებში და ა.შ. შემოვიდა კომპოზიციის ინსტიტუტი – სისხლის გამოსყიდვა.

საჯარო ხელისუფლების ელემენტების გაჩენის შემდეგ დამნაშავის სიცოცხლის მოსპობა სახელმწიფო ორგანოებისა და დაზარალებულის უახლოესი ნათესავების მიერ ერთობლივად ხდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ჯალათი და დაზარალებული მხარე ერთობლივად აღასრულებდნენ სიკვდილით დასჯას. მაგალითად, ძველად გერმანიაში გაუპატიურების, ბავშვთა მკვლელობისა და ცხენის ქურდობისათვის სასჯელის ზომად გათვალისწინებული იყო პალოს გაყრა მკერდში. წვერწამახვილებულ მუხის პალოს დაადებდნენ გულაღმა დამაგრებულ სიკვდილმისჯილს მკერდზე. პირველ სამ დარტყმას პალოზე აკეთებდა დანაშაულისაგან დაზარალებული მხარე, ხოლო დანარჩენს ჯალათი.[1] საჯარო ხელისუფლების გაძლიერების კვალობაზე დამნაშავის შეპყრობა, გასამართლება და დასჯა მთლიანად სახელმწიფო ორგანოების ხელში გადავიდა.

სიკვდილით დასჯის სახეობები

სიკვდილით დასჯის ყველა სახეობის ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. ადამიანის ფანტაზია ისე შორს წავიდა ამ სფეროში, რომ სიკვდილით დასჯის ახალ-ახალი სახეობების გამოგონებას საზღვარი არ უჩანს. სიკვდილით დასჯის ცალკეულმა სახეობამ იმდენად გაუძლო დროის გამოცდას, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული დღესაც ფართოდ იყენებენ თანამედროვე ქვეყნები (ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა). ზოგიერთი კი საერთოდ დავიწყებას მიეცა, თუმცა ისინი უკვალოდ არ წაშლილან კაცობრიობის მეხსიერებიდან და „საჭირო“ შემთხვევაში ხდებოდა მათი რეანიმაცია.

სიკვდილით დასჯის პრობლემაზე მსჯელობისას მისი ძირითადი სახეობების განხილვა მეორეხარისხოვან ამოცანად მიგვაჩნია. აქ

1 А.Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни. С.-Петербург, 1896, с. 254.

უფრო სხვა პრინციპული საკითხებია გადასაწყვეტი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ადამიანმა სწორად შეაფასოს და მართებული დასკვნები გამოიტანოს სიკვდილით დასჯის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, თუ ზოგადად მაინც არ იცის როგორია კაცობრიობის განვლილი გზა სასჯელის უმაღლესი ზომის კონკრეტული სახეობების ძიებაში.

სიკვდილით დასჯის ცალკეული სახეობების წარმოშობა დაკავშირებულია სასჯელის მიზნებისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების საშუალებების შესახებ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ შეხედულებებთან. მაგალითად, სასჯელის სამაგიეროს მიზღვევის საშუალებად აღქმამ, აგრეთვე მის გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებულმა წარმოდგენებმა, გამოიწვია სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობების გაჩენა (ოთხად გაპობა, სარზე ჩამოცმა, დაბორბვლა, ჯვარზე გაკვრა, მხეცების დასაგლეჯად ან გასათელად მიცემა, ცოცხლად დამარხვა და სხვ.). ამავე მიზეზებით უნდა აიხსნას სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულება და სხვა რიტუალები, რომლებიც მას თან ახლდა.

სიკვდილით დასჯის სახეობების ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ეთნიკურ ჯგუფთა ჩვეულებები, რელიგიური დოგმები და სხვა ფაქტორები.

დროთა განმავლობაში, როდესაც ნათელი გახდა, რომ სიკვდილით დასჯის თვით უსასტიკესი სახეობებიც კი ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, კერძოდ, ხალხის დაშინებასა და დამნაშავეობის აღმოფხვრას, გარკვეულად შეიცვალა დამოკიდებულება მათ მიმართ. კაცობრიობის აზრის შემობრუნება ამ საკითხში დაახლოებით მე-18 საუკუნის დასასრულს ხდება. ბევრმა ქვეყანამ ზემოაღნიშნული პერიოდისათვის საკანონმდებლო წესით გააუქმა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობების გამოყენება. ნაწილობრივ შეიზღუდა სასჯელის უმაღლესი ზომის საჯარო აღსრულებაც. საზოგადოების სიმპათიები ჯალათიდან სიკვდილმისჯილის მხარეზე გადავიდა.

ამ მომენტებმა გარკვეული ბიძგი მისცა სიკვდილით დასჯის პრობლემიდან ყველაზე ,,მტკივნეული“ საკითხის წინ წამოწევას. განსხვავებით გასული საუკუნეებისა, როდესაც ხელისუფალნი და სადამსჯელო ორგანოები მოითხოვდნენ სიკვდილით დასჯის ყველაზე სასტიკი სახეობების გამოგონებას, ახლა დღის წესრიგში დადგა რადიკალურად განსხვავებული საკითხი: რომელია სიკვდილით

დასჯის ყველაზე უმტკივნეულო სახეობა? ამ საკითხის გადაჭრის გზების ძიების შედეგია გილიოტინა, ელექტროსკამი, გაზით მოწამვლა და სხვ.

ბევრ ქვეყანაში მიიჩნევდნენ, რომ ჩამოხრჩობა სიკვდილით დასჯის ყველაზე უფრო საიმედო და საუკეთესო საშუალება იყო. ამიტომ ცდილობდნენ მისი აღსრულების წესების იმ მიმართულებით სრულყოფას, რომელიც დამნაშავის უსწრაფეს სიკვდილს გამოიწვევდა. მაგალითად, ავსტრიაში მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოხრჩობის აღსასრულებლად სიკვდილმისჯილი აჰყავდათ სახრჩობელაზე მიდგმულ კიბეზე, ჩამოაცვამდნენ მარყუჟს და აგდებდნენ იქიდან. ჯალათი დამნაშავეს წინასწარ წელზე სპეციალურ ქამარს უკეთებდა, რომელზედაც მიბმული იყო გრძელი თოკი. როდესაც სიკვდილმისჯილს ჯალათი კიბიდან გადმოაგდებდა, მსჯავრდებულის ქამარზე მიბმულ თოკზე დაეკიდებოდა ჯალათის თანაშემწე. ფიქრობდნენ, რომ სიმძიმის გაზრდა სწრაფ სიკვდილს იწვევდა. პროფესორ ჰაბერდას აზრით, ასეთი წესით ჩამოხრჩობის დროს სიკვდილმისჯილი სწრაფად კარგავს გრძნობას, თუმცა სიკვდილი 6-14 წუთის შემდეგ დგება.[1]

საინტერესოა, რომ რუმინელი მინოვიჩი 1904 წელს ცდებს ატარებდა საკუთარ თავზე, რათა შეეგრძნო ყოველივე ის, რასაც განიცდიდა ადამიანი ჩამოხრჩობის დროს. მინოვიჩმა დაადგინა, რა დროში და რა პირობებში ვითარდება სტვენა ყურებში, მხედველობის დაკარგვა, სახის ფერის შეცვლა, სისხლძარღვების ბლოკირება და გონების დაკარგვა. მან თავისი ექსპერიმენტები მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, როდესაც იგრძნო საოცარი ტკივილი ენის ძირში, რომელიც თითქმის თორმეტი დღე გაგრძელდა[2].

მიუხედავად მთელი რიგი ავტორიტეტული პირების მხარდაჭერისა, ჩამოხრჩობამ მაინც ვერ გაუძლო გამოცდას მისი საიმედოობისა და უმტკივნეულობის თვალსაზრისით. ცნობილი გახდა შემთხვევები, როცა სახრჩობელიდან ჩამოხსნილნი ისევ ცოცხლდებოდნენ. ასეთი ფაქტები აღწერილი იყო როგორც ადრე (მაგალითად, 1440, 1492, 1650 წლებში), ისე მე-19 საუკუნის დასასრულსაც. კერძოდ, 1852 წელს ტურინში და 1880 წელს რააბში (უნგრეთი). ათი წუთის შემდეგ დასჯილი ჩამოხსნეს სახრჩობელიდან და წაიღეს ანატომიის ლაბორატორიაში გასაკვეთად. როცა მისვლისას ფურგონის კარები გააღეს, დაინახეს,

1 იხ. М.Н. Гернет. Смертная казнь. М., 1913, с. 114.

2 ი. ტორვალდი. კრიმინალისტიკის ასი წელი. თბილისი, 1978, გვ. 200.

რომ დასჯილი ცოცხალი იყო და გაოცებული თვალებით იხედებოდა. მიუხედავად სამედიცინო დახმარებისა, მან მხოლოდ სამი დღე იცოცხლა. ბოსტონში კი სიკვდილმისჯილი ოცდახუთი წუთის განმავლობაში ეკიდა სახრჩობელაზე. სამმა ექიმმა დაადასტურა სიკვდილის ფაქტი. ერთი საათის შემდეგ, როდესაც დასჯილის გვამი გაკვეთეს, ნახეს, რომ გული კიდევ სცემდა.[1] ამასთან დაკავშირებით მოსკოვის უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის პროფესორი პ.მინაკოვი წერდა, რომ ჩამოხრჩობით დასჯილთა სიცოცხლე არცთუ ისე იშვიათად თავდება არა მარყუჟში, არამედ სამარეშიო. სიკვდილის დადგომა ასეთ შემთხვევებში, აღნიშნავდა იგი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კერძოდ, პიროვნების ორგანიზმზე, თუ როგორ მოედება ყელს მარყუჟი, როგორ გადაკვეთს იგი საძილე არტერიებს და ა.შ.

თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯის მომხრეები თვლიდნენ, რომ სიკვდილით დასჯის ეს საშუალება ყველაზე უმტკივნეულოა. ამ მტკიცების საბუთად ისინი მიუთითებდნენ, რომ თავის მოკვეთის დროს მომენტალურად ხდება ძირითადი ნერვული ხაზების გადაჭრა, რაც თავისთავად გამორიცხავს ტკივილის შეგრძნებას. რადგან ნაჯახით ან ხმლით თავის მოკვეთა ხშირად ძალზე მტანჯველი იყო დარტყმის უზუსტობის გამო, ამიტომ მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში შემოიღეს სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც გილიოტინა ეწოდა მისი გამომგონებლის ექიმ გილიოტენის სახელის მიხედვით. გილიოტინა შედგება ორი ვერტიკალური პარალელური ბოძისაგან, რომლებიც ზემოთ არიან ერთმანეთთან შეერთებული. ამ ორ ბოძს შორის ჩადგმულია მოძრავი დანის პირი, რომელსაც ქვედა მხარე ალესილი აქვს. დანის პირი დიდი სისწრაფით ვარდება და კვეთს თავს მსჯავრდებულს.

პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორმა გილიოტენმა თავისი წინადადება სპეციალური მექანიკური მოწყობილობით სიკვდილით დასჯის აღსრულების შესახებ პირველად 1789 წელს წარუდგინა საფრანგეთის ეროვნულ კრებას, მაგრამ მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა საკანონმდებლო ორგანოში. მხოლოდ 1792 წლის 25 მარტის კანონით ჰუმანიზმის მოტივებით შემოიღეს თავის მოკვეთა მექანიკური საშუალებით. პირველად გილიოტინა 1792 წლის 25 აპრილს გამოიყენეს. მას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა 1793-1794 წლებში იაკობინელთა დიქტატურის მიერ.

1 М.Н. Гернет. მით. ნაშრომი, გვ. 116.

თავის მოკვეთის სპეციალური საშუალების – გილიოტინის შემოღებამ კიდევ უფრო განამტკიცა ზემოაღნიშნული იდეის მომხრეთა პოზიციები. მაგრამ სულ მალე მედიკოსებმა დასვეს საოცარი კითხვა, რომელიც ფაქტობრივად თავის მოკვეთის, როგორც უმტკივნეულო დასჯის წინააღმდეგ იყო მიმართული: ხომ არ გრძელდება სიცოცხლე (რასაკვირველია, გარკვეული დროის განმავლობაში) მოკვეთილ თავში?

მოსაზრება მოკვეთილ თავში სიცოცხლის ხანმოკლე არსებობის შესახებ პირველად გამოითქვა მე-19 საუკუნის დასასრულს და გამოიწვია ცხარე დავა. 1887 წელს სორბონის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელმა პოლ ლუაიმ გამოაქვეყნა წიგნი, რომელიც სპეციალურად ეძღვნებოდა თავის მოკვეთით სიკვდილით დასჯას. პოლ ლუაიმ მოაწყო გილიოტინა, რომლითაც თავს კვეთდა ცხოველებს და აკვირდებოდა მათ. ექსპერიმენტების შედეგად მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ მოკვეთილ თავზე ორგანოებისა და კუნთების მოძრაობა, მართალია, ქმნიდა აგონიისა და აუტანელი ტანჯვის სურათს, მაგრამ, მისი აზრით, ისინი რეფლექსური ხასიათისაა და მოკვეთილი თავი ვერაფერს გრძნობს. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, 1905 წელს სასამართლო მედიცინის ცნობილმა პროფესორმა ლაკასანმა იმავე მეთოდით ჩაატარა დაკვირვებები ამჯერად სიკვდილმისჯილის თავზე. ლაკასანი ჩასძახოდა ახლად მოკვეთილ თავს მის სახელს და სიკვდილით დასჯილის თვალების რეაქციის საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია მოკვეთილ თავში სიცოცხლის ხანმოკლე არსებობა. ამის გამო ლაკასანმა თავის მოკვეთას „ბარბაროსული დასჯა“ უწოდა და მოითხოვა მისი შეცვლა ჩამოხრჩობით.[1]

აღსანიშნავია, რომ 1792 წლის 25 მარტის კანონი გილიოტინის გამოყენების შესახებ საფრანგეთში მოქმედებდა 1981 წლის 9 სექტემბრამდე, სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე. უკანასკნელი დამნაშავე გილიოტინით საჯაროდ დასაჯეს 1939 წლის 17 ივლისს ვერსალის სასახლესთან, ხოლო გილიოტინა უკანასკნელად გამოიყენეს ამ ქვეყანაში 1977 წლის 10 სექტემბერს.

ადამიანის მოკვლის „ჰუმანური“ საშუალების დასადგენად ფართო მასშტაბის კვლევა-ძიება გაჩაღდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნის ბოლოს. ამ მიზნით ჩამოყალიბდა ორი კომისია. პირველი შეიქმნა 1886 წელს ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო კრების დადგენილებით სიკვდილით დასჯის ყველაზე უფრო ადამიანური და მოხერხებული საშუალების გამოძებნის მიზნით, ხოლო მეორე

1 М.Н. Гернет. მით. ნაშრომი, გვ. 126-127.

– 1888 წელს ნიუ-იორკის სასამართლო მედიკოსთა საზოგადოების გადაწყვეტილებით ადამიანის მოკვლის ყველაზე ჰუმანური საშუალების დასადგენად.

კომისიათა პროექტებში მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობა აისახა: ერთნი სიკვდილით დასჯის ყველაზე ადამიანურ საშუალებად თვლიდნენ დამნაშავის მოკვლას ციანმჟავის მეშვეობით; მეორენი – მორფის დიდი დოზის შეყვანით; მესამენი უპირატესობას ანიჭებდნენ ნახშირჟანგით დახრჩობას სპეციალურად მოწყობილ ოთახში, მეოთხენი მოითხოვდნენ დამნაშავის სიკვდილით დასასჯელად ისეთი გაზის გამოყენებას, რომელიც ჯერ აძინებს, ხოლო შემდეგ კლავს ადამიანს. მათი აზრით საამისოდ საჭირო იყო დაახლოებით ისეთი საკნის მოწყობა, როგორიც არსებობდა პარიზში მაწანწალა ძაღლების გასანადგურებლად. პროექტში იყო აგრეთვე წინადადება ელექტროდენის საშუალებით სიკვდილით დასჯის შესახებ. როგორც ვხედავთ, ადამიანის მოკვლის „ჰუმანური“ საშუალებები ძალზედ ბევრი აღმოჩნდა.

სამედიცინო საზოგადოების კომისიამ ბოლოს ყურადღება შეაჩერა ელექტროდენით სიკვდილით დასჯაზე და გადაწყვიტა ამ საშუალების უპირატესობის დასადგენად ცდების ჩატარება. ცდები ჩატარდა ედისონის ლაბორატორიასა და კოლუმბიის კოლეჯში 24 ძაღლზე, 2 ხბოსა და 1 ცხენზე. ცნობილმა გამომგონებელმა თომას ალვა ედისონმა, რომელიც ავტორია ტელეგრაფის, ტელეფონის, ვარვარის ნათურის, ფონოგრაფის, მსოფლიოში პირველი ელექტროსადგურისა და ა.შ., შეძლო დაერწმუნებინა ნიუ-იორკის შტატის სპეციალური კომისია, რომ სიკვდილით დასჯა ელექტროდენით უფრო ჰუმანურია.[1]

საინტერესოა, რომ 1886 წელს საფრანგეთში სენატორმა ჩარტონ-მა წარადგინა წინადადება ,,სიკვდილით დასჯის უსისხლო და უმტკივნეულო საშუალების შესახებ“ (მხედველობაშია ელექტროდენით დასჯა), მაგრამ იგი საერთოდ არ განუხილავთ.

სიკვდილით დასჯა ელექტროდენით ნიუ-იორკის შტატში 1898 წლის პირველი იანვრიდან შემოიღეს, ხოლო პირველად გამოიყენეს 1890 წლის 26 აგვისტოს ნიუ-იორკის ობორნსკის ციხეში, რომელმაც სათავე დაუდო ელექტროსკამს, როგორც სიკვდილით დასჯის აღსრულების საშუალებას. პირველი, ვინც დასაჯეს ამ მეთოდით იყო ვინმე უილიამ კემლერი, რომელსაც მსჯავრი დასდეს თავისი ცოლის მკვლელობისათვის. აი, რას წერს ამერიკელი ექიმი თავის ანგარიშში ელექტროდენით სიკვდილით დასჯის პირველი ფაქტის შესახებ:

1 М.Н. Гернет. მით. ნაშრომი, გვ. 127-128; А.Р. Лаврин. Хроники Харона. М., 1993, с.132.

,,გვპირდებოდნენ, რომ დამნაშავის სიკვდილით დასჯა ელექტროდენით უფრო უკეთესი იქნებოდა, ვიდრე დასჯის სხვა საშუალებანი. მაგრამ როდესაც ტელეგრაფითა და კაბელებით მთელს მსოფლიოში გადაიცა დასჯის ამ სახეობის დეტალები, მთელი ცივილიზებული სამყარო შეაძრწუნა ამ საშინელებამ. დამნაშავე ტანჯვით მოკვდა. მსჯავრდებული გაბედულად წავიდა სიკვდილზე იმ იმედით, რომ იგი ადვილი იქნებოდა. სინამდვილეში კი მოკვდა როგორც დასახიჩრებული ძაღლი. ეს ოპერაცია თავისი სისასტიკით აღემატება ყველაფერ იმას, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. ერთადერთი შვება იყო მხოლოდ ის, რომ სიკვდილმისჯილმა ელექტროდენის პირველი დარტყმის შემდეგ დაკარგა გრძნობა. პირველი დარტყმიდან მეორემდე, რომელიც სასიკვდილოა, განვლო 5 წუთმა და 25 წამმა, რაც არ ჩაითვლება მცირე დროდ. ამის გამო ელექტროდენით დასჯა არ შეიძლება მივიჩნიოთ სიკვდილით დასჯის ადვილ, სწრაფ და, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, ,,სასიამოვნო“ საშუალებად.[1]

ელექტროდენით სიკვდილით დასჯილი ცნობილი პიროვნებები არიან მუშათა მოძრაობის მონაწილენი საკო და ვანცეტი, აგრეთვე ცოლ-ქმარი ჯულიუს და ეთელ როზენბერგები, რომლებსაც ბრალი დაედოთ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ჯაშუშობაში. დღეისათვის ელექტროსკამი სიკვდილით დასჯის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.[2]

დროთა განმავლობაში ელექტროდენით სიკვდილით დასჯამ ცვლილებები განიცადა, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ გაუმართლა იმედები სიკვდილით დასჯის ჰუმანიზაციის მომხრეებს. როგორც სიკვდილით დასჯის სხვა საშუალებებს, ისე ელექტროდენით დასჯასაც აღმოაჩნდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. სხვადასხვა ადამიანის ორგანიზმის თავისებურებების, აგრეთვე სიკვდილით დასჯის აღსრულების მოწყობილობის გაუმართაობის თუ სხვა ფაქტორების გამო ელექტროდენით სიკვდილით დასჯა ზოგჯერ სიკვდილმისჯილისათვის გაუმართლებელი ტანჯვის მიყენებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად 1983 წელს ალაბამას შტატში ჯონ ლუი ევანსის სიკვდილით დასჯისას, ვიდრე მსჯავრდებულის სიკვდილის ფაქტს დააფიქსირებდნენ, 14 წუთის განმავლობაში სამჯერ იქნა

1 П.И. Люблинский. Смертная казнь в Северной Америке. «Журнал уголовного права и процесса», 1912, №1, с.76.

2 Г.З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах (историко-правовой очерк), «Юридическая литература», М., 1971, с. 116; В.Е. Квашис. Смертная казнь в США. «Государство и право», 1996, №9, с. 103-112.

გამოყენებული 1900 ვოლტის ძაბვის დენი. 1984 წელს ჯორჯიის შტატში ალფა სტივენსის სიკვდილით დასჯისას კი 17 წუთში 5-ჯერ გახდა საჭირო ელექტროდენის მიწოდება.

ასეთი შემთხვევები მუდმივ პოლემიკას იწვევენ კანონმდებლებსა და ფართო საზოგადოებაში ელექტროდენით სიკვდილით დასჯის „ჰუმანურობისა“ და მიზანშეწონილობის შესახებ.

სიკვდილით დასჯის ,,ჰუმანური“ საშუალების გამოგონების კიდევ ერთი ცდაა ,,სასიკვდილო ინექცია“. პირველად იგი კანონმდებლობით შემოიღეს 1977 წელს ოკლაჰომასა და ტეხასის შტატებში. პირველად ამ მეთოდით დასაჯეს ვინმე ჩარლზ ბრუქსი 1982 წელს ტეხასში. სიკვდილით დასჯის ეს საშუალება გამოიყენება აშშ-ს 19 შტატში.

სასიკვდილო ინექციით სიკვდილით დასჯის აღსრულება ხდება სიკვდილმისჯილის ვენაში დამბლადამცემ ქიმიურ პრეპარატებთან ერთად სწრაფადმოქმედი ბარბიტურატის სასიკვდილო დოზის გადასხმით. სიკვდილით დასჯის აღსრულების ეს მეთოდი მოგვაგონებს საერთო დანიშნულების ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის გამოყენების სამედიცინო პროცედურას.

ანტიკურ სამყაროში სიკვდილით დასჯის ამ სახეობის ანალოგს წარმოადგენდა დასჯა თვითმკვლელობით საწამლავის მიღების საშუალებით. ძველ საბერძნეთში თავისუფალ ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ საწამლავის – ციკუტას მიცემით, რასაც ზოგჯერ „ადვილ ბერძნულ სიკვდილსაც“ უწოდებდნენ, რადგანაც იგი დიდ ტკივილებს არ იწვევდა. ამ მეთოდით სიკვდილით დასჯის ყველაზე ცნობილი ფაქტია ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს დასჯა. პლატონი „ფედონში“ შემდეგნაირად აგვიწერს ციკუტას მიცემით სოკრატეს სიკვდილს: როცა მას ჯალათმა საწამლავით სავსე ფიალა მიაწოდა, სოკრატემ იგი დიდი სიმშვიდით მიიღო, სახის გამომეტყველების შეუცვლელად მიიტანა პირთან და ყოველგვარი იძულების გარეშე მეტად მსუბუქად დალია. შემდეგ სოკრატემ დაიწყო ბოლთის ცემა და როცა იგრძნო, რომ ფეხები დაუმძიმდა, გულაღმა დაწვა, როგორც ეს ჯალათმა უბრძანა. მალე ჯალათმა მას დაუწყო წვივების მოსინჯვა თითებით, ძლიერად დააჭირა თითი და ჰკითხა: გრძნობ თუ არა? – არა, უპასუხა სოკრატემ. ამის მერე იგი დაბლიდან მაღლა აყოლებით თითებით უსინჯავდა ბარძაყს და ჩვენ გვაჩვენებდა თანდათან როგორ ცივდებოდა და შეშდებოდა სოკრატე. სოკრატე თვითონაც შეეხო თავის სხეულს და ჩაილაპარაკა, რომ როდესაც ეს გაშეშება მივა გულამდე, მაშინ ყველაფერი გათავდებაო. სხეულის ქვედა ნაწილი მთლიანად გაცივდა, მაშინ სოკრატემ გადაიხადა

საბურველი და თქვა (ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა): – კრიტონ! ჩვენ ასკლეპიოსს (ჯანმრთელობის ღმერთს) მამალი უნდა შევწიროთ და არ დაგავიწყდეს; უეჭველად, უპასუხა კრიტონმა, მაგრამ არ გინდათ კიდევ რამე სთქვათ? ამ სიტყვებზე პასუხი უკვე აღარ იყო.[1]

ზემოაღნიშნული მიმართულებით კაცობრიობის ფანტაზიის კიდევ ერთი ნაყოფია გაზით მოწამლვა. ადამიანის მოკვდინების ნაცისტურ მეთოდებთან აშკარა მსგავსების მიუხედავად, იგი კანონმდებლობით იქნა შემოღებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მეთოდის მიხედვით მსჯავრდებულს დააბამენ ჰერმეტულ კამერაში მოთავსებულ სკამზე და შეუშვებენ ციანიდის გაზს. მსჯავრდებულის მკერდზე მიმაგრებული სტეტოსკოპით ექიმი, რომელიც მომიჯნავე ოთახში იმყოფება, ყურთსასმენის მეშვეობით ადასტურებს სიკვდილის ფაქტს.

საქართველო არ გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯის სახეობების მრავალფეროვნებით, არც სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებისადმი მიდრეკილება გამოუჩენია ჩვენს კანონმდებელს. განვლილი ეპოქის საკანონმდებლო აქტებსა და პრაქტიკაში დაფიქსირებულია სიკვდილით დასჯის მხოლოდ შემდეგი სახეობები: ჩაქოლვა, თავის მოკვეთა, ჩამოხრჩობა და კლდიდან გადმოგდება.

საქართველოში ჩაქოლვის გამოყენების შემთხვევის შესახებ გვამცნობს ერთ-ერთი უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლი „ცხრა ძმა კოლაელთამარტვილობა“(მე-5საუკუნეახ.წ.).თხზულებასაქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ასახავს. მასში გადმოცემულია, თუ როგორ ჩაქოლეს ცხრა ძმა ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისათვის.[2]

ჩაქოლვა გამოიყენებოდა აგრეთვე სქესობრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად, სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წლის წიგნში ნათქვამია: ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის დამნაშავენი ,,ქვით ჩაიქოლონო“.[3]

საქართველოში სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთით დაწესებული იყო მეფის შეურაცხყოფისათვის. თამარ მეფის ისტორიკოსი – ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი წერს, რომ რუმის სულთანმა საქართველოს მეფეს ელჩის პირით მუქარა შემოუთვალა: „და ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფეს თანა თამარს

1 ციტირებულია: მათე ალექსიშვილი. მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში. ,,განათლება“, თბილისი, 1974, გვ. 212.

2 იხ. გ. ნადარეიშვილი. სიკვდილით დასჯა და მისი სახეები XI-XII საუკუნეების საქართველოში, „მაცნე“, 1967, N 6, გვ. 98-99.

3 ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 244.

წინაშე, წიგნი მისცა და წარსდგა, იწყო არა-საკადრებელთა სიტყუათა თქმად „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტევოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!“ ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპარსალარი და უხეთქა ხელითა პირსა, და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: „თუ მოციქული არ იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერეღა თავისა, კადნიერებად კადნიერებისათვის“. ამის მიუხედავად ელჩი „შემოსეს და ნიჭი უბოძეს“, მაგრამ ,,წარგზავნეს პასუხითა მწუავითა“.[1] როგორც აღნიშნული წყაროდან ირკვევა, მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის საქართველოში ორმაგი სასჯელი ყოფილა დაწესებული: ენის მოჭრა და თავის მოკვეთა. ენის მოჭრა ამ შემთხვევაში, როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, დამატებითი სასჯელია. ძირითადი სასჯელი კი მეფის შეურაცხყოფისათვის სიკვდილით დასჯა იყო თავის მოკვეთით.[2]

თავის მოკვეთა საქართველოში დაწესებული იყო აგრეთვე ღალატისათვის. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, დემეტრე მეფემ ,,აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისა“[3]. დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით კი ,,რომელიც დაკარგავს დროშასა და ზარბაზანსა, და უკეთუ ჰქმნას ესე სარდალმან ორგულებით, მაშინ მოყვანილ იქმნას ერთა წინაშე და ემხილოს ორგულებისათვის მისისა, და მოჰკვეთონ მას თავი“[4].

ჩამოხრჩობას ძველ ქართულ სამართალში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავდნენ: ,,ძელსა ზედა ჩამორჩობა“, „ძელსა ზედა დამოკიდება“, ან მარტივად ,,ჩამორჩობა“.[5]

ჩამოხრჩობა საქართველოში მეკობრეობისა და განმეორებით ქურდობისათვის იყო დაწესებული. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში ნათქვამია: „თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ“.[6]

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 94-95.
2 გ. ნადარეიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 96.
3 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, ნაკვეთი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 521.
4 სამართალი ბატონისშვილის დავითისა. დ ფურცელაძის რედ., თბილისი 1964, გვ. 32-33.
5 ივ. ჯავახიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 520-521.
6 საქართველოს სიძველენი, ტ.III დამატება, ტფილისი, 1926, გვ. 5-6.

კათალიკოსთა სამართლის მე-2 და მე-3 მუხლები კი ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორიცაა „კაცის გაყიდვა“ და „ეკლესიის მკრეხელობა“, ადგენს – დამნაშავე ,,ძელსა მიეცეს”, ანუ ჩამოხრჩობილ იქნესო.[1]

კლდიდან გადმოგდებით სიკვდილით დასჯის პრაქტიკას ვხვდებით მე-13 საუკუნის საქართველოში. ამის შესახებ ერთადერთი ცნობა დაცული აქვს ჟამთააღმწერელს. მისი სიტყვით თორღვა პანკელი განდგომისათვის „შეიპყრა ჯიქურმან განზრახვითა დედოფლისათა ... და წარიყუანეს კლდეკართა და გადმოაგდეს“.[2]

ძველი ქართული სამართალი არ იცნობს დამნაშავის ცეცხლში. დაწვას, როგორც სიკვდილით დასჯის სახეობას. ჟამთააღმწერლის ცნობით „ცეცხლითა დაწვა“ მონღოლებს ჰქონიათ წესად: ,,კაცი იგი მომკულელი სულტანისა მონღოლებმა ცეცხლითა დაწვეს“.[3]

თანამედროვე ქვეყნებში სიკვდილით დასჯის სახეობებად გამოიყენება ჩამოხრჩობა და დახვრეტა. დახვრეტა უპირატესად გამოიყენება სამხედრო და ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის (ზოგიერთ ქვეყანაში). გარდა ამისა, საუდის არაბეთში, იემენში, კონგოში, კატარზე, მავრიტანიაში, პაკისტანში, სუდანში – ჩაქოლვა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში: ელექტროსკამი, გაზით მოწამლვა, მომწამვლელი ინექცია. ამრიგად, საბოლოო ანგარიშში, ამჟამად მსოფლიო ქვეყნებში გამოიყენება სიკვდილით დასჯის შვიდი სახეობა: ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა, გაზით მოწამლვა, ელექტროსკამი, მომწამვლელი ინექცია. საქართველოს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯის სახეობად დადგენილია დახვრეტა.

ვიდრე კაცობრიობა სიკვდილით დასჯის ზემოაღნიშნულ საშუალებებამდე მივიდოდა, მათ გაიარეს პროგრესის ყველა ის საფეხური, რომელიც შრომის იარაღებმა განვლეს: პირველყოფილი ქვით ჩაქოლვიდან ნაჯახზე გადავიდნენ; ხოლო ნაჯახი გილიოტინით – მანქანით შეცვალეს, რომელიც ჯალათს მოჰყავს მოქმედებაში და მხოლოდ ამის შემდეგ ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას ელექტროდენს მიმართეს. არც სასიკვდილო ინექცია და გაზის კამერა გამორჩენიათ მხედველობიდან.

სიკვდილით დასჯის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მისი აღსრულების საშუალებები საოცრად იცვლებოდა: სიკვდილით დასჯის მარტივი საშუალებებიდან, რომლებსაც კაცობრიობის ისტორიის ადრეულ საფეხურზე იყენებდნენ, თანდათან, დროთა განმავლობაში

1 ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 244.
2 ივ. ჯავახიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 521.
3 იქვე.

უფრო რთულსა და სასტიკ საშუალებებზე გადადიოდნენ, რამაც თავის აპოგეას შუა საუკუნეებში მიაღწია, როდესაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საშუალება სიკვდილით დასჯა გახდა.

ჩვენი ეპოქის კრიმინალისტები და კანონმდებლები ყველანი ერთხმად წინააღმდეგი არიან დამნაშავის ცოცხლად დამარხვის, სარზე ჩამოცმის, ცეცხლში დაწვის, მაგრამ გაუგებარი არათანმიმდევრულობის გამო ისინი იწონებენ თავის მოკვეთას, ჩამოხრჩობას, დახვრეტას, ელექტროდენით დასჯას. ზოგიერთი მთელი მონდომებით ცდილობს მეცნიერული არგუმენტები მოუძებნოს სიკვდილით დასჯის ამა თუ იმ საშუალების გამოყენებას და ამავე დროს მიუთითებს, რომ ამას აკეთებს ჰუმანიზმის მოთხოვნების გათვალისწინებით. როგორც ვხედავთ, ისინი გამოსავალს ხედავენ სიკვდილით დასჯის საუკეთესო საშუალების გამოძებნაში, რაც შუა საუკუნეებში დაბრუნებას ნიშნავს, როდესაც სიკვდილით დასჯის ფორმებსა და საშუალებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ უნდა შევახსენოთ, რომ სიკვდილით დასჯის არსს ვერ შეცვლის მხოლოდ ის გარემოება, თუ რა ფორმით და რა საშუალებით მოხდება მისი აღსრულება. იგი ყოველთვის იყო და დარჩება ადამიანის ლეგალიზებულ მკვლელობად.

დანაშაულობანი, რომელთა ჩადენა ისჯება სიკვდილით

სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებული შეხედულებები სასჯელის ამ სახეობის ფართოდ გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი გახდა მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ამიტომ იყო, რომ ძველი ქვეყნების კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვისაც კი იყო დაწესებული. მაგალითად, ძველ რომში სიკვდილით ისჯებოდა მოვალე, რომელსაც არ გამოისყიდდნენ ან არ ყიდულობდნენ. სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე ის, ვინც შეთხზავდა ან შეასრულებდა სხვის შესახებ ცილისმწამებლურ სიმღერებს. ძველ საბერძნეთში მკვლელობის თანაბრად სიკვდილით ისჯებოდა ბოსტნეულისა და ხილის ქურდობა. ამ მხრივ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა დრაკონტის კანონები (621 წ. ჩვ. წ-მდე). პლუტარქე გვატყობინებს, რომ ,,,,ეს კანონები მეტისმეტად სასტიკი იყო და თითქმის ყველა დანაშაულისათვის მხოლოდ ერთ

სასჯელს – სიკვდილს ითვალისწინებდა. ზარმაცობაში მხილებულნიც კი სიკვდილით ისჯებოდნენ და მწვანილის ან ხილის ქურდებიც მკრეხელთა ან კაცისმკვლელთა თანაბარ სასჯელს იღებდნენ. აი, ამის გამო, შემდეგ ხანებში დიდი მოწონება დაიმსახურა დემადეს სიტყვამ. დემადე ამბობდა: დრაკონტმა თავისი კანონები მელნით კი არა, სისხლით დაწერაო. თვითონ დრაკონტმა, როცა ჰკითხეს, ყოველგვარი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა რატომ დააწესეო, ასეთი პასუხი გასცა: მცირე დანაშაულის ჩამდენი, ჩემი აზრით, ამის ღირსია, მსხვილ დანაშაულთათვის კი უფრო დიდი სასჯელი ვერ მოვიგონეო".[1]

ინგლისში მე-16 საუკუნეში სიკვდილით ისჯებოდა ერთ შილინგზე მეტი ღირებულების ნივთის ქურდობა, სხვის ტყეში ხის მოჭრა და სხვ. მე-17 საუკუნის შუა ხანებში კი სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო დანაშაულის 160 სახეობისათვის. შემდგომ პერიოდში ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. საფრანგეთში მე-18 საუკუნის ბოლოს, რევოლუციის წინ სიკვდილით ისჯებოდა დანაშაულის 115 შემადგენლობა. სიკვდილით ისჯებოდა არა მარტო ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ცეცხლის წაკიდება, ყალბი ფულის მოჭრა და ა.შ., არამედ სხვადასხვა სახის სიყალბე, ქურდობა, თუნდაც უმნიშვნელო ქონებისა, თუკი ჩადენილი იყო განმეორებით, თაღლითობა, მრუშობა, სისხლის აღება, სისხლის აღრევა, ცხოველთმავლობა, მამათმავლობა, მუქარის ზოგიერთი სახეობა, ციხიდან გაქცევაში ხელის შეწყობა, დუელი, ცრუმოწმეობა და სხვ. სიკვდილით ისჯებოდა ასევე ხის მოჭრა ნაკრძალში, მეფისათვის თხოვნის მიცემა დადგენილი წესის დარღვევით და სხვ.[2]

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ალბათ არ არსებობს დანაშაული, რომლისთვისაც ამა თუ იმ პერიოდში გათვალისწინებული არ ყოფილიყო სიკვდილით დასჯა.

რა მდგომარეობაა ამჟამად? დღეისათვის მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობით საბოლოო ანგარიშში სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 30 სახეობის დანაშაულისათვის. სიკვდილით ისჯება ძირითადად პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – განზრახ მკვლელობა, სახელმწიფო და სხვა პოლიტიკური დანაშაული – სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტი, დივერსია. სასჯელის უმაღლესი ზომა დაწესებულია აგრეთვე საკუთრების წი-

1 პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. თბილისი, 1975, გვ. 155.
2 А.С. Кистяковский. Исследование о смертной казни. С.-Петербург, 1896, с. 154-160.

ნააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის – ყაჩაღობისათვის, სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის (ერაყი, ჩინეთი, ირანი, კენია, სირია, უგანდა), ქალის მიერ ცოლქმრული ერთგულების ღალატისათვის (ირანი, საუდის არაბეთი), პროსტიტუციისათვის (ირანი), საროსკიპოების შენახვისა და პორნოგრაფიული ფილმების დემონსტრირებისათვის (ჩინეთი), ადამიანის გატაცებისათვის (ჩინეთი, მალაიზია), გაუპატიურებისათვის (ჩინეთი, ეგვიპტე, სირია, ტაილანდი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გაერთიანებული არაბთა ემირატები), ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობისათვის (ჩინეთი, ირანი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სირია, ტაილანდი) და სხვ.[1]

ძველ ქართულ სამართალში, როგორც ფეოდალურ სამართალში, რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო და გამოიყენებოდა კიდევაც მთელი რიგი დანაშაულობებისათვის. მაგრამ თუ მას იმავე ეპოქის სხვა ქვეყნების კანონმდებლობას და პრაქტიკას შევადარებთ, უდავოა, რომ ამ თვალსაზრისით ქართული სამართალი უფრო ჰუმანური და მოკრძალებულია სასჯელის ამ სახეობის გამოყენებაში. ქართული სამართლის მიხედვით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, მეფის საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, მკვლელობისათვის, ყაჩაღობა-მეკობრეობისა და განმეორებითი ქურდობისათვის.

საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია შემდეგი დანაშაულობებისათვის: გენოციდი (65[1] მუხლი), ტერორისტული აქტი (67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხლი), დივერსია (69-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209[1] მუხლი) და წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (258-ე მუხლი).

სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა

სიკვდილით დასჯა ყველაზე მეტად პოლიტიკური და რელიგიური დანაშაულობებისათვის იქნა გამოყენებული. მაგალითად,

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 81.

ესპანეთში ინკვიზიციის პერიოდში სიკვდილით დასჯეს დაახლოებით 50 ათასი ადამიანი. ვოლტერის გამოანგარიშებით დასავლეთ ევროპაში დაწვეს 100 ათასამდე ჯადოქარი. საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიების შედეგად სიკვდილით დასაჯეს მილიონობით ადამიანი. თანამედროვე მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც 1985-1988 წლებში სიკვდილით დაისაჯა 50-ზე მეტი ადამიანი, სასჯელის ამ სახეობის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა: მალაიზია – 52, საბჭოთა კავშირი – 63, აშშ - 66, პაკისტანი – 115, საუდის არაბეთი – 140, სომალი –150, ნიგერია – 439, ჩინეთი – 500, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 537, ირანი – 743. ამ 10 ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები შეადგენენ ზემოაღნიშნულ წლებში მსოფლიოში მთლიანად სიკვდილით დასჯის გამოყენების საერთო რაოდენობის 83 პროცენტს.

დამნაშავეობის საერთოდ და, რაღა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯის გამოყენების სტატისტიკა საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელს საბჭოეთში, 1934 წლიდან მოყოლებული არ ქვეყნდებოდა. საბჭოთა კავშირში პირველად სიკვდილით დასჯის სტატისტიკა ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1991 წელს. ეს ფაქტი სათანადოდ აღნიშნა ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორიცაა ,,საერთაშორისო ამნისტია“. მან 1994 წელს სპეციალური გამოკვლევაც გამოაქვეყნა საქართველოში სიკვდილით დასჯის მდგომარეობის შესახებ. ჩვენი მონაცემებით 1980-1991 წლებში საქართველოში სიკვდილით დასჯა შეეფარდა 124 ადამიანს, აქედან სასჯელი აღსრულდა 65 პირის მიმართ. განაჩენთა უმეტესობა გამოტანილი იყო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, თუმცა 6 განაჩენი დადგენილი იყო ეკონომიკური ხასიათის დანაშაულობებისათვის, რომლებიც არ იყო დაკავშირებული ძალადობასთან. 1994-1995 წლებში საქართველოში სიკვდილით დაისაჯა 14 ადამიანი. 1997 წლისათვის საქართველოში 54 სიკვდილმისჯილი იყო.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წლის 25 ივლისს გამოსცა განკარგულება, რომლითაც ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით შეიწყალა ორმოცდათოთხმეტივე სიკვდილმისჯილი და მათ სიკვდილით დასჯა შეუცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით.[1]

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 26 ივლისი.

საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ

საზოგადოება, როგორც წესი, მომხრეა სიკვდილით დასჯის გამოყენებისა. ამას მოწმობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები. ძირითადი არგუმენტი, რომლის გამოც საზოგადოება მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის შენარჩუნებას, არის ის, რომ თითქოს სასჯელის ამ სახეობას აქვს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. მაგალითად, იაპონიის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, რესპოდენტთა 71 პროცენტი მომხრეა სიკვდილით დასჯის შენარჩუნებისა. ამასთან, გამოკითხულთა 61 პროცენტი მხარს უჭერს სიკვდილით დასჯას მისი გამაფრთხილებელი მნიშვნელობის გამო.

საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთი გამოკითხვა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სისტემატურად ტარდებოდა, მოწმობს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას თუ თავდაპირველად არ ეთანხმებოდა გამოკითხულთა უმრავლესობა, დროთა განმავლობაში იგი მათთვის მისაღები ხდება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ სტაბილურად მცირდება სასჯელის ამ სახეობის მომხრეთა რიცხვი. 1959 წელს, ე.ი. სიკვდილით დასჯის გაუქმებიდან ათი წლის შემდეგ, გამოკითხულთა 55 პროცენტი იწონებდა სიკვდილით დასჯას, ხოლო 30 პროცენტი წინააღმდეგი იყო. 1973 წელს კი სიკვდილით დასჯის მომხრეთა რაოდენობა 30 პროცენტამდე შემცირდა, 1980 წელს – 26 პროცენტამდე, 1983 წელს – 24 პროცენტამდე, ხოლო 1986 წელს 22 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა გამოკითხულთა 55 პროცენტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა. ამრიგად, სიკვდილით დასჯის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის თანაფარდობა 1950 წლის შედეგებთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო გახდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოკითხულთა 70 პროცენტი სტაბილურად მომხრეა სიკვდილით დასჯისა. ამის გამო უკანასკნელ წლებში ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯა აღადგინეს კიდეც. ინგლისში 1969 წლის შემდეგ, როდესაც სიკვდილით დასჯა გააუქმეს, საზოგადოებრივი აზრის გავლენით პარლამენტში 18-ჯერ წამოჭრეს საკითხი სიკვდილით დასჯის აღდგენის შესახებ. უკანასკნელი დისკუსია 1987 წელს გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა მხარი დაუჭირა სიკვდილით დასჯის აღდგენას, დიდი

ბრიტანეთი მაინც დარჩა იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.[1]

საქართველოში სიკვდილით დასჯის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა იშვიათად ხდებოდა. 1996 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეა გამოკითხულთა 38 პროცენტი, ხოლო წინააღმდეგია 47 პროცენტი. საყურადღებოა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას მხარს უჭერს შემოქმედებითი ინტელიგენციის 70 პროცენტი, სამეცნიერო ინტელიგენციის 35 პროცენტი, სტუდენტობის 23 პროცენტი, ხოლო მეცნიერ-იურისტთა 4 პროცენტი.

სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ძირითადად რელიგიური მოტივებით ხელმძღვანელობენ. მოწინააღმდეგეთა 71 პროცენტს მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს, რადგანაც არსებობს ქრისტიანული მცნება „არა კაც ჰკლა“. სიკვდილით დასჯის ქართველ მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელის გაუქმების შემთხვევაში გაიზრდება დამნაშავეობა (80 პროცენტი). სიკვდილით დასჯის გაუქმების შემთხვევაში გამოკითხულთა 49 პროცენტი მხარს დაუჭერს მძიმე დანაშაულისათვის სამუდამო პატიმრობის შემოღებას.[2]

სიკვდილით დასჯის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ადამიანის უფლებათა დაცვის და მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლების – სიცოცხლის უფლების პრობლემა. სიცოცხლის უფლება, თავის მხრივ, უშუალოდაა დაკავშირებული სიკვდილით დასჯის პრობლემასთან, ამიტომ გაეროსა და სხვა რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მიერ მიღებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა სიკვდილით დასჯის მიმართებას ადამიანის სიცოცხლის უფლებასთან და საერთოდ სიკვდილით დასჯის გამოყენების სამართლებრივ საკითხებს.

---

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 408.

2 საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის განყოფილებამ.

სიცოცხლის უფლება პირველად დააფიქსირა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ", რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე სესიამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს.[1]

დეკლარაციის მე-3 მუხლის თანახმად ,ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება". ამასთანავე დეკლარაცია მიუთითებს, რომ ,,არავინ არ უნდა ეწამოს, არავინ არ უნდა დაისაჯოს სასტიკად, არაადამიანურად, მისი ღირსების დამამცირებელი საშუალებებით" (მე-5 მუხლი).

უფრო კონკრეტულად შეეხო ამ პრობლემას ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომელიც 1950 წლის 4 ნოემბერს მიიღო ევროსაბჭომ და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს[2].

მან, მართალია, აღიარა ადამიანის სიცოცხლის უფლება, მაგრამ ამასთანავე დაუშვა შესაძლებლობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის გამოყენებით სიცოცხლის უფლების პარალიზებისა. კერძოდ, ამ კონვენციის მე-23 მუხლში აღნიშნულია:

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს კანონი. არავინ არ შეიძლება განზრახ გამოასალმონ სიცოცხლეს გარდა შემთხვევისა, როდესაც სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი სასამართლოს განაჩენი, რომელიც მოცემულ პირს მიიჩნევს დამნაშავედ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას."

როგორც ვხედავთ, სიცოცხლის უფლებას კონვენცია აბსოლუტურ უფლებად არ მიიჩნევს. უფრო მეტიც, კონვენცია ამ უფლებიდან გამონაკლისს ითვალისწინებს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის გამოყენებისას, არამედ აგრეთვე ჩამოთვლის კონკრეტულ საფუძვლებს, რომლის არსებობისას სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად. კერძოდ, კონვენციის იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

სიცოცხლის მოსპობა მოცემული მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა იგი შედეგია ძალის გამოყენებისა აბსოლუტური აუცილებლობის დროს:

ა) ნებისმიერი პირის უკანონო ძალადობისაგან დაცვის დროს;

ბ) კანონიერი დაპატიმრების ან კანონიერ საფუძველზე დაკავებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის დროს;

---

1 Права человека. Сборник международных документов. Изд-во МГУ, 1986, с. 21-29.

2 ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი", 1990, №10 გვ. 46-66.

გ) ბუნტის ან აჯანყების ჩახშობისას ჩადენილი კანონიერი მოქმედების დროს.

მაშასადამე, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, ერთი მხრივ, აღიარებს ადამიანის სიცოცხლის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს ორ შემთხვევას, როდესაც ეს უფლება შეიძლება არ იყოს დაცული, კერძოდ, სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასჯის გამოყენებისას და აუცილებელი მოგერიებისას (ამ ტერმინის ფართო გაგებით).

სიცოცხლის უფლებისა და სიკვდილით დასჯის ურთიერთმიმართების თაობაზე ახლებური დამოკიდებულებაა ჩამოყალიბებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში“ (1996 წლის 19 დეკემბერი).

პაქტის მე-6 მუხლში ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგ დებულებებს ეფუძნება:

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა, ამ უფლებას იცავს კანონი;

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე;

3. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და დანაშაულის თავიდან აცილების და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს;

4. ეს დასჯა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად;

5. სიკვდილმისჯილს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში;

6. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს 18 წლამდე ასაკის პირებმა და მისი შესრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართ.

როგორც ზემოაღნიშნული დებულებებიდან ჩანს, საერთაშორისო პაქტმა პირველად შემოიტანა შეზღუდვები სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლების თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გამოყენების მასშტაბები შეავიწროვა პირთა წრის მიხედვით. ამასთანავე, საერთაშორისო პაქტმა (მართალია, არაპირდაპირ) პირველად დააფიქსირა დამოკიდებულება საერთოდ სიკვდილით დასჯის გამოყენების

მიზანშეწონილობის თაობაზე, როდესაც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდა, რომ მე-6 მუხლში არაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება. მაშასადამე, სიკვდილით დასჯის გაუქმება საერთაშორისო პაქტის მიხედვით სასურველი და მიზანშეწონილია.

ამ პერიოდის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან, რომლებიც სიკვდილით დასჯის პრობლემას ეხება, მნიშვნელოვანია აგრეთვე ადამიანის უფლებათა შესახებ ამერიკული კონვენცია (1969 წლის 22 ნოემბერი).[1]

ამ კონვენციამ სიცოცხლის უფლების დეკლარირებისას გაიმეორა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დებულებები, ამასთანავე, დააფიქსირა სიცოცხლის უფლების დაცვისა და სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლების შესახებ ახალი მოთხოვნები. სახელდობრ, ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად:

1. ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით და, როგორც წესი, ჩასახვის მომენტიდან;

2. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება აღადგინონ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ის გააუქმეს;

3. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება შეეფარდოს პოლიტიკური ან მასთან დაკავშირებული სხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულობებისათვის;

4. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება შეეფარდოს 70 წლის ასაკზე უფროს პირებს;

5. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება აღსრულდეს იმ დროს, როდესაც კომპეტენტური ხელისუფალნი განიხილავენ თხოვნას შეწყალების, განაჩენის შემსუბუქებისა და ამნისტიის შესახებ.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ამ საუკუნის 70-იან წლებამდეა მიღებული, შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ეტაპად სიკვდილის დასჯის პრობლემისადმი საერთაშორისო სამართლებრივ მიდგომაში. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ერთი მხრივ, სიცოცხლის უფლების დეკლარირება, მისი დაცვის აუცილებლობა, და, მეორე მხრივ, სიკვდილით დასჯის გამოყენების შეზღუდვა.

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., с. 386-387.

ჩვენი აზრით, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილით დასჯის პრობლემის საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებაში დადგა მეორე და ამასთან გადამწყვეტი ეტაპი, რომლის ძირითადი ამოცანაა სიკვდილით დასჯის სრულად და საბოლოოდ გაუქმება.

ამ მხრივ საყურადღებოა გაეროს გენერალური ასამბლეის 1977 წლის 8 დეკემბრის რეზოლუცია (№32/61),[1] რომლის პირველ მუხლში ნათქვამია: გენერალური ასამბლეა კვლავ ადასტურებს, რომ მთავარი მიზანი, რომლის შესაბამისადასაც უნდა ვიმოქმედოთ სიკვდილით დასჯის საკითხში – ესაა იმ დანაშაულობათა რაოდენობის თანდათან შემცირება, რომლისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიკვდილით დასჯა, სასჯელის ამ სახეობის გაუქმების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

1984 წლის 25 მაისს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციით მიღებულ იქნა დოკუმენტი, რომელიც ადგენს სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ზომებს. ეს დოკუმენტი იმავე წლის 14 დეკემბერს მოიწონა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ.[2]

ამ საერთაშორისო სამართლებრივმა აქტმა ზოგიერთი ახალი წესი დაადგინა სიკვდილით დასჯის გამოყენების თაობაზე. დოკუმენტის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის, სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ყველაზე სერიოზული განზრახი დანაშაულისათვის, რომელსაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი. სიკვდილით დასჯის განაჩენი არ შეიძლება აღსრულდეს ორსული ქალის ან ახალშობილის დედის, აგრეთვე შეურაცხადი პირის მიმართ. ყოველ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს აპელაციისა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში, ამასთან, აუცილებელია ზომების მიღება, რათა ასეთი აპელაცია სავალდებულო გახდეს. სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულების შემთხვევაში ეს პროცედურა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ რაც შეიძლება ნაკლები ტანჯვა მიადგეს მსჯავრდებულს.

80-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზანშეწონილობის სულისკვეთებას უკვე ვეღარ პასუხობდნენ როგორც

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 394.

2 Права человека. Сборник международных договоров. Том I (часть первая). Нью-Йорк и Женева, 1994, с. 356-357.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის, ისე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დებულებები. ამიტომ 1980 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა მოწოდებას საბჭოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებისადმი, გაეუქმებინათ სიკვდილით დასჯა მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულობებისათვის. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალა, სათანადო ცვლილებები შესულიყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციაში. ზემოაღნიშნული რეზოლუცია საფუძვლად დაედო ევროპის კონვენციის მე-6 ოქმს, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად 1983 წლის 28 აპრილიდან და ძალაში შევიდა 1985 წელს, მას შემდეგ, რაც ხუთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს.[1]

ოქმის პირველი მუხლის თანახმად, „სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს. არავის არ შეიძლება მიესაჯოს სიკვდილი ან დაისაჯოს სიკვდილით.“ ოქმი ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთ გამონაკლისს ამ წესიდან, კერძოდ, მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ ოქმის ხელმომწერ სახელმწიფოს შეუძლია თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა „ომიანობის ან ომის გარდაუვალი საშიშროების დროს; ასეთი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და მისი ნორმების შესაბამისად.“

როგორც ვხედავთ, მე-6 ოქმი პირველი სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომლის ძალითაც სიკვდილით დასჯა უქმდება მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ ოქმთან შეერთება შეუძლია ევროსაბჭოს წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს.

ასეთივე ტრანსფორმაცია განიცადა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტმაც. 1980 წელს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გაეროს გენერალურ ასამბლეას შესთავაზა ამ პაქტის ფაკულტატური ოქმი. ოქმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას მშვიდობიანობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის, წარუდგინეს ადამიანის უფლებების გაეროს კომისიას 1989 წელს გაეროს სესიაზე განსახილველად.

1989 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 391-393.

საერთაშორისო პაქტის მე-2 ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე.[1]

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მე-2 ფაკულტატური ოქმის სამოტივაციო ნაწილი, რომლის თანახმად ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები: თვლიან, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს უწყობს ადამიანური ღირსების განმტკიცებას და ადამიანის უფლებათა პროგრესულ განვითარებას; დარწმუნებული არიან, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების ყველა ზომა განხილული უნდა იქნეს როგორც პროგრესი სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფაში, სურთ ამით აიღონ საერთაშორისო ვალდებულება სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად.

ევროპული კონვენციის მე-6 ოქმის მსგავსად, ამ ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად „არც ერთი პირი, რომელიც იმყოფება წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში, არ შეიძლება დაისაჯოს სიკვდილით". ეს ოქმიც ითვალისწინებს გამონაკლისს ომიანობის შემთხვევაში, რომლის დროსაც შესაძლებელია სიკვდილით დასჯის გამოყენება მძიმე სამხედრო დანაშაულისათვის.

1995 წლის 31 დეკემბრისათვის მე-2 ფაკულტატური ოქმის მონაწილეა 29 სახელმწიფო.

ორივე ზემოაღნიშნული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მსოფლიოში სიკვდილით დასჯის გაუქმების გზაზე. ამჟამად მიმდინარეობს ამ აქტებთან მსოფლიო სახელმწიფოების შეერთების პროცესი, რაც იძლევა მტკიცე გარანტიას იმისათვის, რომ ქვეყნებში, სადაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა და ეს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები რატიფიცირებულია, აღარ მოხდება სასჯელის ამ ზომის აღდგენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ამ ქვეყნებში სიკვდილით დასჯის გაუქმება, რაც უაღრესად აქტუალურია საქართველოსათვის, რომელსაც მიღებული აქვს ევროსაბჭოს სპეციალური სტუმრის სტატუსი და უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია მისი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი წვლილი, რაც შეაქვთ სიკვდილით დასჯის გაუქმების საქმეში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მათ შორის თავისი როლითა და ავტორიტეტით გამოირჩევა „საერთაშორისო ამნისტია".[2]

ეს ორგანიზაცია 1961 წელს შეიქმნა თავდაპირველად როგორც ერთჯერადი წლიური კამპანია ინგლისელი იურისტის პიტერ ბენენსონის

1 Права человека. Сборник международных договоров, с. 52-56.

2 М. Фаркухарсон. «Международная амнистия» против «убийства по закону». «Общественные науки и современность», 1991, №6, с. 152-159.

ინიციატივით, როდესაც მან ერთხელ გაზეთიდან შეიტყო თუ როგორ დააპატიმრეს ორი პორტუგალიელი სტუდენტი „თავისუფლების“ სადღეგრძელოს წარმოთქმისათვის. მართალია, ეს მოძრაობა დაიწყო როგორც წმინდა ევროპული პასუხი ადამიანის უფლებების დარღვევაზე, მაგრამ მალე იგი გადაიქცა საერთაშორისო ორგანიზაციად. ამჟამად მის საქმიანობაში მონაწილეობს მილიონზე მეტი წევრი მსოფლიოს 150 ქვეყნიდან. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში.

„საერთაშორისო ამნისტიის“ საქმიანობა ეფუძნება გაეროს მიერ შემუშავებულ და მოწონებულ პრინციპებს. მისი ძირითადი მიმართულებაა პატიმართა დახმარება, განსაკუთრებით მათი, ვის მიმართაც ხელისუფლება არღვევს ადამიანის უფლებებს. ორგანიზაციის მიზნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1) თავისუფლება ყველას, ვინც დაპატიმრებულია ან განიცდის დევნას თავისი აზრის თავისუფალი გამოხატვისათვის (სინდისის პატიმრები); 2) გადაუდებელი და სამართლიანი სასამართლო ყველა პოლიტიკური პატიმრისათვის; 3) წამების გაუქმება.

შემდგომში ზემოაღნიშნული მიზნები გაფართოვდა და 1970 წლიდან მოყოლებული ,,საერთაშორისო ამნისტია“ აქტიურად გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო ,,საერთაშორისო ამნისტიის“ სტოკჰოლმის 1977 წლის კონფერენცია, რომელმაც მიიღო დეკლარაცია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. სტოკჰოლმის დეკლარაციის თანახმად, სიკვდილით დასჯა მიჩნეულია როგორც აშკარად სასტიკ, არაჰუმანურ და ღირსების დამამცირებელ სასჯელად, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს; სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება ძალადობის აქტია, რომელიც წარმოშობს ძალადობას; სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ზომის შეფარდება და აღსრულება აბოროტებს ყველას, ვინც ამ პროცესთანაა დაკავშირებული; სიკვდილით დასჯას, როგორც ჩანს, არასდროს ჰქონია განსაკუთრებული შემაკავებელი ზემოქმედების ძალა; სიკვდილით დასჯა სულ უფრო ღებულობს სასამართლოს გარეშე დასჯისა და პოლიტიკური მკვლელობის ფორმას; სიკვდილით დასჯა შეუქცევადია და ამდენად, უდანაშაულოთა დასჯის შემთხვევაში შეუძლებელია შეცდომის გამოსწორება.

ამ დებულებებზე დაყრდნობით სტოკჰოლმის დეკლარაცია მოუწოდებს გაეროს, რათა მან პირდაპირ განაცხადოს, რომ სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. მსოფლიო ქვეყნების მთავრობებს კი მიმართავს, რომ მათ გააუქმონ სასჯელის ეს ზომა.[1]

1 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 398-399.

საყურადღებოა აგრეთვე „საერთაშორისო ამნისტიის“ დეკლარაცია სიკვდილით დასჯაში სამედიცინო პერსონალის მონაწილეობის შესახებ, რომელიც 1981 წელს მოამზადა „საერთაშორისო ამნისტიის“ სამედიცინო კონსულტაციურმა საბჭომ. ამ დოკუმენტის თანახმად, მედიცინის მუშაკთა მონაწილეობა სიკვდილით დასჯაში პროფესიული ეთიკის დარღვევაა. ამიტომ მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა სიკვდილით დასჯის აღსრულებაში.[1]

სიკვდილით დასჯა: ტენდენციები კანონმდებლობაში

მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობის განვითარებაში სიკვდილით დასჯისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით ორი ტენდენცია შეინიშნება: 1) მთელმა რიგმა ქვეყნებმა საკანონმდებლო წესით გააუქმეს სიკვდილით დასჯა; 2) იმ ქვეყნებში, სადაც ის ჯერ კიდევ არსებობს, საკმაოდ იზღუდება როგორც დანაშაულთა წრე, რომელთათვისაც გათვალისწინებულია სასჯელის ეს სახეობა, ისე სიკვდილით დასჯის გამოყენება პირთა წრის მიხედვით.

მოკლედ შევჩერდეთ ამ ტენდენციებზე:

პირველი. მსოფლიოს 180 სახელმწიფოდან ამჟამად სიკვდილით დასჯა სრულად (ყველა დანაშაულისათვის) საკანონმდებლო წესით გაუქმებულია 35 ქვეყანაში, 18 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია მშვიდობიანობის დროს, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საომარი მდგომარეობისას (არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ისრაელი, მექსიკა, იტალია და სხვ.); კიდევ 27 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია დე ფაქტო – სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება არ ხდება (ბელგია, ბოლივია, ირლანდია, საბერძნეთი, პარაგვაი და სხვ.). მაშასადამე, 80 ქვეყანაში, რაც შეადგენს მსოფლიო ქვეყნების 40 პროცენტზე მეტს, სიკვდილით დასჯა დე იურე ან დე ფაქტო არ გამოიყენება.

მეორე. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დღეისათვის მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობით საბოლოო ანგარიშში სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია 30 სახეობის დანაშაულისათვის. საყურადღებოა, რომ მარტო საბჭოთა საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამდე სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო დანაშაულის 33 სახეობაზე. ამჟამად ეს მაჩვენებელი შვიდამდე შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია

1 იქვე, გვ. 399-400.

აღინიშნება თითქმის ყველა ქვეყანაში, ამიტომ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით.

სიკვდილით დასჯის გამოყენება შეზღუდულია აგრეთვე დამნაშავის ასაკის გათვალისწინებით. მსოფლიოს 90-მდე ქვეყნის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი. ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მეტია. მაგალითად, საბერძნეთში – 21 წელი, კუბაში – 20 წელი, უნგრეთში – 20 წელი, პარაგვაიში – 22 წელი.

ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია არა მარტო მინიმალური, არამედ მაქსიმალური ასაკიც, რომლის მიღწევისას არ შეიძლება დანაშაულის ჩამდენს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა. როგორც წესი, ეს ასაკი 70 წლით განისაზღვრება.

მსოფლიოს 84 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება ქალების მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის.

მონღოლეთისა და გვატემალის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა საერთოდ არ შეიძლება შეეფარდოს ქალებს.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პაკისტანში, ირანში და ერაყში სიკვდილით დასჯის გამოყენება დაშვებულია იმ პირთა მიმართ, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ.

როგორია ქართული კანონმდებლობის განვლილი გზა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით?

უაღრესად საყურადღებოა ამ მხრივ ძველი ქართული სამართალი. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ თამარ მეფეს საქართველოში არა მარტო სიკვდილით დასჯა მოუსპია, არამედ სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაც აუკრძალავს. მსგავსი სასჯელები ლაშა-გიორგის დროსაც არ გამოუყენებიათ. რუსთაველის ეპოქის საქართველოს მართლშეგნების ჰუმანურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს მეფისათვის სასახელოდ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯის აკრძალვა.

1918-1921 წლებში დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში სიკვდილით დასჯისადმი კანონმდებლობის დამოკიდებულებაში ორი მომენტია საყურადღებო.

პირველი. კონსტიტუციის მიღებამდე სიკვდილით დასჯა დემოკრატიული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო.

კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 5 ივლისის კანონი ,,სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის“. ამ კანონის მიხედვით, სიკვდილით დასჯა, რომელიც დროებით სასჯელის ზომად განიხილებოდა, გათვალისწინებული იყო 8 სახეობის დანაშაულისათვის: სამშობლოს ღალატისათვის, დემოკრატიული წეს-წყობილების ძალადობით შეცვლის მცდელობისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურებისათვის (რკინიგზა, ტელეგრაფი, ნავსადგურის შენობები და ა.შ.), ყაჩაღობისა და ძარცვისათვის და ომიანობის დროს ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისათვის.[1]

მეორე. საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით სიკვდილით დასჯა სრულად გაუქმდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამასთან ერთად განსახილველი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც. სიკვდილით დასჯის გამოყენება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში საბჭოთა საქართველოში ისეთივე იყო, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების პრეროგატივა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა.

როგორი იყო საბჭოთა კანონმდებლობის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯისადმი?

აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნებოდა: ერთი მხრივ, კანონმდებლობა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე სიკვდილით დასჯას განსაკუთრებულ ღონისძიებად მიიჩნევდა, რომლის გამოყენება თითქოს ხდებოდა დროებით, მის სრულ გაუქმებამდე; მეორე მხრივ, კანონმდებლობის განვითარების კვალობაზე, სულ უფრო იზრდებოდა იმ დანაშაულთა სახეობების რაოდენობა, რომლისთვისაც შეიძლებოდა სიკვდილით დასჯის გამოყენება. გადავხედოთ ისტორიას. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე სიკვდილით დასჯა სამჯერ გაუქმდა (1917, 1920 და 1947 წლებში). აქედან ყველაზე ხანგრძლივი ბოლო გაუქმება გამოდგა – თითქმის 3 წელი. 1950 წლიდან სიკვდილით დასჯა კვლავ შემოიღეს. 1950-1962 წლებში იგი გათვალისწინებულ იქნა დანაშაულის 16 სახეობისათვის. საკმაო პაუზის შემდეგ, 1973 წელს, სიკვდილით დასჯად დანაშაულთა რაოდენობა კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა.

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990, გვ. 43-44.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე.ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, გათვალისწინებული იყო 33 სახეობის დანაშაულისათვის. აქედან 17 შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა სამხედრო დანაშაულის ჩადენა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობით დანაშაულებთან ერთად სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო აგრეთვე ე.წ. ქონებრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად, სოციალისტური ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (96[1] მუხლი), ქრთამის აღებისათვის (189-ე მუხლი) და სხვ.

90-იანი წლების დამდეგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანას მიეცა საშუალება თავად გადაეწყვიტა სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პირველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 20 მარტის კანონით სიკვდილით დასჯა გააუქმა 4 სახეობის დანაშაულისათვის: ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (88-ე მუხლი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (89-ე მუხლი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება (96[1] მუხლი), ქრთამის აღება (189-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის სამხედრო დანაშაულის თავმა. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ერთი სამხედრო დანაშაულისათვის, კერძოდ უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის (258-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობა და მისი ამოქმედება არსებული რეალობების გათვალისწინებით. სამხედრო საბჭოს იმავე წლის 24 თებერვლის დადგენილებით ,,მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა გარდა მისი იმ ნაწილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს“. ამ კონსტიტუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სიკვდილით დასჯისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მაშასადამე უნდა ვი-

გულისხმოთ, რომ იმ მომენტისათვის სიკვდილით დასჯა კანონის უზენაესობის გათვალისწინებით გაუქმებული იყო. თუმცა სულ რამდენიმე თვეში, კერძოდ, 1992 წლის 17 ივნისს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განიმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს არსებული კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა და სახეები კანონით დადგენილი წესით მათ გაუქმებამდე ან შეცვლამდე“. როგორც ვხედავთ, ამ აქტით სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა შენარჩუნებული. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 17 მარტისა და იმავე წლის 8 ივლისის კანონებით მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი, სახელდობრ, დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66[1] მუხლი) და გენოციდი (65[1] მუხლი), რომლებიც სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებენ.

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დროს, როდესაც გახშირდა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის ფაქტები, 1993 წლის 2 ნოემბერს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება „საომარი მოქმედების რაიონებში მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ“. ეს ბრძანება ითვალისწინებდა დროებითი ღონისძიების სახით საგანგებო ზომებს მაროდიორობისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების მიმართ. ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად „იმ სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციელებისა და მაროდიორობასა და ძალადობაში შენიშნული მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებს, ადგილზევე იქნეს გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათი ფიზიკურად განადგურების ჩათვლით“.

ზემოაღნიშნულ ბრძანებას კრიტიკული შეფასება მისცა „საერთაშორისო ამნისტიამ”. საქართველოში სიკვდილით დასჯის მდგომარეობის შესახებ ,,საერთაშორისო ამნისტიის“ 1994 წლის იანვრის ბიულეტენში ნათქვამია, რომ, მართალია, ამ ბრძანების მიზანია პოლიციელებისა და სამხედრო მოსამსახურეების ძალადობისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, მაგრამ ამასთან საჭიროა საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა და

თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების დაცვა. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით ყველა ბრალდებულის საქმის სასამართლო წესით განხილვის უზრუნველყოფისათვის.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ. კერძოდ, ამ კონსტიტუციის აღდგენა მოასწავებდა სიკვდილით დასჯის უპირობო გაუქმებას. სასჯელის უმაღლეს ზომად ასეთ შემთხვევაში რჩებოდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს იმდენად არატოლფასი მონაცვლეობა იყო სასჯელთა სისტემაში, რომ მან საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა ე.წ. ლინჩის წესით ადამიანების გასამართლების შემთხვევებში. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არ შეიძლება სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება სანაცვლო სასჯელის შემოღების გარეშე. თუ როგორი უნდა იყოს ეს სასჯელი, ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პერიოდში (1995 წ.) სიკვდილით დასჯის პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება კვლავ უაღრესად აქტუალური გახდა. პრობლემის აქტუალურობას ძირითადად ორი მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, საქართველოს ახალი კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობდა სიკვდილით დასჯისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, და მეორე, საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ადამიანის სიცოცხლის უფლების დაფიქსირება ლოგიკურად ითხოვდა სიკვდილით დასჯის პრობლემაზე პასუხის გაცემას.

ამასთან დაკავშირებით როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ისე პარლამენტში სამი ძირითადი მოსაზრება ჩამოყალიბდა:

1. რადგანაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ერთ-ერთი პირველი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე;

2. მეორე მოსაზრების თანახმად კონსტიტუციაში ადამიანის სიცოცხლის უფლების საკითხის გადმოცემისას უნდა დაფიქ-

სირებულიყო სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლებიც. ამ შეხედულების ავტორები პრინციპულად მხარს უჭერდნენ სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახეობის არსებობას, მაგრამ, ამასთანავე, მოითხოვდნენ კონსტიტუციის დონეზე მისი გამოყენების ფარგლების დადგენას, რათა შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებისას მკაცრად შეეზღუდათ კანონმდებელი სასჯელის ამ სახეობის გამოყენების შემთხვევების განსაზღვრაში;

3. მესამე მოსაზრების თანახმად კონსტიტუციაში არ უნდა დაფიქსირებულიყო სიკვდილით დასჯა რაიმე პოზიტიური სახით. ამ წინადადების ავტორები მოითხოვდნენ, რომ სიკვდილით დასჯის საკითხი არ გამხდარიყო კონსტიტუციური რეგულირების საგანი და ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად მიენდოთ სისხლის სამართლის კოდექსისათვის, რომლის პროექტზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ ავტორთა აზრით კონსტიტუციაში გადმოცემული უნდა ყოფილიყო ადამიანის სიცოცხლის უფლება და ამასთანავე დებულება იმის თაობაზე, რომ არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. ამ წინადადების ავტორი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, ამ მოსაზრებას ვიზიარებდი მეც. სიკვდილით დასჯის პრობლემისადმი საკონსტიტუციო კომისიის, აგრეთვე პარლამენტის წევრთა დამოკიდებულების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ საკითხზე დისკუსიაში ვერ გაიმარჯვებდა ვერც სიკვდილით დასჯის მომხრეები და ვერც მისი მოწინააღმდეგეები. შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგად მიღებულ იქნა ის ფორმულირება, რომელიც ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-5 მუხლშია დაფიქსირებული. სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ კონსტიტუციის დებულება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი;

ბ) სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებაა;

გ) სიკვდილით დასჯის გამოყენება ხდება დროებით, მის სრულ გაუქმებამდე;

დ) სიკვდილით დასჯა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ორგანული კანონით;

ე) სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

ვ) სიკვდილით დასჯის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებიდან 1996 წლის 11 დეკემბრამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 13 დანაშაულისათვის, სახელდობრ, სიკვდილით ისჯებოდა: სამშობლოს ღალატი (65-ე მუხლი), გენოციდი (65[1] მუხლი), ჯაშუშობა (66-ე მუხლი), დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66[1] მუხლი), ტერორისტული აქტი (67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხლი), დივერსია (69-ე მუხლი), ბანდიტიზმი (78-ე მუხლი), მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (78[1] მუხლი), განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი), გაუპატიურება (117-ე მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209[1] მუხლი), წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (258-ე მუხლი). ეს უკანასკნელი დანაშაული განეკუთვნება სამხედრო დანაშაულის კატეგორიას და სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ იგი დაკავშირებულია უფროსის განზრახ მკვლელობასთან ან ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში. სიკვდილით დასჯის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გზების ძიებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონი ,,საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის პირველი თებერვლიდან.

ამ კანონის მიღებას წინ უსწრებდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 10 დეკემბრის წერილი საქართველოს პარლამენტისადმი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელშიც. აღნიშნული იყო: „ამჟამად. საქართველოში მოქმედებს ფაქტობრივი მორატორიუმი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაზე და იგი ძალაში დარჩება მანამ, ვიდრე საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი სისხლის სამართლის კოდექსის განხილვისას.“

ზემოაღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლები და ამასთან არსებითი ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემაში.

პირველად საქართველოს კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეობა – უვადო თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება ვადიან თავისუფლების აღკვეთას, კანონის თანახმად, იგი შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ სამი თვის და არა უმეტეს ოცი წლის ვადით. სიკვდილით დასჯის ან უვადო თავისუფლების აღკვეთის, შეწყალების წესით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლისას, იგი შეიძლება დაინიშნოს ოც წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ოცდახუთი წლისა.

კანონის მიხედვით, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების, სიკვდილით დასჯის – დახვრეტის გამოყენება, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება მხოლოდ განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში. ამასთან, სიკვდილით დასჯა საერთოდ არ შეიძლება მიესაჯოს ქალს, ხოლო მამაკაცს – რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან განაჩენის გამოტანის დღისათვის შეუსრულდა სამოცდახუთი წელი.

ამის შესაბამისად სიკვდილით დასჯა შეიცვალა უვადო ან ვადიან თავისუფლების აღკვეთით მთელი რიგი დანაშაულობებისათვის. კერძოდ, ასეთი ცვლილება შეეხო 65-ე მუხლს (სამშობლოს ღალატი), 66[1] მუხლს (დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში), 78-ე მუხლს (ბანდიტიზმი), 78[1] მუხლს (მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში), 117-ე მუხლს (გაუპატიურება).

სიკვდილით დასჯის მომხრეები და მოწინააღმდეგენი

2500 წლის წინათ საბერძნეთში პელოპონესის ომის დროს კუნძულ ლესბოსის ქალაქი მიტილენი აუჯანყდა ათენს და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. ათენელებმა დაიპყრეს მიტილენი და განიზრახეს ღალატისათვის ქალაქის ყველა მამაკაცი სიკვდილით დაესაჯათ, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად ექციათ.

სახალხო კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. კლეონმა მხარი დაუჭირა აჯანყებულთა სიკვდილით დასჯას, დიოდოტე კი სიკვდილით

დასჯის წინააღმდეგი გამოვიდა. ამ დისპუტში დიოდოტემ გაიმარჯვა. ათენის სახალხო კრებამ სიკვდილით დასჯის ვერდიქტი არ გამოიტანა.

ეს ფაქტი, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიის ანალებში სადღაც დაიკარგა და დავიწყებას მიეცა, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით ერთ-ერთი პირველი საჯარო პოლემიკაა სიკვდილით დასჯის თაობაზე.[1]

კაცობრიობამ დღემდე ეს პრობლემა ბოლომდე ვერ გადაჭრა და მე-20 საუკუნის მიწურულს იგი კვლავ რჩება მისი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დისკუსიის საგნად. ნიშანდობლივია, რომ 2500 წლის შემდეგ იმავე საბერძნეთში სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით დაშვებულია (მათ შორის, მტერთან შეთანხმებისათვის ომის დროს), თუმცა პრაქტიკაში სასჯელის ეს სახეობა 1972 წლის შემდეგ არ გამოიყენება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. მათი შედარება, ვფიქრობ, დაგვეხმარება სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლების წინ ჩვენი წინადადება შევთავაზოთ კანონმდებელს სასჯელის უმაღლესი ზომის საკითხის თაობაზე.

ცნობილია, რომ სასჯელის მიზნებია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედება (კერძო პრევენცია), და მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილება, რომ მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს სასჯელი ვერ აღწევს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. დამნაშავეს ფიზიკურად სპობენ, მას არ რჩება გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. დამნაშავის დასჯა ასეთ შემთხვევაში ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეობას, რჩება მხოლოდ ზოგადპრევენციული როლის შესრულება. მაგრამ როგორ ასრულებს იგი ამ როლს? როგორია მისი შესაძლებლობანი?

სიკვდილით დასჯის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, მძიმე დანაშაულების რაოდენობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგან სიცოცხლე ყველაზე

1 Смертная казнь: за и против. М., 1989, с. 10-11; Античная Греция. «Наука», 1983, с. 348.

ძვირფასი სიკეთეა, რაც კი ადამიანს გააჩნია, ამიტომ დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა. ეს არგუმენტი ერთი შეხედვით იმდენად დამაჯერებელია, რომ, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართოდ გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზი გახდა. სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობის გადამეტფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყანაში ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ, განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ მოსახლეობის თანდასწრებით. ამასთანავე, დამნაშავეს სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებდა. შედეგი: დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელო გამარჯვებაც ვერ იქნა მოპოვებული. დამნაშავის დასჯისას, აღნიშნავდა ჟან-პოლ მარატი, მართლმსაჯულება უნდა ისწრაფვოდეს, რომ კანონის დამრღვევზე შური კი არ იძიოს, არამედ იზრუნოს იმაზე, რომ მან თავი შეიკავოს სამართალდარღვევისაგან. ნუთუ ის დანაშაულობანი, რომელთა ჩადენაც უსასტიკესი ფორმებით ისჯება, ამის გამო ნაკლებ გავრცელებული გახდა? თვით საჯაროდ დასჯასაც, წერს იგი, არა აქვს ყოველთვის გამაფრთხილებელი ძალა. რამდენჯერ ჩაუდენიათ ეშაფოტთან შეკრებილ ხალხს ისეთი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრდებულს იქვე სიკვდილით სჯიდნენ.[1]

ძნელად თუ შესძლებს დღეს რომელიმე მკვლევარი ისეთი სტატისტიკური მონაცემების მოტანას, რომლებიც დაადასტურებენ დამნაშავეობის რიცხვის შემცირებას სიკვდილით დასჯის შემოღების შედეგად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დამნაშავეობის სტატისტიკაში საწინააღმდეგო ფაქტები კი საკმაოდაა. ამას მოწმობს თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევები. კვლევის შედეგები ცხადად გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას არ გამოუწვევია დანაშაულობათა რიცხვის ზრდა.

ამერიკელი სენატორი ჰარტი, რომელიც მოითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას, აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობანი თანაბარი რაოდენობით აღინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია

1 Ж.-П. Марат. План уголовного законодательства, М., 1951, с. 47-48. მარატს იქვე მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, ტულუზში, სახრჩობელის პლატფორმის ქვეშ წლების განმავლობაში იმალებოდა მკვლელების მთელი ბანდა.

სიკვდილით დასჯა, და იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი გაუქმებულია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილით დასჯის გამოყენება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ სხვა ფაქტორები. ჰარტს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავს ასეთი მაგალითი: პატიმარმა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა დახმარება გაეწია ელექტროსკამზე დასჯის აღსრულებაში, რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა მის გასაუმჯობესებლად. როცა იგი შემდგომ ვადამდე პირობით გაათავისუფლეს, ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. იგი დააბრუნეს ციხეში და დასაჯეს მის მიერ გაუმჯობესებულ ელექტროსკამზე.[1]

მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. ამიტომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღებასა თუ გაუქმებასთან სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის საბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება არ არის გამართლებული.

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა ამ სასჯელის საჯაროდ აღსრულებაშია. მაგრამ დღესდღეობით თითქმის ყველა ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება.[2] უფრო მეტიც, ხშირად ცნობაც კი არ ქვეყნდება მისი სისრულეში მოყვანის შესახებ. თავისთავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულებას არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი, მაშინ რაღასღა უნდა მოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან? სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების მომენტი,

1 Hart. Abolishment of Death Penalty under all laws of the United States. “Congressional Record”, 1966, Vol. 112, N119.

2 მართალია, მრავალ ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, იქ მოქმედი კანონების თანახმად, სკვდილით დასჯის განაჩენი ციხეში უნდა აღსრულდეს, მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში 18 ქვეყანაში მაინც სიკვდილით დასჯა საჯაროდ აღასრულეს (კამერუნი, ჩინეთი, გაბონი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ლიბერია, ლიბია, მავრიტანია, ნიგერია, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სომალი, სუდანი, სირია, უგანდა, გაერთიანებული არაბთა ემირატები, იემენის არაბთა რესპუბლიკა).

მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციებიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა.

როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს სასჯელის მეორე მიზანსაც, რომელიც ზოგად პრევენციაში, საზოგადოების წევრთა გაფრთხილებაში მდგომარეობს. ამდენად იგი თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილით დასჯა სასჯელის იმდენად უკიდურესი ზომაა, რომ იგი თავისი თავის საწინააღმდეგო მოვლენაში გადადის.

მაშ რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს სიკვდილით დასჯას? რა მიზნებს ემსახურება იგი?

სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ სასჯელის ეს ზომა საჭიროა საზოგადოების უშიშროებისათვის. კერძოდ, მისი გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა შეუძლებელია. ამიტომ, საზოგადოებას უფლება აქვს თავი დაიცვას მათგან. ასეთ შემთხვევებში სოციალური დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად დამნაშავის სიკვდილით დასჯა მიაჩნიათ.

ამგვარად, სიკვდილით დასჯა მიჩნეულია სოციალური დაცვის იძულებით ღონისძიებად. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთ-ერთი ინგლისელი მოსამართლის სიტყვები: თუ თქვენ დამნაშავეს ინგლისის ციხეში მოათავსებთ, მალე მისგან მიიღებთ უარეს პიროვნებას დამნაშავის მთელი კომპლექსებით. ხოლო თუკი მათ გადაასახლებთ ოკეანის გაღმა ტერიტორიებში, ამით კიდევ უფრო გაამრავლებთ დამნაშავეობის თესლს და გარყვნით ხალხებს, რომლებიც პატიოსნად ცხოვრობდნენ. დღევანდელ საზოგადოებაში არ არის საშიში დამნაშავის გამოსწორების საშუალება, ამიტომ საზოგადოებისთვისაც და დამნაშავისთვისაც უკეთესი იქნება, თუკი მას ჩამოახრჩობენ.[1] უფრო პირდაპირ და გარკვევით ამის თაობაზე წერდა რუსი იურისტი, პროფესორი ს. ბარშევი. მისი აზრით, მხოლოდ სიკვდილით დასჯა, რომელიც ფიზიკურ საშუალებას უსპობს დამნაშავეს კვლავ ჩაიდინოს დანაშაული, შეიძლება განხილულ იქნეს სასჯელის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ სახეობად.[2]

საზოგადოების დაცვისა და მის წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს, რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი გამოყენება ამ

1 Godwin. Crime and Social Action. London, 1956, p. 115.
2 С.Б. Баршев. О мере наказаний. М., 1840, с. 15.

მიზნით. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს როგორც ,,ცოფიანი ძაღლი“.[1]

ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, „თითოეული დამნაშავე, თავს ესხმის რა საზოგადოებრივ სამართალს, თავისი დანაშაულის წყალობით იქცევა მეამბოხედ და სამშობლოს გამცემად; არღვევს რა ამ უკანასკნელის კანონებს, იგი უკვე აღარაა მისი წევრი; იგი ებმის მის წინააღმდეგ ომში. ასეთ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელი ხდება დამნაშავის არსებობასთან; აუცილებელია ერთ-ერთი მათგანი დაიღუპოს; და როცა დამნაშავეს სჯიან, მას სიცოცხლეს ართმევენ როგორც მტერს და არა როგორც მოქალაქეს“.[2] რუსოს ეს შეხედულება შემდეგში გაიზიარა ცნობილმა დეკაბრისტმა ა. კუნიცინმა. მისი აზრით, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახელმწიფოს მტერი ხდება. თუ გარეშე მტრების მოკვლა ნებადართულია, რატომ არ შეიძლება შინაური მტრების განადგურება? – წერს იგი.[3] ამავე მოსაზრებით სიკვდილით დასჯის გამოყენებას მხარს უჭერდა ჩეზარე ბეკარია[4] და სხვები.

ამ არგუმენტზე დღესაც დაბეჯითებით მიუთითებენ სიკვდილით დასჯის მომხრენი. ბოლო წლებში საამისო მაგალითად ხშირად მოჰყავთ ვინმე მიხასევიჩის საქმე (ბელორუსია). ამ დამნაშავემ სხვადასხვა დროს 23 ქალი მოკლა. იგი სიკვდილით დასაჯეს.

სიკვდილით დასჯის მომხრენი სხვა არგუმენტებსაც იშველიებენ. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას. ამიტომ, მათი აზრით, რადგანაც დამნაშავეს უნდა მიეზღოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, ამდენად მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულებისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა.

სასჯელის ასეთი გაგება განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების კანტისა და ჰეგელის შრომებში. კანტი სასჯელის საფუძვლად მიიჩნევდა ჩადენილი დანაშაულის შესაბამის შურისძიებას, სამაგიეროს მიზღვას. თუ დამნაშავე ვინმეს კლავს, – აღნიშნავდა კანტი, – იგი უწინარეს ყოვლისა კლავს საკუთარ თავს. მხოლოდ სრულ შურისძიებას შეუძლია ზუსტად

1 Ф.М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу. М., 1956, с. 225.
2 Ж.-Ж. Руссо. Об общественном договоре. М., 1938, с. 29.
3 Избранные социально-политические и философские произведения декабристов. М., 1951, с. 618.
4 Чезаре Беккариа. О преступлениях и наказаниях. М., 1939, с. 316-317.

დაადგინოს სასჯელის ზომა და ხარისხი. შურისძიება ბოროტებით ბოროტის წინააღმდეგ არის სასჯელის საფუძველი. რამდენი მკვლელია, დაასკვნის კანტი, იმდენი უნდა დავსაჯოთ სიკვდილით: ასე სურს სამართლიანობას.[1]

ჰეგელის მიხედვით, დამნაშავე სამართლის დარღვევას აცხადებს თავის უფლებად. მისი დანაშაული სამართლის უარყოფაა, ხოლო სასჯელი ამ „უარყოფის უარყოფა“, „მოხსნილი დანაშაული“, დარღვეული სამართლის აღდგენა. ამის საფუძველზე ჰეგელი სასჯელს მიიჩნევდა შურისძიებად, სამაგიეროს მიზღვად ჩადენილი ქმედებისათვის. ამიტომ მკვლელობა, ჰეგელის აზრით, აუცილებლად სიკვდილით უნდა ისჯებოდეს.[2]

სიკვდილით დასჯის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს სასჯელი ერთადერთია, რომლის გამოყენებაც შეიძლება განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. შეუძლებელია სიკვდილით დასჯის შეცვლა სასჯელის ისეთი სახეობით, რომელიც მისი ეკვივალენტი იქნება. რაც შეეხება სამუდამო პატიმრობას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი სიკვდილით დასჯის მომხრეებს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სთავაზობს, მას მიუღებლად თვლიან შემდეგი გარემოებების გამო:

ჯერ ერთი, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება, ე.ი. მისი მოსპობა საზოგადოების გარკვეულ მორალურ კმაყოფილებას იწვევს. ამ აქტით ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მორალურად უფრო მაღლა დგანან დამნაშავეზე. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს ვერ შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენს სიცოცხლის უფლება ჰქონდეს. საზოგადოებრივი აზრი რომ იწონებს სიკვდილით დასჯას, ამას მოწმობს როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, ისე სხვადასხვა ფაქტები, მაგალითად, როცა თავად ხალხს შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა ბოროტი დამნაშავის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვ.

მეორე, სიკვდილით დასჯა უფრო საიმედოა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა, რადგანაც სამუდამო პატიმრობის დროს მსჯავრდებულს შესაძლებელია შეეხოს ამნისტია.

---

1 Кант. Метафизика нравов. Метафизические начала учения о праве. СПб, 1903, с. 58-59.

2 Гегель. Философия права. Соч., т. VII, с. 115-117. Нерсесянц. Гегелевская философия права. М., 1974, с. 81-82.

მესამე, სიკვდილით დასჯა უფრო ეკონომიურია, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. სიკვდილით დასჯის შეცვლა სამუდამო პატიმრობით იწვევს იმას, რომ განსაკუთრებით საშიში დამნაშავის შენახვა მძიმე ტვირთად აწვება იმ საზოგადოებას, რომელსაც მან ზიანი მიაყენა.

მეოთხე, გარკვეული თვალსაზრისით სამუდამო პატიმრობა უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა ზნეობრივად და ფსიქოლოგიურად უფრო ჰუმანური საშუალებაა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა.

რამდენად ყურადსაღებია ზემოაღნიშნული არგუმენტები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას, ჩვენი აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

პირველი. საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრების საქციელისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალურ გარემოში, სადაც მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით ცხოვრებაში. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ მთელ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა იზრუნოს მისი გამოსწორებისა და დამნაშავეობის მიზეზების აღმოფხვრისათვის. გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით მათი გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია.

მეორე. ბოროტი დამნაშავისაგან საზოგადოების დასაცავად, მართალია, საჭიროა აუცილებელი დასაიმედო ღონისძიებების გატარება, მათ შორის სისხლის სამართლის მკაცრი ზომებისა, მაგრამ ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ამის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია სხვა საშუალებებით, გარდა სიკვდილით დასჯისა, მაგალითად, საზოგადოებისაგან დამნაშავის ხანგრძლივი იზოლირებით. ყოველ შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ის ფაქტი, რომ მისი სახელით გამოტანილი განაჩენის საფუძველზე სიცოცხლე მოუსპონ ადამიანს, თუნდაც ბოროტ დამნაშავეს. სახელმწიფომ პირიქით, მაგალითი უნდა უჩვენოს საზოგადოებას, რომ არავის (მათ შორის სახელმწიფოსაც) არა აქვს უფლება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისა.

ამ არგუმენტზე მიუთითებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტისადმი 1996 წლის აპრილში გაგზავნილ წერილში: „ღვთის ერთ-

ერთი მცნებაა: ‚არა კაც ჰკლა“. ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს, ანუ ღმერთს“.

მესამე. ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი აზრი ზოგჯერ იწონებს სიკვდილით დასჯას, საკმაო არგუმენტად არ გამოდგება ამ სასჯელის გამოყენების აუცილებლობის დასასაბუთებლად. საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის როდია სანდო. მას ხშირად სათანადო ფორმირება სჭირდება. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იწონებს სიკვდილით დასჯას, იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის მართლშეგნება არცთუ სასურველ დონეზეა. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხის გადაწყვეტისას საზოგადოებრივ აზრზე ხელაღებით დაყრდნობა არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ მასში ხშირად ჭარბობს ემოციური მომენტები, ვიდრე საკითხის გადაჭრის რაციონალური მოსაზრებები. აქ სწორედ კანონმდებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და სათანადო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე.

მეოთხე. სასჯელთა სისტემის განსაზღვრა სამაგიეროს გადახდისა და შურისძიების პრინციპების საფუძველზე ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ვერავინ განსაზღვრავს თუ რომელი (ან როგორი) სასჯელი უდრის ზუსტად ამა თუ იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ამაზე მეტყველებს თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში, ან ერთ ქვეყანაში სხვადასხვა დროს. სასჯელის, როგორც დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის საშუალებად გაგებას, უცილობლად მივყავართ ტალიონის პრინციპის გამართლებამდე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, როცა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის ერთადერთ სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას მიიჩნევენ. ტალიონის პრინციპი გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოიშვა და შემდგომში გავრცელდა მონათმფლობელურ და ფეოდალურ სამართალში. იგი გამოიხატებოდა ფორმულით: „სისხლი სისხლისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“, ე.ი. გულისხმობდა დანაშაულისათვის თანაბარზომიერ მისაგებელს, უფრო სწორად, დამნაშავისათვის ზუსტად იმის მიზღვას, რა ვნებასაც მიაყენებდა იგი დაზარალებულს. როგორც ვხედავთ, ეს პრინციპი მართლშეგნების განვითარებაში კარგა ხნის წინათ განვლილი ეტაპია. ამიტომ მისი აღორძინება და დღევანდელ საზოგადოებაში

მისი მოთხოვნების საფუძველზე სასჯელის საკითხების გადაწყვეტა უდავოდ უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მეხუთე და რაც მთავარია. სიკვდილით დასჯა სასჯელის ისეთი სახეობაა, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არც თუ ისე იშვიათია. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც იგივე მიხასევიჩის საქმე. სანამ სამძებრო და საგამოძიებო ორგანოები ნამდვილი დამნაშავის, მიხასევიჩის პიროვნებას დაადგენდნენ, მის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის რამდენიმე უდანაშაულო პიროვნება გაასამართლეს. ერთმა 10 წელი გაატარა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მეორემ თითქმის 6 წელი და ამასთანავე სამუდამოდ დაბრმავდა, მესამე სიკვდილით დასაჯეს.[1]

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1987 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 1900-1985 წლებში იმ დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირებიდან, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, 350 უდანაშაულო იყო. აქედან ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის აღსრულება თითქმის ბოლო წუთებში იქნა შეჩერებული, ხოლო 23 პირის მიმართ სიკვდილით დასჯის განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.[2]

ასეთი შეცდომებისაგან არც მომავალში ვართ დაზღვეული. შესაბამისად, სანამ ეს სასჯელი იარსებებს, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ვფიქრობთ, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე.

ახლა რაც შეეხება საკითხს, თუ რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილით დასჯა, კერძოდ, რომელი სასჯელი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი. სიკვდილით დასჯის სანაცვლო სასჯელის ზომად გვესახება სამუდამო პატიმრობა. იგი არანაკლებ მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა და ამასთან უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა უშიშროებას.

ცნობილია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც სიკვდილმისჯილებმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე სიკვდილით დასჯის განაჩენის სამუდამო პატიმრობით შეცვლისას. ზოგიერთს

---

1 სიკვდილით დასჯის მომხრეები ამ არგუმენტის საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ ჯერ ერთი ასეთი შეცდომა იშვიათია და, მეორეც, თუ დავდებთ სასწორზე ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც დაცულია სიკვდილით დასჯის არსებობით და იმ უდანაშაულოთა სიცოცხლეს, რომლებიც შეცდომით არიან სიკვდილით დასჯილნი – პირველი ყოველთვის გადასწონის მეორეს. გამომდინარე აქედან, სიკვდილით დასჯის გამოყენება, მათი აზრით, უფრო შეესაბამება კაცთმოყვარეობას, ვიდრე მისი გაუქმება.

2 Когда убивает государство... Смертная казнь против прав человека. М., 1989, с. 73.

მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობა სასჯელის არაეკონომიური სახეობაა და შესაბამისად უფრო იაფია მსჯავრდებულის მოკვლა, ვიდრე მისი სამუდამოდ შენახვა საპყრობილეში. ჯერ ერთი, ეს ისეთი საკითხია, როცა ფინანსური მოსაზრებები არგუმენტად არ გამოდგება; მეორეც, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით სიკვდილით დასჯის გამოყენება უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. კერძოდ, 1982 წელს ნიუ-იორკის შტატში ამ საკითხის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა და მისი გასაჩივრების პირველი სტადია გადასახადის გადამხდელებს საშუალოდ უჯდებათ 1,8 მლნ დოლარი, რაც ორჯერ აღემატება ერთი პატიმრის სამუდამოდ შენახვას.[1]

დასასრულს, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და საერთოდ ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას, აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. არც თუ ისე შორეულ წარსულში წამება გამართლებული იყო ჭეშმარიტების დასადგენად. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელ მნიშვნელობაში ეჭვი შეეპარათ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ისინი ზნეობრივად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმას, ცეცხლზე დაწვას და სიკვდილით დასჯის სხვა სახეობების აღდგენას მოითხოვს. უდავოდ ზნეობრივ ანაქრონიზმთან გვექნება საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლშეგნების პირველყოფილ მდგომარეობაზე. ამიტომ სიკვდილით დასჯის საკითხი საბოლოო ანგარიშით შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელ თუ სხვაგვარ მნიშვნელობაზე კამათს. მთავარია, რომ მის არსებობას ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია. ამიტომ იგი მთლიანად და სამუდამოდ უნდა გაუქმდეს.

ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა, – წერდა ილია ჭავჭავაძე, – აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად[2].

---

1 ამ საკითხზე იხ. В.Е. Квашис. Смертная казнь в США. «Государство и право», 1996, №9, с. 106.

2 ილიას წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი, 1898 წლის ნოემბერი, ,,მნათობი“, 1957, № 9, გვ. 157.

7. სიკვდილით დასჯა ქართულ სამართალში

სიკვდილით დასჯა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ესა თუ ის სახელმწიფო თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე კონკრეტული დროისა და პირობების შესაბამის სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ახორციელებდა, რაც ყველაზე უფრო ნათლად სასჯელთა სისტემით, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომის – სიკვდილით დასჯის გამოყენებაში გამოიხატებოდა. სიკვდილით დასჯის გამოყენება, მისი ფარგლები და ინტენსივობა, ჩვენი აზრით, საკმაო წარმოდგენას იძლევა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჰუმანურობაზე, მის მიმართულებაზე. იგი უტყუარი მაჩვენებელია იმისა, თუ რას ანიჭებს უპირატესობას კანონმდებელი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში – სასჯელის სიმკაცრეს თუ მის გარდაუვალობას. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რა ადგილს იკავებდა სიკვდილით დასჯა ქართული სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში, რა მნიშვნელობას ანიჭებდა მას კანონმდებელი, საერთოდ, როგორია ქართული კანონმდებლობის დამოკიდებულება სისხლის სამართლის სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის მიმართ.

საქართველო არ გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯის სახეობების მრავალფეროვნებით, არც სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებისადმი მიდრეკილება გამოუჩენია ჩვენს კანონმდებელს. განვლილი ეპოქის საკანონმდებლო აქტებსა და პრაქტიკაში აღნიშნულია სიკვდილით დასჯის მხოლოდ რამდენიმე სახეობა: ჩაქოლვა, თავის მოკვეთა, ჩამოხრჩობა და კლდიდან გადმოგდება.

საქართველოში ჩაქოლვის გამოყენების შემთხვევის შესახებ გვამცნობს ერთ-ერთი უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლი „კოლაელ ყრმათა წამება“ (მე-V საუკუნე ახ. წ.). თხზულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ასახავს. მასში გადმოცემულია, თუ როგორ ჩაქოლეს ცხრა ძმა ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისათვის.[11] ჩაქოლვა გამოიყენებოდა აგრეთვე სქესობრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად, სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წლის წიგნში ნათქვამია: ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის დამნაშავენი „ქვით ჩაიქოლონო“.[2]

1 იხ. ქართული პროზა. წიგნი I, თბილისი, 1982, გვ. 183-186; გ. ნადარეიშვილი, სიკვდილით დასჯა და მისი სახეები XI-XII საუკუნეების საქართველოში, „მაცნე“, 1967, №6, გვ. 98-99.

2 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 244.

საქართველოში სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთით დაწესებული იყო მეფის შეურაცხყოფისათვის. თამარ მეფის ისტორიკოსი - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი წერს, რომ რუმის სულთანმა საქართველოს მეფეს ელჩის პირით მუქარა შემოუთვალა: „და ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფეს თანა – თამარისა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იწყო არასაკადრებელთა სიტყუათა თქმად: „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა“. ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქნა ხელითა პირსა და ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერეღა – თავისა კადნიერად კადრებისათვის“. ამის მიუხედავად, ელჩი „შემოსეს და ნიჭი უბოძეს“, მაგრამ „წარგზავნეს პასუხითა მწუავითა“.[1] როგორც აღნიშნული წყაროდან ირკვევა, მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის საქართველოში ორმაგი სასჯელი ყოფილა დაწესებული: ენის მოჭრა და თავის მოკვეთა. ენის მოჭრა ამ შემთხვევაში, როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, დამატებითი სასჯელია. ძირითადი სასჯელი კი მეფის შეურაცხყოფისათვის იყო სიკვდილით დასჯა თავის მოკვეთით.[2] თავის მოკვეთა საქართველოში დაწესებული იყო აგრეთვე ღალატისათვის. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, დემეტრე მეფემ „აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისა“.[3] დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით კი, „რომელიც დაკარგავს დროშასა და ზარბაზანს, და უკეთუ ჰქმნას ესე სარდალმა ორგულებით, მაშინ მოყვანილ იქმნას ერთა წინაშე და ემხილოს ორგულებისათვის მისისა, და მოჰკვეთონ მას თავი“.[4]

ჩამოხრჩობას ძველ ქართულ სამართალში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავდნენ: „ძელსა ზედა ჩამორჩობა“, „ძელსა ზედა დამოკიდება“, ან მარტივად „ჩამორჩობა“.[5] ჩამოხრჩობა საქართველოში მეკობრეობისა და განმეორებით ქურდობისათვის იყო დაწესებული. გიორგი III-ის

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 94-95.
2 გ. ნადარეიშვილი, მით ნაშრომი, გვ. 96.
3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1928, გვ. 521.
4 სამართალი ბატონის შვილის დავითისა. დ. ფურცელაძის რედ., თბილისი, 1964, გვ. 32-33.
5 ივ. ჯავახიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 520-521.

1170 წლის სიგელში ნათქვამია: „თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ.[1] კათალიკოსთა სამართლის მე-2 და მე-3 მუხლები კი ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორიცაა „კაცის გაყიდვა“ და „ეკლესიის მკრეხელობა“, ადგენს – დამნაშავე „ძელსა მიეცეს“, ანუ ჩამოხრჩობილ იქნესო.[2]

კლდიდან გადმოგდებით სიკვდილით დასჯის პრაქტიკას ვხვდებით მე-XIII საუკუნის საქართველოში. ამის შესახებ ერთადერთი ცნობა დაცული აქვს ჟამთააღმწერელს. მისი სიტყვით თორღუა პანკელი განდგომისათვის „შეიპყრა ჯიქურმან განზრახვითა დედოფლისათა, თვინიერ მეფისა ცნობისა, და წარიყუანეს კლდეკართა და გარდმოაგდეს.[3] ძველი ქართული სამართალი არ იცნობს დამნაშავის ცეცხლში დაწვას, როგორც სიკვდილით დასჯის სახეობას. ჟამთააღმწერლის ცნობით, „ცეცხლითა დაწვა“ მონღოლებს ჰქონიათ წესად: „კაცი იგი მომკულელი სულტნისა (მონღოლებმა) ცეცხლითა დაწუეს“.[4]

ძველ ქართულ სამართალში, როგორც ფეოდალურ სამართალში, რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო და გამოიყენებოდა კიდევაც მთელი რიგი დანაშაულობებისათვის. მაგრამ სხვა ქვეყნების სამართალს თუ შევადარებთ, უდავოა, რომ ამ თვალსაზრისით ქართული სამართალი უფრო ჰუმანური და მოკრძალებულია სასჯელის ამ სახეობის გამოყენებაში. ქართული სამართლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, მეფის საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, მკვლელობისათვის, ყაჩაღობა-მეკობრეობისა და განმეორებითი ქურდობისათვის.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ თამარ მეფეს საქართველოში არა მარტო სიკვდილით დასჯა მოუსპია, არამედ სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაც აუკრძალავს. მსგავსი სასჯელები ლაშა-გიორგის დროსაც არ გამოუყენებიათ. რუსთაველის ეპოქის საქართველოს მართლშეგნების ჰუმანურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იმდროინდელ ისტორიკოსებს მეფისათვის სასახელოდ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯის აკრძალვა. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „მაშინ ყველა ეს სასჯელები კანონისა და სასამართლო წიგნის ძალით კი არ ყოფილა ამოკვეთილი და მოსპობილი, არამედ თვით

1 საქართველოს სიძველენი, ტ. III დამატება, თბილისი, 1926, გვ. 5-6.
2 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 244.
3 ივ. ჯავახიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 521.
4 იქვე.

თამარ მეფეს უსარგებლნია თავის „მოწყალების“ უფლებით. რაკი კანონით სასჯელის აღსრულებისათვის მეფის „მეცნიერება“ და მისი თანხმობის „შეკითხვა“ იყო საჭირო, ხოლო მეფეს შეკითხვაზე უნდა „ებრძანა“, თამარ მეფეს სასჯელის აღსრულების ამგვარი „ბრძანება“ და თანხმობა არასდროს არ გაუცია და ამ საშუალებით მას თავის მეფობის დროს სიკვდილითა და სხვანაირი დამასახიჩრებელი სასჯელით დასჯა ამოუკვეთნია. საქართველოს მაშინდელი იურიდიული შეგნებისათვის ფრიად დამახასიათებელია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსებს ეს დიდ საქებარ საქმედ მიაჩნდათ. თამარის შვილი ლაშა-გიორგიც თავის მეფობაში ამავე ლმობიერების მიმდევარი ყოფილა და სისხლის სამართლის სფეროში დედის გზასა და მაგალითს გაჰყოლია. ყველა ეს, რა თქმა უნდა, ქართველი ერის მე-XII საუკ. გასაოცარი კულტურული დაწინაურების დამამტკიცებელია.“[1]

1918-1921 წლებში, დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში სიკვდილით დასჯისადმი კანონმდებლის დამოკიდებულებაში ორი მომენტია საყურადღებო. კონსტიტუციის მიღებამდე სიკვდილით დასჯა დემოკრატიული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 5 ივლისის კანონი „სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის“. ამ კანონის მიხედვით სიკვდილით დასჯა, რომელიც დროებით სასჯელის ზომად განიხილებოდა, გათვალისწინებული იყო რვა სახეობის დანაშაულისათვის: სამშობლოს ღალატისათვის, დემოკრატიული წესწყობილების ძალადობით შეცვლის მცდელობისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურებისათვის (რკინიგზა, ტელეგრაფი, ნავსადგურის შენობები და ა.შ.), ყაჩაღობისა და ძარცვისათვის და ომიანობის დროს ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისათვის.[2] საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით სიკვდილით დასჯა სრულად გაუქმდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამასთან ერთად განსახილველი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც.

---

1 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, თბილისი, 1984 წ., გვ. 384.

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბილისი, 1989, გვ. 43-44.

სიკვდილით დასჯის გამოყენება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში საბჭოთა საქართველოში ისეთივე იყო, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების პრეროგატივა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა. როგორი იყო საბჭოთა კანონმდებლობის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯისადმი? აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნებოდა: ერთი მხრივ, კანონმდებლობა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე სიკვდილით დასჯას განსაკუთრებულ ღონისძიებად მიიჩნევდა, რომლის გამოყენება თითქოს ხდებოდა დროებით, მის სრულ გაუქმებამდე; მეორე მხრივ, კანონმდებლობის განვითარების კვალობაზე, სულ უფრო იზრდებოდა იმ დანაშაულთა სახეობების რაოდენობა, რომლისთვისაც შეიძლებოდა სიკვდილით დასჯის გამოყენება. გადავხედოთ ისტორიას. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე სიკვდილით დასჯა სამჯერ გაუქმდა (1917, 1920 და 1947 წლებში). აქედან ყველაზე ხანგრძლივი ბოლო გაუქმება გამოდგა – თითქმის 3 წელი. 1950 წლიდან სიკვდილით დასჯა კვლავ შემოიღეს. 1950-1962 წლებში იგი გათვალისწინებული იქნა დანაშაულის 16 სახეობისათვის. საკმაო პაუზის შემდეგ, 1973 წელს სიკვდილით დასჯად დანაშაულთა რაოდენობა კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე.ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 33 სახეობის დანაშაულისათვის. აქედან 17 შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა სამხედრო დანაშაულის ჩადენა. პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ერთად სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო აგრეთვე ე.წ. ქონებრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად, სოციალისტური ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (96[1] მუხლი), ქრთამის აღებისათვის (189-ე მუხლი) და სხვ.

90-იანი წლების დამდეგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანას მიეცა შესაძლებლობა თავად გადაეწყვიტა სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხი. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პირველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 20 მარტის კანონით სიკვდილით დასჯა გააუქმა ოთხი სახეობის დანაშაულისათვის: ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (88-ე მუხლი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (89-ე მუხლი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით

გატაცება (96[1] მუხლი), ქრთამის აღება (189-ე მუხლი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის სამხედრო დანაშაულის თავმა. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ერთი სამხედრო დანაშაულისათვის, კერძოდ, უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის (258-ე მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ამოქმედება და უზენაესობა გამოაცხადა. სამხედრო საბჭოს იმავე წლის 24 თებერვლის დადგენილებით განისაზღვრა, რომ „მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს“. ამ კონსტიტუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სიკვდილით დასჯისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ მომენტისათვის სიკვდილით დასჯა, კონსტიტუციის უზენაესობის გათვალისწინებით, გაუქმებული იყო. თუმცა, სულ რამდენიმე თვეში, კერძოდ 1992 წლის 17 ივნისს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განიმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს არსებული კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა და სახეები, კანონით დადგენილი წესით მათ გაუქმებამდე ან შეცვლამდე“. როგორც ვხედავთ, ამ აქტით სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა შენარჩუნებული. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 17 მარტისა და იმავე წლის 8 ივლისის კანონებით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი, სახელდობრ, დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66[1] მუხლი) და გენოციდი (65[1] მუხლი), რომლებიც სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდნენ.[1]

აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დროს, როდესაც გახშირდა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის ფაქტები, 1993 წლის 2 ნოემბერს საქართველოს

1 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წლის № 5, მუხ. 52; საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წლის № 9, მუხ. 159.

შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება „საომარი მოქმედების რაიონებში მაროდიორობის, ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საგანგებო ზომების გაძლიერების შესახებ“. ეს ბრძანება ითვალისწინებდა დროებითი ღონისძიების სახით საგანგებო ზომებს მაროდიორობისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი, სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების მიმართ. ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, „იმ სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციელებისა და მაროდიორობასა და ძალადობაში შენიშნული მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებიან სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებს, ადგილზევე იქნეს გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მათი ფიზიკურად განადგურების ჩათვლით“. ზემოაღნიშნულ ბრძანებას კრიტიკული შეფასება მისცა „საერთაშორისო ამნისტიამ“. საქართველოში სიკვდილით დასჯის მდგომარეობის შესახებ „საერთაშორისო ამნისტიის“ 1994 წლის იანვრის ბიულეტენში ნათქვამია, რომ, მართალია, ამ ბრძანების მიზანია პოლიციელებისა და სამხედრო მოსამსახურეების ძალადობისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, მაგრამ ამასთან საჭიროა საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების დაცვა. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნათა სრული დაცვით, ყველა ბრალდებულის საქმის სასამართლო წესით განხილვის უზრუნველყოფისათვის. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა 1992 წელს ჩვენ ქვეყანაში 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ. კერძოდ, ამ კონსტიტუციის აღდგენა მოასწავებდა სიკვდილით დასჯის უპირობო გაუქმებას, სასჯელის უმაღლეს ზომად კი ასეთ შემთხვევაში რჩებოდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს იმდენად არატოლფასი მონაცვლეობა იყო სასჯელთა სისტემაში, რომ მან საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა ე.წ. ლინჩის წესით ადამიანების გასამართლების შემთხვევებში. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არ შეიძლება სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება სანაცვლო სასჯელის შემოღების გარეშე.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის (1995 წ.) პროექტზე მუშაობის პერიოდში სიკვდილით დასჯის პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება კვლავ უაღრესად აქტუალური გახდა. პრობლემის აქტუალურობას ძირითადად ორი მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, საქართველოს

ახალი კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობდა სიკვდილით დასჯისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, და მეორე, საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ადამიანის სიცოცხლის უფლების დაფიქსირება ლოგიკურად ითხოვდა სიკვდილით დასჯის პრობლემაზე პასუხის გაცემას. ამასთან დაკავშირებით როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ისე პარლამენტში სამი ძირითადი მოსაზრება ჩამოყალიბდა:

რადგანაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ერთ-ერთი პირველი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე;

მეორე მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციაში ადამიანის სიცოცხლის უფლების საკითხის გადმოცემისას უნდა დადგენილიყო სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლებიც. ამ შეხედულების მიმდევრები პრინციპულად მხარს უჭერდნენ სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახეობის შენარჩუნებას, მაგრამ, ამასთანავე, მოითხოვდნენ, კონსტიტუციის დონეზე მისი გამოყენების ფარგლების დადგენას, რათა შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებისას მკაცრად შეეზღუდათ კანონმდებელი სასჯელის ამ სახეობის გამოყენების შემთხვევების განსაზღვრაში;

მესამე მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციაში არ უნდა დაფიქსირებულიყო სიკვდილით დასჯა რაიმე პოზიტიური სახით. ამ წინადადების ავტორები მოითხოვდნენ, რომ სიკვდილით დასჯის საკითხი არ გამხდარიყო კონსტიტუციური რეგულირების საგანი და ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად მიენდოთ სისხლის სამართლის კოდექსისათვის, რომლის პროექტზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ ავტორთა აზრით, კონსტიტუციაში დადგენილი უნდა ყოფილიყო ადამიანის სიცოცხლის უფლება და, ამასთანავე, დებულება იმის თაობაზე, რომ არავის არ შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. სიკვდილით დასჯის პრობლემისადმი საკონსტიტუციო კომისიის, აგრეთვე პარლამენტის წევრთა დამოკიდებულების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ საკითხზე დისკუსიაში ვერ გაიმარჯვებდნენ ვერც სიკვდილით დასჯის მომხრეები და ვერც

მისი მოწინააღმდეგეები. შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგად მიღებულ იქნა ის ფორმულირება, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის მე-15 მუხლშია დაფიქსირებული. სიკვდილით დასჯის გამოყენების შესახებ კონსტიტუციის დებულება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი;

ბ) სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებაა;

გ) სიკვდილით დასჯის გამოყენება ხდება დროებით, მის სრულ გაუქმებამდე;

დ) სიკვდილით დასჯა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ორგანული კანონით;

ე) სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

ვ) სიკვდილით დასჯის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებიდან 1996 წლის 11 დეკემბრამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 13 სახეობის დანაშაულისათვის, სახელდობრ, სიკვდილით ისჯებოდა: სამშობლოს ღალატი (65-ე მუხლი), გენოციდი (65[1] მუხლი), ჯაშუშობა (66-ე მუხლი), დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში (66[1] მუხლი), ტერორისტული აქტი (67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხლი), დივერსია (69-ე მუხლი), ბანდიტიზმი (78-ე მუხლი), მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (78[1] მუხლი), განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (104-ე მუხლი), გაუპატიურება (117-ე მუხლი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209[1] მუხლი), წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (258-ე მუხლი). ეს უკანასკნელი დანაშაული განეკუთვნება სამხედრო დანაშაულის კატეგორიას და სიკვდილით დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ იგი დაკავშირებულია უფროსის განზრახ მკვლელობასთან ან ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში.

სიკვდილით დასჯის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გზების ძიებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის პირველი თებერვლიდან.[1] ამ კანონის მიღებას წინ უსწრებდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 10 დეკემბრის წერილი საქართველოს პარლამენტისადმი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნული იყო: „ამჟამად საქართველოში მოქმედებს ფაქტობრივი მორატორიუმი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაზე და იგი ძალაში დარჩება მანამ, ვიდრე საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი სისხლის სამართლის კოდექსის განხილვისას“. ამავე წელს სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი 1996 წლის აპრილში გაგზავნილ მის წერილში ნათქვამია: „ღვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰკლა“. ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს – ანუ ღმერთს“.

ზემოაღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლები და ამასთან არსებითი ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემაში. პირველად საქართველოს კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეობა – უვადო თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება ვადიან თავისუფლების აღკვეთას, კანონის თანახმად, იგი შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ სამი თვის და არა უმეტეს ოცი წლის ვადით. სიკვდილით დასჯის ან უვადო თავისუფლების აღკვეთის შეწყალების წესით ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლისას, იგი შეიძლება დაინიშნოს ოც წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ოცდახუთი წლისა. კანონის მიხედვით, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების, სიკვდილით დასჯის – დახვრეტის გამოყენება, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება მხოლოდ განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ

1 იხ. პარლამენტის უწყებანი, დანართი, 1997 წლის № 1-2, გვ. 5-7.

გარემოებებში. ამასთან სიკვდილით დასჯა საერთოდ არ შეიძლება მიესაჯოს ქალს, ხოლო მამაკაცს, – რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან განაჩენის გამოტანის დღისათვის შეუსრულდა სამოცდახუთი წელი. ამის შესამაბისად სიკვდილით დასჯა შეიცვალა უვადო ან ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მთელი რიგი დანაშაულობებისათვის. კერძოდ, ასეთი ცვლილება შეეხო 65-ე მუხლს (სამშობლოს ღალატი), 66[1] მუხლს (დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში), 78-ე მუხლს (ბანდიტიზმი), 78[1] მუხლს (მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში), 117-ე მუხლს (გაუპატიურება).

საქართველოს კანონმდებლობაში სასჯელის უმაღლესი ზომის თაობაზე ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, 1997 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში შეიქმნა ყველა წინაპირობა სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. 1997 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საკანონმდებლო წინადადებით მიმართა პარლამენტს „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ.“ პარლამენტისადმი გაგზავნილ მის წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „უკანასკნელ პერიოდში მწვავედ დადგა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. სასჯელის ამ სახეობის გამოყენებაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მორატორიუმის გამოცხადებით, სიკვდილმისჯილთა შეწყალებით, უვადო თავისუფლების აღკვეთის შემოღებით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შემოტანილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებით, რომელიც არ ითვალისწინებს სასჯელის ამ სახეობას, გამოიკვეთა ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულება სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის გამოყენებისადმი. ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ამგვარი ტენდენცია შეესაბამება მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკას, მეტადრე ქართული სამართლის ტრადიციებს, მართლმადიდებლურ კულტურას. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-15 მუხლის შესაბამისად, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი უნდა იცავდეს. ამრიგად, სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის

პროგრესულ განვითარებას, განამტკიცებს უზენაესი ღირებულების – სიცოცხლის ხელშეუხებლობას“.

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტი შეუდგა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით შეტანილი კანონპროექტის განხილვას. სხდომაზე გაიმართა დებატები სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ. იმავე დღეს 148 ხმით (1 წინააღმდეგით) საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. კანონის პრეამბულაში, კერძოდ, ვკითხულობთ: „ხელმძღვანელობენ რა იმ პრინციპით, რომ სიცოცხლე წარმოადგენს უზენაეს ღირებულებას, და აგრეთვე, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ჰუმანური ტრადიციებით, საქართველოში დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობით, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ საქართველოს სწრაფვით, საქართველოში სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე მორატორიუმის მოქმედების გამოცდილებით, საქართველოს აწმყოსა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით, საქართველოს პრეზიდენტი გამოდის ინიციატივით, ხოლო საქართველოს პარლამენტი, მხარს უჭერს რა ამ ინიციატივას, აცხადებს სიკვდილით დასჯას გაუქმებულად...“.

არგუმენტები, რომლებსაც ემყარებოდა საქართველოს პარლამენტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონის მიღებისას, ძირითადად შემდეგი იყო:

1. სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს სასჯელი ვერ აღწევს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. სიკვდილით დასჯას არა აქვს ის გამაფრთხილებელი ძალა, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან, ამდენად, სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა.

2. არავის, და მათ შორის სახელმწიფოს, არა აქვს უფლება სიცოცხლე მოუსპოს ადამიანს, თუნდაც მძიმე დანაშაულის ჩამდენს. ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ბოროტებით დაუშვებელია.

3. დამნაშავისაგან საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია სხვა არანაკლებ მძიმე სასჯელით, ვიდრე სიკვდილით დასჯაა, მაგალითად, საზოგადოებისაგან დამნაშავის ხანგრძლივი იზოლირებით, უვადო თავისუფლების აღკვეთით.

4. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სიკვდილით დასჯას იწონებს, იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოების მართლშეგნება არცთუ

სასურველ დონეზეა. აქ სწორედ კანონმდებელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა და სათანადო გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე.

5. დაუშვებელია სასჯელთა სისტემის განსაზღვრა მხოლოდ სამაგიეროს მიზღვისა და შურისძიების პრინციპების საფუძველზე, რადგანაც იგი უცილობლად მიგვიყვანს ე.წ. ტალიონის პრინციპის აღიარებამდე.

6. სიკვდილით დასჯა ისეთი სასჯელია, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ შეუძლებელია სასამართლო შეცდომის გამოსწორება.

7. არ შეიძლება სახელმწიფო იყოს ჰუმანური, თუ იგი იყენებს სიკვდილით დასჯას და სიცოცხლეს არ აღიარებს, როგორც ხელშეუვალ ღირებულებას.

8. სიკვდილით დასჯის გაუქმებით ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს საერთო ეროვნული შერიგების გზაზე, ხელს ვუწვდით ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს ხელისუფლებასთან იყვნენ დაპირისპირებულნი.

9. სიკვდილით დასჯის გაუქმებით ჩვენ პატივს ვცემთ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ჰუმანურ ტრადიციებს. სიკვდილით დასჯაზე უარის თქმა არის ქართული პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ერთ-ერთი უძველესი და უპირველესი იდეა.

10. სიკვდილით დასჯის გაუქმებით საქართველო აკეთებს არჩევანს ევროპულ ოჯახში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციისაკენ.

11. სიკვდილით დასჯა არის არაქრისტიანული, ჰუმანიზმისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სასჯელი.

12. სიკვდილით დასჯის გამოყენებისას სახელმწიფო ქირაობს, ფულს უხდის იმ ადამიანებს, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ ეს სასჯელი, ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მხარე, სახელმწიფო თუ კერძო პირი, გადაუხდის მკვლელს ფულს. სიკვდილით დასჯა ლეგალიზებული მკვლელობაა. სიკვდილით დასჯის გაუქმებით სახელმწიფოს მოეხსნება მკვლელის სახელი.[1]

ამრიგად, 1997 წლის 11 ნოემბრიდან საქართველოში სიკვდილით დასჯა სრულად გაუქმდა. 2002 წლის 3 მაისს საქართველომ ხელი მოაწერა „ნებისმიერ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

1 იხ. პარლამენტის უწყებანი, 1997 წლის № 46, გვ. 5-22.

კონვენციის მე-13 ოქმს [1], ხოლო 2003 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება. ამით საქართველომ აიღო ვალდებულება, არ შემოიღოს სიკვდილით დასჯა არანაირ ვითარებაში, მათ შორის, არც „ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის“. ეს საქართველოში სიკვდილით დასჯის სრულად და საბოლოოდ გაუქმების უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიაა. 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში და სიკვდილით დასჯა ქვეყნის ძირითადი კანონითაც აიკრძალა.[2] საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ახალ რედაქციაში, ისევე როგორც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლში, პირდაპირ არის ნათქვამი: „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთი ისტორიული ფაქტი, კერძოდ, ამ თარიღამდე ერთი საუკუნის წინ, 1898 წლის ნოემბერში ილია ჭავჭავაძე წერდა: „ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელის რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა, აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად.[3] ამ სიტყვებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160-ე წლისთავზე, საქართველოში გაუქმდა სიკვდილით დასჯა და ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართული სახელმწიფოს ერთგულება მისი ჰუმანური ტრადიციებისადმი.

1 იხ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. მეორე ნაწილი. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008 წ., გვ. 52-55.

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2007 წ., № 3, მუხ. 48.

3 ილიას წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი, 1898 წლის ნოემბერი, `მნათობი~, 1957, №9, გვ. 157.

IV თავი

საკონსტიტუციო სამართლის აქტუალური პრობლემები

8. სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები
(ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2013)

9. სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში
(ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბილისი, 2008, №3, გვ. 13-21)

10. საქართველოს სახელმწიფო ენა
(ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბილისი, 2011, №1, გვ. 13-30)

11. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო
(ქართულ და ინგლისურ ენებზე, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, თბილისი, 2018, №1, გვ. 27-42)

8. სახელმწიფო და ეკლესია.

ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები

წინათქმა

„მიეცით კეისრისა კეისარს
და ღვთისა - ღმერთს (მარ. 12, 17)

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც თვით სახელმწიფოებრივი და რელიგიური ცნობიერება, თუმცა მისი მეცნიერული შესწავლა, მეტადრე ამ პრობლემის სამართლებრივი ასპექტების კვლევა-ძიება, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში სრულიად ახალი სამართლებრივი ფორმების დამკვიდრება დაიწყო. კანონმდებლობის განვითარება ამ სფეროში ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი მხრივ, სახელმწფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა სახელშეკრულებო პრინციპს დაეფუძნა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრა. ასეთი დუალისტური მიდგომისათვის, რომელიც უცხო არ არის თანამედროვე ევროპული ქვეყნებისათვის, საქართველოს კანონმდებელს სათანადო საფუძველი გააჩნდა. საკმარისია ითქვას, რომ ისტორიულად ქრისტიანული მართლმადიდებლობა საქართველოში 15 საუკუნის მანძილზე სახელმწიფო რელიგია იყო, ხოლო მორწმუნე მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობა ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 83 პროცენტზე მეტია. ამასთანავე, სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოს ისტორიაში.

საქართველო ყოველთვის მრავალკონფესიური ქვეყანა იყო, თუმცა IV საუკუნიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, ქართული სახელმწიფო ყოველთვის გამოირჩეოდა რელიგიური ტოლერანტობითა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის ადამიანებისათვის რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას უზრუნველყოფდა. რელიგიის სამართალში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახლა ყალიბდება, როგორც კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი დარგი, მთლიანად შენარჩუნებულია ქართული სახელმწიფოს რელიგიური ტოლერანტობის ისტორიული კულტურა.

ბოლო წლებში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა რელიგიის სამართლებრივი პრობლემების კვლევას, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის საკმარისი ამ პრობლემის სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევისათვის. წინამდებარე გამოცემა ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად. რაც შეეხება რელიგიის სამართლის ყოველმხრივ და ღრმა მეცნიერულ გააზრებას, იგი ქართველ სწავლულ იურისტთა სამომავლო კვლევა-ძიების საქმეა.

სახელმწიფო და ეკლესია

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დამდეგს, მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, საქართველოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია ქართველი ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ცხოვრებაზე. ქვეყანამ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა – გააგრძელა ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ტრადიცია. ამასთანავე, შეუდგა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას.

სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთულეს პრობლემებთან ერთად გადასაწყვეტი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე სხვა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობის, სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკანონმდებლო რეგლამენტაციის საკითხები.

თანამედროვე ეტაპზე ამ საკითხების გადაწყვეტა თითქოს იოლი საქმე უნდა ყოფილიყო, რადგანაც საყოველთაოდაა ცნობილი რწმენისა და აღმსარებლობის სფეროში ადამიანის ძირითადი უფლებები და რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები. ბუნებრივია, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა მოითხოვდა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების გადმოღებას ნაციონალურ კანონმდებლობაში. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ქართული სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება და ქართველი ერის ტრადიციები.

ქართველობა უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებელი ერია. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობა ქართველობისათვის მხოლოდ მორწმუნე მრევლის რაოდენობით როდი განისაზღვრება. ქრისტიანულმა მართლმადიდებლობამ ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქრისტიანობამშეგვინახაჩვენჩვენიმიწა-წყალი,ჩვენიენა,ჩვენივინაობა, ჩვენი ეროვნება... ქრისტიანობა ნიშნავდა მთელს საქართველოს... ნიშნავდა ქართველობას... ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან.“[1] ქრისტიანული სარწმუნოების ასეთი მნიშვნელობა ქართველი ერისთვის შედეგი იყო საქართველოს მართლ-მადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მოღვაწეობისა, რომელიც მუდამ ეროვნულ ნიადაგზე იდგა და უდიდეს როლს ასრულებდა საქართვე-ლოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცივილიზაციის მთავარი საფუძველი სწორედ რომ მართლმადიდებლობა იყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს: „ბევრი რამ, რითაც ამაყობს ჩვენი ერი ლიტერატურის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა სფეროში, ქრისტიანული სულიერებისა და ცივილიზაციის საფუძველზე შეიქმნა.“[2]

სწორედ ამიტომ იყო, რომ ისტორიულად ქრისტიანული მართლ-მადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგია იყო. ეს პერიოდი ყველაზე ხანგრძლივია და მრავალ საუკუნეს ითვლის (IV-XIX სს.).

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის (1801 წ.) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის (1811 წ.) გაუქმება. თვალსაჩინო სასულიერო და საერო მოღვაწეების, მთელი ქართული საზოგადოების მეცადინეობითა და ძალისხმევით 1917 წლის 12(25) მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია. რუსეთის იმპერიაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიისთვის წართმეული თვითმმართველობის უფლების ხელახლა მოპოვებას

1 ილია ჭავჭავაძე. ქართველი ერი და ღვაწლი წმ. ნინოსი. – წიგნში: ნათელი ქრისტესი – საქართველო. წიგნი I, თბილისი, 2003 წ., გვ. 40.

2 იხ. ნათელი ქრისტესი – საქართველო. წიგნი I, თბილისი, 2003 წ., გვ.502.

ნიშნავდა, არამედ გარეშე ძალების მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დასაწყისს მოასწავებდა. მართლაც, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა და დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და პარლამენტში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომელთა სოციალისტური იდეოლოგია ათეისტურ პრინციპებს ეყრდნობოდა და, ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი კეთილგანწყობილი ვერ იქნებოდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით (1921 წ.) არც ერთ სარწმუნოებას არ მიენიჭა უპირატესობა, სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულ სუბიექტებად აღიარეს. მანამდე, 1918 წლის 26 ნოემბრის კანონით გააუქმეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა „ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში.“ 1919 წლის 17 ივნისის კანონით კი უქმე დღეთა ჩამონათვალიდან ამოიღეს საუფლო დღესასწაულები. სამაგიეროდ, სამოქალაქო უქმე დღეებად გამოაცხადეს რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე – 12 მარტი და ინტერნაციონალის დღესასწაული – პირველი მაისი.[1]

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციასა და ანექსიას მოჰყვა 70-წლიანი აგრესიული ათეიზმის ეპოქა, როდესაც ათეიზმი სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი. საბჭოური კონსტიტუციებით ეკლესია გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა – ეკლესიისაგან. ამ პერიოდში ეკლესია, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებული, განაგრძობდა არსებობას. საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ისევე როგორც სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, იურიდიული პირის სტატუსი და ქონება ჩამოერთვა. საქართველოს რევკომის ამ დეკრეტში ნათქვამი იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ იურიდიული პირის უფლება არა აქვთ (მე-14 პუნქტი).“[2] კომუნისტური რეჟიმის დროს სარწმუნოებისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლებისაგან აუნაზღაურებელი ვნება

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბილისი, 1990 წ., გვ.110, 197.

2 იხ. დეკრეტი N21 „საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ.“ საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978). შემდგენელი გრ. ერემოვი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983 წ., გვ. 31-33.

და ზიანი მიადგა ქართულ ეკლესიას. ადმინისტრაციული წესით დახურეს ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, ბევრი კი დაწვეს, დაანგრიეს და არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს, მთელი საეკლესიო ქონება კონფისკებულ იქნა, ხოლო სასულიერო პირების დიდი ნაწილი რეპრესირებული.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობაში რაიმე ხელშესახები ცვლილება არ მომხდარა და საბჭოთა ხელისუფლება კვლავაც განაგრძობდა ათეისტური იდეოლოგიის პრინციპების გულმოდგინე დანერგვას საზოგადოებაში, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ძალისხმევით დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების რთული პროცესი, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ საკუთრივ ეკლესიის ორგანიზაციული და მატერიალური საფუძვლების განმტკიცება, არამედ ქართველ ერში „ეროვნული თვითცნობის“ გაღვივება, ქართული ცნობიერების დაბრუნება, ქართველი ერის მოქცევა თავისი ტრადიციული რელიგიური და ზნეობრივი საწყისებისკენ. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1990 წლის 4 მარტს მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ.[2]

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისა და ქართული საზოგადოებრიობის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ ამავე პერიოდში საბჭოური ხელისუფლებისათვის უჩვეულო და უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა ეკლესიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1990 წლის 12 აპრილს მიიღო დადგენილება “რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ.“[3] ამ დადგენილებით: რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული

1 იხ. სერგო ვარდოსანიძე, 1917-1977 წლების მატიანე. – წიგნში: ნათელი ქრისტესი – საქართველო. წიგნი I, თბილისი, 2003 წ., გვ. 476-484.

2 იხ. როინ მეტრეველი. ილია II და ქრისტიანული აღმშენებლობა საქართველოში. კრებულში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“, 2007 წელი, გვ. 47.

3 „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №183 დადგენილება შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი, 6 თებერვალი 1997 წ. 010020000032.

მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად; ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ აღნიშნული საკულტო ნაგებობანი უსასყიდლოდ გადაეცათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსათვის; გაუქმდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ინსტიტუტი და მისი აპარატი, რომელიც რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევისა და კონტროლის ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა; რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სხვა რელიგიური გაერთიენებების რეგისტრაციისა და სახელმწიფოსთან ურთიერთობების საკითხების განხილვა დაევალა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ამავე დადგენილებით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი სინდისისა და რწმენის თავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კანონპროექტის შესამუშავებლად, რომელიც ასახავდა სახელმწიფოსაგან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რეალურ და სრულ დამოუკიდებლობას. ამ კანონპროექტის შემუშავება და მისი მიღება საბჭოთა ხელისუფლებას არ დასცალდა. ამ დროს იგი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ საქართველოს სსრ მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილება ქართული ეკლესიის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათეული წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულობების გამოსყიდვის ერთგვარი მცდელობა იყო მხოლოდ.

საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული ეკლესიის როლის გაზრდამ დიდად შეუწყო ხელი ამ წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. ნიშანდობლივია, რომ „როგორც 1917 წლის 12(25) მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინ უსწრებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ისე მოხდა 73 წლის შემდეგაც.“[1]

1 სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო ურთიერთობები 1977-2007 წლებში. კრებულში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს“, 2007 წელი, გვ. 137.

სახელმწიფოს სათავეში მოსული ეროვნული ხელისუფლება, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, შეუდგა საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის მოდერნიზებას. ცვლილება გარკვეულწილად შეეხო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას. თუ კონსტიტუციის ადრინდელ რედაქციაში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან და სკოლა – ეკლესიისაგან“ (50-ე მუხლი), ცვლილებების შემდეგ კონსტიტუციის ეს დებულება ასე ჩამოყალიბდა: „საქართველოს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან“. კონსტიტუციური ცვლილების აზრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუბიექტებად არიან მიჩნეულნი, თუმცა ამასვე ვერ ვიტყვით სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობაზე. კონსტიტუცია ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობას პირდაპირ და იმპერატიულად აღარ კრძალავდა. ამის შედეგად ზოგიერთმა სასწავლებელმა იმ წლებში თავისი ინიციატივით აღადგინა საღვთო სჯულის სწავლება. ეროვნული ხელისუფლების ინიციატივით, ამასთანავე, გაუქმდა ქართველი ერისათვის უცხო დღესასწაულები და აღდგა ტრადიციული, მათ შორის, საუფლო დღესასწაულები, რითაც ხელისუფლებამ დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა ეკლესიის მიმართ.[1] ცნობილი გარემოებების გამო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ღონისძიებები მაშინ, სამწუხაროდ, ამით ამოიწურა.

1993 წლიდან საქართველოში დაიწყო კონსტიტუციური პროცესი, რომელიც ორ-ნახევარი წელი მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ შიდაპოლიტიკურ ვითარებაში და რომლის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუციის შემუშავება. უმთავრესი საკითხი, რომელიც კონსტიტუციური პროცესის ყველა ეტაპზე ცხარე დისკუსიების საგანს წარმოადგენდა და მრავალჯერ განიცადა ცვლილება, სახელმწიფო მმართველობის საკითხი იყო, რადგანაც იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდში ხელისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლასთან. ამიტომ მან თავისი აქტუალურობით დაჩრდილა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამართლებრივი, მათ შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემები. საკონსტიტუციო

1 იხ. დავით ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართლის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 2004 წ., გვ. 40.

კომისიაში დისკუსიები სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემაზე საერთოდ არ გამართულა, ხოლო ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის თითქმის ყველა ვარიანტში უცვლელად იყო მოყვანილი ამ საკითხის გადაწყვეტის ტრაფარეტული დებულებები: სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და უზრუნველყოფილია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დასკვნით ეტაპზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივით სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზემოაღნიშნულ დებულებას დაემატა, ერთი შეხედვით, თითქოს დეკლარაციული, მაგრამ თავისი აზრით მეტად მნიშვნელოვანი წინადადება: „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.“ რადგანაც ეს ჩანაწერი ქართული ეკლესიის როლს რეტროსპექტივაში განიხილავდა, პოლიტიკურად უაღრესად მრავალსპექტრიან პარლამენტში მასზე ყურადღება არ გამახვილებულა საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის მიღებისას.

ამრიგად, საქართველოს ახალმა (1995 წლის) კონსტიტუციამ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განსაზღვრისას სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი დაადგინა (მე-9 მუხლი):

პირველი, ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან;

მეორე, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;

მესამე, სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გან-საკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.

ახლად მიღებული კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, ფართოდ გაიშალა სამართალშემოქმედებითი საქმიანობა კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონების მიღების, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში საკანონმდებლო საფუძვლების შექმნისა და მოქმედი კანონმდებლობის მთელი მასივის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

1997 წლის 26 ივნისს საქართველომ ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღო, რომელმაც სრულიად ახლებურად განსაზღვრა იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და ჩამოაყალიბა იურიდიულ პირთა სახეობების მწყობრი სისტემა. იურიდიული პირები საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად დაიყო. სამოქალაქო კოდექსით რელიგიური გაერთიანებები, როგორც საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე

შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად იქნა აღიარებული (1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, 1999 წლის 28 მაისს მიიღეს საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“,[1] თუმცა, ამ კანონის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, მისი გამოყენება რელიგიური გაერთიანებების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების უაღრესად სპეციფიკური სახეობის მიმართ, შეუძლებელი იყო.

ამიტომ დღის წესრიგში დადგა რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხი. სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კანონპროექტები, როგორც წესი, ერთი საკანონმდებლო აქტით ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მცდელობას წარმოადგენდა. იყო აგრეთვე წინადადებები კონფესიების ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიურ გაერთიანებებად დაყოფისა და, შესაბამისად, მათი განსხვავებული სამართლებრივი რეგლამენტაციის შესახებ.

იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ერთ საკანონმდებლო სიბრტყეზე ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება არ იქნებოდა მართებული. საქმე ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ აცხადებდა რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობას, ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღიარებდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. ამ ისტორიულ როლს ემატებოდა ისიც, რომ აღორძინებული მართლმადიდებელი ეკლესია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში არა მარტო წარსულში, არამედ თანამედროვე პირობებშიც. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მოითხოვდა მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის არაორდინარულ გადაწყვეტას. ამასთანავე, უნდა გამორიცხულიყო სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად მისი გადაქცევა და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკანონმდებლო წესით ნებისმიერი შეზღუდვა მართლმადიდებლობის სასარგებლოდ.

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. I, 1999 წ., №20, მუხ. 101.

ამოცანა მეტად რთული იყო, მაგრამ მოიძებნა ისტორიული და იურიდიული თვალსაზრისით მისი გადაწყვეტის მართებული ფორმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის და მისი სამართლებრივი მდგომარეობის საკითხების განსაზღვრისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიას, როგორც ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის კონსტიტუციური შეთანხმება უნდა დადებულიყო.

ცნობილია, რომ დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის ურთიერთობის განსაზღვრის ოპტიმალური ფორმა ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მხარეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას და თანხმდებიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ბედზე. ამ ფორმის უპირატესობა ჩვეულებრივ საკანონმდებლო რეგულირებასთან შედარებით ისაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია შეთანხმებით და მოკლებულია შესაძლებლობას საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. ამის მწარე გამოცდილება არცთუ შორეული წარსულიდან კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ეკლესია სახელმწიფოსაგან განიცდიდა შევიწროებას და ყოველივე ეს ხდებოდა სწორედ სამართლებრივი აქტების საფუძველზე. კონსტიტუციური შეთანხმება კი მყარ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნიდა ეკლესიას სახელმწიფოსთან ურთიერთობებში.

ასეთივე მოსაზრება გამოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ: „სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობათანამედროვეეტაპზეგანსხვავებულმიდგომასმოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობით და ასევე საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება“.[1]

კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად ახალი ინსტიტუტი იყო ქართულ სამართალში. ამ შეთანხმებას კონსტიტუციური ეწოდა იმიტომ, რომ მისი დადების შესაძლებლობა, პროცედურები და სუბიექტთა წრე სახელმწიფოს ძირითადი კანონით უნდა განსაზღვრულიყო.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ასეთი ფორმა, ბუნებრივია, კონსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვდა. ამ მიზნით 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას და მიიღო

1 იხ. საპატრიარქოს უწყებანი, 2002 წ., 18-24 ოქტომბერი, გვ. 4.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი,[1] რომელმაც ახლებურად განსაზღვრა სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობები. კონსტიტუციური კანონით ცვლილებები განიცადა ძირითადი კანონის მე-9 მუხლმა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში სამ უმნიშვნელოვანეს პრინციპს ადგენდა. მათ დაემატა კიდევ ორი პრინციპი, სახელდობრ: პირველი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით და მეორე, კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი).

როგორც ცნობილია, რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლით მოსაწესრიგებელი ურთიერთობები, მით უფრო დიდი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ შეთანხმებას, ქვეყნის ძირითადი კანონის შემდეგ, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. კერძოდ, კონსტიტუციურ შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე კანონს, ორგანულ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამის შესაბამისად, მნიშვნელოვანი კორექტივი შევიდა სამართლებრივი აქტების იერარქიაში, კერძოდ, თუ კონსტიტუციურ ცვლილებებამდე, საერთაშორისო ხელშეკრულება კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტი იყო და კონსტიტუციასთან შესაბამისობა ამ აქტის ლეგიტიმურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ცვლილებების შემდეგ, ამ პირობას დაემატა აგრეთვე კონსტიტუციურ შეთანხმებასთან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისობის აუცილებლობაც (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).

კონსტიტუციური შეთანხმების იურიდიული ძალა განპირობებულია მისი მიღების უაღრესად რთული პროცედურით, რაც საერთოდ ახასიათებს მაღალი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებს. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელმწიფოს სახელით

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2001 წ., № 9, მუხ. 33.

დებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედით (66-ე მუხლის 1^1 პუნქტი და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტი).

შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ კონსტიტუციური შეთანხმებისათვის ესოდენ მაღალი იურიდიული ძალის მინიჭება და საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ მისი უპირატესობის დადგენა გამოიწვევს რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებების და სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად თავისი მაღალი იურიდიული ძალისა, კონსტიტუციური შეთანხმება მაინც კონსტიტუციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტია. ამდენად, იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს, მათ შორის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს. ამასთანავე, ძალაშია კონსტიტუციის მე-9 მუხლის მოთხოვნა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია კონსტიტუციური შეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი სამართლებრივი აქტი გახდეს. კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისობის საკითხზე (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები). მაშასადამე, თუ კონსტიტუციურ შეთანხმებაში დადგენილი იქნება ისეთი ნორმა, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, ყოველ პირს, რომლის უფლებებიც შეილახა, შესაძლებლობა ექნება სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური შეთანხმების ამ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, განსახილველ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა გარანტირებულია არა მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის ძირითადი კანონით დეკ-ლარირებულია რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, არამედ სასამართლო დაცვის შესაძლებლობითაც.

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად დასრულებული სახე მიიღო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის

ურთიერთობების მომწესრიგებელმა კონსტიტუციურმა ნორმებმა. ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე დადგინდა ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა შესაბამისადაც უნდა განვითარდეს სამართალშემოქმედება ამ სფეროში. კონსტიტუცია უკვე იძლევა იმ სამართლებრივ ფორმებსა და მექანიზმებს, რომელთა მეოხებითაც უნდა მოხდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრა და ურთიერთობების მოწესრიგება სახელმწიფოსთან.

სწორედ ამ კონსტიტუციურმა ცვლილებებმა შექმნეს სათანადო საკანონმდებლო საფუძველი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადებისათვის, რაც განხორციელდა კიდეც 2002 წლის 14 ოქტომბერს. მცხეთაში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2002 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა იმავე წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით (№ 1697-I ს) დაამტკიცეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება. კონსტიტუციური შეთანხმება ძალაში შევიდა პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ მისი დამტკიცებისთანავე (კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი).

კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (პირველი მუხლის მე-3 პუნქტი). ამით სახელმწიფო აღიარებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულად არსებული განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სამართალსუბიექტია. კონსტიტუციურ შეთანხმებაში განსაზღვრულია ეკლესიის უფლებამოსილებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის, სოციალური დაცვის სფეროებში, ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები, მიწის ნაკვეთები, სახელმწიფო

დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) არსებული საეკლესიო საგანძური. ამასთანავე, სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან აგრეთვე დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

კონსტიტუციური შეთანხმება მტკიცე სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, სახელმწიფოორგანოებისმიერკონსტიტუციურიშეთანხმებისნორმებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს იურიდიული ძალა არ ექნებათ. ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „ეს შეთანხმება არ არის სახელმწიფოს, როგორც უფლებრივად ზემდგომი ორგანიზაციის ქვემდგომისათვის უფლებების ბოძების დოკუმენტი. იგი წარმოადგენს თანასწორუფლებიანი ორი იურიდიული პირის შეთანხმებას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა წინაშე პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ. ამგვარად, მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით. ცვლილებისათვის საჭიროა, აგრეთვე, ორმხრივი ხელმოწერა, ანუ ცვლილების მომხრე უნდა იყოს როგორც სახელმწიფო, ისე ეკლესია. ამით იურიდიულად თავიდან იქნება აცილებული მთავრობის თვითნებური ქმედება ეკლესიის მიმართ.“[1]

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ასეთ ფორმას სამეცნიერო ლიტერატურაში „პარალელური დამოკიდებულების“ ერთ-ერთ სახეობად, კერძოდ, „თანაბარუფლებიანობის სისტემად“ მიიჩნევენ. პროფესორ პანაიოტის ბუმისის აზრით, „ამ სისტემის მიხედვით ორი დაწესებულება – სახელმწიფო და ეკლესია ვლინდება, როგორც ურთიერთეკვივალენტური. არც სახელმწიფო განაგებს ან

1 დავით ჩიკვაიძე. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები. თბილისი, 2005 წ., გვ. 40.

ზედამხედველობითაკონტროლებსეკლესიას,დაარცეკლესიამიმართავს სახელმწიფოს მიმართ მმართველობისა თუ ზედამხედველობის პრაქტიკას. ორივე დაწესებულების უფლებამოსილების საზღვრები დგინდება შეთანხმებით, რომელსაც ისინი აფორმებენ ურთიერთ შორის (კონკორდატი).“[1] სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის „პარალელური დამოკიდებულების“ მეორე სახეობაა „სრული გამიჯვნის სისტემა“, რომლის მიხედვით რელიგიას სახელმწიფო მიიჩნევს პირად საქმედ, ხოლო ეკლესიას – კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ამ სისტემის დროს სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ მერყეობს კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტსა და აშკარად მტრულ პოზიციას შორის.[2] „სრული გამიჯვნის სისტემის“ სანიმუშო ქვეყნად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევენ. ამ ქვეყანაში რელიგიური ორგანიზაციების შესახებ სპეციალური კანონი არ არის მიღებული. სახელმწიფოს დამოკიდებულებას რელიგიისადმი განსაზღვრავს აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება (1791 წელი), რომელშიც ნათქვამია: „კონგრესს არ შეუძლია გამოსცეს რაიმე კანონი რელიგიის დადგენისა და თავისუფალი აღმსარებლობის აკრძალვის ... თაობაზე.“[3] რელიგიურ გაერთიანებებს აქ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ. სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, მაგალითად, კათოლიკური ეკლესია აშშ-ში ჩამოყალიბებულია ფონდის მსგავსი ტრასტის ფორმით. რელიგიური გაერთიენებების საქმიანობა და რელიგიური განათლება მთლიანად თვითდაფინანსებაზე და შემოწირულობებზეა დაფუძნებული. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ეკლესიისადმი ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩევა.[4]

სრული გამიჯვნის სისტემა მოქმედებს საფრანგეთშიც. 1904 წელს წმინდა საყდართან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, 1905 წლის 9 სექტემბერს მიღებული კანონით საფრანგეთში აღდგა სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების რეჟიმი, რომელიც დღემდე ძალაშია. კანონის თანახმად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება გარანტირებულია, არც ერთმა რელიაგიამ არ უნდა მიიღოს სამართლებრივი აღიარება. „აღიარებული ეკლესიის“ სტატუსი

1 პანაიოტის ი. ბუმისი. კანონიკური სამართალი. გამომცემლობა „მთაწმინდელი“, თბილისი, 2007 წ., გვ. 191-192.

2 პანაიოტის ი. ბუმისი. მით. ნაშრომი, გვ. 192.

3 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი I, რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2008 წ., გვ. 56.

4 იხ. რელიგიის თავისუფლება. თბილისი, 2004 წ., გვ. 258-271.

გაუქმებულია. ეკლესია არ განიხილება როგორც საჯარო ინსტიტუტი, იგი კერძო სექტორის ნაწილია. რელიგიური ორგანიზაციები საკულტო ასოციაციების ან კულტურული ასოციაციების ფორმით მოქმედებენ. საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ ძირითადი კანონის დონეზე განამტკიცა რელიგიისადმი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. კონსტიტუციური დებულებები შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ადამიანის უფლებების დაცვისადმი ერთგულების გამოსახატავად, პრეამბულაში მითითებულია „ადამიანის და მოქალაქის უფლებების“ 1789 წლის დეკლარაციაზე, რომლის ერთ-ერთი პრინციპია რწმენის თავისუფლება. საფრანგეთი გამოცხადებულია საერო რესპუბლიკად. უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედავად რელიგიისადმი მისი დამოკიდებულებისა. სახელმწიფო პატივს სცემს ყოველგვარ რწმენას (პირველი მუხლი). ზემოაღნიშნულის გამო ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რელიგიისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება საფრანგეთში შემდეგნაირადაა დახასიათებული: კონსტიტუციის „სიჩუმე, განცალკევების პოლიტიკა, სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი და კანონმდებლობის სიფრთხილე.“[1]

„სრული გამიჯვნის სისტემა“ მოქმედებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.), აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა სახელმწიფო აშკარად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა რელიგიის მიმართ.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ზემოაღნიშნულისაგან სრულიად განსხვავებული სისტემა მოქმედებს ამა თუ იმ რელიგიის ოფიციალურ, სახელმწიფო რელიგიად აღიარების პირობებში, რადგანაც ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისას სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობაზე კი არ არის საუბარი, არამედ, პირიქით, ამ რელიგიას ენიჭება ოფიციალური რელიგიის სტატუსი და შესაბამისი რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფო სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი ხდება. დომინანტური რელიგიური გაერთიანებები – სახელმწიფო ეკლესიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე, ზემოქმედებენ სახელმწიფო პოლიტიკაზე, განსაზღვრავენ საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებებს, ახორ-

1 იხ. ბრიჯიტ ბასდევან-გოდემე. სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში. წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, მეორე გამოცემა, თბილისი, „საუნჯე“, 2011 წ., გვ. 179-213.

ციელებენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციას (მაგალითად, საოჯახო ურთიერთობების რეგულირება, მართლმსაჯულების განხორციელება ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე და სხვ.). სახელმწიფო რელიგიის დოგმები აღიარებულია სამართლის წყაროდ. სახელმწიფო ეკლესიები ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით.[1]

ამჟამად სახელმწიფო რელიგია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აღიარებული. აღმოსავლეთის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ყველაზე უფრო გავრცელებული სახელმწიფო რელიგია ისლამია (მაგალითად, საუდის არაბეთი, ირანი, პაკისტანი და სხვ.), სახელმწიფო რელიგია და სახელმწიფო ეკლესიები არსებობენ იმ სახელმწიფოებშიც, სადაც კარგა ხანია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დასრულებულია და ადამიანის უფლებებიც სათანადოდაა დაცული, მაგალითად: ანგლიკანური ეკლესია – დიდ ბრიტანეთში, კათოლიკური ეკლესია – პორტუგალიაში, არგენტინაში, ირლანდიაში, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია – შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ისლანდიაში, აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ეკლესია – საბერძნეთში, ბულგარეთში.

საყურადღებოა, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო რელიგია აღიარებულია არა ჩვეულებრივი კანონით, არამედ, როგორც წესი, თავად კონსტიტუციით. სწორედ ძირითადი კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ზოგად პრინციპებს, რომლებსაც, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები და საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. მაგალითად, ნორვეგიის კონსტიტუციის მე-2 მუხლში ვკითხულობთ: „სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია არის ევანგელურ-ლუთერანული რელიგია. მისი აღმსარებელი მცხოვრებნი ვალდებული არიან ამგვარად აღზარდონ შვილები.“[2] საბერძნეთის კონსტიტუცია კი იწყება შემდეგი სიტყვებით: „წმიდა, ერთარსი და განუყოფელი სამების სახელით ელინთა მეხუთე მოწვევის გარდამავალი პარლამენტი ადგენს...“, მესამე მუხლში მითითებულია: „საბერძნეთში გაბატონებულ რელიგიას წარმოადგენს აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია“, მე-13 მუხლით

1 იხ. Г.Г. Арутюнян, М.В. Баглай. Конституционное право: Энциклопедический словарь. – М., Норма, 2006, с. 103-104.

2 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედაქტორი ვასილ გონაშვილი, ნაწილი III, თბილისი, 2006 წ., გვ. 504.

„პროზელიტიზმი აკრძალულია“, მესამე თავი განსაზღვრავს „ათონის წმიდა მთის სტატუსს“ და ა.შ.[1]

რომელიმე რელიგიის ოფიციალურ, სახელმწიფო რელიგიად აღიარების დროს სახელმწიფოსა და დომინანტურ რელიგიურ გაერთიანებას შორის „ქვეშევრდომობის ანუ სუბორდინაციული დამოკიდებულების სისტემა“ მოქმედებს, რომელიც გულისხმობს ან სახელმწიფოს დაქვემდებარებას ეკლესიისადმი (პაპოცეზარიზმი), ან პირიქით – ეკლესიის დაქვემდებარებას სახელმწიფოსადმი (ცეზაროპაპიზმი).[2] სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ამ სისტემის პირველი სახეობა (პაპოცეზარიზმი) ძირითადად დასავლეთის ეკლესიაში იყო გაბატონებული, სადაც შუა საუკუნეების პაპობა ცდილობდა მონარქების დამხობის კანონიერი უფლების მოპოვებას. ამ სისტემის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ადამიანთა ხსნისათვის ეკლესიას სწორედ იძულებით უნდა აეღო უპირატესობა სახელმწიფოზე. ამ მოსაზრებას ეფუძნებოდნენ ჯვაროსნებიც, ინკვიზიციაც და მანვე გამოიწვია პაპის საყდრის უხეში ჩარევა დასავლეთის სამყაროს პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაში.[3] ეკლესიისადმი სახელმწიფოს დაქვემდებარების მკაფიო მაგალითია თეოკრატიული მმართველობა, რომლის დროსაც დომინანტური რელიგიური გაერთიანების მეთაური, როგორც წესი, იმავდროულად არის სახელმწიფოს მეთაურიც. მაგალითად, მთელი მსოფლიოს კათოლიკეთა სულიერი მეუფე – პაპი, ამასთანავე, არის ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური. მართალია, ვატიკანს არ გააჩნია ერთიანი კონსტიტუცია, მაგრამ სახელმწიფო-სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე აქტებით. მათგან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია წმინდა საყდარსა და იტალიის სამეფოს შორის 1929 წლის 11 თებერვალს დადებული ხელშეკრულება,[4] რომლის თანახმად, აღიარებულია წმინდა საყდრის აბსოლუტური ხელისუფლება და სუვერენული იურისდიქცია ვატიკანზე (მე-3 მუხლი). ვატიკანს მართავს სიცოცხლის ბოლომდე არჩეული პაპი, რომელიც მიჩნეულია „წმინდა და ხელშეუხებელ“ პირად (მე-8 მუხლი). რომის პაპი, როგორც კათოლიკური ეკლესიისა

1 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედაქტორი ვასილ გონაშვილი, ნაწილი II, თბილისი, 2008 წ., გვ.483-552

2 Франческо Марджота Бролью, Чезаре Мирабелли, Франческо Онида. Религии и юридические системы. Введение в сравнительное церковное право. М., 2008, с. 136.

3 იხ. პანაიოტის ი. ბუმისი. მით. ნაშრომი, გვ. 190-191.

4 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი V, რედაქტორი ვასლ გონაშვილი, თბილისი, 2007 წ., გვ. 194-203.

და სახელმწიფოს მეთაური, აბსოლუტურ ხელისუფლებას ფლობს. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ „იტალია აღიარებს ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანს პაპის სუვერენიტეტის ქვეშ“ (26-ე მუხლი). ქვეყანაში მოქმედებენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები და თანამდებობის პირები – სახელმწიფო მდივანი, კარდინალთა კოლეგია, სასამართლოები, თუმცა მათი უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია.[1] „სამართლის წყაროების შესახებ“ 1929 წლის 27 ივნისის კანონით[2] ვატიკანში მოქმედი სამართლის მთავარი წყაროა კანონიკური სამართლის კოდექსი და ეკლესიის მეთაურის მიერ ან მის მიერ გაცემული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული კანონები, აგრეთვე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემული აქტები (პირველი მუხლი). იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წყაროებში, გამოიყენება იტალიის კანონები, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საღვთო სჯულს, კანონიკური სამართლის ძირითად პრინციპებს და იტალიასა და წმინდა საყდარს შორის გაფორმებულ კონკორდატს (მე-3 მუხლი).

თეოკრატიული მონარქიის ნიშნები ახასიათებს საუდის არაბეთსაც, რომელშიც სახელმწიფოს მეთაური – მეფე არა მარტო ასრულებს მუსლიმანური სამყაროს მთავარი სიწმინდეების მცველის რელიგიურ ფუნქციებს, არამედ აგრეთვე არის ისლამის ვაჰაბიტური მიმართულების მეთაურიც. მეფისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცედურას წინ უსწრებს უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტების – ულემების ვიწრო წრის თანხმობა და მხოლოდ ამის შემდეგ, სამეფო საბჭოს წევრთა გადაწყვეტილება, რომელშიც შედიან საუდიტების მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენლები.

თეოკრატიული მმართველობის მრავალი ნიშანი გააჩნია თანამედროვე ირანს, სადაც შიიტური რელიგიის სასულიერო პირებს დიდი ძალაუფლება გააჩნიათ. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით[3]: ირანის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარებულია ისლამი, კერძოდ, მისი შიიტური მიმდინარეობა (მე12 მუხლი); რელიგიურ უმცირესობებს წარმოადგენენ მხოლოდ ირანელი ცეცხლთაყვანისმცემლები, ებრაელები და ქრისტიანები (მე-13 მუხლი);

1 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი V, გვ. 191.
2 იქვე, გვ. 203-213.
3 იხ. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. თარგმანი ნუგზარ თარხნიშვილისა, თბილისი, 1994 წ.

ისლამურ რესპუბლიკურ სისტემას საფუძვლად უდევს ერთ-ერთი პრინციპი, რომლის თანახმად, ირანის ისლამური რევოლუციის წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ პირებს, და უპირველეს ყოვლისა, წინამძღოლს – უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტს (მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი); რესპუბლიკის პრეზიდენტი ქვეყანაში უმაღლეს თანამდებობის პირად ითვლება მხოლოდ წინამძღოლის შემდეგ (113-ე მუხლი); წინამძღოლი განსაზღვრავს ირანის ისლამური რესპუბლიკის წყობის საერთო პოლიტიკურ კურსს და აწესებს ზედამხედველობას მისი განხორციელების სისწორეზე (110-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები); წინამძღოლი ნიშნავს ან გადააყენებს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათ შორის, ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტის დანიშვნის შესახებ განკარგულებას მას შემდეგ, როცა მას ხალხი აირჩევს (110-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტები); ირანში არსებობს ხელისუფლების სამი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომლებიც მოქმედებენ კონსტიტუციის შესაბამისად, ოღონდ იმამის ზედამხედველობის ქვეშ (57-ე მუხლი).

ეკლესიისადმი სახელმწიფოს დაქვემდებარების სისტემა მოქმედებს აგრეთვე ანდორაში, რომლის კონსტიტუციის თანახმად, ამ ქვეყნის თანამმართველები არიან ურხელის (ესპანეთი) ეპისკოპოსი და საფრანგეთის პრეზიდენტი (43-ე მუხლი).[1]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის „ქვეშევრდომობის ანუ სუბორდინაციული დამოკიდებულების სისტემის“ მეორე სახეობა – სახელმწიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარების სისტემა (ცეზაროპაპიზმი), როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, პაპისტური აზროვნების წესისა და იეროკრატიისადმი რეაქციის სახით ჩამოყალიბდა. მისი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ პოლიტოკრატიული ხელისუფლება ისწრაფვის როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო ძალაუფლების მოპოვებისათვის. ამ სისტემის მიხედვით, ხელისუფლების უზენაესი ორგანიზაცია არის სახელმწიფო და ყოველი სხვა დაწესებულება მას უნდა ექვემდებარებოდეს.[2] ამიტომ ეს სისტემა მოქმედებს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც „კანონით ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია.“ ამ შემთხვევებში „რელი-

1 იხ. Франческо Марджота Брольо, Чезаре Мирабелли, Франческо Онида. Указ. соч. с. 137.

2 იხ. პანაიოტის ი. ბუმისი. მით. ნაშრომი, გვ. 191.

გიური კონფესიები სახელმწიფოს უშუალო კონტროლის ქვეშ არიან მოქცეულნი, რომელიც – ოფიციალური რელიგიის არარსებობის დროსაც კი – თავისი კანონებითა და ადმინისტრაციული მოქმედებებით ქვეშევრდომთა რელიგიურ ცხოვრებაში ერევა, როგორც ოფიციალური რელიგიის, თუკი ასეთი არსებობს, მეურვეობის, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიური ორგანიზაციების ჩარევის შეზღუდვის მიზნით.“[1] ამის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე არის უმაღლესი საეკლესიო მმართველი ან კიდევ სახელმწიფო მართავს ეკლესიას ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით. ასეთი ქვეყნების რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება დიდი ბრიტანეთი, სადაც ჰენრიხ VIII-დან დაწყებული, მეფე იმავდროულად ანგლიკანური ეკლესიის მეთაურიცაა. მეფე ჰენრიხ VIII-ის დროს პაპის ძალაუფლება ინგლისის ეკლესიაზე გაუქმდა და 1534 წლის „ინგლისის მეფის მიერ ეკლესიის მეთაურობის შესახებ“ აქტით მასზე მეფის უმაღლესი ხელისუფლება გამოცხადდა. ამავე წელს მიღებული „სამღვდელოების მორჩილების კანონის“ შესაბამისად, კონვოკაციებს ამა თუ იმ კანონის მისაღებად უნდა მოეპოვებინა მეფის თანხმობა. ინგლისის საეკლესიო სამართალი, რომელიც ინგლისის ეკლესიას ეხება (მათ შორის, მისი კანონიკური სამართალი), განიხილება როგორც ინგლისის კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი. მასში ცვლილებების შეტანა გენერალურ სინოდს შეუძლია, რომელიც 1919 წლის აქტით საეკლესიო კრების უფლებამონაცვლეა. გენერალური სინოდის შემადგენლობაში, სასულიერო პირებთან ერთად, საერო პირებიც შედიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საერო პირებსაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საეკლესიო კანონების მიღებაში. იმისათვის, რომ სინოდის მიერ მიღებული საკანონმდებლო ღონისძიება სრულყოფილი კანონი გახდეს, იგი პარლამენტის ორივე პალატამ უნდა მოიწონოს. ამის შემდეგ კი, ახალი კანონის გამოქვეყნებისათვის საჭიროა სამეფო სანქციის მიღება. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ეს არის ფორმალური აქტი, რომელიც აღიარებს ინგლისის დედოფლის უზენაეს მმართველობას ინგლისის ეკლესიაზე. ამ მოვლენის სამართლებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ დედოფალს არ ურჩევენ ისეთი კანონის სანქციონირებას, რომელიც ინგლისის სამართლის უფრო ფართო ცნებას ეწინააღმდეგება.“ შესაძლებელია ინგლისის მონარქის ეს უფლება მართლაც ფორმალური ხასიათის იყოს, რადგანაც ინგლისის

1 იხ. Франческо Марджота Брольо, Чезаре Мирабелли, Франческо Онида. Указ. соч. с. 137.

მონარქს ვეტოს უფლება 1707 წლიდან არც ერთხელ არ გამოუყენებია, მაგრამ „ეკლესიის თავისუფლების უფრო მეტი წინააღმდეგობრივი შეზღუდვის გამომხატველია მონარქის უფლება, პრემიერ-მინისტრის რჩევით, დანიშნოს ინგლისის ეკლესიის არქიეპისკოპოსები და საეპარქიო ეპისკოპოსები.“ საგულისხმოა ისიც, რომ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ლორდთა პალატის წევრებიც არიან.

რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, მაგალითად, რომის კათოლიკურ ეკლესიას, ისევე როგორც პროტესტანტულ დენომინაციებსა და სხვა აღმსარებლობებს, მათ მიმართ მოქმედებს საქველმოქმედო დაწესებულებების შესახებ საერთო კანონი, კერძოდ კი, საქველმოქმედო ტრასტების შესახებ კანონმდებლობა. სახელმწიფოსაგან გამოყოფილ ეკლესიებს, როგორც წესი, აქვთ ნებაყოფლობითი (მოხალისეობრივი) გაერთიანების ფორმა და მათ ქონებას მეურვეები მართავენ, რომლებიც შეიძლება იყოს დარეგისტრირებული კომპანიები ჩვეულებრივი საერთო სამართლის საფუძველზე. ასეთ გაერთიანებებს არა აქვთ რაიმე განსაკუთრებული სტატუსი. ამის გამო გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს იმ ეკლესიების ოფიციალური ნუსხა, რომლებიც „აღიარებულია“ სახელმწიფოს მიერ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ძალაში რჩება სამართლის ნორმები, რომლებიც მიმართულია რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევართა წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ტახტის პროტესტანტული მემკვიდრეობითი ფლობის უზრუნველყოფას. მონარქი აუცილებლად უნდა იყოს ინგლისის ეკლესიის წევრი. ის, ვინც გახდება კათოლიკე, ან დაქორწინდება კათოლიკეზე, გამოირიცხება ტახტის მემკვიდრეობიდან. საგულისხმოა აგრეთვე, რომ სულ რამდენიმე წლის წინ დაუშვეს დიპლომატიურ კორპუსში რომის პაპის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, ეს იყო მოვლენა, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა გასულ ათწლეულებში. გაერთიანებულ სამეფოს არა აქვს დაწერილი კონსტიტუცია და ამიტომ რელიგიის თავისუფლების ფორმალური კონსტიტუციური გარანტია არ არსებობს, თუმცა ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც „ადამიანის უფლებათა აქტით“ დამტკიცების შემდეგ ინგლისის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი გახდა. ამ დროიდან კონვენციით გარანტირებული თავისუფლებები, მათ შორის, რელიგიის თავისუფლება დაცულია ინგლისის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია ინგლისის

კანონმდებლობის ესა თუ ის ნაწილი კონვენციის შეუსაბამოდ გამოაცხადოს.[1]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ცეზაროპაპიზმის სისტემა მოქმედებს არა მარტო მონარქიულ, არამედ რესპუბლიკური მმართველობის პირობებშიც. საბერძნეთში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაბატონებულ, უპირატეს რელიგიას წარმოადგენს ქრისტიანული მართლმადიდებლობა. ეს უპირატესობა სამართლებრივი თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა არის ბერძნული სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია. არამართლმადიდებლური გაერთიანებებისაგან განსხვავებით, რომლებიც სამოქალაქო კოდექსით აღიარებულია როგორც ასოციაციები, მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს განსხვავებული სტატუსით. იგი თავის სამსახურებთან ერთად საჯარო სამართლის იურიდიული პირია სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფოს დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული და ხელისშემწყობია, რაც არ ვრცელდება სხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე.

საბერძნეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თეორიული ბაზაა ცეზაროპაპიზმის განვითარებული ფორმა, რომელსაც ბერძნულ ლიტერატურაში „სახელმწიფო კანონის უზენაესობას“ უწოდებენ. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოსცეს კანონები ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა ადმინისტრაციულ საკითხზე, თუნდაც ეს ეკლესიის შიდა სტრუქტურას ეხებოდეს.

ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე საერთოსახელმწიფოებრივ ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს სპეციალური სამსახური – საკულტო საკითხების გენერალური სამდივნო. სამსახურის შემადგენლობაშია დეპარტამენტები, რომელთა კომპეტენციაში შედის უპირატესი რელიგიის, საეკლესიო განათლებისა და რელიგიის სწავლების, აგრეთვე სხვა (არამართლმადიდებლური) რელიგიური

1 გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხები გაშუქებულია დევიდ მაკლინის ნაშრომის მიხედვით. იხ. დევიდ მაკლინი. სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში. წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, მეორე გამოცემა. თბილისი, „საუნჯე“, 2011 წ., გვ. 635-661.

გაერთიანებების საკითხები. ნიშანდობლივია, რომ განსხვავებული (არა-მართლმადიდებლური) რელიგიის დეპარტამენტს ეხება საბერძნეთის მთავარი რაბინის, ებრაელთა საზოგადოებების მთავარი რაბინებისა და დასავლეთ თრაკიის მუსლიმანური უმცირესობის სამი მუსლიმანი მუფთის დანიშვნის, განთავისუფლების და ოფიციალური სტატუსის საკითხები. რელიგიის საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროსაც მისი კომპეტენციის ფარგლებში. ამ სამინისტროს დეპარტამენტები პასუხისმგებელია საბერძნეთის ფარგლებს გარეთ მდებარე მართლმადიდებლური, სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და მართლამადიდებლურ-თეოლოგიური სკოლების, საეკლესიო ცენტრების, საზღვარგარეთ მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძენი საეკლესიო პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის აგრეთვე ათონის მთის სამოქალაქო მმართველობის საკითხები.

საბერძნეთში სამიტროპოლიტო ეპარქიები საჯარო სამართლის იურიდიული პირებია. ეპისკოპოსი მთავარი ადმინისტრატორია პროვინციაში და აქვს მიტროპოლიტის ტიტული. ეკლესიებთან და ეპარქიებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს მიტროპოლიტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მოსამართლე, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური პირი, ორი მღვდელი და ეპარქიის მრჩეველი. არქიეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის არჩევის შესახებ ოფიციალური საბუთები ბარდება განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს, რომელიც გასცემს განკარგულებას პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნებაზე. სამრევლო, ასევე მონასტრებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირებია. ისინი ფუძნდება პრეზიდენტის ბრძანებულებით. საბერძნეთში არ არის საეკლესიო გადასახადი. სახელმწიფო თითქმის მთლიანად თავის თავზე იღებს უპირატესი ეკლესიის დაფინანსებას. ამავე დროს სახელმწიფო იხდის მართლმადიდებელი საეკლესიო მსახურების განათლების ყველა ხარჯს. სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები გათანაბრებული არიან საჯარო მოხელეებთან. სახელმწიფო იხდის პრელატებისა და მღვდლების ხელფასებს, რომლებიც მსახურობენ სამრევლოებში, ასევე დიაკვნების, მქადაგებლებისა და საერო პირების ხელფასებს, რომლებიც მსახურობენ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ეს პირები პენსიებს სახელმწიფოსაგან იღებენ. არმიასა და საპოლიციო ძალებში მომსახურე მღვდლებს ენიჭებათ ოფიცრის რანგი და იღებენ ხელფასს

ან პენსიას თავიანთი რანგის გამო.[1] როგორც ვხედავთ, საბერძნეთში ეკლესია თითქმის სრულად არის გასახელმწიფოებული. გამონაკლისია მხოლოდ ათონის წმინდა მთა, რომელიც საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად (105-ე მუხლი) ავტონომიით სარგებლობს და მას მართავენ სასულიერო პირები.

ცეზაროპაპიზმის გარკვეული ნიშნები გააჩნდა XII საუკუნეში საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას საქართველოში. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წ.) შემდეგ, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოიწვია იმ პერიოდში ეკლესიაში გავრცელებულ უწესრიგობათა აღმოსაფხვრელად და ახალი საეკლესიო პოლიტიკის გასატარებლად, გადაწყდა, რომ ყველაზე გავლენიანი საეკლესიო პირი სახელმწიფო მმართველობაში მოეყვანათ და ამ გზით ეკლესია სამეფო ხელისუფლებასთან დაეახლოვებინათ. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ორი თანამდებობა – ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა შეაერთა. აქედან მოყოლებული მწიგნობართუხუცესად, რომელიც მეფის უპირველეს ვაზირად ითვლებოდა, მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი – ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი ინიშნებოდა.[2] ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ვითარცა მთავარეპისკოპოსი და ვაზირი, სასულიერო და საერო ხელისუფლების შემაერთებელი იყო. ამიტომაც მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმე ეკლესიებისა და მონასტრების, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ.[3] როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ პერიოდის შესახებ მოგვითხრობს, ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა.“[4] მართალია,

---

1 საბერძნეთში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხები გაშუქებულია კარალამბოს პაპასტატისის ნაშრომის მიხედვით. იხ. კარალამბოს პაპასტატისი. სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში. წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, მეორე გამოცემა, თბილისი, „საუნჯე“, 2011 წ., გვ. 132-156.

2 იხ. როინ მეტრეველი. 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი. თბილისი, 2002 წ., გვ. 29-30.

3 ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982 წ., გვ.276.

4 ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბილისი, 2008 წ., გვ. 336.

ივ. ჯავახიშვილს ეს ცნობა გადაჭარბებულად მიაჩნია, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ „იმდენად, რამდენადაც მაშინ სახელმწიფო მთავრობას უფლება ჰქონდა საეკლესიო საკითხებში ჩარეულიყო, მას ამ თავისი უფლების განხორციელება ალბათ მწიგნობართუხუცესის საშუალებით შეეძლო. ვაზირთა შორის მხოლოდ იგი იყო მღვდელმთავარი და სასულიერო პირი და ვითარცა სამეფოს პირველ ხელისუფალს სხვებზე მეტად ამგვარს საქმეებზე ზრუნვა მას შეჰშვენოდა.“[1]

ამრიგად, XII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში სასულიერო სფეროში საერო ხელისუფლების უფლებების გაზრდის თვალსაზრისით. იმ პირობებში, როდესაც იმჟამინდელი საეკლესიო დოგმატების მიხედვით მეფე ფორმალურად უშუალოდ ვერ ერეოდა საეკლესიო საკითხების გადაჭრაში, მწიგნობართუხუცესჰყონდიდელის თანამდებობის შემოღებით, საერო ხელისუფლებამ რეალური გავლენა მოიპოვა ეკლესიაზე.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის წარმოდგენილი კლასიფიკაცია არ არის ერთადერთი, მაგრამ, ამასთანავე, ყველაზე მეტად გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზემოაღნიშნულ ორ სისტემასთან ერთად, მაგალითად, ცალკე განიხილავენ აგრეთვე ე.წ. „კოორდინაციის სისტემასაც“,[2] თუმცა, ჩვენი აზრით, მის შინაარსს გარკვეულად ფარავს წინა ორი ძირითადი სისტემა, ამიტომ მის დამოუკიდებლად განხილვას არა გვგონია რაიმე შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სისტემები უაღრესად მრავალფეროვანია და იგი ნაკლებად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარების დონეზე. ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისტორიული, პოლიტიკური, ეთნიკური ფაქტორები, დამკვიდრებული ტრადიციები და სხვ. კონკრეტულ ქვეყანაში ამ ფაქტორებიდან ზოგჯერ რომელიმე ერთი ან რამდენიმე ერთად განმსაზღვრელ როლს ასრულებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბებაში. ამიტომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ფორმა, რომელიც წარმატებით მოქმედებს ერთ რომელიმე ქვეყანაში, შესაძლებელია სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის.

1 იქვე.
2 იხ. პანაიოტის ი. ბუმისი. მით. ნაშრომი, გვ. 192-194.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიების მიმართ, მაგალითად, რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის მხარდაჭერა, თავისთავად, სულაც არ არის თანასწორობის პრინციპის დარღვევისა და დისკრიმინაციის მაჩვენებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „განსხვავებული მოპყრობა არ არის აუცილებლად თანასწორობის პრინციპის დარღვევა, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ასეთი დიფერენცირებისათვის... განსხვავებული მოსაზრებების მქონეთა მიმართ დამოკიდებულება მათი განსხვავებების გათვალისწინებით გაცილებით ღრმა პატივისცემის დემონსტრირებაა, ვიდრე ყველას თანაბრად მორგება პროკრუსტეს სარეცელზე“.[1] ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის განმარტება, რომლის მიხედვით დისკრიმინაციას ადგილი აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო გონივრული დასაბუთების გარეშე განსხვავებულად ეპყრობა თანაბარ, ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ პირებს, არამედ მაშინაც, როცა სახელმწიფო ობიექტური და გონივრული საფუძვლის გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობა განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს.[2] სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ რელიგიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების ობიექტური საფუძველი შეიძლება იყოს ქვეყანაში ამ რელიგიის გავრცელების მასშტაბი, როლი, რომელსაც ეს რელიგია ასრულებდა ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებას შორის დადებული შეთანხმება (კონკორდატი) და სხვ. მაგალითად, საქმეში: იგლესია ბაუტისტა „ელ სალვადორი“ და ორტეგა მარატილა ესპანეთის წინააღმდეგ[3] ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ის საგადასახადო სისტემა, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა კათოლიკურ ეკლესიას პროტესტანტული ეკლესიების მიმართ, არ არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებს. ესპანეთში კათოლიკური ეკლესია გათავისუფლებული იყო უძრავი ქონების გადასახადისაგან. მომჩივნები – პროტესტანტული ეკლესია და პროტესტანტი წინამძღვარი – ასევე

1 იხ. რელიგიის თავისუფლება, გვ. 73.

2 Микеле де Сальвиа. Прецеденты Европейского Суда по правам человека. “Юридический центр Пресс», Санкт-Петербург, 2004, с. 748.

3 Iglesia Bautista “El Salvador” and Ortega Moratilla v. Spain, 72 Eur. Comm’n H.R.Dec. & Rep. 256(1992). წიგნში: რელიგიის თავისუფლება, გვ. 114.

ითხოვდნენ, ამ გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებას, თუმცა მათ უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს დათმობა კათოლიკური ეკლესიის მიმართ განპირობებული იყო ესპანეთსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის დადებული კონკორდატით. სახელმწიფო უფლებამოსილია განსაზღვრული ეკლესია ან რელიგიური ორგანიზაცია გაათავისუფლოს გადასახადის გადახდისაგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის გარეშე, თუკი არსებობს „ობიექტური და დასაბუთებული“ გამართლება მსგავსი განსხვავებული დამოკიდებულებისა. კომისიამ განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკორდატის არსებობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჰქონდა ასეთი გამართლება. ვინაიდან პროტესტანტულ ეკლესიასთან არ იყო დადებული ამგვარი შეთანხმება (კონკორდატი), შესაბამისად, არც დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი პროტესტანტული ეკლესიის მიმართ.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მიერ რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად, მათი თანასწორობის პრინციპის დარღვევად, თუ ასეთი განსხვავებული დამოკიდებულებისათვის არსებობს ობიექტური და გონივრული საფუძველი. აქ, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ არ იზღუდებოდეს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევაც, ახდენს თუ არა გავლენას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა რელიგიის თავისუფლების ხარისხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დილეტანტური მოსაზრებით, პირდაპირპროპორციული კავშირი არსებობს რელიგიის თავისუფლებასა და სახელმწიფოსა და ეკლესიის იდენტიფიკაციის დონეს შორის. კერძოდ, რელიგიის მაქსიმალური თავისუფლება მიიღწევა სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული გამიჯვნის (არაიდენტიფიკაციის) დროს და პირიქით, რელიგიის თავისუფლება არ არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიის მაქსიმალური იდენტიფიკაციის (დაწესებული ეკლესიის) დროს. ეს მოსაზრება დილეტანტურად მიიჩნევა იმდენად, რამდენადაც ასეთი მიდგომა ზედაპირულია და ძალზე ამარტივებს განსახილველ საკითხს.[1] საქმე ისაა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა თავისთავად არც რელიგიის თავისუფლების და-

1 იხ. რელიგიის თავისუფლება, გვ. 69.

ბალ დონეს გულისხმობს და არც რელიგიის თავისუფლების ზრდას განაპირობებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირში, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპი მთელი სისრულით მოქმედებდა, ამას სრულებითაც არ შეუწყვია ხელი რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის. პირიქით, სახელმწიფოსა და ეკლესიის აგრესიული გამიჯვნა რელიგიისადმი დაპირისპირებასა და დევნაში იყო გადაზრდილი. მეორე მხრივ, დიდ ბრიტანეთში, სადაც შენარჩუნებულია დაწესებული ეკლესია და, შესაბამისად, სახელმწიფოსა და ეკლესიის იდენტიფიკაციის დონე საკმაოდ დიდია, ამასთანავე, უზრუნველყოფილია თანაბარი მოპყრობა ყველა რელიგიური მრწამსისადმი და რელიგიის თავისუფლების ხარისხიც მაღალია. ამიტომ, როგორც ჩანს, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ფორმა კი არ განსაზღვრავს რელიგიის თავისუფლების ხარისხს, არამედ მოცემულ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი. ამავე დროს, ობიექტურობისათვის უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებასაც, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ორი უკიდურესი ფორმა – სრული გამიჯვნა და ძლიერი იდენტიფიკაცია – რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის, რელიგიურ შუღლსა და დევნაში გადაზრდის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში, ამასთანავე, მიიჩნევენ, რომ რელიგიის თავისუფლების მაღალი დონის მიღწევისათვის საუკეთესო პირობები იქმნება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და მხარდაჭერილი ეკლესიების რეჟიმების დროს. იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც ასეთი რეჟიმები მოქმედებს, დასახელებულია საქართველოც, ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის, გერმანიის და რამდენიმე სამხრეთამერიკულ ქვეყანასთან ერთად. ამ ქვეყნებში დომინანტურ ეკლესიას, მართალია, ფორმალურად არ აღიარებენ ოფიციალურ რელიგიად, მაგრამ ადასტურებენ, რომ შესაბამის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის კულტურაში. მხარდაჭერილი ეკლესია სპეციალური აღიარებით სარგებლობს, სახელმწიფო თანამშრომლობს მასთან სხვადასხვა გზით სპეციალური შეთანხმების (კონკორდატის) საფუძველზე, თუმცა კონსტიტუციით სხვა რელიგიური ჯგუფებიც თანაბარი დაცვით სარგებლობენ.[2]

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების სახეების მიმოხილვა, რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი დავუთ-

1 იქვე, გვ. 69-70.
2 იქვე, გვ. 72-73.

მეთ წინამდებარე ნაშრომში, სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც შედარებითი ანალიზის საფუძველზე უკეთ გაგვერკვია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საქართველოს მიერ არჩეული მოდელის მართებულობა და სისწორე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებით გამოინახა ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის ზედმიწევნით სწორი სამართლებრივი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ეკლესიის დამოუკიდებლობას, მისი სუვერენული უფლებების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის ყველა იმ უფლებით აღჭურვას, რომელიც აუცილებელია ერის გამაერთიანებლისა და მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სხვა ფუნქციების შესასრულებლად. ამასთან, გამორიცხულია სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმეებში და პირიქით. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა დაფუძნებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე. ამის თაობაზე პირდაპირ არის გაცხადებული კონსტიტუციურ შეთანხმებაში: „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“ (პირველი მუხლის პირველი პუნქტი).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრასთან ერთად, საჭირო იყო აგრეთვე საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებისა და მათი სამართლებრივი მდგომარეობის საკითხების გადაწყვეტაც, რათა რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობას დასრულებული სახე მიეღო. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, პასუხი უნდა გასცემოდა კითხვას: ხომ არ იყო შესაძლებელი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებთანაც სახელმწიფოს ურთიერთობა მოწესრიგებულიყო ხელშეკრულებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ჩვენი აზრით, მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ისტორიული.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. იგი, საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული

სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტრუქტურული ერთეულებია და, შესაბამისად, ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა. ამასთანავე, მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია მათი როლი საქართველოს ისტორიაში. ამდენად, არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული და არც ისტორიული საფუძველი.

რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ცნობდა, ხოლო „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ ჩარჩო კანონის გამოყენება რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელი იყო, ამიტომ მათი სამართლებრივი მდგომარეობა უნდა განსაზღვრულიყო რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონით. სამწუხაროდ, ასეთი კანონი არ იქნა მიღებული, რამაც წარმოშვა მნიშვნელოვანი ხარვეზი რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ რეგულირებაში. საკმარისია ითქვას, რომ სპეციალური კანონის არარსებობის გამო, რელიგიური ორგანიზაციები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ვერ ყალიბდებოდნენ და, შესაბამისად, ვერც სახელმწიფო რეგისტრაციაში ტარდებოდნენ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი ამ დროს რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისაგან თავის არიდებას ადმინისტრაციულ გადაცდომად მიიჩნევდა და ამ გაერთიანების ხელმძღვანელის მიმართ ადმინისტრაციულ სახდელს ითვალისწინებდა (199-ე მუხლი). ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია იმისათვის, რომ იურიდიული პირის სტატუსი მოეპოვებინა, არასამეწარმეო იურიდიული პირის – კავშირის სახით დარეგისტრირდა, თუმცა თბილისის საოლქო სასამართლომ (2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით) და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (2001 წლის 22 თებერვლის განჩინებით) გააუქმეს მათი რეგისტრაცია იმ მოტივით, რომ „ვიდრე კანონით არ განსაზღვრულა რელიგიური ორგანიზაციების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების, შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია კერძო სამართლის იურიდული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების

გამოყენება.“[1] ჩვენი აზრით, ზემდგომმა სასამართლოებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რადაგანაც იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით, რელიგიური გაერთიანებები არ შეიძლება ყოფილიყვნენ დარეგისტრირებული როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

ამ გაუგებარი მდგომარეობის გამოსწორებისა და საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღების ნაცვლად, 2005 წელს ცვლილება იქნა შეტანილი სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში, რომლის შედეგად საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალიდან ამოიღეს რელიგიური ორგანიზაციები.[2] იმავე წელს ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და გაუქმდა პასუხისმგებლობა რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისაგან თავის არიდებისათვის.[3] შემდგომ წლებში კვლავ ცვლილება განიცადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, რომლის შედეგად გაუქმდა კავშირისა და ფონდის შესახებ სპეციალური ნორმები[4] და შემოღებულ იქნა უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) ინსტიტუტი.[5]

კანონმდებელი, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ ეს ცვლილებები შესაძლებლობას მისცემდა რელიგიურ ორგანიზაციებს, რეგისტრაცია გაევლოთ როგორც არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს ან უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფილიალს (წარმომადგენლობას). მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მხოლოდ რამდენიმე რელიგიური ორგანიზაცია (მაგალითად, ორმოცდაათიანელთა ეკლესია, ხსნის არმია, მეშვიდე დღის ადვენტისტები და სხვ.) დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად. რაც შეეხება

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 22 თებერვლის განჩინება (N 3 კ / 599); ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ: რელიგიური ორგანიზაციების სტატუსი საქართველოში, გამოცემაზე მუშაობდნენ: ქ. გაჩეჩილაძე, ზ. ქუცნაშვილი, პ. გაჩეჩილაძე, თბილისი, 2010 წ., გვ. 20-23.

2 საქართველოს 2005 წლის 6 აპრილის კანონი № 1233 – სსმ I, № 18, 27.04. 2005 წ., მუხ. 110.

3 საქართველოს 2005 წლის 6 აპრილის კანონი № 1234 – სსმ I, № 18, 27.04. 2005 წ., მუხ. 111.

4 საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი № 3967 – სსმ I, № 48, 22.12. 2006 წ., მუხ., 336.

5 საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი № 2548 – სსმ I, № 49, 30.12. 2009 წ., მუხ. 370.

ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებებს (მაგალითად, კათოლიკური ეკლესია, მუსლიმანური თემი, სომხეთის სამოციქულო ეკლესია, ებრაელთა თემი და სხვ.), მათ უარი განაცხადეს შემოთავაზებულ სტატუსზე და რეგისტრაციაშიც არ გატარდნენ. ამის მიზეზი, როგორც ირკვევა, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ სურდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანაბარი სამართლებრივი სტატუსი მიეღოთ, ე. ი. გამხდარიყვნენ საჯარო სამართლის და არა კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათთვის მიუღებელი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად დარეგისტრირება.[1] ასეთი მოთხოვნისას ეს რელიგიური ორგანიზაციები არ ითვალისწინებდნენ, რომ იმ ქვეყნების კანონმდებლობით, სადაც მათ დომინირებული მდგომარეობა უკავიათ (მაგალითად, ვატიკანი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.), მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური ორგანიზაციები არ სარგებლობენ მათი თანაბარი სტატუსითა და უფლებებით. მაგალითად, „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ სომხეთის რესპუბლიკის 1991 წლის 17 ივნისის კანონით (ЗР-0333-1): სომხეთის სამოციქულო ეკლესია აღიარებულია სომეხი ხალხის ნაციონალურ ეკლესიად; განსაზღვრულია მისიათა ვრცელი ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება ნაციონალური ეკლესიის პრივილეგიას წარმოადგენს; სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოქმედი სომხეთის სამოციქულო ეკლესია, როგორც ნაციონალური ეკლესია; პროზელიტიზმი აკრძალულია და სხვა. რაც შეეხება სხვა აღმსარებლობის მიმდევრებს, ისინი ამ კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რომ ჩაითვალონ რელიგიურ ორგანიზაციებად და, შესაბამისად, მოიპოვონ იურიდიული პირის სტატუსი, კერძოდ: მათი მოძღვრება უნდა ემყარებოდეს რომელიმე ისტორიულ კანონიზებულ წმინდა წიგნს; თავისი სარწმუნოებით უნდა შედიოდნენ თანამედროვე მსოფლიო რელიგიურ-საეკლესიო თემთა სისტემაში; მორწმუნეთა რაოდენობა არ უნდა იყოს ორას წევრზე ნაკლები და სხვა. ამასთანავე, და რაც მთავარია, რელიგიური ორგანიზაცია, რომლის სულიერი ცენტრი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა, არ შეიძლება დაფინანსდეს ამ ცენტრის მიერ.

ჩვენი ამოცანა სრულიადაც არ არის სომხეთის რესპუბლიკაში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის

1 იხ. რელიგიური ორგანიზაციების სტატუსი საქართველოში, გვ. 6-17.

გარკვევა და შეფასება. როგორც ჩანს, სომეხი კანონმდებლების ასეთ დამოკიდებულებას თავიანთი ნაციონალური ეკლესიისადმი ობიექტური საფუძველი გააჩნია. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ როცა თავის ქვეყანაში ასეთი სტატუსითა და პრივილეგიებით აღჭურვილი რელიგიური ორგანიზაცია სხვა ქვეყანაშიც მოითხოვს იქ არსებული დომინანტური რელიგიური ორგანიზაციის თანაბარი სტატუსის მიღებას, არა გვგონია, სამართლიანი იყოს. ამიტომ საქართველოს კანონმდებლების დუალისტური მიდგომა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული ქვეყნებისათვის, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო ხელისშემშლელი გარემოება ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციებისათვის, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებული სტატუსის მისაღებად.

მიუხედავად ამისა, ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების უსტატუსოდ ყოფნის პერიოდი, რომელიც მხოლოდ მათი პოზიციით იყო გამოწვეული, ძალზე გაგრძელდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში საქართველოს ხელისუფლებამ სრულიად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა.

2011 წლის 6 ივლისს ცვლილებები იქნა შეტანილი, და უკვე მერამდენედ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში.[1] ამ ცვლილებით კანონმდებელმა, უწინარეს ყოვლისა, გამოასწორა ადრე დაშვებული უზუსტობა, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ჩამონათვალში მითითებული იყო საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელწოდების გარეშე, ე.ი. არ იყო აღნიშნული, რომ აქ იგულისხმებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ საქართველოს მართლამადიდებელ ეკლესიასთან ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმების დადებას და კონსტიტუციური შეთანხმებით მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყო აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, კანონმდებელმა გაითვალისწინა კონსტიტუციის ეს დებულებები და 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის ახალ რედაქციაში ჩაწერა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირია „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

1 საქართველოს 2011 წლის 5 ივლისის კანონი № 5034 – ვებგვერდი, 06.07. 2011 წ.

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.“ ეს, ასე ვთქვათ, საკითხის ფორმალური მხარის მოგვარება იყო. არსებითი კი ის გახლდათ, რომ სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში გაჩნდა მითითება ახალ 1509[1] მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად მიიჩნევა აგრეთვე ამ ახალ მუხლში გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები. თავად 1509[1] მუხლი, რომლის სათაურია „რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი“, რელიგიურ გაერთიანებებს უფლებას აძლევს დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (პირველი ნაწილი), ოღონდ იმ პირობით, თუ მათ აქვთ ისტორიული კავშირი საქართველოსთან ან ისინი „ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანომდებლობით მიჩნეულია რელიგიად“. ამ საკითხის გადაწყვეტა მინდობილი აქვს მარეგისტრირებელ ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (მე-4 ნაწილი). რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანების უფლებაუნარიანობას, ამის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებებში ნათქვამია, რომ ამ რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-5 ნაწილი), „მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით“ (მე-6 ნაწილი). აქ კანონმდებელს, ალბათ, მხედველობაში აქვს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. რადგანაც საქართველოში რელიგიური გაერთიანებების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ სპეციალური კანონი არ არსებობს და, როგორც ჩანს, არც აპირებენ მის მიღებას, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების უფლებაუნარიანობა განისაზღვრება მხოლოდ მათი სადამფუძნებლო დოკუმენტებით – წესდებით, დებულებით და ა.შ. რეგისტრაციისას, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებშია აღნიშნული, ამ რელიგიური გაერთიანებების მიმართ გამოიყენება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესები. ამის შესაბამისად, მათზე, რა თქმა უნდა, გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის ის

დებულებაც, რომლის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ მისი მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს (მე-4 ნაწილი).

საკანონმდებლო ცვლილებები რელიგიურ გაერთიანებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარდა, სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებსაც სთავაზობს. სავალდებულო არ არის, რომ ისინი უსათუოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ. მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ აგრეთვე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად ან ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც არარეგისტრირებული კავშირი (1509[1] მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში მათი უფლებაუნარიანობა განისაზღვრება ისე, როგორც ეს დადგენილია სამოქალაქო კოდექსით კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, სახელდობრ, მათ უფლება ექნებათ, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის მიმართ საქართველოს კანონმდებლობის დამოკიდებულების დინამიკას, შემდეგ სურათს მივიღებთ: თავდაპირველად (1997 წ.) რელიგიური გაერთიანებები მიჩნეული იყო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, შემდეგ (2005 წ.) – კერძო სამართლის იურიდიულ პირებად, ხოლო ამჟამად (2011 წ.) – საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად (მათი შეხედულებით). ასეთი ცვალებადობა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებელს მთლიანობაში არ ჰქონდა გააზრებული საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი საკითხები. ამიტომ იგი უპირატესად მოქმედებდა ცდისა და დაკვირვების მეთოდებით, სხვა ქვეყნების გამოცდილების მექანიკური გადმოღებითა და ზოგჯერ საგარეო ფაქტორების გავლენით. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას, სუბიექტებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ასარჩევად შეთავაზება, სრულებითაც არ არის ლიბერალიზმის გამოვლინება. ამ სფეროში სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკის მაჩ-

ვენებელი, უწინარეს ყოვლისა, არის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა და რელიგიური გაერთიანებებისათვის ისეთი სამართლებრივი სტატუსისა და უფლებამოსილებების მიცემა, რომელიც რელიგიური საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების პირობებს შეუქმნის მათ. ეს კი შესაძლებელია რელიგიური გაერთიანებების როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით აღჭურვის დროს, ოღონდ რომელი იურიდიული სტატუსი ექნებათ რელიგიურ გაერთიანებებს – საჯარო თუ კერძო, ეს თავად კანონმდებელმა უნდა გადაწყვიტოს რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონით და იგი დამოკიდებული არ უნდა იყოს სტატუსის მიმღები სუბიექტის ნებაზე. სწორედ კანონმა უნდა განსაზღვროს, რა ჩაითვლება რელიგიურ გაერთიანებად, რა არის რელიგიური საქმიანობა და რა უფლებამოსილებები შეიძლება გააჩნდეს ასეთ გაერთიანებას მისი საქმიანობის განხორციელებისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509[1]'მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული კრიტერიუმები, სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად არ გამოდგება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, ჯერ ერთი, ეს კრიტერიუმები ძალზე პირობითია და, მეორე, იმ `რელიგიურ~ გაერთიანებებს, რომლებსაც საქართველოსთან არ ჰქონიათ რაიმე ისტორიული კავშირი და არც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მიიჩნევიან რელიგიად, უპრობლემოდ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან შედარებით, უფრო ფართო უფლებამოსილებებიც მოიპოვონ. სწორედ ამიტომ არის საჭირო რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღება, რომელიც სიცხადეს, გარკვეულობასა და წესრიგს შეიტანდა ამ სფეროში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა კონსტიტუციური შეთანხმებით განისაზღვრა და, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად. მაგრამ, ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ ამით სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ყველა პრობლემა არ მოგვარებულა. საქმე ისაა, რომ კონსტიტუციური შეთანხმების დადებას უნდა მოჰყოლოდა მთელი წყება ნორმატიული აქტებისა, რომლებიც მოაწესრიგებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს (მაგალითად, ჯვრისწერის სახელმწიფო აღიარებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის

სწავლებას და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა 2003 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანებულება,[1] ხოლო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა სამთავრობო კომისია,[2] სამწუხაროდ, ეს საკითხები ჯერჯერობით შეუსწავლელი და გადაუწყვეტელი რჩება, რის გამოც კონსტიტუციური შეთანხმების მნიშვნელოვანი დებულებების ამოქმედება ფერხდება. ერთადერთი გამონაკლისია კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ასამოქმედებლად 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ღონისძიებები. მხედველობაში გვაქვს „უმაღლესი განათლების შესახებ“[3] და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“[4] საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც სრულყოფილად მოაწესრიგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების, მათი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესები, ავტორიზაციის პრინციპები და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არ დასრულებულა როგორც სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების, ისე სხვა რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების შექმნის პროცესი. ვფიქრობთ, ამ სფეროში სამართალშემოქმედების გააქტიურება უნდა იქცეს ჩვენი საკანონმდებლო ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

---

1 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. საქართველოს პრეზიდენტი. №1. 07.01. 2003.

2 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს მთავრობა. №63. 21.02. 2012.

3 საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი № 187 – ვებგვერდი. 29.12. 2012 წ.

4 საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი № 188 – ვებგვერდი. 29.12. 2012 წ.

9. სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული მმართველობა იყო, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს და 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე გაგრძელდა. ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის შეწყვეტა.

1801 წლამდე საქართველოში მონარქიული მმართველობა აბსოლუტური მონარქიის სახეს ატარებდა. საქართველოს აგრესიულ გეოპოლიტიკურგარემოშიუწევდაარსებობა.ქართველიმეფეებისმთავარ ამოცანას მუდმივად წარმოადგენდა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი რეგიონული სეპარატიზმის, ისე სხვა სახელმწიფოების აგრესიისაგან. ამ ამოცანის შესრულება კი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც პასუხობდა მმართველობის აბსოლუტური მონარქიის ფორმა. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, საქართველოს მეფის ხელისუფლება არასდროს ყოფილა დესპოტური ერთმმართველობა.[1] უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიაში იყო მცდელობა მონარქიული მმართველობის სხვა სახეობის შემოღებისა. კერძოდ, მე-12 საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 1185 წელს, თამარ მეფის დროს მოხდა მეფის ერთ-ერთი ვაზირის, მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის შეცვლის სავსებით გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა.[2] ყუთლუ-არსლანის პროგრამით გათვალისწინებული იყო წარმომადგენლობითი ორგანოს – "კარავის" შექმნა, რომელსაც კანონების მიღების და უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება ექნებოდა, მეფის ხელში კი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. თანამედროვე სამეცნიერო კრიტერიუმებს თუ მოვიშველიებთ, ცხადი ხდება, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტური მონარქიის დამყარება ჰქონდა განზრახული. ეს ისტორიული ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იმდროინდელ მსოფლიოში არც იდეის და მით

1 იხ. შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. II, 1958, გვ. 9-10.

2 ამ მოვლენის თარიღის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1998, გვ. 238.

უმეტეს, არც პრაქტიკის თვალსაზრისით პარლამენტურ მონარქიას ანალოგი არ მოეძებნება. ინგლისში, რომელიც პარლამენტარიზმის აკვნად ითვლება, "თავისუფლების დიდი ქარტია" ზემოაღნიშნული ფაქტიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1215 წელს მიიღეს, ხოლო პირველი პარლამენტი – 80 წლის შემდეგ, 1265 წელს შეიქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ცნობილ თეორეტიკოსებს ჯ. ლოკს (ინგლისი) და შ. მონტესკიეს (საფრანგეთი), ისინი ამ ფაქტიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ დაიბადნენ.

მართალია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა არ განხორციელებულა, ორივე მხარემ დათმო: ყუთლუ-არსლანი არ დაუსჯიათ, ხოლო დიდგვაროვანთა ცალკე "კარავი" უარყოფილი იქნა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის შეთანხმებით, მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის "თანაზიარობითა და ერთნებობით", ე.ი. ქვეყნის მართვა-გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც ახორციელებდა.[1] რადგანაც აქ მეფის ხელისუფლების მხოლოდ გარკვეული შეზღუდვა მოხდა და მას არ მოჰყოლია ხელისუფლების რაიმე სახით დანაწილება მონარქსა და დარბაზს შორის, ამიტომ სახელმწიფო მმართველობაში განხორციელებული ეს ცვლილება არ შეიცავს დუალისტური მონარქიის ნიშნებს. საქართველოში კვლავ აბსოლუტური მონარქიული მმართველობა გაგრძელდა, ოღონდ მეფის ხელისუფლების გარკვეული შეზღუდვით.

1801 წლიდან საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავის მხრივ, მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამდენად, ქართველერსსაკუთარისახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, უცხო ქვეყნის მონარქიულ სახელმწიფოში მოუწია არსებობა 1917 წლამდე, როდესაც რევოლუციების შედეგად რუსეთის მონარქია დაემხო.

1918-1921 წლებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, "დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა". მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ მოჰყოლია მონარქიული მმართველობის აღდგენა. პირიქით, სახელმწიფო მმართველობის ფორმად განისაზღვრა რესპუბლიკური წეს-წყობილება. უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921

1 იხ. ივანე სურგულაძე. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985, გვ. 96-124.

წლის კონსტიტუციით მმართველობის ამ ფორმის არჩევამ კიდევ უფრო კატეგორიული და ამასთანავე უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში, სახელმწიფო მმართველობის ფორმის განსაზღვრისას, ასეთი დებულებაა გადმოცემული: "მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". აქ რომ შემთხვევით არ არის გამოყენებული სიტყვები "მუდმივი და უცვლელი", ე.ი. ის, რაც გადასინჯვას არ ექვემდებარება, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ამავე კონსტიტუციის 148-ე მუხლში გამყარებულ ამკრძალავ ნორმას მოვიშველიებთ. მასში იმპერატიულად არის ნათქვამი: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად".

აი, რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან დამფუძნებელ კრებას წარუდგინა 1920 წლის 24 ნოემბერს: "მუდმივი არაფერია. მომავალ თაობას შეიძლება ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, სავსებით ბუნებრივია მათი შესწორება, შეცვლა. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს. შეიძლება ახალი საზოგადოებრივი წყობა დამყარდეს, ახალი კონსტიტუციაც შემუშავდეს, მაგრამ ეს მუხლი უცვლელად უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში."[1]

როგორც ვხედავთ, ჩვენმა წინაპრებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმად "მარადიული რესპუბლიკა" დაგვიტოვეს პოლიტიკურ ანდერძად. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ იმ პერიოდის დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთის ცარისტულ რეჟიმს და მათთვის მონარქიული მმართველობა საერთოდ მიუღებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიური თვალსაზრისით.

კონსტიტუციამ სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა დაამკვიდრა, ოღონდ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. მართალია, სახელისუფლებო სტრუქტურები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფოს მეთაურის

1 იხ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2001, გვ. 174.

პოსტი. მის მოვალეობებს გარკვეული თვალსაზრისით ავსებდა მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად ენიჭებოდა "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა", თუმცა იგი მაინც არ იყო საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ტოლფასი ინსტიტუტი. საპარლამენტო რესპუბლიკის ასეთი ორიგინალური მოდელი სოციალ-დემოკრატების შემოქმედების ნაყოფია. მათგან განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეები იყვნენ და ამიტომაც აკრიტიკებდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩანაცვლებას გაფართოებული უფლებამოსილებების მქონე პრემიერით. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გ. გვაზავა დამფუძნებელ კრებაში საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვისას აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო "პრეზიდენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ნ. ჟორდანია კი ცდილობს გამონახოს რაღაც საშუალო, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ჯერ არსად ყოფილა. ამით ევროპას ვერ გავაკვირვებთ, საქართველოს კი ზიანს მივაყენებთ".[1]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 1918 წლიდან 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც შემოღებული იყო სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკის სახით, სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის გარეშე, ე.ი. ისეთი, როგორც ამას 1921 წლის კონსტიტუცია ადგენდა. ამიტომ საფუძველს მოკლებულია ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება თითქოს ნ. ჟორდანია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ (1921 წ.), საქართველოში სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა იძულებით ინკორპორირებული ამ კავშირიდან გასვლის ფორმალური უფლებით. საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978 წწ.) ხელისუფლების ერთიანობის პრინციპზე იყო აგებული, მართალია, ძირითადი კანონებით განსაზღვრული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ ამავე კონსტიტუციებით საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბირთვს კომპარტია წარმოადგენდა,

1 იხ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 177.

რომელიც მოქალაქეთა ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაში. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო შესასრულებლად ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის. ამიტომ ხელისუფლების დანაწილება ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფიქცია იყო.

მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, საქართველო 1921-1990 წლებში ტოტალიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა (ტერმინი "რესპუბლიკა" აქ გამოყენებულია მხოლოდ როგორც "მონარქიის" ანტიპოდი).

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აუცილებელი გახდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას.

1978 წლის საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად, ქვეყნის მმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, ანუ, დაახლოებით ისეთი სახით, როგორც ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ამ მოდელის უდავოდ ნაკლოვანი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს არ ჰყავდა მეთაური, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამ ხარვეზს მთავრობის თავმჯდომარის, ხოლო 1978 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გაზრდილი უფლებამოსილებებით ავსებდა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს მეთაურის მხოლოდ სუროგატს წარმოადგენდნენ.

ამ ხარვეზის შესავსებად 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების მიზნით. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მსგავსად. მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენს. მართალია, ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ამასთანავე, არსებობს ძლიერი მთავრობის მეთაურიც. მთლიანად მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრეზიდენტის

მიერ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა უაღრესად მოქნილს ხდის ამ მოდელს.

კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, 1991 წელს 26 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ და გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

1991 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

1992 წლის 6 ნოემბერს ახალარჩეულმა პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", რომელსაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესი. გ. გვაზავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცადეთ ევროპის გაკვირვებას, რადგანაც დღემდე გამოცანად რჩება, სახელმწიფოს მმართველობის რომელ სისტემას ამკვიდრებდა "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი. შემდეგ, პარლამენტი ორი მესამედის უმრავლესობით ირჩევდა პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა იგი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. ერთი სიტყვით, ეს იმდენად უპრეცედენტო რამ იყო, რომ იგი სახელმწიფო მმართველობის ფორმებისა თუ სახეობების დღემდე ცნობილ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს საერთოდ არ ექვემდებარება. ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქართველოში 1992-1995 წლებში სახელმწიფო მმართველობის რა მოდელი არსებობდა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი რიგით მეორე ძირითადი კანონია. ახალი კონსტიტუციით მმართველობის

საპრეზიდენტო სისტემა დამყარდა. ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევს ხალხი, არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგოლი, არ არსებობს. მთავრობა პრეზიდენტის მხოლოდ სათათბირო ორგანოა და მის წინაშეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილებები, მაგრამ არა აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. სახელმწიფო მმართველობის ეს მოდელი მრავალი ნიშნის მიხედვით ძალზედ წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მმართველობის სისტემას, რომელიც წმინდა ანუ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი.

სახელმწიფო მმართველობის საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც ამ კონსტიტუციით იყო დადგენილი, საბოლოო ანგარიშში, არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიის ქვეყნისათვის. ამის ნათელი დადასტურება იყო 2003 წლის ნოემბერში საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი, რომლის შედეგად სახელმწიფოს მეთაური პოსტიდან გადადგა, ხოლო 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრადსაპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვალა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოვალეობებისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობა პასუხისმგებელია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი.

მართალია, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა, მაგრამ კონტროლისა და შეკავების მექანიზმები ისე ჩამოყალიბდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბალანსი აშკარად პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ დაირღვა. ამის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა, რაც მორიგი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა ფორმა და მათი სახეობები იყო გამოყენებული. რესპუბლიკური მმართველობიდან გამოიცადა მისი ყველა სახეობა: საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეული), საპარლამენტო მმართველობა. მონარქიული მმართველობიდან კი მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახეობა – აბსოლუტური მონარქია. რაც შეეხება პარლამენტურ მონარქიას, მისი გამოყენების პრაქტიკა ჩვენ ქვეყანას არ გააჩნია.

საქართველოში მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ყველა სახეობის მონაცვლეობა უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე მოხდა, რაც დამახასიათებელია ტრანსფორმირებადი ქვეყნისათვის, რომელიც ტოტალიტარული (სოციალისტური) რეჟიმიდან გამოსვლასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას ცდილობს.

სახელმწიფო მმართველობის ფორმის სახეობათა ასეთი ხშირი ცვლილება ქვეყნის ისტორიის უაღრესად მოკლე პერიოდში, ჩვენი აზრით, გამოწვეულია სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტის შესაძლებლობების გადაჭარბებული გაგებით, მასზე იმ ამოცანების დაკისრებით, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ მმართველობის თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სისტემის შემოღებით შეუძლებელია. არსად მომხდარა, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმის თუ მისი სახეობების შეცვლას (თუნდაც ყველაზე დემოკრატიულით) მყისიერად გამოეწვიოს საყოველთაო კეთილდღეობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული წყობილების დამყარება. მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია როგორც რესპუბლიკური (საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო, საპარლამენტო), ასევე მონარქიული (პარლამენტური მონარქიის) მმართველობის პირობებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმები და სახეობები განსხვავებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში (საპარლამენტო რესპუბლიკები), აშშ და არგენტინაში (საპრეზიდენტო რესპუბლიკები), დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში (პარლამენტური მონარქიები), ამ ქვეყნებში დამკვიდრებულია დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმი. მაშასადამე, მთავარია სახელმწიფო მმართველობის სისტემა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული, ხოლო თუ რა ფორმის ან სახეობის იქნება იგი, ეს სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებზე.

იმის გამო, რომ საქართველოში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკური მმართველობის ყველა სახეობა გამოიცადა და მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ქვეყნის სტაბილური, მდგრადი განვითარება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით მონაცვლეობა, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის კეთილდღეობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ., საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება ქვეყანაში პარლამენტური მონარქიის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ.

ამ იდეას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II და ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, აგრეთვე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის არგუმენტები, რომლებიც საქართველოში მონარქიული მმართველობის (რა თქმა უნდა, პარლამენტური მონარქიის) აღდგენის სასარგებლოდ შეიძლება იქნას გამოყენებული.

საქართველოში მონარქიის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. ქართველ ხალხს არასოდეს უთქვამს უარი მონარქიულ მმართველობაზე. ამსაკითხზე საქართველოში რეფერენდუმი არ ჩატარებულა და შესაბამისად, არც ხალხის ნება გამოხატულა იმ ფორმით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა ექნებოდა. საქართველოში მონარქიული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა უცხო ქვეყნის – რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად. ამიტომ მონარქიული მმართველობის აღდგენა გარკვეულ სამართლებრივ კავშირს აღადგენდა დღევანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, შექმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის განცდას.

მონარქიის აღდგენის შემთხვევაში აღარ იქნება სახელმწიფოს მეთაურის - პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტორიტარულ მმართველობაში გადაზრდის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს. ჩვენ ქვეყანაში კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით პრეზიდენტის შეცვლის პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. პრეზიდენტის შეცვლას წინ უძღოდა სამოქალაქო ომი, სახელმწიფო გადატრიალება და რევოლუცია.

პარლამენტური მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური მონარქია, რომელიც უვადოდ იკავებს ამ პოსტს და მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობის წესით. ამასთანავე, ტახტის

მემკვიდრეს, მომავალ მონარქს ყოველმხრივ ამზადებენ სახელმწიფოს მართვისათვის, ზრდიან ეროვნული სულისკვეთებითა და ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურისათვის. მონარქი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე და უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობას. მონარქი უშუალოდ არ ახორციელებს მმართველობას, მას ძირითადად მორალური გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. რეალურად ქვეყანას მართავს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პარლამენტში უმრავლესობის მქონე მთავრობა. მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა და ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გამომდინარე აქედან, პარლამენტური მონარქიის პირობებში გამორიცხულია სახელმწიფოს მეთაურის დიქტატორულ ან ტირანულ მმართველად გადაქცევა. პირიქით, სახელმწიფოს მეთაური – მონარქი მოწოდებულია არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისება.

მონარქი ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების საფუძველზე იქმნებიან, მონარქი წარმოადგენს მთელ ერს, მთელ ხალხს, თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ამდენად, მონარქი ერის კონსოლიდაციისა და მთლიანობის გარანტია.

პარლამენტური მონარქიის პირობებში მეტი შესაძლებლობებია ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთიანი სამეფოს ფარგლებში თანაარსებობისათვის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სეპარატისტული ტენდენციების დაძლევისათვის, რაც მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, რომელსაც ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არა აქვს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია სრულად არ აღუდგენია.

მონარქია თვალსაჩინოდ განასახიერებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეას. იგი უზრუნველყოფს ეროვნული ტრადიციების, ენისა და სარწმუნოების, კულტურული მემკვიდრეობისა და საერთოდ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებას. ამას კი

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი ერებისათვის თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღებას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემდგომ სრულყოფასა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მონარქიის აღდგენა ისევე იოლი საქმეა, როგორც, მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება. საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტოთი შეცვლა სახელმწიფო მმართველობის ერთი ფორმის – რესპუბლიკის შიგნით ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს, ამიტომ რესპუბლიკური მართვა-გამგეობისათვის დამახასიათებელი ზოგადი ასპექტები არ იცვლება და ძალაში რჩება. შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და საზოგადოებრივი ცნობიერება გარკვეული მოთმინებით ხვდება ასეთ რეფორმებს. რაც შეეხება რესპუბლიკის მონარქიით შეცვლას, ეს უკვე სახელმწიფო მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს და სახელმწიფო მმართველობის ისეთ ღრმა, თვისებრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომ მისი წარმატებით განხორციელება გარკვეულ დროსა და საზოგადოებრივი ცნობიერების სათანადო მომზადებას მოითხოვს. გავიხსენოთ თუნდაც უკუპროცესი, კერძოდ, რამდენი დრო და რევოლუციები დასჭირდა სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტური მონარქიების დამხობასა და მათ შეცვლას რესპუბლიკური მმართველობით.

იმ ქვეყნებში კი, სადაც პარლამენტური მონარქიები დღემდე შემორჩენილია და წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის ფუნქციებს, სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება განხორციელდა, ერთი მხრივ, აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვისა და მეორე მხრივ, ხალხის ძალაუფლების გაძლიერების მეოხებით, ე.ი. სახელმწიფო მმართველობის ფორმა კი არ შეიცვალა, არამედ - ერთი ფორმის შიგნით მისი სახეობა. შედეგად, მონარქიული მმართველობა გახდა დემოკრატიული, ხალხისათვის მისაღები და გააგრძელა არსებობა. საზოგადოების ცნობიერებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და მონარქიული მმართველობა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და თაობების აღზრდაც სწორედ ამ რეალობაში და ამ სულისკვეთებით მიმდინარეობს.

ქართველი ერის თანამედროვე თაობას ძალზედ დიდი დრო აშორებს ქართული მონარქიული სახელმწიფოსაგან. 1801 წლიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჩვენ ქვეყანაში მრავალი თაობა აღიზარდა არა მარტო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდის გარეშე, არამედ მონარქიისადმი შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში (განსაკუთრებით ბოლშევიზმის პერიოდში). ამიტომ ქართული ეროვნული ცნობიერება არა გვგონია დღეს მზად იყოს რესპუბლიკასა და მონარქიას შორის არჩევანის გასაკეთებლად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუშლის აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. შეუძლებელია მონარქიის შემოღება იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის დაძლევა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ხელისშემშლელი გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი და კვლავ საკამათოა ბაგრატიონთა დინასტიიდან ვინ შეიძლება გახდეს მონარქი საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევა, რასაკვირველია, შეიძლება, თუმცა იგი დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მთავარია, არსებობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანხმობა ამ საკითხში და ამის შესაბამისად ტარდებოდეს მიზანმიმართული ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რათა ხალხი დარწმუნდეს, რომ მონარქიული მმართველობის შემოღება ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას. ამის შემდეგ, არჩევანი რესპუბლიკასა და მონარქიას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით, რადგან სახელმწიფო მმართველობის ფორმის შეცვლა, ვფიქრობთ, არ შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, თუნდაც არჩევნებში გამარჯვებულის, გადასაწყვეტი საკითხი.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში XII საუკუნეში დაწყებული პარლამენტური მონარქიის შემოღების მცდელობის დასრულება XXI საუკუნეში.

10. საქართველოს სახელმწიფო ენა

ქართული ენა უძველესი ენაა, რომელსაც უნიკალური ქართული დამწერლობა გააჩნია ქართული ანბანის სახით. მსოფლიოში 14 ანბანია, მათ შორის ერთ-ერთი ქართულია. მართალია, ქართული წერილობითი ძეგლები დღეისათვის მხოლოდ მე-V საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ ქართული დამწერლობის შემოღებას მე-XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფის (ძვ.წ. III ს.) დამსახურებად მიიჩნევს, რომელმაც „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“[1].

ქართული ენა არა მხოლოდ საერო ენაა. მე-IV საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ქართული ენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ღვთისმსახურების ენაც გახდა.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში წერა-კითხვისა და განათლების გავრცელებაში. ეკლესია-მონასტრებთან იყო სკოლები და აკადემიები (გელათში, იყალთოში), სადაც ეკლესიის მეცნიერი მსახურნი ეწეოდნენ მწიგნობრულ მოღვაწეობას. მათ შექმნეს ეროვნული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები.

ქართული ენა აძლიერებდა ეროვნული ერთიანობის შეგნებას. კულტურასთან, რელიგიასთან და ისტორიასთან ერთად ქართული ენა ეროვნულობის, ნაციონალური იდენტობის უმთავრესი ნიშანი იყო. იგი ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და კონსოლიდაციის მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა და ქართველთა კულტურულ და ეთნიკურ ერთობას უზრუნველყოფდა. სამეფოებად და სამთავროებად საქართველოს დაშლისა და დაქუცმაცების დროსაც კი ქართული ენა სრულიად საქართველოს მწიგნობრობისა და ეკლესიის ენად რჩებოდა. სწორედ ამიტომ ამბობდა გიორგი მერჩულე (X ს.), რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“[2].

---

1 ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი, „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბილისი, 2008 წ., გვ. 46.

2 გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, წიგნი I, თბილისი, 1982, გვ. 279-280.

ქართულმა ენამ და დამწერლობამ მრავალ ისტორიულ ქარტეხილს გაუძლო და მიუხედავად ქართული სახელმწიფოს არა თუ დაშლისა და დანაწევრების, არამედ მისი სრული გაუქმების დროსაც კი განაგრძობდა არსებობასა და განვითარებას. ქართველი ერის ისტორიის ამ მონაკვეთში ქართული ენა სახელმწიფოებრიობაწართმეულ ქართველთა ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების, ქართველთა გადაგვარებისაგან გადარჩენის უმთავრეს ძალას წარმოადგენდა.

მე-XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. ქართულ ენას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ფუნქცია დაეკარგა, რადგან აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფო – საქართველო.

მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, ცარისტული რუსეთი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ქართული ეროვნული ერთობის მოშლას, რათა ქართველ ხალხს აღარასოდეს გასჩენოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი. ამ მიზნის მისაღწევად მთელი ძალით ამოქმედდა ანტიქართული, გამარუსებელი პოლიტიკა, რომლის მთავარი სამიზნე სწორედ ქართველთა ეროვნული ერთობის ერთ-ერთი საფუძველი - ქართული ენა გახდა. საჯარო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში რუსული ენის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენის გამოდევნა, რომლის ადგილს რუსული ენა იკავებდა. ამასთანავე, სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის სკოლებში ქართული ენის ნაცვლად სწავლება შემოიღეს მეგრულად, სვანურად და თურქულად. იერიში ქართულ დამწერლობაზეც მიიტანეს. 1889 წელს რუსული ანბანის მიხედვით შექმნეს „მეგრული ანბანი“. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა. უფრო ადრე კი, 1864 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა სვანური საანბანო წიგნი („ლუშნუ ანბან“). დამოუკიდებელ, არაქართველ ხალხებად ცხადდებოდნენ მეგრელები, სვანები, აჭარლები, ხევსურები და სხვა.[1] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, „ეს იყო აშკარად გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯი, რომლის მიზანსაც ქართული ენის, როგორც ერის შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი ფაქტორის ძირის გამოთხრა,

1 იხ. ქართული ენა. ენციკლოპედია. „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2008 წ. გვ. 180.

საქართველოს სხვადასხვა ეთნოკულტურების დაპირისპირება და საერთო ქართული ცნობიერების მოსპობა წარმოადგენდა“[1].

საფრთხე მართლაც რეალური იყო. სახელმწიფო მხარდაჭერას მოკლებული, უფუნქციოდ დარჩენილი ქართული ენა ე.წ. მკვდარი ენების ხვედრისათვის იყო გამზადებული. სწორედ ამ დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა (ილ. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი და სხვა) ნათლად გააცნობიერეს, რომ ენის სიკვდილი თვით ერის სიკვდილს მოასწავებდა და სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-კულტურულ მოძრაობას ქართული ენის გადასარჩენად, რომელიც იმავდროულად ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლას ნიშნავდა მეფის რუსეთის ანტიქართული გამარუსებელი პოლიტიკის პირობებში.

მათი მონდომებითა და ძალისხმევით განახლდა და განვითარდა ქართული კულტურა, განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, პრესა, წიგნი, ხელოვნება, განხორციელდა თავად ქართული ანბანისა და სალიტერატურო ენის რეფორმა სამწერლობო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოების გზით, რათა ქართული სალიტერატურო ენა მთელი ერისათვის გასაგები გამხდარიყო. აღადგინეს ქართული თეატრი, დააარსეს საჯარო ბიბლიოთეკა, გამოსცეს ქართული ჟურნალ-გაზეთები („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“) და სხვა.[2] უაღრესად შთამბეჭდავია განათლების სფეროში მათი მოღვაწეობა. ქართული ენის გადარჩენა სკოლის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მოითხოვდნენ, რომ დაწყებით სკოლებში სწავლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნებოდა რუსული ენის „ვითარცა სახელმწიფო ენის“ შესწავლა. დედაენისა და რუსული ენის ერთდროულად შესწავლას დაწყებით სკოლებში ისინი ყოვლად მიუღებლად მიიჩნევდნენ. „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოსრა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა...“ - წერდა ილია ჭავჭავაძე.[3] ამასთანავე, მოწინავე ქართველი მოღვაწეები

---

1 ომარ გოგიაშვილი. ილია დღეს. იდეოლოგია, პოლიტიკა. თბილისი, 2008 წ., გვ. 408.

2 იხ. მიხეილ გაფრინდაშვილი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე. „მეცნიერება“, თბილისი, 2004 წ., გვ. 499-507; მამია ფაღავა. ილია ჭავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები. კრებული: „ილია ჭავჭავაძე 170“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007 წ., გვ. 26-54.

3 ილია ჭავჭავაძე. ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო. რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, თბილისი, 1987წ., ტომი მე-4, გვ. 197.

მხოლოდ მსჯელობებითა და სურვილებით როდი კმაყოფილდებიან და საგანმანათლებლო საკითხების გადასაწყვეტად პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ. 1879 წელს მათ დაარსეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის უაღრესად ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში უმთავრეს მიმართულებას ქართული სახალხო სკოლების დაარსება, ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა წარმოადგენდა. საზოგადოებამ შეისწავლა სკოლების მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა და შეუდგა სახალხო სკოლების დაარსებას საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც, სადაც ქართველები კომპაქტურად სახლობდნენ (მაგალითად, ვლადიკავკაზში, ალაგირში, მოზდოკში, ნალჩიკში, ბაქოში და სხვ.). დიდი შრომა გასწია საზოგადოებამ ბათუმის სკოლის დაარსებისათვის, რადგან იგი უნდა ყოფილიყო ქართული ენის საყრდენი და გამავრცელებელი ახალშემოერთებული აჭარის გამაჰმადიანებულ ქართველ მოსახლეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების გახსნას ბორჩალოში, საინგილოში, მესხეთ-ჯავახეთში. საზოგადოების თაოსნობით იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, აგრეთვე სხვა ავტორების მიერ შექმნილი გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, არითმეტიკის, საქართველოს ისტორიის და სხვა სახელმძღვანელოები.[1] და მაინც, ქართული ენის გადარჩენის საქმეში სრულიად გამორჩეული როლი ეკუთვნის ი.გოგებაშვილის „დედა ენას“, რომელზედაც აღიზარდნენ ქართველთა მთელი თაობები.[2] „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, როგორც მოსწრებულად ითქვა ლიტერატურაში, „რუსეთის მიერ დაპყრობილ უუფლებო საქართველოში ფაქტობრივად განათლების სამინისტროს ფუნქცია შეასრულა“[3].

ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ბრძოლას ქართული ენის გადარჩენისა და ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. „ამ ბრძოლამ დიდად შეუწყო ხელი ერის დაცემული ვინაობის აღდგენას. ქართული ენა თანდათან

1 ქართული ენა. ენციკლოპედია, გვ. 495.

2 საგულისხმოა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ I ნაწილი 45-ჯერ გამოიცა მილიონ სამასიათასიანი ტირაჟით, ხოლო მე-2 ნაწილი 36-ჯერ, 670 ათასი ცალის ოდენობით (იხ. ქართული ენა. ენციკლოპედია, გვ.139; მამია ჩორგოლაშვილი. მთაწმინდა, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1991 წ., გვ.80).

3 ვაჟა შუბითიძე. ყველა დროის ასი უდიდესი ქართველი, თბილისი, 2008წ., გვ. 313.

იქცა მეცნიერების, ლიტერატურის, სკოლის, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სახელმწიფო ენად“[1].

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დაპყრობილ ერებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების გამო, რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა, გარკვეულად შეეზღუდა რუსული ენის მონოპოლიური მდგომარეობა და ნაციონალური ენებისათვის მეტი ასპარეზი მიეცა.

1917 წლის 10 სექტემბერს რუსეთის დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება კავკასიის სასკოლო ოლქში სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის (გაეროვნების) შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში სწავლება უნდა წარმართულიყო მშობლიურ ენაზე ეროვნული სასკოლო კომიტეტების მიერ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამების მიხედვით. ეროვნულ საგნებად მიჩნეული იყო დედაენა, ეროვნული ლიტერატურა, ერის ისტორია და გეოგრაფია.[2]

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველო რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზას დაადგა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 20 ნოემბერს შექმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი. ამ სექციას უნდა შეემუშავებინა და ეროვნული საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოში არსებული სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების პროექტი[3], რაც შემდგომში წარმატებით განხორციელდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებების პარალელურად გაეროვნების (რუსული ენიდან ქართულ ენაზე გადასვლის) პროცესი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იუსტიციის სამინისტრო იჩენდა (მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი). ამ უწყებაში აიკრძალა რუსულ ენაზე

1 მამია ფაღავა. მით. ნაშრომი, გვ. 54.
2 იხ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, 2001, გვ. 257.
3 ალექსანდრე ბენდიანიშვილი.. მით ნაშრომი, გვ. 258.

დაწერილი განცხადებების მიღება. სამინისტრომ მიიღო დადგენილება, მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნენი გაემწესებინათ, მართლმსაჯულება ქართულ ენაზე ეწარმოებინათ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილიყო ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსები ქართული ენის არმცოდნე მოხელეთათვის, რათა ქართული ენის არცოდნა არ გამხდარიყო მათი სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი[1].

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ 1918 წლის 1 ოქტომბერს მიიღო კანონი „საქართველოს სახელმწიფო ენისა“[2], რომლითაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა. კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში[3] ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. ამასთანავე, კანონში მითითებული იყო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრებოდა. იმავე წლის 15 ოქტომბერს მიღებული კანონით „წესი ენის ხმარებისა“[4] დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და სახელმწიფო ენასთან ერთად განისაზღვრა ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები და პროცედურები. კანონმა დაადგინა ზოგადი წესი, რომ პარლამენტის წევრებს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ ქართულ ენაზე. ამასთანავე, ქართულიდან სხვა ენაზე სიტყვა არ გადაითარგმნებოდა. რაც შეეხება პარლამენტარ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ, კანონის თანახმად, მათ შეეძლოთ სიტყვის წარმოთქმა, გარდა თავისი დედაენისა, უმცირესობის ენაზე, რომელიც პარლამენტის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. ამავე დროს, უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედააზრი გადმოცემული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, თუ ამას არანაკლებ 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა. წერილობითი წინადადებების, შესწორებისა და სხვათა შეტანა კი შეიძლებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ გადაითარგმნებოდა.

კანონის ამ ნორმებში აშკარად მოჩანს გარდამავალი ეპოქის კვალი. ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფო ცდილობდა, ერთი

1 იქვე, გვ. 258-259.
2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990 წ., გვ. 80-81.
3 1918 წლის 8 ოქტომბრიდან ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.
4 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 83.

მხრივ, იმპერიული რუსული ენის ნაცვლად ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დამკვიდრებას სახელისუფლებო ორგანოებში, ხოლო, მეორე მხრივ, ენობრივ ბარიერს ნაკლებად შეეშალა ხელი საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ქვეყნის მართვაში მონაწილეობისათვის.

ეროვნულმა ხელისუფლებამ ასევე საგანგებო ყურადღება დაუთმო ენების გამოყენების საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ მიზნით, 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონით „ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“[1] დადგინდა, რომ „მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალაქის და ერობის თვითმართველობაში სწარმოებს სახელმწიფო ენით“. ამავე დროს კანონმა გაითვალისწინა საგამონაკლისო წესებიც, სახელდობრ, „უკეთუ რომელიმე თვითმართველობის ფარგლებში მცხოვრებ რეს-პუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარაკო ენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე არა ქართული ადგილობრივი ენა, თვითმართველობის ორგანოების დადგენილებით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად შეიძლება შემოღებულ იქნეს ამ უმრავლესობის ენაზეც“.

ამ და სხვა საკანონმდებლო აქტებმა სამართლებრივი საფუძვლები შეუქმნეს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს, ამასთანავე, განსაზღვრეს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები და ფარგლები, რაც შემდეგ სათანადოდ აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში[2]. საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენა დაადგინა (მე-3 მუხლი). საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართულმა ენამ, როგორც სახელმწიფო ენამ, კონსტიტუციური სტატუსი მოიპოვა. საქართველოს ძირითად კანონში ასევე მნიშვნელოვანი ადგი-ლი დაეთმო ეროვნულ უმცირესობათა ენების საკითხს. კონსტიტუციის მე-14 თავი, რომელიც მთლიანად ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ეძღვნება, იმ ეპოქისათვის უაღრესად პროგრესულ ნორმებს ადგენდა.

კონსტიტუციით იკრძალებოდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უმცირესობის მისი დედაენით სწავლა-აღზრდის შეზღუდვა (129-ე მუხლი). ამასთანავე, ადგილობრივი მმართველობა ვალდებული

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 206.

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 458-484.

იყო სწავლა-განათლებისათვის გამიზნული თანხებით დაეარსებინა სკოლების საკმაო რაოდენობა მოქალაქეთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციულად (134-ე მუხლი). ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობის რაოდენობა აღემატებოდა ყველა მოქალაქის 20 პროცენტს, ამ უმცირესობის მოთხოვნით, მსჯელობა და საქმისწარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, სახელმწიფო ენასთან ერთად, შემოღებული უნდა ყოფილიყო მის დედაენაზეც (136-ე მუხლი). არაქართველ დეპუტატს, რომელმაც საკმარისად არ იცოდა სახელმწიფო ენა, შეეძლო პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა დედაენაზე, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენდა პარლამენტის პრეზიდიუმს (137-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ ნორმებში ასახული ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოცემულ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარეს ადამიანის საერთაშორისო უფლებებად[1].

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისთანავე შეწყდა. საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს მიმართ განხორციელებულ ინტერვენციას, ოკუპაციასა და ანექსიას შედეგად მოჰყვა საქართველოში სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირში იძულებით იქნა გაერთიანებული.

საბჭოთა კავშირი, რომელიც მოდერნიზებულ რუსულ იმპერიას წარმოადგენდა, ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით ატარებდა. ერთი მხრივ, ოფიციალურად აღიარებდა მოკავშირე რესპუბლიკებში მათ ეროვნულ ენებს სახელმწიფო ენად, რასაც გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ისე წარმოსაჩენად, თითქოს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას და უზრუნველყოფილი იყო სრული ენობრივი თანასწორობა, ხოლო, მეორე მხრივ, საკავშირო

1 იხ. რონა კ. მ. სმიტი. ადამიანის საერთაშორისო უფლებები. სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მთარგმნელი მ. კობიაშვილი, „სეზანი“, თბილისი, 2005 წ., გვ. 446-463.

ხელისუფლების ორგანოების სამუშაო ენას ფაქტობრივად რუსული ენა წარმოადგენდა. ამასთანავე, რუსული ენა განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის ურთიერთობის ენა. ჩაკეტილ საბჭოურ სივრცეში იგი ამ ფუნქციას მართლაც ასრულებდა. რუსული ენა ფაქტობრივად დომინანტი ენა გახდა მთელ საბჭოეთში, რასაც უზრუნველყოფდა მთელი საბჭოთა პოლიტიკური, პარტიული და იდეოლოგიური ინსტიტუტების მიზანმიმართული საქმიანობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რუსული ენის დასამკვიდრებლად.

საბჭოთა სახელმწიფოს ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გავლენით ჩამოყალიბდა იმდროინდელი საკანონმდებლო აქტებიც, კერძოდ, რუსული ენა საბჭოთა კავშირის არც ერთი კონსტიტუციით (1924, 1936, 1977 წწ.) სახელმწიფო ენად არ იყო აღიარებული, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად, საქართველოში ქართული ენა საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუციით (1922, 1927, 1937, 1978 წწ.) აღიარებული იყო, როგორც სახელმწიფო ენა.

გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოების, ყველა ერის იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობისა და მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის (общность) – საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. აზრი მარტივი იყო: საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერები იმდენად დაახლოვდნენ, რომ მათი ეთნიკური განსხვავებები თითქმის წაიშალა და შედეგად მივიღეთ საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხს კი ერთ ენაზე უნდა ელაპარაკა. ეს ენა, რა თქმა უნდა, რუსული ენა უნდა ყოფილიყო. ახალი „ისტორიული სინამდვილე“ სათანადოდ უნდა ასახულიყო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, რომელთა მიღება დაგეგმილი იყო 1977-1978 წლებში. იმისათვის, რომ რუსული ენა იურიდიულად სსრ კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო და მის ოფიციალურ გამოყენებას მოკავშირე რესპუბლიკებში სამართლებრივი საფუძველი შეჰქმნოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სსრ კავშირის 1977 წლის ახალ კონსტიტუციაში თავი აარიდა სახელმწიფო ენის განსაზღვრის საკითხს, სამაგიეროდ მოკავშირე რესპუბლიკებს მოსთხოვა, მათ ახალ კონსტიტუციებში ადგილობრივი ნაციონალური ენების სახელმწიფოებრივი სტატუსი აღარ გაეთვალისწინებინათ. თუ

ეს ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდებოდა, მაშინ ამის შემდეგ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეიტანდნენ დამატებას რუსული ენის სსრ კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ და მთელ საბჭოეთში ეს ენა უკვე იურიდიულად ერთადერთი სახელმწიფო ენა იქნებოდა.

ამ გეგმის განხორციელებას 1978 წელს შეუდგნენ. მაგალითად, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციისაგან[1] განსხვავებით, სადაც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ „საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (156-ე მუხლი), 1978 წლის 23 მარტს საყოველთაო - სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართული ენა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო მოხსენიებული. პროექტის 75-ე მუხლი ასეთი შინაარსის იყო: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უზრუნველყოფილია ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“[2].

პროექტის ამ ნორმაში საგულისხმო იყო ორი პრინციპული ხასიათის სიახლე. ჯერ ერთი, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი გაუქმებული იყო, საქართველოს სახელმწიფო ენას კონსტიტუცია აღარ ადგენდა და მეორე, პირველად საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის თანაბარი სტატუსი ენიჭებოდა რუსულ ენას.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას, რომელიც ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს აუქმებდა, 1978 წლის 14 აპრილს თბილისში მოქალაქეთა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა მშობლიური ენის დასაცავად. ხელისუფლებამ უკან დაიხია და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა. საქართველოს სს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაიწერა, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული

1 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი პროფ. გრ. ერემოვი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 131-160.

2 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 192.

ენა“[1]. ამასთანავე, კონსტიტუციის პროექტში არსებული ჩანაწერი რუსული ენის თავისუფალი ხმარებისა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, კონსტიტუციაში უცვლელად გადავიდა. უფრო მეტიც, ახალი კონსტიტუციით საქართველოს სს რესპუბლიკის კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების გამოქვეყნება ქართულთან ერთად რუსულადაც სავალდებულო გახდა (110-ე მუხლი).

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ამ ეტაპზე დასახულ მიზანს სრულად ვერ მიაღწია, რუსული ენა სსრ კავშირის სახელმწიფო ენად არ იქნა აღიარებული, ხოლო საქართველოში ქართულმა ენამ კვლავ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი. ამ მოვლენებმა ქართულ საზოგადოებაში კიდევ უფრო გააღვივა მშობლიური ენის პატივისცემისა და დაცვის ინტერესი[2]. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებას დასახული მიზნის მიღწევაზე ხელი არ აუღია. რუსული ენის სახელმწიფო ენად იურიდიულად გაფორმების მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ ზემოაღნიშნული მოვლენებიდან ზუსტად მე-12 წლისთავზე, 1990 წლის 24 აპრილს აგონიაში მყოფმა საბჭოთა კავშირმა გამოსცა კანონი „სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“[3], რომლის თანახმად, სსრ კავშირში რუსული ენა ოფიციალურ (ანუ სახელმწიფო) ენად გამოცხადდა. კანონის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „ისტორიულად დამკვიდრებული პირობების გათვალისწინებით და საერთო-საკავშირო ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით რუსული ენა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიჩნეულია სსრ კავშირის ოფიციალურ ენად და გამოიყენება როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საშუალება“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონმა რუსული ენის, როგორც ოფიციალური ენის, გამოყენების იმდენად ფართო არეალი დაადგინა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენები ფაქტობრივად ოფიციალური (რუსული) ენის დანამატად გადააქცია, რომლებიც დროთა განმავლობაში უსათუოდ დაკარგავდნენ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ყოფითი ურთიერთობების ენად შემორჩებოდა.

მართალია, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული კანონის მიღებით დიდი ხნის ჩანაფიქრი საბოლოოდ მაინც აისრულა,

---

1 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 268.

2 1983 წელს უპრეცედენტო რამ მოხდა, თბილისში აღიმართა დედაენის, ანუ ქართული ენის ძეგლი.

3 იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 8 მაისი.

მაგრამ კანონის სამოქმედოდ შემოღებიდან წელიწადნახევარში სსრ კავშირმა, როგორც სახელმწიფომ და მასთან ერთად ამ კანონმაც შეწყვიტა არსებობა, სამაგიეროდ, საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა.

ეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოში გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა და ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე შეუდგა საქართველოს იმჟამად მოქმედი (1978 წლის) კონსტიტუციის მოდერნიზებას. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ცვლილებები შეეხო საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლსაც, რომელიც, როგორც ეს ზემოთ ითქვა, საქართველოში ენების სამართლებრივ სტატუსს ადგენდა. ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის ამ ნორმიდან ამოღებული იქნა „რუსული ენა“, რომელიც გამორჩეულად იყო მოხსენიებული საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა სხვა ენებთან შედარებით.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათეული წლების განმავლობაში გატარებული რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ქვეყნის ძირითადი კანონით სახელმწიფოებრივი სტატუსი მხოლოდ ქართულ ენას გააჩნდა, მისი გამოყენების არეალი საქართველოს ტერიტორიაზე მაინც მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა[1] დიდმა ნაწილმა (განსაკუთრებით მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში) საერთოდ არ იცოდა ქართული ენა. ისინი ფლობდნენ მხოლოდ მათ მშობლიურ და რუსულ ენებს, რაც მათთვის სავსებით საკმარისი იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შრომით და ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტეგრირებისათვის.

ასეთი იყო რეალური ენობრივი სიტუაცია საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის. ამ რეალობების გათვალისწინებით, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტს მიღებულმა საქართველოს რესპუბლიკის კანონმა[2] საქართველოს მოქალაქეებად ჩათვალა საქართველოში მცხოვრები პირები მხოლოდ

1 1990 წლისათვის ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა (იხ. საქართველოს მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2003 წ., გვ. 68).

2 საქართველოს პარლამენტის უწყებები, №5 (622), 1993წ., მარტი, მუხ. 66.

მათი ბინადრობის ცენზის მიხედვით (რასაკვირველია, თუ ისინი უარს არ განაცხადებდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე). რაც შეეხება ქართული ენის ცოდნას, ამ კანონით იგი ერთ-ერთ პირობად იქნა გათვალისწინებული ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას. ამრიგად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ, საქართველოში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქეები გახდნენ, მათი შთამომავლები კი ქართული ენის დაუფლების გარეშეც ხდებიან დაბადებით საქართველოს მოქალაქეები.

ამ არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღებით უნდა დაწყებულიყო, ხოლო შემდეგ, აუცილებელი იყო ამ კანონის აღსრულებისათვის ისეთი პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რომელიც შექმნიდა პირობებს სახელმწიფოებრივ და მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმწიფო ენის გამოყენებისათვის. თუმცა საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების საკითხმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა მხოლოდ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ქვეყნის ძირითადმა კანონმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული ენა დაადგინა, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას მიენიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, აფხაზური ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი განმტკიცებული იყო მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის 1978 კონსტიტუციით სახელმწიფო ენის სტატუსი აფხაზურთან ერთად მიკუთვნებული ჰქონდა ქართულ და რუსულ ენებსაც[1].

სახელმწიფო ენის კანონპროექტზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო ენის სახელმწიფო პალატის ინიციატივით და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. საბოლოოდ, 2001 წლის 19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი საკანონმდებლო ინიციატივით წარუდგინა პარლამენტს.

ამავე პერიოდში, კანონპროექტის განხილვაში აქტიურად ჩაება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

1 იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1985, ტ.9, გვ. 245.

(ეუთო). ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი როლფ ეკეუსი „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტის პარლამენტში პირველი მოსმენით განხილვამდე ერთი თვით ადრე, 2002 წლის 8 აპრილს, პარლამენტის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება საქართველოს არა მხოლოდ სუვერენული უფლებაა, არამედ ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, რათა შეიქმნას ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფო... სწორედ ამიტომ სახელმწიფო ენის კანონის მიღება პრიორიტეტული საკითხია. მიმაჩნია, რომ საჭიროა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი განმტკიცდეს, გაძლიერდეს და შეიქმნას პირობები ქვეყნის ტერიტორიაზე მის გამოსაყენებლად... ამასთანავე, აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყონ შემუშავება ფართო პროგრამისა, რომელიც უზრუნველყოფს ენის შესწავლას და მთელ ქვეყანაში მის გამოყენებას, გააჩაღებს სახელმწიფო ენის შესწავლის მასშტაბურ პროცესს სახალხო განათლებისა და საჯარო სამსახურის სფეროში (ეს განსაკუთრებით ეხება ქვეყნის ზოგ რეგიონს)... მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ამ მნიშვნელოვან პროცესში საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას დახმარება გავუწიოთ თვით ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით“[1].

2002 წლისათვის თითქოს ყველა წინაპირობა იყო შექმნილი „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მისაღებად, მაგრამ, სამწუხაროდ, პარლამენტის წევრებს საამისოდ არ აღმოაჩნდათ პოლიტიკური ნება და კანონპროექტის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო. 2004 წლის 23 აგვისტოს კი ეს კანონპროექტი უკან გამოითხოვა მისმა ინიციატორმა. ამგვარად, ქვეყანა დარჩა სახელმწიფო ენის კანონის, ხოლო სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა - საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე.

სამაგიეროდ, 2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტს სათანადო პოლიტიკური ნება აღმოაჩნდა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისათვის[2]. ეს კონვენცია ხელშემკვრელი მხარეებისათვის ეროვნულ უმცირესობათა ენების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებ-

1 იხ. საქართველოს პარლამენტში 2002 წლის 7-10 მაისს `სახელმწიფო ენის შესახებ~ კანონპროექტის განხილვის მასალები.

2 ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. სტრასბურგი, 1995წ., 1 თებერვალი, იხ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, მეორე ნაწილი, თბილისი, 2008 წ., გვ. 207-220.

რივ ცხოვრებაში გამოყენების უზრუნველყოფისა და მათი დაცვის მრავალ ვალდებულებას ითვალისწინებს.

ამასთანავე, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტს უპირობოდ არ მოუხდენია ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და თავისი დადგენილებით მნიშვნელოვანი დათქმები დაურთო სარატიფიკაციო დოკუმენტს[1]. აღსანიშნავია, რომ დათქმების ძირითადი ნაწილი შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების საკითხს.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებული პირები[2] ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოს თარჯიმნის დახმარებით. ამასთანავე, საქართველომ აიღო ვალდებულება, და ეს მეტად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შეუქმნას პირობები ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირებს სახელმწიფო ენის შესასწავლად (მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). პარლამენტის დადგენილებში აღნიშნულია, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა სახელებისა და გვარების ჩაწერა ქართულ ენაზე ისე, რომ იმავდროულად, შეძლებისდაგვარად, დაცული იყოს მათ ენაზე გამოთქმის წესი, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით (მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). საქართველოს კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს აგრეთვე ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ის დებულებები, რომლებიც შეეხება ეროვნული უმცირესობებით ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში ქუჩებისა და სხვა ტოპოგრაფიული დასახელების ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ენაზე გამოყენებას. ამასთანავე, - მითითებულია პარლამენტის დადგენილებაში, - საქართველო არ განიხილავს ეროვნულ

1 იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი მესამე, 2005 წ., 27 ოქტომბერი, №125, მუხ. 1401.

2 საქართველოს პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია, პირთა რომელი ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ უმცირესობად. დადგენილების მიხედვით, პირთა ჯგუფი ეროვნული უმცირესობის სტატუსით შეიძლება სარგებლობდეს, თუ: მისი წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები; ისინი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისაგან განსხვავდებიან საკუთარი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური იდენტურობით; ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და კომპაქტურად არიან დასახლებულები (მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

უმცირესობათა ამ უფლებას როგორც სახელმწიფოს ვალდებულებას, შეცვალოს ტერიტორიული ერთეულების არსებული დასახელებები (მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

რაც შეეხება მეორე საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, კერძოდ, ევროსაბჭოს 1992 წლის 2 ოქტომბრის „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“[1], საქართველოს პარლამენტს ჯერჯერობით მისი რატიფიცირება არ მოუხდენია, თუმცა ამის ვალდებულება საქართველოს ნაკისრი აქვს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ ვალდებულების შესრულებას უსათუოდ მოითხოვენ.

ჩვენი აზრით, რაც არ უნდა დამაჯერებლად ჟღერდეს ევროპული ქარტიის დებულებები, რომ „რეგიონული ან უმცირესობათა ენების დაცვამ და წახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის აუცილებლობას“, ან კიდევ „ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპებს“, იმ ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია ამჟამად შექმნილი, ზემოაღნიშნული ევროპული ქარტიის რატიფიცირება და ამოქმედება არა გვგონია მიზანშეწონილი იყოს. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ევროპული ქარტიის მიხედვით, მხარეები იღებენ ვალდებულებას იმ ტერიტორიებზე, სადაც რეგიონული ან უმცირესობათა ენები გამოიყენება, ხელმისაწვდომი გახადონ ამ ენებზე არათუ სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, ტექნიკური და პროფესიული, არამედ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება; სასამართლოებში ნებისმიერი სამართალწარმოება (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა განხორციელდეს რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე; ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ რეგიონული ან უმცირესობათა ენები დოკუმენტების შედგენისა და საქმისწარმოების ჩათვლით, უზრუნველყონ თუნდაც ერთი რადიოსადგურისა და სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე, დაფარონ იმ მასმედიის დამატებითი ხარჯები, რომლებიც იყენებენ ამ ენებს; კომერციულ პრაქტიკასთან დაკავშირებით საფინანსო და საბანკო სფეროში ნებადართული უნდა იყოს რეგიონული ან უმცირესობების ენების გამოყენება, გადახდის ორდერების (ჩეკები, თამასუქები) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენა და სხვა.

---

1 იხ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008 წ., გვ. 221-244.

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ, თუ საქართველოს პარლამენტი მოახდენს ამ საერთაშორისო სამართლებრივი აქტის რატიფიცირებას და იგი სრულად ამოქმედდება, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებიდან, სადაც ქართული ენის გამოყენების არეალი ისედაც შეზღუდულია, საქართველოს სახელმწიფო ენა საბოლოოდ იქნება გამოდევნილი და ამ რეგიონების მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენები სათანადოდ იყოს დაცული, წახალისებული და მხარდაჭერილი სახელმწიფოსაგან, მაგრამ არა ისე, რომ ამას შედეგად მოჰყვეს სახელმწიფო ენის დაკნინება და ქართველი ხალხის დეზინტეგრაცია, დაშლა და დაცალკევება, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფების ერთმანეთისაგან გაუცხოება, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის მთლიანობას რეალურ საფრთხეს შეუქმნის.

იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ, თუ რასთან გვაქვს საქმე, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ბელგია, ევროპის ერთ-ერთი განვითარებული და დაწინაურებული ქვეყანა, სადაც კონსტიტუციით[1] შექმნილია ოთხი ენობრივი რეგიონი: ფრანგულენოვანი რეგიონი, ნიდერლანდურენოვანი რეგიონი, დედაქალაქ ბრიუსელის ორენოვანი რეგიონი და გერმანულენოვანი რეგიონი, რომელთა საზღვრების შეცვლა ან დაზუსტება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თითოეულ პალატაში არსებული ყოველი ენობრივი ჯგუფის ხმათა თანაბრობის დაცვით მიღებული კანონით (მე-4 მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ ენიჭება ენობრივ პრინციპებს ისეთი მნიშვნელობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ფორმირებასა და სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მოწყობაში, როგორც ეს ბელგიაშია. ენების გამოყენებისა და მათ წარმომადგენელთა პროპორციულობის გათვალისწინებით ყალიბდება ბელგიის პარლამენტი, მთავრობა, ერთიანი მართლმსაჯულების საბჭო და სხვა ორგანოები, რომ აღარაფერი ვთქვათ განათლების სისტემაზე. ამასთან, ბელგიამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დეცენტრალიზაციისაკენ. ფლამანდურმა, ფრანგულმა და გერმანულმა გაერთიანებებმა ოფიციალური ავტონომიის სტატუსი მიიღეს და ქვეყანა

1 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი IV, თბილისი, 2007წ., გვ. 106-161.

თანდათანობით უნიტარიზმიდან ფედერალურ მოწყობაზე გადავიდა[1]. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბელგიის სამეფომ ენობრივი რეგიონების დაპირისპირებისა და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების პრობლემები მაინც ვერ დაძლია. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ერთ-ერთი პარტიის ლიდერის, ჟიულ დესტრეს მიმართვას ბელგიის მეფე ალბერტ I-სადმი 1912 წელს, რომ „ბელგიაში არიან ვალონები და ფლამანდელები, მაგრამ არა ბელგიელები“, დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა[2].

სამწუხაროდ, საქართველოში რეგიონული ენების დაკანონების თუ ენობრივი რეგიონების შექმნის იდეას დღესაც გამოუჩნდნენ მომხრეები. მიმდინარე წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ სამეგრელოში არასამთავრობო ორგანიზაციამ - განათლების ცენტრმა „კოლხიდამ“ მეგრულ ენაზე გამოსცა გაზეთი „შურობუმუ“ (უთქმელი). საგაზეთო ინტერვიუში მისი დამფუძნებელი დაბეჯითებით მოითხოვს მეგრული და სვანური ენებისათვის რეგიონული ენების სტატუსის მინიჭებას. მისი აზრით, „მეგრელები არიან კოლხები და არა გურჯები“. საქართველო კი უნდა გადაკეთდეს ფედერაციად, სადაც ყველა რეგიონი თანასწორუფლებიანი იქნება. ამ გაზეთში მეგრულ ენაზე გამოქვეყნებულია ფრაგმენტები იოანეს სახარებიდან („სახარება იოანეში“) და ვეფხისტყაოსნიდან („ყილოშტყებამი“)[3]. XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის გამოძახილი, როგორც ვხედავთ, XXI საუკუნეშიც გაისმის. ამასთან დაკავშირებით, სწორად შენიშნავს პროფესორი სოსო სიგუა: „ეს იმთავითვე ქართული ცნობიერების დაშლისკენ მიმართული მოვლენა იყო. რუსეთს ხელს აძლევდა სვანური, მეგრული და ქართული ენების დაცალკევება, რათა ადვილად გაენადგურებინა ქართული სახელმწიფოებრიობა“[4].

თანამედროვე პერიოდში ამ საფრთხეზე საგანგებოდ მიუთითებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2010 წლის საშობაო ეპისტოლეში. კათოლიკოს-პატრიარქი ქართულ ენას ქართველი ერის რწმენის, ერთობის და მთლიანობის საძირკველსა და მტკიცე ფუძეს უწოდებს და აღნიშნავს: „დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა,

1 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი IV, გვ. 90.

2 Конституции государств Европейского Союза. Под ред. Л. А. Окунькова „Норма-Инфра“, М., 1997г., с. 103.

3 „კვირის პალიტრა“, ყოველკვირეული გაზეთი, №44 (848), 1-7 ნოემბერი 2010წ., გვ. 5.

4 იქვე.

თანდათან იზრდება მეორე არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად, სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართული ენის ეს განშტოებანი უკვე ცალკე ენებად გამოაცხადონ.

მსოფლიოში ვრცელდება რუკები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვადასხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია“[1].

ცხადია, თუ საქართველო ამ გზას დაადგება და რეგიონულ ენებს ოფიციალურად აღიარებს, მაშინ რეგიონული ენებიდან ენობრივ რეგიონებამდე ერთი ნაბიჯია, ენობრივი რეგიონებიდან პოლიტიკურ ავტონომიებამდე მეორე, მესამე კი უეჭველად ქვეყნის დაშლა იქნება.

ეს საფრთხე რომ თავიდან ავიცილოთ, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს სწორი ენობრივი პოლიტიკა გააჩნდეს. ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს:

პირველი, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის (აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური ენის), სრულყოფილი საკანონმდებლო საფუძვლების, მისი დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა;

მეორე, საქართველოს მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სხვა პირებისათვის ქართული ენის შესასწავლად სათანადო პირობების შექმნა;

მესამე, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების ფარგლების დადგენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

თუ ენობრივი პოლიტიკის მეორე და მესამე მიმართულებით საქართველოში გარკვეული პრაქტიკა არსებობს, რომელიც, რასაკვირველია, საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, საკანონმდებლო საფუძვლები ჯერ კიდევ შესაქმნელია. საქართველოს, როგორც ეს უკვე ითქვა, არა აქვს სახელმწიფო ენის კანონი. სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული

1 „ყველა სიახლე“. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი (№193), 7-13 იანვარი, 2010 წ., გვ. 11.

ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ნორმები ამჟამად სხვადასხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებშია გაფანტული. მხედველობაში გვაქვს საქართველოს მოქალაქეობის, რეკლამის, მაუწყებლობის, განათლების, საჯარო სამსახურის შესახებ კანონები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვ. რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამა თუ იმ სფეროში სამართლებრივი რეგულირების საგნის თავისებურებებითაა განპირობებული. მაგრამ, ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფო ენის შესახებ ჩარჩო კანონის მიღება, რადგანაც სწორედ ამ კანონშიჩამოყალიბებულინორმებისადაპრინციპებისშესაბამისადუნდა განხორციელდეს სხვადასხვა სფეროებში სახელმწიფო ენის გამოყენების კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციები. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფო ენის შესახებ საკანონმდებლო აქტი ორგანული კანონის რანგში იქნეს აყვანილი, რათა მისი იურიდიული ძალა აღემატებოდეს სხვა, ჩვეულებრივი, დარგობრივი კანონების იურიდიულ ძალას. ეს თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო ენის შესახებ ორგანული კანონით დადგენილი ნორმებისა და პრინციპების საწინააღმდეგო წესების დადგენას მიმდინარე საკანონმდებლო აქტებით და უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროები, სადაც ქართული ენის გამოყენება სავალდებულო იქნება. ჩვენი აზრით, ქართული ენის გამოყენება სავალდებულო უნდა იყოს: სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა საჯარო დაწესებულებების საქმიანობაში, მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ოფიციალური გამოქვეყნებისას; სამხედრო ძალებში; საკონსტიტუციო, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში; სანოტარო მოქმედებაში; რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარებისას; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებისას; ინფორმატიკაში; კავშირგაბმულობაში; სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურებაში; ტელერადიო მაუწყებლობასა და ბეჭდვით მედიაში; რეკლამებში; გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე საგზაო ნიშნების აღნიშვნისას. საქართველოს სახელმწიფო და სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ ჩატარებული ოფიციალური შეხვედრებისას; საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ სარეგისტრაციო საქმიანობაში;

საქართველოს იურიდიული პირების მიერ დოკუმენტების წარმოებისას; საქართველოს ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარიგებების დადებისას.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ არის ქართული ენის სავალდებულო გამოყენების სფეროების ამომწურავი ჩამონათვალი. ორგანული კანონით კიდევ უფრო დაზუსტდება როგორც ქართული ენის სავალდებულო გამოყენების სფეროები, ისე მისი გამოყენების კონკრეტული შემთხვევები და წესები. ამასთანავე, ამ კანონით ქართული ენის სავალდებულო გამოყენების ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, განათლების მიღებისას) გათვალისწინებული იქნება საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენების და უცხო ენების გამოყენების შესაძლებლობები და პირობები.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა დაადგინოს ასევე იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამ სამართალდარღვევათა კონკრეტული სახეობების და მათი შესაბამისი იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლის სხვადასხვა დარგის (სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო) საკანონმდებლო აქტებით.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის განხორციელების, აგრეთვე სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსრულებისა და სახელმწიფო ენის დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუციური გარანტიები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ამჟამად არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენი აზრით, არ იყო მართებული 2004 წელს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გაუქმება, რომელიც 1997 წელს შეიქმნა, დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და, ამასთანავე, რეალური მაკონტროლებელი ფუნქციებით იყო აღჭურვილი სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის, სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებისა და მოქალაქეთა ენობრივი უფლებების დაცვის სფეროში. სადღეისოდ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფო ენის სწავლებისა და განვითარების ხელის შეწყობა, აგრეთვე თვალყურის დევნება მის სწორ გამოყენებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამგებლობას აქვს მიკუთვნებული. სამინისტროს

სტრუქტურაში ამ ამოცანების შესრულება, სხვა საკითხებთან ერთად, დავალებული აქვს ორ ქვედანაყოფს: სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს[1].

ვფიქრობთ, მხოლოდ თვალყურის დევნება სახელმწიფო ენის სწორ გამოყენებაზე საქმეს ვერ უშველის. თვალყურის დევნებას თუ არ ახლავს დანახულსა და გაგონილზე მკაცრი რეაგირება, სახელმწიფო ენის უპატივცემულობისა და არასწორი გამოყენების შემთხვევები კვლავაც მრავლად იქნება. ამ საქმის შესრულება მიზანშეწონილია დაეკისროს სათანადო დამოუკიდებლობისა და უფლებამოსილების მქონე სპეციალურ ორგანოს, რომელიც კანონით იქნება აღჭურვილი ამ სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციებით. ჩვენი აზრით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი დაწესებულების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ მის უფლებრივ დაცვას, არამედ, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე პერიოდში, მისი სიწმინდის დაცვასაც. ამ მიზნით, სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა განსაზღვროს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სამთავრობო ორგანო (კომისია), მისი სამართლებრივი სტატუსი და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის სავალდებულობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გასაგებია, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართულ ენას ქართული სახელმწიფოებრიობისათვის და რომ მისი დაცვა, მოფრთხილება და მასზე ზრუნვა უაღრესად საშური საქმეა, მით უმეტეს დღეს, როდესაც კაცობრიობას ე.წ. გლობალიზაციის ეპოქა დაუდგა. თუ ადრე, იმპერიების შემადგენლობაში საქართველოს ყოფნისას ქართულ ენას საფრთხეს უქმნიდა იმპერიული ენის, როგორც ოფიციალური ენის და იმპერიაში შემავალი ერების საურთიერთობო საშუალების პრივილეგირებული მდგომარეობა, ახლა, გლობალიზაციის ეპოქაში, იგივე საფრთხე არსებობს უცხო ენებით ქართული ენის ჩანაცვლების ზღვარდაუდებელი და უკონტროლო პრაქტიკის გამო. თუ ეს პრაქტიკა სასწრაფოდ არ აილაგმა, უახლოეს მომავალში ქართული ენის ადგილს აუცილებლად დაიკავებს უცხო ენა. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. საფრთხე რეალურია, რადგანაც საქართველოს სახელმწიფო ენის კანონი არ გააჩნია და ამდენად, ამ

1 იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004 წ., №54, ნაწილი III, მუხლი 460.

პროცესის წინააღმდეგობის გამწევი კანონისმიერი საშუალებებიც არ არსებობს.

ქართული ენის პატრონი მხოლოდ ქართული სახელმწიფოა. ქართულ ენას არა აქვს ქვეყნის გარეთ ხალხთა შორის საკომუნიკაციო მნიშვნელობა. ამიტომ, თუ ქართული ენა თავად ქართული სახელმწიფოს მზრუნველობის გარეშე დარჩა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მასზე სხვა არავინ იზრუნებს.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის მხოლოდ კონსტიტუციით დეკლარირება არ არის საკმარისი. საჭიროა სახელმწიფო ენის შესახებ სპეციალური კანონის მიღება და ეფექტიანი სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარება ამ კანონის მოთხოვნათა აღსრულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო შესაძლებელია ირლანდიის მდგომარეობაში აღმოჩნდეს, სადაც ირლანდიურ ენაზე, რომელიც კონსტიტუციით აღიარებულია ეროვნულ ენად და პირველ ოფიციალურ ენად, ლაპარაკობს მოსახლეობის მესამედზე ნაკლები, ხოლო ინგლისურ ენაზე, რომელიც კონსტიტუციით მეორე ოფიციალური ენაა, ლაპარაკობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი[1].

როგორც ვხედავთ, ქართული ენა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ქართული ენა სრულად იქნება დამკვიდრებული სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

1 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი V, გვ. 254.

11. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო

შესავალი

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. მართალია, კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვასთან დაკავშირებული ცვლილებები, 1999 წლიდან მოყოლებული, პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი კანონის ზოგად გადასინჯვას, 2017 წლამდე მხოლოდ ორჯერ – 2004 და 2010 წლებში ჩატარდა.

სამივე საკონსტიტუციო რეფორმა (2004, 2010, 2017 წწ.) სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას ან არსებულის საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, პოლიტიკური ელიტა ქვეყნის წარუმატებლობის ძირითად მიზეზს სწორედ სახელმწიფო მმართველობის არასწორად შერჩეულ მოდელში ხედავდა. არადა, დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება უსათუოდ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის ერთ რომელიმე სახეობასთან, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. ამის მაგალითები მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში. მთავარია, სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებული იყოს ცნობილი ტრიადის მიხედვით და ამასთანავე, არსებობდეს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტიანი მექანიზმები, სათანადოდ იყოს დაცული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

სახელმწიფო მმართველობის ახალი სახეობის ძიებაში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით თავდაპირველად განსაზღვრული საპრეზიდენტო რესპუბლიკა, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, ფორმალურად, ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემით შეიცვალა. შემოღებულ იქნა ახალი აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა, მაგრამ შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები იმდაგვარად იქნა შერჩეული, რომ სინამდვილეში ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა

მივიღეთ[1], რომლის ნეგატიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებები დღემდე გრძელდება.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმაც პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. მმართველი ძალის ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნის სურვილს კარგად ესადაგებოდა საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, დროში შეუზღუდავად იძლეოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობას. ამიტომ არჩევანიც მასზე, უფრო სწორედ, რაციონალიზებულ პარლამენტარიზმზე გაკეთდა, რომლის მთავარი მიზანი მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფაა[2]. თუმცა, სახელმწიფო მმართველობის ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი – უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს, იმდენად რთულად იქნა კონსტრუირებული ძირითად კანონში, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება თითქმის შეუძლებელი გახდა. ვერც პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები იქნა სრულყოფილად გააზრებული, რამაც 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებისთანავე იჩინა თავი და კონსტიტუციურ ორგანოებს შორის დაპირისპირების საფუძველი გახდა.

რადგანაც მოქმედი კონსტიტუცია ადგენდა „გაუმართავ საპარლამენტო მმართველობის სისტემას“, ამიტომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ ამოცანად განისაზღვრა, კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან. რამდენად შეძლო ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ და საქართველოს პარლამენტმა, ეს კარგად ჩანს ვენეციის კომისიის საბოლოო შეფასებაში, რომელიც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნაშია მოცემული. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტი-

1 იხ. საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები. თბილისი, 2005, გვ. 21.

2 რაციონალიზებული პარლამენტარიზმის შესახებ იხ. ე. ტანჩევი. რაციონალიზებული პარლამენტარიზმი. წიგნში: „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“, რედ. ო. მელქაძე, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996, წ., გვ. 38-44.

ტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას".[1]

ვენეციის კომისიამ ამ ზოგად პოზიტიურ შეფასებებთან ერთად, თავის დასკვნაში გამოთქვა კონკრეტული შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის, არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ. მათი გათვალისწინება მიზანშეწონილად ჩაითვალა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტი მეორე მოსმენით უკვე მიღებული ჰქონდა, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავდა მასში არსობრივი ცვლილებების შეტანას. მათ გასათვალისწინებლად საჭირო გახდა ამ საკითხებზე საკონსტიტუციო ცვლილებების თავიდან ინიცირება სულ ახლახანს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში, რაც განხორციელდა კიდეც და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი 2018 წელსაც გაგრძელდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო რეფორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხო. 1995 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებულ საკონსტიტუციო კონტროლის ამ სასამართლო ორგანომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც საკონსტიტუციო რეფორმის, ისე საკანონმდებლო ცვლილებების ფორმატში. მაგალითად, 2002 წელს საგულისხმო ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში.[2] გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. მის უფლებამოსილებებს დაემატა ნორმათა ფორმალური და კონკრეტული კონტროლი, ასევე გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდა. მაგრამ 2004 წელს, რევოლუციურ ტალღაზე მოსული ხელისუფლება ჯერ შეეცადა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას უზენაეს სასამართლოსთან მისი შეერთების გზით, ხოლო შემდეგ 2004 წლის 17 დეკემბერს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნა

1 CDL – AD (2017)023. European Commission for Democracy through haw (Venice Commission), "Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017". Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017).

2 იხ. საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონი, სსმ, 2004 წ., № 4; მუხ. 14; ჯ. ხეცურიანი. ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია", 2002, № 1, გვ. 9-18.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ განიხილებოდა როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს(გარდაუზენაესისასამართლოსახლადარჩეულითავმჯდომარისა) ვადამდე უწყდებოდა უფლებამოსილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი ხდებოდა იმპიჩმენტით, მცირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობის დაკავებისათვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი, იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი – ყველა მოსამართლეს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ ექნებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენცია, იზღუდებოდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომლის გასაჩივრების უფლებაც ჰქონდათ მოქალაქეებს და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ამ ცვლილებების თაობაზე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რის გამოც კანონპროექტის ამ სახით მიღებას ხელისუფლება მოერიდა, თუმცა, ზოგიერთი დებულება, რომელიც, მაგალითად, ზღუდავდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ამცირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესების ასაკობრივ ცენზს და სხვა, მაინც იქნა მიღებული შემდგომ წლებში.[1]

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვას შეეცადნენ 2016 წელსაც, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო აქტებში შესატანი საეჭვო ცვლილებების დიდი ნაწილი თავიდან იქნა აცილებული.[2]

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ ამ ცვლილებათა არსი, მიზანდასახულობა და შესაბამისობა საკონსტიტუციო სამართლის ძირითად პრინციპებთან.

---

1 იხ. ჯ. ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006წ., გვ. 67-69.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016 წ., გვ. 278-282.

საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონით იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაა აღიარებული. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მეექვსე თავში - „სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა“ ნათქვამია, რომ სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები (59-ე მუხლის პირველი პუნქტი). რაც შეეხება პროკურატურას, მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში ის სასამართლო ხელისუფლების ორგანოა (ბელგია, ესპანეთი, რუმინეთი, ლატვია, ხორვატია)[1], მაგრამ საქართველოს სინამდვილეში სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებებთან მისი კონსტიტუციის ერთ თავში გაერთიანება უაღრესად პირობითია. კანონმდებელი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში პროკურატურის ადგილის განსაზღვრისას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა პროკურატურის მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ მაშინ, ამავე ლოგიკით, მას ადვოკატურისთვისაც უნდა მოეძებნა სათანადო ადგილი ძირითადი კანონის სასამართლო ხელისუფლების თავში.[2] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი კონსტიტუციური ორგანოა, ძირითადი კანონით არ არის განსაზღვრული მისი კომპეტენცია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ხარვეზია და საკანონმდებლო დონეზე იძლევა მისი უფლებამოსილებების განსაზღვრის ფართო შესაძლებლობებს კანონმდებლის მიხედულებისამებრ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პროკურატურის ფორმირების წესსა და მის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 65-ე მუხლი), ის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ასოცირებულად

1 იხ. ოთარ მელქაძე, ბექა დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. „მერანი-3“, თბილისი, 2000. გვ. 209-225.

2 საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ადვოკატურაზე მითითება მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებების თავში (31-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ბულგარეთის კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში პროკურატურასთან ერთად ადვოკატურაც არის მოხსენიებული, საკონსტიტუციო სასამართლო კი გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისაგან და მას ცალკე თავი ეძღვნება (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი IV, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2007, გვ. 222, 224).

უფრო მოიაზრება, ვიდრე სასამართლო ხელისუფლების ან თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად, როგორც ეს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში იყო და 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ არის.[1]

საქართველოს ამჟამადმოქმედ კონსტიტუციაში, მისი ახალი რედაქციისაგან განსხვავებით, სასამართლო ხელისუფლების თავში აღნიშნულია არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ამ შტოს ინსტიტუციები, არამედ მოცემულია აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებიც. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ (82-ე მუხლის პირველი პუნქტი). „კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან ამოღებულია.

სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება (მათ შორის, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება) იდენტური ცნებები არ არის. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს მართლმსაჯულებას, სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლსაც (საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასაც) და, ამასთანავე, ისეთ საქმიანობასაც, რომელიც ვერც მართლმსაჯულებად და ვერც საკონსტიტუციო კონტროლად ვერ იქნება მიჩნეული, თუმცა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელებად ჩაითვლება. მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილებას ვადამდე უწყვეტს თავის წევრს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებად, ან კიდევ, საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, რა თქმა უნდა, არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან ისეთი ფორმებით, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციით და კანონით. ამიტომ არ იყო მართებული

1 საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად იყო მიჩნეული და იქვე იყო განსაზღვრული მისი ძირითადი ფუნქციები ((91-ე მუხლი), ხოლო 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, პროკურატურაზე მითითება საერთოდ იქნა ამოღებული ძირითადი კანონიდან და ის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება გახდა.

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების შეცვლა ძირითადი კანონის ახალ რედაქციაში.

მართლმსაჯულების და საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის (საკონსტიტუციო მართლმსაჯულების) განხორციელება სასამართლო ხელისუფლების ორი ინსტიტუციის - საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი, მთავარი ფუნქციებია, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია, რომელშიც ვლინდება მათი შინაგანი სპეციფიკური ბუნება და რაც გამოარჩევს მათ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ სხვა ორგანოს არ შეუძლია განახორციელოს მართლმსაჯულება ან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი. მართალია, ეს ინსტიტუციები ახორციელებენ აგრეთვე სხვა, არაძირითად ფუნქციებსაც, მაგრამ მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და ემსახურებიან ძირითადი ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ: „სწორედ მართლმსაჯულება, როგორც სასამართლოს მთავარი, ძირითადი ფუნქცია, განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების სპეციფიკას და მის ადგილს სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში“.[1] ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ეს ძირითადი ფუნქცია განაპირობებს აგრეთვე ამ ორი ინსტიტუციის კუთვნილებას სასამართლო ხელისუფლებისადმი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის როგორც პოლიტიკის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელი პოლიტიკური ორგანო. იგი თავის თავში მოიცავს ორივე მათგანისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს და ახორციელებს ე. წ. „შერეულ“ - პოლიტიკურ მართლმსაჯულებას.[2] თავისი ამ სპეციფიკური პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ, სასამართლო სისტემისაგან განცალკევებულ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმაღლეს ორგანოს. მათი აზრით, სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, სავსებით

1 იხ. ოთარ მელქაძე, ბექა დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. „მერანი-3“, თბილისი, 2000, გვ. 16.

2 იხ. დიმიტრი გეგენავა. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში. წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წ. I (რედ. გ. კვერენჩხილაძე, დ. გეგენავა), თბილისი, 2012 წ., გვ. 99.

დასაბუთებულად, საკონსტიტუციო სასამართლოს ეძღვნება ცალკე თავი (ავსტრია, ესპანეთი, ბულგარეთი) და არ არის აუცილებელი, ის მოქცეული იყოს კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში.[1]

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანო, რადგანაც ასეთი ორგანოები საკითხებს წყვეტენ საკუთარი ინიციატივით და მიზანშეწონილობით. საკონსტიტუციო სასამართლო კი, თუ მას მიმართავენ (და არა საკუთარი ინიციატივით) წყვეტს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს - რამდენად შეესაბამება სამართლის ესა თუ ის ნორმა ან ქმედება კონსტიტუციას.[2] ამ საკითხებს, ამასთანავე, შეიძლება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ისევე როგორც, ზოგჯერ, საერთო სასამართლოებში განსახილველი სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში სასამართლო წყვეტს მხოლოდ სამართლის და არა პოლიტიკურ საკითხს. იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეთ პოლიტიკური მნიშვნელობა და, შესაბამისად, გავლენას ახდენდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, იქმნება ილუზია, რომ სასამართლო ამასთანავე პოლიტიკური ორგანოა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

საკონსტიტუციო სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით. ამიტომ მისი ადგილი სასამართლო ხელისუფლებაშია და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში ეს საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის ძირითადი ასპექტები როგორც საკონსტიტუციო რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც საქართველოს კონსტიტუციის რეგულირების

1 იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юрист», М., 2005, с. 161.

2 იხ. გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში. თბილისი, 2001, გვ. 18.

საგანს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის რაოდენობის, მოსამართლის განწესების მეთოდისა და პროცედურის, მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და სასამართლოს ფორმირებაში მონაწილე სუბიექტების შესახებ საკითხებს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, საქართველოს ძირითად კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის აღსანიშნავად თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ორი ტერმინი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი“ (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ მიზნისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ტერმინი- „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად გამოხატავს ამ თანამდებობის პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მოსამართლეთა რაოდენობა უპირატესად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობით, აგრეთვე სხვა ფაქტორებით.[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისაგან შედგება. საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მისი რაოდენობა არ შეცვლილა. თუმცა, იყო წინადადება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დაემატებოდა რეალური კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რასაკვირველია, უსათუოდ გამოიწვევდა განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.[2] მაგრამ რადგანაც ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული, საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის კონსტიტუციით განსაზღვრული რაოდენობა დღემდე უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გარკვეული ცვლილებები განიცადა იმ მოთხოვნებმა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი. საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში

1 მოსამართლეების ყველაზე მცირე რაოდენობა ანდორის საკონსტიტუციო სასამართლოშია (4 მოსამართლე), ხოლო ყველაზე მეტი - რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში (19 მოსამართლე).

2 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 148-154.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი იყო სამი პირობის არსებობა. მოსამართლეობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო საქართველოს მოქალაქე, 35 წლის ასაკს მიღწეული და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე (88-ე მუხლის მე-4 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წელს განხორციელებული ცვლილებით,[1] ასაკობრივი ცენზი 35 წლიდან 30 წლამდე შემცირდა, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო. საქმე ისაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს კანონმდებლობა ისედაც მინიმალურ მოთხოვნებს ადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის კანდიდატისათვის და მათი კიდევ უფრო შემცირება უარყოფითად აისახებოდა მოსამართლეთა შემადგენლობის კვალიფიკაციის დოეზე, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეობის კანდიდატისათვის სპეციალობით მუშაობის რაიმე გამოცდილების ცენზს ძირითადი კანონი არ ითვალისწინებდა.[2] საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მაღალ დონეს საზღვარგარეთის ქვეყნებში ძირითადად აღწევენ სწორედ მოსამართლეობის პრეტენდენტებისათვის მაღალი ასაკობრივი და სპეციალობით ხანგრძლივი მუშაობის ცენზის დაწესებით. მაგალითად, გერმანიასა და სლოვაკეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს დანიშვნისათვის საჭირო მინიმალური ასაკი 40 წელია, უნგრეთში - 45, პროფესიული საქმიანობის მინიმალური სტაჟი ავსტრიაში - 10 წელია, ესპანეთში - 15 და ა. შ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არ არის დაწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი მინიმალური ასაკი (ლიტვა, ლატვია და სხვ.), მოსამართლეობის კანდიდატს პროფესიული გამოცდილების ისეთი სტაჟი მოეთხოვება, რომ მოსამართლე შეიძლება გახდეს პირი არანაკლებ 35 წლის ასაკიდან.[3]

---

1 იხ. საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი № 2496 - სსმ I, № 1, 04.01.2006 წ., მუხ. 2.

2 საინტერესოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისაგან განსხვავებით, ძირითადი კანონი ასეთ მოთხოვნას აწესებდა საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის. სახელდობრ, საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს სხვა ცენზებთან ერთად უნდა ჰქონოდა სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება (86-ე მუხლის პირველი პუნქტი).

3 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Ред. В.В. Маклаков. «Норма», М., 2007, с. 42-43; Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юрист», М., 2005, с. 180-181.

იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის გაკრიტიკებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესების დადგენილი კრიტერიუმების ზემოაღნიშნული სისტემა, რომელიც არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.[1] საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, არანაკლებ 35 წლის ასაკის, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). როგორც ვხედავთ, მინიმალური ასაკობრივი ცენზი კვლავ თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და, ამასთანავე, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, დამატებულია ახალი მოთხოვნები, კერძოდ, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია. ეს ცენზები ერთობლიობაში, ვფიქრობთ, უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებას გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტებით.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში მათი განწესების წესს, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთმნიშვნელოვნად არ არის გადაწყვეტილი. თუმცა, ყველგან ნათლად იკვეთება კანონმდებლის მისწრაფება, დაადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის დამოუკიდებლობას ხელისუფლების ორგანოებისა და პარტიული გავლენისაგან. ეს ტენდენცია კარგად ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების იმ წესში, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების სამივე შტოს თანაბრად მონაწილეობას ამ პროცესში (ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, უკრაინა და სხვ.). საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების სწორედ ასეთი წესი იქნა დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში. საქართველოს ძირითადი კანონის თანახმად (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი (პრეზიდენტი მაშინ

1 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 149-150.

სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო), სამ წევრს ირჩევს პარლამენტი (საკანონმდებლო ხელისუფლება) და სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო (სასამართლო ხელისუფლება).

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ეს წესი, მასში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით, მართალია, შემდეგ პერიოდშიც არ შეცვლილა, მაგრამ 2004 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, შეიცვალა ერთ-ერთი ამ სუბიექტის, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. ის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად აღარ განიხილებოდა, რაც, მათი აზრით, გამორიცხავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობას საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში. ამიტომ, გამოითქვა წინადადება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დასანიშნი კანდიდატურა პრეზიდენტისათვის წარედგინა მთავრობას.[1] საკითხის ასე დასმა მართებულად მიგვაჩნია, თუმცა ამის აუცილებლობა გაჩნდა არა 2004 წლის, არამედ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსი მიიღო, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს ჩამოსცილდა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი ფუნქციები. მანამდე კი, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ 2013 წლამდე, საქართველოს პრეზიდენტი, მართალია, აღარ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მაგრამ არც საქართველოს მთავრობა განიხილებოდა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად ინაწილებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, კერძოდ, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა საკუთარი ინიციატივით გადაეყენებინა მთავრობა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ზოგიერთი მინისტრი, შეეჩერებინა ან გაეუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები და სხვ. ამის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის უფლება ამ პერიოდში შეიძლება კვლავ განხილულიყო როგორც

1 იხ. გიორგი კახიანი. მით. ნაშრომი, გვ. 135-136.

აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ საქართველოს პრეზიდენტი თითქმის სრულად ჩამოაცილა აღმასრულებელ ხელისუფლებას და მას მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი აკმარა, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკისთვისაა დამახასიათებელი, მას მაინც დაუტოვა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთი მესამედის ერთპიროვნულად დაკომპლექტების უფლებამოსილება. თუ კანონმდებელი ერთგული რჩება იმ პრინციპისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო თანაბრად უნდა მონაწილეობდეს, მაშინ შეცვლილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეალობაში გაუგებარია, აღმასრულებელი ხელისუფლება როგორ მონაწილეობს ამ პროცესში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ აღარ წარმოადგენს ხელისუფლების ცნობილი ტრიადიდან არც ერთ შტოს. გამომდინარე აქედან, ეს საკითხი სამომავლოდ უნდა გადაწყდეს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო შემოთავაზებული ან პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნისას პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის (კონტრასიგნაციის) შემოღებით.[1]

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შეცვლილია პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევის პროცედურა. ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით - სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისათვის საჭირო იყო პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ახალი რედაქციით პარლამენტის „სიითი შემადგენლობა“ შეიცვალა „სრული შემადგენლობით“, ხოლო „ნახევარ-

1 მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ მესამედს (ხუთ მოსამართლეს) მთავრობის მიერ პრეზიდენტისათვის კანდიდატურების წარდგენის გარეშე, თუმცა, პრეზიდენტის დეკრეტი მოსამართლის დანიშვნის შესახებ საჭიროებს მთავრობის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას (იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Ред. В.В. Маклаков, «Норма», М., 2007, с. 315-316).

ზე მეტი“ – „სამი მეხუთედით“. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმის მნიშვნელოვნად გაზრდა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პროცესში საპარლამენტო უმცირესობის მოსაზრებების გათვალისწინებასა და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის დაცვას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის საკითხს, ჩვენი აზრით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მოსამართლე მიზანშეწონილია განწესდეს ან უვადოდ ან განსაზღვრული ვადით, ოღონდ, ხელმეორედ დანიშვნის (არჩევის) უფლების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციამ თავიდანვე დაადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა და ახალი ვადით მოსამართლის განწესების დაუშვებლობის პრინციპი. არც ერთ საკონსტიტუციო რეფორმას ძირითადი კანონის ეს დებულებები არ შეუცვლია და ისინი კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც ძალაშია, რაც მიანიშნებს კანონმდებლის სწორ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ.

ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესიც. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს წარმომადგენლობით, ორგანიზაციულ და ზოგიერთ საპროცედურო უფლებამოსილებებს, რაც გამოარჩევს მას სხვა მოსამართლეებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის (არჩევის) ორი მეთოდია ცნობილი: თავმჯდომარეს ირჩევს თავად სასამართლოს შემადგენლობა (მაგალითად, ბელგია, იტალია, ლატვია და სხვ.) ან თავმჯდომარეს ნიშნავს (ირჩევს) სხვა სახელმწიფო ორგანო (მაგალითად, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი და სხვ.). იურიდიულ ლიტერატურაში უფრო მოზანშეწონილად მიაჩნიათ სასამართლოს თავმჯდომარის თავად მოსამართლეთა მიერ არჩევის წესი, რადგანაც იგი მნიშვნელოვნად ამცირებს არჩევნების პოლიტიზირების შესაძლებლობას და გარკვეულ გარანტიას ქმნის მოსამართლეთა თანასწორობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევდა საკონსტიტუციო სასამართლო. ამასთანავე, თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ხელმეორედ

არჩევა დაუშვებელი იყო (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის ამ წესმა ყველა საკონსტიტუციო რეფორმას გაუძლო და უცვლელი დარჩა, თუმცა, შეიცვალა თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის დაუშვებლობის კონსტიტუციური დებულება. სახელდობრ, 2010 წლიდან შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე პირის სასამართლოს თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩევა[1], რაც 2011 წელს პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ აღადგინა ადრე არსებული მდგომარეობა და საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა კვლავ დაუშვებელია (მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი).

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ფაქტის აღნიშვნაც, თუმცა ის ეხება არა ძირითადი კანონის, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის რეგულირების საგანს. სახელდობრ, საკითხი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის წესს. 2016 წლამდე თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით (ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ კი, თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება მიეცა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს[2]. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას თავად მოსამართლეები დაასახელებენ და თავადვე ირჩევენ მას. ეს წესი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გააძლიერებს საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორგანოს ავტონომიურობას.

1 იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, № 3710-სსმ I, № 62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

2 საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის ორგანული კანონი - ვებგვერდი 04.06.2016 წ.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო საფუძვლების კონსტიტუციურმა ნორმებმა. თუ ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით, კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ერთადერთი წყარო მხოლოდ კონსტიტუციაა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის იმ მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად დადგენილია მხოლოდ კონსტიტუციით. სხვა საკანონმდებლო აქტით, მაგალითად, ორგანული კანონით, ამ უფლებამოსილებების რაოდენობის გაზრდა დაუშვებელია.

ძირითადი კანონის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს 9 უფლებამოსილება: ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, ნორმათა კონკრეტული კონტროლი, კომპეტენციური დავების გადაწყვეტა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი, დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლი, რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვა. ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებასთან. იგი მოცემული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 48-ე მუხლში, რომელსაც უკვე „იმპიჩმენტი“ ეწოდება. ამრიგად კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები 10 სახეობით არის წარმოდგენილი. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების რაოდენობა თოთხმეტია, ე. ი. ოთხით მეტი, ვიდრე ეს კონსტიტუციის ახალი რედაქციითაა

გათვალისწინებული. საკონსტიტუციო რეფორმის ავტორებმა უარი თქვეს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთ უფლებამოსილებაზე, როგორიცაა ნორმათა ფორმალური კონტროლი, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დარღვევის თაობაზე დავების გადაწყვეტა, ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონტროლი და სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვა. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება მისი უფლებამოსილებების ერთობლიობით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ეს რაც შეეხება უფლებამოსილებების რაოდენობრივ მხარეს. ახლა კი, არსებითად განვიხილავთ იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად აღარ აქვს ან გარკვეული ცვლილებებით დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს.

ერთ-ერთიუფლებამოსილება,რომელიცგამოაკლდასაქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა ფორმალური კონტროლია. ამ უფლებამოსილებების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს. მაშასადამე, აქ საკონსტიტუციო კონტროლის საგანი იყო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების არა შინაარსი, მატერიალური მხარე, არამედ მათი ფორმალური მხარე კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდებოდა მხოლოდ პარლამენტის ნორმატიულ აქტებზე და მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ხელისუფლების სამართალშემოქმედების პროცესში კონსტიტუციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფას. ნორმათა ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (26-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გათვალისწინებული იყო აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივით (რაც საგამონაკლისო შემთხვევაა ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის) მისი განხორციელების სავალდებულოობა ნორმათა კონტროლის თაობაზე სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას. კანონმდებელი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა

ნორმატიული აქტების ნამდვილობის ზოგად წესს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი შინაარსი არ შეესაბამება კონსტიტუციას, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუტიის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში იყოს, მაგრამ, ამასთანავე, უხეშად იყოს დარღვეული მისი მიღებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისათვის აღარ იარსებებს და პარლამენტის შეკავება, რათა მან არ დაარღვიოს კონსტიტუცია, შეუძლებელი გახდება. ამიტომ არ იყო საჭირო ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი ორი უფლებამოსილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეხებოდა და მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტას. ამის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა და გადაეწყვიტა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები. ამ უფლებამოსილებების გაუქმების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის ტვირთი საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებებზე (მაგალითად, აბსტრაქტულ კონტროლზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და სხვ.) გადავა, მაგრამ ნორმათა კონტროლი არ იქნება ისეთი ქმედითი, როგორც ეს სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში იყო შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აწ უკვე გაუქმებული უფლებამოსილებების დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება უპირობოდ იწვევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, შესაძლებელი იყო სადავო

ნორმატიული აქტის შემოწმება როგორც კონსტიტუციურობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით.[1] საკონსტიტუციო კონტროლის ეს შესაძლებლობები საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ უკვე აღარ იქნება.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე უფლებამოსილებას. რადგანაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევა შესაძლებელი იყო როგორც საქართველოს ცენტრალური, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ, ამიტომ ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ ხელისუფლების ორივე დონის ორგანოებს: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.[2] ამჟამად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მისი კომპეტენცია, რაც, რასაკვირველია, საკითხთა უფრო ვიწრო წრეს მოიცავს, ვიდრე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის რეგულირების სფერო.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი გაუქმებული უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვას, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩაანაცვლოს კომპეტენციური დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებამ, რადგანაც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება (64-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამიტომ ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს, იუსტიციის საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ეხება და, შესაბამისად, ამ ორგანოს, იმედია, უფლება ექნება

1 იხ. ჯონი ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 253-263.

2 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41[1] მუხლი (იხ. პარლამენტის უწყებანი, № 45, 21.11.1997 წ., გვ. 54).

წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.

ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის ულებამოსილებამ. საკონსტიტუციო რეფორმამდე იგი შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, კერძოდ, კონსტიტუციითა (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ზუსტად იყო განსაზღვრული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლება-მოსილებამ უნივერსალური სახე მიიღო და მისი განსჯადობის სფეროში მოექცა ნებისმიერი ნორმატიული აქტი. თავისთავად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის არეალის გაფართოება პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, თუ, რა თქმა უნდა, ის არ გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვას. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მისი მოქმედება გავრცელებულიყო მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე.

შეცვლილია სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციური დავების გადაწყვეტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფ-ლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. საქართველოს კონს-ტიტუციის ახალი რედაქციით საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციურ დავებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ ახალ სუბიექტებს, სახელდობრ: ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს, გენერალურ პროკურორსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს (მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, მიმართვის სუბიექტებიდან ამოღებულია სასამართლოები. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ორგანული კანონით ექნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგა-

ნულ კანონში დასაზუსტებელი იქნება არა მარტო ეს საკითხი, არამედ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს (მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ როგორც საკუთარი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის დარღვევის თაობაზე.[1] ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ“ არ იძლევა მკაფიო ორიენტირებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ცალკეული სუბიექტების მიმართვის ფარგლების დასადგენად და საჭიროებს ორგანულ კანონში შემდგომ დაზუსტებას.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ახლებურადაა ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე. საკონსტიტუციო რეფორმამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების როგორც შექმნის, ისე მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხები. რეფორმის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებით შემოიფარგლება. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შექმნის კონსტიტუციურობას, ის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის მიღმაა დატოვებული. ამან კი შესაძლებელია წარმოშვას გაუგებრობები პოლიტიკური პარტიების მიმართ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაში. საქმე ისაა, რომ ძირითადი კანონი ადგენს პოლიტიკური პარტიების როგორც საქმიანობის, ისე მათი შექმნის სტადიაზე აკრძალვების მთელ რიგს. მაგალითად, ძირითადი კანონის ახალი რედაქციით „დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით“ (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი). თუ წარმოვიდგენთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პოლიტიკური პარტია შეიქმნა ტერიტორიული ნიშნით, მაგრამ, ამასთანავე, მისი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სხვა მოთხოვნებს, მაშინ ასეთი პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეუძლებელი იქნება

1 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად (34-ე მუხლის პირველი პუნქტი), საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს უფლება აქვთ სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მაშინ, თუ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია უშუალოდ მათი კომპეტენცია, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. მისი აკრძალვა არც სხვა ორგანოს შეეძლება, რადგანაც ძირითადი კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

კიდევ ერთი ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებამ, ოღონდ ამჯერად მისი გაფართოების მიმართულებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან ერთად გადაწყვიტოს ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე უკვე არსებობდა დასაბუთებული წინადადებები, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც იყო ანალოგიური საკანონმდებლო გამოცდილება და მისასალმებელია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ეს საკითხი დადებითად გადაწყდა[1].

ახალი დებულება დაემატა არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ნორმას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი). რაც შეეხება არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის შესახებ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამჟამად მოქმედ კონსტიტუციურ დეფინიციას, იგი უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიუხედავად კრიტიკული შენიშვნებისა, არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის საკითხი და არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი კვლავაც ერთობლივად უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ. ასეთი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ თუ არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არჩევნები ან რეფერენდუმი ჩატარდა ამ ნორმებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის

1 იხ. ჯონი ხეცურიანი, მით. ნაშრომი, გვ. 94-97.

საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ვერ იქნება[1]. საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა ახალმა ნორმამ კიდევ უფრო შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თუ არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება საარჩევნო კანონმდებლობაში, ე. ი. არ მიიღებენ არჩევნების მომწესრიგებელ ახალ ნორმას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო ამ არჩევნების წლის განმავლობაში ვერ განიხილავს ვერც ჩასატარებელი და ვერც ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება პარალიზებული აღმოჩნდება. ჩვენი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფისა და შესაძლო პოლიტიკური კრიზისების სამართლებრივი საშუალებებით მოგვარების მიზნით, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების გზით ფორმირების პროცესში სასამართლო ხელისუფლების როლის კიდევ უფრო გაძლიერება და არა მისი დაკნინება. სამწუხაროდ, 2005 წლიდან მოყოლებული 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობა სწორედ ამ იდეის საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტების საკითხს ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ შევეხეთ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შესახებ კონსტიტუციური ცვლილებების განხილვისას. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ამ სუბიექტთა წრე. რეფორმამდე 11 სუბიექტს შეეძლო მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რეფორმის შემდეგ მათი რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. ამასთანავე, ახალ სუბიექტებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კომპეტენციური დავების გადასაწყვეტად.

ნაწილობრივ შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების შესახებ კონსტიტუციური დებულება. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ (89-ე მუხლის მე2

1 იხ. ჯონი ხეცურიანი, მით. ნაშრომი, გვ. 102-103.

პუნქტი). კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ ნორმას დაემატა შემდეგი წინადადება: „თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა გვიანდელ ვადას (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების ასეთივე წესს ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი (25-ე მუხლის მე-2 პუნქტი), თუმცა, მისი პრაქტიკული გამოყენება არ ხდებოდა, რადგანაც იგი არ შეესაბამებოდა ძირითადი კანონის დებულებას, რომელიც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალის დაკარგვას იმპერატიულად უკავშირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტს და არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციულ უფლებას, თავად განესაზღვრა არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვის სხვა ვადა. არადა, ამის საჭიროება აშკარა იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი, მათ შორის უწინარეს ყოვლისა, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე უფლებამოსილების განხორციელებისას[1].

ამჟამად, ეს საკითხი მოგვარებულია და საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ორგანული კანონის ზემოაღნიშნულმა ნორმამ კონსტიტუციური ნორმის სტატუსი შეიძინა. მისი გამოყენება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვენი აზრით, თავიდან აგვაცილებს შესაძლო კოლიზიებს საერთაშორისო და ნაციონალური სამართლის პრინციპებს შორის და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება გახდება.

დასკვნა

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი და აღმოფხვრა ის ხარვეზები, რომლებიც წინამორბედი საკონსტიტუციო რეფორმის (2010 წ.) დროს იყო დაშვებული.

საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც ნაწილობრივ 2018 წელსაც გაგრძელდა, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებსაც შეეხო, თუმცა, საკონსტიტუციო

1 ამ საკითხზე იხ. ჯონი ხეცურიანი. მით. ნაშრომი, გვ. 186-188.

სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონის ახალი რედაქციით, იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაა აღიარებული და წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს.

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები, აგრეთვე პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმი, აიკრძალა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა, გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტების წრე, აგრეთვე ნორმათა აბსტრაქტული კონტროლისა და პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლები, საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებით, თავად განსაზღვროს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის ვადა.

ამ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საგრძნობლად შემცირდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი უფლებამოსილება, მათ შორის, ნორმათა ფორმალური კონტროლი. კიდევ უფრო შეიზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე და სხვ. ამასთანავე, მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა ან მისი დაზუსტება მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებებით არის შესაძლებელი, რაც უაღრესად რთული პროცესია.

გამომდინარე აქედან, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ მოსაზრებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს როლი და მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი კომპეტენციური შესაძლებლობებით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება გაზრდის ნაცვლად შემცირდა, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

V თავი

სამოქალაქო სამართლისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემურ-ფუნქციური კვლევები

12. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები
(თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995)

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
უფლებამოსილება. მეორე გადამუშავებული
და შევსებული გამოცემა
(„ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2020)

12. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები

შინაარსი

შესავალი 265

ნაწილი პირველი. სამართლის ფუნქციის თეორიული პრობლემები

თავი I. სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსი 277

თავი II. სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციის პრობლემა იურიდიულ მეცნიერებაში 297

თავი III. სამართლის ფუნქციის სისტემის ზოგადი დახასიათება 312

ნაწილი მეორე. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება და სისტემა

თავი IV. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება 333

თავი V. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის სისტემა 340

დასკვნა 439

ეძღვნება
პროფესორ
თინათინ წერეთლის
ნათელ ხსოვნას

შესავალი

სამოქალაქო სამართლის სოციალური ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია იმ ფუნქციური შესაძლებლობებით, რომლებიც სამართლის მოცემულ დარგს გააჩნია. სამოქალაქო სამართალი სამართლის სწორედ ის დარგია, რომელსაც იურიდიულ ენაზე გადააქვს ცივილიზაციის ყველაზე მთავარი მიღწევები - პიროვნების თავისუფლება, კერძო საკუთრება, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა.

სამოქალაქო სამართალი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის სამართალია. მისი ძირითადი ინსტიტუტები და ნორმები ორი ათასწლეულის წინათ შეიქმნა ძველ რომში და კერძო საკუთრებითი ურთიერთობის იმდენად სრულყოფილ, ზედმიწევნით ზუსტ სამართლებრივ ფორმებში იქნა განსახიერებული, რომ ძველი რომისა და რომაული სამართლის, როგორც მონათმფლობელური სამართლის, ისტორიული დასასრულის შემდეგაც არ დაუკარგავს სიცოცხლისუნარიანობა. ამის ნათელი მაგალითია რომაული სამოქალაქო სამართლის რეცეფცია. როდესაც შუა საუკუნეების ევროპაში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ ფეოდალური ჩვეულებითი სამართლის ნაცვლად მოითხოვა სამართლის უფრო სრულყოფილი ფორმები, მოხდა რომაული სამოქალაქო სამართლის გადმოღება და მისი გათავისება როგორც ნაციონალური სამართლისა. შუა საუკუნეების სახელმწიფოთა პრაქტიკაში რეცეფციის გზით დამკვიდრების შემდეგ, რომაული სამართალი საფუძვლად დაედო სამოქალაქო სამართლის ბურჟუაზიულ კოდიფიკაციებს და თანამედროვეობის სამართლებრივ სისტემებსაც.[1]

ამ მარადიულობის მიზეზი ის არის, რომ კერძო საკუთრებაზე აღმოცენებული ქონებრივი, მათ შორის, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები ყოველთვის მოითხოვენ ადეკვატურ, ობიექტური კანონზომიერებებით განპირობებულ ერთგვაროვან სამართლებრივ

[1] И.Б. Новицкий. Основы римского гражданского права. М., 1972, с. 16.

უზრუნველყოფას დროისა და სივრცის მიუხედავად. ამიტომ სამოქალაქო სამართლის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც ნებადართულია კერძო საკუთრება და თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო სამოქალაქო სამართალი იგნორირებულია, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება არ ემყარება ამ ინსტიტუტებს. ასე იყო, მაგალითად, საბჭოეთში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებიდან მხოლოდ მეექვსე წელს გამოიცა პირველი სამოქალაქო სამართლის კოდექსი. არა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს უბრალოდ ვერ შეძლო, არამედ სწორედ იმის გამო, რომ მანამდე ამის საჭიროება არ არსებობდა. ეს იყო ე.წ. „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდი, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა კერძო საკუთრება, მემკვიდრეობა, აკრძალა ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა, მოახდინა მიწისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების ნაციონალიზაცია, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები შეცვალა პირდაპირი განაწილების სისტემით. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არ არსებობდა სამოქალაქო სამართალი და არც ხელისუფლებას უცდია მისი შექმნა, რადგანაც არ არსებობდა ის საგანი, რომელიც სამოქალაქო სამართლის ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს.

20-იანი წლების დასაწყისში, როგორც კი საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დასაღწევად ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას (ნეპს) მიმართა, რომელიც გულისხმობდა კერძო საკუთრების გარკვეულ ფარგლებში დაშვებას და მის საფუძველზე კერძო მეურნეობის აღდგენას, მაშინვე გაჩნდა მოთხოვნილება სამოქალაქო კანონმდებლობაზე, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა კერძო მეურნეობის საფუძველზე აღმოცენებულ ქონებრივ ურთიერთობებს. ახალი კანონმდებლობის შექმნას გარკვეული დრო დასჭირდა. კერძო სამეურნეო ურთიერთობები კი ისეთი ტემპით განვითარდა, რომ ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებამდე „ძველი, უკვე დავიწყებული სამოქალაქო კანონების“ გამოყენების რეალური საფრთხე შეიქმნა.[1] სწორედ ამ გადაუდებელი საჭიროებით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ პირველი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიღებამდე გამოიცა დეკრეტი ძირითადი კერძო ქონებრივი უფლებების შესახებ, რომელიც მომავალი კოდიფიცირებული აქტის დებულებებს ასახავდა.[2] 1922 წელს კი მიიღეს სამოქალაქო სამართლის კოდექსი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

1 Ф. Вольфсон. Учебник гражданского права РСФСР, часть 1, М., 1925, с. 17-18.
2 СУ РСФСР 1922 г. №36, ст. 423.

იმ პერიოდის საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებასა და განვითარებაში.[1]

საქართველოს ე.წ. „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდი არ გაუვლია. იმ დროს საქართველო წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც შეიარაღებული ინტერვენციის გზით ანექსირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ სწორედ „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდის დასრულებისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყების დროს. საქართველოც იგივე ეკონომიკური პოლიტიკის გზას დაადგა, რამაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა მოითხოვა. რუსეთის მსგავსად აქაც 1923 წელს მიიღეს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც 1922 წლის რუსეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსის იდენტურ სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა. ამ პერიოდიდან დაწყებული საქართველოში სამოქალაქო სამართალმა გაიზიარა იგივე ხვედრი, რომელიც ერგო სამართლის ამ დარგს ყოფილ სსრ კავშირში.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპის) ლიკვიდაციას შედეგად მოჰყვა კერძო საკუთრებისა და მასზე დამყარებული კერძო მეურნეობის გაუქმება, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები იცვლებოდა ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემით, რომელიც ეფუძნებოდა სახელმწიფო საკუთრების განუყოფელ ბატონობას. რადგანაც პირდაპირ განაწილებაზე გადასვლა შეუძლებელი იყო, როგორც ამას „სამხედრო კომუნიზმის“ დროს ჰქონდა ადგილი, ყალიბდებოდა სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, ინარჩუნებდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს, ხოლო, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკური მექანიზმის ადგილს საგეგმო-ცენტრალიზებულ განაწილებასა და საგეგმო დიქტატს უთმობდა.

ამ სისტემის პირობებში სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფერო და ფუნქციები მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. სამართლის ამ დარგის ფუნქციური შესაძლებლობები ძირითადად წარიმართა ერთი მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად, კერძოდ, მას უნდა უზრუნველეყო გეგმისა და ცენტრალიზებული განაწილების სალტეებში მოქცეული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების იმდაგვარად რეგულირება, რომ ხელი შეეწყო საბაზრო ეკონომიკური მექანიზმის ელემენტების მაქსიმალური გამოყენებისათვის „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო და სრულად დაკმაყოფილების მიზნით“. სწორედ ამ ამოცანის შესაბამისად განხორციელდა სამოქალაქო კა-

1 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Р.О. Халфина. Право и рынок. В кн.: Теория права: новые идеи, вып. 1, М., 1991, с. 116-132.

ნონმდებლობის კოდიფიკაცია 60-იანი წლების დასაწყისში. 1961 წელს მიიღეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, ხოლო 1964 წელს - საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი.[1]

მიუხედავად სოლიდური საკანონმდებლო ბაზისა, სამოქალაქო სამართალმა ამ ამოცანის გადაჭრა ვერ შეძლო. ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ იმძლავრა. მმართველობის ორგანოების მიერ მიღებულმა უამრავმა კანონქვემდებარე აქტებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიცირებული აქტების ზოგად საწყისებსა და აზრს, ფაქტობრივად იურიდიული ძალა დააკარგვინეს მათ პირდაპირ მოქმედებას და ხელი შეუწყვეს საგეგმო-ცენტრალიზებული მართვის გაძლიერებას ეკონომიკაში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები კი პრაქტიკულად გამოვიდნენ სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების სფეროდან და „ჩრდილოვანი ეკონომიკის“, კორუფციის, სპეკულაციის და „შავი ბაზრის“ სახით მოქმედებდნენ.

ამ წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებელი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების – საბაზრო ეკონომიკის ელემენტებისა და საგეგმო-ცენტრალიზებული ეკონომიკის შეთავსების მცდელობაში მდგომარეობდა და არა საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ სამოქალაქო სამართლის ფუნქციურ უძლურებაში, როგორც ამას „სამეურნეო სამართლის“ კონცეფციის მომხრეები თვლიდნენ.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა საჯარო და კერძო სამართლის მოქმედების სფეროების გამიჯვნას და მათი სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელი სისტემების შექმნას, რაც უნდა განხორციელებულიყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფარგლების დადგენის საფუძველზე. რადგანაც იმ პერიოდში ეკონომიკური რეფორმა არ გატარდა, ფართო გასაქანი მიეცა „სამეურნეო სამართლის“ თეორიას, რომელიც პრაქტიკას სთავაზობდა სამართლისა და კანონმდებლობის ისეთი დარგის შექმნას სამეურნეო სამართლისა და სამეურნეო სამართლის კოდექსის სახით, რომელშიც ხელოვნურად იქნებოდა გაერთიანებული ზემოაღნიშნული ორი რადიკალურად ურთიერთგანსხვავებული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები და ინსტიტუტები სამეურნეო სფეროზე საჯარო-სამართლებრივი ზემოქმედების პრიორიტეტის შენარჩუნებით.

1 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964, № 36, მუხ. 662.

ამ იდეას პრაქტიკული განხორციელება არ ეწერა. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან რადიკალური ეკონომიკური რეფორმის მომზადება და განხორციელება დაიწყო, რომელიც საბოლოო ანგარიშში მიზნად ისახავდა საგეგმო-ცენტრალიზებული ეკონომიკიდან, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. სამეურნეო სამართლის იდეა ამ პირობებში სრულიად არააქტუალური გახდა. სამაგიეროდ კვლავ გაჩნდა მოთხოვნილება ახალ სამოქალაქო კანონმდებლობაზე, რომელიც სრულყოფილად მოაწესრიგებდა საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. 1991 წლის 31 მაისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კიდევაც ასეთი აქტი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ სახით, რომლის ძალაში შესვლა გათვალისწინებული იყო 1992 წლის პირველი იანვრიდან.[1] მაგრამ ამ აქტს ერთი დღითაც არ უმოქმედია თავისი დანიშნულებით, რადგანაც მის ძალაში შესვლამდე სსრ კავშირი დაიშალა. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციამ, რომელმაც განაგრძო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კურსი, ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიღებამდე თავის ტერიტორიაზე იურიდიული ძალა მიანიჭა ზემოაღნიშნული საფუძვლების მოქმედებას.[2] ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ დიდია მოთხოვნილება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ამ ურთიერთობათა ადეკვატურ სამართლებრივ ფორმაზე, რომელიც სამოქალაქო სამართალს გააჩნია.

საქართველომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, 1991 წლის 9 აპრილს აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქვეყნის ეკონომიკური სისტემის საფუძვლად საბაზრო ურთიერთობების პრინციპები გამოაცხადა. ლეგალიზებულ იქნა კერძო საკუთრება. აღიარებულ იქნა საკუთრების მრავალსახეობა და მათი თანასწორუფლებიანობა, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება. დაიწყო სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესები. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა სასაქონლო-ფულადი და საბაზრო ეკონომიკის თანმდევი სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი რეგულატორის, კერძო სამართლის ფუნდამენტური დარგის – სამოქალაქო სამართლის როლი და

1 Ведомости Съезда народных депутатов СССР и Верховного Совета СССР, 1991, № 26, с. 733.

2 Ведомости Съезда народных депутатов Российской Федерации и Верховного Совета Российской Федерации, 1992, №30, с. 1800.

მნიშვნელობა. ნიშანდობლივია, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანაც ისეთივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, როგორც შუა საუკუნეების რევოლუციების შემდგომი ეპოქის ქვეყნები, ნეპის დროინდელი რუსეთი და 80-იანი წლების მეორე ნახევრის საბჭოთა კავშირი. სახელდობრ, საბაზრო ურთიერთობების ცალკეული სფეროების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებთან ერთად, გადაუდებელ საჭიროებად იქცა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირების ზოგადი წესების განმსაზღვრელი კოდიფიცირებული აქტის – სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიღება. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ერთიანობა, სამოქალაქო სამართლის ფუნქციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმის შეუფერხებელი მოქმედება.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები, თავის მხრივ, ახალ ამოცანებს აყენებს საერთოდ სამართლის მეცნიერების და კერძოდ ცივილისტიკის წინაშე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო სამართლის როლისა და მნიშვნელობის ზრდა, სამოქალაქო კანონმდებლობის რეფორმაციის აუცილებლობა განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის სამოქალაქო სამართლის ფუნქციების პრობლემას. მისი გამოკვლევა ცივილური მეცნიერების პირველი რიგის ამოცანაა.

სამოქალაქო სამართლის ფუნქციის პრობლემა სამართლის ფუნქციის ზოგადი პრობლემის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის, ისევე როგორც სამართლის ნებისმიერი სხვა დარგის ფუნქციის შესწავლა შეუძლებელია სამართლის ფუნქციის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების წინასწარი გარკვევის გარეშე. სამწუხაროდ, ეს პრობლემები საკმარისად არ არის დამუშავებული სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში. როგორც სამართლისმცოდნეობის ამ დარგის მიერ განვლილი გზა მოწმობს, მეცნიერ-იურისტთა შემოქმედებითი ენერგია ძირითადად მიმართული იყო სახელმწიფოს ფუნქციის პრობლემების შესწავლისკენ[1], ხოლო რაც შეეხება სამართლის ფუნქციის

1 И.В. Черноголовкин. Функции советского государства в период развернутого строительства коммунизма. Госюриздат, М., 1960; ვ. აბაშმაძე. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები. თბილისი, 1962; Л.И. Каск. Функции и структура государства. Л., 1969; Н.П. Максименко. Функции социалистического государства. М., 1977; М.И. Байтин. Сущность и основные функции социалистического государства. Саратов, 1979; Б.П. Курашвили. Очерк теории государственного управления. М., 1987, с. 169-196 და სხვ.

პრობლემატიკას, მას საკმაო ყურადღება არ დათმობია. დღესდღეობით მხოლოდ ტ.ნ.რადკოს დამხმარე სახელმძღვანელო და მისი ერთი მონოგრაფია არსებობს, რომელიც სპეციალურად ამ პრობლემას ეძღვნება.[1] „სამართლის ფუნქციის“ კატეგორიამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებშიც ვერ მოიპოვა „მოქალაქეობრივი უფლება“. სწავლულ სამართალმცოდნეთა რამდენიმე სტატია, რომლებიც სამართლის ფუნქციების სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება, მათი საინტერესო შინაარსის მიუხედავად, ვერ ავსებს იმ ხარვეზებს, რომლებიც პრობლემის გამოკვლევაში არსებობს მთლიანად.

სამართლის არსის, როლის და მნიშვნელობის საკითხები ყოველთვის იყო იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანი. ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში დასაბუთებულია თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დასკვნები საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის, მისი დარგების, ინსტიტუტებისა და ნორმების როლის შესახებ. მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავს ტ.ნ.რადკო, ეს პრობლემები გაანალიზებულია სამართლის ფუნქციების გაუთვალისწინებლად, მაშინ როცა სამართლის ფუნქციის პრიზმით განხილვა ამ თემის უფრო ფართო ასპექტით შესწავლის საშუალებას იძლევა. ამით კი შესაძლებელი ხდება სამართლის როლის შეცნობა საზოგადოების განვითარებაში არა მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილების (ნორმების, ინსტიტუტების) მიხედვით, არამედ მთლიანად – საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებების თვალსაზრისით.[2]

იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემის დაუმუშავებლობა უფრო იმით აიხსნება, რომ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის სიცხადე და გარკვეულობა „ფუნქციის“ ცნებისა და მისი კატეგორიალური სტატუსის შესახებ. ფილოსოფიის ისტორიაში „ფუნქციის“ ცნება საგანგებოდ არ დამუშავებულა როგორც ფილოსოფიური კატეგორია. უფრო მეტიც, იგი განიხილებოდა როგორც „მომაკვდავი“, როგორც ერთგვარი „რუდიმენტი“. ამიტომ მისი ფილოსოფიური დამუშავება ბევრად ჩამორჩა სხვა ახალი ცნებების ანალიზს (როგორიცაა, მაგალითად, „ინფორმაცია“), რომელთა ფუნდამენტური ლოგიკურ-გნოსეოლოგიური კვლევა ახლაც ინ-

1 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права. Волгоград, 1970; его же, Социальные функции советского права. Волгоград, 1971; он же, Методологические вопросы познания функции права. Волгоград, 1974.

2 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 6-7.

ტენსიურად მიმდინარეობს.[1] ამის შედეგად „ფუნქცია“ და მასთან ერთად „სტრუქტურა“ ვერ მოხვდნენ ფილოსოფიურ კატეგორიათა ტრადიციულ სიაში. ისინი ფართოდ გამოიყენებოდა მხოლოდ ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინებში, განსაკუთრებით – ბიოლოგიაში, ქიმიაში, მათემატიკაში, მოგვიანებით – კიბერნეტიკაში.

ბოლო ათწლეულში სისტემური მიდგომის, როგორც სინამდვილის შემეცნების ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიური საშუალების ჩამოყალიბების კვალობაზე, ზოგადმეცნიერულ დონეზე უფრო საფუძვლიანად გაანალიზდა „სისტემა“, „სტრუქტურა“, „ფუნქცია“, „ელემენტი“ და სხვა კატეგორიები, რომლებიც სისტემური მიდგომის ცნებით აპარატს შეადგენენ. ამ კვლევებით დასაბუთდა, რომ ამგვარი ცნებების განვითარების ძირითადი მიმართულება იყო მათი ტევადობის ზრდა შინაარსის თანდათანობითი უნივერსალიზაციით, რის შედეგადაც ისინი ზოგადმეცნიერულ კატეგორიებად ჩამოყალიბდნენ.[2]

ბოლო დროს სისტემური მიდგომა ფართოდ შეიჭრა თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში და მათ შორის სამართლის მეცნიერებაშიც. ფართოდ გამოიყენება, კერძოდ, ამ მიდგომის სისტემურ-ფუნქციური ასპექტი,[3] რომლის მეოხებითაც სამართლებრივი მოვლენების შინაგანი აღნაგობის შესწავლიდან, „საგნობრივი“ კვლევიდან ყურადღების ცენტრი გადადის მათი მოქმედების მექანიზმსა და წესზე, ანუ ფუნქციონირებაზე, რაც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მათ არსს. „სამართლებრივი ფორმების „საგნობრივი“ კვლევის ეტაპი, – მიუთითებს თ.ი.ილარიონოვა, – რითაც პირდაპირ ან ფარულად წყდებოდა სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებზე მათი გენეტიკური დამოკიდებულების პრობლემა, დღეს შეიცვალა ზედნაშენურ მოვლენათა სისტემაში სამართლის ადგილისა და ღირებულების გარკვევის ეტაპით, ეს კი მისი შინაგანი თვისებებისადმი, სტრუქტურული კავ-

1 Материалистическая диалектика как научная система, под. ред. проф. А.П.Шептулина, МГУ, 1983, кн. 1, с. 204; А.М. Магомедов. Философские проблемы учения о функции. Издательство Ростовского ун-та, 1984, с. 4.

2 В.С. Готт, Э.П. Семенюк, А.Д. Урсул. Категории современной науки, «Мысль», М., 1984, с. 122. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში „სტრუქტურას“ და „ფუნქციას“ უკვე ფილოსოფიური კლასის კატეგორიებს მიაკუთვნებენ (იხ. მაგალითად, М. Хасанов. Структура и функция в системе категорий материалистической диалектики. Ташкент, 1981; Диалектика познанииия сложных систем, «Мысль», М., с.32).

3 სისტემური მიდგომის ასპექტებზე იხ. В.Г. Афанасьев. Общество: системность, познание и управление, изд-во «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1985, с. 27-39.

შირებისადმი და ნორმათა ფუნქციებისადმი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს“.[1] ამის საფუძველზე იურიდიულ მეცნიერებაში სულ უფრო ინტენსიურად იკვლევენ სამართლებრივი სისტემის სხვადასხვა კომპონენტის ფუნქციებსა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს. წიგნების, სამეცნიერო შრომების კრებულების სტატიები და თავები, დისერტაციები და მონოგრაფიები ეძღვნება სამართლებრივი სისტემის ფუნქციებს მთლიანად,[2] სამართლის ფუნქციებს,[3] სისხლის სამართლის ფუნქციებს,[4] შრომის კანონმდებლობის ფუნქციებს,[5] პროცესუალური სამართლის ფუნქციებს,[6] ნორმატიული აქტების და კანონმდებლობის ფუნქციებს,[7] სამართლის შეფარდების და სამართალშეფარდების

---

1 Т. И. Илларионова. Проблема охранительных функций гражданского права. В сб.: XXVI съезд КПСС и проблемы советского гражданского права, Свердловск, 1982, с. 62.

2 Правовая система социализма. Функционирование и развитие. “Юридическая литература», М., 1987, кн. 2, с. 10-33.

3 И.Е.Фарбер. О воспитательной функции общенародного права. “Советское государство и право», 1963, №7, с. 38-47; А.П. Глебов. Понятие и структура функции социалистического права. В сб.: Проблемы совершенствования правового регулирования общественных отношений в советском социалистическом обществе. Воронеж, 1977, с. 8-14; Е.Л.Слюсаренко. О понятии функции социалистического права. Труды Киевской высшей школы МВД СССР, вып. 12, Киев, 1978, с. 20-29; Л.П.Барнашова. Воспитательная функция права развитого социализма, Автореф. канд. дисс. М., 1982; В.В.Петров. Экологическая функция права. – Советское государство и право, 1982, №5, с. 86-94; Л.А.Чумак. Природа и механизм реализации охранительной функции советского права. Автореф. канд. дисс. Киев, 1986; С.С.Алексеев. Общая теория права, “Юридическая литература», М., 1981, т. 1, с. 191-196 და სხვ.

4 В.Г.Смирнов. Функции советского уголовного права. ЛГУ, 1965; С.А.Шлыков. Функции уголовной ответственности. Труды ВНИИСЗ, 27, 1983, с. 192-203; И.С.Ной. Сущность и функции уголовного наказания в советском государстве. Изд-во Саратовского ун-та, 1973 და სხვ.

5 А.С.Пашков. Основные функции советского трудового права. – Правоведение, 1977, №5, с. 67-78; В.И.Шкатулла. Защитная функция советского трудового права. Вестник Московского ун-та, серия 11, Право, 1979, №4, с. 40-45; Н.Н.Никифорова. Социальная функция трудового права. – Правоведение, 1983, №3, с. 74-78; В.А.Вайпан. Функции коллективного договора сквозь призму перестройки. – Советское государство и право, 1988, №5, с. 65-73; А.Е.Сухарев. Система функции советского трудового права. Автореф. канд. дисс., М., 1987 და სხვ.

6 В.М.Горшенев. Функции и содержание норм процессуального права по советскому законодательству. – В кн.: Проблемы правоведения. Новосибирск, 1967, с. 16-38; В.П.Нажимов. Об уголовно-процессуальных функциях. – Правоведение, 1973, №5, с. 73-82; А.А. Мельников. Социальные функции советского гражданского процесса. – Советское государство и право, №2, с. 20-28; Д.М.Чечот. Функции гражданского процессуального права. В кн.: Защита субъективных прав и советское гражданское судопроизводство. Ярославль, 1977, вып. 2, с. 82 და სხვ.

7 М.О.Смирнова. Локальные нормативные акты в области социального обеспечения рабочих и служащих (понятие, функции, содержание). В сб.: Вопросы социального обеспечения, вып. 14, М., 1983; Общие начала теории социалистической конституции. “Наука“, М., 1986, с. 139-151; Конституция СССР и законодательство развитого социализма. “Юридическая литература», М., 1984, с. 59-64 და სხვ.

პრაქტიკის ფუნქციებს,[1] მართლშეგნების ფუნქციებს,[2] ამასთან ერთად, გაჩნდა სამართლის ფუნქციის მეთოდოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი შრომებიც.[3]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ხანებში სამართლებრივ გამოკვლევებში ფუნქციური მიდგომის როლის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით სამართლის ფუნქციის პრობლემა სულ უფრო დამოუკიდებელი შესწავლის საგანი ხდება საზღვარგარეთის ქვეყნებში.[4]

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ცივილურ მეცნიერებაშიც. თუ არცთუ დიდი ხნის წინ სამოქალაქო სამართლის ფუნქციის პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევდა, ბოლო წლებში სწავლული-ცივილისტები შეეცადნენ გაეანალიზებინათ სამოქალაქო სამართლის ცალკეული სტრუქტურული ელემენტების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ფუნქციები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელშეკრულების,[5] საგამომგონებლო სამართლის,[6] სახელმწიფო და-

---

1 С.С.Алексеев, И.Я.Дюрягин. Функции применения права. Правоведение, 1972, №2, с. 25-33; Н.М.Гарапшин. Функции правоприменительной практики в советском общенародном государстве. В сб.: Актуальные вопросы советского права (теория и практика), изд-во Казанского ун-та, 1985, 24-26; В.Н.Карташов. О функциях правоприменительной практики. В кн.: Связь юридической науки с практикой. М., 1986,40-44 და სხვ.

2 А.Р.Ратинов. Структура и функции правового сознания. В кн.: Проблемы социологии права. Вильнюс, 1970, с. 178-187; Общественное сознание и его формы. Политиздат, 1986, 118-130; В.А.Щегорцев. Социология правосознания, М., 1981, с. 31-34 და სხვ.

3 К.Б.Лубенченко, А.А.Матюхин. О функциональном подходе к исследованию социалистического права. В сб.: Методологические и теоретические проблемы юридической науки. Изд-во Московского ун-та. 1986, с. 5-18.

4 W.Kravitz. Das positive Recht in der modernen Gesellschaft. Kategoriale und methodologische Uberlegungen zu einer funktionalen Rechtstheorie. Berlin, 1967. Die Funktion der Rechts in der modernen Gesellschaft. Hrsg. Von R. Lautmann u.a. Bertelsmann Universitatsferlag 1970; Die Hauptfunktionen des Sozialistischen Rechts, - In. Das Sozialistische Recht und die entwickelte sozialistische Gesellschaft. Leipzig, 1973; Funktionswardel der Privatrechtsinstitutionen. Tubingen. Mohr, 1972; Д.Цонева. Понятие за функциите на социалистического право; „Правна мъсл", 1972, №5; Кальман Кульчар. Основы социологии права. „Прогресс», М., 1981, с. 151-167.

5 Л.П.Ткач. Функции договоров в механизме управления народным хозяйством. "Вопросы государства и права развитого социалистического общества. Харьков, 1975; В.А.Семеусов. Функции хозяйственного договора. Иркутск, 1979; О.А.Красавчиков. Гражданско-правовой договор: понятие, содержание и функции. В сб.: Гражданско-правовой договор и его функции. Свердловск, 1980, с. 3-20; В.Г.Вердников. Функции хозяйственного договора. Труды ВЮЗИ, т.21, М., 1971; С.Н.Братусь. Эволюция функции хозяйственного договора. В сб.: Гражданское право и экономика, М., 1985, с. 65-70.

6 И.А.Зенин. Изобретательское право: природа, функции, развитие. — Советское государство и право, 1980, с. 48-56.

ზღვევის,[1] ქონებრივი პასუხისმგებლობის,[2] იურიდიული პირის[3] ფაქტიურ გარემოებათა,[4] სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებათა,[5] სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციების[6] ფუნქციათა დამუშავებას. დამოუკიდებელი შესწავლის საგნად იქცა სამოქალაქო სამართლის აღდგენითი,[7] კომპენსაციური[8], დაცვითი ფუნქციები.[9]

სამოქალაქო სამართლის სისტემის ცალკეულ ელემენტთა ფუნქციების შესწავლის გაფართოების კვალობაზე გარკვეული ყურადღება მიექცა აგრეთვე მთლიანად სამოქალაქო სამართლის,[10] სამოქალაქო და სამეურნეო კანონმდებლობის ფუნქციების პრობლემებს.[11] საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო სამართლის ბოლოდროინდელ სახელმძღვანელოებში ტრადიციული სამოქალაქო სამართლის საგნისა და მეთოდის გვერდით გაჩნდა პარაგრაფები, რომლებიც სამართლის

---

1 М.Я.Шиминова. Функции государственного страхования в развитом социалистическом обществе. В сб.: XXVI съезд КПСС и проблемы гражданского и трудового права, гражданского процесса, М., 1982, с. 65-69.

2 Е.А.Суханов. Превентивная функция имущественной ответственности. — Советское государство и право, 1982, N96, с.49-54.

3 В.К.Андреев. Функции и социальная ценность юридического лица в период развитого социализма. В сб.: Правосубъектность по гражданскому и хозяйственному праву. Л., 1983, с. 39-47.

4 В.Б.Исаков. Функции фактических обстоятельств в механизме правового регулирования. — Советское государство и право, 1975, №2, с.114-117.

5 Б.И.Путинский. Функции гражданско-правовых средств. Вестник Московского ун-та, сер. II, Право, 1980, №1, с. 12-21.

6 М.Г.Пронина. Стимулирующая функция гражданского-правовых санкций. Минск, 1977.

7 Ш.Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве. Душамбе, 1986.

8 А.Я.Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права. Саратов, 1983.

9 Т.И.Илларионова. Проблема охранительных функций гражданского права. В сб.: XXVI съезд КПСС и проблемы советского гражданского права, Свердловск, 1982, с. 62-70.

10 С.Т. Максименко. Функции советского гражданского права. В сб.: Актуальные вопросы советской юридической науки, ч.2. Саратов, 1978, с. 5-8.

11 И.А. Зенин. Структура, функции и условия эффективности гражданского законодательства в области научно-технического прогресса. Автореф. канд. дисс., М., 1980; О.А.Красавчиков. Функции хозяйственного законодательства и категория «Управление качеством продукции». В кн.: Гражданское право, эффективность и качество. Свердловск, 1977, с.5-36; Л.Г. Быков, П.Г. Лахно, Б.М. Смитаенко. Хозяйственный механизм и функции хозяйственного законодательства. В сб.: Экономико-правовые проблемы совершенствования хозяйственного механизма. М., 1984, с. 44-49; П.ГЛахно. Функции советского хозяйственного законодательства. Вестник Московского ун-та, серия 11, Право, 1985. №4, с. 23-30.

ამ დარგის ფუნქციების შესახებ ელემენტარული ცოდნის გადმოცემის პირველ ცდას წარმოადგენენ.[1]

ამგვარად, ცივილისტური აზრი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სამოქალაქო სამართლისა და მისი ცალკეული სტრუქტურული ელემენტების ფუნქციის პრობლემებს. ამავე დროს არც ის რჩება შეუმჩნეველი, რომ ამ სფეროში მეცნიერული კვლევის გაფართოებასთან ერთად, სულ უფრო მწვავედ იგრძნობა მთლიანად სამოქალაქო სამართლის ფუნქციის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებაში დღემდე არსებული ხარვეზების უარყოფითი შედეგები. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული მეცნიერული შრომები ძირითადად შესრულებულია გამოსაკვლევი მოვლენის ფუნქციის ცნების წინასწარი განსაზღვრის გარეშე, რის შედეგადაც „ფუნქციის“ კატეგორია ამ ნაშრომებში ინტუიტიური ცნების დონეზე დარჩა და მეცნიერული ლოგიკის მკაფიო ფორმებში ვერ ჩამოყალიბდა. სწორედ ამით აიხსნება სწავლულ-ცივილისტთა შეხედულებების მრავალგვარობა სამოქალაქო სამართლის სისტემის ერთი და იმავე კომპონენტის ფუნქციის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნებისა და სისტემის პრობლემები გამოკვლეულია სისტემურ-ფუნქციური მიდგომის გამოყენებით. ბუნებრივია, ამ პრობლემების კვლევა-ძიება უნდა ეყრდნობოდეს სამართლის ზოგადი თეორიის შესაბამის დებულებებს, მაგრამ, რამეთუ სამართალმცოდნეობის აღნიშნულ სფეროში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სამართლის ფუნქციის ერთიანი კონცეპტუალური გაგება, დასახული ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელი აღმოჩნდა სამართლის ფუნქციის შესახებ სამართლის თეორიის მთელი რიგი ზოგადი დებულებების კრიტიკული განხილვა. ამით აიხსნება, რომ წინამდებარე ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსისა და სისტემის გარკვევას.

1 Гражданское право. В 2-х томах, т.1, под ред. Е.А.Суханова, М., изд-во БЕК, 1993. с. 23-24; Советское гражданское право. Под ред. В.П. Грибанова и С.М. Корнеева. „Юридическая литература», М., т. 1, 1979, с 19-22.

ნაწილი პირველი. სამართლის ფუნქციის თეორიული პრობლემები

თავი I. სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსი

ნებისმიერი სისტემური ობიექტის ფუნქციის კვლევისას პირველი, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს „ფუნქციის“ ცნების შინაარსის სწორად გასააზრებლად, არის ის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემური ობიექტის აქტივობასთან, მის მოქმედებასთან. სწორედ მოქმედებაში ავლენს სისტემა თავის თვისებებს, ასრულებს იმ როლს, რისთვისაც ის შეიქმნა, ახორციელებს თავის ფუნქციებს. როგორც მართებულად არის მითითებული ფილოსოფიურ ლიტერატურაში, საგნების, ნივთების აღწერა შეიძლება მხოლოდ მოქმედების კატეგორიებში, ხოლო უმოქმედო მდგომარეობაში მათი აღწერა არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ფუნქციის თუნდაც მიახლოებით აღწერად, რასაც ის ასრულებს.[1] იგივეს აღნიშნავენ სწავლული სამართალმცოდნეებიც. სამართლის განხორციელება, წერს, მაგალითად, ლ.ს. იავიჩი, ეს არის მისი ყოფიერების, არსებობის, მოქმედების წესი, მისი მთავარი სოციალური ფუნქციის შესრულება. სამართალს ვერ გავიგებთ, თუკი საზოგადოების ცხოვრებაში მისი რეალიზაციის მექანიზმს არ შევიცნობთ.[2]

აქედან გამომდინარე, ფუნქციის კვლევაში ძირითად, ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ დებულება, რომლის მიხედვითაც „სამართლის ფუნქციის“ ცნება, უწინარეს ყოვლისა, ასახავს სამართლის მოქმედებას, განხორციელებას.[3] სამართლის განხორციელება, მოქმედება, როგორც ცნობილია, მდგომარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მის ზემოქმედებაში. ფუნქციის ანალიზმა უნდა აჩვენოს, თუ რა არის სამართლის, როგორც სპეციფიკური მოვლენის, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების განსაკუთრებული ხასიათი, სამართლის აქტიური, ქმედითი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ სამართლის ფუნქციის კვლევისას,

1 М. Хасанов. Структура и функции в системе категории материалистической диалектики. «Узбекистан», Ташкент, 1981, с.102.

2 С. Явич. Общая теория права. Изд-во Ленинградского ун-та, 1976, с. 201.

3 ასეთივეა ამ ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაც: „ფუნქცია“ ლათინურად ნიშნავს „შესრულებას“, „აღსრულებას“ ანუ მოქმედებას (იხ. ლათინურ-ქართული ლექსიკონი, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1961, გვ. 170).

უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს არა იმ კავშირებს, რომლებიც საზოგადოებრივი ყოფიერებიდან საზოგადოებრივ ცნობიერებაზეა მიმართული, არამედ პირიქით, სამართლიდან, როგორც ერთერთი სპეციფიკური მოვლენიდან, არის მიმართული ყოფიერებისაკენ, საზოგადოებისაკენ. ამას გარდა, კიდევ ერთი რამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. მართალია, „ფუნქციის“ ცნება უშუალოდ გამოხატავს სამართლის დინამიკურ, აქტიურ მხარეს, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედებაში ვლინდება, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივ ზემოქმედებაზე დაყრდნობით შეუძლებელია განსახილველი ცნების არსის სრულყოფილი გაგება. თვით ცნება „სამართლებრივი ზემოქმედება“ იმდენად ფართოა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის გავლენის ყველა მიმართულებას და ფორმას გულისხმობს, ხოლო „ფუნქცია არის არა უბრალოდ საქმიანობა, არამედ სპეციფიკური, შერჩევითი საქმიანობა“.[1] ამგვარი მსჯელობის საფუძველია ის, რომ ფუნქციონალურ სისტემებში ფუნქცია არის ამა თუ იმ ობიექტის სხვა ობიექტებთან ურთიერთქმედებისას სპეციფიკური თვისებების გამოვლენა.[2] ყოველი სისტემური ობიექტი, როგორც წესი, არის სხვა მაღალი რანგის სისტემურ წარმონაქმნთა შემადგენელი ნაწილი, ელემენტი და სპეციფიკურ თვისებებთან ერთად მას ზოგადი თვისებებიც გააჩნია.[3] ამიტომ აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ „ფუნქცია არის ობიექტის სპეციფიკური თვისებების გამოვლენა და არა თვისებების გამოვლენა საერთოდ“. თვისება გამოხატავს საგნის ისეთ მხარეს, რომელიც განაპირობებს მის განსხვავებას ან მსგავსებას სხვა საგნებთან და მათთან მიმართებაში მჟღავნდება.[4] ამასთან, საგანთა თვისება თვითონ საგნებს ახასიათებს და ამდენად ობიექტურია. ამ დებულებებს პრინციპული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. საქმე ისაა, რომ სამართალი, თავისი რთული ბუნების გამო

1 М. Хасанов. Указ. соч., с. 104.

2 М.Ф. Веденов, В.И. Кремянский. Соотношение структуры и функции в живой природе. М., 1967, с. 12. ტ.ნ. რადკო მიუთითებს, რომ სამართლის თითოეული ფუნქცია ღრმა არსობრივი წარმოშობისაა და მისთვის შინაგანად დამახასიათებელ ერთერთ თვისებას ახასიათებს. ფუნქცია თავის თავში ახდენს სამართლის ყველაზე არსებითი მხარეების კონცენტრირებას (Т.Н. Радько. Функции социалистического права. – Советское государство и право, 1977, №5, с. 49).

3 „როგორადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ყველაზე დიდი სისტემა, - წერს ა.ნ. ავერიანოვი , - ის ყოველთვის იქნება სხვა უფრო ფართო სისტემის ელემენტი“ (А.Н. Аверьянов. Системное познание мира. Методологические проблемы. Изд-во политической литературы. М., 1983, с. 73).

4 Философский энциклопедический словарь. «Советская энциклопедия». М., 1983, с. 598.

სხვადასხვა სისტემის (საზოგადოებრივი სისტემა, პოლიტიკური სისტემა, სოციალურ ნორმათა სისტემა და ა.შ.) შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, მას თვისებათა მთელი სპექტრი გააჩნია. სამართლის თითოეული თვისება, თავის მხრივ, შესაბამის ფუნქციას განსაზღვრავს. ამგვარი მიდგომით შეიძლება სამართლის ყველა შესაძლო ფუნქციის განსაზღვრა მისი მრავალგვარი თვისებების შესაბამისად.[1]

მაგრამ, როგორც ფილოსოფიურ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, თითოეული თვისება პოტენციურად არის ფუნქცია, „თვისება ფუნქციურ ხასიათს იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მოცემული სისტემის შენარჩუნებასა და მისი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას ემსახურება".[2] სწორედ ამიტომ არის აუცილებელი თვისებათა დიფერენციაცია, რათა მათგან გამოვყოთ ის მთავარი, სპეციფიკური თვისებები, რომელთაც შეუძლიათ მოცემული სისტემის ძირითადი ფუნქციის შესრულება განაპირობონ და მისი თვისებრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ. ამიტომ, როდესაც ამტკიცებენ, რომ ფუნქცია სამართლის სპეციფიკურ თვისებათა გამოვლენააო, აქ ის გარემოება იგულისხმება, რომ ფუნქციაში სამართლის ისეთი თვისებებია აკუმულირებული, რომლებიც მისი თვისებრივი დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობენ, და არა ნებისმიერი თვისება, რომელიც არა მხოლოდ სამართალს, არამედ სხვა მოვლენებსაც გააჩნიათ. როგორც სამართლიანად შენიშნავს ტ.ნ.რადკო, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით შეიძლება შემდგომ, სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისას, ის საკუთრივ იურიდიული ფუნქციები გამოვყოთ, რომლებიც სამართალს ახასიათებს როგორც დამოუკიდებელ მოვლენას.[3]

სამართლის სპეციფიკური ობიექტური თვისებები მჟღავნდება თავის ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში და სამართლის, როგორც მთლიანი სისტემის თვისებებს წარმოადგენენ. მათი ცალ-ცალკე განხილვა შესაძლებელია მხოლოდ თეორიული აბსტრაჰირებით, სინამდვილეში კი ისინი დიალექტიკურ ერთიანობაში არსებობენ.

სამართლის ყველა სპეციფიკურ „თვისებათა ზოგადი საფუძველი სახელმწიფო ნებაა, რომელიც საყოველთაო-სავალდებულო ნორმათა სისტემაშია ობიექტივირებული. იგი სამართლის ყველა

1 К.Д. Лубенченко, А.А. Матюхин. О функциональном подходе к исследованию социалистического права. В кн. Методологические и теоретические проблемы юридической науки. Изд-во Московского ун-та, 1986, с. 7.

2 М.М. Сетров. Основы функциональной теории организации. «Наука», Л., 1972, с. 36.

3 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 26.

თვისებაში ვლინდება და აძლევს ისეთ ნიშნებს, რომლებიც ხდიან მათ სამართლებრივს.[1]

სამართლის ობიექტურ თვისებათა ურთიერთგანპირობებულობასა და ერთიანობაზე მითითებასთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლის სპეციფიკურ თვისებათაგან წამყვანი და განმსაზღვრელია ნორმატიულობა. იგი თითქოსდა ერთ ფოკუსში აქცევს სამართლის სხვა დანარჩენ თვისებებს, მისი შინაარსის სპეციფიკურ თვისებებს გამოხატავს და შესაბამისად განსაზღვრავს სამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკას. მართალია, ნორმატიულობა სხვა არასამართლებრივ სოციალურ ნორმათა თვისებაცაა, მაგრამ სამართალში განივთებული სახელმწიფო ნება ნორმატიულობას ისეთ თვისებას სძენს, რომელიც არასამართლებრივი სოციალური ნორმების არც ერთ სახეობას არ გააჩნია.[2] სამართალი აქ ერთდროულად საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ნორმატიული და ქცევის ზოგადი წესების სავალდებულო სისტემაცაა, რომელიც სახელმწიფო იძულების გამოყენების შესაძლებლობით არის უზრუნველყოფილი. ამიტომ, რეგულირების სხვა საშუალებებისგან სამართალი განსხვავდება არა იმდენად მის მიერ რეგულირებულ ურთიერთობათა სფეროთი, არამედ უფრო მათზე ზემოქმედების წესით. „ყველაზე ზოგადი სახით, – წერს ვ.თ. იაკოვლევი, – ზემოქმედების სამართლებრივი წესის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ სამართალი არეგულირებს ადამიანთა და მათი კოლექტივების ქცევებს უფლებებისა და მოვალეობების ნორმატიული დადგენის მეოხებით, რომელიც სახელმწიფოს მიერაა უზრუნველყოფილი“.[3]

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე „სამართლის ზემოქმედების პროცესში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის მეშვეობით ხდება სამართლის თვისებების (პირველ რიგში – წამყვანი თვისების – ნორმატიულობის) „გადაყვანა“ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებულობაში.[4] ამგვარი „გადაყვანა“, სამართლის სპეციფიკურ

1 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе. «Юридическая литература», М., 1971, с. 68.

2 С.С. Алексеев. Указ. соч., с. 76.

3 В.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений. Свердловск, 1972, с. 11.

4 სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ფუნქციონირება, წერს ს.ს. ალექსეევი, უზრუნველყოფს სამართლის თვისებათა „გადაყვანას“ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზებულობაში, მათ მოწესრიგებულობაში, გარკვეულობაში, მდგრადობაში და დინამიკურობაში (С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 142.

თვისებათა მატერიალიზაცია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების პროცესში ამ ზემოქმედებას აძლევს სპეციფიკურ ხასიათს. როგორც ფილოსოფიურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „ობიექტის თვისება შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მის გარეგან და შინაგან ზემოქმედებაში და რეაქციებში, ამიტომ ფუნქცია სხვა არაფერია თუ არა ობიექტის ან მისი ნაწილების (ქვესისტემების) და ელემენტების მოქმედების გარკვეული სახე“.[1] გამომდინარე აქედან, ფუნქცია არა მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედებაა, არამედ ამ ზემოქმედების სპეციფიკური სახეცაა, რომელიც სამართლის ობიექტური სპეციფიკური თვისებებითაა განსაზღვრული.

მაგრამ, არც ეს არის მთავარი. სამართალში განივთებული სახელმწიფო ნება, იმის გარდა, რომ სამართლის თვისებებს სპეციფიკურ სახეს ანიჭებს და ამდენად განაპირობებს სამართლებრივი ზემოქმედების ხასიათს (სამართლის თვისებათა გადატანისას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებულობაში), იგი წარმოადგენს სამართლის არსს და ამ ზემოქმედების მიმართულებასაც განსაზღვრავს. სახელმწიფო ნება მკაფიო განსაზღვრულობას იღებს ქცევის კონკრეტულ სამართლებრივ წესებში. სწორედ ამ შინაარსის გამო სამართალი იძენს კონკრეტული სახელმწიფო მოთხოვნის, ბრძანების ხასიათს ადამიანთა სავალდებულო და შესაძლო ქცევების შესახებ, გადაიქცევა ძალად, რომელსაც შეუძლია ადამიანთა ცნობიერებაზე იმოქმედოს და წარმართოს მათი ქცევა გარკვეული მიმართულებით.[2] სახელმწიფო ნება, რომელიც შეადგენს სამართლის არსს, წერს ტ.ნ.რადკო, გულისხმობს საზოგადოების საერთო ინტერესებს, რომლებიც მიმართულია გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად და რომლის შესაბამისადაც ფუნქციონირებს სამართალი.[3] ამ აზრით „ფუნქციის“ ცნება უახლოვდება მიმართული მოქმედების ცნებას და სამართლის ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სამართლის არსის გამოვლინება.

---

1 М.Ф. Веденов, В.И. Кремянская. Соотношение структуры и функции в живой природе, с. 226.
ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ ო.ა. კრასავჩიკოვის ლოგიკური თანმიმდევრულობა ხელშეკრულების ფუნქციის ცნების ანალიზისას. კერძოდ, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების ფუნქცია არა მხოლოდ მოქმედებაა, შესრულებაა, არამედ განსახილველი იურიდიული ფაქტის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მოქმედების (ზემოქმედების) გარკვეული სახეა (О.А. Красавчиков. Гражданско-правовой договор: понятие, содержание и функции. В сб.: Гражданско-правовой договор и его функции. Свердловск, 1980, с. 16).

2 Д.А. Керимов. Философские проблемы права. «Мысль», М., 1972, с. 214.

3 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 19.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლის ფუნქცია არა მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედებაა, მისი სპეციფიკური სახეა, არამედ ამ ზემოქმედების მიმართულებაცაა. სამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკა და მიმართულება განპირობებულია სამართლის ობიექტური თვისებებითა და არსით, ანუ მისი შინაგანი სპეციფიკური ბუნებით.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულების აღსანიშნავად ავტორთა უმრავლესობა „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინს ხმარობს და სამართლის ფუნქციას განსაზღვრავენ როგორც სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც სამართლის დანიშნულებით არიან განპირობებულნი.[1] უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსის გახსნა „სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებებით“ და ამ ნიშნის განხილვა, როგორც სამართლის ფუნქციის ძირითად, ამოსავალ ელემენტად, სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს მოცემული პრობლემის მეცნიერული დამუშავების გაფართოების კვალობაზე. ამ ავტორთა შრომებში სამართლის ფუნქციის ცნების განსაზღვრის მრავალგვარი ცდებია განხორციელებული, მაგრამ მათ მიერ შემოთავაზებული დეფინიციების მთავარი ღერძი, რაზედაც მთელი ცნებითი ნიშნების მრავალფეროვნება ეყრდნობა, მაინც „სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებებია“. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე მეტად ამ ასპექტში შეინიშნება მკვლევართა შეხედულებების დაახლოების ტენდენცია, რაც ასე აუცილებელია სამართლის ფუნქციის საყოველთაოდ აღიარებული ცნების ჩამოყალიბებისათვის.

ზემოაღნიშნული დებულების სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ ავტორთა თვალსაზრისის განხილვაც, რომლებიც ეჭვს გამოთქვამენ სამართლის ფუნქციის ცნების განსაზღვრისას „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინის მიზანშეწონილობაში.

---

1 С.С.Алексеев. Общая теория права. Курс в двух томах, т. I, “Юридическая литература», М., 1981, с.191; Т.Н. Радько. Указ, соч., с. 26; И.Е. Фарбер. О воспитательной функции общенародного права. – “Советское государство и право», 1963, №7, с. 39; С.А.Иванов. Советская наука трудового права; учёт новых явлений в общественной жизни. В кн.: XXV съезд КПСС и развитие науки трудового права и социального обеспечения, М., 1978, с. 11-12; А.С. Пашков. Основные функции советского трудового права. – Правоведение, 1977, №5, с. 67; Ш.Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве. Душанбе, 1986, с. 9; А.Я.Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права. Саратов, 1986, с. 8 და სხვ.

ასე, მაგალითად, ბ.ი.პუგინსკი არ იზიარებს იმ დებულებას, რომლის თანახმად „ფუნქცია“ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების მიმართულებებია. „თავისთავად სამართლის ზემოქმედების მიმართულებებზე მსჯელობა ამგვარი, ზემოქმედების კონკრეტული ობიექტების და რეზულტატის მითითების გარეშე, – წერს ის, – სავარაუდო ხასიათს ატარებს. შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ მაინც რაში გამოიხატება თითოეული სამართლებრივი საშუალების სპეციფიკური ზემოქმედება და როგორია მისი მექანიზმი. მცირდება სამართლის სოციალური როლის შესწავლის უტყუარობა“.[1] ნათქვამის გათვალისწინებით ბ.ი.პუგინსკი სამართლის ფუნქციას განიხილავს როგორც „სოციალური სინამდვილის შესაბამის უბნებზე სამართლებრივი საშუალების ზემოქმედების გარკვეულ შედეგს, რომელიც ამ საშუალების სპეციფიკით, სუბიექტის მიერ მისი გამოყენების ხერხებითაა განპირობებული“.[2]

ბ.ი.პუგინსკიზე ადრე ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ს.ტ.მაქსიმენკომ. იგი არ იზიარებს სამართლის ფუნქციის იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ განმარტებას, რამდენადაც, მისი აზრით, ასეთი ახსნა მხოლოდ სტატიკურ მომენტს ასახავს და აუცილებლად მიაჩნია რომ ფუნქციის განსაზღვრაში უნდა აისახოს დინამიკური მომენტიც, თვით სამართლის მოძრაობა, მისი ფუნქციონირება. ამ ხარვეზის შესავსებად, ავტორის აზრით, ფუნქციის განსაზღვრებაში ასახვა უნდა პოვოს ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა სამართლებრივი რეგულირების ამოცანები, საშუალებები და შედეგები.[3]

საზოგადოებისათვის სამართლის შედეგიანობით განსაზღვრავს სამართლის ფუნქციებს გერმანელი მკვლევარი ვერნერ მაიჰოფერი.[4] ასეთივე შეხედულებისაა მისი კოლეგა ერიხ ფეხნერიც, რომელიც სამართლის ფუნქციის ცნებით ნიშნებად იყენებს „ფუნქციონირებას“, სამართლის სოციალურ მიზნებსა და სარგებლიანობას.[5]

---

1 Б.И.Путинский. Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях. “Юридическая литература“, М., 1984, с. 191; его же. Функции гражданско-правовых средств. – Вестник Московского университета, сер. XX, право, 1980, №1, с.13.

2 Б.И.Путинский. Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях, с. 192.

3 С.Т. Максименко. Функции советского гражданского права. В сб.: Актуальные вопросы советской юридической науки, ч.2. Саратов, 1978, с. 6.

4 Werner Mailhofer. Die gesellschaftliche Funktion des Rechts. In: Die Funktion des Rechts in der modernen Gesellschaft. Bd 1, Jahrbuch fur Rechtssoziologie und Rechtstheorie, Bertelsmann Universitatsferlag, S. 25.

5 Erich Fechner. Funktionen des Rechts in der menschlichen Gesellschaft. In: Die Funktion des Rechts in der modernen Gesellschaft, S. 92.

აღნიშნულ შეხედულებებში ავტორების პოზიციათა ნაკლოვანება, ჩვენი აზრით, უწინარეს ყოვლისა მეთოდოლოგიურ უზუსტობაში მდგომარეობს. საქმე ისაა, რომ „სამართლებრივი ზემოქმედების შედეგის“ ტერმინის გამოყენება, როგორც სამართლის ფუნქციის ცნების ერთ-ერთი მთავარი ნიშნისა, იწვევს „ფუნქციის“ და „ფუნქციონირების“ ცნებების გაიგივებას. ეს მომენტი აშკარად ჩანს, მაგალითად, ს.ტ. მაქსიმენკოს მოსაზრებაში. ფუნქციონირება მართლაც არის მოქმედება გარკვეული შედეგით (ანუ ამა თუ იმ სისტემური ობიექტის ფუნქციის განხორციელება), ხოლო ფუნქცია – თვითონ მოქმედება კი არ არის, არამედ მოქმედების მხოლოდ განსაზღვრული სახეა გარკვეული შედეგის მისაღწევად.[1] აქედან გამომდინარე, შედეგის მიღწევა ფუნქციაში მოცემულია პოტენციის, შესაძლებლობის დონეზე და ამიტომ იგი არ არის სამართლის ფუნქციის ცნების აუცილებელი ნიშანი.

შედეგს, რასაკვირველია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს სისტემური ობიექტისთვის. ფილოსოფიურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ შედეგი აქტიურად მოქმედებს სისტემის განვითარებაზე და გვევლინება როგორც სისტემის ჩამომყალიბებელი ფაქტორი.[2] ამასთან ერთად, როგორც ა.ნ.ავერიანოვი შენიშნავს, შედეგი ასეთ ფაქტორად გვევლინება სისტემის არა ფაქტობრივი ჩამოყალიბების, მის კომპონენტთა შეერთების პროცესში, არამედ სისტემის ორგანიზაციული სრულყოფის, განვითარების პროცესში.[3] როგორც ვხედავთ, ამ კონტექსტშიც შედეგს იმდენად აქვს მნიშვნელობა სისტემური ობიექტისთვის, რამდენადაც ის გამოხატავს სისტემის ფუნქციონირების შედეგიანობას და ქმნის სისტემური ობიექტის შემდგომი სრულყოფის საფუძვლებს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ამ თვალსაზრისით, სამართლებრივი ზემოქმედების შედეგს გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამართლის ფუნქციონირებისთვისაც, მაგალითად, მისი ეფექტიანობის განსასაზღვრავად, თუმცა, ეს უკვე ეხება სამართლის მოქმედების პრაქტიკულ, სოციოლოგიურ მხარეებს და, შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაუმართლებელია სამართლის ფუნქციის ცნების ნიშნად მისი განხილვა.

სამართლის ზემოქმედების შედეგების მიჩნევას სამართლის ფუნქციის ნიშნად „ფუნქციის“ და „ფუნქციონირების“ ცნებების აღ-

1 М.С. Сетров. Основы функциональной теории организации, с. 30; Материалистическая диалектика как научная система. Под ред. А.П. Шептулина. Изд-во Московского ун-та, кн. X, 1983, с. 204-205.

2 П.К. Анохин. Философские аспекты теории функциональной системы. М., 1978, с. 74-76.

3 А.Н. Аверианов. Указ. соч., с. 50.

რევასთან ერთად ლოგიკურად მივყავართ მორიგ მეთოდოლოგიურ შეცდომამდე, კერძოდ, „სამართლის როლის“ და „სამართლის ფუნქციის“ ცნებათა გაიგივებამდე. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ რამდენადაც სამართლის ფუნქციის ანალიზისას ბ.ი.პუგინსკიმ აქცენტი გადაიტანა სამართლებრივი ზემოქმედების შედეგზე, მან სამართლის ფუნქციის განსაზღვრა ვერ შეძლო „სამართლის როლზე“ მიუთითებლად. ანალოგიურ შეცდომებს უშვებენ ის ავტორებიც, რომლებიც თუმცა არ მიუთითებენ სამართლებრივი ზემოქმედების შედეგებზე, მაგრამ ცდილობენ სამართლის ფუნქციის ცნება განსაზღვრონ „სამართლის როლის“ კატეგორიის მეოხებით. ასე, მაგალითად, ი.გ.ტკაჩენკოს თვალსაზრისით, სამართლის ფუნქციაში უნდა ვიგულისხმოთ სამართლის კონკრეტული როლი (მოქმედება) საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში.[1] ს.ს.ალექსეევის აზრით, სამართლის აქტიური როლი გამოიხატება მის ფუნქციებში, ე.ი. სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებებში, რომლებიც გამოხატავენ სამართლის როლს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში (მოწესრიგებულობაში)[2]; სამართლის როლი კონკრეტიზირდება მის ფუნქციებში, – აღნიშნავს ე.ლ.სლიუსარენკო.[3] ლოგიკურად თითქოსდა სწორი უნდა იყოს სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსის გადმოცემა უფრო ფართო და ამავე დროს მომიჯნავე კატეგორიით – „სამართლის როლით“, მაგრამ ამ ცნებათა ურთიერთმიმართება ამის საფუძველს არ იძლევა.

როდესაც სამართლის როლზეა ლაპარაკი, ჩვენი აზრით, მასში არა მხოლოდ ის იგულისხმება, თუ კონკრეტულად რას აკეთებს, რა ქმედებას ასრულებს სამართალი, არამედ პირველ რიგში იგულისხმება ის, თუ რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვება მის აქტივობას საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. სწორედ შედეგების მიხედვით განისაზღვრება, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „სამართლის როლის“ კატეგორია ძირფესვიანად არის დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკულ რეალიზაციასთან, ცხოვრებაში მათ განხორციელებასთან, გამოხატავს სამართლისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ერთიანობას. ამასთან ერთად, კითხვაზე - თუ რა როლი ჰქონდა

1 Ю.Г. Ткаченко. Методологические вопросы теории правоотношений. М., 1980, с. 34.
2 С.С. Алексеев. Общая теория права, т. 1, с. 191.
3 Е.Л. Слюсаренко. О понятии функции социалистического права. Труды Киевской Высшей школы МВД СССР. Вып. 12, 1978, с. 23.

(ან ექნება) სამართალს საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე - საპასუხოდ აუცილებლად მოგვიწევს სამართლის მიერ განხორციელებული ფუნქციების გამორკვევა.[1] აქედან გამომდინარე, „სამართლის როლის“ ცნება არა მხოლოდ იმას მოიცავს თუ რა ფუნქციას ასრულებს სამართალი, არამედ ამ ფუნქციათა განხორციელების შედეგებსაც. „სამართლის ფუნქციის“ ცნება პირველ რიგში გულისხმობს სამართლის ზემოქმედების გარკვეულ მიმართულებას, ხოლო რაც შეეხება სამართლის ზემოქმედების განხორციელების კონკრეტულ შედეგებს, ის სამართლის ფუნქციის ცნების მიღმა ძევს და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შესაძლებლობათა სახით არის მოცემული მასში. შესაბამისად, სამართლის როლი სამართლის რეალიზებული ფუნქციებია. ამიტომ სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ სამართლის როლი კი არ კონკრეტდება (ან გამოიხატება) მის ფუნქციაში, არამედ, პირიქით, ფუნქცია განსაზღვრავს სამართლის როლს საზოგადოების ცხოვრებაში.[2] სწორედ ფუნქცია, წერს მ.ჰასანოვი, განსაზღვრავს იმ როლს, რასაც ესა თუ ის ელემენტი (ნაწილი, ორგანო) ასრულებს სისტემის შემადგენლობაში.[3]

ამგვარად, „სამართლებრივი ზემოქმედების შედეგი“ და „სამართლის როლი“ „სამართლის ფუნქციის“ ცნებით ნიშნად არ გამოდგება.

ა.ი. რიჟენკოვი ეთანხმება სამართლის ფუნქციის განსაზღვრას როგორც სამართლის დანიშნულებით განპირობებული სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს, თუმცა, მისი აზრით, განსახილველი ცნება მაინც გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ამგვარი განსაზღვრით, აღნიშნავს იგი, ჯერ ერთი, ხდება სხვადასხვა მოვლენის – სამართლის ფუნქციისა და სამართლის დანიშნულების ერთმანეთში აღრევა. ფუნქცია არ არის დანიშნულება, რომელიც განსაზღვრულია როგორც რაიმეს გამოყენების სფერო, არამედ მისი განხორციელებაა. ამიტომ, მიიჩნევს იგი, უფრო სწორია ვილაპარაკოთ არა სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებაზე, არამედ გარკვეული მიმართულების სამართლებრივ ზემოქმედებაზე.

მეორე, „სამართლის ფუნქციის“ ჩამოსაყალიბებლად „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინის გამოყენებისას ძნელია „ძირითადის“ და „არაძირითადის“ გამმიჯნავი კრიტერიუმის მოძებნა, ვინაიდან მხოლოდ ის, რაც ძირითადად არის მიჩნეული, ეს არის ფუნქცია, ხოლო

1 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 23.

2 ნიშანდობლივია, რომ ასეთივე დასკვნამდე მივიდა ვ.ა. სემეუსოვი სამეურნეო ხელშეკრულების „ფუნქციისა“ და „როლის“ ცნებების გამიჯვნისას (В.А. Семеусов. Функции хозяйственного договора, Иркутск, 1979, с. 73).

3 М. Хасанов. Указ. соч., с. 103.

ზემოქმედება არაძირითადი მიმართულებით არ შეიძლება სამართლის ფუნქციად მივიჩნიოთ. ამიტომ ა.ი.რიჟენკოვი, ეთანხმება რა ვ.პ.რეუტოვის მოსაზრებას, გვთავაზობს „სამართლის ფუნქციის“ ცნებიდან ამოვიღოთ მისი არსებითი ნიშანი – „ძირითადი მიმართულებები“ და შევცვალოთ იგი იმაზე მითითებით, რომ სამართლის ფუნქცია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებს სპეციფიკური სფეროების მიხედვით განსხვავებული მიმართულებებით.[1]

პირველ რიგში განვიხილოთ ა.ი.რიჟენკოვის მიერ გამოთქმული დაზუსტება სამართლის ფუნქციის განსაზღვრაში „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე ავტორის შეხედულებას ვერ გავიზიარებთ შემდეგი მოსაზრებების გამო: ჯერ ერთი, სამართლებრივ ზემოქმედებაში „ძირითადი“ და „არაძირითადი“ მიმართულებების გამიჯვნა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ მოვლენაში ძირითადისა და არაძირითადის განსაზღვრა, მართალია, ძნელია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია თეორიული ანალიზის მეშვეობით, და, თუკი ამისთვის შეუძლებელია, როგორც ავტორი ამტკიცებს, კრიტერიუმის გამოძებნა, მაშინ იგივე სიძნელეები უნდა არსებობდეს სამართლებრივი ზემოქმედების სპეციფიკური და არასპეციფიკური მიმართულებების გამიჯვნაშიც. მეორეც, როდესაც „საქმე ეხება სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს, ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ისინი ამავე დროს სპეციფიკურობითაც ხასიათდებიან. ამიტომ რამდენადაც ძირითადი ყოველთვის გამოხატავს არსებითს, სპეციფიკურს, ამ შემთხვევაში ტერმინის შეცვლა არაფერს არ იძლევა. მესამე, სამართლის ფუნქციის გაგება გარკვეული მიმართულების სამართლებრივ ზემოქმედებად (ტერმინ „ძირითადის“ მიუთითებლად), ჩვენი აზრით,“ უკიდურესად გააფართოებს სამართლის ფუნქციის შინაარსის ფარგლებს და გააძნელებს მის კლასიფიკაციას.[2] „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინის გამოყენებით კი შესაძლებელი ხდება სამართლებრივი ზემოქმედების მრავალ სახეობიდან გამოვყოთ ისინი, რომლებშიც სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნება

1 А.Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права. Саратов, 1983, с. 8-9; В.П. Реутов. О разграничении функции права и правового регулирования. – Правоведение, 1974, № 5, с. 22.

2 იურიდიულ ლიტერატურაში ანალოგიური შეხედულებაა გამოთქმული სახელმწიფოს ფუნქციის ცნების შინაარსის კვლევისას (Марксистско-ленинская общая теория государства и права. Основные институты и понятия. «Юридическая литература», М., 1970, с. 219).

ვლინდება, სამართლებრივი ზემოქმედების მთავარი, ძირითადი მიმართულებები გავმიჯნოთ არაძირითადისაგან, რომელიც არსებითი არ არის სამართლისთვის. ამასთან დაკავშირებით სწორად მიუთითებს ს.ა.ივანოვი, რომ სამართლის ფუნქციები „ეს მხოლოდ სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებები კი არ არის, არამედ ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ძირითად ამოცანებზე ან ერთგვაროვან ამოცანათა ჯგუფებზეა ორიენტირებული“.[1]

სამართლის ფუნქციების ცნების ჩამოყალიბებისას „ძირითადი მიმართულებების“ ტერმინის გამოყენებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამართლის ფუნქციათა კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც. საქმე ისაა,რომ სამართალს, ისევე როგორც სხვა სისტემურ ობიექტს, გააჩნია როგორც აშკარა, ისე ფარული, ლატენტური ფუნქციები.[2] ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, არ გამომდინარეობენ სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნებიდან და სამართლებრივი ზემოქმედების არაარსებით, არაძირითად მიმართულებებს შეესატყვისებიან. ამიტომ სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებზე მითითება საფუძველს იძლევა სამართლის ფუნქციური მრავალფეროვნებიდან გამოვაცალკევოთ მისი ძირითადი სახეობები, სახელდობრ ისინი, რომლებიც შეესაბამებიან სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს.

ახლა რაც შეეხება ა.ი.რიჟენკოვის სხვა დაზუსტებებს. ჩვენი აზრით, ავტორი სწორეა, როდესაც აღნიშნავს, რომ ფუნქცია ეს დანიშნულება არ არის და არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში სხვადასხვა მოვლენა – სამართლის ფუნქცია და სამართლის დანიშნულება. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ სამართლის ფუნქცია – ეს მისი განხორციელებაა, სამართლებრივი ზემოქმედებაა გარკვეული მიმართულებით და არა სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებები. ამგვარი მიდგომით მეორე უკიდურესობასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, სამართლის ფუნქციის გაიგივება თვითონ სამართლებრივ ზემოქმედებასთან.

---

1 С.А. Иванов. Функции советского трудового права. – Советское государство и право, 1972, № 12, с. 49.

2 სამართლის ფუნქციების ამგვარი გამიჯვნის შესახებ იხ. R.K. Merton. Elements de methods sociologique, P., 1953, p. 18-20. რ.მერტონის აზრით, თუკი სისხლისსამართლებრივი სასჯელის აშკარა ფუნქციებია სამართლიანობის აღდგენა, სამართალდამრღვევზე ზემოქმედება, დაშინება, შურისგება და ა.შ., ლატენტური ფუნქციის თვალსაზრისით სასჯელის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოების სადისტური ინსტინქტები, რადგანაც ლატენტური ფუნქცია მოქმედებს გაუცნობიერებლად.

სამართლის ფუნქცია მართლაც ვლინდება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მის ზემოქმედებაში, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ არის თვითონ ზემოქმედება. იგი ასახავს სამართლებრივი ზემოქმედების მხოლოდ გარკვეულ და ამავე დროს ყველაზე ზოგად სახეს, ე.ი. ჯერ კიდევ არ გამოდის სტატიკის ფარგლებიდან.[1]

ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ „სამართლის ფუნქციის“ და „სამართლის დანიშნულების“ ურთიერთმიმართებაზე. ეს თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ სამართლის ფუნქციის განსაზღვრისას იურიდიულ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად „სამართლის დანიშნულების“ ცნება გამოიყენება. უფრო მეტიც, ავტორები აიგივებენ კიდეც მათ და სინონიმებად ხმარობენ.[2] ზოგნი კი „სამართლის დანიშნულებას“ განიხილავენ „სამართლის ფუნქციის“ ცნების არსებით ნიშნად.

ასე, მაგალითად, ი.ს.მიხალიაკის აზრით, სამართლის ფუნქციაში უნდა ვიგულისხმოთ სამართლის დანიშნულება საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეული სახეობისათვის.[3] ი.ე.ფარბერის თვალსაზრისით, სამართლის ფუნქცია არის მისი სოციალური დანიშნულება ან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროებზე ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები.[4] ტ.ნ.რადკო აზუსტებს ი.ე.ფარბერის მოსაზრებას და წერს, რომ სამართლის ფუნქცია არ შეიძლება დაყვანილ იქნეს არც მხოლოდ დანიშნულებამდე და არც მხოლოდ ზემოქმედების მიმართულებებამდე. „სამართლის ფუნქციის“ ცნებამ, ხაზს უსვამს ის, ერთდროულად უნდა მოიცვას როგორც სამართლის დანიშნულება, ასევე საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების მიმართულებაც.[5]

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ სამართლის ფუნქციის განსაზღვრა, როგორც სამართლის დანიშნულება, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არასწორია, რადგან „სამართლის დანიშნულება“ იმდენად ფართო კატეგორიაა, რომ თვითონ მოითხოვს კონკრეტიზაციას და შინაარსის გახსნას. მხოლოდ იმაზე დაყრდნობა,

1 Ю.М. Козлов, Е.С. Фролов. Научная организация управления и право. Изд-во МГУ, 1986, с. 131.

2 Н. Неновский. Преемственность в праве. «Юридическая литература», М., 1977, с. 61; В.Г. Смирнов. Функции советского уголовного права, с. 9.

3 Теория государства и права. Под ред. А.И. Денисова. Изд-во МГУ, 1967, с. 255.

4 И.Е. Фарбер. О воспитательной функции общенародного права. – Советское государство и право, 1963, №7, с. 39.

5 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 24.

რომ სამართლის ფუნქცია – ეს იგივეა, რაც სამართლის დანიშნულება, ჩვენი აზრით, ვერ დაგვეხმარება განსახილველი ცნების განსაზღვრის ამოცანის გადაწყვეტაში.

ტერმინი „სამართლის დანიშნულება“ უფრო მიგვანიშნებს მიზანზე, რომლის მიღწევასაც სამართალი უნდა ემსახურებოდეს. სამართალი თავის დანიშნულებას მაშინ ასრულებს, როდესაც აღწევს იმ მიზნებს, რისთვისაც ის არსებობს. როგორც ტ.ნ.რადკო აღნიშნავს „დანიშნულება სამართალს ახასიათებს იმ თვალსაზრისით, თუ რა უნდა გააკეთოს მან კლასის მიზნებისათვის, ხოლო საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში – მთელი საზოგადოების მიზნების შესაბამისად, რომლის ნების გამომხატველიც თვითონაა.[1]

მიზანი სამართლის უმნიშვნელოვანესი მომენტია. იგი გამომხატველია ობიექტური კანონზომიერებისა, იდეალური ძალისა, რომელიც ადამიანებს სათანადო ქცევისკენ უბიძგებს და ამ ქცევის გარკვეული მიმართულების უშუალო მიზეზია. ამგვარად, მიზანი არის სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულების მიმცემი, წარმმართველი ძალა.[2] სამართლისთვის „მიზნის“ კატეგორიის ასეთი მნიშვნელობა გამომდინარეობს სამართლის პოლიტიკური ბუნებიდან. სამართალი იმ ფუნქციურ სისტემურ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც გარკვეული მიზნის რეალიზაციასთან არიან დაკავშირებულნი. ამიტომ მართალია ჯ.ა. ქერიმოვი, როდესაც ხაზს უსვამს, რომ სამართლის ფუნქცია არის „მკაცრად მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე“.[3] როგორც ვხედავთ, „მიზნის“ კატეგორიას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ „სამართლის დანიშნულების“ ცნებისთვის, არამედ „სამართლის ფუნქციის“ ცნებისთვისაც. სწორედ ეს მომენტი აახლოებთ მათ, მაგრამ ამ საფუძველზე მათი გაიგივება, ჩვენი აზრით, მაინც არასწორი იქნება, რადგანაც ეს თავის მხრივ გამოიწვევს სამართლის ფუნქციის გაიგივებას მის მიზნებთან. ამასთან დაკავშირებით ვ.ი.პუგინსკი, ჩვენი აზრით, სამართლიანად თვლის დაუშვებლად სამართლის ფუნქციებისა

---

1 იქვე, გვ. 24.

2 Д.А. Керимов. Философские проблемы права, с. 373-383; А.И. Экимов. Категория «цель» в советском праве. Автореф. канд. дисс. 1970, с. 9-12.

3 Д.А. Керимов. Указ. соч., с. 191.
ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივ სისტემაში მიზანი არის ერთ-ერთი წამყვანი სისტემის ჩამომყალიბებელი ფაქტორი. სისტემის ელემენტები ერთიანდებიან და ფუნქციონირებენ რაიმე გარკვეული მიზნისთვის (А.Н. Аверьянов. Указ. соч., с. 51).

და მიზნების გათანაბრებასა და გაიგივებას, რადგანაც სამართალმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სოციალური სინამდვილის სხვადასხვა მხარეზე მაშინაც კი, როდესაც დასახული მიზნები მიუღწეველია.[1]

„მიზნის“ კატეგორიასთან თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული „ამოცანის“ ცნება. „ამოცანა“ ჩვეულებრივ იმ უახლოეს საკითხებზე და პრობლემებზე მიუთითებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. სამართლის ამოცანები საკანონმდებლო ტერმინია. ამა თუ იმ კოდიფიცირებული კანონმდებლობის პირველივე მუხლები განსაზღვრავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოცანებს. სამართლის ამოცანები იმ საკითხთა წრეს გულისხმობს, რომელიც მან დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ანდა რომლის გადაწყვეტასაც ხელი უნდა შეუწყოს. შესაბამისად, ამოცანები ეს ის ძირითადი ორიენტირებია, რაზედაც ამა თუ იმ სისტემური ობიექტის მოქმედებაა მიმართული. სწორედ ეს ასპექტი აერთიანებთ „ფუნქციის“ და „ამოცანის“ ცნებებს. მართებულად შენიშნავს ტ.ნ.რადკო, რომ „სამართლის ამოცანა სამართლის ფუნქციასთან დამოკიდებულებაში გარეგანი (განმსაზღვრელი) ფაქტორია, რომლის შესაბამისადაც ხდება მისი რეალიზაცია“.[2] ამასთან, თუკი ამოცანები, გარკვეული აზრით, აჩვენებენ თუ რა საკითხები უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, სამართლის ფუნქცია პასუხობს კითხვებზე, თუ როგორ და რა გზით წყდება ეს საკითხები. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „სამართლის ფუნქცია“ და „სამართლის ამოცანები“ ახლოს დგანან შინაარსის მიხედვით, მაგრამ იდენტურები არ არიან.[3]

---

1 Б.И. Пугинский. Гражданско-правовые средства в хозяйственных отношениях, с. 190-191;
სისტემისა და მისი შემადგენელი ელემენტების ნებისმიერი ფუნქცია, მიუთითებს ე.პ.ბალაშოვი, დამორჩილებულია სისტემის ფუნქციონირების მიზნებს, მაგრამ მიზანი მაშინ არის განსახორციელებლად შესაძლებელი, როდესაც მისი რეალიზაციის ობიექტური შესაძლებლობები არსებობენ (Е.П. Балашов. Эволюционный синтез системы, М., 1985, с. 28);
ე.ი. სეტროვის აზრით, ფუნქციისაგან მიზნის ორი არსებითი ხასიათის განსხვავება შეიძლება გამოვყოთ: ფუნქცია არის რაღაც ობიექტური, მიზანი – სუბიექტური; ფუნქცია რეალური დამოკიდებულებაა, მიზანი – მხოლოდ შესაძლო მდგომარეობა. ამას გარდა, მიზნის ცნება ფუნქციასთან შედარებით უფრო ვიწროა, რადგან ფუნქცია ნებისმიერი ორგანული მთლიანობის ნაწილებს ახასიათებს, ხოლო მიზანი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ გონებით დაჯილდოებულ ადამიანებს (М.И. Сетров. Указ. соч., с. 102; ამავე საკითხზე იხ: Р.К. Мертон. Явные и латентные функции. В кн.: Структурно-функциональный анализ в современной социологии, М., 1968, с. 88-90).

2 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 23.

3 აღნიშნულ ცნებათა სიახლოვით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მათ აიგივებენ კიდევაც (იხ. მაგალითად, Гражданское право. В 2-х томах, т. 1. Под. ред. Е.А. Суханова. Изд-во БЕК, М., 1993, с. 16, 23).

სამართლის მიზანი და ამოცანები კონკრეტიზირდებიან მის ფუნქციებში.[1] ისინი გარკვეულ მნიშვნელობას იძენენ სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისას, რამდენადაც სამართლის მიზნები და ამოცანები უჩვენებენ იმ ძირითად მიმართულებებს, რისთვისაც არის გამიზნული სამართლებრივი ზემოქმედება, სამართლის აქტივობა. სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულება (სამართლის ფუნქცია), აღნიშნავს ს.ა.ივანოვი, იმ ამოცანებით განისაზღვრება, რომლებიც სამართლის წინაშე დგას და რამდენადაც სამართლის მთელი რიგი დარგების ამოცანები (მაგ. სამოქალაქო, შრომის) კანონმდებლობითაა განსაზღვრული, ეს მნიშვნელოვნად აადვილებს მათი ფუნქციების შესახებ საკითხის გადაწყვეტას.[2]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, „სამართლის ფუნქციის“ ცნების განსაზღვრისათვის უფრო მიზანშეწონილია „სამართლის დანიშნულების“ ნაცვლად გამოვიყენოთ „სამართლის მიზნების და ამოცანების“ კატეგორია, რომელიც უფრო საგნობრივად გამოხატავს სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებას, რაც ასე არსებითია სამართლის ფუნქციის ცნების შინაარსისათვის. ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ, ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გაგვემიჯნა სამართლის ფუნქციის ცნება მისი მონათესავე „როლის“, „დანიშნულების“, „მიზნის“, „ამოცანების“

---

1 ფ.ნ .ფატკულინი წერს: მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ სამართლის ფუუნქცია უნდა განიხილებოდეს როგორც მისი არსის გამოვლენა, როგორც ამ არსის „ნათება“ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას გავუსვამთ ხაზს, რომ ფუნქცია არანაკლებ არის სამართლის მიზნის „ნათებაც“ (Ф.Н. Фаткуллин. Проблемы общей теории социалистической правовой надстройки, т. 1. Изд-во Казанского ун-та, 1980, с. 152).

2 С.А. Иванов. Указ. соч., с. 11-12.
ობიექტურობისათვის აქ დამატებით უნდა შევნიშნოთ, რომ სამართლის მიზნები და ამოცანები მხოლოდ ზოგადი ორიენტირებია სამართლის ფუნქციის სისტემატიზაციის გასაადვილებლად და არა მათი კლასიფიკაციის უშუალო საფუძვლები. ამის გამო, მაგრამ სახელმწიფოს ფუნქციასთან დაკავშირებით, ბ.პ. ყურაშვილი წერს: „არ უნდა ველოდოთ, რომ ფუნქციის სისტემა შეიძლება უშუალოდ სახელმწიფოს სოციალური დანიშნულებიდან, მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამოვიყვანოთ. სოციალური დანიშნულებიდან ფუნქციაზე გადასვლა არც ისე ადვილია, არც ისე სახიერია, რომ ითქვას, თითქოს ფუნქცია წარმოიშობა სახელმწიფოს მიზნებითა და ამოცანებით. სახელმწიფოს თითოეული მიზანი, თითოეული ამოცანა მიიღწევა (წყდება) ფუნქციის მთელი სისტემით. ეს კი გამორიცხავს ცალკეული მიზნებით (ამოცანებით) შესაბამისი ფუნქციების წარმოშობას» (Б.П. Курашвили. Очерки теории государственного управления, с. 173).

ცნებებისაგან.[1] ამ ცნებებს ბევრი საერთო აქვთ ფუნქციის ცნებასთან, თუმცა ურთიერთშორის განსხვავებაც არსებითია. სწორედ ეს ბოლო ასპექტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფუნქციის ცნების შინაარსის სპეციფიკის დასადგენად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მომენტები შეინიშნება არა მხოლოდ „ფუნქციასა“ და ზემოთ დასახელებულ „როლს“, „დანიშნულებას“, „მიზანს“ და „ამოცანებს“ შორის, არამედ ამ უკანასკნელებს შორისაც. ზოგჯერ ეს ისე შესამჩნევია, რომ ის ავტორებიც კი, რომლებიც ცდილობენ მკვეთრად გამიჯნონ ისინი, ნებით თუ უნებურად აიგივებენ მათ. მაგალითად, ტ.ნ. რადკო, რომელმაც გარკვეული ადგილი დაუთმო თავის ნაშრომში ამ ცნებათა გამიჯვნას, წერს: „სამართლის ამოცანების“ ცნება ვიწრო მნიშვნელობით იდენტურია „სამართლის დანიშნულებისა“, „სამართლის ამოცანა“ არის სამართლის საბოლოო ან გარკვეულ ეტაპზე მდგარ მიზანზე მითითება.[2]

ვფიქრობთ, თითოეულ ამ ცნებას სპეციფიკური აზრობრივი დატვირთვა აქვს, გამოხატავს სამართლის გარკვეულ მხარეს და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია როგორც ზოგადად სამართლის, ასევე, კერძოდ, სამართლის ფუნქციის შესწავლაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სამართლის ფუნქცია“ ფაქტობრივად ერთობლიობაში ასახავს სამართლებრივი რეგულირების საგანს, ამოცანებს და მეთოდს. „სწორედ სამართლებრივი რეგულირების ფუნქციაში პოულობს თავის გამოხატულებას, – წერს ვ.გ.სმირნოვი, – რეგულირების საგანი (მისგან გამომდინარეობს ამოცანები) და რეგულირების მეთოდი (იგი განისაზღვრება რეგულირების საგნით და ამოცანებით).[3]

მთლიანობაში ვ.გ.სმირნოვის წინადადება მხარდაჭერას იმსახურებს და შესაძლებელია ამ ასპექტშიც განვიხილოთ სამართლის

---

1 ნიშანდობლივია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ამ ცნებათა გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ უკვე მიუთითეს ტ.ნ. რადკომ (Т.Н. Радько. Указ. соч., с. 23), ე.ლ. სლიუსარენკომ (Е.Л. Слюсаренко. Указ. соч., с. 23-24), ვ.ა.სემეუსოვმა (В.А. Семеусов. Указ. соч., с. 71-75) და სხვ.

2 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 23.
საყურადღებოა, რომ ზემოთ მითითებულ ცნებათა შინაარსის გადმოცემა განმარტებით ლექსიკონებშიც მათი ურთიერთშედარებით ხდება. ასე, მაგალითად, 1957-1961 წწ. გამოცემულ რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში (ოთხტომეული) „დანიშნულება“ ახსნილია როგორც რაიმეს ძირითადი ფუნქცია (ტ.II, გვ. 488); „როლი“ – გავლენის, მნიშვნელობის ზომა, რაიმე საქმეში მონაწილეობის ხარისხი (ტ.III, გვ. 965); „ამოცანა“ - მიზანი, რისკენაც მიისწრაფვიან, რომლის მიღწევაც უნდათ (ტ.IV, გვ. 874); „ფუნქცია « - მნიშვნელობა, დანიშნულება, როლი (ტ. IV, გვ. 805).

3 В.Г. Смирнов. Функции советского уголовного права, с. 9.

ფუნქციის ცნება. თუმცა, როგორც სწორად იყო აღნიშნული ლიტერატურაში, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამართლის ფუნქციის ცნებაში ყველაფერი იმის მოქცევა, რასაც ჩვენ სამართლებრივი რეგულირების საგანს, ამოცანებს და მეთოდს მივაკუთვნებთ, საფუძველს მოკლებულია,რადგან ამგვარი განსაზღვრის შემთხვევაში სამართლის ფუნქცია ამორფული ხდება.[1]

ამ გარემოების გათვალისწინებით ა.ი.რიჟენკოვი სამართლისა და მისი დარგების ფუნქციის სტრუქტურის დამოუკიდებელ ელემენტად მიიჩნევს ფუნქციის ობიექტს და ამტკიცებს, რომ „სამართლის ფუნქციის ობიექტის გამოყოფა და რეგულირების საგნისაგან მისი განსხვავება საშუალებას იძლევა დავანაწევროთ ფუნქციის მიმართულება საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივად განსხვავებული ჯგუფების მიხედვით.[2]

ჩვენი აზრით, სამართლის ფუნქციის ობიექტის და სამართლებრივი რეგულირების საგნის გამიჯვნა ხელოვნური და დაუსაბუთებელია. ავტორს მხედველობიდან გამორჩა, რომ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივად განსხვავებული ჯგუფები“, მათი სპეციფიკურობის მიუხედავად, მაინც სამართლებრივი რეგულირების საგნად რჩებიან. ამიტომ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ სამართლის ფუნქციის ობიექტი და სამართლებრივი ზემოქმედების საგანი ერთი და იგივე მოვლენებია და მათი გამიჯვნა შეუძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ეს სულაც არ არის აუცილებელი. აქ საკითხი სულ სხვაგვარად დგას. კერძოდ, უნდა გაირკვეს თუ რა გავლენას ახდენს სამართლებრივი ზემოქმედების საგნის სპეციფიკა სამართლის ფუნქციის ხასიათზე, როგორ აისახება ეს სპეციფიკა ფუნქციის შინაარსში და რა როლს ასრულებს ამაში სამართლებრივი რეგულირების მეთოდი.

სამართლებრივი რეგულირების საგანი სამართლის ერთ-ერთი მთავარი სისტემაწარმომქმნელი ფაქტორია.[3] თვით საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივად განსხვავებული სახეების არსებობა, რომლებიც ობიექტურად მოითხოვენ ნორმატიულ-სამართლებრივ ზემოქმედებას, აუცილებლობით იწვევს სამართლის სისტემის ცალკეული სტრუქტურული ელემენტების გამოცალკევებას, რომლებიც

1 А.Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 26.

2 იქვე.

3 სამართლის მთავარი სისტემაწარმომქმნელი ფაქტორების შესახებ იხ. С.С. Алексеев. Структура советского права, М., 1975, с. 48-49.

ასრულებენ შესაბამის ფუნქციებს. ამ ურთიერთობათა ხასიათზე ანუ სამართლებრივი ზემოქმედების საგანზე ბევრად არის დამოკიდებული სამართლის ფუნქციის შინაარსის თავისებურებანი. ისინი ყოველთვის მორგებული არიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ხასიათთან, ამა თუ იმ ზომით არიან განპირობებულნი. სამართლის ფუნქციის ასეთი წინასწარგანსაზღვრულობა საზოგადოებრივი ურთიერთობებით, რომლებიც სამართლებრივი ზემოქმედების საგანია, იმით აიხსნება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცალკეულ სახეთა ხასიათი ობიექტურად ითხოვს ამ ხასიათის შესაფერის სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკურ ხერხებსა და საშუალებებს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამართლის ძირითადი ფუნქციები შინაგან კანონზომიერ კავშირშია სამართლებრივი ზემოქმედების ხერხებთან,[1] მაშინ ნათელი გახდება სამართლის ფუნქციის შინაარსის გაპირობებულობა მის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათისაგან.

სამართლებრივი ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების არჩევა, რასაკვირველია, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უშუალოდ კანონმდებელზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი შეხედულებით და სურვილით მოქმედებს. პირიქით, კანონმდებელი მოვალეა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერების შემეცნების საფუძველზე და კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათის გათვალისწინებით განსაზღვროს მეთოდები, სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამართლებრივი ფორმების ოპტიმალურ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე.[2]

ამგვარად, სამართლებრივი ზემოქმედების საგნის სპეციფიკის გათვალისწინება სამართლის ფუნქციაში მიიღწევა არა უშუალოდ, არამედ სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი ხერხებისა და საშუალებების შერჩევითა და დადგენით, რომლებიც მოცემული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ზემოქმედების საგნის სპეციფიკა სამართლის ფუნქციებში მოცემულია „მოხსნილი“ სახით, როგორც სამართლებრივი ზემოქმედების ხერხები და საშუალებები.

---

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т. 1, с. 194-195.

2 Р.О. Халфина. Общее учение о правоотношении. «Юридическая литература», М., 1974, с. 38.

ამ პოზიციებიდან დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ა.ი.რიჟენკოვის მიერ ფუნქციის ობიექტის ჩართვა სამართლის ფუნქციის სტრუქტურის ელემენტთა შემადგენლობაში.

სხვა მხრივ, მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ სამართლებრივი რეგულირების მეთოდის ცნებაში ძირითადი ღერძი საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესაბამის სახეებზე სამართლისა და მისი ცალკეული დარგების ზემოქმედების ხერხებია, მაშინ ძნელი არ არის დავინახოთ ორგანული კავშირი სამართლის ფუნქციასა და სამართლებრივი რეგულირების მეთოდს შორის. როგორც ჩანს, ეს კავშირი აქვს მხედველობაში ვ.პ. მოზოლინს, როდესაც წერს: „სამართლის დარგობრივ მეთოდებში უნდა აისახოს სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობათა მთავარი თავისებურებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის მარეგულირებელ ფუნქციას ეკარგება თვით საფუძველი“.[1]

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო სამართლებრივი რეგულირების მეთოდი სრულიად სამართლიანად ითვლება იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ძირითად ფუნქციურ-სტრუქტურულ ნიშნად, რომელიც საშუალებას იძლევა სამართალი დავუკავშიროთ სოციალური რეგულირების სისტემას და ამასთან გამოვყოთ იგი ქვესისტემის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ელემენტად, აგრეთვე გამოვავლინოთ თვით სამართლის შინაგანი დიფერენციაცია.[2]

სამართლის ფუნქციასა და სამართლებრივი რეგულირების მეთოდს შორის მჭიდრო, ორგანული კავშირის აღნიშვნასთან ერთად საჭიროა ისიც ითქვას, რომ სამართლებრივი რეგულირების მეთოდი არ შთაინთქმება სამართლის ფუნქციის კატეგორიით და არ ემთხვევა მას. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ თუკი მეთოდი არის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების თავისებური ხერხი, ფუნქციები ამ ზემოქმედების ძირითადი მიმართულებებია. ორივე კატეგორიაში საერთოა ის, რომ ისინი სამართალს ახასიათებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით. ამასთანავე, სამართლის ფუნქცია უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე სამართლებრივი რეგულირების მეთოდი და ფუნქციებში აისახება მეთოდის გარკვეული ასპექტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დავასკვნათ:

---

1 Развитие советского гражданского права на современном этапе. «Наука», М., 1986, с. 45.

2 В.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений, с. 16.

1. სამართლის ფუნქციები არის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, ე.ი. არა ზოგადად სამართლებრივი ზემოქმედება, არამედ ამ ზემოქმედების მიმართულებები; არა ყოველგვარი მიმართულებები, არამედ ძირითადი მიმართულებები;

2. სამართლის ფუნქციები საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნებით განისაზღვრებიან. სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნება, თავის მხრივ, განპირობებულია სამართლის არსით და მისი სპეციფიკური თვისებებით;

3. სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები გამიზნულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

ასეთია სამართლის ფუნქციის ბუნებისა და არსის გასაგებად აუცილებელი საწყისი პოზიციები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ცნებაში აისახება არსებით ნიშანთა ერთობლიობა, ე.ი. ისეთებისა, რომელთაგან თითოეული ცალკე აღებული აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად საკმარისია იმისათვის, რომ მათი მეოხებით მოცემული საგანი განვასხვავოთ ყველა სხვა დანარჩენისაგან,[1] ჩვენი აზრით, სამართლის ფუნქცია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნებითაა განსაზღვრული.

თავი II. სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციის პრობლემა იურიდიულ მეცნიერებაში

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ფუნქციის სისტემის აგება იმისდა მიხედვით ხდება, თუ რას გულისხმობს ესა თუ ის ავტორი „სამართლის ფუნქციის“ ცნებაში. რადგანაც სამართლის ფუნქციის თითქმის იმდენი განსაზღვრებაა მეცნიერებაში, რამდენიც ამ საკითხის მკვლევარი, მრავალგვარია მისი კლასიფიკაციაც. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ მოინახა ისეთი საკლასიფიკაციო კრიტერიუმი, რომელსაც

1 А.Д. Гетманов. Логика, «Высшая школа», М., 1986, с. 25-26.

ობიექტური ხასიათი ექნება და ნაკლებად იქნება დამოკიდებული მკვლევართა სუბიექტურ შეხედულებებზე. კლასიფიკაციის ობიექტური კრიტერიუმის დადგენის მნიშვნელობა კი, როგორც სწორად აღნიშნავს ტ.ნ.რადკო, უდავოა, რადგან კლასიფიკაციის საფუძვლის დადგენაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ფუნქციების რაოდენობა და მნიშვნელობა, არამედ მათი ხასიათიც, შინაარსიც, ტევადობაც.[1] უნდა აღინიშნოს, რომ ტ.ნ.რადკო ამასთანავე უზუსტობას უშვებს, როდესაც სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისათვის ისეთი კრიტერიუმის შერჩევას ცდილობს, რომელიც „სამართლის ფუნქციის“ ცნებაზე არ იქნება დამოკიდებული.[2] კლასიფიკაციის ასეთი გაგება აშკარად ეწინააღმდეგება მის შესახებ არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს.

საქმე ის არის, რომ ამგვარი მიდგომით სამართლის ფუნქციის კლასიფიკაცია ისეთ პირობებშიც შეიძლება განხორციელდეს, როდესაც საკლასიფიკაციო ცნება ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. კლასიფიკაცია არის რაიმე სახის საგანთა დანაწილება ჯგუფებად ამგვარი საგნებისათვის დამახასიათებელი და სხვა სახის საგნებისგან განმასხვავებელი ყველაზე არსებითი ნიშნების მიხედვით.[3] თუ გავითვალისწინებთ, რომ ცნებაში აისახება საგნის ყველაზე არსებითი ნიშნები, მაშინ მისი კლასიფიკაციისას მოცემული საგნის ცნების განსაზღვრას გვერდს ვერ ავუვლით. „ცნების ტევადობის გახსნა ანუ მისი დაყოფა, – წერს მ.ს. სტროგოვიჩი – ვერ მოხერხდება ცნების შინაარსისგან დამოუკიდებლად. დაყოფა იმაში მდგომარეობს, რომ ცნებაში შემავალ საგნებს ჩვენ ვაკუთვნებთ სხვადასხვა ჯგუფს ცნების შინაარსში მოცემული რაიმე გარკვეული ნიშნის საფუძველზე“.[4]

ამგვარად, სამართლის ფუნქციის საკლასიფიკაციო კრიტერიუმი უნდა ვეძიოთ თვითონ სამართლის ფუნქციის ცნებაში, რადგანაც მასშია აკუმულირებული მოცემული მოვლენის ყველაზე არსებითი ნიშნები, რომლებიც სათანადო ორიენტაციას იძლევიან მისი არსებობის ფორმების და კონკრეტული სახეების დადგენაში. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ საკლასიფიკაციო კრიტერიუმმა არა მხოლოდ ორიენტაცია უნდა მოგვცეს სამართლის ფუნქციის კონკრეტული სახეების დასადგენად, არამედ მის საფუძველზე განხორციელებული კლასიფიკაციით სამართლის ფუნქციათა ისეთი ნაკრები უნდა მივიღოთ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება

1 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 30.
2 იქვე.
3 Н.И. Кондаков. Логический словарь, «Наука», М., 1971, с. 214.
4 М.С. Строгович. Логика, Госполитиздат, М., 1949, с. 129.

მისი შემადგენელი სახეების ურთიერთგანპირობებულობა, შინაგანი კავშირი და ორგანული ერთიანობა. მოკლედ, სამართლის ფუნქციის ცალკეულ სახეობათა ჯამმა უნდა შეადგინოს ორგანული სისტემა და არა მოუწესრიგებელი კრებადობა.

ლოგიკაში კლასიფიკაცია ჩვეულებრივ განიხილება როგორც ცნებათა დაყოფის განსაკუთრებული სახე, რომლის თავისებურებას ცნებათა უბრალო დაყოფასთან შედარებით ხედავენ კლასიფიკაციის დეტალურ დამუშავებასა და მდგრადობაში.

„ყოველი კლასიფიკაცია არის დაყოფა (მისი განსაკუთრებული ფორმა), მაგრამ ყოველი დაყოფა არ არის კლასიფიკაცია“, – მიუთითებს მ.ს.სტროგოვიჩი. „საკლასიფიკაციო საგნები კლასიფიკაციის შედეგად ქმნიან მწყობრ და სრულ სისტემას, და ამ სისტემაში კლასიფიკაციის თითოეული ნაწილი იკავებს თავის მუდმივ და მდგრად ადგილს“ – წერს იგი.[1]

სამწუხაროდ, სამართლის ფუნქციისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ყოველთვის არ იცავენ ამ მეთოდოლოგიური პრინციპის მოთხოვნებს, რასაც შედეგად მოსდევს სამართლის ფუნქციის სისტემის თვითნებური კონსტრუირება, რომელიც ორგანულ მთლიანობას არის მოკლებული. იურიდიულ ლიტერატურაში ამის სამაგალითოდ მოყვანილია გერმანელი სამართალმცოდნის ზ.პეტცოლდის მიერ შედგენილი სამართლის ფუნქციის კლასიფიკაცია. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ობიექტურ და აღმზრდელობით ფუნქციებს, შრომისა და მოხმარების ნორმირებაზე კონტროლის ფუნქციას, ადამიანთა ქცევის რეგულირების ფუნქციას და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განხორციელების უზრუნველყოფის ფუნქციას“.[2]

ადვილი შესამჩნევია, რომ სამართლის ფუნქციის შემოთავაზებულ ჩამონათვალს საკლასიფიკაციო საფუძველი არა აქვს. როგორც ჩანს, სამართლის ფუნქციების კლასიფიკაციას ავტორი ისე შეუდგა, რომ წინასწარ არ გაარკვია მათი გამიჯვნის კრიტერიუმი. ამგვარი მიდგომის შედეგად, მაგალითად, ობიექტური ფუნქცია, რომლის არსიც ზ.პეტცოლდის მიხედვით საბოლოოდ სამართლებრივი რეგულირების ობიექტურ აუცილებლობაში მდგომარეობს, სათუოა საერთოდ სამართლის ფუნქციებს მიეკუთვნოს, ხოლო საზოგადოებრივი, პოლი-

1 М.С. Строгович. Указ. соч., с. 127-128, 136.

2 З. Петцольд. Функции социалистического права в период строительства социализма. В сб.: Германское рабоче-крестьянское государство. М., 1963, с. 280-292.

ტიკური და აღმზრდელობითი„ ფუნქციების შინაარსი პრინციპში თანხვდებიან.[1]

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ფუნქციის დაყოფისას სხვა ხასიათის შეცდომებსაც უშვებენ. კერძოდ, დარღვეულია კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი წესი, რომლის მიხედვითაც გარკვეულ დონეებზე ყოველი დაყოფისას აღებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთი საფუძველი. ამ მოთხოვნის დარღვევას, როგორც წესი, იქამდე მივყავართ, რომ დაყოფის შედეგად წარმოშობილ ცნებათა ფარგლები ერთმანეთს კვეთენ, ე.ი. დაყოფილი ნაწილები ერთმანეთს არ გამორიცხავენ.[2]

ამგვარი კლასიფიკაციის მაგალითია ი.ს.მიხალიაკის მიერ სამართლის ფუნქციის დაყოფა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, აღმზრდელობით და საგარეო ფუნქციებად.[3] ავტორი ცდილობს სამართლის ფუნქციები გამიჯნოს ორი განსხვავებული კრიტერიუმის საფუძველზე: საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსა და სივრცეში სამართლის მოქმედების მიხედვით. სამართლის საგარეო ფუნქციაში ი.ს.მიხალიაკს ესმის მისი დანიშნულება გარე სამყაროსთან იმ ურთიერთობათა რეგულირებაში, რომელიც ყალიბდება სახელმწიფოს საგარეო ფუნქციის განხორციელების შედეგად. მართალია, ავტორი აქვე საგანგებოდ არ გამოყოფს სამართლის საშინაო ფუნქციებს, მაგრამ ეკონომიკური, პოლიტიკური და აღმზრდელობითი ფუნქციების მისეული განსაზღვრებიდან ირკვევა, რომ მათი მოქმედება შემოიფარგლება სამართლის მოქმედების ნაციონალური საზღვრებით და, შესაბამისად, ისინი სამართლის საშინაო ფუნქციებს მიეკუთვნებიან. როგორც ჩანს, ავტორმა არ გაითვალისწინა, რომ გარე სამყაროსთან ურთიერთობა შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის სფეროებშიც და, შესაბამისად, ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლის ფუნქციები დაიყოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ფუნქციებად. ასე, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილში პირდაპირ არის მითითებული საგარეო ვაჭრობის და სხვა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალი ახორციელებს ეკონომიკურ ფუნქციას როგორც

1 ამის თაობაზე კრიტიკული შენიშვნები იხ. Т.Н. Радько. Указ. соч., с. 32-34.

2 С.С. Розова. Классификационная проблема в современной науке. «Наука», Новосибирск, 1966, с. 42-45; А.Д. Гетманова. Логика. «Высшая школа», М., 1966, с. 48-50.

3 Теория государства и права. Под. ред. А.И. Денисова. Изд. МГУ, 1967, с. 256-257.

ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებშიც. სამოქალაქო სამართლის საგარეო-ეკონომიკური ფუნქციის შესახებ, მაგალითად, ო.ნ. სადიკოვი წერს: „სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად უყურადღებოდ დარჩენილი ფუნქციაა საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოთხოვნილებების უზრუნველყოფა. ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა იურიდიული პირი, ხელშეკრულება, ქონებრივი პასუხისმგებლობა, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში, რაც დღეს ფართოდ ვითარდება და სულ უფრო მრავალმხრივი ხდება“.[1]

ამგვარად, გამოდის, რომ სამართლის ეკონომიკური ფუნქცია შეიძლება იყოს საგარეოც და საშინაოც, ხოლო საგარეო და საშინაო ფუნქციები – ეკონომიკური. აი, რატომ არ უნდა გამოყოფილიყო საგარეო ფუნქცია სამართლის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და აღმზრდელობით ფუნქციებთან ერთ ჯგუფში, რადგანაც ისინი კლასიფიკაციის თვისებრივად განსხვავებულ საფუძვლებს ეყრდნობიან.

ზოგიერთი ავტორი ითვალისწინებს სახელმწიფოსა და სამართლის მჭიდრო კავშირს, მათ საერთო მიმართულებას ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად და სახელმწიფოს ფუნქციების ანალოგიით ცდილობს სამართლის ფუნქციების კლასიფიცირებას. ფუნქციის კლასიფიკაციის საფუძვლად შესაბამისად იღებენ იმავე კრიტერიუმებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, სახელმწიფო ფუნქციების კლასიფიკაციისას გამოიყენება, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებს.[2]

მაგალითად, ა.ს.პაშკოვის აზრით, სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისათვის ობიექტური კრიტერიუმია საზოგადოებრივ (არასამართლებრივ) ურთიერთობათა ძირითადი სახეები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, ის განასხვავებს სამართლის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს.[3]

---

1 О.Н. Садыков. Развитие исследований в области советского гражданского права. – Советское государство и право, 1975, № 9, с. 82; его же. Гражданское право и регулирование внешнеэкономических связей СССР. - Советское государство и право, 1986, № 11, с. 11-20.

2 ამ საკითხზე იხ. მაგალითად, Марксистско-ленинская общая теория государства и права. Социалистическое государство, «Юридическая литература», М., 1972, с. 128; М.П. Шендрик. Социалистическое общенародное государство, «Мысль», М., 1985, с. 153.

3 А.С. Пашков. Основные функции советского трудового права. – Правоведение, 1977, № 5, с. 67-68.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყურადღება სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისადმი ამგვარი მიდგომის დაუშვებლობაზე.[1] კერძოდ, სამართლიანად ითქვა, რომ თუმცა სახელმწიფოს და სამართლის ფუნქციებმა საბოლოო ანგარიშში საერთო ამოცანები უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ ისინი მაინც არ ერწყმიან და არ ემთხვევიან ერთმანეთს. სამართალი მართლაც არის სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, მაგრამ მას ამასთანავე დამოუკიდებლობაც ახასიათებს, სამართალი ასრულებს თავისი შინაარსისა და ხასიათის შესაბამის სპეციფიკურ ფუნქციებს.[2] უფრო მეტიც, სამართალი იმიტომ არის დამოუკიდებელი საშუალება, რომ მას ძალუძს ისეთი ფუნქციები შეასრულოს, რომელიც არც ერთ სხვა მოვლენას არ შეუძლია და რომლის საჭიროებაც ობიექტურად არსებობს საზოგადოებაში. სახელმწიფოს ის რომ შეეძლოს, რაც სამართალს შეუძლია, ბუნებრივია, არც მისი საჭიროება იქნებოდა. სამართალი იმდენად არსებობს, რამდენადაც ძალუძს შეასრულოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ფუნქციები. ამ გარემოების გამო სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციები არც შინაარსით, არც ფორმით და არც მისი განხორციელების ფარგლებით, არც რაოდენობით და სახეებით ერთმანეთს არ ემთხვევიან. აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია სამართლის ფუნქციის კლასიფიკაცია სახელმწიფოს ფუნქციის ანალოგიით.

60-იანი წლების დასაწყისში ი.ვ.ფარბერმა, რომელიც სამართლის აღმზრდელობით ფუნქციებს იკვლევდა, სამართლის ამოცანების მიხედვით, გამოაცალკევა მისი შემდეგი სამი ფუნქცია:

1. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ფუნქცია;

2. დაცვის ფუნქცია, მათ შორის, იურიდიული სანქციების შეფარდება, როგორც სახელმწიფო იძულების გარკვეული ზომების გატარება სამართლის ნორმების დამრღვევი პირების მიმართ;

3. იურიდიულ ვალდებულებათა შეგნებული და ნებაყოფლობითი შესრულებისა და უფლებების გონივრული განხორციელების სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ფუნქცია. ავტორის აზრით ეს ფუნქციები იგივეობრივი არ არის, რამდენადაც ისინი გამოხატავენ

1 В.М. Горшенев. Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе, М., 1972, с. 32.

2 Ю.А. Денисов. Функции советского общенародного государства и права. В кн.: 70 лет Советского государства и права, Л., 1987, с. 48-49.

ადამიანთა ქცევებზე და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ნორმათა ზემოქმედების სხვადასხვა ხერხს.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისმა გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა სწავლულ სამართალმცოდნეებში. სამართლის ფუნქციის ასეთ კლასიფიკაციას იზიარებდა, მაგალითად, ტ.ნ.რადკო თავის საკანდიდატო დისერტაციაში.[2] მაგრამ სამართლის ძირითად ფუნქციათა ამგვარ დაყოფას მაინც არსებითი ხარვეზები და შინაგანი წინააღმდეგობები ჰქონდა, რის გამოც ის სამართლიანად გააკრიტიკეს სამეცნიერო ლიტერატურაში. საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა, აღმზრდელობითი, რეგულაციური და დაცვითი ფუნქციების როგორც ერთი რიგის ფუნქციებად განხილვამ. ამასთან დაკავშირებით მართებულად მიუთითა ვ.გ.სმირნოვმა, რომ მიზანშეწონილი არ არის რეგულირებისა და დაცვის ფუნქციებთან ერთად ვილაპარაკოთ სამართლის იმ ფუნქციაზე, რომლის არსიც მოქალაქეებზე სამართლის აღმზრდელობით ზემოქმედებაში მდგომარეობს, რადგან ეს ამოცანა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებასა და დაცვასთან შედარებით უფრო ზოგადი ხასიათისაა და წყდება ნებისმიერი ტიპის – როგორც საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებით განსაზღვრულ, ასევე სამართალდარღვევების შედეგად აღმოცენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების გზით.[3] ამას ყურადღება მიაქცია ვ.მ.გორშენევმაც. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ „რეგულირების ფუნქცია და აღზრდის ფუნქცია ერთი რიგის კატეგორიები არაა; აღზრდის ფუნქცია თანმხლები ფაქტორია და არა განმსაზღვრელი, არა სპეციფიკური სამართლებრივი, რადგანაც სამართალი აღმზრდელობით ეფექტს აღწევს უპირველეს ყოვლისა ადამიანთა ქცევაზე თავისი მარეგულირებელი, მომწესრიგებელი ზემოქმედებით“.[4]

ამ კრიტიკის გავლენა ისეთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ტ.ნ.რადკომ გაითვალისწინა იგი და შემდგომ დააზუსტა თავისი შეხედულება სამართლის ფუნქციის შესახებ. კერძოდ, სოციალისტური სამართლის ძირითადი ფუნქციებისადმი მიძღვნილ დამხმარე სა-

1 И.Е. Фарбер. О воспитательной функции общенародного права. – Советское государство и право, 1963, №7, с. 39-40.

2 Т.Н. Радько. Функции социалистического общенародного права. Автореф. канд. дисс. Саратов, 1967.

3 В.Г. Смирнов. Функции советского уголовного права. Изд. ЛГУ, 1965, с. 8-9.

4 В.М. Горшенев. Способы и организационные формы правового регулирования в современный период коммунистического строительства. Автореф. канд. дисс., Свердловск, 1969, с. 7; его же. Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе, с. 34.

ხელმძღვანელოში ის უკვე წერდა: რეგულაციური და დაცვითი ფუნქცია გამოიყოფა სამართლებრივი რეგულირების სოციალური დანიშნულებიდან გამომდინარე, რაც გაპირობებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათით. აღმზრდელობითი ფუნქცია ამ საფუძვლებიდან არ გამომდინარეობს. ის განისაზღვრება სამართლის იდეოლოგიური ამოცანებით. ამიტომ მისი განხილვა მითითებულ ფუნქციებთან ერთ რიგში კლასიფიკაციის საფუძვლების ერთიანობის მოთხოვნის უგულებელყოფა იქნებოდა.[1]

ამგვარად, ზემოაღნიშნული პოლემიკის შედეგად ნათელი გახდა, რომ რეგულაციური, დაცვითი და აღმზრდელობითი ფუნქციები ერთი რიგის კატეგორიები არ არიან და მათი განხილვა ერთ სიბრტყეში დაუშვებელია.[2] ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გამოჩნდა იმ მეთოდოლოგიური პრინციპის თეორიული ღირებულება სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისათვის, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, კლასიფიკაციის შედეგად უნდა მივიღოთ სამართლის ფუნქციების ისეთი სისტემა, სადაც თითოეული მათგანი თავის მუდმივ და მყარ ადგილს დაიკავებს, ხოლო თვითონ სისტემას ექნება გარკვეული რიგის ფუნქციების იერარქიული აგებულების ხასიათი.

სწავლულმა სამართალმცოდნეებმა სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს ეს საკითხი. ს.ს.ალექსეევი განასხვავებს სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ და სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციებს იმის გათვალისწინებით, რომ სამართლის ფუნქცია შეიძლება განხილულ იქნეს რამდენიმე სიბრტყეში, კერძოდ მთელი სახელმწიფო-სამართლებრივი ნაწილის ჩარჩოებში ან მხოლოდ თვითონ სამართლის საზღვრებში. ამასთანავე, სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციაში იგულისხმება სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებები, რომლებიც სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს ასახავენ. მოცემულ სიბრტყეში სამართალი განიხილება ფართოდ, სახელმწიფოსთან ერთიანობაში, ამიტომ მათი ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევიან.

სპეციალურ-იურიდიული ფუნქციები, ავტორის აზრით, არის სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებები, რომლებიც მხოლოდ სამართლის ფარგლებში განიხილებიან, გამოხატავენ სამართლის იურიდიულ მნიშვნელობას გაშუალებული ურთიერთობებისათვის

1 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 36-37.

2 იურიდიულ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოწინააღმდეგეები ჰყავს ამ დებულებას. იხ. Е.А. Лукашева. Социалистическое правосознание и законность. «Юридическая литература», М., 1973, с. 13; С.Т. Максименко. Функции советского гражданского права. В сб.: Актуальные вопросы советской юридической науки, ч. 2. Изд-во Саратовского ун-та, 1978, с. 7.

და ვლინდებიან სამართლის სპეციალურ-იურიდიულ შინაარსში. მოცემულ სიბრტყეში განასხვავებენ სამართლის რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებს.[1]

სამართლის ფუნქციის ამგვარი კლასიფიკაცია მხარდაჭერას იმსახურებს, განსაკუთრებით სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციისაგან გამიჯვნის ნაწილში, რომლებიც სამართლის შინაგან თვისებებს ეფუძნებიან და ახასიათებენ მას როგორც სპეციფიკურ, თვისებრივად დამოუკიდებელ მოვლენას. ავტორის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის ღირებულება განსაკუთრებით თავს იჩენს სამართლის ფუნქციის განხილვისას, როგორც მისი ობიექტური სპეციფიკური თვისებების გამოვლინება.

ზემოაღნიშნული ღირსებების მიუხედავად, რომელიც სამართლის ფუნქციის ამგვარ სისტემას ახასიათებს, ჩვენ მაინც მთლიანად ვერ გავიზიარებთ ს.ს.ალექსეევის მოსაზრებას ამ საკითხზე, და აი რატომ: პირველ რიგში, ავტორს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ სამართლის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციებს. სამართლის ფუნქციის ამ სიბრტყეში განხილვისას შეიძლება დაემთხვეს სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციის განხორციელების სფეროები და არა თვითონ ფუნქციები (მისი შინაარსი). და თუ სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციები ერთი და იმავე სფეროში ხორციელდება და ფუნქციის კლასიფიკაციები ამ სფეროების მიხედვით ხდება, მაშინ, უდავოა, დაემთხვევა ამ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სოციალური მოვლენის ფუნქციათა დასახელებებიც. მაგრამ მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევა მათი იდენტურობის დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება.

შემდეგ, სამართლის ფუნქციის წარმოდგენილ სისტემაში გაურკვეველი რჩება აღმზრდელობითი ფუნქციის ადგილი. საქმე ისაა, რომ ავტორის მიერ შემოთავაზებულ საკლასიფიკაციო კრიტერიუმს თუ გამოვიყენებთ, მაშინ სამართლის ეს ფუნქცია უდავოდ დაიკავებს ადგილს სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა ჯგუფში, მით უმეტეს, რომ სახელმწიფოსაც აქვს ანალოგიური ფუნქცია. მაგრამ, ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების გამოყოფა ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მიხედვით (პოლიტიკა, ეკონომიკა იდეოლოგია), ხოლო აღმზრდელობითი ფუნქციისა – ადამიანთა ქცევაზე სამართლის ზემოქ-

1 С.С. Алексеев. Общая теория права. Курс в двух томах, т.III, "Юридическая литература», М., 1981, с. 191-192; იგივე შეხედულებისაა ბ.ლ. ნაზაროვაც. იხ. Теория государства и права. Под. ред. А.М. Васильева, «Юридическая литература», М., 1983, с. 78-80.

მედების ხერხის მიხედვით, მაშინ ამ ფუნქციის ადგილის განსაზღვრა სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა რიგში ძალზედ გაძნელდება. ყოველ შემთხვევაში, სამართლის ფუნქციის ამგვარ კლასიფიკაციას ერთიანი საფუძველი არ ექნება.

ამასთან დაკავშირებით ი.გ.ტკაჩენკომ სამართლიანად შენიშნა, რომ დაუსაბუთებელია აღმზრდელობითი ფუნქციის ჩართვა სამართლის ფუნქციის მოცემულ რიგში, რადგანაც ის სულ სხვა საფუძველზეა აღმოცენებული, ვიდრე ყველა წინამორბედი. აღმზრდელობითი ფუნქციის, როგორც სამართლის ფუნქციის დამოუკიდებელ სახეობად გამოყოფისათვის, – აღნიშნავს ის, – საჭიროა სახეობის წარმომშობი სხვა ნიშანი. მაგრამ, ამგვარი კლასიფიკაციისას სამართლის ფუნქციის ყველა დანარჩენი სახეებიც სხვაგვარი იქნება.[1] სამართლის ფუნქციის ზემოაღნიშნული სისტემის კონსტრუქციული ნაკლოვანებები განსაკუთრებით გამოვლინდა, მაგალითად, ტ.ნ.რადკოსთან, რომელმაც, მართალია, ერთი მხრივ, სწორად გამიჯნა სამართლის საკუთრივ იურიდიული (რეგულაციური და დაცვითი) და სოციალური ფუნქციები, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლებლად ჩათვალა ერთ ჯგუფში გაერთიანებულიყო სამართლის იდეოლოგიური და აღმზრდელობითი ფუნქციები.[2] ავტორმა, როგორც ჩანს, არ გაითვალისწინა, რომ სამართალი აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს როგორც მის მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა (მათ შორის აღზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობების) რეგულირების პროცესში, ისე მის გარეშეც.

ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად მიუთითებენ, რომ „სამართალი აღმზრდელობით ზემოქმედებას იმისდა დამოუკიდებლად ახდენს, საქმე გვაქვს ადამიანთა აღზრდის პროცესთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსთან თუ არა“.[3]

სწორედ ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში ვ.პ.რეუტოვს, როდესაც ცდილობდა სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების

1 Ю.Г. Ткаченко. Методологические вопросы теории правоотношений. «Юридическая литература», М., 1980, с. 37; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ავტორის სწორი პოზიციის მიუხედავად, მან მაინც ვერ შეძლო აღმზრდელობითი ფუნქციის ადგილის განსაზღვრა სამართლის ფუნქციის ზოგად სისტემაში.

2 Т.Н. Радько. Понятие и виды функций социалистического права. Вопросы теории государства и права. Вып. 2, Саратов, 1971, с. 115; он же. Функции социалистического права. – Советское государство и право, 1977, №5, с. 52.

3 К.Д. Любенченко, А.А. Матюхин. О функциональном подходе к исследованию социалистического права. В сб.: Методологические и теоретические проблемы юридической науки. Изд-во Московского ун-та, 1986, с. 10.

იდეოლოგიური ფუნქცია გაემიჯნა აღმზრდელობითი ფუნქციისგან. სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების იდეოლოგიური ფუნქცია, ავტორის აზრით, მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ადამიანთა ცხოვრების სულიერი სფეროს რეგულირებისა და დაცვისკენ. ამ ამოცანის გადაწყვეტით სამართალი საბოლოო ანგარიშში გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზეც. სამართლის აღმზრდელობითი ფუნქცია კი უშუალოდ არის მიმართული მართლშეგნების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, სამართლებრივი ნორმების ნებაყოფლობითი და შეგნებული დაცვის ჩვევების ფორმირებისაკენ.[1]

სამართლის იდეოლოგიური და აღმზრდელობითი ფუნქციების გამიჯვნის შესახებ ავტორის შეხედულება, ჩვენი აზრით, მხარდაჭერას იმსახურებს, რადგანაც მას სიცხადე შეაქვს სამართლის ფუნქციის სისტემაში აღმზრდელობითი ფუნქციის ადგილის გარკვევაში. ამავე დროს, მის მიერ „სამართლის ფუნქციის“ და „სამართლებრივი რეგულირების ფუნქციის“ კატეგორიათა გამიჯვნამ ეს საკითხი ისევ საწყის მდგომარეობაში დააბრუნა.

კერძოდ, ამ კატეგორიათა გამიჯვნით ვ.პ.რეუტოვი ასხვავებს: სამართლის ფუნქციას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების (რეგულაციურ და დაცვით) მიმართულებას; სამართლის ფუნქციას როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების მიმართულებებს (აღმზრდელობითი, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური), რომლებიც სამართლის სოციალური დანიშნულებითა და ზემოქმედების ობიექტებით არიან გაპირობებულნი; სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებს, რომლებიც ხორციელდება სამართლებრივი სისტემის ყველა ნაწილებით (აღმზრდელობითი, იდეოლოგიური, შემეცნებითი).[2] როგორც ვხედავთ, სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისას „სამართლის ფუნქციის“ და „სამართლებრივი რეგულირების ფუნქციის“ გამოყენებით აღმზრდელობითი და იდეოლოგიური ფუნქციები მაინც ერთ ჯგუფში მოხვდა. ამას გარდა, ავტორი ვერ ასცდა მათ გაუმართლებელ დუბლირებას ფუნქციის სხვადასხვაა სიბრტყეში განხილვისას.

ნიშანდობლივია, რომ ვ.პ.რეუტოვისგან განსხვავებით „სამართლის ფუნქციის“ და „სამართლებრივი რეგულირების ფუნქციის“

1 В.П. Реутов. О функциях права и правового регулирования. В кн.: Актуальные проблемы теории социалистического государства и права, М., 1974, с. 137.

2 П. Реутов. О функциях права и правового регулирования, с. 136-138.

კატეგორიების გამოყენებამ სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისას ვ.მ.გორშენევი სულ სხვა დასკვნამდე მიიყვანა. კერძოდ, თუკი ვ.მ. რეუტოვის მიხედვით აღმზრდელობითი ფუნქცია როგორც სამართალს, ასევე სამართლებრივ რეგულირებას აქვს, ვ.მ.გორშენევის აზრით, აღმზრდელობითი ფუნქცია დამახასიათებელია მხოლოდ სამართლებრივი ზემოქმედებისათვის საერთოდ, როდესაც რეგულირება არის სამართლის როლის გამოხატულების მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება. ამასთანავე, ავტორის აზრით, აღმზრდელობითი ფუნქცია ასრულებს მხოლოდ თანმხლები ფაქტორის როლს და მთლად დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება. ხოლო რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებს, ავტორი მათ ჰყოფს ორ პოზიტიურ (სტატიკურ და დინამიკურ) და ერთ ნეგატიურ ფუნქციებად.[1]

ვ.პ. რეუტოვის და ვ.მ. გორშენევის შეხედულებათა შედარება, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისას „სამართლის ფუნქციის“ და „სამართლებრივი რეგულირების ფუნქციის“ კატეგორიების გამოყენება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არასწორად ჩავთვალოთ. ამ კატეგორიებით ოპერირებას, ჩვენი აზრით, სამართლის ფუნქციის სისტემაში უფრო არევ-დარევა შეაქვს, ვიდრე სიცხადე და გარკვეულობა. მითითებულ კატეგორიათა გამოყენებით ხელოვნურად სცილდება ერთმანეთს სამართალი და სამართლებრივი რეგულირება, მაშინ როდესაც სამართლებრივი რეგულირება სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა და სამართლის ფუნქციის სისტემის საკითხი სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა განიხილებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის ფუნქციის სისტემაში გარდაუვალია მისი ცალკეული სახეების ან დუბლირება ან იგნორირება. სამართლის ფუნქციის ორიგინალურ სისტემას გვთავაზობს ი.თ. კაზმინი. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ცალკეული უზუსტობების მიუხედავად შემოთავაზებული სისტემა გამოირჩევა სამართლის ფუნქციების შედარებითმკაცრიიერარქიულიაგებით,ლოგიკურითანმიმდევრობითა და ურთიერგაპირობებულობით.

ი.თ. კაზმინის აზრით, რამდენადაც სამართლის ძირითადი დანიშნულება საზოგადოების მართვის უზრუნველყოფაა, ამდენად მართვის ფუნქცია სამართლის უნივერსალური, სუპერფუნქციაა, რომელიც სამართლის ყველა დანარჩენ ფუნქციებს მოიცავს. ეს უკა-

1 В.М. Горшенев. Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе, с. 36.

ნასკნელნი მხოლოდ მისი კონკრეტიზაცია და განვითარებაა, რეალიზაციის საშუალებაა. ერთიანი სუპერფუნქციის სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით ი.თ. კაზმინი გამოყოფს ზოგადსამართლებრივი ფუნქციის სამ რიგს. პირველი რიგის ზოგადსამართლებრივ ფუნქციას ავტორი აკუთვნებს ორ დიდ ფუნქციას – რეგულაციურს და დაცვითს. მეორე რიგის ზოგადსამართლებრივ ფუნქციებს – სამართლის სოციალურ ფუნქციებს, რომელსაც წარმოადგენენ პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული ფუნქციები, აგრეთვე მშვიდობის უზრუნველყოფის ფუნქცია. და ბოლოს, ზოგადსამართლებრივი ფუნქციის მესამე რიგს ქმნიან შემოქმედებითი, აღმზრდელობითი და შემეცნებითი (ინფორმაციული) ფუნქციები.

მესამე რიგის ზოგადსამართლებრივი ფუნქციები, ი.თ. კაზმინის აზრით, კონკრეტული მიზანმიმართულებით, განხორციელების ხერხებით გამოირჩევა, ხოლო მთლიანობაში მეორე რიგის ფუნქციებისაგან იმით განსხვავდება, რომ დაკავშირებული არ არის მოქმედების რაიმე სფეროებთან, გარკვეული ზომით ატრიბუტული ხასიათი აქვთ და სამართლის ყველა სხვა ფუნქციის მეოხებითაც ვლინდებიან. თვითონ მათში არ არის შინაგანი დაყოფა საკუთრივ რეგულაციურ ან დაცვით საწყისებად მაშინ, როდესაც მეორე რიგის ყველა ფუნქციაში ამგვარი დაყოფა ნათლად ჩანს. მეორე რიგის ფუნქციები, აღნიშნავს ავტორი, პირველი რიგის ფუნქციებისაგან იმით განსხვავდება, რომ თითოეულ მათგანში არის საკუთრივ რეგულაციური და დაცვითი საწყისები (ერთგან მეტი, მეორეგან ნაკლები). ამას გარდა, ყველა მათგანი (პირველი რიგისაგან განსხვავებით) გაპირობებულია არა იმდენად შინაგანი, არამედ უფრო გარეგანი (სამართალთან მიმართებაში) სოციალური ფაქტორებით.[1]

სამართლის ფუნქციის სისტემის წარმოდგენილი ვარიანტი მთელი თავისი ღირსებების მიუხედავად, რაზედაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ზოგიერთი საკითხის დაზუსტებას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ცალკეული რიგის ფუნქციების გამოყოფის კრიტერიუმებს. ავტორის აზრით, პირველი რიგის ფუნქციები ჯგუფდება რეალიზაციის საშუალებათა მიხედვით, მეორე რიგის ფუნქციები – მოქმედების სოციალური სფეროების მიხედვით, ხოლო მესამე რიგის ფუნქციები – ისევ რეალიზაციის, განხორციელების ხერხის მიხედვით. როგორც ვხედავთ, პირველი და მესამე რიგის

1 И.Ф. Казьмин. Общие проблемы права в условиях научно-технического прогресса, «Юридическая литература», М., 1986, с. 63-66.

ფუნქციების გამოყოფაში ავტორი ერთსა და იმავე კრიტერიუმს მიმართავს ისე, რომ არაფერს ამბობს იმაზე თუ ერთ რიგში რატომ არ მოექცნენ ეს ფუნქციები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართლის უნივერსალური, სუპერფუნქცია სამართლის რეალიზაციის ხერხების მიხედვით რომ დავყოთ, არ შეიძლება მხოლოდ რეგულაციური და დაცვითი ფუნქციები გამოვაცალკევოთ და ამით შემოვიფარგლოთ. იმავე კრიტერიუმით აქვე უნდა გამოვყოთ აღმზრდელობითი, ინფორმაციული და ამ რიგის სხვა ფუნქციებიც. მაგრამ ამ გზას თუ გავყვებით, იმავე წინააღმდეგობაში ჩავვარდებით, როგორც ი.ე.ფარბერი და ჩვენს მიერ ზემოთ გაკრიტიკებული სხვა ავტორები, რომლებიც ერთ ჯგუფში აერთიანებენ რეგულაციურ, დაცვით და აღმზრდელობით ფუნქციებს. ეს წინააღმდეგობა რომ დაძლიოს, ი.თ.კაზმინი ფუნქციათა ამ ორ განსხვავებულ რიგს, მართალია, მიჯნავს და სისტემის პირველ და მესამე რიგებში აკუთვნებს ადგილს, მაგრამ მათი განსხვავების ნამდვილ საფუძველზე არაფერს ამბობს. ამიტომ ერთი და იმავე კრიტერიუმის – რეალიზაციის ხერხის – ორჯერადმა გამოყენებამ ავტორის მიერ წარმოდგენილ ფუნქციათა სისტემას ხელოვნური ელფერი მისცა.

ეჭვსიწვევსაგრეთვეეკოლოგიური,დემოგრაფიულიდამშვიდობის დაცვის ფუნქციების განხილვა ზოგადსამართლებრივ ფუნქციებად. საქმე ისაა, რომ სამართლის ცალკეულ დარგებს, რეგულირების საგნის შინაარსიდან გამომდინარე, ან საერთოდ არა აქვთ ეს ფუნქციები, ანდა ძირითადი არ არის მათთვის. მაგალითად, ჩვენი აზრით, ძალიან ძნელი იქნება იმის მტკიცება თითქოს საოჯახო სამართალს აქვს ეკოლოგიური ფუნქციები, ხოლო საფინანსო სამართალს – მშვიდობის დაცვის ფუნქცია. სწორედ ამიტომ სოციალური (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური) ფუნქციების დანაწევრება ზოგადსამართლებრივ დონეზე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

სადავოდ მიგვაჩნია აგრეთვე შემოქმედებითი ფუნქციის წარმოდგენა ზოგადსამართლებრივ ფუნქციად. ავტორს მასში ესმის სამართლის შესაძლებლობა ხელი შეუწყოს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩასახვასა და წარმოშობას.[1] ჩვენი აზრით, სამართლის ეს თვისება თავის გამოხატულებას პოულობს სამართლის რეგულაციურ ფუნქციაში, ამიტომ არასწორია მისი გამოყოფა დამოუკიდებელი ზოგადსამართლებრივი ფუნქციის სახით. კიდევ უფრო გაუმართლებელია შემოქმედებითი ფუნქციის გაერთიანება მესამე რიგის ფუნქციათა ჯგუფში, რადგანაც ამ ამოცანის განხორციელების მთელი სიმძიმე პირველი რიგის ფუნქციებზე მოდის.

1 И.Ф. Казьмин. Указ. соч., с. 84-85.

და ბოლოს, სადავოდ მიგვაჩნია მართვის ფუნქციის განხილვა სამართლის უნივერსალურ, სუპერფუნქციად.

მართვის არსი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, მდგომარეობს ზემოქმედებაში, რომლის მიზანია შესაბამისი სისტემის მოწესრიგება, მისი ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სისტემის არსებობისა და განვითარების კანონზომიერებებთან სრული შესაბამისობით.[1]

იმის გათვალისწინებით, რომ სამართლის ძირითადი დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოწესრიგებულობისა და ორგანიზებულობის შეტანაა, ამდენად იგი გვევლინება სოციალური მართვის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. ამგვარად, სოციალურ მართვასა და სამართალს ერთმანეთთან აახლოებს მათი დანიშნულების ხასიათი. თუმცა ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამართალი არ არის სოციალური მართვის ერთადერთი საშუალება და, შესაბამისად, მართვისა და სამართლის მოქმედების საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართალი სოციალურ მართვაში ასრულებს ფუნქციას, რომელიც, თავის მხრივ, სოციალური მართვის სისტემისთვის ერთ-ერთი კერძო ფუნქციაა. ამიტომ, სამართლის უნივერსალური, თუ გნებავთ, „სუპერფუნქციის“ დასადგენად აუცილებელია, პირველ რიგში, სოციალური მართვის ამ კერძო ფუნქციის განსაზღვრა და არა ზოგადად მართვის ფუნქციის გამოცხადება სამართლის მთავარ ფუნქციად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება საზოგადოებაში სამართლის როლის დეფორმირებული შეფასების საშიშროება, სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების დაყვანა მხოლოდ სოციალურ მართვამდე.[2] აქ, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობა, რომლის მიხედვითაც ის, რაც მაღალი რანგის სისტემისთვის კერძო ფუნქციაა, მასში შემავალი სისტემისთვის (ქვესისტემების, კომპონენტებისათვის) მთავარი ფუნქციაა.[3]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შევეცდებით ზოგადად დავახასიათოთ სამართლის ფუნქციათა სისტემა.

---

1 Ю.М. Козлов, Е.С. Фролов. Научная организация управления и право, ЛГУ, 1986, с. 33.

2 Л.С. Явич. Общая теория права, ЛГУ, 1976, с. 204; Р.О. Халфина. Право как средство социального управления. «Наука», М., 1988, с. 78-117.

3 «...თითოეული მოცემული სისტემა, - მიუთითებს ვ.გ.აფანასიევი, – თავისი კომპონენტების ფუნქციათა ინტეგრირებით თვითონ თამაშობს გარკვეულ ფუნქციონალურ როლს სხვა, უფრო ფართო და რთულ სისტემაში, რომლის კომპონენტიც თვითონ არის” (В.Г. Афанасьев, Общество: системность, познание и управление. «Сабчота Сакартвело», Тбилиси, с. 34).

თავი III. სამართლის ფუნქციის სისტემის ზოგადი დახასიათება

საზოგადოება ურთულესი სოციალური ორგანიზმია და ინდივიდთა უბრალო კრებადობამდე არ დაიყვანება. ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის აუცილებლობა ობიექტურად წარმოშობს მათ შორის სხვადასხვა ურთიერთობას. სწორედ ამ ურთიერთობათა ერთობლიობაა საზოგადოება.

ამასთანავე, საზოგადოება ამ ურთიერთობათა მექანიკური ჯამი კი არ არის, არამედ ორგანული ერთიანი სისტემაა, რომლის ნორმალური არსებობა და ფუნქციონირება მოითხოვს ინდივიდთა მიზანმიმართულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ორგანიზებულობისა და წესრიგის შეტანას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ობიექტური აუცილებლობა იქიდან მომდინარეობს, რომ შრომის დანაწილებასთან ერთად წარმოიშობა წინააღმდეგობა ცალკეული ინდივიდის ინტერესსა და ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფი ყველა ინდივიდის საერთო ინტერესებს შორის. საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნება აუცილებლად ითხოვს ამ ინტერესთა კორელაციის ისტორიულად გარკვეულ წესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი ხდება ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე და სფეროში, სხვადასხვა სოციალურ გაერთიანებებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველყოფა მათ წინაშე მდგარი ამოცანების მისაღწევად.[1]

ამგვარი აუცილებლობის საფუძველზე ჩნდება სოციალური მართვის სპეციალური მექანიზმი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია.[2]

ტერმინი „ორგანიზაცია“ თავისი შინაარსით მრავალმნიშვნელობიანია. „ორგანიზაციის“ მრავალ მნიშვნელობათა შორის განსაკუთრებით სამი მათგანი გამოირჩევა: 1) მთელის მეტნაკლებად დიფერენცირებული და ავტონომიური ნაწილების შინაგანი მოწესრიგებულობა და ურთიერთქმედების შეთანხმებულობა, რომელიც ამ მთელის აგებულებით არის გაპირობებული; 2) იმ პროცესების და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც მთელის ნაწილებს შორის

1 Ю.М. Козлов, Е.С. Фролов. Научная организация управления и право, с. 40.

2 ორგანიზაცია, როგორც სახელმწიფო მართვის ფუნქცია, საინტერესოდაა განხილული გ.ა.ტუმანოვის სტატიაში (Советское государство и право, 1986, №1, с. 38-45).

ურთიერთკავშირებს აყალიბებენ და სრულყოფენ; 3) ადამიანთა გაერთიანება, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ რაიმე პროგრამას თუ მიზანს და გარკვეული პროცედურებისა და წესების საფუძველზე მოქმედებენ.[1] სოციალური მართვის ფუნქციური დახასიათებისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ პირველი მიდგომა, რადგან სოციალური მართვის პროცესში ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში – სოციალური ორგანიზაცია) ხორციელდება როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქცია, რომლის არსიც სწორედ ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებულობა, მათი შინაგანი შეთანხმებულობა, რეგულარულობა, ერთიან საწყისზე დაქვემდებარებულობა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ადამიანთა მოქმედების სტაბილურობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მოთხოვნილებების შესაბამისად.[2]

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ორგანიზებულობის დამყარების მოთხოვნილება ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე არსებობს. საზოგადოებას ახასიათებს თავისი ორგანიზებულობის შენარჩუნების, მოწესრიგებულობის ამაღლების ტენდენცია.

ამგვარად, ორგანიზებულობა (რეგულირება და წესრიგი) არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებობის და ფუნქციონირების აუცილებელი ფორმა. მის ხასიათსა და თავისებურებებზე, საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებთან შესაბამისობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მიმართულება და ტემპები.

სოციალური მართვის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი საშუალება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფუნქციის განხორციელებაში არის სამართალი. სამართლებრივ ნორმებში გარკვეული სახით არის მოცემული საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია, ისინი წარმოადგენენ სოციალური ორგანიზაციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის განმტკიცების სპეციფიკურ საშუალებას. სამართლებრივი ნორმები უზრუნველყოფენ ადამიანთა საზოგადოებრივი ქცევის გარკვეულ სოციალურ მიმართულებას, ხელს უწყობენ საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური სისტემის, ორგანიზებულობას და სტაბილურობას.

---

1 Философский энциклопедический словарь. «Советская энциклопедия», М., 1983, с. 463.

2 იხ. С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 50.

სამართლის ნორმები განამტკიცებენ არსებულ ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მასტაბილიზებელი ფაქტორის როლში გამოდიან, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული წესრიგის სიმყარე, თანაც დიდი ხნით, მუდმივ, პრინციპში უცვლელ საფუძველზე.[1]

სამართლის ობიექტურ თვისებათა გამო შესაძლებელი ხდება დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცება „ორგანიზებული“ სახით და ამით მთელი საზოგადოებრივი სისტემის შენარჩუნება ორგანიზებულ მდგომარეობაში.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არსებობს სოციალური ორგანიზაციისა და სოციალურ ნორმათა, რომლის ერთ-ერთი სახეა სამართლებრივი ნორმები, კორელაციის ზოგადი პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, სოციალური ნორმები ფუნქციური თვალსაზრისითგვევლინებაროგორც„სისტემა-მოდელები“,რომლებშიც მინი-ფორმაშია მოდელირებული რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზაცია და რომლებიც საშუალებას იძლევიან თავიანთი გამოყენების (ფუნქციონირების) პროცესში შევინარჩუნოთ სოციალური სისტემა არა მხოლოდ თვისებრივი (სტრუქტურული) თვალსაზრისით, არამედ მისი ორგანიზაციის ხარისხიც, აღვადგინოთ ეს უკანასკნელი ისტორიული ევოლუციის მსვლელობაში ნეგენტროპიის სოციალურად აუცილებელ (საჭირო) დონეზე.[2]

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მთლიანი სოციალური სისტემის ორგანიზაციის არსი არა მხოლოდ მისი შენარჩუნებაა, არამედ მისი მუდმივი ცვლილება და განვითარება, რადგან მთლიანობის მხოლოდ სტაბილიზაციას საბოლოოდ მის დანგრევამდე მივყავართ.[3]

ამ თვალსაზრისით სამართლებრივი ნორმები არა მხოლოდ განამტკიცებენ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, იცავენ საზოგადოებრივ სისტემას, არამედ ხელს უწყობენ აგრეთვე იმ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვას, განვითარებას და ჩამოყალიბებას, რომელთა ობიექტური წინაპირობები უკვე მომწიფებულია. ამაში ვლინდება სამართლის შემოქმედებითი როლი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომ სრულყოფას, მთელი სოციალური სისტემის დინამიზმს.

---

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т. 1, с. 84.

2 В.Д. Плахов. Социальные нормы. Философские основания общей теории. «Мысль», М., 1985, с. 188.

3 Л.П. Станкевич. Поблемы целостности личности (гносеологический аспект), М., 1987, с. 26.

აუცილებელია ყურადღება მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის და მის უზრუნველყოფაში სამართლის როლის სწორი გაგებისათვის. კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკა ისეთია, რომ მასში ყალიბდება არა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მისი განვითარების კანონზომიერებებს შეესაბამებიან, არამედ საზოგადოებისთვის მიუღებელი ურთიერთობებიც, რომლებიც მის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლიან ხელს და დეზორგანიზაცია შეაქვთ სოციალურ სისტემაში. ეს ურთიერთობები, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან სამართლებრივ ნორმათა მოთხოვნებს და სამართალდარღვევებს წარმოადგენენ. სამართალდარღვევები ყოველთვის ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფუნქციონირებისა და განვითარების ნორმალურ პროცესებს.[1] მადეზორგანიზებელი ფაქტორის არსებობა, რომელიც საფუძველს ურყევს სოციალური სისტემის მთლიანობას და ორგანიზებულობას, აუცილებლად მოითხოვს სპეციალურ ზომას მის წინააღმდეგ. ამ აუცილებლობის შესაბამისად სამართალი იცავს ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ყოველგვარი დარღვევებისაგან და აღკვეთს საზოგადოებისთვის მიუღებელ ურთიერთობებს. სამართლებრივი ნორმების მეოხებით ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობებში ნორმალური პროცესებიდან გადახრების აღკვეთა და მომავალში საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეზორგანიზაციის შესაძლებლობის თავიდან აცილება.

ასეთია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების ზოგადი ასპექტები.[2]

სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედება მისი ინტეგრირებული სახით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების მთავარი მიმართულებაა, რასაც შეესაბამება სამართლის მთავარი ფუნქცია - <u>საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფუნქცია</u>.

სამართლის მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების განზოგადებულ დახასიათებას იძლევა, იგი არის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის, ზემოქმედების გამოხატვის

---

1 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с.57; Н.С. Малеин. Правонарушение: понятие, причины, ответственность, М., 1985, с.8.

2 ამასთან დაკავშირებით, სწორად აღნიშნავს ი.გ.ტკაჩენკო, რომ. „ურთიერთობათა განმტკიცება, განვითარება და შეცვლა სხვა არა არის რა, თუ არა „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის“ ცნების კონკრეტიზაცია (Ю.Г. Ткаченко. Указ. соч., с. 43).

ყველაზე უფრო მაღალი დონე. მთავარ ფუნქციას ასრულებს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, სამართლის სისტემის ყველა კომპონენტი. ამასთანავე, იგი ამ კომპონენტთა ფუნქციების ჯამი კი არ არის, არამედ მათი სინთეტური გამოხატულებაა. სამართალი თავისი კომპონენტების ფუნქციათა ინტეგრირებით გამოდის როგორც მთლიანი სისტემა, ახორციელებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფუნქციას, რაშიც ყველაზე სრულყოფილი ფორმით ვლინდება მისი შინაგანი ერთიანი სპეციფიკური ბუნება.

მთავარი ფუნქცია გამოხატავს სამართლის სისტემის ფუნქციონირების კავშირს სოციალური მართვის სისტემასთან, რომლის ერთერთი ფუნქცია, როგორც ზემოთ ითქვა, არის სწორედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია. მთავარი ფუნქციის მეოხებით სამართალი ერთვება სოციალური მართვის მექანიზმში, არის მისი უმნიშვნელოვანესი საშუალება, საზოგადოების მართვის სისტემის კომპონენტი.

სამართლის განხილვა მთავარი ფუნქციის თვალსაზრისით, მისი ღირებულებითი დახასიათების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზაციისათვის სამართლის მნიშვნელობაზე მითითება, – წერს ს.ს.ალექსეევი, – საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ის ადამიანური მოთხოვნილებები, უპირველეს ყოვლისა კი მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებები, რომლებსაც აკმაყოფილებს სამართალი და ამით დავადგინოთ მთავარი ობიექტური მაჩვენებელი, რომელიც სამართლის სოციალურ ღირებულებას ახასიათებს საზოგადოებაში.[1]

აქ აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ რამდენადაც ჩვენი საზოგადოების განვითარების კვალობაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ორგანიზებულობის საჭიროება სულ უფრო იზრდება, იმდენად ჩვენს საზოგადოებას ახასიათებს სამართლის სოციალური ღირებულების ზრდის ტენდენცია.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ორგანიზაციულ ფუნქციაზე ყურადღებას ამახვილებენ მთელი რიგი ავტორები, თუმცა მათი უმეტესობა ამ ფუნქციას უკავშირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის მხოლოდ დადებით ზემოქმედებას და მას სამართლის მთავარ ფუნქციად კი არ განიხილავენ, არამედ მისი მარეგულირებელი ზემოქმედების მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებად. ასე, მაგალითად, ვ.გ.სმირნოვის აზრით, სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების

1 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 49.

რეგულირებისას იმავდროულად ახორციელებს მათი ორგანიზაციისა და დაცვის ფუნქციებს. ამასთანავე, ორგანიზაციულ ფუნქციაში ავტორი გულისხმობს ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას საზოგადოების განვითარების ობიექტური მოთხოვნილებების შესაბამისად, ხოლო დაცვით ფუნქციებში ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი დაცვის განხორციელებას შესაძლო დარღვევებისაგან და ამ ურთიერთობათა უზრუნველყოფის მეთოდებს.[1] მსგავსი პოზიცია უკავიათ ამ საკითხში ი.ლ. ბაჩილოს[2] და ს.ტ.მაქსიმენკოს.[3]

სამართლის ანალოგიურ ფუნქციაზე მიუთითებს ი. კარნერი. ორგანიზაციულის ნაცვლად იგი ამ ფუნქციას უწოდებს ორგანიზატორულს. ამასთანავე ორგანიზატორული ფუნქცია ი.კარნერის მიერ გაგებულია არა როგორც მთელი სამართლის, არამედ მის ცალკეულ ინსტიტუტთა ფუნქცია.[4]

განსხვავებულად წყვეტს ამ საკითხს ა.ი. რიჟენკოვი. მისი აზრით, სამართლის დონეზე „რეგულირების“ და „ორგანიზაციის“ ცნებები უნდა გავიგოთ როგორც იდენტური, ხოლო სამართლის დარგის დონეზე ისინი დარგობრივ სპეციფიკას იღებენ, რაც აიხსნება შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებაში თითოეული დარგის სოციალური დანიშნულებისა და როლის თავისებურებით. რადგანაც სამოქალაქო სამართლის ძირითადი დანიშნულება ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებაში მდგომარეობს, ამიტომ სამართლის ამ დარგის მთავარ ფუნქციას, მისი აზრით, უმჯობესია ვუწოდოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფუნქცია.[5]

სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების ამგვარ გაგებას არ ეთანხმება ს.ალექსეევი, რომელმაც სამართლიანად მიუთითა, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციასთან დაკავშირებულია აგრეთვე სამართალდამცავი ზემოქმედება, ამიტომ საეჭვოა გამართლებული იყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში სამართლის როლის თუნდაც ტერმინოლოგიური შემოფარგვლა მხოლოდ დადებითი რეგულაციური ზემოქმედების სფეროთი.[6]

---

1 В.Г. Смирнов. Указ. соч., с. 9.
2 И.Л. Бачило. Организация советского государственного управления, «Наука», 1984, с. 199.
3 С.Т. Максименко. Функции советского гражданского права. В сб.: Актуальные вопросы советской юридической науки, ч. 2. Изд-во Саратовского ун-та, 1978, с. 6.
4 Josef Karner. Die soziale Funktion der Rechtsinstitute, Wien, 1904, S. 14-15.
5 А.Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 38-39.
6 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 55-65.

სამართლის დაცვითი ფუნქციის მაორგანიზებელ მნიშვნელობაში ეჭვი არ ეპარება არც ვ.მ.გორშენევს. სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედება, – წერს ის, – არის სამართლის სოციალური დანიშნულების ზოგადი გამოვლინება, რომელიც თანაბრად გვხვდება აბსოლუტურად ყველა ნორმატიულ დებულებაში რა კონკრეტულ მიზნებსაც (პოზიტიურს ან ნეგატიურს) უნდა ისახავდნენ ისინი.[1]

ს.ს.ალექსეევის და ვ.მ.გორშენევის შეხედულებები საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების შინაარსის შესახებ, უდავოდ მხარდაჭერას იმსახურებს. საკითხის ამგვარად გადაწყვეტისათვის, ჩვენი აზრით, საკმაო საფუძვლები არსებობს, კერძოდ, ის, რომ სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედება წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზემოქმედების ყველა ფორმას. სამართალი აქ ერთდროულად გამოდის როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა პოზიტიური რეგულატორი და როგორც მათი დაცვის საშუალება. რეგულაციური ზემოქმედება კი მდგომარეობს ნორმალურ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედებაში სუბიექტებისათვის უფლებების მინიჭების გზით ანუ დაკავშირებულია სამართლის მხოლოდ დადებით ზემოქმედებასთან და ამით წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის გარკვეულ მხარეს. ამგვარად, „ორგანიზაცია“ უფრო ფართო კატეგორიაა ვიდრე „რეგულირება“ და, შესაბამისად, ისინი არა თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, პირიქით, პირველი მოიცავს მეორეს, მისი ერთ-ერთი გამოვლენაა.

სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების გაგებაში ს.ს.ალექსეევის და ვ.მ.გორშენევის სწორი პოზიციების აღნიშვნასთან ერთად აუცილებელია იმის თქმაც, რომ ეს ავტორები ორგანიზაციულ ფუნქციას არ ცნობენ სამართლის ფუნქციის დამოუკიდებელ სახეობად. ამასთანავე, თუ ვ.მ. გორშენევი ამის თაობაზე პირდაპირ მიუთითებს (თუმცა, რაიმე დამაჯერებელი არგუმენტის გარეშე),[2] ს.ს. ალექსეევი დუმილით უვლის გვერდს ამ საკითხს და მის მიერ შემოთავაზებულ სამართლის ფუნქციის სისტემაში ორგანიზაციულ ფუნქციაზე არაფერია ნათქვამი.[3] როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ, ს.ს.ალექსეევის აზრით, სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციისათვის მის სპეციფიკურ თვისებად არ შეიძლება იქნეს განხილული.

1 В.М. Горшенев. Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе, с. 35

2 В.М. Горшенев. Указ. соч., с. 34-35.

3 С.С. Алексеев. Общая теория права, т.1, с. 191-195.

მაგრამ ავტორის ეს მოსაზრება არ ეთანხმება მისსავე დებულებას საზოგადოებაში სამართლის სოციალური ღირებულების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით წინააღმდეგობა მის შეხედულებებში იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, სამართლის სოციალურ ღირებულებას ის ხედავს სამართლის თვისებაში – გამოხატოს, განამტკიცოს და უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზებულობა,[1] ხოლო, მეორე მხრივ, სამართლის ამ თვისებას მისთვის სპეციფიკურად არ მიიჩნევს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება სამართლის სოციალური ღირებულების გამომხატველი იყოს მისი ისეთი თვისება (საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზებულობის უზრუნველყოფის უნარი), რომელიც მისთვის სპეციფიკური არ არის? ნებისმიერი მოვლენის სოციალური ღირებულება ხომ, უწინარეს ყოვლისა, მისი სპეციფიკური თავისებურებებით განისაზღვრება. აი, რატომ არ უნდა იქნეს განხილული სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედება მის არასპეციფიკურ ნიშნად და ამის საფუძველზე უარვყოთ სამართლის ორგანიზაციული ფუნქციის არსებობა.

ორგანიზაციულ ფუნქციას გაუგებარი მიზეზებით არ ცნობს ი.გ.ტკაჩენკოც, თუმცა სამართლის ძირითად ამოცანად მას საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია ესახება და შესაბამისად სამართლის ფუნქციას განსაზღვრავს „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის“ ცნების მეოხებით.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ს.ტ.მაქსიმენკო[3] და მასთან ერთად ა.ი.რიჟენკოვი[4] სოციალისტური სამართლის ორგანიზაციულ ფუნქციას განიხილავენ მის ისეთ არსებით ნიშნად, რაც მას განასხვავებს არასოციალისტური სამართლისგან, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზებულობის გარკვეული დონე ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს და მის უზრუნველყოფაში სხვა საშუალებებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართალი. აქედან გამომდინარე, აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა იმაზე, აქვს თუ არა არასოციალისტურ სამართალს ორგანიზაციული ფუნქცია, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებულობის დონეზე, რომელიც მიიღწევა სოციალისტური და არასოციალისტური სამართლის ფუნქციონირებით·

1 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 49.
2 Ю.Г. Ткаченко. Указ. соч., с. 34 и след.
3 С. Т. Максименко. Указ. соч., с. 7.
4 А. Я. Рыженков. Указ. соч., с. 39.

სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მთავარი ფუნქცია იყოფა რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებად. ამგვარი დაყოფის საფუძველია იურიდიული ზემოქმედების ყველაზე ზოგადი ხერხები, რომლებსაც კანონმდებელი იყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციისათვის – ნებართვა და აკრძალვა.

ნებართვის ნორმატიული თვისება ის არის, რომ მასში მოცემულია ქცევის ისეთი ვარიანტი, რომელიც საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება, ე.ი. განსაზღვრავს პოზიტიური ხასიათის მოქმედებას. აკრძალვის ნორმატიული თვისება ის არის, რომ იგი აწესებს მოთხოვნას ისეთი მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავებისა, რომელიც სასურველი არ არის საზოგადოებისათვის. ამით განისაზღვრება ამგვარი მოქმედებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებაც.[1]

აღნიშნულ თვისებათა გამო ნებართვა და აკრძალვა, როგორც სწორადაა მითითებული ლიტერატურაში, მიეკუთვნებიან პირველად სოციალურ-პოლიტიკურ და იმავდროულად ზოგად იურიდიულ საწყისებს, რომლებიც, გამოხატავენ რა სამართლის პირველად ნორმატიულობას, უშუალოდ აღიქვამენ ეკონომიკის, პოლიტიკისა და მთელი სოციალური ცხოვრებისგან მომავალ იმპულსებს. სწორედ ზოგადი ნებართვისა და ზოგადი აკრძალვის სისტემის მეოხებით სამართალს ეძლევა მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შინაარსი.

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადი აკრძალვები და ზოგადი ნებართვები ერთდროულად ეკუთვნიან როგორც პირველად სოციალურ-პოლიტიკურ, ასევე ზოგად იურიდიულ საწყისებს, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის ძირითად ფუნქციათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად. ამასთან არ დაგვჭირდება სამართლის ფარგლებიდან გასვლა სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციისათვის „ობიექტური საფუძვლების“ მოსაძებნად, როგორც ამას ტ.ნ.რადკო ცდილობს. მისი აზრით, სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციის ობიექტური საფუძველი სამართლის მიღმაა, საზოგადოებრივ ურთიერთობებშია, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის ბუნებასა და როლს. ამის შესაბამისად სამართლის ძირითად ფუნქციათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად ის იყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა ტიპს: საზოგადოების განვითარების ინტერესების შესაბამისი ურთიერთობები

1 В.М. Горшенев. Указ. соч., с. 50-51.

(I) და მოცემული საზოგადოების ბუნების საწინააღმდეგო ურთიერთობები (2) და ამასთან დაკავშირებით განასხვავებს სამართლის რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებს.[1]

რასაკვირველია, დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები განსაზღვრავენ სამართლის როლს და შესაბამისად მისი ფუნქციების ხასიათსაც. სამართლის პოლიფუნქციონალობას საფუძვლად უდევს თვითონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალსახეობა. ამგვარ გაპირობებულობას, დეტერმინირებას სამართლის ფუნქციისათვის ამოსავალი მნიშვნელობა აქვს მისი გენეზისის თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლის ფუნქციის ონტოლოგიური საფუძველია. ამიტომ, მისი საწყისი და საფუძველი საზოგადოებრივ ურთიერთობებში უნდა ვეძებთ.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათი უშუალოდ აისახება ნებართვებსა და აკრძალვებში, რომელთაც „ამავე დროს სამართალში საკუთარი ყოფიერება გააჩნიათ, მის სტრუქტურაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, გვევლინებიან ზოგად და ამასთან ამოსავალ ნორმატიულ მარეგულირებელ საწყისად“,[2] სამართლის ფუნქციის კლასიფიკაციის უახლოეს კრიტერიუმებად უნდა მივიჩნიოთ ნებართვები და აკრძალვები და არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა ტიპი. სწორედ ნებართვები და აკრძალვები, რომლებშიც მოცემულია სამართლებრივი ზემოქმედების ხერხების ყველაზე არსებითი ნაირსახეობები, განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს და შესაბამისად განსაზღვრავენ სამართლის რეგულაციური და დაცვითი ფუნქციების შინაარსს.

რეგულაციური ფუნქციის შინაარსს წარმოადგენენ სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებები, რომლებიც გამიზნულია დამკვიდრებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სათანადო ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, რეგულაციური ფუნქციის ობიექტია ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნებს შეესაბამებიან, ხოლო ამ ფუნქციის ძირითადი თვისებაა ნებართვის, ე.ი.ქცევის პოზიტიური წესის დადგენა ნორმატიულ დებულებებში.

1 Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 40-42.
2 С.С. Алексеев. Общая теория права, т.1, с. 264.

დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართლებრივი ზემოქმედების მიმართულებებში, რომლებიც გამიზნულია ნორმალური საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხელშეუხებლობის დასაცავად და ამის შესაბამისად იმ ურთიერთობათა აღსაკვეთად, რომლებიც მოცემული საზოგადოებრივი წყობილების ინტერესებს ეწინააღმდეგება.[1] აქედან გამომდინარე, დაცვითი ფუნქციის უშუალო ობიექტია არა ის ურთიერთობები, რომლებიც საზოგადოებას სჭირდება, არამედ ისინი, რომელთა თავიდან აცილებაც საზოგადოებას უნდა. ამ ფუნქციის ძირითადი თვისებაა, ნორმატიულ დებულებებში საზოგადოებისათვის არასასურველ ქმედებათა აკრძალვის, სამართალდარღვევათა შემადგენლობის და იურიდიული სანქციების დადგენა.[2]

ამრიგად, რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებს საფუძვლად უდევს სხვადასხვა ბუნების საზოგადოებრივი ურთიერთობები, ისინი განსხვავდებიან მიზნობრივი დანიშნულებითა და განხორციელების მექანიზმებით. როგორც სწორად აღნიშნავენ ლიტერატურაში, ამ ფუნქციებს შორის განსხვავება იმდენად არსებითია, რომ იგი უშუალო გავლენას ახდენს სამართლის ტექნიკურ-იურიდიულ შინაარსზე, მის აგებულებაზე. მაგალითად, სამართლებრივი ნორმების და სამართლებრივ ურთიერთობათა დაყოფა რეგულაციურად და დაცვითად, პირდაპირ დამოკიდებულებაშია სამართლის ზემოაღნიშნულ ფუნქციებთან, უფრო მეტიც, იგი საშუალებას იძლევა სამართლის ერთიანი სისტემა დაიყოს სამართლის იდეალური სტრუქტურის სახით ორ ქვესისტემად – რეგულაციურად და დაცვითად. „რეგულაციური და დაცვითი ქვესისტემები, – წერს ს.ს.ალექსეევი, – რომლებიც შეესაბამებიან სამართლის ძირითად ფუნქციებს (რეგულაციურს და დაცვითს), გამოხატავენ სამართლის, როგორც სოციალური მართვის ნორმატიულ-მბრძანებლური ინსტრუმენტის თავისებურებას“.[3]

რეგულაციური და დაცვითი ფუნქციები ეფუძნებიან სამართლის სპეციფიკურ თვისებებს, მათში ვლინდება სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნება, მისი სპეციალურ-იურიდიული შინაარსი, ისინი იმანენტურად გააჩნია სამართალს და ახასიათებენ მას როგორც სპეციფიკურ, თვისებრივად დამოუკიდებელ მოვლენას. ამიტომ შემთხვევით არ უწოდებენ ამ ფუნქციებს „საკუთრივ იურიდიულს“ ან

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т.1, с. 193.
2 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 35.
3 С.С. Алексеев. Структура советского права, с. 33.

„სპეციალურ იურიდიულს“.[1] ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ყველაზე ზუსტად გამოხატავს ფუნქციათა ამ ჯგუფის არსს.

რეგულაციურსა და დაცვით ფუნქციებს შორის განსხვავების აღნიშვნასთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მათი ერთიანობა და ურთიერთგაპირობებულობა. სამართლის მოქმედების რეალურ პროცესში ისინი ეხამებიან, ავსებენ ერთმანეთს. გულდასმით ანალიზისას ისიც კი შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ რეგულაციურ ფუნქციას გარკვეულწილად დაცვითი თვისებაც აქვს, ხოლო დაცვით ფუნქციას – რეგულაციური. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ორივე ეს ფუნქცია, გამოხატავს რა სამართლის სპეციალურ-იურიდიულ შინაარსს, სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების ერთიანი პროცესის ძირითადი მიმართულებებია, ხოლო მათი გაყოფა, ტ.ნ.რადკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა არა არის რა თუ არა დიფერენცირებული მიდგომა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი ასპექტების გასარკვევად.[2]

ამგვარად, ზოგადსამართლებრივი ფუნქციის პირველ ჯგუფს ქმნის სამართლის <u>სპეციალურ-იურიდიული ფუნქციები – რეგულაციური და დაცვითი</u>.

სამართლის ფუნქციის ცნების გარკვევისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები გამიზნულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები პრაქტიკულად საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სპექტრს მოიცავს, ამიტომ თვალთახედვას თუკი ოდნავ შევიცვლით და საზოგადოებისა და სახელმწიფოს ამოცანებს განვიხილავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი სფეროების შესაბამისად, მაშინ აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო და საზოგადოება მოწოდებულია გადაწყვიტოს ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური (სულიერი) და სოციალური ამოცანები. ამის შესაბამისად შეიძლება გამოცალკევდეს სამართლის ფუნქციის მეორე ძირითადი ჯგუფი: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალური. იურიდიულ ლიტერატურაში ფუნქციათა ამ ჯგუფს სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციებს უწოდებენ, რადგან ისინი გამოხატავენ სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს და

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т.1, с. 192.
2 Т.Н. Радько. Указ. соч., с. 45.

მათი გამოცალკევება ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი სფეროების მიხედვით.[1]

სპეციალურ-იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციებს შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი არსებობს. სოციალურ-პოლიტიკური ზემოქმედება ვლინდება სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების მეშვეობით, და პირიქით. „რეგულაციური და დაცვითი ფუნქციების შინაარსი, – წერს ი.გ.ტკაჩენკო, – შეიძლება მაშინ გახდეს ნათელი, როდესაც ნაჩვენები იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელი სფეროებია სამართლის მეშვეობით დაცული და რეგულირებული. მაშასადამე, ნებისმიერი დაცვითი ურთიერთობა შინაარსის თვალსაზრისით შეიძლება დახასიათდეს ან როგორც ეკონომიკური, ან როგორც პოლიტიკური და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას სამართლის რეგულაციური ფუნქციის შინაარსობრივ დახასიათებაზეც. ამასთან ერთად, ზემოქმედების თითოეულ (ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა.შ) მიმართულებაში არის დაცვითი და რეგულაციური ფუნქციებიც".[2] ამიტომ რეალურ ცხოვრებაში სამართლის სპეციალურ-იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები „სუფთა სახით" არ არსებობენ. ისინი მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიანი სამართლებრივი გაშუალებულობის სხვადასხვა ასპექტია, სამართლის შინაარსის სხვადასხვა მხარეა.

ამრიგად, ზოგადსამართლებრივი ფუნქციების მეორე ჯგუფს შეადგენენ <u>სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები –- ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური (სულიერი)</u>.

სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხდება სამართლის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების მეშვეობით, ე.ი.სამართლებრივი რეგულირების მექანიზმით (სამართლებრივ საშუალებათა სისტემით). მაგრამ, სამართალი, რაკი სოციალური მოვლენაა, მიეკუთვნება საზოგადოებრივ ცნობიერებას, იგი არის საზოგადოების სულიერი ცხოვრების ფაქტორი, აქვს კულტურული, მორალური, ინტელექტუალური ღირებულება და უშუალო იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, ე.ი.ზემოქმედებს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის გარეშეც.[3]

---

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т. III, с. 192; Т.Н. Радько. Указ. соч., с. 38-39.

2 Ю.Г. Ткаченко. Указ. соч., с. 41.

3 С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 214; Ф.Н. Фаткуллин. Проблемы общей теории социалистической правовой надстройки. Изд-во Казанского ун-та, 1980, т.III, с. 155-156; Г.В.Мальцев. Право как идеологическое явление. – Советское государство и право, 1973, №3, с. 15-19.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ აქ საუბარია არა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაზე, რომელიც ყალიბდება საზოგადოების ცხოვრების იდეოლოგიურ, სულიერ სფეროში (მაგალითად, მეცნიერების, კულტურის, განათლების, აღზრდის და ა.შ.), არამედ სამართლის იდეოლოგიურ ზემოქმედებაზე, რომლის უშუალო ობიექტია ადამიანთა ცნობიერება, ფსიქიკა. ჩვენი აზრით, ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალებას იძლევა მკვეთრად გაიმიჯნოს სამართლის იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქცია აღმზრდელობითი ფუნქციისგან. პირველ შემთხვევაში მხედველობაშია საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობათა მოწესრიგება სამართლის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციის მეოხებით, ხოლო მეორე შემთხვევაში – სამართლის აღმზრდელობითი ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებული არ არის სამართლის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციის განხორციელების აუცილებლობასთან. რასაკვირველია, სამართალი აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს თავისი სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების განხორციელების დროსაც, მაგრამ ამგვარ შემთხვევაში ასეთი ზემოქმედება თანმხლები ხასიათისაა და სამართლის მითითებული ფუნქციის რეალიზაციის შედეგია.

სამართლის ფუნქციების სისტემის ბევრი მკვლევარი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზოგადიდეოლოგიურ გავლენას არ თვლის სამართლებრივი ზემოქმედების დამოუკიდებელ მიმართულებად. მიიჩნევენ, რომ სამართლის ფუნქციონირების ეს მხარე მისთვის სპეციფიკური არ არის, არ განსხვავდება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების სხვა იდეოლოგიური ფორმებისა და საშუალებებისაგან (აგიტაციის საშუალებები, პროპაგანდა, პოლიტიკური ინფორმაცია, ზნეობრივი აღზრდა და ა.შ.)[1].

რასაკვირველია, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ სამართლის ზოგადი იდეოლოგიური ზემოქმედება პირველ რიგში ექვემდებარება იდეოლოგიის ფუნქციონირების ერთიან კანონზომიერებას და რომ სამართლის ფუნქციონირების ამ პროცესში ისე არ ვლინდება მისი სპეციფიკური თვისებები, როგორც, მაგალითად, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას, ანუ სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების განხორციელებისას. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა დავინახოთ, რომ სამართლის თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია სამართლის შინაგანი სპეციფიკური თვისებებით,

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т. I, с. 290-291.

განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი იდეოლოგიური ზემოქმედების სპეციფიკასაც. ამასთან დაკავშირებით მართებულად წერს თ.ნ.ფატკულინი: იდეოლოგიურ საშუალებათა სიმრავლე, რომლებიც პარალელურად ახდენენ აღმზრდელობით ზემოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილეებზე, მდგომარეობას არ ცვლის, რადგან თითოეულ მათგანს და, მით უმეტეს, სამართალს, მნიშვნელოვანი სპეციფიკა აქვს. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე რეგულაციური ზემოქმედება ხომ სოციალური ნორმების სხვადასხვა სახით ერთდროულად ხდება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სამართლის რეგულაციური ფუნქციის გამოცალკევებას.[1]

ჩვენი აზრით, სამართლის ზოგადი იდეოლოგიური ზემოქმედება ქმნის ფუნქციათა დამოუკიდებელ ჯგუფს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები. ამგვარი დასახელება, ჩვენი აზრით, იმით არის გამართლებული, რომ, ჯერ ერთი, ამ ფუნქციათა უშუალო ობიექტია პიროვნების ცნობიერება, ფსიქიკა; მეორე, ისინი მიმართულია ინდივიდუალური მართლშეგნების ჩამოყალიბებაზე, რაც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა, სოციალურისა და ფსიქოლოგიურის განუყოფელი ერთიანობაა; მესამე, ისინი ხორციელდება სამართლის მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის მეშვეობით.[2]

როგორია ეს ფუნქციები?

იურიდიულლიტერატურაშიმიუთითებენ,რომკანონმდებლობაში გადმოცემული სამართლებრივი დებულებები გარკვეული აზრით არის მოქალაქეებთან სახელმწიფოს ურთიერთობის ხერხი. სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემა, ადრესატამდე მათი მიტანა სამართლებრივი ინფორმაციის შექმნისა და გადაცემის თავისებური პროცესია, რომელიც მოწოდებულია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა ცნობიერებაზე და მისი მეშვეობით კი ქცევაზე. ამგვარად, კანონმდებლის ნება სამართლებრივ დებულებებში გამოხატულია ინფორმაციის სახით, რომელშიც აკუმულირებულია ცნობები ნება-

1 Ф.Н. Фаткуллин. Указ. соч., с. 156.

2 ზოგადად სოციალური ნორმების და, კერძოდ, სამართლებრივი ნორმების მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ იხ. М.И. Бобнева. Социальные нормы и регуляция поведения, «Наука», М., 1978; Психологические механизмы регуляции социального поведения, «Наука», М., 1979; В.П.Казимирчук, Социальный механизм действия права. – Советское государство и право, 1970, №10, с. 37-44; Н.И. Тарасов. Роль социально-психологических факторов в правовом регулировании. Автореф. канд. дисс., Свердловск, 1969.

დართულ ან აკრძალულ ქცევებზე, იმ პირობებზე, რომელშიც ამგვარი ქცევა შეიძლება ან უნდა განხორციელდეს, ნორმის მოთხოვნათა დარღვევის შედეგებზე. ადრესატების მიერ ამ ინფორმაციის ათვისება მოტივაციურ ზემოქმედებას ახდენს მათზე, რასაც, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა რეალური ქცევისა და სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.[1]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სამართალი ასრულებს ინფორმაციულ ფუნქციას.[2]

სამართლებრივ ნორმათა მოთხოვნები ნებადართულ ან აკრძალულ ქცევათა შესახებ კანონმდებლის თვითნებობის პროდუქტი როდია, იგი მის მიერ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა შემეცნების შედეგია.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება სამართალი დავიყვანოთ მხოლოდ ნებამდე, ბრძანებამდე, რადგან მასში ყოველთვის არის შემეცნებითი ელემენტიც, რომელიც ადამიანს ცოდნას აძლევს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ. ამ აზრით სამართალს აქვს შემეცნებითი ფუნქცია.[3]

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ სამართალი არის სამყაროს თავისებური აღქმის ხერხი. მეცნიერული შემეცნებისგან განსხვავებით, რომელიც მიუკერძოებლად ასახავს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, სამართლისათვის დამახასიათებელია ცხოვრების შემეცნებისადმი დეონტოლოგიური მიდგომა. განასხვავებენ სინამდვილის შემეცნების მეცნიერულ, თეორიულ ხერხს მხატვრული, რელიგიური, პრაქტიკულ-სულიერი შემეცნებისგან. სამართალი არის სწორედ ერთ-ერთი ფორმა სინამდვილის პრაქტიკულ-სულიერი

---

1 Ю.В. Кудряшов. Нормы права как социальная информация, «Юридическая литература», М., 1981, с. 16-19; М.Ф. Орзих. Личность и право, М., 1976, с. 58-62; М.М. Рассолов. Управление, информация и право, «Мысль», М., 1983, с. 42-43.

2 სამართლის ამ ფუნქციას ზოგჯერ კომუნიკაციურს ეძახიან. იხ., მაგალითად, А.А. Ушаков. Методологические аспекты советского правотворчества. „Ученые записки Пермского ун-та“, №199, 1968, с. 299; ჩვენი აზრით, ასეთი დასახელება არასწორია, რადგან კომუნიკაციური ფუნქცია თვითონ არის სოციალური ინფორმაციის ერთ-ერთი ფუნქცია (ამ საკითხზე იხ. В.А. Колеватов. Социальная память и познание, «Мысль», М., 1984, с. 25).

3 А.А. Ушаков. О диалектике содержания и форме в праве, гносеологической функции права и категориях правового познания. «Ученые записки Пермского государственного ун-та“, №199, Пермь, 1968, с. 331-332. „ნაპოლეონის ცნობილ კოდექსში გადმოცემული სამართლებრივი ნორმები, - წერს ა. უშაკოვი, - უფრო საფუძვლიან ცოდნას იძლევა ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთის საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, ვიდრე ეკონომისტთა, იურისტთა და სხვათა წიგნები“ (А.А.Ушаков. Указ соч., с. 331).

შემეცნების, რომელიც არა მხოლოდ თავის უშუალო ობიექტს ასახავს, არამედ ასახვის სუბიექტის სოციალურ ინტერესს და სოციალურ პოზიციასაც გამოხატავს. ამის გამო სამართლებრივ ნორმებში შემეცნებითი ელემენტი ისეთ ფორმაში კი არ არის მოცემული, როგორც მეცნიერებაში, არამედ გარკვეული სახის ქცევის სავალდებულოობის ფორმით, ე.ი. ცოდნა მოცემულია გარდაქმნილი, დაშიფრული ფორმით – შეფასების, ბრძანების განსაკუთრებული ხერხის სახით. ამის გამოა, რომ სამართლის შინაარსში ინტელექტუალური ასპექტი ხშირად ფარულადაა მოცემული, ხოლო წინა პლანზე გამოდის შეფასებითი და ნორმატიული დებულებები.

სამართლებრივ ნორმებში სოციალური სინამდვილე ისეთი სახით აისახება, როგორადაც შეიძლება ან უნდა განხორციელდეს იგი ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების უშუალო საქმიანობაში. შესაბამისად, სამართალს ცოდნა აინტერესებს არა თავისთავად (როგორც მეცნიერებას), არამედ ცოდნა გარდასახული ქცევის ნორმებში. აქ შემეცნებითი მომენტი ნორმატიულისადმია დაქვემდებარებული. თუ მეცნიერულ შემეცნებაში მთავარია ჭეშმარიტების პრობლემა, სამართალში მთავარია ქცევის ნორმების პრობლემა. ამის შესაბამისად შემეცნებითი ფუნქცია მთავარია მეცნიერებისათვის, ხოლო სამართლისათვის - დამხმარე.[1]

სამართალი არის საზოგადოების პოლიტიკური, მორალური, კულტურული ღირებულებების თავისებური მატარებელი. მის ნორმებში ისეთი ძირითადი ღირებულებებია განმტკიცებული, როგორიცაა დემოკრატია, პატრიოტიზმი, სოციალური და ეროვნული თანასწორობა, კეთილსინდისიერება, პატივი და ღირსება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა და სხვ. ყველა ეს სოციალური ღირებულება, – აღნიშნავს ვ.ნ. კუდრიავცევი, – აღმოცენდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ურთიერთობათა სფეროში, მაგრამ, განმტკიცებულია რა სამართალში, ისინი სამართლებრივ ღირებულებებად, იურიდიულ იდეა-პრინციპებადაც იქცნენ, რომლებიც, თავის მხრივ, სამართლის მეშვეობით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ადამიანთა ცნობიერებაზე ახდენენ გავლენას.[2]

---

1 ს.ალექსეევის აზრით, „ეს დამხმარე ფუნქციაც არ არის, არამედ სამართლის თანმხლები საზოგადოებრივი ფუნქციაა მხოლოდ“ (იხ. С.С. Алексеев. Социальная ценность права в советском обществе, с. 209).

2 В.Н. Кудрявцев. Право и поведение. «Юридическая литература», М., 1978, с. 99-100.

ამასთან ერთად, გასათვლისწინებელია ისიც, რომ სამართალი არა მხოლოდ განამტკიცებს და იურიდიულ ფორმას აძლევს სოციალურ ღირებულებებს, არამედ ადგენს ქცევის წესებს, რომლებიც არეგულირებენ ამ სიკეთეთა გამო წარმოქმნილ ურთიერთობებს.

სამართლებრივ ნორმებში სოციალურ ღირებულებათა განმტკიცებით სახელმწიფო თავის დამოკიდებულებას გამოხატავს სინამდვილის სხვადასხვა მხარისადმი და ცდილობს საზოგადოების წევრებს ჩაუნერგოს ამგვარი დამოკიდებულება. ამით სამართალი ორიენტაციას აძლევს სუბიექტებს სოციალური ფასეულობებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებისკენ და მოითხოვს ამ ფასეულობათა მიღებასა და ათვისებას. სამართლებრივი ნორმების შინაარსის ათვისებითა და გადამუშავებით ცალკეული პიროვნება ითვისებს, აგრეთვე, სოციალურ ფასეულობებსაც, რომელთა საფუძველზეც არიან ჩამოყალიბებული ეს ნორმები. ინდივიდის მიერ ათვისებული სოციალური ფასეულობები შემდგომში მისი ქცევის სულიერი ბიძგის მიმცემები, ორიენტაციის პარამეტრები ხდებიან. ამით სამართალი ასრულებს ღირებულებით-ორიენტაციულ ფუნქციას.

ღირებულებითი ორიენტაცია გულისხმობს ინდივიდის შედარებით მდგრად არჩევით დამოკიდებულებას სიკეთეთა ერთობლიობისადმი. ის თავის დასრულებულ სახეს იღებს პიროვნების სოციალურ განწყობაში. ზუსტად რომ ვთქვათ, ღირებულებითი ორიენტაცია აყალიბებს პიროვნების სოციალურ განწყობას.[1] თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განწყობა არის ინდივიდის მზაობის სპეციფიკური მდგომარეობა, მისი მიდრეკილება – გარკვეული ფორმით რეაგირება მოახდინოს ობიექტებზე და ინფორმაციაზე,[2] მაშინ ნათელი ხდება ღირებულებით-ორიენტაციული ფუნქციის მნიშვნელობა ინდივიდის ქცევის რეგულირებაში კერძოდ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციაში – საერთოდ.

საზოგადოების წევრების ცნობიერებაზე ზემოქმედებით სამართალი ასრულებს აღმზრდელობით ფუნქციას, რომელიც მიმართულია პიროვნების მართლშეგნების ჩამოყალიბებისკენ. მართლშეგნება გულისხმობს სამართლებრივი ცოდნის გარკვეულ მარაგს, მდგრად ზნეობრივ-სამართლებრივ ღირებულებით ორიენტაციას, მოქმედი

1 Е.А. Якубов. Право и нравственность как регуляторы общественных отношений при социализме, Харьков, 1970, с. 167-168.

2 განწყობის ზოგადი განსაზღვრების შესახებ იხ: Д.Н. Узнадзе. Экспериментальные основы психологии установки. Тбилиси, 1961, с. 170.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობის ღრმა რწმენას, კანონის დებულებათა პატივისცემას და ზუსტად დაცვას. ამგვარად, მართლშეგნება არა მხოლოდ სამართლებრივ ნორმათა ცოდნას გულისხმობს, არამედ მისადმი გარკვეულ დამოკიდებულებასაც.[1]

სამართლებრივი ნორმების ათვისების შედეგად ინდივიდის ცნობიერებაში ყალიბდება შეხედულებების, რწმენის, წარმოდგენების, განწყობის, გრძნობათა გარკვეული სისტემა როგორც მთლიანად სამართლისადმი, ასევე მისი ცალკეული კომპონენტებისადმი, ანუ ყალიბდება სამართლებრივი მსოფლმხედველობა. სამართლებრივი მსოფლმხედველობის ფორმირება პიროვნების მიერ სამართლებრივ ნორმათა შინაგანი აღქმისა და ათვისების შედეგია, როდესაც სამართლებრივი ცოდნა იქცევა პირად რწმენად, ხოლო რწმენა ხდება მართლზომიერი ქცევის მოტივი. სამართლებრივი რწმენა საშუალებას აძლევს ადამიანს ესა თუ ის ქცევა ჩაიდინოს შეგნებულად, ქცევის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის გონივრული გაგებით.

ასეთია სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის ძირითადი სახეები. ამ ფუნქციათა შორის არსებობს ორგანული კავშირი და ურთიერთგაპირობებულობა, ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. ამ ჯგუფის ფუნქციები წინამდებარე ნაშრომში შემთხვევით არ არის გადმოცემული ამგვარი თანმიმდევრობით. ისინი აგებულია მათი იდეოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა დონის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, გაპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონაწილის ცნობიერებაზე შესაბამისი სახის ზემოქმედების განსხვავებული მოტივაციური ძალით.

ამგვარი ზემოქმედების პირველდაწყებითი სახეა სამართლის ინფორმაციული ზემოქმედება. იგი საკმაო გავლენას ვერ ახდენს ქცევის მოტივზე, რადგანაც მხოლოდ წარმოდგენას ქმნის ქცევის ნებადართულ ან აკრძალულ ფორმებზე. შესაბამისად, სამართლებრივი ინფორმაცია თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პოზიტიური ქცევის ჩამოყალიბებას ანუ იმ ქცევას, რომელიც კანონისა და სამართლებრივ ღირებულებათა პატივისცემაზეა დაფუძნებული.[2] მიუხედავად ამისა, ინფორმაციული ფუნქცია წინაპირობაა სამართლის ყველა დანარჩენი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციისათვის. მისგან იწყება სამართლის ზოგადი იდეოლოგიური ზემოქმედება.

---

1 Общественное сознание и его формы. Политиздат, М., 1986, с. 114.

2 Правовая система социализма. Функционирование и развитие. «Юридическая литература», М., 1987, кн. 2, с. 30.

შემეცნებითი ფუნქცია სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს შეიმეცნოს საზოგადოებრივი განვითარების ის ობიექტური კანონზომიერებები, რომლებიც სპეციფიკური სახით არიან ასახული სამართალში, აყალიბებენ მის წარმოდგენებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლებრივი ნორმების გენეზისს, ე.ი. აყალიბებენ ინდივიდის წარმოდგენებს სამართლის ნორმებში მოცემული ქცევის მოდელის მიზანშეწონილობის და აუცილებლობის შესახებ. ამით ძლიერდება სამართლის მოტივაციური ზემოქმედება ადამიანის ცნობიერებაზე. აქედან გამომდინარე, შემეცნებითი ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ როგორც უფრო მაღალი ფორმა იდეოლოგიური ზემოქმედებისა, ვიდრე ინფორმაციული.

შემეცნებითი ფუნქცია, თავის მხრივ, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ღირებულებით-ორიენტაციული ფუნქციის შედეგიანი განხორციელებისთვის. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ღირებულებით-ორიენტაციული ფუნქცია აყალიბებს სუბიექტის სოციალურ განწყობას. ამიტომ მას აქვს მოტივაციური ზემოქმედების უფრო მეტი ძალა და იდეოლოგიური ზემოქმედების კიდევ უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე სამართლის წინამორბედი ფუნქცია.

სამართლის ინფორმაციული, შემეცნებითი და ღირებულებით-ორიენტაციული ზემოქმედება წინაპირობებს ქმნის მოქალაქეებში მთლიანად სამართლისადმი და მისი ცალკეული ნორმებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, სამართლის ნორმათა დებულებების შინაგანი აღქმისათვის, ინტერიორიზაციისთვის. ამ პროცესს ამთავრებს აღმზრდელობითი ფუნქცია, რომელიც პიროვნების მართლშეგნების ჩამოყალიბებას ემსახურება.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციათა მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ სუბიექტის მართლზომიერი ქცევა შეუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ სამართლის რეგულაციური და დაცვითი ფუნქციებით, სანქციების არსებობით, სახელმწიფო იძულების გამოყენების მუქარით. სანქციის არსებობა რომ საკმარისი იყოს მართლზომიერი ქცევის უზრუნველსაყოფად, მაშინ საზოგადოებაში სამართალდარღვევებიც არ იქნებოდა. ამიტომ სამართლის მაორგანიზებელი როლის ეფექტიანობა ყოველთვის მართლშეგნების სიმწიფის დონეზეა დამოკიდებული. მოსახლეობის მართლშეგნების და, შესაბამისად, სამართლებრივი კულტურის დონის

ამაღლება სწორედ სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის ძირითადი ამოცანაა.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები ხორციელდება როგორც სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის მეშვეობით, ისევე მის გარეშეც, კერძოდ, სამართლის მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმით. პირველ შემთხვევაში სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები თან სდევს სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციებს, მათ ექვემდებარება და ხელს უწყობენ მათ შედეგიან განხორციელებას. მეორე შემთხვევაში სამართალი ახორციელებს ინფორმაციულ, შემეცნებით, ღირებულებით-ორიენტაციულ და აღმზრდელობით ზემოქმედებას პიროვნებაზე სამართლებრივ ურთიერთობებში მათ შესვლამდე, ე.ი. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ამოქმედებამდე. ამ ზემოქმედებათა შედეგად სამართლებრივი ურთიერთობების პოტენციური მონაწილენი გარკვეულად ემზადებიან სამართლის სფეროში შესასვლელად, რათა იურიდიული მნიშვნელობის მქონე მათი ქცევა სამართლის ნორმათა მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

ნაწილი მეორე. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება და სისტემა

თავი IV. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება

იურიდიულ ლიტერატურაში რამდენიმე ავტორი შეეცადა სამოქალაქო სამართლის ფუნქციების განსაზღვრას სამართლის ფუნქციების ზოგადთეორიულ გააზრებაზე დაყრდნობით. მაგალითად, ა.ი. რიჟენკოვი სამოქალაქო სამართლის ფუნქციას განსაზღვრავს „როგორც სასაქონლო-ფულადი ფორმითა და საერთო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანებით გაპირობებული სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ზემოქმედებას ქონებრივ ურთიერთობებზე, მათთან დაკავშირებულ ან დაუკავშირებელ პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე გარკვეული სფეროების მიხედვით განსხვავებული მიმართულებებით“.[1]

შ.მენგლიევს გარკვეული კორექტივი შეაქვს ამ განსაზღვრებაში და მიიჩნევს, რომ „სამოქალაქო სამართლის ფუნქცია არის საერთო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანებით გაპირობებული ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები ქონებრივ და ქონებრივთან დაკავშირებულ ან მასთან დაუკავშირებელ პირად არაქონებრივ, აგრეთვე ზოგიერთ ორგანიზაციულ ურთიერთობებზე“.[2]

სამართლის ფუნქციის ცნების ძირითადი ნიშნების თაობაზე კრიტიკული შენიშვნები, რომლებსაც სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ზემოაღნიშნული განსაზღვრებები ემყარება, ჩვენ უკვე გამოვთქვით ამ ნაშრომის პირველ ნაწილში, ამიტომ სამოქალაქო ფუნქციის ცნების ფორმულირებისას გათვალისწინებული იქნება სამართლის ფუნქციის ცნების საკითხებზე ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

ბუნებრივია, სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნების განსაზღვრება უნდა ეყრდნობოდეს სამართლის ფუნქციის ზოგადთეორიულ ცნებას, მაგრამ ამავე დროს უნდა შეიცავდეს სამართლის მოცემული დარგის თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სწორად აღნიშნავს ა.ი. რიჟენკოვი, მისი საჭიროებაც აღარ იქნება.[3] ამ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, გადავწყვიტოთ საკითხი თუ როგორ აისახოს სამოქალაქო სამართლის სპეციფიკური თავისებურებები მისი ფუნქციის ცნებაში.

---

1 А.Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 16.

2 Ш. Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве, с. 9.

3 А.Я. Рыженков. Указ. соч., с. 12.

თვითონ ა.ი. რიჟენკოვმა და მასთან ერთად შ. მენგლიევმა ეს საკითხი გადაწყვიტეს სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნებაში სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების საგნის სტრუქტურული ელემენტების ჩართვითა და აგრეთვე იმაზე მითითებით, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედება გაპირობებულია სასაქონლო-ფულადი ფორმითა და სახელმწიფოს ამოცანებით.

განსახილველი საკითხის ამგვარად გადაჭრა, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. ავტორები, როგორც ჩანს, იმ დებულებით ხელმძღვანელობდნენ, რომ სამოქალაქო სამართლის სპეციფიკური თავისებურებები განისაზღვრება სამართლის მოცემული დარგის საგნის ხასიათით. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ, საქმე ის კი არ არის თუ რა ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ სამოქალაქო სამართლის სპეციფიკურ თავისებურებებს, არამედ საქმე თვით ამ თავისებურებებშია, რომლებიც სამოქალაქო სამართლის შინაარსშია ასახული და მის სპეციფიკურ ბუნებას განსაზღვრავენ.

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბუნებასა და სპეციფიკაში გარკვევა, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივი მაორგანიზებელი ზემოქმედების საგანს წარმოადგენენ. ო.ა. კრასავჩიკოვი წერს, რომ „სამოქალაქო სამართალს მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მოცემული დარგი სხვა დარგებისაგან განვასხვავოთ. ეს თავისებურებები განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგნით და თავის გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების შინაარსსა და მეთოდში.“[1]

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების საგნისა და მეთოდის ანალიზის გარეშე.

არსებობს ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამართლის საგანია ქონებრივი ურთიერთობები, რომელთაც სასაქონლო-ფულადი, ღირებულებითი ხასიათი აქვთ. ეს შეხედულება ემყარება სამოქალაქო სამართლის საგნის ლეგალურ განმარტებას. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის პრეამბულაში ნათქვამია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც გაპირობებულია კომუნისტურ

1 Советское гражданское право. Под ред. О.А. Красавчикова, т. 1, «Высшая школа», М., 1965, с. 3.

მშენებლობაში სასაქონლო-ფულადი ფორმის გამოყენებით, და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქოსამართალისსასაქონლო-ფულადიურთიერთობებითაა გაპირობებული. როგორც ცნობილია, სასაქონლო წარმოება გულისხმობს პროდუქტების წარმოებას გაცვლის მიზნით ყიდვა-გაყიდვის გზით. მისი არსებობის პირობაა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. სასაქონლო მეურნეობაში პროდუქტი (საქონელი) იქმნება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, განკერძოებული მწარმოებლების მიერ.

ჩვენს საზოგადოებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები განიხილებოდა, როგორც "მემკვიდრეობით მიღებული მოვლენა, რომლის მოქმედების სფეროც უნდა შეზღუდულიყო გეგმიური წარმოებითი ურთიერთობების მუდმივი ზრდის და სრულყოფის კვალობაზე"[1].

ეს მცდარი შეხედულება კანონმდებლობაშიც აისახა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის პრეამბულაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქონებრივი ურთიერთობები განისაზღვრება, როგორც „კომუნისტურ მშენებლობაში სასაქონლო-ფულადი ფორმის გამოყენებით გაპირობებული". აქ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ „სასაქონლო-ფულადი ფორმა" მოცემულ კონტექსტში განიხილება როგორც დროებითი მოვლენა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად, და არა საზოგადოებისათვის შინაგანად დამახასიათებელი მოვლენა.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობებისადმი ამგვარი მიდგომის უარყოფითი შედეგები საყოველთაოდ არის ცნობილი. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკაში მოქმედებენ რეალური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, რომლებიც ობიექტურად მოითხოვენ შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას მათი ყოველმხრივი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.[2]

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ერთ-ერთი პირობაა საქონლის მწარმოებელ სუბიექტთა ქონებრივი განცალკევებულობა. ქონებრივად განცალკევებული სუბიექტები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც საქონელმფლობელები, რომელთაც ქონებრივ-განმკარგულებელი დამოუკიდებლობა აქვთ.

---

1 იხ. Товарно-денежные отношения в системе планомерно организованного социалистического производства. Из-во МГУ, М., 1971, с. 48-49, 101.

2 იხ. А.А. Собчак, Н.Д. Егоров. Основы гражданского законодательства: проблемы совершенствования. – Советское государство и право, 1988, №10, с. 51.

საქონლის გაცვლისას ამ სუბიექტებს შორის ურთიერთობები აგებულია მხარეთა ფაქტობრივ თანასწორობაზე. მხარეთა თანასწორობა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა, ერთმანეთს შორის დაქვემდებარების არარსებობა სასაქონლო-ფულად ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი და სპეციფიკური თვისებაა.

ზემოაღნიშნულ სპეციფიკას ასახავს და აფიქსირებს სამოქალაქო სამართალი, რომელიც სწორედ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა რეგულირებისთვისაა მოწოდებული. უწინარეს ყოვლისა, ეს აისახება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობაში (სტატუსში), კერძოდ კი, სამართლის მოცემული დარგის სუბიექტთა იურიდიულ თანასწორობაში მათი ქონებრივი დამოუკიდებლობისა და პირადი არაქონებრივი სიკეთის ფლობის საფუძველზე.[1]

აქვე მინდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტთა თანასწორობა სამართლებრივი ნორმებით კი არ მყარდება,არამედმათმიერმოწესრიგებულურთიერთობათახასიათიდან გამომდინარეობს, თვით მათშია მოცემული და შეიძლება გამოვლინდეს მათი სამართლებრივ ფორმებში გამოხატვისაგან დამოუკიდებლად. სამოქალაქო სამართალი მხოლოდ შესაბამის იურიდიულ ფორმებში ასახავს მის მიერ რეგულირებულ ურთიერთობათა მონაწილეების ფაქტობრივ თანასწორობას.[2]

რადგანაც ურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობა არის სამართლის ამა თუ იმ დარგის მეთოდის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი, ამდენად მხარეთა იურიდიული თანასწორობა არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის მთავარი სპეციფიკური ნიშანი. ამ დასკვნის სისწორეს ადასტურებს არა მხოლოდ სწავლული-ცივილისტების გამოკვლევები, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზიც, სადაც თავისებური ნეგატიური სახით არის მითითებული მხარეთა თანასწორობაზე, როგორც სამოქალაქო სამართლით რეგულირებულ ქონებრივ ურთიერთობათა აუცილებელ ნიშანზე. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-2

1 Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 48; Советское гражданское право. Под ред. В.Ф.Маслова, А.А. Пушкина, Киев, 1977, часть 1, с. 18.

2 С.Н. Братусь. Предмет и система советского гражданского права. Госюриздат, М., 1963, с. 52-53; В.Ф.Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений. Свердловск, 1972, с. 37-39.

მუხლის მესამე ნაწილში, კერძოდ, დაფიქსირებულია, რომ ქონებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომელთაც საფუძვლად უდევს ერთი მხარის ადმინისტრაციული დაქვემდებარება, მეორე მხარისადმი სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამოიყენება. ამ ურთიერთობებში სამოქალაქო სამართალი არ გამოიყენება სწორედ იმის გამო, რომ იგი არის ბრძანება-დაქვემდებარების და არა თანასწორუფლებიან სუბიექტთა ურთიერთობა, ე.ი. ისინი უშუალოდ განპირობებული არ არიან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ხასიათით.

ამგვარად, სამოქალაქო სამართლით რეგულირებულ ურთიერთობათა სპეციფიკა, ძირითადი ნიშან-თვისება – მხარეთა თანასწორობა დარგობრივ მეთოდში აისახება ურთიერთობათა სუბიექტების იურიდიული თანასწორობის სახით. სამოქალაქო სამართლის მეთოდში სასაქონლო წარმოებით განპირობებულ ქონებრივ ურთიერთობათა სპეციფიკის ასახვით იქმნება აუცილებელი საფუძვლები სამართლის მოცემული დარგის ჯეროვანი ფუნქციონირებისათვის. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებისას სამოქალაქო სამართალმა ურთიერთობათა სუბიექტები უნდა ჩააყენოს იურიდიულად თანასწორ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის ფუნქცია უზრუნველყოფს სამართლის მოცემული დარგის საგნისა და მეთოდის კავშირს.

ურთიერთობათა სუბიექტების იურიდიული თანასწორობა არის სამოქალაქო სამართლის მთავარი სპეციფიკური თვისება, რაც სამართლის მოცემული დარგის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს და სამართლის ზოგად სისტემაში მისი ინდივიდუალიზების საშუალებას იძლევა. სამოქალაქო სამართალს, რასაკვირველია, სხვა ნიშან-თვისებებიც ახასიათებს, თუმცა ისინი მეორადია, მთავარი თვისებიდან არიან ნაწარმოები და მისგან გამომდინარეობენ.

სწორედ ეს თვისება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებს, მის ხასიათსა და სპეციფიკას. სწორად აღნიშნავს ვ.პ. მოზოლინი, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარება შეიძლება მოხდეს მეთოდის ძირითადი მოთხოვნის დაცვით – სამოქალაქო-სამართლებივ ურთიერთობებში მხარეთა იურიდიული თანასწორობის უზრუნველყოფით. სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი მთელი თავისი კომპონენტებით (ნორმებით, სამართლებრივი ურთიერთობებით და ა.შ.) უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო სა-

მართლის მეთოდს, სხვაგვარად, წარმოიქმნება წინააღმდეგობები, რომლებიც თვით სამოქალაქო სამართლის დეფორმაციას გამოიწვევს.[1]

ქონებრივი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის საგნის ძირითადი ნაწილია, მაგრამ ამით იგი არ ამოიწურება. სამართლის განსახილველი დარგის საგნის სტრუქტურული ელემენტია, აგრეთვე, პირადი არაქონებრივი ურთიერთობები. სამოქალაქო სამართლის საგანში არაქონებრივ ურთიერთობათა ჩართვის აუცილებლობის და შესაძლებლობების შესახებ ცივილურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.[2] ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სამოქალაქო სამართლის სპეციფიკას, მის იურიდიულ ბუნებას პირადი არაქონებრივი ურთიერთობები არ განსაზღვრავენ. პირადი არაქონებრივი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის საგანს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც ზემოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი ზომები ყველაზე უფრო გამოსადეგია მათი რეგულირებისა და დაცვისთვის. ისინიც მხარეთა თანასწორობის საფუძველზე წარმოიქმნებიან და ქონებრივი ურთიერთობების მსგავსი სხვა თვისებებიც აქვთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პირადი არაქონებრივი ურთიერთობა არ რეგულირდება სამართლის მოცემული დარგით. როგორც სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირება იმდენად არის დასაშვები, რამდენადაც ის ქონებრივთან არის დაკავშირებული, ხოლო ამ კავშირის გარეთ – მხოლოდ იმ შემთხვევაში, რაც კანონით არის პირდაპირ გათვალისწინებული. ცივილურ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, დასაბუთებულად არის დაყენებული საკითხი პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირებასა და დაცვაში სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებათა გამოყენების სფეროს გაფართოების აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნით გვთავაზობენ, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმა შეიცვალოს და მიეთითოს, რომ ეს დარგი არეგულირებს ქონებრივ და პირად ურთიერთობებს. ამგვარად აღმოიფხვრება პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირებაში ამჟამად არსებული შეზღუდვები (გამონაკლისი იქნება მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებზეც

1 Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 49.

2 С.Н. Братусь. Предмет и система советского гражданского права, «Юридическая литература», М., 1963, с. 72-87.

სპეციალურადაა მითითებული კანონში).[1] როგორც წინამდებარე ნაშრომის შემდეგ თავში იქნება ნაჩვენები, ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებებისათვის ობიექტური საფუძვლები მართლაც არსებობს.

ქონებრივ და პირად ურთიერთობებზე სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედება ხორციელდება სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის პირველ მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო კანონმდებლობის ამოცანებს, ნათქვამია, რომ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო და სრულად დაკმაყოფილების მიზნით“. ასეთი არარეალური ამოცანებისა და მიზნების ეტაპი ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გადალახა. ამიტომ სწორი იქნება იმ რეალურ ამოცანებზე მითითება, რომელთა გადაჭრაც მართლაც შეიძლება და ხდება კიდევაც საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო სამართლებრივი ზემოქმედების მეოხებით. სახელდობრ, სამართლის მოცემული დარგის ფუნქციონირებით შესაძლებელი ხდება ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, აგრეთვე მთლიანად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსაკვლევი ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: სამოქალაქო სამართლის ფუნქცია არის ქონებრივ და პირად ურთიერთობებზე სამოქალაქო სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ამ ურთიერთობათა მონაწილეების თანასწორობითაა განსაზღვრული და გამიზნულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლის ფუნქციის კატეგორია უშუალოდ გამოხატავს სამართლის მოცემული დარგის იურიდიულ თავისებურებებს და მთლიანობაში ახასიათებს მას. ამის გამო ის იმდენად მნიშვნელოვანი, ფუძემდებლური კატეგორია ხდება, რომ, ჩვენი აზრით,

1 Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 208-209; საყურადღებოა, რომ ამ საკანონმდებლო წინადადებამ ასახვა ჰპოვა ჯერ სსრ კავშირის, ხოლო შემდეგ რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში (იხ. Ведомости Съезда народных депутатов СССР и Верховного Совета СССР, 1991, №26, с. 733).

გამოყენებული უნდა იქნეს როგორც თვითონ სამოქალაქო სამართლის ცნების კონსტრუირებისას[1], ისე საკანონმდებლო დებულებებში, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის პირველი მუხლის ფორმულირებისას.

თავი V. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის სისტემა

მესამე თავში ჩვენ მიერ აღნიშნულ ფუნქციათა სამი ჯგუფი არის სამართლის მთლიანი სისტემის ინტეგრალური, ზოგადი ფუნქციები. ამ სისტემის მთავარი სტრუქტურული ქვედანაყოფები ყველაზე მაღალ დონეზე, როგორც ცნობილია, არის სამართლის დარგები. სამართლის თითოეულ დარგს, როგორც სამართლის სისტემის მთავარ ელემენტს, ისეთივე თვისებები აქვს, რაც მთლიანად სამართალს. ამიტომ სამართლის ყველა დარგს გააჩნია მთლიანად სამართლისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფუნქციები. ამ თვალსაზრისით სამართლის ყველა დარგს აქვს სპეციალურ-იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები (თავიანთი ძირითადი სახეებით), ე.ი. ზოგად ფუნქციათა ერთნაირი სისტემა.

მიუხედავად ზოგადი ფუნქციების სისტემათა ერთგვაროვნობისა, სამართლის დარგები ფუნქციური თვალსაზრისით არ არიან იურიდიულად ნიველირებულნი. სამართლის ცალკეული დარგების შინაგანი სპეციფიკური ბუნება, რომელიც საბოლოო ანგარიშში ზემოქმედების საგნის ხასიათითაა განპირობებული, არსებითად მოქმედებს სამართლის თითოეული დარგის ფუნქციათა სისტემის შინაარსზე და სტრუქტურაზე.

სამართლის დარგის სპეციფიკა უწინარესად მისი მთავარი ფუნქციის შინაარსში მჟღავნდება. სამართლის ყველა დარგის მთავარ ფუნქციას ორგანიზაციული ფუნქცია წარმოადგენს, მაგრამ კონკრეტულ დარგებში ეს ფუნქცია სრულიად გარკვეული საგნობრივი შინაარსით ივსება, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივად დამოუკიდებელი სახე განაპირობებს და რომელიც ობიექტურად ითხოვს მაორგანიზებელ ზემოქმედებას სწორედ მოცემული დარგის

1 უნდა აღინიშნოს, რომ ცივილურ ლიტერატურაში სამოქალაქო სამართლის დასახასიათებლად პირველად ვ.პ.გრიბანოვმა გამოიყენა სამართლის მოცემული დარგის ფუნქციის კატეგორია (იხ. В.П.Грибанов. Советское гражданское право. Госюриздат, 1959, гл.1).

საშუალებებითა და ხერხებით. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის მთავარი ფუნქცია არის ქონებრივ ურთიერთობათა, აგრეთვე, პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ორგანიზაცია.

დარგის სპეციფიკა ვლინდება, აგრეთვე, მისი სპეციალურ-იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ცალკეული სახეების თანაფარდობაში. თვისებრივად განსაკუთრებული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათის გამო, რომელიც ზემოქმედებას ითხოვს სამართლის გარკვეული დარგის სპეციფიკური მეთოდისა და მექანიზმის მეშვეობით, მის სპეციალურ-იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა შიგნით ერთი ფუნქცია წამყვანი ხდება, ხოლო სხვები – მასზე დამოკიდებულნი. როგორც ცნობილია, სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების საგანი ძირითადად არის ნორმალური ქონებრივი ურთიერთობები, ამიტომ სამართლის ამ დარგის სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციებს შორის წამყვანია მისი რეგულაციური ფუნქცია. რასაკვირველია, სამოქალაქო სამართალი, უზრუნველყოფილია რა სახელმწიფო იძულებით, ასრულებს აგრეთვე დაცვით ფუნქციას, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოო ანგარიშში ეს ფუნქცია ემსახურება სამართლის მოცემული დარგის რეგულაციური ფუნქციის განხორციელებას, მასზეა დაქვემდებარებული. ამასთან დაკავშირებით მართებულად წერს ვ.თ. იაკოვლევი, რომ „დაცვითი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები მოცემულ დარგში ასრულებენ დამხმარე, რეგულაციური ურთიერთობების უზრუნველმყოფ როლს და ამიტომ ხვედრითი წილის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ამ უკანასკნელს“.[1] რეალურად ეს იმაში ვლინდება,რომ სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ზომები, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია სუბიექტთა იმ სამართლებრივი მდგომარეობის აღსადგენად, რომელიც მის დარღვევამდე არსებობდა, სუბიექტთა დარღვეული მდგომარეობის თავდაპირველ მდგომარეობაში აღსადგენად, რომელიც სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციითაა განსაზღვრული. სხვა მდგომარეობაა, მაგალითად, სისხლის სამართალში. სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით ის ძირითადად დაცვით ფუნქციას ასრულებს – დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს სამართლის სხვა დარგებით, მათ შორის, სამოქალაქო სამართლით ანდა არასამართლებრივი სოციალური ნორმებით რეგულირებულ

1 И.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений, с. 115.

ურთიერთობებს. დაცვითი ფუნქციის განსახორციელებლად სისხლის სამართალი განსაზღვრავს, თუ საზოგადოებრივად საშიში რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და ადგენს სასჯელს იმ პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, ე.ი. არეგულირებს ჩადენილ დანაშაულთან და დამნაშავის დასჯასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სწორედ ამაშია სისხლის სამართლის რეგულაციური ფუნქციის არსი, რომელიც, როგორც ვხედავთ, ექვემდებარება სამართლის ამ დარგის ძირითადი – დაცვითი ფუნქციის განხორციელების ამოცანებს.[1]

ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების საგნის ბირთვია, წარმოიშობა საქონლის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესში და თავისი არსით ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთი სახეა. ამის გამო სამოქალაქო სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა ჯგუფში ეკონომიკური ფუნქცია წამყვანია. მაშინ, როდესაც სახელმწიფო სამართლისთვის წამყვანია პოლიტიკური ფუნქცია.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ფუნქცია სამოქალაქო სამართლის წამყვანი და არა ერთადერთი სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციაა. სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები გამოიყენება აგრეთვე მთელი რიგი სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალი ეკონომიკურ ფუნქციასთან ერთად ასრულებს სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს. თუმცა, სამოქალაქო სამართალი ამ ფუნქციებს ახორციელებს და შესაბამის ამოცანებს წყვეტს არა პირდაპირ, არამედ გაშუალებულად, კერძოდ, ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებით და დაცვით.

რაც შეეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციებს, დარგობრივ დონეზე ამ ჯგუფიდან არც ერთი არ იძენს წამყვანი ფუნქციის სტატუსს. აქ სამართლის ცალკეული დარგების თავისებურება იმაში მჟღავნდება, რომ მათ მითითებულ ფუნქციათა განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა არა აქვთ. მაგალითად, იმის გამო, რომ სამართლის ზოგიერთი დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მორალურ ნორმებთან (მაგალითად, სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართალი), მათი აღმზრდელობითი ზემოქმედების ეფექტი უფრო მეტია, ვიდრე იმ დარგებისა, რომლებიც შედარებით სუსტად არიან დაკავშირებული ზნეობრივ რეგულირებასთან (მაგალითად, საფინანსო სამართალი).

1 В.Г. Смирнов. Функции советского уголовного права, с. 15 и след.

სამართლის დარგების ფუნქციონალური თავისებურებები, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება. ჩვენ მიერ ზემოთ მითითებული მომენტები მხოლოდ ზოგადი სახით გამოხატავს სამართლის დარგთა სპეციფიკას მათ მიერ განხორციელებული ფუნქციის თვალსაზრისით, რაც, ჩვენი აზრით, საკმარისი არ არის არც სამართლის ამა თუ იმ დარგის ფუნქციონალური თავისებურების, ასევე არც მათ შორის ფუნქციონალური განსხვავების სრული სურათის წარმოსადგენად. ასე, მაგალითად, თვითონ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ სამოქალაქო სამართალს აქვს რეგულაციური და დაცვითი ფუნქციები, ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება სამართლის მოცემული დარგის ფუნქციონალურ თავისებურებაზე, რადგანაც ანალოგიური ფუნქციები სამართლის ყველა დარგს გააჩნია. ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად შენიშნავს ო.ა.კრასავჩიკოვი: „ამჟამად არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც სამოქალაქო სამართლის ფუნქციები დაიყვანება მხოლოდ ორამდე – რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებამდე. მათი არსებობის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ ისინი საერთოა მთელი სამართლისთვის და, ბუნებრივია, არ ასახავს სამოქალაქო-სამართლებრივ სპეციფიკას“.[1] მდგომარეობას არ ცვლის იმაზე მითითება, რომ ამ ფუნქციათაგან სამოქალაქო სამართლისთვის წამყვანია რეგულაციური ფუნქცია. ის ასევე წამყვანია ადმინისტრაციული სამართლისთვისაც. ანალოგიური მდგომარეობაა დარგობრივ დონეზე სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ძირითადი სახეების განხილვისას.

ამიტომ, სამოქალაქო სამართლის ფუნქციონალური თავისებურებები რომ განვსაზღვროთ და, შესაბამისად, მისი ფუნქციის სისტემა დავადგინოთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ ფუნქციათა რა ნაკრებია მოცემული სამართლის განსახილველი დარგის ზოგადი, ინტეგრალური ფუნქციების ჩარჩოებში. სამწუხაროდ, ცივილურ მეცნიერებაში ეს საკითხი საკმაოდ არ არის შესწავლილი. მაგალითად, ტ.ი.ილარიონოვა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციის გამოკვლევაში, აღნიშნავს, რომ „ცივილისტების მიერ არა თუ არ გამოკვლეულა, არამედ საკითხიც კი არ დასმულა, თუ ფუნქციათა როგორი კომპლექსია დაპროგრამებული სამოქალაქო სამართლის რეგულაციურ ქვესისტემაში, როგორია მათი შინაარსი და მიზნები. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლებრივი ნორ-

1 О.А. Красавчиков. Гражданско-правовой договор: понятие, содержание и функции, с. 20.

მების დაცვით ზემოქმედებას, არც აქ არის სიცხადე მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ წარმოდგენებში“.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი, რომელიც ასე თუ ისე შეეხო ამ პრობლემას და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ფუნქციების დაყოფას და დიფერენციაციას შეეცადა, ამ პროცესის შედეგად მიღებულ ფუნქციებს ან ზოგადი ფუნქციის „ასპექტებს“[2], ანდა სამართლის მოცემული დარგის „სპეციალურ“[3] ფუნქციებს უწოდებს. ჩვენი აზრით, ამგვარი სახელწოდებები არა თუ არ გამოხატავენ ამ მოვლენათა რეალურ მდგომარეობას, მათ სტატუსს, არამედ, და რაც მთავარია, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არასწორია. მითითებულ ფუნქციათა განხილვა ზოგადი ფუნქციის ასპექტებად, ვფიქრობთ, გარკვეულად ამცირებს მათ შედარებით დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ზოგადი ფუნქციისგან მათი განუყოფელობის შთაბეჭდილებას ქმნის. ამასთან, ფუნქციის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი მოვლენის, ასპექტთა სიმრავლე, რომელიც ხშირად მკვლევრის სუბიექტურ მოსაზრებებზე და პოზიციებზეა დამოკიდებული, შესაძლებელს ხდის ამ სახის ფუნქციის პრაქტიკულად განუსაზღვრელი რაოდენობის გამოცალკევებას, რაც, უდავოდ, აძნელებს მათ ობიექტურ მეცნიერულ კლასიფიკაციას.

მეორე უკიდურესობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ, თუკი ზემოთ მითითებულ ფუნქციებს განვიხილავთ როგორც სპეციალურს. საქმე ისაა, რომ ამგვარი მიდგომისას მკვლევარი ყოველთვის იმ ამოცანის წინაშე დგას, რომ ზოგადი ფუნქციის ფარგლებში გამოყოს მისი ისეთი სახეები, რომლებიც უშუალოდ გამოხატავენ სამართლის მოცემული დარგის სპეციფიკას და, შესაბამისად, მხოლოდ მისთვის იქნებოდა დამახასიათებელი. ბუნებრივია, ეს გარემოება მკვლევარს აიძულებს ზოგადი ფუნქციის ფარგლებში გამოყოს მისი ცალკეული სახეების მინიმალური რაოდენობა. რასაკვირველია, ეს ფუნქციები უფრო მეტად გამოხატავენ სამართლის მოცემული დარგის სპეციფიკას, ვიდრე მათი გამაერთიანებელი საერთო ფუნქცია. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი დიფერენციაციის შედეგად მიღებული ფუნქციები სამართლის მხოლოდ ამ დარგისთვის იქნება დამახასიათებელი. სამართლის დარგებს შორის განსხვავება არ გამორიცხავს ერთგვაროვანი ფუნქციების არსებობას მათი საერთო ფუნქციის ფარგლებში. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ სამართლის დარგებს შორის არა მხოლოდ განსხვავება არსებობს, არამედ ორგანული

1 Т.И. Илларионова. Проблема охранительной функции гражданского права, с. 63.
2 С.Т. Максименко. Функции советского гражданского права, с. 7.
3 Ш. Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве, с. 10.

და ფუნქციონალური ურთიერთკავშირიც, რომელიც სამართლის ფუნქციათა დიფერენციაციის ნებისმიერ დონეზე იჩენს თავს.

მაგალითად, მრავალი ავტორი სამოქალაქო სამართლის სპეციალურ ფუნქციად თვლის აღდგენით (საკომპენსაციო) ფუნქციას.[1] მაგრამ, როგორც დასაბუთებულადაა ნაჩვენები ამ ფუნქციის კვლევისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, აღდგენითი (საკომპენსაციო) ფუნქცია არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალს, არამედ სამართლის სხვა დარგებსაც გააჩნიათ (მაგალითად, შრომის სამართალს, ადმინისტრაციულ სამართალს და ა.შ.).[2] ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია განსახილველ ფუნქციებს ვუწოდოთ არა „სპეციალური“ ანდა „ასპექტები“, არამედ ზოგადი ფუნქციის კონკრეტული სახეები. ამგვარი სახელწოდება, ერთი მხრივ, მიუთითებს ზოგად ფუნქციებთან მათ ორგანულ კავშირზე, ხოლო მეორე მხრივ, მათ შედარებით დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს.

თავდაპირველად განვიხილოთ სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციის სისტემა. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამართლის ზოგად თეორიაში უკვე შეეცადნენ რეგულაციური ფუნქციის შინაგან დაყოფას ზოგადსამართლებრივ დონეზე. ასე, მაგალითად, ს.ს.ალექსეევის აზრით, რეგულაციური ფუნქცია არის „ორი ფუნქციის – რეგულაციურ სტატიკურის და რეგულაციურ დინამიკური ფუნქციების განზოგადებული სახელწოდება, რომელთაგან პირველი გამოიხატება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედებაში ამა თუ იმ სამართლებრივ ინსტიტუტებში ამ ურთიერთობათა დამაგრების გზით“, ხოლო მეორე – „საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედებაში მათი მოძრაობის (დინამიკის) გაფორმების გზით“.[3]

---

1 А.Б. Венедиктов. Гражданско-правовая охрана социалистической собственности в СССР. Изд-во АН СССР, М.-Л., 1954, с. 90; Т.Н. Радько. Основные функции социалистического права, с. 29 და სხვ.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. А.Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 58-64.

3 С.С. Алексеев. Проблемы теории права. Курс лекций в двух томах. Свердловск, 1972, т. 1, с. 96-97; его же. Общая теория права. Курс в двух томах, «Юридическая литература», М., 1981, т.1, с. 193.
უნდა აღინიშნოს რომ იურიდიულ ლიტერატურაში ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ.მ.გორშენევსაც, მაგრამ ს.ს.ალექსეევისაგან განსხვავებით სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს ის განიხილავს არა როგორც სამართლის რეგულაციური ფუნქციის, არამედ სამართლებრივი რეგულირების სახეობებს (В.М. Горшенев. Роль советского государства и права в осуществлении хозяйственной политики КПСС. Автореф. канд. дисс., М., 1956, с. 9-10; его же. Способы и организационные формы правового регулирования в социалистическом обществе. «Юридическая литература», М., 1972, с. 36-39).

რეგულაციური ფუნქციის ამგვარი დაყოფის ხელოვნურობაზე უკვე მიაქციეს ყურადღება იურიდიულ ლიტერატურაში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სწორად მიუთითებენ, რომ მაშინაც კი, როდესაც სამართლებრივი ნორმა თითქოსდა განამტკიცებს რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ის არა თუ არ აჩერებს მის მოძრაობას, არამედ მოცემული მიმართულებით გარკვეულ ცვლილებათა სივრცესაც ქმნის. და თუმცა სამართლებრივი რეგულირებისას კანონმდებელმა შეიძლება აქცენტი გააკეთოს ზემოქმედების საგანში სტაბილურობისა და დინამიკურობის თანაფარდობის ამა თუ იმ ცვლილებაზე, მაგრამ იგი მაინც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საგნის სტატიკა და დინამიკა ერთმანეთს მოვწყვიტოთ და არც იმისას, რომ ისინი სამართლის სხვადასხვა ფუნქციის რანგში ავიყვანოთ.[1] გარდა ამისა, თუკი რეგულაციური ფუნქციის ამგვარი სისტემა ასე თუ ისე შეიძლება წარმოვიდგინოთ მთლიანად სამართლის მიმართ, დარგობრივ დონეზე ის უკვე ვერ ასახავს სამართლის დარგების სპეციალურ ბუნებას, რის შედეგადაც ყველა დარგს ექნება არა მხოლოდ საერთო, ინტეგრალური ფუნქციის ერთნაირი სისტემა, არამედ რეგულაციური ფუნქციის კონკრეტული სახეების ერთნაირი ჯგუფიც. სწორედ ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზემოთ მითითებული ავტორების მიერ შემოთავაზებულ რეგულაციური ფუნქციის სტატიკურად და დინამიკურად დაყოფას და ვერ გამოვიყენებთ მას მეთოდოლოგიურ პრინციპად სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციის სისტემის განსაზღვრისას.

სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციის კონკრეტულ შემადგენელ სახეებად დაყოფისას, ჩვენი აზრით, იქიდან უნდა ამოვიდეთ, რომ მითითებული ფუნქცია წამყვანია სამოქალაქო სამართლისთვის. ეს გარემოება კი ბევრად განსაზღვრავს მისი კონკრეტული სახეების სისტემას, .

სისხლის სამართლისთვის, მაგალითად, იძულების გამოყენების მუქარა ინდივიდის ქცევაზე სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების მთავარი მიმართულებაა. სისხლის სამართალი ამიტომ ძირითადად შედგება ამკრძალავი ნორმებისგან, რომლის შინაარსიც აკრძალული ქცევისგან თავის შეკავების მოვალეობაში მდგომარეობს. სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების მთავარ მიმართულებას კი წარმოადგენს არა სანქციის გამოყენების მუქარა, არამედ პირიქით – ქცევის პოზიტიური (ნებადართული) მოდელის დაწესება, რომლითაც შეუძლიათ ან უნდა

1 Ф.И. Фаткуллин. Проблемы общей теории социалистической правовой надстройки. Изд-во Казанского ун-та, 1980, т. 1, с. 154.

იხელმძღვანელონ სუბიექტებმა თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ სამოქალაქო სამართალი ძირითადად შედგება უფლებააღმჭურველი ნორმებისგან და სამართლისესდარგიხასიათდება,უწინარესყოვლისა,სუბიექტებისთვის უფლებების მინიჭებით, რასაც თან ახლავს მოვალეობათა დაკისრება.[1] ამის გამო უფლებააღმჭურველი მიმართულება უმნიშვნელოვანესი მომენტია სამოქალაქო-სამართლებრივ რეგულაციურ ზემოქმედებაში და, შესაბამისად, უფლებააღმჭურველი ფუნქცია ერთ-ერთი პირველია, რომელიც სამართლის მოცემული დარგის რეგულაციური ფუნქციის ფარგლებში გამოცალკევდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივილურ ლიტერატურაში უფლებით აღჭურვა არ განიხილება როგორც სამოქალაქო სამართლის ფუნქცია. ცივილისტები მას მიიჩნევენ სამოქალაქო სამართლის მეთოდის ნიშნად. მაგალითად, ვ.თ.იაკოვლევის აზრით, უფლებით აღჭურვა სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის მთავარი ნიშან-თვისებაა.[2] უფლებით აღჭურვის ასეთ გაგებას ბევრმა ცივილისტმა არ დაუჭირა მხარი იმ მიზეზით, თითქოს უფლებით აღჭურვა არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალს ახასიათებს, არამედ სამართლის სხვა დარგსაც და, აქედან გამომდინარე, ის არ არის მისთვის სპეციფიკური და განმსაზღვრელი.[3] ჩვენი აზრით, ეს არგუმენტები დამაჯერებლობას არის მოკლებული. თვითონ ვ.თ.იაკოვლევი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ უფლებით აღჭურვა სამოქალაქო სამართლის გარდა სამართლის სხვა დარგებსაც ახასიათებს. მაგრამ, მათგან განსხვავებით, უფლებით აღჭურვას სამოქალაქო სამართალში, როგორც სწორად აღნიშნავს ის, განსაკუთრებული ხასიათი აქვს, რაც გამოიხატება პირველადობაში აღმჭურველი ნორმებისა, რომლებიც ადგენენ პოზიტიური შინაარსის უფლებებს, ე.ი. უფლებებს სუბიექტის აქტიური მოქმედებისათვის. სამოქალაქო სამართალში, რასაკვირველია, არის ამკრძალავი და მავალებელი ნორმებიც, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად არ გამოიყენება და „გამიზნულია ან შეფარდებით სამართლებრივ ურთიერთობებში

1 В.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений, с. 72-73.

2 იქვე, გვ. 70-85.

3 Ю.К. Толстой. Метод правового регулирования и его исследователи. – Правоведение, 1973, №6, с. 114; Г.А.Свердлык. Принципы советского гражданского права. Красноярск, 1985, с. 41; Советское гражданское право. Под. ред. В.Ф. Маслова, А.А. Пушкина. Киев, 1977, часть 1, с.15.

უფლებათა დაფიქსირებისათვის ვალდებული პირის ქცევის შინაარსის განსაზღვრის გზით, ან ნებადართული ქცევის ფარგლების განსასაზღვრად, ანდა შესაბამისი სამოქალაქო უფლებების დასაცავად“.[1]

სხვა მდგომარეობაა ადმინისტრაციულ სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ამ დარგისთვისაც რეგულაციური ფუნქციაა წამყვანი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულაციური ზემოქმედებისძირითადიმიმართულებისშინაარსისსამართლისსუბიექტისათვის უფლებების მინიჭება კი არ არის, არამედ მოვალეობების დაკისრება. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციულ სამართალში პირველადია არა აღმჭურველი, არამედ მავალებელი ნორმები, რომლებიც ადგენენ პირის მოვალეობებს გარკვეული დადებითი მოქმედების შესასრულებლად, თუმცა სამართლის მოცემული დარგი უფლებამოსილებებსაც ანიჭებს სუბიექტებს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.[2]

უფლებააღმქურველი ფუნქცია ხორციელდება პირისათვის სამართალსუბიექტობის მინიჭებით, ე.ი. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ, სუბიექტად ყოფნის იურიდიული შესაძლებლობით. სამართალსუბიექტობა, როგორც ცნობილია, არის მისი სტრუქტურული ელემენტების – უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობა. სამართლის ბევრ დარგში სამართალსუბიექტობა მართლაც არსებობს როგორც ერთიანი უფლება – ქმედუნარიანობა, ე.ი. სამართლის სუბიექტად აღიარებულია პირი, რომელიც ერთდროულად უფლებაუნარიანიც არის და ქმედუნარიანიც, მაგრამ სამოქალაქო სამართალში სამართლის მოცემული დარგის სუბიექტად პირის აღიარებისათვის აუცილებელი არ არის დასახელებული ელემენტების დამთხვევა ერთ პირში. სამოქალაქო კანონმდებლობა სამართლის სუბიექტად აღიარებს არა მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ერთდროულად აქვთ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, არამედ იმ პირებსაც, რომელთაც მხოლოდ უფლებაუნარიანობა გააჩნიათ. მაშასადამე, სამართალსუბიექტებად მიიჩნევიან ის ადამიანებიც, რომელთა ნებელობა ნაკლულოვანია, მაგალითად, მცირეწლოვანი, სულით ავადმყოფი.[3] აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში უფლებით აღჭურვა გამოიხატება, უწინარეს

1 В.Ф. Яковлев. Указ. соч., с. 72-73.

2 იქვე, გვ. 71.

3 Н.В. Витрук. Основы теории правового положения личности в социалистическом обществе, «Наука», 1979, с. 91; С.С. Алексеев. Общая теория права, т. II, с. 146.

ყოვლისა, პირისათვის უფლებაუნარიანობის მინიჭებით, ე.ი. შესაძლებლობით, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. და თუმცა უფლებაუნარიანობა თავის თავში შეიცავს არა მხოლოდ უფლებას, არამედ მოვალეობების ფლობის უნარსაც, მაგრამ, როგორც სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლებების ფლობის უნარს, რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავს იმ თვისებრიობას, რომელშიც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი გამოდის“.[1]

შემთხვევითი არ არის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში უფლებაუნარიანობის შინაარსის გადმოცემა ხდება ყველაზე არსებითი სამოქალაქო უფლებების (და არა მოვალეობების) ჩამოთვლით, რომლებსაც შეიძლება ფლობდნენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი).

რადგანაც ყველა ადამიანს თავისი ცნობიერებისა და ნებისყოფის მდგომარეობის მიუხედავად (ანუ ქმედუნარიანებს და არაქმედუნარიანებს) გარკვეული მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები გააჩნიათ, რომელთა დაკმაყოფილებისა და სოციალური სიკეთის ფლობის იურიდიულ საშუალებას სასაქონლო წარმოების პირობებში უფლებები წარმოადგენს, ყველა მოქალაქეს დაბადებიდან გარდაცვალებამდე თანაბრად აქვს მინიჭებული სამოქალაქო უფლებაუნარიანობა (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის კოლექტიურ სუბიექტებს – იურიდიულ პირებს, ისინი შექმნის მომენტიდან ფლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას მათი საქმიანობის მიზნების შესაბამისად (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი).

ამგვარად, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა სპეციფიკური სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც აბსტრაქტული ხასიათისაა და კონკრეტული უფლებების მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს. ამ უფლებათა ყველაზე მნიშვნელოვანი სახეები, როგორც უკვე ითქვა, დაფიქსირებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლში. მაგრამ ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. იქვე მითითებულია, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ ჰქონდეთ, აგრეთვე, სხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები. ისინი გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ ინსტიტუტებში.

1 В.Ф. Яковлев. Указ. соч., с. 74.

სამოქალაქო-სამართლებრივ ზემოქმედებაში უფლებააღმჭურველ მიმართულებას იმდენად განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რომ სამართლის განსახილველი დარგის რეგულაციური ქვესისტემის ძირითადი ნაწილი (როგორც ზოგადი, ასევე განსაკუთრებული ნაწილის ინსტიტუტების უდიდესი უმრავლესობა) არსებითად წარმოადგენს სამოქალაქო უფლებების ცალკეული სახეობის შეძენის, განხორციელებისა და შეწყვეტის წესების განსაზღვრას, ე.ი. უფლებაუნარიანობაში მოცემული შესაძლებლობების რეალიზაციას, ხოლო სამოქალაქო სამართლის დაცვითი ქვესისტემის მთავარი დანიშნულება პრინციპში არის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა ნებისმიერი დარღვევებისაგან. ამას გარდა, სხვა დარგებისგან განსხვავებით, უფლების მინიჭება სამოქალაქო სამართალში გაძლიერებულია იმით, რომ მის სუბიექტებს შეუძლიათ ისეთი უფლებებიც მოიპოვონ, რომლებიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ შეესაბამებიან (არ ეწინააღმდეგებიან) სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგად საწყისებსა და აზრს (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი).

მოყვანილი დებულებების შუქზე ჩანს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ რეგულირებაში უფლებააღჭურვას აქვს სპეციფიკური, განსაკუთრებული ხასიათი. მაგრამ, ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უფლებააღჭურვა მეთოდის ნიშან-თვისება კი არ არის, არამედ სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციის კონკრეტული სახეობაა, რადგანაც იგი რეგულირების ხერხს კი არ წარმოადგენს, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულაციური ზემოქმედების ერთ-ერთი მიმართულებაა.

პიროვნებისთვის უფლებაუნარიანობის მინიჭება არ ნიშნავს, რომ ის ავტომატურად ხდება კონკრეტული სამოქალაქო უფლებით აღჭურვილი. სხვა დარგებისგან განსხვავებით სამოქალაქო სამართალში, როგორც სწორადაა აღნიშნული ლიტერატურაში, მოქალაქეთათვის უფლებები უშუალოდ არ გამომდინარეობენ სამართლის ნორმებიდან.[1] სამოქალაქო უფლებებს პირები იძენენ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც დამაკავშირებელ რგოლებად გამოდიან სამართლის ნორმასა და კონკრეტული სუბიექტის უფლებებს (მოვალეობებს) შორის.[2] სამოქალაქო სამართალში იურიდიული ფაქტების ყველაზე გავრ-

1 Е.Г. Флейшиц. Соотношение правоспособности и субъективных прав. В кн.: Вопросы общей теории советского права, М., 1960, с. 271-281.

2 С.С. Алексеев. Общая теория права, т. II, с. 164-165.

ცელებულ სახეს წარმოადგენს სუბიექტთა მართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობისაკენ (იურიდიული აქტები), აგრეთვე მართლზომიერი მოქმედება, რომელსაც კანონი უკავშირებს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას მიუხედავად იმისა, მიმართული იყო თუ არა ეს მოქმედება ამ შედეგებისკენ (იურიდიული ქცევები).[1]

ამგვარად სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ სამართლის განსახილველი დარგის სუბიექტები, როგორც წესი, თავიანთი მიზანმიმართული მართლზომიერი მოქმედებებით იძენენ სამოქალაქო უფლებებს და კისრულობენ ვალდებულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქტიური მართლზომიერი მოქმედებების შედეგად სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს უფლებაუნარიანობის საფუძველზე უჩნდებათ კონკრეტული უფლებები, რომელთა განხორციელებაც მათ საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ესა თუ ის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

მაშასადამე, სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შინაარსში მოცემული უფლების მოპოვების აბსტრაქტულ შესაძლებლობათა რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი ეკისრებათ თვითონ სუბიექტების ინიციატივას. ინიციატივის გამოვლენის გარეშე სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ შეიძინონ და განახორციელონ უფლებები და მოვალეობები. ამასთან დაკავშირებით ცივილურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, სწორად აკრიტიკებენ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სუბიექტთა ინიციატივა თითქოს მთელი სამოქალაქო სამართლისთვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ მხოლოდ ისეთი ინსტიტუტისთვის, როგორიცაა სამეურნეო ხელშეკრულება.[2] სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობა, რასაკვირველია, ყოველთვის არაა დამოკიდებული პირის ინიციატივიან მოქმედებაზე, ისინი წარმოიშობიან აგრეთვე იურიდიული ხდომილებებისა და ადმინისტრაციული აქტების შედეგად,

---

1 Советское гражданское право. Под. ред. О.А. Красавчикова, М., 1985, т.1, с. 89-91. იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღნიშნავენ, რომ „სამართლის სხვა დარგებში იურიდიულ ფაქტებს შორის გაბატონებული ანდა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ მართლსაწინააღმდეგო ქცევებს (სისხლის სამართალში) ან სახელმწიფო ორგანოების აქტებს (ადმინისტრაციულ, საფინანსო, მიწის, პროცესუალურ, საოჯახო სამართალში), ან სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის აქტებს, რომელთაც განსაკუთრებული , მეორე მხარისაგან განსხვავებული მდგომარეობა უკავია (შრომის, საკოლმეურნეო სამართალი) (В.Ф. Яковлев. Указ. соч., с. 95).

2 Г.А. Свердлык. Принципы советского гражданского права. Красноярск, 1985, с. 107.

რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის სუბიექტის საკუთარი ინიციატივის გამოვლენასთან. მაგრამ, როგორც სამოქალაქო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ანალიზი გვიჩვენებს, უმრავლეს შემთხვევაში სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასა და განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვითონ სუბიექტთა ინიციატივას. ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს გ.ა. სვერდლიკი, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა ინიციატივა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკუთრების, საბინაო, ვალდებულებითი, აგრეთვე შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ და მემკვიდრეობის თითქმის ყველა სამართლებრივი ურთიერთობის ჯერ კიდევ მომზადების, დასაბუთებისა და გაფორმების სტადიებზე.[1]

ზემოაღნიშნული საშუალებას იძლევა ზოგადი რეგულაციური ფუნქციის ფარგლებში უფლებააღმჭურველ ფუნქციასთან ერთად გამოიყოს კიდევ ერთი – საინიციატივო ფუნქცია. საინიციატივო ფუნქცია ხორციელდება სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის იურიდიულ-ფაქტობრივი საფუძვლების განსაზღვრით, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარიგებებს, სულიერი შემოქმედების შედეგებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სხვა მართლზომიერ მოქმედებებს (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი), აგრეთვე – პირებისათვის ქმედუნარიანობის მინიჭებით, ე.ი. უნარით თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებები (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი).

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში სამართლებრივი ინიციატივის მნიშვნელობა სხვადასხვანაირად არის გაგებული. ავტორთა ერთი ნაწილი სამართლებრივ ინიციატივას განიხილავს როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის ნიშანს,[2] სხვები – როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპს.[3] ამასთანავე, როგორც გ.ა.სვერდლიკი შენიშნავს, სამართლებრივი ინიციატივა ქრონოლოგიურად უფრო ადრე გამოვლინდა, დაფუძნდა და გაანალიზდა როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, ხოლო შემდგომ უსიტყვოდ გამოცხადდა მეთოდის ნიშნად. ცივილურ მეცნიერებაში სამართლებრივი ინიცია-

1 Г.А. Свердлык. Указ. соч., с. 107.

2 В.Ф. Яковлев. Указ. соч., с. 10.

3 Г.А. Свердлык. Указ. соч., с. 106-108; Советское гражданское право. Изд-во Ленинградского ун-та, 1971, т.1, с.18; К.К. Лебедев. Инициатива субъектов и регламентации их поведения по советскому гражданскому праву. Автореф. канд. дисс. Л., 1972, с. 4.

ტივის იურიდიული ბუნების გაგებაში აზრთა არსებითი სხვაობის შესახებ მეტყველებს, აგრეთვე, ერთი და იმავე ავტორთა შეხედულებების არათანმიმდევრულობა მოცემულ საკითხში. მაგ., ო.ა. კრასავჩიკოვი ერთ-ერთ თავის ნაშრომში სამართლებრივ ინიციატივას განიხილავს როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ფუნქციას,[1] ხოლო სხვაგან – როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის ნიშან-თვისებას.[2]

ჩვენი აზრით, სამართლებრივი ინიციატივა არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის ნიშან-თვისება, არ შეიძლება აგრეთვე მისი განხილვა სამართლის მოცემული დარგის პრინციპად. სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდი იურიდიული ზემოქმედების ხერხია, რომელსაც ახასიათებს სუბიექტთა იურიდიული თანასწორობა ერთმანეთთან ურთიერთობაში მათი ქონებრივი დამოუკიდებლობის და პირადი არაქონებრივი სიკეთის ფლობის საფუძველზე. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდის სპეციფიკური ნიშანი არის სუბიექტთა იურიდიული თანასწორობა. სწორედ იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები იურიდიულად თანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან, ორგანიზაციულად და ქონებრივად განცალკევებულები არიან, ერთმანეთს არ ემორჩილებიან და ერთმანეთის ხელქვეითნი არ არიან, სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისას გადამწყვეტი როლი ენიჭება სუბიექტთა საკუთარ მოქმედებებს. აქ, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს როგორც სამოქალაქო სამართლის მეთოდსა და ფუნქციას შორის განსხვავება, ისე მათ შორის ორგანული კავშირი და ურთიერთშესაბამისობის აუცილებლობა.

სამოქალაქო სამართლის პრინციპების ან ფუნქციებისადმი სამართლებრივი ინიციატივის მიკუთვნების გასარკვევად აუცილებელია ამ კატეგორიათა იურიდიული ბუნების გათვალისწინება. პრინციპები გამოხატავენ სამოქალაქო სამართლის შინაარსის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს, ხოლო ფუნქციები – მის აქტიურ მოქმედ მხარეს. ამიტომ, თუკი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების კვალობაზე სამოქალაქო სამართლის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს და, შესაბამისად - მისი პრინციპებიც, სამართლის მოცემული დარგის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციები უცვლელი რჩება.

სამართლებრივი ინიციატივის იურიდიულ ბუნებას თუ ამ

1 О.А. Красавчиков. Гражданско-правовой договор: понятие, содержание функции. В сб.: Гражданско-проавовой договор и его функции, Свердловск, 1980, с. 16-17.

2 Советское гражданское право. Под. ред. О.А. Красавчикова, М., 1985, т.1, с. 21-22.

პოზიციებიდან განვიხილავთ, მაშინ საეჭვოა მისი მიკუთვნება სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი. სამართლებრივი ინიციატივა სამოქალაქო სამართალს ახასიათებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით. წარმოადგენს რა ამ ზემოქმედების ერთ-ერთ მიმართულებას, საინიციატივო ფუნქცია იმანენტურად არის დამახასიათებელი სამოქალაქო სამართლისათვის თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, მიუხედავად საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიზმისა და აღნიშნული დარგის შინაარსში შესაბამისი ცვლილებებისა. სუბიექტთათვის სამართლებრივი ინიციატივის მიუცემლად სამოქალაქო სამართალი ვერ შეძლებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას. მაშინ, როცა სახელმწიფო საკუთრების უფლების უპირატესი დაცვის პრინციპის გარეშე, სამოქალაქო სამართალი მაინც იქნებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების საგანს წარმოადგენს ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, საზოგადოება და სახელმწიფო პირდაპირ არიან დაინტერესებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობითა და განვითარებით. ამ მიზნით სამოქალაქო სამართალი არა მხოლოდ განსაზღვრავს უფლებათა და მოვალეობათა წრეს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების წევრებს, აღჭურვავს მათ ამავე დროს სამართლებრივი ინიციატივით, არამედ შეიცავს, აგრეთვე, სპეციალური დამატებითი ზომების სისტემას, რომლის საშუალებითაც იზრდება სუბიექტთა აქტიურობა როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების საქმეზე, ისე სამოქალაქო უფლებათა განხორციელებასა და სამოქალაქო უფლებათა შესრულებაში. ეს სამოქალაქო-სამართლებრივი ზომები ძირითადად დაკავშირებულია გარკვეული მატერიალური სტიმულირების გამოყენებასთან და გვევლინება წახალისების, შეღავათის, დანამატისა და უპირატესობის მინიჭების სახით.[1] მითითებული ზომები, რომლებიც სტიმულის კონკრეტული სახეებია, განსხვავდებიან თავიანთი მიმართულებითა და

1 სამოქალაქო სამართალი, რეგულირების საგნის სპეციფიკის გამო, არ ადგენს მორალური ხასიათის მასტიმულირებელ ღონისძიებებს. თუმცა, მორალური ფაქტორი გარკვეულ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივ რეგულირებაში (იხ. Дж. Г. Хецуриани. Значение моральных норм в советском гражданском праве. Тбилиси, 1980).

შინაარსით, მაგრამ აქვთ საერთო მიზანი – მართლზომიერი ქცევის სტიმულირება და სუბიექტთა სამართლებრივი აქტივობის ამაღლება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სტიმულირება ხორციელდება როგორც ამა თუ იმ დადებითი შედეგების გათვალისწინების გზით (მაგალითად, მატერიალური წახალისება ვალდებულების ჯეროვნად და უკეთ შესრულებისთვის), ასევე უარყოფითი შედეგების დადგენით (მაგალითად, პასუხისმგებლობის ზომები).[1] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტიმულირების ზომები იყოფა ორ ჯგუფად: პოზიტიური და ნეგატიური ხასიათის ზომებად. სტიმულირების ზომების ბუნების ამგვარი გაგებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს განმაზოგადებელი თეორიული დასკვნა იმის თაობაზე, რომ მასტიმულირებელი ფუნქცია ხორციელდება სამოქალაქო სამართლის არა მხოლოდ რეგულაციური, არამედ დაცვითი ქვესისტემით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ცივილისტურ ლიტერატურაში სპეციალურად იკვლევენ სამართლის მოცემული დარგის დაცვითი ქვესისტემის კომპონენტების მასტიმულირებელ ფუნქციას.[2]

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. როგორც უკვე აღინიშნა, მასტიმულირებელი ზომების დანიშნულებაა სუბიექტებს აღუძრას მართლზომიერი, დადებითი და სოციალურად სასარგებლო ქცევების ჩადენის სურვილი, მაშინ როდესაც დაცვითი ზომები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იქითკენ, რომ სუბიექტებმა თავი შეიკავონ სამართალდარღვევებისაგან, ე.ი. სოციალურად მავნე, საზოგადოებისათვის არასასურველი მოქმედებისაგან. ამის შესაბამისად, დაცვის ზომების ძირითადი ფუნქციაა არა მართლზომიერი ქცევის სტიმულირება, არამედ სამართალდარღვევათა აღკვეთა და თავიდან აცილება, სუბიექტების დარღვეული მდგომარეობის აღდგენა და ა.შ.[3]

სტიმულირების სამოქალაქო-სამართლებრივი ზომები გან-

---

1 Стимулирование исполнения хозяйственных договоров, Минск, 1968, с. 21-22; З.А. Астемиров. Понятие юридической ответственности. – Советское государство и право, 1979, №6, с. 60; О.В. Макаров. Стимулирующая функция гражданского права. – Правоведение, 1987, №5, с. 94-95..

2 М.Г. Пронина. Стимулирующая функция гражданско-правовых санкций, Минск, 1977.

3 ამასთან დაკავშირებით, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ო.ე.ლეისტის აზრს, რომელიც უარყოფს პასუხისმგებლობის მასტიმულირებელ როლს (იხ. О.Е. Лейст. Санкции в советском праве. М., Госюриздат, 1962, с. 40-43).

მტკიცებულია წამახალისებელ და სარეკომენდაციო ნორმებში,[1] რომელთა მეოხებითაც ხორციელდება სამოქალაქო სამართლის მასტიმულირებელი ფუნქცია.

მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში ძნელი არ არის წამახალისებელი და სარეკომენდაციო ნორმების აღმოჩენა, რომლებიც სტიმულირების ზომებს შეიცავენ, რადგან, ჯერ ერთი, „სტიმულირება", „წახალისება", „შეღავათები", „დანამატები", .„უპირატესობის მინიჭება" საკანონმდებლო ტერმინებია და ისინი იშვიათად როდი გვხვდება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებში; მეორე, ნორმატიულ დებულებათა ჩამოყალიბებისას კანონმდებელი მიმართავს ისეთ კონსტრუქციებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმათა მასტიმულირებელ დანიშნულებაზე. უდავოდ მასტიმულირებელი ხასიათი აქვს სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც შეიცავენ, მაგალითად, ასეთ კონსტრუქციებს: „დაინტერესების გასაძლიერებლად", „მატერიალური დაინტერესების შექმნის მიზნით", „პირველი რიგის უფლება აქვთ" და ა.შ. მესამე, ამა თუ იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის წამახალისებელი ნორმებისადმი კუთვნილებას, რომლებიც არ შეიცავენ ზემოთ მითითებულ სპეციალურ ტერმინებსა და კონსტრუქციებს, შეიძლება ადასტურებდეს თვითონ მოცემული ნორმის შინაარსი, მისი მიზნობრივი დანიშნულება.

სამოქალაქო კანონმდებლობაში, განსაკუთრებით კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, ზოგჯერ გამოყოფილია მონაკვეთი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება საქონელმწარმოებელ სუბიექტთა საქმიანობის სტიმულირებას. უფრო მეტიც, არსებობს ნორმატიული აქტები, რომლებიც მთლიანად ეძღვნება გარკვეული კატეგორიის პირთათვის შეღავათების და უპირატესობის დადგენას. მაგრამ ნორმატიული მასალის ამგვარი გადმოცემა მაინც არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში მოცემული წამახალისებელი და სარეკომენდაციო ნორმების ერთობლიობა, რომლითაც ხორციელდება სამოქალაქო სამართლის მასტიმულირებელი ფუნქცია, წარმოშობს რაიმე თვისებრივ სამართლებრივ ერთობლიობას.[2] მითითებული ნორმები რჩებიან სამართლის სისტემის პირველადი ქვედანაყოფის დონეზე და სხვა რეგულაციურ ნორმებთან ერთად შეადგენენ სამოქალაქო სამართლის

1 წამახალისებელი და სარეკომენდაციო ნორმების იურიდიული ბუნების შესახებ იხ. В.М. Баранов. Поощрительные нормы советского социалистического права. Изд-во Саратовского ун-та, 1978; С.С.Алексеев. Общая теория права, т. 11, с. 79-81.

2 სამართლებრივი ერთობლიობის (общность) არსებობის რეალური მაჩვენებლის შესახებ იხ. С.С.Алексеев. Структура советского права, с. 37-38.

ინსტიტუტების სამართლებრივ „ქსოვილს“.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს სრული თავისუფლება აქვთ თავიანთი შეხედულებისამებრ განახორციელონ ან არ განახორციელონ ის სამართლებრივი შესაძლებლობები, რომლებიც უფლებაუნარიანობის შინაარსში ძევს (მაგალითად, შეიძინონ თუ არა ესა თუ ის უფლებები, აირჩიონ მათი შეძენის კონკრეტული ხერხები და ა. შ.). ამასთანავე, მათ თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ უკვე მოპოვებული უფლებების განხორციელების კონკრეტული გზები (მაგალითად, ქონების განკარგვის უფლება შეიძლება განხორციელდეს მესაკუთრის მიერ მისი გაყიდვით, ჩუქებით, მემკვიდრეობით გადაცემით, გაქირავებით და ა.შ.), კონტრაგენტთან შეთანხმებით განსაზღვრონ სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი და ა.შ.

სუბიექტისთვის თავისუფლების მიცემა, რომ მან თავისი შეხედულებით განაგოს უფლებები, არის სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულაციური ზემოქმედების ერთ-ერთი მიმართულება და წარმოადგენს სამართლის განსახილველი დარგის <u>დისპოზიციური ფუნქციის</u> არსს.

დისპოზიციური ფუნქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული უფლებააღმჭურველ, საინიციატივო, მასტიმულირებელ ფუნქციებთან და თავის სოციალურ-ეკონომიკური და მისი შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია. სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა ქონებრივი განცალკევებულობა და დამოუკიდებლობა სასაქონლო წარმოების პირობებში მათთვის მხოლოდ ფართო უფლებების მინიჭების აუცილებლობას კი არ განაპირობებს, არამედ გულისხმობს უფლებებისა და სამართალსუბიექტობის განხორციელების ფართო იურიდიულ შესაძლებლობებსაც (თავისუფლებებსაც) კონკრეტული მოთხოვნილებების, სამეურნეო მიზანშეწონილობის, მატერიალური შესაძლებლობებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით. ამიტომ სუბიექტთა უფლებების გაზრდასთან ერთად უნდა გაფართოვდეს მათი თავისუფლების (დისპოზიციურობის) ფარგლები ამ უფლებათა შეძენისა და რეალიზაციის კონკრეტული ვარიანტების არჩევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სწორად შენიშნავს ო.ა. კრასავჩიკოვი, უფლებათა გაფართოება იურიდიულ დეკლარაციად დარჩება, ხოლო დისპოზიციურობის დარღვევა (პრაქტიკული შეზღუდვა) არარაობად გადააქცევს ეკონომიკური რეფორმით გათვალისწინებული

მიზნების მიღწევას.[1] ამგვარი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად და უფლებით აღჭურვასა და დისპოზიციურობას შორის ურთიერთშეთანხმებულობის უზრუნველსაყოფად „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის მე-5 მუხლში დაფიქსირებულია დებულება, რომლის თანახმადაც მეწარმეს უფლება აქვს განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. კანონის მოყვანილ მუხლში შემთხვევით არაა მითითებული მეწარმის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებლობის დაცვის აუცილებლობაზე. საქმე ისაა, რომ სამართლის სუბიექტის მიერ მოქმედების კონკრეტული ვარიანტის არჩევის თავისუფლებას თავისი ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჰქონდეს, ანუ დისპოზიციურობა უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან. „კანონის გარეშე, მისი გვერდის ავლით არც მოქალაქეს, არც იურიდიულ პირს არ შეუძლია გახდეს დისპოზიციურობის მატარებელი და, შესაბამისად, – შეიძინონ, განახორციელონ ან განაგონ თავიანთი უფლებები“.[2]

დისპოზიციურობის ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლები და, შესაბამისად, დისპოზიციური ფუნქციის განმხორციელებელი არის, უწინარეს ყოვლისა, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სუბიექტებს აძლევენ უფლებას თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი – ე.წ. **დისპოზიტიური** ნორმები (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 170-ე, 171-ე, 175-ე, მუხლები). ისინი სამოქალაქო სამართლის ნორმათა უმრავლესობას შეადგენენ. დისპოზიციური ფუნქცია უზრუნველყოფილია აგრეთვე სუბიექტისათვის თავისი უფლებაუნარიანობის განხორციელებაში, უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის კონკრეტული საფუძვლების არჩევაში თავისუფლების მიცემით და სხვ.

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ერთდროულად არის დაფიქსირებული სამოქალაქო სამართლის უფლებაარღჭურველი, საინიციატივო და დისპოზიციური ფუნქციების ზოგადი ნორმატიულ-სამარ-

1 О.А. Красавчиков. Диспозитивность в гражданско-правовом регулировании. – Советское государство и право, 1970, №12, с. 45.

2 О.А. Красавчиков. Указ. соч., с. 46.

თლებრივი საფუძვლები. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულაციური ზემოქმედების პროცესის ერთიანობას, ასევე მის ცალკეულ მიმართულებებს შორის ორგანულ კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ცივილისტთა უმრავლესობა დისპოზიციურობას მიიჩნევს სამოქალაქო სამართლის მეთოდის ნიშან-თვისებად.[1] სამართლის ზოგად თეორიაში სხვა აზრიც არის გამოთქმული, რომლის თანახმად დისპოზიციურობა სამართლის პრინციპია, რომელიც შეესაბამება დეცენტრალიზებული, „ავტონომიური" რეგულირების მეთოდს.[2] ი.კ. ტოლსტოის აზრით კი, განსახილველი კატეგორია არც მეთოდის ნიშან-თვისებას მიეკუთვნება და არც სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პრინციპებს.[3]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდს ახასიათებს სუბიექტთა იურიდიული თანასწორობა ერთმანეთთან ურთიერთობაში, რომლის საფუძველიც მათი ქონებრივი დამოუკიდებლობაა. ქონებრივი დამოუკიდებლობა, თავის მხრივ, ეყრდნობა სუბიექტთა ქონებრივ განცალკევებულობას და ამ ქონების საკუთარი ნებით გამგებლობის თავისუფლებას. ამგვარად, სუბიექტთა თანასწორობის საფუძველი საბოლოო ანგარიშში არის ქონებრივ-განმკარგულებელი დამოუკიდებლობა. სამოქალაქო სამართლის დისპოზიციური ფუნქცია გამიზნულია სწორედ სუბიექტთა ქონებრივ-განმკარგულებელი დამოუკიდებლობის იურიდიული უზრუნველყოფისათვის მათთვის ფართო შესაძლებლობების (თავისუფლების) მინიჭების საშუალებით, რათა თავიანთი შეხედულებისამებრ განაგონ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები. ნათქვამიდან, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს, რომ დისპოზიციურობა არის არა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდის ნიშანი ან პრინციპი, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულაციური ზემოქმედების ერთ-ერთი მიმართულება, ე.ი. ფუნქცია, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა იურიდიული თანასწორობის საფუძვლებს ქმნის. ამის გამო მეთოდსა და დისპოზიციურობას შორის მჭიდრო

1 В.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений, с. 85-93; Т.Н.Молчанова. Диспозитивность в советском гражданском праве. Автореф. канд. дисс., Свердловск, 1972; О.А. Красавчиков. Указ. соч., с. 42; Советское гражданское право. Под. ред. В.Ф. Маслова и А.А. Пушкина. Киев, 1977, с. 15.

2 С.С. Алексеев. Общая теория права, т. 11, с. 76.

3 Ю.К. Толстой. Метод правового регулирования и его исследователи, с. 115.

ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. დისპოზიციურობის დარღვევას მოსდევს სუბიექტთა ქონებრივ-განმკარგულებელი დამოუკიდებლობის დარღვევა, რაც საბოლოო ანგარიშში არღვევს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მხარეთა თანასწორობის საფუძვლებს. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები თვითონ წყვეტენ დადონ თუ არ დადონ ესა თუ ის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადება ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც მათი ნების გამოხატვის შედეგია. შეთანხმება თუ არ არის მიღწეული, ვერც ხელშეკრულება დაიდება. სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი კავშირების დამყარების ასეთი წესი დადგენილია მათი იურიდიული თანასწორობის შესაბამისად. ამიტომ კოტრაჰენტის იძულება გარიგების დადებაზე არა მხოლოდ ხელშეკრულების დადების თავისუფლებას არღვევს, არამედ მხარეთა იურიდიულ თანასწორობასაც. ამგვარ ქმედებას კრძალავს სამოქალაქო კანონმდებლობა. ასე, მაგალითად, ბათილად ითვლება ძალადობის ან მუქარის შედეგად დადებული გარიგება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი). ამგვარად, სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც დისპოზიციურობას უზრუნველყოფენ, ამითვე უზრუნველყოფენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მხარეთა იურიდიულ თანასწორობასაც.

ასეთია, ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქციებისსისტემა. ისინიხორციელდებარეგულაციურსამართლებრივ ურთიერთობებში. მათი გამტარებლები არიან სამართლის მოცემული დარგის რეგულაციური ქვესისტემის კომპონენტები: ნებადართული ქცევის ზომები (რომელთაც სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების დისპოზიციები შეიცავს), რეგულაციური ნორმები, რეგულაციური ინსტიტუტები და რეგულაციური ქვედარგები. უნდა აღინიშნოს, სამოქალაქო სამართლის ცნობილი სპეციფიკის გამო რეგულაციურ ქვესისტემას დომინირებული მდგომარეობა უჭირავს მის მთლიან სისტემაში.

ახლა განვიხილოთ სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციების სისტემა უფრო საფუძვლიანადაა გამოკვლეული, ვიდრე მისი რეგულაციური ფუნქციის სისტემა. ეს, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ტრადიციულად სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა მეცნიერი-ცივილისტების მუდმივი ყურადღების ობიექტია. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტისადმი მიძღვნილ შრომებში, როგორც

წესი, გზადაგზა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციებსაც იკვლევენ. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ აღდგენით, საკომპენსაციო, მასტიმულირებელ, აღმზრდელობით, პრევენციულ, რეპრესიულ, პროფილაქტიკურ, დამსჯელ, საჯარიმო, აღმკვეთ, მასიგნალიზებელ, სტატუტურ, სამართალუზრუნველმყოფ, საკოორდინაციო ფუნქციებს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვის ფუნქციას, სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ფუნქციას.[1]

ამ ჩამონათვალიდან საგანგებო ანალიზის გარეშეც ჩანს, რომ ცივილურ მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციის კონკრეტული სახეების შესახებ. მაგალითად, სასიგნალიზაციო, სტატუტური, საკოორდინაციო ფუნქციის გამოყოფა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ისინი არ გამოხატავენ განსახილველი მოვლენის არსს, არ გამომდინარეობენ პასუხისმგებლობის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანებიდან. უკეთ არ არის საქმე ზოგიერთი სხვა ფუნქციის მიმართაც (მაგალითად, მასტიმულირებელი ფუნქცია), რომელთა განხილვა პასუხისმგებლობის ფუნქციად სადავოდ მიგვაჩნია.

ცალკეულ ავტორთა ცდა, რომ პასუხისმგებლობას დააკისრონ მისთვის უჩვეულო, არადამახასიათებელი ფუნქციები, არის მოცემული კატეგორიის ჰიპერბოლიზაციის შედეგი, მისი მნიშვნელობის გადაფასება დაცვითი ფუნქციის განხორციელებაში, მთელი დაცვითი ზემოქმედების გაიგივება იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაციასთან. სინამდვილეში კი პასუხისმგებლობის ზომები სამოქალაქო სამართლებრივი დაცვითი ზომების ერთიანი სისტემის მხოლოდ შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ სამოქალაქო სამართლის ზოგადი დაცვითი ფუნქციის ფარგლებში. ამიტომ, დაცვითი ფუნქციის სისტემის ასაგებად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო სამართლის დაცვის ზომების

1 Н.С.Малеин. Правонарушение: понятие, причины, ответственность, М., 1985, с. 145; А.Я.Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 28- 48; М.А.Бестугина. Социальная обусловленность и назначение гражданско-правовой ответственности в современных условиях. Автореф. канд. дисс., М., 1986, с. 20; Гражданско-правовое положение личности в СССР. “Наука», М., 1975, с. 173-174; А.М.Белякова. Вопросы методологии гражданско-правовой ответственности. – В сб.: Методологические и теоретические проблемы юридической науки. М., 1986, с. 95-97; Советское гражданское право. Под ред. О.А.Красавчикова, М., 1985, т. 1, с. 504-505; Витольд Веркалло. Ответственность по гражданскому праву, “Прогресс», М., 1978, с. 29 და სხვ.

სისტემაში გარკვევა. მისი შემადგენელი ელემენტების გამოკვეთილი მიზნობრივი მიმართულება და სპეციალიზაცია საიმედო ორიენტირებს მოგვცემს სამართლის მოცემული დარგის დაცვითი ფუნქციების კონკრეტული სახეობების დადგენაში.

დაცვის ზომები, რომლებიც განმტკიცებულია სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების სანქციებში, წარმოადგენენ დარგის დაცვითი ქვესისტემის თავისებურ „ელემენტარულ ნაწილაკებს“ და ემსახურებიან ზოგადი დაცვითი ფუნქციის განხორციელებას. ამავე დროს კონკრეტული მიმართულებისდა მიხედვით ისინი იყოფიან ორ ჯგუფად – პასუხისმგებლობის ზომებად და უზრუნველყოფის ზომებად.[1]

პასუხისმგებლობის ზომებს ახასიათებს სამი ნიშანი: სახელმწიფო იძულება, სამართალდარღვევის და მისი სუბიექტის გაკიცხვა, სამართალდამრღვევისთვის არახელსაყრელი შედეგების დადგომა. დასახელებული სამი ნიშანი სავალდებულოა. თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ადასტურებს პასუხისმგებლობის არარსებობას.[2]

პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების იურიდიული საფუძველია სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. სამართალდარღვევის გარეშე პასუხისმგებლობა არ არსებობს, ე.ი. პასუხისმგებლობა დგება სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოს რეაქცია სამართალდარღვევაზე. ამის შესაბამისად პასუხისმგებლობის ზომები უწინარეს ყოვლისა მიმართულია ბრალეული სამართალდამრღვევის დასასჯელად, ე.ი. ძირითადად ასრულებს დასჯით (საჯარიმო) ფუნქციას. სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის ზომები, სხვა დარგების შესაბამისი ზომებისაგან განსხვავებით, ამასთანავე ასრულებენ აღდგენით ფუნქციას (მაგალითად, სამართალდამრღვევის მიერ ზარალის ანაზღაურება, საკომპენსაციო პირგასამტეხლოს გადახდა და ა.შ.). ზოგიერთ სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციაში, როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, დასჯით (საჯარიმო) და აღდგენით ფუნქციებს თანაბარი მდგომარეობაც კი უკავიათ. მაგრამ, პასუხისმგებლობაში მაინც განმსაზღვრელია სამართალდამრღვევზე

1 Т.И.Илларионова. Система гражданско-правовых охранительных мер. Автореф. канд. дисс. Свердловск, 1985, с. 8-9; О.А.Красавчиков. Ответственность, меры защиты и санкции в советском гражданском праве. Сборник научных трудов СЮИ, вып. 27, Свердловск, 1973; Г.И Стоякин. Меры защиты в советском гражданском праве. Автореф. канд. дисс. Свердловск, 1973.

2 И.С. Малеин. Указ. соч., с. 134-136.

მიზანმიმართული ზემოქმედება.[1]

ზოგიერთი ცივილისტის აზრით, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უშუალოდ არ არის მიმართული სამართალდამრღვევის გაკიცხვისა და დასჯისაკენ, მისი არსი გამოიხატება აღდგენით (საკომპენსაციო) ფუნქციაში.[2] სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფუნქციონალური დანიშნულების ასეთი გაგება, ნ.ს.მალეინის აზრით, აიხსნება იმ მისწრაფებით, რომ დასაბუთდეს ე.წ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, რომლის მიზნადაც მიჩნეულია მიყენებული ზარალის კომპენსაცია და არა დამრღვევის დასჯა.[3] საკომპენსაციო და აღდგენითი მიმართულება მართლაც ახასიათებს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მისთვის განმსაზღვრელი არ არის. ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ პასუხისმგებლობის ზომები (ჯარიმა, პირგასამტეხლო, საურავი) ზოგჯერ გამოიყენება ზარალის არსებობის მიუხედავად ანდა ზარალის ანაზღაურების დამატებით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 213-ე მუხლი). ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები მიზნად არ ისახავს კრედიტორის დარღვეული ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას, ისინი, უწინარეს ყოვლისა, სამართალდარღვევისათვის პირის დასჯის საშუალებად გვევლინება. ამას გარდა, და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ბრალის პრინციპს, რადგან ბრალი არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დადგომის პირობაა, არამედ თვითონ პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობის საფუძველია.[4] ის ფაქტი, რომ მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებობს ნორმები, რომლებიც ქონებრივ პასუხისმგებლობას ადგენენ ზარალის მიმყენებლის ბრალისაგან დამოუკიდებლად (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი), მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ბრალეული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომების დადგენისა და რისკის საფუძველზე ზიანის (ზარალის) ანაზღაურების

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т.1, с. 281-282.

2 А.А. Собчак. О спорных вопросах ответственности. – Правоведение, 1968, №1, с. 50.

3 И.С. Малеин. Указ. соч., с. 147.

4 Л.С. Явич. Общая теория права. Изд-во ЛГУ, 1976, с. 268; О.А. Красавчиков. Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, М., 1966, с. 154; И.С. Малеин. Указ. соч., с. 152 и след.; В.И. Зоидзе. Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования. – В кн. Актуальные проблемы советского права, «Мецниереба», Тбилиси, 1988, с. 186.

ვალდებულების დაკისრების შემთხვევათა მკაცრი გამიჯვნის მიზნით.[1] ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უნდა დავეთანხმოთ ნ.ს.მალეინის წინადადებას, რომ შემთხვევითი ზარალის დადგომისას ანაზღაურება არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი ზარალის მოცულობას, ხოლო პასუხისმგებლობისას ზარალის ანაზღაურების გარდა ჯარიმაც უნდა გადახდეს.[2] სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხიმგებლობის ზომებმა ყველა შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეასრულონ დამსჯელი ფუნქცია.

უზრუნველყოფის ზომებს არ ახასიათებთ ყველა ის სამი ნიშანი, რაც პასუხისმგებლობას გააჩნია. უზრუნველყოფის ზომები პასუხისმგებლობის ზომებისაგან განსხვავდება უარყოფითი შედეგების და (ან საზოგადოებრივი) გაკიცხვის უქონლობით.[3]

ამგვარად, უზრუნველყოფის ზომების სავალდებულო ნიშანია მხოლოდ ის, რომ პასუხისმგებლობის ზომების მსგავსად ისინიც სახელმწიფო იძულებითაა უზრუნველყოფილი. ამაშია მათი მსგავსება.

ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ უზრუნველყოფის ზომები სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვითი ზომების ის ნაწილია, რომელიც სახელმწიფო-იძულებით ზემოქმედებასთან არ არის დაკავშირებული. ამ დებულების საფუძველზე ასკვნიან, რომ უზრუნველყოფისა და პასუხისმგებლობის ზომების გამიჯვნის კრიტერიუმებია კონკრეტული ზომის რეალიზაციის ხასიათი (ნებაყოფლობითი ან სახელმწიფო-იძულებითი) და მისი შემფარდებელი სუბიექტი (სამართლებრივი ურთიერთობის მხარე ან კომპეტენტური ორგანო).[4] ამგვარი მიდგომის

---

1 სამოქალაქო სამართალში რისკის პრობლემა საფუძვლიანადაა შესწავლილი ვ.ა ოიგენზიხტის მიერ (იხ. В.А. Ойгензихт. Категория «риска» в советском гражданском праве. – Правоведение, 1971; его же. Проблема риска в гражданском праве. Душанбе, 1972; его же. Воля и риск. – Правоведение, 1984, № 4).

2 ჩვენი აზრით, მხარდაჭერას იმსახურებს აგრეთვე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის (ზიანის შემთხვევით მიყენების რისკის დაზღვევის) შემოღების აუცილებლობის იდეა, რომელიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას გამორიცხავდა და ამასთანავე დაზარალებულის ინტერესებსაც უზრუნველყოფდა (იხ. М.Я. Шиминова. Правовое положение граждан по возмещению вреда . В кн. Гражданско-правовое положение личности в СССР. М., 1975, с. 189; Н.С. Малеин. Страхование гражданской ответственности. – Советская юстиция, 1962, №11, с. 22; ბ.ი. ზოიძე. ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის. – საბჭოთა სამართალი, 1985, №4 და სხვ.).

3 Н.С. Малеин. Правонарушение: понятие, причины, ответственность, с. 150.

4 М.А. Бестугина. Социальная обусловленность и назначение гражданско-правовой ответственности в современных условиях, с. 15; И.С. Самощенко, М.Х. Фарукшин. Ответственность по советскому законодательству, М., 1971, с. 60; С.Н. Братусь. Юридическая ответственность и законность, М., 1976, с. 85-86.

შედეგად გამოდის, რომ თუკი პირი ნებაყოფლობით აანაზღაურებს მის მიერ მიყენებულ ზიანს, მაშინ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა, ხოლო კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით იგივე ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე.

ასეთი მოსაზრების დაუსაბუთებლობაზე სწორად მიუთითებენ იურიდიულ ლიტერატურაში. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სამოქალაქო სამართალში სახელმწიფო იძულება ფარული სახით არის მოცემული, ამიტომ პიროვნების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების თუნდაც ნებაყოფლობით შესრულებას იურიდიული სანქციის, სახელმწიფო-იძულებითი ზომების რეალიზაციის მნიშვნელობა აქვს.[1] მეორე მხრივ, არ შეიძლება პასუხისმგებლობის ზომებად ჩაითვალოს კომპეტენტური ორგანოების მიერ შეფარდებული ყველა დაცვითი ზომა (მაგალითად, კეთილსინდისიერი მყიდველისაგან ქონების გამოთხოვა, უფლების აღიარება და ა.შ.), რადგან მათ თან არ ახლავს სამართალდამრღვევის გაკიცხვა და მასზე ქონებრივი შეზღუდვების დაკისრება.

უზრუნველყოფის ზომების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები განსაკუთრებით მჟღავნდება მათი გამოყენების საფუძვლებსა და მიზნობრივ მიმართულებაში. ისინი სამართალდარღვევის ჩადენამდეც და მის შემდეგაც გამოიყენება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პიროვნების მართლზომიერი ქცევის (მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის – სამოქალაქო სამართლის კოდექსის 462-ე მუხლი) დროსაც, ე.ი. უზრუნველყოფის ზომები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალისა და სამართალდარღვევის შემადგენლობის მიუხედავად.[2]

უზრუნველყოფის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომები მიზნად არ ისახავს სამართალდამრღვევის დასჯას, ისინი, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია იმ მოქმედების აღსაკვეთად, რომლებიც არღვევენ უფლებებს, და დარღვეული უფლებების ან მართლწესრიგის აღსადგენად.

უზრუნველყოფის ზომების აღნიშნულ თავისებურებათა გამო ისინი ძირითადად ასრულებენ აღდგენით და აღმკვეთ ფუნქციებს. ამასთანავე, პასუხისმგებლობის ზომებისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფის

1 С.С. Алексеев. Общая теория права, т. 1, с. 271.

2 Я.Н. Шевченко. Средства защиты в гражданском праве. – Советское государство и право, 1977, №7, с. 59.

ზომების მთავარი, წამყვანი ფუნქცია არის აღდგენითი ფუნქცია.[1]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო სამართლის ზოგადი დაცვითი ფუნქციის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფუნქციები:

აღდგენითი (რესტიტუცია, ვინდიკაცია, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზარალის ანაზღაურება და ა.შ.);

აღმკვეთი (ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ბათილობის ზომები, ოპერატიული ზომები, ნეგატორული სარჩელი და ა.შ.);

დასჯითი (უფლების ჩამორთმევა, პირგასამტეხლოს, ჯარიმის გადახდევინება ბიუჯეტის სასარგებლოდ, ზარალის ანაზღაურება და ა.შ.).[2]

ამ ფუნქციათაგან მხოლოდ პასუხისმგებლობის ზომებით ხორციელდება დასჯითი ფუნქცია, რადგან მხოლოდ პასუხისმგებლობის ზომები განსაზღვრავენ სამართალდამრღვევის სამოქალაქო-სამართლებრივი დასჯის ფარგლებს. უზრუნველყოფის ზომებით ხორციელდება აღმკვეთი ფუნქცია, ხოლო რაც შეეხება აღდგენით ფუნქციას, მისი რეალიზაცია ხდება როგორც უზრუნველყოფის, ისე პასუხისმგებლობის ზომებით. როგორც ვხედავთ, უზრუნველყოფისა და პასუხისმგებლობის ზომების ფუნქციები გარკვეულად შეიძლება ერთმანეთს დაემთხვას.[3]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართლის სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციათა ჯგუფში რეგულაციურ ფუნქციას წამყვანი

---

1 იურიდიულ ლიტერატურაში აღდგენითი და საკომპენსაციო ფუნქციები ზოგჯერ გაიგივებულია და იხმარება როგორც სინონიმური ცნებები, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. საქმე იმაშია, რომ კომპენსაცია უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე აღდგენა. კომპენსაცია მხოლოდ ქონებრივ ურთიერთობებში გამოიყენება. არაქონებრივ ურთიერთობებს რაც შეეხება, მათი დარღვევის შემთხვევაში კომპენსაციაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ სუბიექტის არაქონებრივი მდგომარეობის აღდგენაზე. ამიტომ განსახილველ ფუნქციას მიზანშეწონილია ეწოდოს არა საკომპენსაციო, არამედ აღდგენითი (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Ш. Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве, с.12-18).

2 დაცვითი ფუნქციის შემოთავაზებულ სისტემაში ადგილი არ მოეძებნა გამაფრთხილებელ -აღმზრდელობით ფუნქციებს, რომელთა არსებობა სამოქალაქო სამართალში ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, რამდენადაც იგი სამოქალაქო სამართალს ახასიათებს ინდივიდთა ცნობიერებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით, ამიტომ ის განეკუთვნება სამართლის მოცემული დარგის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციათა ჯგუფს.

3 „ყველა სამართალდაცვით ღონისძიებას (პასუხისმგებლობის ზომებს, დაცვის სხვა ზომებს), - წერს ჯ. რუსიაშვილი, - ახასიათებს საკომპენსაციო, აღდგენითი ფუნქცია. ეს არის დასახელებული იურიდიული ინსტიტუტების დამახასიათებელი არსებითი ნიშანი“ (იხ. Дж.Б. Русиашвили. Категория противоправности в гражданском праве. – В кн. Гражданско-правовая норма и формы её применения. «Мецниереба», Тбилиси, 1982, с. 74).

მდგომარეობა უკავია, ხოლო დაცვითი ფუნქცია მას ექვემდებარება და მის დაუბრკოლებლად განხორციელებას ემსახურება. დაცვითი ფუნქციის დაქვემდებარებულობა იმაში ვლინდება, რომ სამართლის მოცემული დარგის დაცვითი ქვესისტემის ძირითად რგოლს უზრუნველყოფის ზომები წარმოადგენენ. ისინი შეადგენენ სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ზომების უდიდეს უმრავლესობას და მათ უფრო მდიდარი არსენალი გააჩნიათ, ვიდრე პასუხისმგებლობის ზომებს. სწორედ უზრუნველყოფის ზომები, რომელთა მეოხებითაც ხორციელდება სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვითი ზემოქმედების აღმკვეთ-აღდგენითი მიმართულება, ყველაზე უფრო გამოსადეგია სამოქალაქო უფლებათა ყოველმხრივი დაცვისათვის. ამას გარდა, ზემოაღნიშნული გარემოებით აიხსნება პასუხისმგებლობის ზომების გარკვეული შეგუება სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქციის აღდგენით ამოცანებთან, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენ მიერ მითითებულ უზრუნველყოფისა და პასუხისმგებლობის ზომების ფუნქციების დამთხვევის ფაქტში.

დაცვითი ფუნქციის დაქვემდებარებულობა იმაშიც იჩენს თავს, რომ დაცვითი ნორმები, მათი სუბინსტიტუტები, როგორც წესი, რეგულაციური ინსტიტუტების და ქვედარგების (საკუთრების სამართლის, ვალდებულებითი სამართლის, საავტორო სამართლის და ა.შ.) სტრუქტურული რგოლებია.[1]

სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვითი ზემოქმედების ყველაზე ზოგადი ხერხები და საშუალებები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ დაცვით ზომებს, მოცემულია სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ნაწილის ნორმებში (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-5 და მე-6 მუხლები). ამ ნორმებში ჩამოთვლილის გარდა კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებების გამოყენებაცაა დაშვებული. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ზომები (გირაო, ბე და ა.შ.), თვითდაცვის ღონისძიებები (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა), ოპერატიული ზომები და სხვ.

სამოქალაქო სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა ჯგუფში წამყვანი მდგომარეობა უკავია ეკონომიკურ ფუნქციას.

ამ ფუნქციის ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი გაპირობებულია სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების საგნით, რომლის ბირთვია

1 Т.И. Илларионова. Система гражданско-правовых охранительных мер, с.8.

ქონებრივი ურთიერთობები. ისინი წარმოიშობიან საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და უშუალოდ არიან დაკავშირებული საწარმოო ურთიერთობებთან.

საწარმოო ურთიერთობათა ისტორიულად განსაზღვრული ერთობლიობა შეადგენს ეკონომიკას. ეკონომიკური ურთიერთობა ეს იგივე საწარმოო ურთიერთობაა. „ეკონომიკური ურთიერთობის“ ტერმინის ხმარება ხაზს უსვამს ამ მოვლენათა ობიექტურ ხასიათს.[1] ისინი მატერიალური წარმოების პროცესში ყალიბდებიან ადამიანთა ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და, ამდენად, ობიექტური ხასიათი აქვთ.

ეკონომიკურ ურთიერთობათა ობიექტური ხასიათი, რასაკვირველია, გამორიცხავს მათი სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობას, რადგან სამართალს, როგორც ცნობილია, შეუძლია მოაწესრიგოს მხოლოდ ნებელობითი, ადამიანთა ცნობიერებაზე დამოკიდებული ურთიერთობები. ეკონომიკურ ურთიერთობათა ობიექტური ხასიათი არ ნიშნავს, რომ სამართალს არ შეუძლია საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირება. საქმე ისაა, რომ არანებელობითი, ობიექტური ხასიათი აქვს ეკონომიკურ ურთიერთობებს მხოლოდ მთლიანობაში, „ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას როგორც ასეთს“. ხოლო რაც შეეხება ცალკეულ სუბიექტებს შორის კონკრეტულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც სამოქალაქო უფლებაუნარიანობით არიან აღჭურვილნი, ისინი, ღებულობენ რა ქონებრივ ურთიერთობათა სახეს, რომელთაც ნებელობითი ხასიათი აქვთ, სამოქალაქო სამართლებრივ ორგანიზაციულ ზემოქმედებას ექვემდებარებიან.[2]

ამგვარად, საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაზე სამოქალაქო სამართლის ზემოქმედება ხორციელდება კონკრეტულ ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილეების ქცევის რეგულირებით.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამართალს ახასიათებს ეკონომიკაზე ზემოქმედების ორი ძირითადი გზა:

1 Н.Д. Егоров. Гражданско-правовое регулирование экономических отношений. Л., 1986, с. 5.

2 С.С. Алексеев, В.П. Мозолин, В.Ф. Яковлев. Роль гражданского законодательства в развитии социалистической экономики на современном этапе. В сб. Гражданское право и экономика, М., 1985, с. 6.

ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის უშუალო რეგულირება მათთვის შესაბამისი უფლებამოსილების მიცემით და ეკონომიკაზე არაპირდაპირი ზემოქმედება, რაც აკრძალვების, სანქციების, იურიდიული პასუხისმგებლობის საშუალებებით მის დაცვაში გამოიხატება.[1] სამოქალაქო სამართალი იმ დარგთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ძირითადად უშუალოდ ზემოქმედებენ ეკონომიკურ ურთიერთობებზე.[2]

ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს საკუთრება. იგი საზოგადოებრივი წარმოების განუყოფელი ელემენტია მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

საკუთრება წარმოადგენს საწარმოო ურთიერთობათა ბირთვს და განსაზღვრავს საზოგადოების მთელს ეკონომიკურ სტრუქტურას. საზოგადოებაში წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ხასიათი, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საკუთრებითი ურთიერთობების ხასიათზე. საკუთრებითი ურთიერთობები ერთ მთლიანობაში კრავს ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავს მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, განუყოფლადაა დაკავშირებული „მითვისების“ ცნებასთან. საკუთრება არის მატერიალური სიკეთის მითვისების მდგომარეობა ანუ ინდივიდის ან კოლექტივის მიმართება ნივთისადმი „როგორც თავისისადმი“. ამასთანავე, საკუთრება მხოლოდ ნივთებისადმი ადამიანის დამოკიდებულება როდია, არამედ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობაა, რომელშიც ადამიანები მონაწილეობენ ამ ნივთების მითვისების გამო ნივთებისადმი დამოკიდებულების გზით.

საკუთრების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც მითვისება, სამეცნიერო ლიტერატურაში ორ ურთიერთდაკავშირებულ სიბრტყეზე განიხილება: პირველი, როგორც წარმოების პირობა, წანამძღვარი (საკუთრების სტატიკა) და მეორე, თვითონ მითვისების პროცესი, რომელიც წარმოების პროცესში ხორციელდება (საკუთრების დინამიკა).[3]

საკუთრების ეკონომიკურ ურთიერთობებს ობიექტური ხასიათი აქვთ და ინდივიდთა ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად

1 Т.Н. Радько. Социальные функции советского права. Волгоград, 1971, с. 37-38.

2 Р.В. Шенгелия. Гражданская правосубъективность советского государства в кредитных отношениях, Тбилиси, 1984, с. 12.

3 Д.М. Генкин. Право собственности в СССР, Госюриздат, М., 1961, с. 14; Советское гражданское право, под ред. О.А. Красавчикова, т. 1, М., 1985, с. 293-294.

ყალიბდებიან. ამასთანავე, საკუთრების ეკონომიკური შინაარსის აუცილებელი ელემენტია საკუთრების კონკრეტული ნებელობითი ურთიერთობები. ისინი, უწინარეს ყოვლისა, გამოხატავენ მატერიალური სიკეთის მითვისების მდგომარეობას. საკუთრების ნებელობითი ურთიერთობა გვევლინება ნივთისადმი, როგორც თავისისადმი, სუბიექტის დამოკიდებულების სახით. საკუთრების კონკრეტული ნებელობითი ურთიერთობის არსი ის არის, რომ მესაკუთრე, რომელიც ნივთს მიიჩნევს როგორც თავისას, ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მას.[1]

საკუთრების კონკრეტული ნებელობითი ურთიერთობები ასახვას პოვებენ სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებში და რეგულირდებიან მათ მიერ. ამასთან, სამართალი არ ცვლის საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობის შინაარსს, იგი მხოლოდ გარკვეულ სამართლებრივ ფორმას აძლევს მას.

საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ნორმები ქმნიან საკუთრების სამართლის ინსტიტუტს.[2] იმის გამო, რომ საკუთრება განმსაზღვრელ როლს ასრულებს ნებისმიერი საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში, საკუთრების სამართალი სამართლებრივი სისტემის წამყვანი ინსტიტუტია და განსაზღვრავს სამართლის სხვა ინსტიტუტებს.

საკუთრების სამართლის ინსტიტუტი კომპლექსური დარგთა-შორისი ხასიათისაა.[3] მის შემადგენლობაში შედის სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები. ამ დარგებიდან საკუთრების ურთიერთობათა რეგულირებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამოქალაქო სამართალს. იგი სამართლის ერთადერთი დარგია, რომელიც საკუთრებით ურთიერთობებს არეგულირებს მისი სუბიექტების მიუხედავად. სამართლის სხვა დარგები თავიანთ საგანთან მიმართებაში ან ავითარებენ სამოქალაქო-სამართლებრივ რეგულირებას, ან თავიანთი

1 В.Ф. Яковлев. Гражданско-правовой метод регулирования общественных отношений, с. 21; С.Н.Братусь. Предмет и система советского гражданского права, М., 1963, с. 24.

2 საკუთრების ეკონომიკურ კატეგორიასთან საკუთრების სამართლის შედარებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკუთრების სამართლის ინსტიტუტი არ მოიცავს საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სპექტრს. ისინი სამართლის სხვა ინსტიტუტებშიც არიან მოცემული (იხ. А.В.Венедиктов. Государственная социалистическая собственность, М., 1948, с. 28; Д.М. Генкин. Указ. соч., с. 17-18; ს.მ. ჯორბენაძე. სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა საბჭოთა კავშირში. თბილისი, 1963, გვ. 17-18).

3 Ю.К. Толстой. Конституция СССР и право собственности. – Советское государство и право, 1978, с. 14; О.Е. Кутафин. Конституционные основы общественного строя и политики СССР. Изд-во МГУ, М., 1985, с.141-142.

სპეციფიკური საშუალებებით იცავენ საკუთრების უფლებას. სწორედ სამოქალაქო სამართალი ადგენს საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლებს, შეიცავს წესებს საკუთრების სუბიექტისა და ობიექტის, მესაკუთრის უფლებამოსილების შინაარსის, ქონების ცალკეულ სახეობათა სამართლებრივი რეჟიმის შესახებ. ის განსაზღვრავს აგრეთვე საკუთრების უფლების შეწყვეტის საფუძვლებს, სხვა პირის საკუთრებაში ქონების გადასვლის წესს, ადგენს დარღვეული საკუთრების უფლების დაცვის საშუალებებს. სამოქალაქო სამართალი არეგულირებს საკუთრების ურთიერთობებს როგორც სტატიკაში (მფლობელობა), ასევე დინამიკაში (სარგებლობა, განკარგვა).[1]

ზემოაღნიშნული, ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური ფუნქციის ფარგლებში გამოვყოთ საკუთრების ყოველმხრივი რეგულირების ფუნქცია.

ამ ფუნქციის ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის სისტემის ისეთი კომპონენტი, როგორიცაა საკუთრების სამართლის ქვედარგი.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის დაწყებამდე, რომელიც გულისხმობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის ნაცვლად საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებას, საკუთრების სამართლის ქვედარგი შედგებოდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტისაგან, რომლებიც ემსახურებოდნენ სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების განმტკიცებას, სახელდობრ: 1) სახელმწიფო საკუთრების სამართალი; 2) საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების სამართალი; 3) პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრების სამართალი; 4) ოპერატიული მართვის სამართალი; 5) პირადი საკუთრების სამართალი.

ეკონომიკური სისტემის საფუძვლად აღიარებული იყო წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. მაშინ მოქმედი კონსტიტუციური (საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლი) და სამოქალაქო კანონმდებლობების თანახმად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90-ე მუხლი) სოციალისტურ საკუთრებად მიჩნეული იყო: სახელმწიფო (საერთოსახალხო) საკუთრება; საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება და პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრება. საკუთრების მითითებული სამივე ფორმა ერთტიპიურია, მაგრამ

1 В.Ф. Яковлев. Указ.соч., с. 23-24; Д.М. Генкин. Указ.соч., с. 27-29.

ძირითადი კანონის მიხედვით მხოლოდ პირველი ორი განიხილებოდა როგორც საბჭოთა ეკონომიკური სისტემის საფუძველი. რეალურადაც სწორედ საკუთრების ეს ორი ფორმა გამოიყენებოდა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო საქმიანობაში: პროდუქციის წარმოების პროცესში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროში და საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგებში.

ამათგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას ძირითადად არამწარმოებლური დანიშნულების ობიექტები შეადგენდა. ისინი სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მათი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად. ამიტომ სოციალისტური საკუთრების ეს ფორმა არ განიხილებოდა როგორც საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური სისტემის საფუძვლის ელემენტი.[1]

რაც შეეხება პირად საკუთრებას, იგი სოციალისტური მოვლენაა. მის ძირითად ნიშნებად მიჩნეული იყო სოციალისტური საკუთრებისაგან მისი წარმოებული ხასიათი, სამომხმარებლო დანიშნულება და შრომითი ბუნება. პირადი საკუთრების ობიექტებზე დაწესებული იყო შეზღუდვები მათი რაოდენობრივი და სახეობრივი თვალსაზრისით, მკაცრად იყო შეზღუდული მათი გამოყენება მწარმოებლური მიზნებისათვის, ამასთან, არ შეიძლებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება, რადგანაც იგი განიხილებოდა როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციად.[2] სწორედ ამიტომ იმ მოქალაქეთა საკუთრების მიმართ, რომლებიც ეწეოდნენ ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე სხვა სახეობის საქმიანობას, დაფუძნებულს მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე, გამოიყენებოდა მოქალაქეთა პირადი საკუთრებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი).

---

1 იურიდიულ ლიტერატურაში, ამასთანავე, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სოციალისტური საკუთრების ეს ფორმა გარკვეულ გავლენას ახდენდა ეკონომიკაზე (იხ. Государство, право, экономика. Под. ред. В.М. Чхиквадзе, «Юридическая литература», М., 1970, с. 192-193.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ Г.Т. Лилуашвили. Развитие права личной собственности по гражданскому законодательству Грузинской ССР (1921-1984 гг.). Автореф. канд. дисс. Тбилиси, 1990 г.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება, ბუნებრივია, მოითხოვს საკუთრების შესაბამისი ურთიერთობების არსებობას. საკუთრების ურთიერთობათა ის პრინციპები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფუძვლად ედო სოციალისტური წარმოების წესს და შესაბამისად სრულიად მიუღებელი და უცხოა საბაზრო ეკონომიკისათვის. ამიტომ აუცილებელი გახდა რადიკალური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების სამართალში.

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონით[1] ცვლილებები განიცადა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 თავმა, რომელიც ეკონომიკურ სისტემას განსაზღვრავდა. უმნიშვნელოვანესი მომენტები ამ ცვლილებებისა მდგომარეობდა შემდეგში:

ჯერ ერთი, ძირითადი კანონის დონეზე დადგინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს დამოუკიდებლად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა მე-16 მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს ეკონომიკა სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა;

მეორე, ეკონომიკურ წყობად გამოცხადებულია საბაზრო მეურნეობა, რომლის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია თავისუფალი შრომა და სოციალური უფლებების გარანტია, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, მეწარმეობა და კონკურენცია;

მესამე, ეკონომიკური სისტემის საფუძვლად მიჩნეულია საკუთრების შემდეგი ფორმები: კერძო საკუთრება, კოლექტიური საკუთრება და სახელმწიფო საკუთრება. ამასთან, საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად და დაცულია კანონით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტის შემოღება ძირითადი კანონის რანგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც გავლენას ახდენს მთელს სამართლებრივ სისტემაზე;

მეოთხე, გარანტირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობა, უარყოფილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ცნება, დაშვებულია დაქირავებული შრომის გამოყენება მომუშავესა და დამქირავებელს შორის პარტნიორობის პრინციპებზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის

1 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წ. N 6, მუხლი 442.

კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა მე-14 მუხლი, სადაც საუბარია ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომის მნიშვნელობაზე.

მეხუთე, გაფართოებულია მოქალაქეთა საკუთრების ობიექტთა წრე. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ობიექტების გარდა მოქალაქეს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლები, საწარმოები, შენობა-ნაგებობანი, დანადგარები და საწარმოო დანიშნულების სხვა ქონება.

აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებების შესაბამისად 1991 წლის 14 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“,[1] რომელშიც ძირითადი კანონის მსგავსად მოცემულია დებულება საკუთრების ფორმების შესახებ (მე-3 მუხლი). ამ კანონს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების შემდეგ[2] საკუთრების შესახებ კანონის მიღებამდე იგი ერთადერთი საკანონმდებლო აქტი იყო, რომელშიც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად დაფიქსირებული იყო საკუთრების ფორმები და მათი მნიშვნელობა ეკონომიკური სისტემისათვის. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად სათანადო ცვლილებები არ ყოფილა შეტანილი სამოქალაქო სამართლის კოდექსში. საკუთრების ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტაციაში კანონმდებელმა სხვა გზა აირჩია. სახელდობრ, მიზანშეწონილად მიიჩნია ამ სფეროში ცალკეული ინსტიტუტების შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღება სამოქალაქო სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეუტანლად. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი პროექტის შემუშავებისას, რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ეს საკანონმდებლო აქტები, ისე მათი გამოყენების პრაქტიკა.

ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემუშავებამდე საკუთრებითი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში არსებული ვაკუუმის შესავსებად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით ყოველმხრივ და სრულად მოაწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ სფეროს. ცენტრალური ადგილი ამ აქტებს შორის

1 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, თბილისი, 1991 წ. N 6, მუხლი 444.

2 საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1991 წლის 21 თებერვლის დეკლარაცია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 25 თებერვალი N 36 (309).

ჩვენი აზრით საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების შესახებ კანონმა უნდა დაიკავოს. სამოქალაქო სამართლის ახალ კოდიფიცირებულ აქტში კი ამ ფუნქციას, შესაბამისად, სანივთო სამართლის ქვედარგი შეასრულებს. ჩვენ აქ შემთხვევით არ გვიხსენებია სანივთო სამართალი ნაცვლად ჩვენთვის ტრადიციული საკუთრების სამართლისა.

საკუთრების სამართალი სანივთო სამართლის შემადგენელი ნაწილია. საკუთრების უფლებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სანივთო უფლებების სისტემაში. ამასთანავე, სანივთო სამართალი მოიცავს სუბიექტის უფლებებს ნივთზე, რომელიც სხვის საკუთრებაშია (ე.წ. უფლება სხვის ნივთზე). მოცემულ შემთხვევაში სუბიექტს გააჩნია მესაკუთრის ზოგიერთი უფლებამოსილება. მაგალითად, გირავნობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი და სხვ.

საკუთრებითი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტირებისას უარი უნდა ვთქვათ პოლიტეკონომიკურ ცნებებსა და იდეოლოგიური მნიშვნელობის პოსტულატებზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება საკუთრების ფორმებს, რომლებიც პოლიტეკონომიკური და არა იურიდიული კატეგორიებია. მართალია, კანონმდებლობაში შესაძლებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის კატეგორიებისა და ცნებების შემოტანა (ზოგჯერ ეს უბრალოდ აუცილებელიცაა), მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება იდეოლოგიური ასპექტისათვის პრიორიტეტის მინიჭებას იურიდიულის ხარჯზე. ამის ნათელი მაგალითია კერძო საკუთრების კატეგორიის დამკვიდრების მცდელობა კანონმდებლობაში. კერძო საკუთრება პოლიტეკონომიკური კატეგორიაა. ტრადიციულად იგი გულისხმობდა არა უბრალოდ ინდივიდის, ფიზიკური პირის საკუთრების უფლებას ქონებაზე, არამედ ისეთ ქონებაზე, რომელიც წარმოების საშუალებებს განეკუთვნება და რომლის გამოყენება დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე მას არ შეეძლო. ეს კი, თავის მხრივ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციად იყო გაგებული. როგორც ვხედავთ, აქ წმინდა იდეოლოგიურ და არა იურიდიულ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია როგორც კერძო საკუთრების, ისე საკუთრების სხვა ფორმების დაფიქსირება კანონში. ჩვეულებრივი, ნორმალური გაგებით „კერძო საკუთრება“ გამოხატავს მხოლოდ სახელმწიფო („საჯარო“) საკუთრების საპირისპირო მოვლენას, ე.ი. ფიზიკური და იურიდიული პირებისადმი ქონების კუთვნილებას და რაიმე იდეოლოგიურ დატვირთვას არ შეიცავს. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ არც ერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კანონმდებლობაში ვერ ვხვდებით „კერძო საკუთრების“ (ისე როგორც საკუთრების სხვა ფორმების) ცნებას. სამაგიეროდ ამ ქვეყნების

კანონმდებლობაში დაფიქსირებულია საკუთრების უფლება, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა სუბიექტს.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იდეოლოგიური ბარიერი ვერ გადალახეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის და ზოგიერთი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლებმა, რომელთა მიერ მიღებული საკუთრების შესახებ კანონები საკუთრების ფორმების საკანონმდებლო რეგლამენტაციის საფუძველზეა შექმნილი. ამ მხრივ შედარებით პროგრესულად გამოიყურება ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 31 მაისს მიღებული „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“, რომელმაც უარი თქვა საკუთრების ფორმებზე და მიუთითა, რომ ქონება შეიძლება იმყოფებოდეს მოქალაქის, იურიდიული პირის ან სახელმწიფოს საკუთრებაში, რომელთა საკუთრების უფლებები თანაბრად არის დაცული (44-ე მუხლი).

იგივე უნდა ითქვას საკუთრების უფლების ობიექტების კლასიფიკაციის მიმართ. არც ერთი სამართლებრივი სისტემა, გარდა სოციალისტურისა, არ იცნობს საკუთრების უფლების ობიექტების დაყოფას წარმოების საშუალებებად და მოხმარების საგნებად. საკუთრების უფლების ობიექტების კლასიფიკაციას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მათი ბუნებრივი და არა სოციალური თვისებები და შესაბამისად დაყოფა ხდება უძრავ და მოძრავ ქონებად აქედან გამომდინარე განსხვავებული სამართლებრივი შედეგებით. ყველა სამართლებრივ სისტემაში უძრავ ქონებას განეკუთვნება მიწა და მასთან მყარად დაკავშირებული, განუყოფელი ნივთები (შენობები, ნაგებობები, ნარგავები და ა.შ.). მოძრავ ქონებად კი მიჩნეულია ყველაფერი, რაც არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთსა და მის შემადგენელ ნაწილს.

საბჭოთა კანონმდებლობით მიწა ამოღებული იყო სამოქალაქო ბრუნვიდან და წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, აზრი ეკარგებოდა ქონების უძრავად და მოძრავად დაყოფას. ამის თაობაზე პირდაპირ მიუთითებდა კანონმდებელიც. მაგალითად, 1923 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 21-ე მუხლში ნათქვამი იყო: „მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებასთან ერთად გაუქმებულია ქონების უძრავ და მოძრავ ქონებად დაყოფა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

1 Е.А. Суханов. Преподавание гражданского права в современных условиях. – Вестник Московского университета, серия 11, Право, 1992, №4, с. 23; В.П. Мозолин. О праве частной собственности. – Советское государство и право, 1992, №1, с. 14-15.

„საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონით გაუქმდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლება და იგი კერძო საკუთრების უფლების ობიექტი გახდა. მართალია, 1978 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გაუქმების შემდეგ მიწის სამართლებრივი რეჟიმის საკითხი საკანონმდებლო დონეზე ღიად დარჩა, მაგრამ ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო კანონქვემდებარე აქტებმა. კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილების[1] მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ მიწაზე საკუთრების უფლება. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად კი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბაღე და სააგარაკო მიწები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. რაც შეეხება მიწის სამოქალაქო ბრუნვაში მოქცევას, „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №I28 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის დადგენილების[2] მე-7 პუნქტით კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწების ყიდვა-გაყიდვის უფლება მიწათმოსარგებლეებს მიეცემათ მიწის საკუთრებაში მიღებიდან ორი წლის შემდეგ საადგილმამულო ბანკის მეშვეობით.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე აქტები სრულყოფილად ვერ არეგულირებენ მიწაზე საკუთრების უფლების ყველა მხარეს და შედარებით დაბალი იურიდიული ძალის გამო ვერ ქმნიან სათანადო სამართლებრივ გარანტიებს მიწის მესაკუთრეთათვის. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის მოგვარება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული იქნება საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების შესახებ კანონისაგან, რომელმაც კანონის დონეზე უნდა მოაწესრიგოს მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობისა და განხორციელების ძირითადი საკითხები ქონების უძრავ და მოძრავ სახეობებად დაყოფის სამართლებრივი მექანიზმის აღდგენის მეოხებით.

---

1 იხ. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი I, თბილისი, 1992 წ., გვ. 221.

2 იქვე, გვ. 225.

სამწუხაროდ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1993 წლის 15 ივლისს მიღებულმა კანონმა „საკუთრების უფლების შესახებ“[1] ვერ გადაჭრა არა თუ ეს პრობლემა, არამედ გაიმეორა ის შეცდომები, რომლებიც ზემოაღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლებმა დაუშვეს საკუთრებითი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტაციისას.

კანონმა, მართალია, აღიარა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, მაგრამ მისი უფლებები ამ დეკლარირების იქით არ წასულა. უფრო მეტიც, „განსაკუთრებული მნიშვნელობის მიწის“ ცნებამ, რომელიც მოცემულია კანონის მე-13 მუხლში, უფრო მეტი დაბნეულობა შეიტანა ამ საკითხში, ვიდრე სიცხადე და გარკვეულობა. საკუთრების უფლების სუბიექტებად მოქალაქეების, იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მართებულად მიჩნევასთან ერთად იქვე მითითებულია, რომ „ქონება შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრებაში“ (მე-3 მუხლი), თითქოს საზოგადოებრივი გაერთიანებები (ორგანიზაციები) იურიდიული პირები არ იყვნენ. ესა და სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც საკუთრებითი ურთიერთობების შესახებ კანონმდებლობაში არსებობს, ჩვენი აზრით, საჭიროებს უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას, რათა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა შეექმნას.

მატერიალური წარმოება ყოველი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. ამასთანავე, მატერიალური წარმოება გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმებში მიმდინარეობს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებულია საკუთრებითი ურთიერთობების ხასიათით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთრებითი ურთიერთობების ხასიათი აუცილებლობით მოითხოვს მატერიალური წარმოების გარკვეულ წესს. ეს წესი კი, თავის მხრივ, გულისხმობს მატერიალური სიკეთის მწარმოებელთა, საქონელმწარმოებელ სუბიექტთა გარკვეულ სამართლებრივ მდგომარეობას.

სამართლის დარგებიდან სწორედ სამოქალაქო სამართალი ახორციელებს ამ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ფუნქციას, სახელდობრ, მეწარმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქციას.

ამ ფუნქციის განხორციელების ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ფიზიკური და იურიდიული

1 იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1993 წლის 15 ივლისი, N 159 (705).

პირების, სახელმწიფოს სამართალსუბიექტობას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, აგრეთვე სპეციალური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ადგენენ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს.

რადგანაც საკუთრებითი ურთიერთობები საფუძველია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმისა, რომელშიც მიმდინარეობს მატერიალური წარმოების პროცესი, სამოქალაქო სამართლის ზემოაღნიშნული ფუნქცია უმჭიდროესად არის დაკავშირებული მის წინამორბედ ფუნქციასთან, კერძოდ, საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირების ფუნქციასთან. მეწარმის სამართლებრივი სტატუსი უშუალოდაა გაპირობებული არსებული საკუთრებითი ურთიერთობებით. სოციალისტური ტიპის წარმოებას, მაგალითად, საფუძვლად ედო სოციალისტური საკუთრებითი ურთიერთობები, რომლებიც გულისხმობდნენ წარმოების ძირითად საშუალებებზე სახელმწიფო (ე.წ. საერთო-სახალხო) საკუთრების დომინირებულ მდგომარეობას. ამის შედეგად ჩამოყალიბებული იყო გასახელმწიფოებული, საგეგმო-ცენტრალიზებული ეკონომიკა, რომელსაც შეესაბამებოდა სამეურნეო სუბიექტთა, საქონელმწარმოებელთა სპეციფიკური სამართლებრივი მდგომარეობა. სახელდობრ, ფიზიკური პირის, როგორც მეწარმის როლი თითქმის მთლიანად იგნორირებული იყო და მისი უფლებაუნარიანობის შინაარსი სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ამოიწურებოდა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლებით, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, რომლის კატეგორიალური გაგება დაყვანილი იყო ორგანიზაციის, როგორც ასეთის და მისი შემადგენელი შრომითი კოლექტივის ცნებამდე, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ისინი გამოდიოდნენ ძირითადად ორი სახით: საწარმო, როგორც სამრეწველო, კომერციული ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდებოდა საკუთარი შემოსავლებით, და დაწესებულება, როგორც არასამრეწველო, არაკომერციული ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდებოდა ზემდგომი ორგანოს ან მესაკუთრის მიერ.[1]

ბუნებრივია, სახელმწიფო საკუთრების დომინირებული მდგომარეობის გამო, საწარმოთა უდიდესი უმრავლესობა იქმნებოდა, ფუნქციონირებდა და უქმდებოდა სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის,

1 Е.А. Суханов. Система юридических лиц. - Советское государство и право, 1991, №11, с. 42.

ნების შესაბამისად. სოციალისტურ საკუთრებით ურთიერთობებსა და სამეურნეო სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობას შორის ზემოაღნიშნული ურთიერთმიმართება დასაბუთებული იყო საბჭოთა სახელმწიფო იურიდიული პირების შესახებ ზოგადი მოძღვრებით, რომელიც ცნობილია კოლექტივის თეორიის სახით. ამ მოძღვრების ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობდა:

სახელმწიფო ორგანოთა სამოქალაქო სამართალსუბიექტობას საფუძვლად ედო არა მხოლოდ სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების ერთიანობა, არამედ მისი ცალკეული ნაწილების ოპერატიული მართვაც. სახელმწიფო საკუთრების ერთიანობაში იგულისხმებოდა, რომ ყოველი სახელმწიფო ორგანოს, როგორც იურიდიული პირის უკან იდგა მესაკუთრე მის მართვაში არსებული ქონებით, სახელდობრ, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საბჭოთა ხალხი. სახელწიფო ორგანოსათვის ხალხის ნებით გამოყოფილ სახელმწიფო ქონების ნაწილის ოპერატიულ მართვას კი ახორციელებდა არა მარტო ხალხის ნების გამტარებელი, სახელმწიფოს მიერ დანიშნული პასუხისმგებელი ხელმძღვანელი (დირექტორი, მმართველი, უფროსი და ა.შ.), არამედ სახელმწიფო ორგანოს მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივი მთლიანად ამ ხელმძღვანელის მეთაურობით, რადგანაც სწორედ კოლექტივის საწარმოო თუ სხვა მოქმედებებში პოვებდა განსახიერებას სახელმწიფო იურიდიული პირის საქმიანობა. ამის შესაბამისად, საბჭოთა სოციალისტური სამეურნეო ორგანო (სახელმწიფო საწარმო) განისაზღვრებოდა როგორც სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივი პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მეთაურობით, რომელსაც სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ჰქონდა გარკვეული სახელმწიფო ამოცანების შესრულება და რომელსაც ამ ამოცანების განხორციელებისათვის მიჩენილი ჰქონდა სახელმწიფო საკუთრების ერთიანი ფონდის შესაბამისი ნაწილი.[1]

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივის თეორია განიხილებოდა არა მარტო სახელმწიფო იურიდიული პირების არსის დასასაბუთებლად, არამედ ყველა საბჭოთა იურიდიული პირის ზოგად მოძღვრებად, რომლის თანახმადაც კოლექტივის ერთიანი ცნების ფარგლებში განასხვავებდნენ სხვადასხვაგვარად ორგანიზებული კოლექტიური წარმონაქმნების ცალკეულ სახეობებს (სახელმწიფო, საკოლმეურნეო-კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს).[2] რა

1 Ф.В. Венедиктов. Государственная социалистическая собственность. М.-Л., 1948, с. 591.
2 А.В. Венедиктов. О государственных юридических лицах в СССР. Вестник Ленин-

თქმა უნდა, საბჭოთა ცივილურ მეცნიერებაში იურიდიული პირების შესახებ სხვა მოძღვრებებიც არსებობდა, სახელდობრ, სახელმწიფოს თეორია, დირექტორის თეორია, სოციალური რეალობის თეორია, მაგრამ ლეგალური მხარდაჭერა სწორედ კოლექტივის თეორიას ხვდა წილად.[1]

ამგვარად, იურიდიული პირების შესახებ გაბატონებული თეორია და მისი შესატყვისი სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკა, რომლის მეოხებითაც სამოქალაქო სამართალი ახორციელებდა მეწარმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქციას, მთლიანად შეესაბამებოდა იმ საკუთრებით ურთიერთობებს, რომლებიც იმჟამად არსებობდა საბჭოთა სახელმწიფოში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა საკუთრებითი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგლამენტაციამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის სათანადო საფუძვლების შესაქმნელად. კერძო საკუთრების ინსტიტუტის შემოღებამ აუცილებლობით მოითხოვა სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების პრინციპის რეალიზაცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს საქონლის მწარმოებელთა, სამეურნეო სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის სოციალისტური სისტემისაგან განსხვავებული რეჟიმის შექმნას. სამოქალაქო სამართალი, რომელიც ტრადიციულად ასრულებდა საერთოდ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის, კერძოდ კი მეწარმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქციას, შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ახალი ამოცანების წინაშე დადგა, რომელთა გადაჭრა აუცილებლობით მოითხოვდა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

„საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის 14 ივნისის კანონმა სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების პრინციპი საქართველოს ეკონომიკური სისტემის საფუძვლად სცნო, ხოლო „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის 25 ივლისის კანონში განხორციელდა პირველი ცდა სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლების რეგულირებისა ახალი საკუთრებითი ურთიერთობებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობების გათვალისწინებით. კანონმა, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრა თვით მეწარმეობის ცნება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მეწარმის

градского университета, 1955, №3, с. 83-107.

1 О.С. Иоффе. Развитие цивилистической мысли в СССР, ч. I, Л., 1975, с. 139-146.

სამართლებრივი სტატუსის დასადგენად. კანონის პირველი მუხლის თანახმად, მეწარმეობად მიჩნეულია ცალკეული ფიზიკური პირისა და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოს წარმოებასა და რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების მიღებას. მეწარმეობის ასეთი დეფინიციის შედეგად დაძლეულ იქნა საქონელმწარმოებელი სუბიექტის კოლექტივისტური გაგება და სოციალისტური სისტემისაგან განსხვავებით სრულიად ახლებურად განისაზღვრა პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. კანონის თანახმად, მეწარმეობის პირველადი სუბიექტია მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე საწარმოს შექმნის გზით. მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს როგორც იურიდიული პირის შექმნით, ისე მის გარეშე, ოღონდ მეწარმეობის სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის პირობით; მეწარმეს უფლება აქვს განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით, გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა, დამოუკიდებლად აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები (ე.ი. უზრუნველყოფილია ხელშეკრულების დადების თავისუფლება), განაგოს სამეწარმეო საქმიანობით მიღებული მოგება და სხვა.

მიუხედავად მთელი რიგი სიახლეებისა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მეწარმის სამართლებრივი სტატუსის ახალ საკუთრებით ურთიერთობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, კანონმდებელმა მთლიანად მაინც ვერ დაძლია სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სამეურნეო სუბიექტების კოლექტივისტური თეორიისა და საკანონმდებლო რეგულირების გავლენა. მაგალითად, კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ გვერდი ვერ აუქცია „საწარმოს“ ცნების გამოყენებას სამეწარმეო საქმიანობისა და მეწარმის სტატუსის ძირითადი დებულებების განსაზღვრისას. კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად „საწარმო“ მიჩნეულია „დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად» მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმო წარმოადგენს მხოლოდ ქონებრივ კომპლექსს (შენობებს, ნაგებობებს, მოწყობილობებს და ა.შ.), ე.ი. ობიექტს და არა სამართლის სუბიექტს. აქ ქონებრივი ურთიერთობების სუბიექტებია კომერციული სტრუქტურები, კერძოდ, სხვადასხვა სახის

სამეურნეო (სავაჭრო) საზოგადოებები და ამხანაგობები, როგორც საწარმოების მფლობელები[1]. ამ პოზიციებიდან წინგადადგმულ ნაბიჯად გვეჩვენება კანონის მე-4 მუხლი, რომელშიც საწარმო განხილულია როგორც საკუთრების უფლების ობიექტი, განსაზღვრულია აგრეთვე საწარმოს მესაკუთრეთა წრე (მათ შორისაა ფიზიკური პირებიც). თუმცა ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ზემოაღნიშნული კანონი გარდამავალი ეპოქის პროდუქტია, რომელშიც მოცემულია ძველი ეკონომიკური წყობის ელემენტები და ახლის ჩანასახები. სწორედ ამ ფაქტორითაა გამოწვეული ის გაუგებრობები და წინააღმდეგობები, რომლებიც გვხვდება კანონში სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას. ჯერ ერთი, მეწარმის ქონებრივ-სამართლებრივი სტატუსის სახეობები განხილულია როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ე.ი. საწარმო კვლავ მიჩნეულია ქონებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტად; მეორე, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას, საბაზრო ეკონომიკისათვის ცნობილ სახეობებთან ერთად (სრული სამეურნეო ამხანაგობა, კომანდიტური სამეურნეო ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და სხვ.), კანონის მე-11 მუხლში ჩამოთვლილია სახელმწიფო საწარმო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო, აგრეთვე ერთობლივი საწარმო და მცირე საწარმო. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ ამგვარი კლასიფიკაცია მოკლებულია ერთიან საფუძველს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მეწარმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქციის განხორციელება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის – იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფას. ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებისას, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება, ისე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი.

იურიდიული პირის, როგორც სამართლის ხელოვნური სუბიექტის, წარმოშობა, როგორც ცნობილია, განაპირობა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ინდივიდის გვერდით მათი კოლექტიური

1 Е.А. Суханов. Указ. соч., с. 42.

წარმონაქმნების მონაწილეობის აუცილებლობამ, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო მსხვილი სამეურნეო პროექტების განხორციელებისათვის კაპიტალის კონცენტრაციის მექანიზმის შექმნის მოთხოვნილებით. ამასთანავე, იურიდიული პირის ინსტიტუტის მეოხებით შესაძლებელი ხდება არა მარტო კაპიტალის კონცენტრაციის სამართლებრივი ფორმის შექმნა, არამედ სამეწარმეო რისკის შეზღუდვაც იმ ქონებით, რომელიც სპეციალურად არის გამიზნული კომერციულ ბრუნვაში მონაწილეობისათვის. თუმცა, შემდგომში იურიდიული პირის ინსტიტუტი წარმატებით იქნა გამოყენებული აგრეთვე კერძო სამართლის სუბიექტად ფიზიკურ პირთა გაერთიანებების ცნობისათვის, რომელთაც ძირითადად სოციალურ-კულტურული და სხვა იდეალური მიზნები ამოძრავებთ. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, იურიდიული პირის კონსტრუქციის ძირითადი აზრი მდგომარეობს სამართლის ისეთი ახალი სუბიექტის შექმნაში, რომლის ქონება განცალკევებულია იურიდიული პირის დამფუძნებლების (მონაწილეების) ქონებისგან და ამასთანავე განსაზღვრულია ამ ქონების მიზნობრივი დანიშნულება. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსის გასაგებად „მიზნობრივი ქონების» თეორია უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე „ფიქციის“, „სოციალური რეალობის», „კოლექტივის“ და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული სხვა მოძღვრებები. იურიდიული პირის არსისადმი ასეთ მიდგომას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, კერძოდ, იურიდიული პირების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის. სწორედ ამ თეორიის შუქზე ხდება ნათელი, მაგალითად, ის ფაქტი, რომ საწარმო უნდა განვიხილოთ სამართლის არა სუბიექტად, არამედ მხოლოდ ობიექტად.

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს იურიდიული პირის ინსტიტუტის ადგილი სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში. იურიდიული პირის ინსტიტუტი, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებულ აქტებშია მოცემული ფიზიკური პირების შემდეგ. იმ ქვეყნებში, სადაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დუალისტური რეგულირების სისტემა მოქმედებს, კომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი რეჟიმი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ურთიერთობები (სავაჭრო რეგისტრაცია, საბუღალტრო აღრიცხვა, ანგარიშები და სხვა) რეგულირდება აგრეთვე სავაჭრო კოდექსით. კოდიფიცირებულ აქტებთან ერთად კომერციული იურიდიული პირების ცალკეული სახეების თაობაზე

მიღებულია სპეციალური კანონებიც (მაგალითად, სააქციო საზოგადოების შესახებ და სხვ.).

ჩვენი აზრით, იურიდიული პირის სამართლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი დებულება მიზანშეწონილია დაფიქსირდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში. მხედველობაში გვაქვს ნორმები იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის, წარმოშობის, დამფუძნებელი დოკუმენტების, სახელწოდების, ადგილსამყოფელის, ორგანოების, ფილიალებისა და წარმომადგენლობის, პასუხისმგებლობის, გაკოტრების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ და სხვ. სამოქალაქო სამართლის კოდექსში უნდა მიეჩინოს ადგილი, აგრეთვე, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირების ცალკეული სახეობების მარეგულირებელ ნორმებსაც. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღებას მათ შესახებ. ზოგჯერ ეს აუცილებელიცაა. მაგალითად, პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ორგანიზაციების, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ, როგორც წესი, სპეციალური კანონები უნდა მოქმედებდნენ.

სპეციალური კანონი უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, იურიდიული პირების რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე. მაგრამ ყველა ამ საკანონმდებლო აქტებისათვის ამოსავალ, ფუძემდებლურ დებულებათა როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისმა ინსტიტუტებმა და ნორმებმა. სწორედ კოდექსმა უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობა ამ სფეროში და შეასრულოს ერთგვარი გარანტის ფუნქცია, რათა სპეციალურმა კანონებმა და კანონქვემდებარე აქტებმა არ შეცვალონ იურიდიული პირების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ზოგადი საწყისები და აზრი.

იურიდიული პირის ცნება სამოქალაქო კანონმდებლობებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა (შვეიცარია, რუსეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები), განმარტებული არ არის. იქაც კი, სადაც კანონმდებელი ცდილობს იურიდიული პირის ცნების შინაარსის გახსნას, როგორც წესი, დეფინიცია გადმოცემულია უაღრესად ზოგადი და მოკლე ფორმულირებით. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ძევს როგორც იურიდიული პირის არსის შესახებ მოძღვრებათა მრავალგვაროვნებაში, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამ ცნების განსაზღვრის სირთულეში. იურიდიული პირის ყველაზე უფრო მოცულობით

განმარტებას რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა იძლევა, რომლის თანახმად „იურიდიულ პირად მიიჩნევა ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთრებაში, სრულ სამეურნეო გამგებლობაში ან ოპერატიულ მართვაში განცალკევებული ქონება, თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით და თავისი სახელით გამოდის სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში“. ამ დეფინიციის ნაკლი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ იურიდიული პირი განმარტებულია „ორგანიზაციის“ ცნების მეოხებით მაშინ, როცა იურიდიული პირი შეიძლება არ წარმოადგენდეს პირთა გაერთიანებას (ორგანიზაციას) და შედგებოდეს მხოლოდ ერთი მონაწილისაგან (ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან). მაგალითად, გფრ-ში 70-იანი წლების დასაწყისში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა 22 პროცენტი ერთი პირის კომპანიები იყო. იგივე გერმანიაში 80-იანი წლებიდან ლეგალიზებულია პრაქტიკა კომანდიტური ამხანაგობის განსაკუთრებული სახეობისა, რომელშიც სრულ მონაწილედ გამოდის ერთი პირის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო კომანდიტად – იგივე ფიზიკური პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართლის კოდექსში იურიდიული პირის ცნების განსაზღვრას კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს. მთავარია, კოდექსის შესაბამისი ინსტიტუტის დებულებები ეყრდნობოდეს იურიდიული პირის ძირითად ნიშნებს, ეს ნიშნები კი შემდეგია:

1) იურიდიული პირი არსებობს მისი მონაწილეებისაგან დამოუკიდებლად; 2) მას აქვს დამოუკიდებელი ნება, რომელიც არ ემთხვევა იურიდიული პირის მონაწილეების ნებას; 3) იურიდიული პირი ფლობს ქონებას, რომელიც განცალკევებულია მისი მონაწილეების ქონებისაგან; 4) იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს მის მფლობელობაში არსებული ქონებით; 5) იურიდიული პირი თავისი სახელით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში; 6) იგი თავისი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ იურისდიქციულ ორგანოებში.

იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კლასიფიკაციას. იურიდიული პირების კლასიფიკაცია კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმების საფუძველზე, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება იურიდიული პირების ცალკეული ჯგუფების გამოყოფა მათი სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთანავე, საკანონმდებლო

კლასიფიკაციამ ამომწურავი წარმოდგენა უნდა მოგვცეს იურიდიული პირების ნაირსახეობებზე, რათა არ მოხდეს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გაუმართლებელი აღრევა და კანონით გაუთვალისწინებელი სამართალსუბიექტობის პრეტენზიის მქონე პირების გაჩენა. როგორც ვხედავთ, კლასიფიკაციის პრობლემის სწორად გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული სამეურნეო ცხოვრების ზუსტი ორგანიზაცია, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებსა და სამოქალაქო ბრუნვაში სიცხადისა და სტაბილურობის დამკვიდრება.

იურიდიული პირები, უწინარეს ყოვლისა, განსხვავდებიან მათ გამგებლობაში არსებული ქონებისადმი დამოკიდებულების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ისინი იყოფიან მათთვის მიჩენილი ქონების მესაკუთრეებად და არამესაკუთრეებად. პირველ შემთხვევაში იურიდიული პირი გვევლინება როგორც მის გამგებლობაში არსებული ქონების ერთიან მესაკუთრედ. ასეთია, მაგალითად, მოქალაქეთა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანებები, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციები, საქველმოქმედო და სხვა ფონდები. ზოგიერთ შემთხვევაში ამ კატეგორიის იურიდიულ პირებში მათი დამფუძნებლები ინარჩუნებენ გარკვეულ ვალდებულებით უფლებებს იურიდიული პირის ქონებაზე, მაგალითად, უფლებას შემოსავლის გარკვეული ნაწილის მიღებაზე, აგრეთვე უფლებას იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან დამფუძნებლის გასვლის შემთხვევაში ქონების გარკვეული ნაწილის დაბრუნებაზე. ასეთია სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები.

მეორე შემთხვევაში იურიდიული პირის ქონების მესაკუთრედ რჩება მისი დამფუძნებელი, რომელიც მთლიანად ინარჩუნებს მის სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის უფლებას, მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვ.

საქმიანობის ხასიათის მიხედვით იურიდიული პირები იყოფიან კომერციულ და არაკომერციულ პირებად. კომერციული იურიდიული პირების საქმიანობის ძირითად მიზანს შეადგენს მოგების მიღება. შესაბამისად მისი დაფინანსება ხდება საკუთარი ხარჯებით. არაკომერციული იურიდიული პირების ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება. მათი საქმიანობა მიმართულია არამატერიალური ინტერესების განხორციელებისაკენ და დაფინანსება ძირითადად ხდება სხვა წყაროებიდან. ·

შექმნის წესის მიხედვით იურიდიული პირები იყოფიან ნებაყოფლობით ან განკარგულების საფუძველზე შექმნილ პირებად.

ამის შესაბამისად მათი სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება ან დამფუძნებლების, ან მესაკუთრის (ანდა მმართველობის ორგანოს) მიერ. პირველ შემთხვევაში იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა განისაზღვრება დამფუძნებელთა შეთანხმებით – დამფუძნებელი ხელშეკრულებით, მეორე შემთხვევაში – მესაკუთრის (ან მმართველობის ორგანოს) ნებით, რომელიც სავალდებულოა მონაწილეებისათვის.

იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია ხდება, აგრეთვე, მარტივ და რთულ (იურიდიულ პირთა გაერთიანებები), ძირითად და დამოკიდებულ, ნაციონალურ და უცხოელ პირებად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იურიდიული პირების დაყოფას საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოიშობიან საჯარო-სამართლებრივი აქტის (კანონის, ადმინისტრაციული აქტის) საფუძველზე და საჯარო მიზნებისათვის იქმნებიან. მათ ახასიათებთ, აგრეთვე, წევრობის თავისებური წესი, სახელისუფლო უფლებამოსილებები და ა.შ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენს სახელმწიფო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, სახელმწიფო დაწესებულებები და სხვ. კერძო სამართლის იურიდიული პირები იქმნებიან კერძო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ნებაყოფლობით საწყისებზე და კერძო ინტერესების განხორციელებას ისახავენ მიზნად.

მიუხედავად ამ დაყოფისა, სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძო სამართლის იურიდიული პირების თანასწორად მონაწილეობენ და ექვემდებარებიან ამ უკანასკნელთათვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სუბიექტების, როგორც იურიდიული პირების, ძირითად სახეობებს წარმოადგენს სამეურნეო ამხანაგობები და სამეურნეო საზოგადოებები.

სამეურნეო ამხანაგობად, როგორც წესი, მიიჩნევა პირთა გაერთიანება, რომელშიც დამფუძნებლები მონაწილეობენ როგორც ქონებრივი შენატანებით, ისე პირადად გარკვეული კომერციული მიზნების მისაღწევად. პირადი მონაწილეობა აქ სავალდებულო მოთხოვნაა. სამეურნეო საზოგადოება კი, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს კომერციული მიზნებისათვის „კაპიტალის გაერთიანებას“, რომელშიც დამფუძნებლები მონაწილეობენ მხოლოდ თავიანთი

ქონებრივი შენატანებით. პირადი მონაწილეობა, როგორც წესი, სავალდებულო არ არის.

სამეურნეო ამხანაგობის ნაირსახეობებს წარმოადგენს სრული სამეურნეო ამხანაგობა და კომანდიტური ამხანაგობა.

სამეურნეო საზოგადოების სახეობებს კი განეკუთვნება სააქციო საზოგადოება, შეზღუდული ან დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

ფიზიკური პირი მეწარმეობას შეიძლება ეწეოდეს როგორც იურიდიული პირის შექმნით, ისე მის გარეშე, ოღონდ მეწარმეობის სახელმწიფო რეგისტრაციის აუცილებელი პირობით. ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირის შექმნისას საჭიროა მან მიიღოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება.

ამასთანავე, მიუხედავად მეწარმის იურიდიული სტატუსისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს მეწარმის უფლება, ჰქონდეს ბეჭედი, გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საკანონმდებლო რეგულირებისას გადასაწყვეტია საკითხი სამოქალაქო ბრუნვაში ფიზიკურ პირთა ისეთი კავშირების მონაწილეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, როგორიცაა ოჯახი, კომლი და გლეხური მეურნეობა. ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც, ჯერ ერთი, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება საკოლმეურნეო კომლისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;[1] მეორე, რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული კანონმდებლობით გლეხური მეურნეობა აღიარებულია იურიდიულ პირად[2] და მესამე, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო წინადადება ოჯახის იურიდიულ პირად ცნობის სასარგებლოდ.[3]

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული კოლექტიური წარმონაქმნების იურიდიულ პირად ცნობა არ იქნებოდა სწორი და მიზანშეწონილი.

---

1 Д.И. Генкин. Право личной собственности в социалистическом обществе. – В сб.: Труды научной сессии ВИЮН. 1946 г. М., 1948, с. 54.

2 Закон РСФСР о крестьянском (фермерском) хозяйстве от 22 ноября 1990 г. с изменениями и дополнениями от 27 декабря 1990 г. – Ведомости Съезда народных депутатов РСФСР и Верховного Совета РСФСР, 1990, №26, ст. 324; 1991, №1, ст. 5.

3 იხ. Ж. Морандьер. Гражданское право Франции. Т. 1, М., 1958, с. 516.

მათ გაერთიანებას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს ქორწინება და ნათესაური კავშირები. და თუ ამ ურთიერთობაში მყოფი პირები გადაწყვეტენ ერთობლივ სამეწარმეო საქმიანობას, მაშინ საამისოდ მხოლოდ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობების არსებობა არ არის საკმარისი. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის გამიზნული ქონების და ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა მოითხოვს სათანადო წესით დადგენილ ნებაყოფლობით საწყისებზე ახალი ურთიერთობების დამყარებას ფიზიკურ პირებს შორის, მიუხედავად მათ შორის საქორწინო-საოჯახო თუ ნათესაური ურთიერთობებისა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულებითაც არ გამორიცხავს სამოქალაქო კანონმდებლობაში სპეციალური ნორმების არსებობას, რომლებიც არეგულირებენ მეუღლეებს შორის ქონებრივ ურთიერთობებს მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში. სახელდობრ, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თუ სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ქორწინებაში მყოფი პირი, მაშინ ასეთი საქმიანობის შედეგების რისკი ვრცელდება მხოლოდ ამ მეუღლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობისათვის მეუღლეთა საერთო ქონების გამოყენებას, ამისათვის საჭირო უნდა იყოს ორივე მეუღლის თანხმობა. ამ ურთიერთობებში სიცხადის შეტანას, ვფიქრობთ, დამატებით ხელს შეუწყობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის შემოღება.[1]

რაც შეეხება საკოლმეურნეო კომლსა თუ გლეხურ მეურნეობას, აქ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ფიზიკური პირების მიერ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან იურიდიული პირის შეუქმნელად. ამიტომ მათზე უნდა გავრცელდეს ასეთი კატეგორიის პირებისათვის კანონით გათვალისწინებული რეჟიმი. ხოლო უკეთუ ისინი გადაწყვეტენ იურიდიული პირის შექმნას, მაშინ მათ უნდა აირჩიონ კანონით დადგენილი ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და შესაბამისად დაექვემდებარონ იურიდიული პირების რეგულირების სამართლებრივ რეჟიმს.[2]

გადასაწყვეტია, აგრეთვე, კოოპერატივების, როგორც იურიდიული პირების, საკანონმდებლო რეგულირების საკითხიც. კოოპერატივი მეურნეობის ორგანიზაციის შედარებით გავრცელებულ

1 З.Г. Крылова. Имущественные права супругов в условиях перехода к рыночным отношениям. - Государство и право, 1992, №7, с. 27.

2 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. В.В. Устюкова. Правосубъектность крестьянского хозяйства. - Советское государство и право, 1992, №1, с. 54-61.

სახეს წარმოადგენს. კოოპერატივი წევრობის საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის ერთობლივი წარმოების მიზნით მის საკუთრებაში არსებული ქონების მეოხებით. კოოპერატივების ორ სახეობას განარჩევენ: სამრეწველოს და სამომხმარებლოს. სამრეწველო კოოპერატივები კომერციული საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს. იგი თავისი ბუნებით ძალზედ ახლოს დგას სამეურნეო ამხანაგობასთან. განსხვავება ის არის, რომ კოოპერატივში ყოველ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა, მიუხედავად შენატანის რაოდენობისა, ამხანაგობაში კი ხმების რაოდენობა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული წილის რაოდენობასთან. განსხვავებაა, აგრეთვე, შემოსავლის განაწილების წესში. კოოპერატივში იგი დამოკიდებულია შრომით წვლილზე, ხოლო ამხანაგობაში წილის რაოდენობაზე. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერატივს, იგი იქმნება თავისი წევრების განსაზღვრული მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილებისათვის (მაგალითად, საბინაო კოოპერატივი).

ჩვენი აზრით, სამრეწველო კოოპერატივების, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამოუკიდებელი სახეობის შექმნის აუცილებლობა არ გამომდინარეობს სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნილებებიდან. სამეურნეო ამხანაგობების ის სახეობები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ვფიქრობთ, სავსებით გამოდგება კოოპერატივების მსგავსი გაერთიანებებისათვის სათანადო სამართლებრივი ფორმის მისაცემად. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერატივებს, როგორც არაკომერციულ, არასამრეწველო ხასიათის იურიდიულ პირებს, მათი სამართლებრივი რეგულირება სპეციალური კანონით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო კანონმდებლობამ უარი უნდა თქვას იურიდიული პირის სპეციალურ უფლებაუნარიანობაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საგეგმო-ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში. იურიდიულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული კანონით ან არ ეწინააღმდეგება მის საწესდებო მიზნებს. მაშასადამე, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ფარგლები უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ კანონით და თვით იურიდიული პირის წესდებით. ამასთანავე, უფლებაუნარიანობის ფარგლების კანონით განსაზღვრაში იგულისხმება როგორც ამა თუ იმ სახის საქმიანობის საერთოდ აკრძალვა, ასევე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიული პირისათვის ამა თუ იმ სახეობის საქმიანობის

განხორციელების უფლების აკრძალვა.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს იურიდიული პირების სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაცია. რეგისტრაციას უნდა დაექვემდებაროს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირები. საჯარო სამართლის ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირთათვის ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილი უნდა იქნეს კანონით. რეგისტრაციის პირობებისა და წარმოების წესის შესახებ, ჩვენი აზრით, მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური კანონი. იურიდიული პირი შექმნილად ან ლიკვიდირებულად ჩაითვლება იურიდიული პირების სახელმწიფო რეესტრში სათანადო აღნიშვნის შემდეგ. ამასთანავე, კომერციული ურთიერთობების ინტერესებიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იყოს საჯაროობა სახელმწიფო რეესტრის მიმართ. კერძოდ, კანონის საფუძველზე ნებისმიერ პირს უფლება უნდა მიეცეს დადგენილი· ანაზღაურების გადახდის შემდეგ მიიღოს სათანადოდ დამოწმებული ამონაწერები რეესტრიდან. კომერციული იურიდიული პირების რეესტრის წარმოება მიზანშეწონილია დაეკისროს სასამართლოს, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირებისა – იუსტიციის სამინისტროს.

სამოქალაქო სამართლის საგანში შემავალი ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრულია ღირებულების კანონის მოქმედებით, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებით. ეს ურთიერთობები წარმოიქმნება საზოგადოებრივი აღწარმოების ყველა სტადიაზე: საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების დროს. ისინი ყალიბდებიან იურიდიულ პირებს შორის, მათ და მოქალაქეთა (ფიზიკურ პირებს) შორის და ბოლოს – მოქალაქეთა შორის. ამგვარად, სამოქალაქო სამართალი უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების ერთიანობას მათი სუბიექტური შემადგენლობისა და მოქმედების სფეროს მიუხედავად.

ცივილურ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად მიუთითებენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების გამჭოლ ხასიათზე, რითაც რეალური შესაძლებლობა იქმნება ერთმანეთს დაუკავშირდეს საზოგადოებრივი აღწარმოების ყველა სტადია. სამოქალაქო სამართალი, წერს ვ.პ.მოზოლინი, არსებითად არის სამართლის ერთადერთი გამჭოლი დარგი, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში აერთებს საზოგადოებრივი აღწარმოების ყველა ფაზას.[1]

1 Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 34.

სამოქალაქო სამართლის დამახასიათებელი თვისება – უზრუნველყოს გამჭოლი რეგულირება, თავის მხრივ, განპირობებულია მოცემული დარგით გაშუალებული ურთიერთობების თავისებურებით, საბოლოო ანგარიშში, მათი ასახვაა და ამდენად საშუალებას იძლევა ეს ურთიერთობები ვარეგულიროთ მათი განვითარების ობიექტური კანონზომიერებების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, მართებული იქნება სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური ფუნქციის ფარგლებში გამოვყოთ ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია.

მოცემული ფუნქცია სამოქალაქო სამართალს აქცევს ეკონომიკის, როგორც ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთ წამყვან სამართლებრივ საშუალებად. ამის გამო მითითებულ ფუნქციას დომინირებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართლის სხვა ეკონომიკურ ფუნქციებს შორის.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ იმ ცივილისტების აზრს ვემხრობით, რომლებიც მიუღებლად თვლიან სამეურნეო სამართლის კონცეფციის მომხრეთა წინადადებებს, რომლებიც მოითხოვენ ორგანიზაციებს შორის ქონებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების ცალკე საკანონმდებლო აქტად გამოყოფას. ეს გამოიწვევდა ხელოვნურ განცალკევებას იმ ერთგვაროვანი ურთიერთობებისა, რომლებიც თავისი ბუნებით ითხოვს სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების ერთიანობას მათი მონაწილეების შემადგენლობის მიუხედავად.[1]

სამეურნეო სამართლის კონცეფციის მომხრენი ცდილობენ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ეკონომიკური (ქონებრივი) ურთიერთობის განცალკევებული სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა იმით დაასაბუთონ, თითქოს მოქალაქეთა პირადი მოხმარება არ შედის საზოგადოებრივი აღწარმოების სტრუქტურაში. მაგალითად, ვ.ვ. ლაპტევი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მეურნეობრიობა და ინდივიდუალური მოხმარება განხილულიყო როგორც სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა სფერო.[2] ამ დებულების მცდარობაზე

1 С.Н. Братусь. Предмет и система советского гражданского права, М., 1963, с. 154; «Советское государство и право», 1985, №11, с. 144; В.П. Грибанов. Методологические проблемы советского гражданского права. Вестник Московского ун-та, серия 11, Право, 1986, №1, с. 3-14 და სხვ.

2 Хозяйственное право. Под. ред. В.В. Лаптева, М., 1983, с.9.

უკვე მიუთითეს ცივილურ ლიტერატურაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ მოქალაქეთა პირადი მოხმარება წარმოების აუცილებელი მომენტია და მათი გათიშვა უაღრესად ხელოვნური იქნება.[1]

მართლაც, წარმოება გვევლინება როგორც მოხმარების საშუალება, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოების მიზანს ემსახურება. მოხმარების გარეშე არ არის წარმოება, რადგან სხვანაირად ის უმიზნო იქნებოდა. სწორედ ამაშია საზოგადოებრივი აღწარმოების ამ ორ ფაზას შორის უწყვეტი კავშირი. ამასთანავე, განარჩევენ მოხმარების ორ სახეს: მწარმოებლურს, ანუ წარმოების პროცესში წარმოების საშუალებათა გამოყენებას და პირადს ანუ, ადამიანის მიერ მატერიალური სიკეთის გამოყენებას პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუკი მწარმოებლური მოხმარება წარმოების უშუალო პროცესში შედის, პირადი მოხმარება მის ფარგლებს გარეთ ხდება.[2]

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირადი მოხმარება, წარმოებაზე დამოკიდებულების გამო, თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე, წარმართავს მას მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამგვარად, წარმოებაზე ზემოქმედებით პირადი მოხმარება უკუ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელ სისტემაზე. ამიტომ ის უნდა განვიხილოთ არა ცალკე, როგორც იზოლირებული სფერო, არამედ წარმოებასთან განუყოფელ კავშირში. ამის შესაბამისად ბუნებრივად დგება ამოცანა, ერთი მხრივ, მეურნეობრიობასთან და, მეორე მხრივ, პირად მოხმარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა არა განცალკევებული სამართლებრივი რეგულირებისა, არამედ წარმოებისა და მოხმარების კავშირის სამართლებრივი უზრუნველყოფისა, მოთხოვნისა და მიწოდების შეთანხმებისა.

მოხმარებასთან წარმოების პირდაპირი კავშირის, პირველის მეორეზე ზემოქმედების სამართლებრივი უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტიანი საშუალებები სამოქალაქო სამართალს გააჩნია. ამ საშუალებებს შორის უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. „ხელშეკრულება იმიტომ არის წარმოებისა და მოხმარების კავშირის ეფექტიანი საშუალება, რომ ის არა მხოლოდ პირდაპირ და, აქედან გამომდინარე, ყველაზე ოპერატიულად აწვდის წარმოებას მომხმარებელთა მოთხოვნას, არამედ მოქმედებს წარმოებაზე,

1 Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 32.
2 Политическая экономия: словарь. Под. ред. М.И. Волкова и др., М., 1979, с. 300.

განაპირობებს მის გარდაქმნას, სტიმულს აძლევს ამ გარდაქმნას შემხვედრი წახალისების ღონისძიებებით.[1]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური ფუნქციის ფარგლებში შეიძლება გამოვყოთ წარმოებისა და მოხმარების კავშირის, მოთხოვნისა და მიწოდების შეთანხმების სამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნქცია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვის მეთოდების პირობებში მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობოდა პირველის დიქტატს. სამოქალაქო სამართლის ზემოთ მითითებული ფუნქციის განხორციელებას დისფუნქცია ახასიათებდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ხელშეკრულების, როგორც წარმოებისა და მოხმარების პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფის, მოთხოვნისა და მიწოდების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი საშუალების როლი ჩახშობილი იყო დაგეგმვის არსებული სისტემით, რომელიც ძირითადად დაყვანილი იყო საწარმოებისადმი იმის დირექტიულ მითითებამდე, თუ რა და რა რაოდენობით უნდა ეწარმოებინათ. მწარმოებლებისათვის დავალებული გეგმიური ამოცანები ყოველთვის არ ასახავდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებას პროდუქციაზე, ხოლო ამის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები მხოლოდ გეგმიურ დავალებათა კონკრეტიზაციის ფუნქციას ასრულებდნენ.[2]

ამის შედეგად ან დეფიციტი იქმნებოდა, ან არასაჭირო პროდუქციის ჩაწოლა ხდებოდა, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საქონლისა. ამიტომ საჭიროა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა ისე, რომ წარმოება უშუალოდ ემორჩილებოდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ამოცანებს, რათა აღმოიფხვრას მწარმოებელთა დიქტატი. ეკონომიკური რეფორმა გამიზნული უნდა იყოს მომხმარებლისათვის პრიორიტეტის, ეკონომიკური არჩევანის უფლებისა და შესაძლებლობის მიცემაზე. ამის საუკეთესო პირობებს მხოლოდ თავისუფალი კონკურენცია ქმნის, რომლის დროსაც მეწარმეები მოქმედებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებების ყველაზე უფრო სრულად დასაკმაყოფილებლად უმცირესი დანახარჯებით ეფექტიანი, მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით. საკონკურენციო

1 В.Ф. Яковлев. О роли советского гражданского права в ускорении социально-экономического развития социалистического общества. – Правоведение, 1986, №5, с. 37.

2 იხ. დავით ძნელაძე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. „საქართველო“, თბილისი, 1991, გვ. 36-37.

ბრძოლაში საუკეთესო შედეგების მისაღწევად მეწარმემ უნდა შეისწავლოს თავის პროდუქციაზე (მომსახურებაზე) მოთხოვნა და ამის შესაბამისად შეიმუშავოს სამეურნეო საქმიანობის გეგმა. ამ პირობებში ხელშეკრულება ახალ ფუნქციებს იძენს. იგი გეგმიური დავალების კონკრეტიზაციის საშუალება კი აღარაა, არამედ სამეწარმეო საქმიანობის გეგმის შედგენის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.[1]

ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელშეკრულება ხდება წარმოებისა და მოხმარებას შორის კავშირის, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეთანხმების სამართლებრივი უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება. მაგრამ, მომხმარებელთა პრიორიტეტის რეალურად უზრუნველყოფისა და მწარმოებელთა დიქტატის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის დამატებითი ზომების მიღება. უწინარეს ყოვლისა, დაძლეულ უნდა იქნეს ეკონომიკის დეფიციტურობა, რადგან დეფიციტური ეკონომიკის პირობებში ვერავითარი სამართლებრივი საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრიორიტეტს მწარმოებლებზე. ამასთანავე, აუცილებლად უნდა შემუშავდეს ეფექტიანი სამართლებრივი ღონისძიებები კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ საბრძოლველად, წარმოებაზე ცალკეულ მეწარმეთა მონოპოლიური მდგომარეობის აღსაკვეთად.

მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად სრულად უნდა გამოიყენებოდეს სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებათა მდიდარი არსენალი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საქონლის (მომსახურების) ხარისხი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა.[2]

ზემოაღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე კანონმდებლობა, ჩვენი აზრით, სამი ძირითადი მიმართულებით უნდა განვითარდეს, სახელდობრ, ისე, როგორც ეს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოხდა.

პირველი. როგორც ცნობილია, სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ სტადიაზე დაიწყო კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაცია, გაჩნდა მონოპოლიები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს

1 С.Н. Братусь. Эволюция функций хозяйственного договора. В сб.: Гражданское право и экономика, М., 1985, с. 67.

2 Н.С. Малеин. Защита интересов потребителя гражданским законодательством. В сб.: СССР-Австрия: проблемы гражданского и семейного права. М., 1983, с. 46-49; Т.А. Лилуашвили, Ф.Г. Нинидзе, Т.Д.Цагурия. Гражданско-правовые средства обеспечения качества продукции, Тбилиси, 1978; Л.Б.Максимович. Роль гражданско-правовой ответственности в обеспечении населения высококачественными товарами. В сб.: Гражданское право и экономика, М., 1985, с. 141-143.

არა მარტო კონკურენციას, არამედ თვით საბაზრო ეკონომიკასა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს. მონოპოლიური პროცესების გაღრმავებას მოჰყვა სოციალური დაძაბულობა, წვრილ და საშუალო მეწარმეთა გაკოტრება, ტექნიკური პროგრესის დამუხრუჭება და სხვა ნეგატიური შედეგები. სახელმწიფო იძულებული შეიქმნა მიემართა სხვადასხვა, მათ შორის, საკანონმდებლო ხასიათის ზომებისათვის მონოპოლიური პრაქტიკის აღსაკვეთად. ამგვარად ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც მონოპოლიური გაერთიანებებისთვის ადგენს კონტროლის სხვადასხვა ფორმას ბაზარზე მათი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.[1]

იმის გამო, რომ ე.წ. „გარდაქმნის“ პერიოდში ეკონომიკური რეფორმა მიზნად ისახავდა ყოფილ სსრ კავშირში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟსა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას, 1991 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ“,[2] რომელიც ანტიმონოპოლური კანონმდებლობის ევროპული სისტემის მიხედვით იყო შედგენილი. კანონით გათვალისწინებული იყო სპეციალური სახელმწიფო ორგანოების შექმნა, რომელთა ფუნქციასაც შეადგენდა კონტროლის განხორციელება სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაზე მათ მიერ ბაზარზე თავიანთი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად ან თავიდან ასაცილებლად. მაგრამ სსრ კავშირში იმ პერიოდისათვის არ იყო განხორციელებული სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაცია და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, არ იყო შექმნილი სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი და მატერიალური პირობები სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების რეალური განხორციელებისათვის, ეკონომიკაში განუყოფლად ბატონობდა სახელმწიფო საწარმოები, რის გამოც ამ კანონს პრაქტიკულად არ უმოქმედნია.

ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე ცოტა ადრე, კერძოდ, 1991 წლის 22 მარტს რუსეთის ფედერაციამ გამოსცა ანალოგიური კანონი,

---

1 Гражданское и торговое право капиталистических государств, часть I, «Международные отношения», М., 1983, с. 207; Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сборник нормативных актов: законодательство о компаниях, монополиях и конкуренции. Под. ред. В.Н. Пучинского, М.И.Кулагина. Изд-во УДН, 1987, с. 7-8.

2 Ведомости Съезда народных депутатов СССР и Верховного Совета СССР, 1991, №31, ст. 885.

ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ საკანონმდებლო აქტით ერთობლივად რეგულირდებოდა როგორც მონოპოლიურ პრაქტიკასთან, ისე არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობები (მხედველობაში გვაქვს რუსეთის ფედერაციის კანონი „სასაქონლო ბაზარზე მონოპოლური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის შესახებ“).[1]

რუსეთის კანონმდებლობაზე, როგორც ჩანს, გავლენა იქონია „კონკურენციის სამართლის“ დასავლეთ ევროპის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულმა გაგებამ, რომელიც გულისხმობს როგორც ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, ისე არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის სამართლებრივ ნორმებს.[2]

სინამდვილეში მონოპოლიური პრაქტიკა, უწინარეს ყოვლისა, საჯარო ინტერესების, ე.ი. მთელი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, მაშინ როცა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან უშუალოდ ილახება მეწარმეთა, ე.ი. კერძო პირთა ინტერესები. სწორედ ამის გამოა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ძალზედ იშვიათია შემთხვევა, როცა მონოპოლისტური პრაქტიკისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში აღმოცენებული ურთიერთობები მოწესრიგებული იყოს ერთი საკანონმდებლო აქტით. რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნულ კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მონოპოლისტური პრაქტიკის ფაქტობრივმა აღრევამ გამოიწვია ის, რომ კანონით ამ სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებულია ერთი და იგივე სანქციები, რომელთაც ერთი და იგივე ორგანოები უფარდებენ. მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობით, როგორც წესი, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ეკისრებათ, იგი სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა, ერთი მხრივ, გატარდეს ღონისძიებები სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის რეალური განხორციელებისათვის,[3] ხოლო, მეორე მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნების

1 Ведомости Съезда народных депутатов РСФР и Верховного Совета РСФР, 1991, №16, ст. 499.

2 В.И. Еременко. Законодательство социалистических стран об экономической конкуренции. – Советское государство и право, 1988, N 11, с. 97.

3 ამ ღონისძიებების განსახორციელებლად გარკვეული სამართლებრივი საფუძვლები უკვე არსებობს, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საკანონმდებლო აქტე-

საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით მიღებული იქნეს კანონი მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო კონტროლის ზომები, მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივი სანქციები, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

მეორე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეთა თავისუფალი მეტოქეობა მოითხოვს საკონკურენციო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებათა აღსაკვეთად, რომლებიც ლახავენ სამეურნეო სუბიექტების, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და საბოლოო ანგარიშში საფრთხეს უქმნიან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოცენდა და კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე გარკვეული ცვლილებები განიცადა. საბოლოო ანგარიშში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება როგორც სპეციალური კანონის (მაგალითად, გფრ, ავსტრია, შვეიცარია და სხვ.), ისე სამართლის, უპირატესად სამოქალაქო სამართლის ნორმების საფუძველზე (მაგალითად, იტალია, საფრანგეთი, აშშ და სხვ.). ზოგიერთ ქვეყნებში ამ სახეობის დელიქტების წინააღმდეგ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმებიც და სპეციალური კანონმდებლობაც. მაგალითად, ბელგიაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ მიმართულია როგორც სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმები, ისე 1974 წელს მიღებული სავაჭრო პრაქტიკის შესახებ კანონი.[1]

ბი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, აგრეთვე მთავრობის დადგენილებები: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა“, „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ“ და სხვ. (იხ. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, წიგნი I. „ეკონომიკა და სამართალი“, თბილისი, 1992 წ.; ყველაფერი პრივატიზაციაზე. დოკუმენტების კრებული, თბილისი, 1993 წ.).

1 არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის დაწვრილებითი ანალიზი იხ. В.И. Еременко. Законодательство о пресечении недобросовестной конкуренции за рубежом. Советское государство и

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დეფინიცია, როგორც წესი, არ გვხვდება. გამონაკლისს წარმოადგენს შვეიცარიის ფედერალური კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, რომლის მე-2 მუხლში განმარტებულია, რომ არაკეთილსინდისიერად და არაკანონიერად მიიჩნევა ყოველგვარი მოქმედება ან კომერციული საქმიანობა, რომელიც თვალთმაქცურია ანდა სხვა ნებისმიერი გზით არღვევს კეთილსინდისიერების წესებს და ზემოქმედებას ახდენს კონკურენტებს ან მიმწოდებლებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობებზე. რაც შეეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტულ გამოვლინებებს, რომანულ-გერმანული სისტემის სამართალში, მის ძირითად სახეობას წარმოადგენს კონკურენტის საქმიანი რეპუტაციის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება, ხოლო ინგლისურ-საქსონური სისტემის სამართალში – სხვისი სახელით საქმის წარმოება. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის გამოიყენება ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები. მაგრამ ყველაზე ეფექტიან საშუალებას ამ სახის დელიქტების წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები წარმოადგენს, კერძოდ, ზიანის ანაზღაურება, სამართალდარღვევის შეწყვეტა, საქმიანი რეპუტაციის აღდგენა და ა.შ.[1]

საქართველოს რესპუბლიკაში სპეციალური კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, არც სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებია მომარჯვებული ამ სამართალდარღვევის აღსაკვეთად. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წლის 15 მარტის N 304 დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სასაქონლო ნიშნების შესახებ“,[2] რომლის მე-6 თავი ეძღვნება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და ადგენს პასუხისმგებლობას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სასაქონლო ნიშნის გამოყენებისათვის, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს კონკურენტის პროდუქციის, საწარმოს ან სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის აღრევა.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული დელიქტის სახეობა და სანქციები სრულებითაც ვერ

право, 1991, №12, с. 117-125.

1 В.И. Еременко. Указ. соч., с. 119-124.

2 საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო კანონმდებლობა. აქტები. თბილისი, 1992, გვ. 25-38.

ავსებენ იმ საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც არსებობს რესპუბლიკაში არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში. ამიტომ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, მიზანშეწონილი იქნება როგორც სამოქალაქო სამართლის კოდექსში სათანადო ნორმების გათვალისწინება, ისე სპეციალური კანონის მიღება, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმების საფუძველზე კომპლექსურად მოაწესრიგებდა საკონკურენციო ურთიერთობების ამ მნიშვნელოვან სფეროს.

მესამე, საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ დაადასტურა, რომ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის ურთიერთობა საქონლის შეძენისა და მომსახურების გაწევის თაობაზე მოითხოვს მომხმარებლის ინტერესების განსაკუთრებულ დაცვას. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და მხარეთა თანასწორობის სამართლებრივი პრინციპების რეალიზაცია თავისთავად ვერ უზრუნველყოფენ მწარმოებლისა და მომხმარებლის ფაქტობრივ თანასწორობას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში მომხმარებელი თითქმის ყოველთვის გვევლინება ხელშეკრულების მხარედ, ამიტომ მისი ინტერესების დაცვა უპირატესად სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებშია შესაძლებელი. თუმცა მომხმარებლის ინტერესების დაცვა არა თუ სახელშეკრულებო სამართლის, არამედ კერძო სამართლის ფარგლებსაც სცილდება.[1]

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 60-იან, 70-იან წლებში მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის ტრადიციულ ნორმებთან ერთად დამატებით ვალდებულებებს აკისრებდა მეწარმეს და შეიცავდა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გარანტიებს. ამგვარად, სახელშეკრულებო სამართლის პარალელურად შეიქმნა იურიდიული ნორმების სისტემა, რომელიც სპეციალურად არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს მომხმარებლის მონაწილეობით.[2] ამ კატეგორიის ხელშეკრულებებისათვის

1 მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის ნორმებთან ერთად ემსახურება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საპროცესო სამართლის ნორმები. საფრანგეთში, მაგალითად, ამ მიზნებისთვის შექმნილია მოხმარების საკითხთა სამინისტრო, ნაციონალური ინსტიტუტი და სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციები, მომხმარებელთა დაცვის საზოგადოებები და სხვ. (იხ. М.И. Кулагин. Защита интересов потребителей и развитие современного французского договорного права. В кн.: Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сборник нормативных актов. Обязательственное право. Изд-во УДН, М., 1989 г., с. 17).

2 საყურადღებოა, რომ სამართლებრივი ნორმების ამ მასივს საზღვარგარეთულ

კანონმდებლობით განსაზღვრულია მათი დადების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების, შინაარსისადმი კონტროლის, აგრეთვე პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესები. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მომხმარებელთან ხელშეკრულების დადებისას მეწარმეს დაეკისრა ინფორმაციის მიწოდების, საქონლისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებები, აგრეთვე საქონლის დეფექტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვალდებულებები არ წარმოადგენენ კანონმდებლობის დეკლარაციულ მოთხოვნებს, ისინი ყოველთვის სათანადო სანქციებით არიან განმტკიცებულნი. მაგალითად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა მომხმარებელს უფლებას აძლევს მოითხოვოს ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება. საქონლის დეფექტით მიყენებული ზიანის შემთხვევაში დადგენილია მეწარმის ან გამყიდველის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, ამასთანავე ზარალის ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერმა დაზარალებულმა მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამყიდველთან. დაზარალებულს უფლება აქვს აგრეთვე სარჩელი აღძრას პირდაპირ დეფექტიანი პროდუქციის მწარმოებლის წინააღმდეგ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაზე გავლენას ახდენს ევროსაბჭოსა და საერთო ბაზრის ორგანოების მიერ მიღებული აქტები, რის შედეგადაც მიმდინარეობს ამ ქვეყნების კანონმდებლობის დაახლოების პროცესი.[1]

ჩვენს კანონმდებლობაში მომხმარებელთა ინტერესების დაცვა ხორციელდება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმების ფარგლებში და მათში არსებითი ხასიათის ცვლილებანი საზღვარგარეთის ქვეყნების ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების გავლენით ჯერჯერობით არ მომხდარა. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ცალკეულ საკანონმდებლო აქტებს, რომლებშიც ზოგადად, დეკლარაციული ფორმით გადმოცე-

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ მიიჩნევენ როგორც სამართლის დარგს, კერძოდ, მოხმარების სამართალს. ამასთანავე, მომხმარებელში იგულისხმება ფიზიკური პირი, რომელიც იძენს საქონელს ან ღებულობს მომსახურებას არა თავისი სამეწარმეო საქმიანობისათვის, არამედ პირადი მოხმარებისათვის (იხ. Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сборник нормативных актов. Обязательственное право. М., 1989, с. 16-17).

1 ევროსაბჭომ 1977 წელს ხელმოსაწერად მოამზადა სტრასბურგის კონვენცია პროდუქტით ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალების შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის დებულებები შემდგომში პირდაპირ აისახა წევრი-სახელმწიფოების ნაციონალურ კანონმდებლობაში.

მულია დებულებანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობის შესახებ, მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის 14 ივნისის კანონის მე-11 მუხლში, აგრეთვე „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის მე-7 და 32-ე მუხლებში ზოგადად მითითებულია მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, მეწარმის პასუხისმგებლობაზე მომხმარებელთა ინტერესების შელახვისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას. სამწუხაროდ, ამ დეკლარაციულმა ნორმებმა შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება ვერ პოვეს სხვა საკანონმდებლო აქტებში. არადა ამის საჭიროება საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე სულ უფრო იგრძნობა. საყურადღებოა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთმა რესპუბლიკამ ამ მიმართულებით უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, რუსეთის ფედერაციამ 1992 წლის 7 თებერვალს მიიღო კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც დეტალურად არეგულირებს მომხმარებელსა და მეწარმეს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.[1]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საჭიროა დროულად ჩამოყალიბდეს რესპუბლიკის კანონმდებლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური კანონის მიღება, რომელიც მოაწესრიგებდა მომხმარებელსა და მეწარმეს შორის ურთიერთობებს, დაადგენდა მომხმარებელთა უფლებებს ჯეროვანი ხარისხის საქონლის შეძენაზე, მომსახურების გაწევაზე, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე, საქონლისა და მისი დამამზადებლის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, მომხმარებელთა ინტერესების სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაცვაზე, აგრეთვე განსაზღვრავდა ამ უფლებათა რეალიზაციის გარანტიებსა და მექანიზმს.

ასეთია, ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური ფუნქციის სისტემა. ეკონომიკური ფუნქცია, როგორც ზემოთ ითქვა, წამყვანი ფუნქციაა სამოქალაქო სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა შორის. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ის უფრო დაწვრილებითაა განხილული, ვიდრე ამ ჯგუფის სხვა ფუნქციები.

---

1 Ведомости Съезда народных депутатов Российской Федерации и Верховного Совета Российской Федерации. 9 апреля 1992 г., №15, ст. 766.

ახლა განვიხილოთ სამოქალაქო სამართლის სოციალური ფუნქციის სისტემა. განსახილველი ფუნქცია გამოიყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი სფეროს, სახელდობრ, სოციალური ურთიერთობების მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში „სოციალურ ურთიერთობათა“ ცნება გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით მასში იგულისხმება ყველაფერი, რაც კი ადამიანთა საზოგადოებას მიეკუთვნება. „სოციალურის“ ამგვარი გაგება ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც საჭიროა სოციალური მოვლენა განვასხვავოთ ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა ბუნებრივი მოვლენებისაგან. უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი „სოციალური“ გამოიყენება როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი სფეროს აღსანიშნავად ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ (სულიერ) სფეროებთან ერთად. სოციალური სფერო მოიცავს იმას, რაც უშუალოდ ადამიანს, მის საქმიანობას ეხება. უფრო კონკრეტულად – ეს არის ადამიანთა მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი ცხოვრების პირობები, მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება.[1] წინამდებარე ნაშრომში „სოციალური“ განხილულია ვიწრო მნიშვნელობით, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებული სფერო, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

სოციალური პოლიტიკის საგანია სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მიმართულება, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

სოციალური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა სამართალი. სოციალური პოლიტიკა ხორციელდება სამართლის თითქმის ყველა დარგის მეოხებით. თითოეული დარგი ხელს უწყობს სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტას საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სახეობებზე მაორგანიზებელი (მარეგულირებელი, დაცვითი) ზემოქმედების გზით, რომლებიც ქმნიან საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას.

რამდენადაც სოციალური ურთიერთობების ბირთვი საზოგადოებრივ-შრომითი ურთიერთობებია, რომლებიც შრომის საზოგადოებრივი კოოპერაციის ბაზაზე ყალიბდება, ხოლო ეს ურთიერთობები ძირითადად შრომის სამართლით რეგულირდება,

1 Правовая система социализма. Понятие, структура, социальные связи. Книга 1. Ответственный редактор П.М. Васильев. «Юридическая литература», М., 1986, с. 262-263; А.С. Пашков, В.Г. Ротань. Социальная политика и трудовое право, «Юридическая литература», М., 1986, с. 7-8.

სამართლის ამ დარგისთვის სოციალური ფუნქცია წამყვანია.

თავისი სოციალური მიმართულებით გამოირჩევა სამოქალაქო სამართალიც, რომელიც მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირების საშუალებაა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის პირველ მუხლში, კერძოდ, ნათქვამია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს მოქალაქეთა მატერიალური და სოციალური მოთხოვნილების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოქალაქეთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ნათელი გახდება სამართლის განსახილველი დარგის სოციალური მიმართულება.

როგორც ცნობილია, სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტის საშუალებები საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობებში, მის ეკონომიკურ საფუძვლებში ძევს. ეს გარემოება განაპირობებს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ორგანულ კავშირსა და ურთიერთქმედებას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების მჭიდრო კავშირს. სამოქალაქო სამართლის ზემოაღნიშნული ნორმა იმ აზრითაც არის საგულისხმო, რომ მასში ერთიანობაშია წარმოდგენილი ეკონომიკური და სოციალური ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად არის გამიზნული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირება. იმ კონკრეტული სოციალური ამოცანების გათვალისწინებით, რომელთა გადაჭრას სამოქალაქო სამართალი უწყობს ხელს, მისი სოციალური ფუნქციის სისტემა, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

<u>მოქალაქეთა სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია.</u> სოციალურ თანასწორობაში იგულისხმება საზოგადოებაში ადამიანთა მდგომარეობის თანასწორობა, ერთნაირი დამოკიდებულება სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან, საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობებით სარგებლობის თანაბარი უფლება.[1]

სამოქალაქო სამართალი ამ ფუნქციას ახორციელებს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობებისადმი ყველა მოქალაქის თანასწორი დამოკიდებულების გზით. იგი არავის არ ანიჭებს რაიმე პრივილეგიას და უპირატესობას უფლებების ფლობის შესაძლებლობის

1 Философская энциклопедия, т. 1, М., 1967, с. 443.

თვალსაზრისით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მოქალაქეს შეუძლია ჰქონდეს ქონება საკუთრებად, უფლება აქვს ისარგებლოს საცხოვრებელი შენობით და სხვა ქონებით, მიიღოს ქონება მემკვიდრეობით და გადასცეს ანდერძით, აირჩიოს ესა თუ ის საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი; უფლება აქვს იყოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა, სამრეწველო ნიმუშთა ავტორი, აგრეთვე ჰქონდეს სხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები. მითითებულ უფლებებს სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებს ყველა მოქალაქისათვის თანაბრად (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). ეს დებულება იმაზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართალი ყველა მოქალაქისათვის ადგენს სხვადასხვა უფლების ფლობის თანაბარ შესაძლებლობას მიუხედავად მათი წარმოშობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლებისა, ენისა, რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, საქმიანობის სახისა და ხასიათისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებებისა.

აღიარებს რა მოქალაქისათვის სხვადასხვა უფლების ფლობის თანაბარ შესაძლებლობას, სამოქალაქო სამართალი ადგენს ამ შესაძლებლობათა რეალური განხორციელების იურიდიულ გარანტიებს. სამოქალაქო სამართალში არის სპეციალური ნორმები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა მიერ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა შეძენის შესაძლებლობის შეზღუდვის წინააღმდეგ. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად არავის არ შეიძლება შეეზღუდოს უფლებაუნარიანობა ან ქმედუნარიანობა, გარდა იმ შემთხვევებისა და წესებისა, რაც გათვალისწინებულია კანონით. ხელშეკრულება ან სხვა გარიგება, რომელიც ზღუდავს უფლებაუნარიანობას ან ქმედუნარიანობას, ბათილია.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფუნქცია. სამოქალაქო სამართალი მოცემულ ფუნქციას ახორციელებს იმ ურთიერთობათა არეგულირებით, რომლებიც წარმოიშობიან სახელმწიფო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, აგრეთვე კერძო (იურიდიულ და ფიზიკურ) პირებსა და მოქალაქეებს შორის სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის[1] მე-8 მუხლით სამედიცინო პრაქტიკა მიჩნეულია

1 ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, წიგნი I, „ეკონომიკა და სამართალი“, თბილისი, 1992, გვ. 18.

სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ სახეობად, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ნებართვით. სამედიცინო დაწესებულებას (ან კერძო პირსა) და პაციენტს შორის ფასიანი სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნება იურიდიულ ლიტერატურაში ეჭვს არ იწვევდა.[1] იგივე დამოკიდებულება არ იყო უფასო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა იურიდიული ბუნების მიმართ. თუმცა გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ რადგანაც სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არ მოქმედებს დაქვემდებარების პრინციპი, ამდენად ეს ურთიერთობები, მიუხედავად მათი სასყიდლიანობისა თუ უსასყიდლობისა, თავისი ხასიათით მოითხოვს სამოქალაქო სამართლებრივი მეთოდით რეგულირებას.[2] ამ მოსაზრებას არ შეიძლება არ დაეთანხმო, რადგანაც ამა თუ იმ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივად მიჩნევა დამოკიდებულია არა მათ სასყიდლიანობაზე ან უსასყიდლობაზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ამ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივ მდგომარეობაზე, უფლებათა და მოვალეობათა ხასიათზე, პასუხისმგებლობის წესზე და ა.შ. ამიტომ თუკი ფასიანი სამედიცინო დახმარების თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს ატარებს, მაშინ ასეთივე ხასიათისა უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის ურთიერთობა უფასო სამედიცინო დახმარების გაწევის გამო.[3]

მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციას სამოქალაქო სამართალი ახორციელებს აგრეთვე დაცვითი ნორმების მეშვეობით, რომლებიც ადგენენ ქონებრივ პასუხისმგებლობას პიროვნებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

მოცემული ფუნქციის განმხორციელებელი დაცვითი ნორმები ქმნიან ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ სამოქალაქო-

---

1 А.Ю. Кабалкин. Социально-экономические права советских граждан (в отраслях права цивилистического профиля), «Наука», М., 1986, с. 34-35.

2 Н.С. Малеин. Гражданский закон и права личности в СССР. «Юридическая литература», М., 1981, с. 186.

3 მედიცინის მიღწევებთან დაკავშირებით წარმოშობილი ზოგიერთი სამოქალაქო სამართლის პრობლემისა და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფის ამოცანების შესახებ იხ. Н.М. Малеина. О праве на жизнь. – Советское государство и право, 1992, №2, с. 50-59.

სამართლებრივ ინსტიტუტს. ზოგად დებულებებთან ერთად, რომელთა მოქმედება ვრცელდება ზიანის მიყენების ყველა შემთხვევაზე, ე.ი. როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სიკეთისათვის ზიანის მიყენებისას, მითითებული ინსტიტუტი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ქონებრივ პასუხისმგებლობას ადგენენ ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიკვდილისათვის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-483 მუხლები).

სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც დგება, როცა მოქალაქის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ანდა სიკვდილი გამოწვეულია არა სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად, არამედ საფრთხეში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გადასარჩენად დაზარალებულის ნებაყოფლობით მოქმედებასთან დაკავშირებით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 485-ე მუხლი).[1]

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე ე.წ. თვითდაცვის ზომებს. თვითდაცვის ზომებში იგულისხმება უფლებამოსილი პირის მიერ, თავისი ინიციატივით, კანონით ნებადართული მოქმედების განხორციელება, რომელიც მიმართულია ადამიანის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.[2] თვითდაცვის ასეთ ზომებს განეკუთვნება, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულად არ მიიჩნევს აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ზიანის მიყენებას და, შესაბამისად, გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, სამოქალაქო კანონმდებლობა ამ უფლებების განხორციელებას არეგულირებს ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის გზით. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 461-ე მუხლის თანახმად აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში

1 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის დროს მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემის შესახებ იხ. П.Р. Стависский. Возмещение вреда при спасении социалистического имущества, жизни и здоровья граждан. «Юридическая литература», М., 1974; Д.Г. Хецуриани. К вопросу о возмещении вреда, понесенного при спасении жизни или здоровья человека. В сб.: Совершенствование советского законодательства на основе Конституции СССР и конституций союзных республик. «Мецниереба», Тбилиси, 1982, с. 120-126.

2 თვითდაცვის სამოქალაქო სამართლის ზომების შესახებ იხ. Г.Я. Стоякин. Меры самозащиты в гражданском правоотношении. В сб.: Гражданские правоотношения и их структурные особенности. Вып. 39, Свердловск, с. 46-54.

მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება, თუ აუცილებელი მოგერიების საზღვარი გადაცილებული არ იყო. მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებისას პირი თავისუფლდება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც აუცილებელი მოგერიების, ისე უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში განხორციელებული მოქმედება წარმოადგენს არა მარტო თვითდაცვის ზომას, არამედ სხვისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებებსაც, ე.ი. ამ ინსტიტუტების მეოხებით პიროვნებას შეუძლია დაიცვას არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა პიროვნების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციის განხორციელებისას ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა ინსტიტუტი ურთიერთქმედებაშია სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებთან, მაგალითად, დაზღვევასთან, აგრეთვე სამართლის სხვა დარგის ინსტიტუტებთან: შრომის სამართლის (სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა) და სისხლის სამართლის (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის, სხეულის დაზიანებისათვის) ინსტიტუტებთან. თუმცა, საერთო მიზანი სხვადასხვა სამართლებრივი მეთოდებით მიიღწევა. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა ინსტიტუტი ამ მიზანს აღწევს ზიანის მიმყენებლის ქონებრივ სფეროზე ზემოქმედებით, რითაც პოტენციურ სამართალდამრღვევს აფრთხილებს მეტი წინდახედულობა გამოიჩინოს ისეთი მოქმედების ჩადენისას, რომლის დროსაც შეიძლება ვნება მიადგეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად მიმართული სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა შესრულებას.

<u>ოჯახის დაცვისა და განმტკიცების ფუნქცია.</u> ოჯახის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის, დაცვა და განმტკიცება, სადაც ჰარმონიულად ერწყმის საზოგადოებისა და მოქალაქის ინტერესები, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრისათვის სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართლებრივ ნორმებს, რადგანაც ოჯახის დაცვისა და განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელება საბოლოო ანგარიშში ყოველთვის სამართლებრივი ნორმების გამოყენებით ხდება. სამართლებრივი ნორმები, ერთი მხრივ, მეუღლეთა და ოჯახის

სხვა წევრთა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის გარანტიებს ქმნიან, ხოლო, მეორე მხრივ, იცავენ ოჯახის წევრთა როგორც ქონებრივ, ისე პირად უფლებებს. ოჯახის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ სამართლის თითქმის ყველა დარგის ნორმები გამოიყენება. მაგრამ წამყვანი ადგილი მათ შორის საოჯახო სამართლის ნორმებს უკავიათ. ეს ბუნებრივია, რადგანაც ოჯახის დაცვა და განმტკიცება საოჯახო სამართლის მთავარი ამოცანაა და შესაბამისად, სამართლის ამ დარგის წამყვანი ფუნქციაა.

ოჯახის დაცვასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო სამართალიც. სამოქალაქო სამართალი ქონებრივი და პირადი ურთიერთობების რეგულირებისას ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული მოქალაქეების, არამედ მათი ოჯახების ინტერესებსაც. სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებსაც შეიცავენ ქმედუნარიანობის, წარმომადგენლობის, მეურვეობის, მზრუნველობის, გარიგების ბათილობის და სხვა ინსტიტუტები, ემსახურება ოჯახის წევრთა ქონებრივი ინტერესების დაცვას. უშუალოდ ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის დასაცავად არის გამიზნული, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 15[1] მუხლი, რომელიც ადგენს მოქალაქეთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის გამო, რითაც ისინი თავიანთ ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ. ოჯახის წევრთა (მემკვიდრეთა) ქონებრივი ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი მემკვიდრეობის სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანი ან არაშრომისუნარიანი შვილების (მათ შორის შვილობილები), აგრეთვე გარდაცვლილის არაშრომისუნარიანი მეუღლის, მშობლების (მშვილებლების) და მის რჩენაზე მყოფი სხვა მემკვიდრეების უფლებას სამკვიდრო ქონებაში სავალდებულო წილზე ანდერძის შინაარსის მიუხედავად.[1] საოჯახო და სამოქალაქო სამართლის ნორმებსა და ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთქმედებაა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სამართლის მოცემული დარგების ზემოქმედების საგანთა ერთგვაროვნებითაა გაპირობებული. სამართლის ორივე დარგის საგანია ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები. უფრო მეტიც, ტრადიციულად

1 სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებით ოჯახის დაცვის სახეობების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. В.А. Рясенцев. Охрана семьи в гражданском праве. В кн.: Право и защита семьи государством. «Наука», М., 1987, с. 6-93; Ш.Д. Чиквашвили. Имущественные отношения в семье. «Юридическая литература», М., 1976, с. 12-15.

საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (თუ არ ჩავთვლით სოციალისტური სამართლის სისტემებს), მათი განცალკევება და საოჯახო სამართლის დამოუკიდებელი დარგის შექმნა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში, უფრო მეტად იდეოლოგიური და პოლიტიკური მოტივებით იყო გაპირობებული, ვიდრე იურიდიული კანონზომიერებებით. შედეგად ჩამოყალიბდა სამართლის დარგი, რომლის დამოუკიდებელი არსებობის საფუძვლები საბჭოური სამართლის მეცნიერების პირობებშიც კი სადავოდ იყო მიჩნეული.[1]

საოჯახო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების სპეციფიკად მიაჩნიათ ის, რომ ისინი წარმოიშობიან ძალზედ ვიწრო წრეში, კერძოდ, მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, აგრეთვე სხვა ახლო ნათესავებს შორის და ამდენად მათ „მკაცრად პირადი ხასიათი აქვთ“. ეს გარემოება განაპირობებს საოჯახო ურთიერთობებში პირადი ურთიერთობების დომინირებულ მდგომარეობას ქონებრივთან შედარებით. ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს სუბიექტთა რაოდენობრივ მაჩვენებელს ამა თუ იმ ურთიერთობათა ხასიათის დასადგენად. მით უმეტეს, სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს სუბიექტთა შემადგენლობის მიუხედავად. არც ის უნდა იყოს გადამწყვეტი ნიშანი, რომ ამ სფეროში პირადი ურთიერთობებია წინა პლანზე გამოსული, რადგანაც ეს გარემოება სრულებითაც არ ცვლის მათ ბუნებას, შეიძლება დავასახელოთ სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებული მთელი რიგი სფეროები, სადაც ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება. იგივე შეიძლება ითქვას უსასყიდლობაზე, როგორც საოჯახო ურთიერთობების ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანზე. სამოქალაქო სამართალში მთელი რიგი ურთიერთობებია, რომლებიც უსასყიდლობის მომენტით ხასიათდება, მაგრამ ამით მათი ხასიათი არ იცვლება და ისინი რჩებიან სამართლის ამ დარგის საგნის შემადგენელ ელემენტად.

მიუთითებენ, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველს შეადგენს ქორწინება და ნათესაობა, რის გამოც ამ ურთიერთობებს აქვთ დენადი ხასიათი. მაგრამ ასეთივე ხასიათი აქვთ, მაგალითად, საკუთრების უფლებას, პირად არაქონებრივ უფლებებს.

საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკას ხედავენ აგრეთვე

1 О.С. Иоффе. Советское гражданское право, ч. III. Изд-во ЛГУ, 1965, с. 177-178, 185-186 и др.

იმაში, რომ ამ ურთიერთობებთან დაკავშირებული უფლებები არ გადაეცემა და არ გასხვისდება, მათზე უარის თქმა შეუძლებელია. სამოქალაქო სამართალშიც გვხვდება ანალოგიური უფლებები, მაგალითად ავტორობის უფლება. საოჯახო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგის, მომხრეები თავიანთ პოზიციას ასაბუთებენ იმითაც, რომ საოჯახო-სამართლებრივ ნორმებს, როგორც წესი, იმპერატიული ხასიათი აქვთ. მაგრამ იმპერატიული ნორმები გვხვდება სამოქალაქო სამართალშიც. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებით საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობიან არა შეთანხმების, არამედ სხვა იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ჯერ ერთი, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას ყოველთვის როდი უდევს საფუძვლად მხარეთა შეთანხმება და მეორეც, მთელი რიგი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწორედ სუბიექტთა თანხმობაა.

საოჯახო სამართლის მომხრეები სამართლის ამ დარგის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიუთითებენ კოდიფიცირებული აქტების არსებობაზე ამ სფეროში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ აქტების მთელი რიგი ინსტიტუტები და ნორმები სწორედ სამოქალაქო სამართლებრივი კუთვნილებისაა (მაგალითად, მეურვეობა, მზრუნველობა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ნორმები და სხვ.), უფრო მეტიც, თვით საოჯახო კანონმდებლობით დაშვებულია საოჯახო ურთიერთობების რეგულირებისას სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გამოყენება (მაგალითად, სასარჩელო ხანდაზმულობისა და ვადების გამოთვლის წესები).[1]

ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ვაპირებთ საოჯახო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობების სპეციფიკის ხელაღებით უარყოფას. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს სპეციფიკა მხოლოდ იმ დონისაა, რომ საოჯახო სამართალი შეიძლება განვიხილოთ როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგი და არა სამართლის დამოუკიდებელი დარგი. ასეთივე სპეციფიკით ხასიათდება, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი ქვედარგის თუ ინსტიტუტის ზემოქმედების საგანი, რომელიც ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ერთობლიობაში თავისებურ სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სამოქალაქო

1 ამ არგუმენტის თაობაზე დაწვრილებით იხ. В.А. Рясенцев. Семейное право. М., «Юридическая литература», 1971, с. 8-20.

სამართლის ახალ კოდექსში დამოუკიდებელი მონაკვეთი უნდა მიეჩინოს საოჯახო სამართალს. ამასთანავე, საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებითა და მოქმედ საოჯახო კანონმდებლობაში არსებული იდეოლოგიური პოსტულატების დაძლევის შედეგად, არსებითად უნდა შეიცვალოს ამ სფეროში აღმოცენებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრინციპები, რათა მან ხელი შეუწყოს ოჯახის დაცვისა და განმტკიცების სამოქალაქო სამართლის ფუნქციის სრულყოფილ განხორციელებას.

მოქალაქეთა საბინაო უფლების და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია.

მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებულ როლს საბინაო კანონმდებლობა ასრულებს, რომელიც გამიზნულია ხელი შეუწყოს საბინაო ფონდების ეფექტიან გამოყენებას და დაცვას, მოქალაქეთა საბინაო უფლებების უზრუნველყოფას, მათი საბინაო ინტერესების დაცვას.

საბინაო კანონმდებლობის კოდიფიკაციამდე, მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები კანონის დონეზე გაერთიანებული იყო საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტში (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 27-ე თავი). ამავე მიზანს ემსახურებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ საცხოვრებელ სახლზე მოქალაქეთა პირადი საკუთრების, საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის, გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულებით გასხვისების, ნაჩუქრობის და ამ ობიექტთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. 70-იანი წლების ბოლოს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში მიღებულმა ახალმა კონსტიტუციებმა მოქალაქის სხვა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან ერთად პირველად გაითვალისწინეს ბინის უფლება, რამაც განაპირობა კანონმდებლობის სპეციალური დარგის – საბინაო კანონმდებლობის შექმნა. ამ მიზნით მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები,[1]

1 Ведомости Верховного Совета СССР, 1981, №26, ст. 834.

ხოლო საქართველოში – საბინაო კოდექსი,[1] აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აღნიშნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად არეგულირებენ საბინაო ურთიერთობათა ფართო წრეს.

საბინაო კანონმდებლობის კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტები – საფუძვლები და საბინაო კოდექსი მოიცავენ სამართლის სხვადასხვა დარგის – ძირითადად ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ნორმებს, რაც კანონმდებლობის მოცემული დარგის კომპლექსურ ხასიათზე მიუთითებს.[2] თუმცა მოქალაქეთა საბინაო უფლების უზრუნველყოფაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო სამართლის ნორმები ასრულებენ. ამ ნორმათა ხასიათი, რა· თქმა უნდა, არ იცვლება იმის გამო, რომ ისინი მოცემულია საბინაო კანონმდებლობის კოდიფიცირებულ ნორმატიულ აქტებში და, შესაბამისად, არ კარგავენ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების თვისებებს. საბინაო კოდექსის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებულ ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში ყალიბდება. ასე, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებულია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადების, შეცვლის და შეწყვეტის წესები, განსაზღვრულია დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების უფლებები და მოვალეობები, მოქალაქეთა დროებით არყოფნის პერიოდში საცხოვრებელი სადგომის შენარჩუნების პირობები, საცხოვრებელი სადგომის გაცვლისა და ქვექირავნობის პირობები და წესები, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის და მოქალაქის პირადი საკუთრების სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის პირობები და წესები, დადგენილია პასუხისმგებლობა საბინაო ფონდის არაჯეროვან გამოყენებასა და მოვლაზე და ა.შ.

ახალმა საბინაო კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მოქალაქეთა საბინაო უფლებები და გააძლიერა მათი საბინაო ინტერესების დაცვა, შეავსო საბინაო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში არსებული ხარვეზები.

მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზაციის

1 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983, N 6, მუხლი 199.
2 შალვა ჩიკვაშვილი. საბინაო სამართალი, თბილისი, 1989, გვ. 23-24.

შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის პირველი თებერვლის დადგენილებას,[1] რომლის თანახმად მოქალაქეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) ნებაყოფლობით უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელიც მთლიანად გადაიხდიდა საცხოვრებელი ბინის ღირებულებას, ჩაითვლებოდა ბინის მესაკუთრედ. საცხოვრებელი სახლის (ბინის) ექსპლოატაციის თაობაზე დადგენილებით გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა მესაკუთრესა და საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციას შორის.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბუნებრივია, მოითხოვს სათანადო ცვლილებებს მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების უზრუნველყოფის სამართლებრივ რეგულირებაში. ჩვენი აზრით, კანონმდებლობა ამ სფეროში უნდა განვითარდეს არა კომპლექსური კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტის შემდგომი სრულყოფის, არამედ მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მკაცრად გამიჯნული დარგობრივი სამართლებრივი რეგულირების გზით. სამოქალაქო სამართლის კოდექსი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც მოაწესრიგებენ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების განხორციელებასთან, აგრეთვე ამ ობიექტის სამოქალაქო ბრუნვაში მოქცევასთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა ურთიერთობას.

<u>საქონლითა და მომსახურებით მოქალაქეთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის ფუნქცია.</u>

მოქალაქეთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქონლითა და მომსახურებით, რაც ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანაა, ხორციელდება მომსახურების სფეროს მეშვეობით. „მომსახურების სფეროს“ ცნება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს „მომსახურებას“ ამ სიტყვის პირდაპირი აზრით. მაგრამ ის არა მხოლოდ უშუალოდ მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს მოიცავს, არამედ იმ ურთიერთობებსაც, რომელთა საგანია მატერიალური ობიექტები, მაგალითად, მოსახლეობისთვის საქონლის გაყიდვა, საზოგადოებრივი კვება და ა.შ.[2]

---

1 იხ. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი I, თბილისი, 1992, გვ. 337-380.

2 „მომსახურების სფეროს“ ცნების შესახებ იხ. А.Ю. Кабалкин. Сфера обслуживания: гражданско-правовые проблемы. «Наука», М., 1972, с. 18-24; А.А. Пушкин. К вопросу о совершенствовании правовой регламентации отношений в сфере обслуживания. В кн.:

აქედან გამომდინარე, მომსახურების სფერო მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო წრეს, რომელშიც შედის სამედიცინო დახმარების გაწევა, საქონლის საცალო ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო შეკვეთები, გაქირავება, შენახვა, საბინაო-კომუნალური მომსახურება, მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადატანა, დაკრედიტება, პირადი და ქონებრივი დაზღვევა და სხვა.

მიუხედავად მოქალაქეთა მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მრავალსახეობისა, ისინი მაინც ერთ მიზანს ექვემდებარებიან – მოქალაქეთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ზემოთ მითითებულ ურთიერთობათა ერთიანი სოციალური არსი და მიზნობრივი დანიშნულება, რაც მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიმართულებაში გამოიხატება, საფუძვლად უდევს მათ ერთტიპიურ სამართლებრივ რეგულირებას.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსახილველ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს მოიცავს, მაგრამ მათ შორის წამყვანი ადგილი სამოქალაქო სამართლის ნორმებს უჭირავს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მოქალაქეთა მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა უმეტესობა სასაქონლო-ფულადი ხასიათისაა, რომელიც განაპირობებს ზემოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას. იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ყველაზე ეფექტიანი იურიდიული ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც ხდება მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განსახილველ სფეროში, არის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება ხელშეკრულებასთან მიმართებაში მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს.[1] ეს მართლაც ასეა, რადგან სწორედ მომსახურების ხელშეკრულებათა შესრულების შედეგად ხდება მოქალაქეთა მრავალგვარი მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილება.

მომსახურების ხელშეკრულებები გათვალისწინებულია როგორც კოდიფიცირებულ სამოქალაქო კანონმდებლობაში, ასევე სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ისინი შეადგენენ სამოქალაქო სამართლის განსახილველი ფუნქციის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მომსახურების ხელშეკრულებებს

Правовое регулирование отношений в сфере обслуживания граждан. М., 1983, с. 20.

1 იხ. Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 192.

აჯგუფებენ მათი ეკონომიკური და სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ ხელშეკრულებათა შემდეგ ჯგუფებს: სავაჭრო მომსახურების ხელშეკრულებები (საცალო ყიდვა-გაყიდვა, საცხოვრებელ ნაგებობათა ყიდვა-გაყიდვა, კომისია საცალო ვაჭრობის წესით, საზოგადოებრივი კვება); საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელშეკრულებები (საყოფაცხოვრებო შეკვეთა, საყოფაცხოვრებო გაქირავება, საყოფაცხოვრებო შენახვა, ქონებით უსასყიდლო სარგებლობა); საბინაო-კომუნალური მომსახურების ხელშეკრულებები (საცხოვრებელი სადგომის ქირავნობა, საცხოვრებელი სადგომის გაცვლა, მოქალაქეთა მომარაგება გაზით და ენერგიით); სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულებები (მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადატანა, ექსპედიცია, მათ შორის – საფოსტო); საკრედიტო-საანგარიშსწორებო და სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულებები (ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციები, მოქალაქეთა სამომხმარებლო საჭიროების დაკრედიტება, პირადი და ქონებრივი დაზღვევა) და ა.შ.[1] იურიდიულ ლიტერატურაში განხორციელებულ ამგვარ კლასიფიკაციას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს მომსახურების სფეროში მოქალაქეთა ქონებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამოქალაქო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები ვალდებულებათა დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის. ამიტომ, მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებული აქტების არსებული სისტემა უნდა შეიცვალოს იმ თვალსაზრისით, რომ „ვალდებულებითი სამართლის“ ფარგლებში გამოიყოს დამოუკიდებელი ქვეთავი, რომელიც მოქალაქეთა მომსახურების ხელშეკრულებებს მიეძღვნება.[2] ამის თაობაზე სხვა მოსაზრებაც არსებობს. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს მივიღოთ კომპლექსური კანონები მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ცალკეული სფეროების მიხედვით – საცალო ვაჭრობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა.შ.[3]

---

1 იხ. А.Ю. Кабалкин. Указ. соч., с. 29-30.

2 В.П. Мозолин, А.Ю. Кабалкин. Совершенствование законодательства об обслуживании граждан в СССР. В кн.: Правовое регулирование отношений в сфере обслуживания граждан, с. 11.

3 В.Ф. Яковлев. О совершенствовании правового регулирования отношений по удовлетворению потребностей граждан. В кн.: Правовое регулирование отношений в

ჩვენი აზრით, პირველი წინადადება უფრო მისაღებია, რადგან მომსახურების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის შემოთავაზებული გზა ყველაზე უფრო ზუსტად ასახავს იმ წამყვან როლს, რასაც სამოქალაქო სახელშეკრულებო ურთიერთობები ასრულებენ მომსახურებაზე მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციაში.[1] თუკი კანონმდებელი მაინც აირჩევს კომპლექსური საკანონმდებლო აქტების მიღების გზას, მაშინ, ვ.თ. იაკოვლევის სიტყვებით რომ ვთქვათ, საკანონმდებლო რეგლამენტაციის ამ „ორკესტრში“ „წამყვან პარტიას“ მაინც სამოქალაქო სამართალი შეასრულებს. სამართლის სწორედ ეს დარგი უნდა იდგეს განსახილველი სფეროს ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ცენტრში და მასზედ უნდა იყოს ორიენტირებული სამართლის სხვა დარგების ნორმათა მოქმედება.[2]

შემდეგი ფუნქცია, რომელიც სამოქალაქო სამართლის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ჯგუფიდან უნდა განვიხილოთ, ეს არის იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქცია. მოცემული ფუნქცია გამოყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი სფეროს მიხედვით და სამოქალაქო სამართალს ახასიათებს საზოგადოების სულიერ ურთიერთობათა რეგულირებასა და დაცვაში მისი ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში სულიერი სფერო სულ ცოტა ორი ასპექტით – ფართოდ და ვიწროდ განიხილება. ფართო ასპექტით იგი გამოიყენება ორი კატეგორიის – „მატერიალურის“ და „სულიერის“ ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდაპირისპირების თვალსაზრისით ფილოსოფიის ძირითადი საკითხის დაყენების შესაბამისად. ამ ასპექტში მატერიალური და სულიერი ცხოვრების კატეგორიები აღნიშნავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ორ მაქსიმალურად ფართო ქვესისტემებს, ასახავენ ადამიანთა აქტივობის გამოვლინების ძირითად ხერხებს. შესაბამისად, კეთდება დასკვნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სახეში სულიერი მომენტის აუცილებელი არსებობის შესახებ. ამგვარი მიდგომით სულიერი ცხოვრება ხასიათდება როგორც ისეთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური

сфере обслуживания граждан, с. 15.

1 მომსახურებაზე მოქალაქეთა უფლების იურიდიული ბუნების შესახებ იხ. Р.О. Халфина. Общее учение о правоотношении, М., 1974, с. 237-239.

2 В.Ф. Яковлев. Указ. соч., с. 16.

ცხოვრების ასპექტად, მხარედ გამოდის, ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამოუკიდებელ სფეროდ არ განიხილება.[1]

ამასთან ერთად, საზოგადოების სულიერი სფერო ვიწრო მნიშვნელობითაც მოიაზრება. ამ შემთხვევაში ის განიხილება როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების თვისებრივად დამოუკიდებელი სფერო, რომელიც მოიცავს ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების წარმოშობის, ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესებს. ამგვარი გაგებით საქმე ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს, რომელიც იმავე დონეს მიეკუთვნება, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური სფეროები.[2] წინამდებარე ნაშრომში სულიერი სფეროს კატეგორია განხილულია სწორედ ამ აზრით.

როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დამოუკიდებელი სახე, სულიერ სფეროს აქვს თავისი კანონზომიერებები, განვითარებისა და ფუნქციონირების სტრუქტურები. სულიერი სფეროს თვისებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის თავისებური „მაჩვენებელია“ მისი სტრუქტურა, მისი შემადგენელი, ძირითადი კომპონენტების ერთობლიობა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სულიერი სფეროს სტრუქტურული ელემენტების და ქვესისტემების გამოყოფის საფუძველია ის, რომ მათ ყველას აქვს თავისი განცალკევებულობის მკაფიო კრიტერიუმები: მიზანი, მისი მიღწევის საშუალებები, ზემოქმედების ობიექტი და სუბიექტი, გარკვეული საბოლოო შედეგები და სხვ.[3] ამ კრიტერიუმებით სულიერ სფეროში გამოიყოფა კონკრეტული სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა: განათლება, აღზრდა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა, ზნეობა, მასობრივი ინფორმაცია და ა.შ. ამგვარად, სულიერი სფერო არის მისი შემადგენელი ელემენტების გარკვეული სისტემა. ყველა სისტემური ელემენტი, რომელთაც სპეციფიკური ამოცანები და მათი განხორციელების საშუალებები აქვთ, ურთიერთდაკავშირებულია. ისინი როგორღაც ავსებენ და განაპირობებენ ერთმანეთს. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს მათი თვისებრივი განსაზღვრულობის უარყოფას. სულიერი სფეროს გაგებას როგორც მისი შემადგენელი ელე-

1 სწორედ ამ აზრით განიხილება იდეოლოგიური ურთიერთობები ჟ.ტ. ტოშჩენკოს წიგნში: Ж.Т.Тощенко. Идеологические отношения (опыт социалистического анализа), «Мысль», М., 1988.

2 В.С. Барулин. Диалектика сфер общественной жизни. Изд-во Московского ун-та, 1982, с. 55-56; Духовная сфера социалистического общества. «Мысль», М., 1987, с. 11.

3 Духовная сфера социалистического общества, с. 15.

მენტების გარკვეული ერთობლიობისა, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს ჩვენი კვლევის ამოცანების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო სამართლის იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქციის დიფერენციაცია უნდა განხორციელდეს იმ კონკრეტული როლიდან გამომდინარე, რასაც სამართლის განსახილველი დარგი ასრულებს საზოგადოების სულიერი სფეროს თითოეული ქვესისტემის მიზანდასახულ ორგანიზაციაში. რასაკვირველია, სულიერი სფეროს ყველა კომპონენტი არ ექვემდებარება სამართლებრივ ზემოქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა მუდმივი მართვის ობიექტია. სულიერი ცხოვრების სწორედ მოცემული ნაწილი ემორჩილება სამართლებრივ ნორმათა მიზანმიმართულ ზემოქმედებას.

სამოქალაქო სამართლის იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქციის შინაარსის შესახებ ზოგადი წარმოდგენა, ჩვენი აზრით, შეიძლება შეგვექმნას სამოქალაქო სამართლის კოდექსის პრეამბულის და პირველი მუხლის ანალიზის შედეგად. პრეამბულაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ სამოქალაქო სამართალი ხელს უწყობს მოქალაქეთა კულტურული ინტერესების დაცვას და ამ ინტერესების სწორ შეხამებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. პირველი მუხლის თანახმად კი სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოქალაქეთა სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

ამ დებულებებში მითითებულია საზოგადოების სულიერი სფეროს ყველაზე ზოგად ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტასაც ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო კანონმდებლობამ, ე.ი. განსაზღვრულია სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების ზოგადი მიმართულება სულიერი ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებით. სამართლის განსახილველი დარგის ზოგადი იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქციის ფარგლებში, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიყოს შემდეგი კონკრეტული სახეობები:

<u>ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის ფუნქცია.</u> ინტელექტუალური შემოქმედება საზოგადოების სულიერი სფეროს ერთ-ერთი მხარეა. ინტელექტუალური შრომის შედეგად იქმნება არამატერიალური სიკეთე – მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მოქალაქეთა შემეცნებითი და კულტურული

მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მთლიანად საზოგადოების სულიერი განვითარებისათვის. ასეთი სოციალური მნიშვნელობის გამო, საზოგადოება დაინტერესებულია მოქალაქეთა შემოქმედებითი ინიციატივის უზრუნველყოფასა და განვითარებაში.

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შინაარსის ელემენტია. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს იყოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, აღმოჩენის, გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების ავტორი.

როგორც ამ საკანონმდებლო ნოველიდან ჩანს, კანონმდებელს აქცენტი გადატანილი აქვს შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების სამართლებრივ რეჟიმზე და არა თვით შემოქმედებითი პროცესის განხორციელებაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სამოქალაქო სამართალი ობიექტური გარემოებების გამო არ აწესრიგებს უშუალოდ სამეცნიერო-ტექნიკურ, ლიტერატურულ და სხვა შემოქმედებით საქმიანობას. სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების პროცესები არ ექვემდებარება უშუალო სამართლებრივ ზემოქმედებას, ისინი სამართლის მოქმედების ფარგლებს გარეთ რჩებიან. მაგრამ იმის გამო, რომ ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები (მაგალითად, გამოგონება, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები და სხვ.) ამა თუ იმ ობიექტურ ფორმას ღებულობენ, სამოქალაქო სამართალი არეგულირებს სწორედ მათ თაობაზე წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. ამასთანავე, სამოქალაქო სამართლის ცალკეული ნორმები სახელშეკრულებო საწყისებზე არეგულირებენ აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, მხატვრული და შემოქმედებითი საქმიანობის სხვა სახეობების შედეგების მიღების, გადაცემისა და გამოყენების ორგანიზაციის თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობებსაც. ამიტომ, საბოლოო ანგარიშში, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სამოქალაქო სამართლის ამ ფუნქციის განხორციელების ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმები და ინსტიტუტები. შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა რეგლამენტაციაში გარკვეულ როლს ასრულებენ ნორმები

სამოქალაქო სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების, გარიგებების, სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ, საკუთრების სამართლის ინსტიტუტი, ვალდებულებათა ზოგადი დებულებები, საკონკურსო სამართლის ნორმები და სხვ.

უშუალოდ შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში აღმოცენებული ურთიერთობების რეგულირებისთვისაა გამიზნული საავტორო სამართლის, საგამომგონებლო (საპატენტო) სამართლის, სამრეწველო ნიმუშისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ სამოქალაქო სამართლის ნორმები და ინსტიტუტები. მათი ძირითადი ნაწილი სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებული აქტის სტრუქტურული ელემენტებია, ნაწილი კი გათვალისწინებულია სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებულ დებულებებში „გამოგონების შესახებ“, „სამრეწველო ნიმუშების შესახებ”, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ და სხვ.[1]

საბაზრო ეკონომიკის ფორმებისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის ფუნქციის ზემოაღნიშნული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ჩვენი აზრით, საჭიროებს არსებით სრულყოფას. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები საქონლის თვისებებს იძენენ და შესაბამისად წარმოადგენენ ყიდვა-გაყიდვის, გაცვლისა და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების საგანს. ამის თაობაზე პირდაპირმიუთითებსკანონმდებელისაბაზროეკონომიკაზეგადასვლის პერიოდის საკანონმდებლო აქტებში. მაგალითად, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის პირველ მუხლში, რომელიც განსაზღვრავს მეწარმეობის ცნების შინაარსს, ნათქვამია, რომ სხვა ობიექტებთან ერთად სამეწარმეო საქმიანობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ინტელექტუალური ფასეულობების წარმოება და რეალიზაცია. ინტელექტუალური ფასეულობების საქონლად აღიარება, თავის მხრივ, წარმოშობს ამ ობიექტებზე საკუთრების უფლების პრობლემებს. სამწუხაროდ, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 15 ივლისის კანონმა ამ პრობლემას გვერდი

1 იხ. საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო საკანონმდებლო აქტები. თბილისი, 1992 წ.

აუარა, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებმა“ ნაწარმოებზე საავტორო უფლება არ დაუკავშირა იმ მატერიალურ ობიექტებზე საკუთრების უფლებას, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები (134-ე მუხლის მე-4 პუნქტი). რაც შეეხება რუსეთის კანონმდებლობას, მან ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა. კერძოდ, „რუსეთის ფედერაციაში საკუთრების შესახებ“ 1990 წლის 24 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების ობიექტად მიჩნეულია „ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის პროდუქტები“, რომელშიც იგულისხმება „მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და წარმოების სფეროში სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობის ნაწარმოებები, მათ შორის, აღმოჩენა, გამოგონება, რაციონალიზატორული წინადადება, სამრეწველო ნიმუში, ელექტრონული-გამომთვლელი მანქანების პროგრამა, მონაცემების ბანკი, საექსპერტო სისტემები, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო საიდუმლოებები, სასაქონლო ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და მომსახურების ნიშნები.“ [1]

როგორც ვხედავთ, ინტელექტუალურ საკუთრებაში აქ გაერთიანებულია ყველა ის ობიექტი, რომლებსაც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა, პრაქტიკა და სამართლის მეცნიერება გულისხმობს საკუთრივ ინტელექტუალურ საკუთრებაში (ამ ცნების ვიწრო გაგებით) და სამრეწველო საკუთრებაში. რუსეთის კანონმდებლობა ამ სფეროში, როგორც ჩანს, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი მეცნიერებისა და საკანონმდებლო პრაქტიკის გავლენით ჩამოყალიბდა. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სამართლებრივი მეცნიერება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე უფლებას განიხილავს როგორც „ლიტერატურულ და მხატვრულ საკუთრებას“, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ფართო ცნების „ინტელექტუალური საკუთრების“ ნაწილია. ეს უკანასკნელი მითითებულ უფლებებთან ერთად მოიცავს აგრეთვე უფლებებს გამოგონებაზე, სასაქონლო ნიშნებზე, სამრეწველო ნიმუშებზე და „სამრეწველო საკუთრების“ სხვა ობიექტებზე. შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე უფლების ასეთი გაგება გაპირობებულია იმით, რომ ეს უფლებები, ისე როგორც საკუთრების უფლება, თავიანთი შინაარსით აბსოლუტურ უფლებებს წარმოადგენენ და მათ განსაკუთრებული ხასიათი აქვთ.[2]

ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში საბაზრო ეკონომიკაზე

---

1 იხ. Новые законы России, М., 1991, с. 91-110.

2 იხ. Гражданское и торговое право капиталистических государств. Под ред. РЛ.Нарышкиной, ч. II, М. 1984, с.217-218.

გადასვლის პირობებში ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის (სხვაგვარად – პროპრიეტპრულმა) კონცეფციამ გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა ცივილურ მეცნიერებაში.[1]

ამასთანავე, იურიდიულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად იგნორირებულია ის განსხვავება, რომელიც არსებობს „ინტელექტუალურ საკუთრებასა“ და ტრადიციულ საკუთრების სამართალს შორის. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და აიგივებს კიდევაც სანივთო სამართლისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. მაგალითად, ნ.მ. კეიზეროვი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს მიაკუთვნებს კოლექციებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს და სხვა მატერიალურ საგნებს,[2] მაშინ, როცა ამ უფლებათა სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ მათი ობიექტები თავისი არსით არამატერიალური ხასიათის არიან. მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც სულიერი შემოქმედების პროდუქტი, არ შეიძლება დაყვანილ იქნეს იმ მატერიალურ ფორმამდე, რომელშიც იგი განივთებულია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ უფლებათა განსაკუთრებული ხასიათისა, მათსა და ტრადიციულ საკუთრების უფლებებს შორის მაინც არსებითი ხასიათის განსხვავებაა, კერძოდ, „ინტელექტუალური საკუთრების“ უფლებები ყოველთვის შეზღუდულია დროსა და სივრცეში, რის გამოც ისინი შეუძლებელია საკუთრების უფლებების რანგში განვიხილოთ.[3] ამიტომ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც გვთავაზობენ „ინტელექტუალური საკუთრების“ დამოუკიდებელი, ერთიანი ინსტიტუტის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროში აღმოცენებულ უფლებებს.

ჩვენი აზრით, საჭიროა სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებული აქტის ფარგლებში შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით წარმოშობილ უფლებათა მომწესრიგებელი ამჟამად მოქმედი ინსტიტუტების შემდგომი სრულყოფა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით. უწინარეს ყოვლისა, უარი უნდა ვთქვათ აღმოჩენის

1 იხ. Л.Б.Гальперин, Л.А.Михайлова. Интеллектуальная собственность: сущность и правовая природа. — Советское государство и право, 1991, №12, с.37-42.

2 Н.М.Кейзеров. Об особенностях и некоторых проблемах правовой защиты интеллектуальной собственности. — Советское государство и право, 1990, с.90-97.

3 იხ. Гражданское право, в 2-х томах, под ред. Е.А.Суханова, Т. 1, М., 1993, с. 315-317; В.И.Жуков. Гражданское законодательство и институт интеллектуальной собственности. — Вопросы изобретательства, 1989, №8; И.А.Зенин. Рынок и право интеллектуальной собственности. — Вопросы изобретательства. 1991, №3.

სამართლის, როგორც სამოქალაქო-სამართლის ინსტიტუტზე, რადგანაც აღმოჩენა თავისთავად, ისევე როგორც მეცნიერული თეორიები, მათემატიკური მეთოდები და სხვა „წმინდა ინტელექტუალური მიღწევები“, არ წარმოშობენ ამ ობიექტებზე განსაკუთრებულ უფლებებს, სამოქალაქო ბრუნვაში არ მონაწილეობენ და, შესაბამისად, მათ არც სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათი აქვთ. ამიტომ არის, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის აღმოჩენის დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემოქმედებითი სამართლის ქვედარგი, ჩვენი აზრით, უნდა შედგებოდეს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლების (საავტორო სამართლის), სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანზე და მომსახურების ნიშანზე, საფირმო სახელწოდებაზე, რაციონალიზატორულ წინადადებაზე, წარმოების საიდუმლოებაზე და სხვა არამატერიალურ ობიექტებზე უფლებების ინსტიტუტებისაგან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება აგრეთვე სპეციალური კომპლექსური საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მიღება (მაგალითად, სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ და სხვ.), რომლებიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებთან ერთად უზრუნველყოფენ ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის სამოქალაქო სამართლის ფუნქციის განხორციელებას.

<u>მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ფუნქცია.</u> საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია მეცნიერების როლის განუსაზღვრელი ზრდა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

მეცნიერების გადაქცევა უშუალო მწარმოებლურ ძალად, მეცნიერებისა და ტექნიკის ურთიერთდაკავშირებული განვითარება, რომელიც ვლინდება ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონეზე მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების მუდმივ ზემოქმედებაში, ქმნიან თვისებრივად ახალ სოციალურ ფენომენს – მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის“ ცნება გულისხმობს ერთიან რთულ და უწყვეტად მიმდინარე პროცესს, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს მეცნიერება, როგორც სულიერი სფეროს საქმიანობა, რომელიც მიმართულია ახალი ცოდნის მისაღებად, და ტექნიკა, როგორც მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ეს პროცესი, თავის მხრივ, საჭიროებს ერთიან

და ამასთან მოქნილ სამართლებრივ რეგულირებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო სამართალი, რადგანაც სამართლის ამ დარგის ნორმებით გაშუალებულია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული ურთიერთობების ფართო კომპლექსი. ამასთანავე, როგორც მართებულად აღნიშნავენ ცივილურ ლიტერატურაში, სამოქალაქო სამართალი ორიენტირებული არ უნდა იყოს მხოლოდ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებასა და მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების ავტორთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. სამოქალაქო სამართალმა ამავე დროს ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ისეთი სამართლებრივი პირობების შექმნით, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ყველაზე უფრო სრულ და ოპერატიულ გამოყენებას.[1] უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის სულ უფრო მეტად დამახასიათებელი ხდება მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების მიღწევათა შექმნასთან, ათვისებასა და დანერგვასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლის მოცემული დარგის ნორმებით ყოველმხრივი „გამჭოლი“ რეგულირების პროცესი. სამოქალაქო სამართალი ახლა მხოლოდ დაცვით ფუნქციას კი არ ასრულებს (მეცნიერების ნაწარმოებთა, გამოგონებათა და ა.შ. დაცვა, მათი ავტორების უფლებათა დაცვა), არამედ იგი სულ უფრო ფართოდ არეგულირებს სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობას, კვლევისა და დამუშავების, ახალი მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების მიღებისა და მათი გამოყენების პროცესებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ფუნქციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზაა: სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები; გამოგონების სამართლის ინსტიტუტი, რომლის ფარგლებშიც გარკვეულწილად მიმდინარეობს გამოგონებათა რეალიზაციის პროცესი; სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სახელშეკრულებო ურთიერთობებს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და

1 იხ. И.А. Зенин. Наука и техника в гражданском праве. Изд-во Московского ун-та, 1977, с. 18-19.

ტექნოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გადაცემის, ლიცენზიის ყიდვა-გაყიდვის, საინფორმაციო მომსახურების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამუშაოთა კომპლექსური განხორციელების თაობაზე და სხვ.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ ფაქტორად გადაქცევის კვალობაზე სულ უფრო იგრძნობა ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა, რათა მან სრულად შეუწყოს ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი, რომლებიც არეგულირებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსებით მხარეებს, კანონქვემდებარე იურიდიული ძალის მქონე აქტებია. სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებულ აქტში, მაგალითად, არ არის ასახული ამ სფეროში მოქმედი ხელშეკრულების ცალკეული სახეები. მთლიანად კანონმდებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ მოუწესრიგებელია, არასისტემატიზებულია.

კანონმდებლობის ამ დარგში არსებულმა ხარვეზებმა განსაკუთრებით იჩინა თავი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომლის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა ამ სფეროში სამართალშემოქმედება.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის გზების თაობაზე.[1] ამ საკითხს ჩვენც მივაქციეთ გარკვეული ყურადღება.[2] წინამდებარე ნაშრომში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ხელახლა მოყვანა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ სფეროში კანონმდებლობის სისტემატიზაცია შეიძლება განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ კომპლექსური ნორმატიული აქტის მიღებით, მაგრამ ამასთან ის უნდა ეყრდნობოდეს სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიცირებული

---

1 იხ. И.А.Дозорцев. Законодательство и научно-технический прогресс, "Юридическая литература», М., 1978, с. 167-173; И.П.Рассудовский. Механизм управления развитием науки и техники. — Советское государство и право, 1974, №6, с. 87; А.А.Подопригора. Правовое регулирование научно-технического прогресса. "Высшая школа», Киев, 1981, с. 30-31,37; М.П.Ринг. Новый этап научно-технического прогресса: правовые аспекты. – Советское государство и право, 1986, №12, с. 12.

2 Дж.Г. Хецуриани, Д.Ю.Меликишвили, Д.П.Купрейшвили. Право и научно-технический прогресс. «Мецниереба», Тбилиси, 1988, с. 6-16.

აქტის დებულებებს. სწორედ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა უნდა შეასრულოს განმსაზღვრელი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა კომპლექსურ სამართლებრივ რეგულირებაში.

ზნეობრივ ურთიერთობათა დაცვის ფუნქცია. ადამიანთა საზოგადოების სულიერი სფეროს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია ზნეობრივი ურთიერთობები. როგორც ეთიკის ლიტერატურაშია აღნიშნული, ზნეობრივ ურთიერთობებს ახასიათებს სულიერ ურთიერთობათა ორი აუცილებელი ნიშანი: ისინი იქმნებიან საზოგადოებრივი ცნობიერების მორალური ფორმის პირდაპირი მონაწილეობით და ამავე დროს პრაქტიკულად არიან გამოხატულნი ადამიანთა ქცევებსა და ქმედებებში. ზნეობრივ ურთიერთობათა სულიერი ხასიათი მათ ობიექტურობას არ უარყოფს. კონკრეტულ სიტუაციაში წარმოშობილი ზნეობრივი ურთიერთობა შეიძლება უაღრესად სუბიექტური იყოს. მაგრამ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივ ურთიერთობათა სისტემა მასობრივია და ობიექტურია ცალკეულ პირთათვის[1]. ამის ძალით ზნეობრივი ურთიერთობები გვევლინებიან როგორც არსებული, მაშინ როდესაც მორალური ცნობიერება თავის თავში არა მხოლოდ არსებულს განასახიერებს, არამედ ჯერარსაც. ზნეობრივ ურთიერთობათა რეგულირების ფუნქციას ასრულებს მორალური ჯერარსობა, რომელიც მორალურ მოთხოვნათა, დებულებათა, ნებართვათა ფორმაში გამოიხატება. ამ მოთხოვნათა, დებულებათა მეშვეობით საზოგადოებას თავის წევრებამდე მიაქვს წარმოდგენები ადამიანებისათვის საჭირო, სასურველი და მოსალოდნელი ქცევის წესების, ტიპების და პიროვნების სულიერი სახის თვისებების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტზე დაყრდნობით მორალური დებულებები ორიენტაციას აძლევენ ადამიანებს მათი ნებაყოფლობითი გამოყენებისათვის გარკვეული სოციალური ქცევების ჩადენის ანდა მათგან თავის შეკავების შინაგანი მოტივის სახით. მორალური ნორმის, მორალური იმპერატივის შინაგანი აღქმა და მათი გადაქცევა ქცევის მოტივად მორალური ქცევის და მთლიანად ზნეობრივ ურთიერთობათა მთავარი სპეციფიკური ნიშანია. ამგვარად, ზნეობრივი ურთიერთობები არის პრაქტიკაში მორალური ცნობიერებით აპრობირებული ქცევის მყარი ნიმუშების განმტკიცების ფორმა და გამოხატავს საზოგადოების ფაქტიურ

1 იხ. Л.М. Архангельский. Курс лекций по марксистско-ленинской этике. «Высшая школа», М., 1974, с. 50-51.

მორალურ მდგომარეობას.

საზოგადოების სათანადო მორალური მდგომარეობის, როგორც საზოგადოებაში ინდივიდთა და თვითონ საზოგადოების არსებობის და განვითარების აუცილებელი პირობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთოდ სამართლებრივი და კერძოდ, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები. მორალის მოქმედების სფეროში სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულება მდგომარეობს საზოგადოებრივი აზრით აღიარებული და განმტკიცებული ზნეობრივი ურთიერთობების დაცვასა და შემდგომ განვითარებაში.

განსახილველ სფეროში სამოქალაქო სამართალი თავის ფუნქციებს ახორციელებს დაცვითი ქვესისტემის სამართლებრივი ფორმების ხარჯზე. ისინი პიროვნების და მისგან განუყოფელი უმნიშვნელოვანესი სულიერი ღირებულებების (მორალური ღირებულებების) დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებებია. ასე, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმები იცავენ მოქალაქეთა და, აგრეთვე, იურიდიულ პირთა პატივსა და ღირსებას. პატივი და ღირსება ურთიერთდაკავშირებული გარეგანი და შინაგანი კრიტერიუმებია, პიროვნების მორალური შეფასებებია და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი სულიერი სიკეთეა, რომელიც განუყოფელია პიროვნებისგან და ახდენს მის პერსონიფიცირებას.[1] სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით მოქალაქეს და ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებს.

სამოქალაქო სამართლის ნორმები იცავენ მოქალაქის უფლებას სახელზე და იურიდიული პირის უფლებას სახელწოდებაზე. სახელის უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს მის სამართლებრივ ინდივიდუალიზაციას. მოქალაქის ამ უფლების არსი მდგომარეობს შესაძლებლობაში ჰქონდეს გარკვეული სახელი, სხვა პირებისგან მოითხოვოს მისდამი ოფიციალური მიმართვა ამ სახელის შესაბამისად, აგრეთვე, შეიცვალოს სახელი კანონით დადგენილი წესით. სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც იცავენ მოქალაქეთა უფლებას სახელზე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ, ურთიერთობებში, რომლებიც წარმოი-

1 Н.С. Малеин. Гражданский закон и права личности в СССР. «Юридическая литература», М., 1981, с. 150.

შობიან ინტელექტუალური შემოქმედების ობიექტის შექმნისას (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 493-ე, 503-ე, 512-ე მუხლები). ცივილურ ლიტერატურაში სახელის უფლება, ჩვენი აზრით, სწორად განიხილება როგორც მოქალაქეთა უფლებაუნარიანობის ელემენტი. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უნდა დავეთანხმოთ საკუთარ სახელზე თითოეული მოქალაქის უფლების შესახებ დებულების აუცილებელ ჩართვას სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 მუხლში, რომელიც მოქალაქეთა უფლებაუნარიანობის შინაარსს განსაზღვრავს. სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიცირებულ აქტში მიზანშეწონილი იქნებოდა ყოფილიყო, აგრეთვე, ზოგადი ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა სახელის უფლებას, როგორც თითოეული მოქალაქის პირად სუბიექტურ უფლებას, მისი მინიჭების, შეცვლის და დაცვის ზოგად წესს.[1]

სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დაცვის ნორმებს. არსებობს, მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული მოქალაქის ინტერესების დაცვის შესახებ ნორმა, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების გამოქვეყნება, რეპროდუქცია და გავრცელება მასში გამოსახული პიროვნების თანხმობის გარეშე, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ – შვილებისა და დარჩენილი მეუღლის თანხმობის გარეშე (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 524-ე მუხლი). უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ყაზახეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსით (491-ე მუხლი) და უზბეკეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსით (540-1 მუხლი) გათვალისწინებულია პირადი ხასიათის დოკუმენტების (დღიურები, ჩანაწერები და სხვ.) საიდუმლოების დაცვა. ამ ნორმების შესაბამისად დღიურის, ჩანაწერის ავტორებს და წერილის ადრესატს (ხოლო მათი სიკვდილის შემთხვევაში – მათ შვილებს და მეუღლეს) უფლება აქვთ სასამართლოს საშუალებით მოითხოვონ იმ გამოცემის აკრძალვა და გავრცელება, რომლებშიც მათი თანხმობის გარეშე ქვეყნდება დასახელებული დოკუმენტები.

სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით მორალური ნორმების და საერთო ცხოვრების წესების დაცვა სამოქალაქო უფლებათა განხორციელების და მოვალეობათა შესრულებისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნაა. ზნეობრივ ნორმათა დარღვევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად შეიძლება განხილულ

1 იხ. Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 213.

იქნეს როგორც იმის დასტური, რომ მოცემული უფლება და მოვალეობა ხორციელდება მისი დანიშნულების საწინააღმდეგოდ და დამრღვევის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომები.

განსახილველი ფუნქციის განხორციელებას ემსახურება სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების კონკრეტული ნორმებიც, ასეთი ნორმები მოცემულია, მაგალითად, გამოგონების სამართალში. „გამოგონების შესახებ“ დებულების მე-10 მუხლის მიხედვით პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, რომლის გამოქვეყნებამ ან გამოყენებამ შეიძლება არაჰუმანური, ამორალური და ანტისაზოგადოებრივი ქმედება გამოიწვიოს ან წაახალისოს იგი. „სამრეწველო ნიმუშების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი სამრეწველო ნიმუშზე პატენტი არ გაიცემა, თუ ის ეხება ობიექტებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესს ან მორალს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი კრძალავს სასაქონლო ნიშნად ისეთი სიმბოლოების რეგისტრაციას, რომლებიც ბღალავენ ეროვნულ ღირსებას, აღიზიანებენ რელიგიურ გრძნობებს, ეწინააღმდეგებიან მორალის ნორმებს, საზოგადოების ზნეობას და ტრადიციებს.[1]

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრების განსახილველ სფეროში სრულად არ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ფუნქციონალური შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით ცივილურ ლიტერატურაში გამოთქმულია მთელი რიგი წინადადებები პირადი არაქონებრივი ურთიერთობების, პირადი უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების, საზოგადოების ზნეობრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის სრულყოფის თაობაზე. დიდი ხანია დასმულია საკითხი: პიროვნებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შემოსაღებად;[2] იმ გარიგების ბათილად ცნობის შესახებ, რომელიც (ანდა რომლის პირობებიც – პირობითი გარიგებისას) ეწინააღმდეგება მორალური ნორმების მოთხოვნებს; პიროვნების ინტერესების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის შესახებ მოქალაქეთა პირადი (ინტიმური)

1 საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო საკანონმდებლო აქტები, თბილისი, 1992.

2 Н.С. Малеин. Возмещение вреда, причиненного личности. М., 1965, с. 13; М.Я. Шиминова. Имущественная ответственность за моральный вред. – Советское государство и право, 1970, №1, с. 118-122; თ.გ. ნინიძე. მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში. - საბჭოთა სამართალი, 1978, გვ. 45-46.

ცხოვრებიდან ცნობების გავრცელებისას, მიუხედავად ამ ცნობების ზნეობრივი შინაარსისა და ნამდვილობისა (მაგალითად, ავადმყოფობა, წარსულში ნასამართლობა და ა.შ.); საკუთარ გამოსახულებაზე უფლების არა მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე, არამედ გამოსახვის ყველა სხვა სახეზე და ფორმაზე კინოში, ტელევიზიაში, ფოტოგრაფიაში და ა.შ. გავრცელების შესახებ.[1]

ამ წინადადებებისადმი ჩვენი დადებითი დამოკიდებულება არგუმენტირებულად გამოვთქვით ადრინდელ მონოგრაფიულ გამოკვლევებში.[2] გარდა ამისა ჩვენ ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებულ აქტში არაქონებრივი უფლებების დამოუკიდებელი მონაკვეთის გამოცალკევების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც დაემყარებოდა პირადი არაქონებრივი სიკეთის, როგორც დამოუკიდებელი და სპეციფიკური ობიექტის, თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობების ერთიანი, დასრულებული სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას.[3]

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ცვლილება უნდა განიცადოს სამოქალაქო სამართლის საგნის ლეგალურმა განმარტებამ. სახელდობრ, მასში მითითებული უნდა იყოს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს როგორც ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, ისე სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობებსაც (რომლებიც დაკავშირებული არ არიან ქონებრივთან), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან არ გამომდინარეობს თვით პირადი არაქონებრივი ურთიერთობის ბუნებიდან.

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი ამ სფეროში საგრძნობლად გაფართოვდება და მან შეიძლება მოიცვას პირადი არაქონებრივი უფლებების შემდეგი სახეობები:

პირველი. პირის ინდივიდუალიზაციის გამომხატველი პირადი არაქონებრივი უფლებები (უფლება სახელზე, საფირმო სახელწოდებაზე, საწარმოო მარკაზე, სასაქონლო ან მომსახურების ნიშანზე; პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება);

მეორე. მოქალაქეთა პირადი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის

1 Н.С. Малеин. Гражданский закон и права личности в СССР, с. 154-163.

2 Д.Г. Хецуриани. Значение моральных норм в советском гражданском праве. «Мецниереба», Тбилиси, 1980, с. 43-45, 49-51, 61-62.

3 იხ. Развитие советского гражданского права на современном этапе, с. 208-209.

უფლებები (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, გამოსახულების უფლებები და ა.შ.).

მესამე. მოქალაქეთა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საიდუმლოების უზრუნველყოფის უფლებები (ბინის, პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლება, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინებების, სამედიცინო საიდუმლოების დაცვის უფლება და ა.შ.).[1]

მოქალაქეთა მიერ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფის ფუნქცია. საზოგადოების სულიერი სფეროს განუყოფელი მხარეა კულტურა. კულტურას ახასიათებს შეფარებითი დამოუკიდებლობა სულიერი სფეროს კომპონენტთა სისტემაში. იგი არის მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობა, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში. კულტურულ ღირებულებათა შექმნა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. კულტურა პიროვნების სულიერი ინტერესების დაკმაყოფილების და ყოველმხრივი განვითარების, მისი შინაგანი სამყაროს ფორმირების საშუალებაა. ამის გათვალისწინებით ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა ისარგებლოს კულტურის მიღწევებით.

მოქალაქეთა მიერ კულტურის მიღწევებით სარგებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობები სამართლის სხვადა-სხვა დარგის ნორმებით რეგულირდება. ამასთან, ამ სფეროში არსებობს ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც სასაქონლო-ფულადი, ქონებრივი ურთიერთობების ნაირსახეობაა და ამიტომ მოითხოვს სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებით რეგულირებას. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, მოქალაქეებსა და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი, გამოფენა, ბიბლიოთეკა და ა.შ.) შორის ურთიერთობები. ამ შემთხვევაში სახეზეა სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის იურიდიულად თანასწორ სუბიექტებს შორის. მოქალაქეებსა და კულტურის დაწესებულებებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები არის როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. ყველაზე გავრცელებული უსასყიდლო ურთიერთობა მოქალაქეებს აქვთ, მაგალითად, მასობრივ და სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებთან.

სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის მიუხედავად, მოქალაქეთა ურთიერთობა კულტურის დაწესებულებებთან საკმარისად არ არის

1 იხ. Гражданское право. В 2-х томах. Под. ред. Е.А. Суханова, т.1, М., 1993, с. 363.

მოწესრიგებული სამოქალაქო სამართლის ნორმებით, რაც უარყოფითად მოქმედებს განსახილველი ფუნქციის ეფექტიანობაზე. არსებულ კოდიფიცირებულ სამოქალაქო კანონმდებლობაში არ არის ასახული მოქალაქისა და იურიდიული პირის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც სპეციალურად უზრუნველყოფდა საზოგადოების წევრთა მიერ კულტურის მიღწევებით სარგებლობას. ისინი ძირითადად კომპლექსურ ნორმატიულ აქტებშია განსაზღვრული, რომლებშიც სამოქალაქო სამართლის ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგობრივი დანიშნულების ნორმებთან კავშირშია მოცემული. მაგალითად, მოქალაქეების სახელშეკრულებო ურთიერთობები ბიბლიოთეკებთან რეგლამენტირებულია საბიბლიოთეკო საქმის შესახებ დებულებით, ბიბლიოთეკებით სარგებლობის ტიპიური წესებით და სხვა საუწყებო ნორმატიული აქტებით.[1] ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონში[2] სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებს საკმაო როლი აქვს დაკისრებული კულტურის ძეგლთა დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში. აქ ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა საკუთრების უფლება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, ჩამორთმევა, ზარალის ანაზღაურება და სხვ.[3]

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ერთადერთ ნორმას შეიცავს, რომელიც სპეციალურად ეხება კულტურულ ფასეულობათა დაცვას. ისტორიისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ ობიექტებს, როგორც ცნობილია, სახელმწიფო იცავს და ისინი სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარებიან იმისდა მიუხედავად, თუ ვისი საკუთრებაა. ეს ნორმა კულტურის იმ ობიექტებსაც ეხება, რომლებიც მოქალაქეთა საკუთრებაშია. თავისი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოქალაქეს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს კულტურული ფასეულობები, მაგრამ ის ამავე დროს უნდა ზრუნავდეს მის დაცვაზეც. ამის გათვალისწინებით სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს ნორმას, რომლის მიხედვითაც თუკი მოქალაქე არ უვლის თავის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს, და ეს ქონება ფუჭდება, მაშინ სათანადო ორგანიზაციის სარჩელით, რომლის კომპეტენციაშიც

1 Бюллетень нормативных актов министерств и ведомств СССР, 1986, №8, с. 36.
2 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1977, N 12, მუხ. 184.
3 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Роль гражданского и семейного законодательства в обеспечении конституционных прав и обязанностей граждан СССР, с. 137-140.

შედის კულტურულ ფასეულობათა დაცვა, ეს ქონება შეიძლება მას ჩამოერთვას და გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებად (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი).

ბოლოს ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, მოცემულ ფუნქციას სამოქალაქო სამართალი ახორციელებს კულტურის მიღწევებითსარგებლობაზემოქალაქეთაუფლებებისრეალიზაციისდროს წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებით. ამიტომ სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც შესაბამის ურთიერთობებს არეგულირებენ, უპირატესად მხარეთა ქონებრივ ინტერესებს ითვალისწინებენ, ხოლო არაქონებრივი, სულიერი ინტერესები, როგორც წესი, სამოქალაქო კანონის მოქმედებისა და დაცვის სფეროს მიღმა რჩება. ამასთანავე, როგორც სწორად შენიშნავს ნ.ს.მალეინი, დასახელებულ ურთიერთობებში მოქალაქის სულიერი ინტერესები ერთადერთია ან ქონებრივ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანია. ამ ურთიერთობებში მონაწილეობით მოქალაქენი, უწინარეს ყოვლისა, თავის სულიერ, პირად მოთხოვნილებებს, ინტერესებს იკმაყოფილებენ, იძენენ სულიერ სიკეთეს ან მათით სარგებლობენ.[1] აქედან გამომდინარე, მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობის იმ ნორმებისა და ინსტიტუტების შემდგომი სრულყოფისას, რომლებიც განსახილველი ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფენ, კანონმდებელმა აუცილებლად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სამოქალაქო კანონმა უპირატესად გაითვალისწინოს და დაიცვას მოქალაქის სულიერი, არაქონებრივი ინტერესები.

სამოქალაქო სამართლის შემდეგი სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია არის პოლიტიკური ფუნქცია, რომელიც ფუნქციათა სისტემაში დიფერენცირდება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფეროს მიხედვით და სამოქალაქო სამართალს ახასიათებს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის უზრუნველყოფაში მისი როლის, სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვადასხვა პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში ამ დარგის შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით.

პოლიტიკა არის ხალხის მასებს, ერებსა და სხვა სოციალურ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკური სისტემის სხვა ინსტიტუტებს შორის ურთიერთობათა ფორმა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების დაუფლებასთან, ორგანიზაციასთან და ფუნქციონირებასთან.[2]

1 Н.С. Малеин. Гражданский закон и права личности в СССР, с. 33-34.

2 Г.Х. Шахназаров, Ф.М. Бурлацкий. О развитии марксистско-ленинской политической

პოლიტიკურ ურთიერთობათა ფოკუსი, პოლიტიკაში ყველაზე არსებითი ეს არის მისი უშუალო კავშირი სახელმწიფო ხელისუფლებასთან, მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, მისი საქმიანობის მიმართულებასთან, სახელმწიფო ორგანოების ფორმირებასთან, მოქალაქეთა უფლებებთან და თავისუფლებებთან. პოლიტიკას, როგორც საზოგადოების ცხოვრების დამოუკიდებელ სფეროს, აქვს თავისი სტრუქტურა, შემადგენელი ელემენტების სისტემა. ის მოიცავს: პოლიტიკურ ორგანიზაციებს (სახელმწიფო დაწესებულებები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები); პოლიტიკურ ნორმებს, პოლიტიკურ ურთიერთობებს (პრინციპები და რეჟიმი); პოლიტიკურ შეგნებას (კულტურა და ქცევა), აგრეთვე ხელისუფლებასთან სოციალური ჯგუფების და საზოგადოების წევრთა ურთიერთობის უზრუნველყოფის კომუნიკაციის მექანიზმს.[1]

პოლიტიკური სისტემის პრინციპების და ინსტიტუტების განმტკიცებასა და განვითარებაში, მის ნორმალურ ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართალი. სამართლებრივი სისტემა განაპირობებს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების მრავალ მხარეს, განამტკიცებს მის მთლიანობას, მის ელემენტებს შორის კავშირს, მასში შემავალი ყველა რგოლის ურთიერთშეთანხმებულობას, მათ კოორდინირებულ მოქმედებას.[2] პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათსა და ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, გადაუჭრელად შეიძლება ითქვას, რომ მათ სამართლებრივ რეგულირებაში სამართლის ძირითადი დარგებიდან წამყვანი როლი სახელმწიფო სამართალს ეკუთვნის. პოლიტიკური სისტემა, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირების ობიექტი, სახელმწიფო სამართლის საგნის მნიშვნელოვანი ნაწილია. სახელმწიფო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის პრინციპებს, უშუალო დემოკრატიის ფორმებს, განამტკიცებენ და არეგულირებენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ ურთიერთობებს, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის საფუძვლებს, ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებას, ხელისუფლების წარმომადგენლობითი და მმართველობის ორგანოების ორგანიზაციას

науки. – Вопросы философии, 1980, №12, с. 13.

1 Политическая система развитого социалистического общества, М., 1984, с. 45; Г.Х. Шахназаров, Ф.М. Бурлацкий. Указ. соч., с. 18.

2 Ю.А. Агешин. Политика, право, мораль. «Юридическая литература», М., 1982, с. 53-73.

და საქმიანობას და ა.შ. ამის გამო, პოლიტიკური ფუნქცია სახელმწიფო სამართლის წამყვანი ფუნქციაა.

სამოქალაქო სამართლის ფუნქციონალური შესაძლებლობები პოლიტიკურ სფეროში სახელმწიფო სამართალთან შედარებით ერთობ შეზღუდულია, რადგან სუფთა პოლიტიკური ურთიერთობები, როგორც წესი, არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი მაორგანიზებელი ზემოქმედების უშუალო ობიექტი. აქ, ჩვენი აზრით, მხოლოდ შემდეგი მომენტები შეიძლება აღვნიშნოთ:

პირველი. სამართლის განსახილველი დარგის ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტის, სამოქალაქო სამართალსუბიექტობას;

მეორე. სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პოლიტიკური სისტემის სხვა სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს;

მესამე. პოლიტიკური სისტემის სუბიექტთა – ორგანიზაციათა საქმიანობის რეგულირებასთან ერთად, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები ზემოქმედებენ მოქალაქეთა, როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა მონაწილეების, ქცევებზე. ისინი განსაზღვრავენ მოქალაქეთა ზოგიერთი პოლიტიკური თავისუფლების, მაგალითად, სიტყვის, პრესის თავისუფლების რეალიზაციის სხვადასხვა ფორმას. სამოქალაქო სამართლის ფუნქციონალური შესაძლებლობები პოლიტიკის სფეროში, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება. საქმე ისაა, რომ პოლიტიკურ ურთიერთობათა სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე ის, რასაც პოლიტიკური შეიძლება ეწოდოს, ანუ ხელისუფლების შესახებ საკითხები. პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში შედის როგორც ხელისუფლების ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესები და ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში, ასევე ის, რაც პოლიტიკური ზემოქმედების ობიექტია, რის რეგულირებისთვისაც არსებობს პოლიტიკური ურთიერთობები – ეკონომიკური, სოციალური, სულიერი პროცესები. ეს ურთიერთობები შეიძლება შევიდნენ პოლიტიკურ სფეროში იმდენად, რამდენადაც ისინი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი არიან ან შეიძლება იყვნენ.[1] პოლიტიკა, ასახავს რა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკვანძო მომენტებს და ახდენს მათ აკუმულირებას, დიფერენცირებულია საზოგადოებრივი

1 Г.А. Белов. Развитие политических отношений в условиях перестройки. Изд-во МГУ,

ცხოვრების ძირითადი სფეროების მიხედვით. ამის შესაბამისად პოლიტიკის სტრუქტურაში გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებითაა განპირობებული, კერძოდ, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა და. ა.შ.

სამოქალაქო სამართალი მნიშვნელოვანი საშუალებაა სახელმწიფო პოლიტიკის ზემოაღნიშნული მიმართულებებით დასახული მიზნების მისაღწევად. ამის შესახებ ფაქტიურად უკვე გვქონდა საუბარი სამოქალაქო სამართლის ეკონომიკური, სოციალური, სულიერი ფუნქციების განხილვისას. ეს ფუნქციები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის რეალიზაციას საზოგადოების ცხოვრების შესაბამის სფეროებში.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის პოლიტიკური ფუნქციის ფარგლები მხოლოდ სუფთა პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირებით არ განისაზღვრება. საბოლოო ანგარიშში ისინი ემთხვევა მთლიანად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო სამართლის ზემოქმედების ფარგლებს.

დაბოლოს, სამოქალაქო სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის შესახებ. ამ ფუნქციის სისტემასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, მხოლოდ ის შეიძლება აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის (ისევე როგორც სამართლის სხვა დარგების) დონეზე ის იმავე სახითაა წარმოდგენილი, როგორც მთლიანად სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის სისტემა, ანუ მასში გამოიყოფა საინფორმაციო, შემეცნებითი, ღირებულებით-ორიენტაციული და აღმზრდელობითი ფუნქციები. ამ ფუნქციათა შემდგომი დიფერენციაცია სამართლის ამა თუ იმ დარგის სპეციფიკის გამო არ ხდება. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ ადამიანის ცნობიერებაზე სამართლის ზოგადიდეოლოგიური ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, თუ სამართლის რომელი დარგით მოწესრიგებულ ურთიერთობებში მონაწილეობს სუბიექტი.

М., 1989, с. 46.

დასკვნა

1. სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც სამართლის ამ დარგის სხვა კატეგორიების (მეთოდის, პრინციპების და ა.შ.) სისტემაში დამოუკიდებელ ადგილს იკავებს და სამოქალაქო სამართალს ახასიათებს მისი აქტივობის, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით.

სამოქალაქო სამართლის ფუნქციის ცნება შეიძლება განისაზღვროს როგორც ქონებრივ და პირად ურთიერთობებზე სამოქალაქო სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ამ ურთიერთობათა მონაწილეების თანასწორობითაა განპირობებული და გამიზნულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

2. სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგი, სამართლის ერთიან სისტემაში ასრულებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფუნქციებს. სწორედ ამ ფუნქციათა მეოხებით სამოქალაქო სამართალი, ჯერ ერთი, ხელს უწყობს სამართლის მთლიანი სისტემის მთავარი ფუნქციის განხორციელებას, მეორე, ამ სისტემაში იძენს დამოუკიდებელი კომპონენტის ადგილს და მესამე, ერთვება სოციალური მართვის ერთიან სისტემაში.

3. სამართლის მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის უზრუნველყოფაა. სამართლის მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის, ზემოქმედების ყველაზე უფრო განზოგადებულ დახასიათებას წარმოადგენს. მთავარ ფუნქციას ასრულებს სამართლის სისტემის ყველა კომპონენტი. ამასთანავე, იგი ამ კომპონენტთა ფუნქციების მექანიკური ჯამი კი არ არის, არამედ მათი სინთეტური გამოხატულებაა. სამართალი თავისი კომპონენტების ფუნქციათა ინტეგრირებით გამოდის როგორც მთლიანი სისტემა, ახორციელებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის ფუნქციას, რომელშიც ყველაზე სრულყოფილი ფორმით ვლინდება მისი შინაგანი სპეციფიკური ბუნება. მთავარი ფუნქციის მეოხებით სამართალი ერთვება სოციალური მართვის მექანიზმში, არის საზოგადოების მართვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

4. სამართლის მაორგანიზებელი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, მთავარი ფუნქცია იყოფა რეგულაციურ და დაცვით ფუნქციებად. ამგვარი დაყოფის საფუძველია იურიდიული ზემოქმედების ყველაზე ზოგადი ხერხები, რომელთაც კანონმდებელი იყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაციისათვის – ნებართვა და აკრძალვა. რადგანაც ზოგადი აკრძალვები და ზოგადი ნებართვები ერთდროულად ეკუთვნიან როგორც პირველად სოციალურ-პოლიტიკურ, ასევე ზოგადიურიდიულ საწყისებს, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის ძირითად ფუნქციათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად.

რეგულაციური და დაცვითი ფუნქციები ეფუძნებიან სამართლის სპეციფიკურ თვისებებს, მათში ვლინდება სამართლის შინაგანი სპეციფიკური ბუნება, მისი სპეციალურ-იურიდიული შინაარსი. ისინი იმანენტურად გააჩნია სამართალს და ქმნიან სამართლის ფუნქციათა პირველ ჯგუფს, სახელდობრ, სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციებს.

5. სამართლებრივი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები გამიზნულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელიც პრაქტიკულად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, კერძოდ, ეკონომიკას, პოლიტიკას, იდეოლოგიას და სოციალურს. ამის შესაბამისად შეიძლება გამოცალკევდეს სამართლის ფუნქციის მეორე ძირითადი ჯგუფი: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სულიერი და სოციალური. ფუნქციათა ეს ჯგუფი სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციებს წარმოადგენენ, რადგანაც ისინი გამოხატავენ სამართლის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს და მათი დიფერენციაცია ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი სფეროების მიხედვით.

სპეციალურ-იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციებს შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი არსებობს. სოციალურ-პოლიტიკური ზემოქმედება ვლინდება სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების მეშვეობით და პირიქით. ამიტომ სინამდვილეში სამართლის სპეციალურ-იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციები „სუფთა სახით“ არ არსებობენ. ისინი მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიანი სამართლებრივი გაშუალებულობის სხვადასხვა ასპექტებია, სამართლის შინაარსის სხვადასხვა მხარეებია.

6. საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა ხდება სამართლის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების მეშვეობით, ე.ი. სამართლებრივი

ზემოქმედების მექანიზმით (სამართლებრივ საშუალებათა სისტემით). მაგრამ, სამართალი, რაკი სოციალური მოვლენაა, მიეკუთვნება საზოგადოებრივ ცნობიერებას, იგი არის საზოგადოების სულიერი ცხოვრების ფაქტორი, აქვს კულტურული, მორალური, ინტელექტუალური ღირებულება და უშუალო იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს, ე.ი. მოქმედებს სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმის გარეშეც.

სამართლის ზოგადი იდეოლოგიური ზემოქმედება ქმნის ფუნქციათა დამოუკიდებელ ჯგუფს, კერძოდ, სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. ფუნქციათა ამ ჯგუფის გამოცალკევების საფუძველი არის ის, რომ, ჯერ ერთი, აღნიშნულ ფუნქციათა უშუალო ობიექტია პიროვნების ცნობიერება, ფსიქიკა; მეორე, ისინი მიმართულია ინდივიდუალური მართლშეგნების ჩამოყალიბებაზე, რაც სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა, სოციალურისა და ფსიქოლოგიურის განუყოფელი ერთიანობაა; მესამე, ის ხორციელდება სამართლის მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმის მეშვეობით. ფუნქციათა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ინფორმაციული, შემეცნებითი, ღირებულებით-ორიენტაციული და აღმზრდელობითი ფუნქციები. ამ ფუნქციათა შორის არსებობს ორგანული კავშირი და ურთიერთგაპირობებულობა. ისინი ავსებენ ერთმანეთს.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციათა მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ სუბიექტის მართლზომიერი ქცევა შეუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ სამართლის რეგულაციური და დაცვითი ფუნქციებით, სანქციების არსებობით, სახელმწიფო იძულების გამოყენების მუქარით. სამართლის მაორგანიზებელი როლის ეფექტიანობა ყოველთვის მართლშეგნების სიმწიფის დონეზეა დამოკიდებული, ხოლო მოქალაქეთა მართლშეგნების და შესაბამისად სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლება სწორედ სამართლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის ძირითადი ამოცანაა. საბოლოო ანგარიშში, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები მიმართულია სამართლის რეგულაციური და დაცვითი ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამით ისინი დამხმარე როლს ასრულებენ სამართლის სპეციალურ-იურიდიული ფუნქციების მიმართ. დამხმარე ხასიათის მიუხედავად, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები გარკვეულ გავლენას ახდენენ სამართლის სტრუქტურაზე, ფორმასა და შინაარსზე.

7. ზემოაღნიშნულ ფუნქციათა სამი ჯგუფი არის სამართლის მთლიანი სისტემის ინტეგრალური, ზოგადი ფუნქციები. სამართლის

თითოეულ დარგს, როგორც სამართლის სისტემის მთავარ ელემენტს, ისეთივე თვისებები აქვს, რაც მთლიანად სამართალს. ამიტომ სამართლის ყველა დარგს გააჩნია მთლიანად სამართლისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფუნქციები, ე.ი. ყველა დარგს აქვს სპეციალურ-იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციები (თავიანთი ძირითადი სახეებით), ანუ ზოგად ფუნქციათა ერთნაირი სისტემა.

მიუხედავად ზოგადი ფუნქციების სისტემათა ერთგვაროვნობისა, სამართლის დარგები ფუნქციური თვალსაზრისით არ არიან იურიდიულად ნიველირებულნი. სამართლის დარგის სპეციფიკა უწინარესად მის მთავარ ფუნქციაში მჟღავნდება, რომელიც სრულიად გარკვეულ საგნობრივ შინაარსს იძენს. სამოქალაქო სამართლის მთავარი ფუნქცია, მაგალითად, არის ქონებრივ ურთიერთობათა, აგრეთვე პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ორგანიზაცია.

სამართლის დარგის სპეციფიკა ვლინდება, აგრეთვე, მისი სპეციალურ-იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ცალკეული სახეების თანაფარდობაში. თვისებრივად განსაკუთრებული სახის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათის გამო, რომელიც ზემოქმედებას ითხოვს სამართლის გარკვეული დარგის სპეციფიკური მეთოდისა და მექანიზმის მეშვეობით, მის სპეციალურ-იურიდიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციათა შიგნით ერთი ფუნქცია წამყვანი ხდება, ხოლო სხვები - მასზე დამოკიდებულნი. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის სპეციალურ-იურიდიულ ფუნქციათა შორის წამყვანია რეგულაციური ფუნქცია, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციებიდან - ეკონომიკური ფუნქცია.

რაც შეეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციებს, დარგობრივ დონეზე ამ ჯგუფიდან არც ერთი არ იძენს წამყვანი ფუნქციის სტატუსს. აქ სამართლის ცალკეული დარგების თავისებურება იმაში მჟღავნდება, რომ მათ მითითებული ფუნქციების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობები არა აქვთ.

8. სამოქალაქო სამართლის ზოგადი, ინტეგრალური ფუნქციები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განიცდიან შემდგომ დიფერენციაციას.

სამოქალაქო სამართლის რეგულაციური ფუნქცია მოიცავს ფუნქციათა კონკრეტული სახეობების გარკვეულ ნაკრებს, სახელდობრ, უფლებააღმჭურველ, საინიციატივო, მასტიმულირებელ და დისპო-

ზიციურ ფუნქციებს, დაცვითი ფუნქცია კი – აღდგენით, აღმკვეთ და დასჯით ფუნქციებს.

სამოქალაქო სამართლის სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის ფუნქციების სისტემა შემდეგნაირად ყალიბდება:

ეკონომიკური ფუნქციები – საკუთრების ყოველმხრივი რეგულირების ფუნქცია, მეწარმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქცია, ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია, წარმოებისა და მოხმარების კავშირის, მოთხოვნისა და მოწოდების შეთანხმების სამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნქცია;

სოციალური ფუნქციები – მოქალაქეთა სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფუნქცია, მოქალაქეთა საბინაო უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია, საქონლითა და მომსახურებით მოქალაქეთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის ფუნქცია;

იდეოლოგიური (სულიერი) ფუნქციები – ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის ფუნქცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ფუნქცია, ზნეობრივ ურთიერთობათა დაცვის ფუნქცია, მოქალაქეთა მიერ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფის ფუნქცია;

პოლიტიკური ფუნქცია - სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტის, სამოქალაქო სამართალსუბიექტობის განსაზღვრის ფუნქცია, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პოლიტიკური სისტემის სხვა სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ფუნქცია, მოქალაქეთა ზოგიერთი პოლიტიკური თავისუფლების რეალიზაციის სამართლებრივი ფორმების განსაზღვრის ფუნქცია.

9. სამოქალაქო სამართლის ფუნქციათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართლის მოცემული დარგი მოწოდებულია უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აღმოცენებული ურთიერთობების ორგანიზაციაში. იმისათვის, რომ სამოქალაქო სამართლის სოციალური ღირებულება მაქსიმალურად გამოვლინდეს, საჭიროა მისი ფუნქციების განხორციელებას სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა გააჩნდეს. ამასთან დაკავშირებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობის, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლის კოდიფიცირებული აქტის

განახლება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო სამართლის ისეთი სისტემის საკანონმდებლო გაფორმება, რომელიც შეცვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მაქსიმალურად ხელს შეუწყობს სამართლის მოცემული დარგის ფუნქციონალური შესაძლებლობების გამოყენებას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება

მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

სარჩევი

შესავალი 447

თავი I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
უფლებამოსილებათა სახეობები 451

თავი II. ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი 461

თავი III. ნორმათა კონკრეტული კონტროლი 478

თავი IV. კომპეტენციური დავების გადაწყვეტა 499

თავი V. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა 510

თავი VI. საერთაშორისო ხელშეკრულებების
კონსტიტუციურობის კონტროლი 547

თავი VII. დასკვნა იმპიჩმენტის თაობაზე 572

თავი VIII. დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის
კონტროლი 590

თავი IX. პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის
კონტროლი 613

თავი X. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის
კონტროლი 620

თავი XI. ადგილობრივი თვითმმართველობის
უფლებების დაცვა 634

შესავალი

დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის რიგით მეორე კონსტიტუციამ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველად, საფუძველი ჩაუყარა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტს. 1921 წლის პირველი ქართული კონსტიტუცია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით აფუძნებდა სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, სახელისუფლებო ორგანოთა სისტემაში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ინსტიტუტს არ ითვალისწინებდა. საქართველოს მაშინდელი ძირითადი კანონის შემუშავებისა და მიღების დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს მეოხებით კონსტიტუციის დაცვის კელზენისეული იდეა ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციებში იყო დანერგილი.[1] მართალია, ჩვენი წინაპრები ევროპის მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციურ გამოცდილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ცდილობდნენ საქართველოს პირველი ძირითადი კანონი არ ჩამორჩენოდა კონსტიტუციონალიზმის მიღწევებს,[2] მაგრამ ამ პერიოდში პარლამენტის უზენაესობის იდეა ჯერ კიდევ მძლავრობდა, ხოლო „საკონსტიტუციო კონტროლის ეპოქა“ ევროპაში მხოლოდ მაშინ იწყებოდა.[3] სულ სხვა მდგომარეობა იყო საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების დროს. ისტორიის ამ მონაკვეთში უკვე დასრულებული იყო საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის განვითარებაში ე.წ. „მეორე ეტაპი“, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ევროპის ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ინსტიტუტის საყოველთაო გავრცელებისა და მისი უფლებამოსილებების გაფართოების ტენდენცია. ამასთანავე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განვითარებაში დაწყებული იყო ე.წ. „მესამე ეტაპი“, რომელიც განპირობებული იყო ევროპაში

1 იხ. ანდრაშ შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 2003, გვ. 284-291; Конституционный контроль в зарубежных странах. Ред. В.В. Маклаков. «Норма», М., 2007, с. 20.

2 ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ _ მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება. „ახალი აზრი“, თბილისი, 2008.

3 სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ XIX საუკუნე იყო პარლამენტების საუკუნე, ხოლო XX საუკუნე (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი) საკონსტიტუციო კონტროლის საუკუნე გახდა, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდა (იხ. В.В. Маклаков, მით. ნაშრომი, გვ. 11).

კომუნისტური იდეოლოგიის მსხვრევის, საბჭოთა იმპერიის დაშლის, პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოზე გადასვლის ისტორიული პროცესით. ამ პროცესის თანმდევი ერთ-ერთი ნიშანი იყო კომუნისტური იდეოლოგიისაგან გათავისუფლებული ქვეყნების ძირითად კანონებში, როგორც წესი, საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ათვისება.

1993 წელს საქართველოში შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადება. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს არ ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალი კონსტიტუციის დამფუძნებლებს, მაშინდელი ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ეჭვიცარგამოუთქვამთამინსტიტუტისშემოღებისმიზანშეწონილობაზე. მეტიც, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში თავიდანვე იყო შექმნილი ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის თაობაზე წინადადებების შემუშავება ევალებოდა.[1] დავას იწვევდა მხოლოდ ერთი საკითხი. სახელდობრ, საკონსტიტუციო კონტროლი უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული, ე.ი. საკონსტიტუციო კონტროლი განეხორციელებინა სპეციალურად საამისოდ შექმნილ სასამართლო ორგანოს, თუ დიფუზური, ე.ი. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება მართლმსაჯულებასთან ერთად დაკისრებოდა საერთო იურისდიქციის სასამართლოებს, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს სპეციალურ პალატას. საბოლოოდ, არჩევანი საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული სასამართლოს შექმნის სასარგებლოდ გადაწყდა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ნორმებმაც სათანადო ადგილი დაიკავეს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის „სასამართლო ხელისუფლების“ თავში.[2] ამ ნორმების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს

1 ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა.

2 ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: ვოლფგანგ ბაბეკი. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995). გერმანულიდან თარგმნა კონსტანტინე კუბლაშვილმა, თბილისი, 2002, გვ. 47-48, 247-250; ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. „ინოვაცია“, თბილისი, 2010, გვ. 343-344.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოს გარდა, პოსტსაბჭოურ სივრცეში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ინსტიტუტები ძირითადი კანონით

ფორმირებაში თანაბრად მონაწილეობდა ხელისუფლების სამივე შტო. ამასთანავე, კონსტიტუცია ადგენდა უაღრესად შემჭიდროებულ ვადას საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო საფუძვლების შესაქმნელად (107-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ძირითადი კანონის ამოქმედებიდან სულ რამდენიმე თვეში ახალარჩეულმა საქართველოს პარლამენტმა შესაშური პუნქტუალობით, კონსტიტუციით დადგენილ ვადაში, 1996 წლის 31 იანვარს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“,[1] „ხოლო 1996 წლის 21 მარტს _ საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“.[2] იმავე წელს დაკომპლექტდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობა, რომელმაც 1996 წლის 30 ოქტომბერს მიიღო პირველი გადაწყვეტილება საქმეზე „თენგიზ სუდაძე ქ. ფოთის მერის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე დააკმაყოფილა მოქალაქის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმატიული აქტი.[3] ამ თარიღიდან დაიწყო საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში. მას შემდეგ ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა. ამ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო. ამ გზაზე, წარმატებებთან ერთად, რა თქმა უნდა, იყო დაბრკოლებებიც და წინააღმდეგობები ხელისუფლების სხვა შტოებთან. იყო საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების გაერთიანების მცდელობაც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობის ფაქტები[4]. მაგრამ თუ მთლიანობაში

გათვალისწინებულია 13 ქვეყანაში. მხოლოდ თურქმენეთის კონსტიტუციაში არ მოიძებნება მისთვის ადგილი. აქედან, 12 ქვეყანაში შეიქმნა საკონსტიტუციო სასაართლო, ყაზახეთში _ საკონსტიტუციო საბჭო, ხოლო ესტონეთში _ საკონსტიტუციო ზედამხედველობის კოლეგია საერთო იურისდიქციის სასამართლოს უმაღლესი ორგანოს _ სახელმწიფო სასამართლოს სტრუქტურაში. 1989 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ერთ-ერთმა პირველმა ლატვიამ შეიტანა ცვლილება ძირითად კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნების შესახებ. თუმცა, ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ 1997 წელს დაიწყო მოქმედება (იხ. М.А. Митюков. Конституционные суды на постсоветском пространстве. Сравнительное исследование законодательства и судебной практики. «Московский общественный научный фонд», М., 1999, с. 4-5).

1 იხ. „პარლამენტის უწყებანი“, № 001, 1996 წ.

2 იხ. „პარლამენტის უწყებანი“, № 5-6, 1996 წ.

3 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 1996-1997, თბილისი, 2002, გვ. 5-10.

4 იხ. ჯონი ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006, გვ. 67-70.

თვალს გადავავლებთ განვლილ პერიოდს, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავისი უფლებამოსილებების ქმედითი გამოყენებით სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების დანაწილების, ხელისუფლების შტოთა შორის შეკავებისა და გაწონასწორების, კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპების რეალიზებასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაში, რაც სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს დამკვიდრების აუცილებელი პირობაა.

განვლილ წლებში საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების საკმაო გამოცდილება დაგროვდა როგორც საკანონმდებლო რეგულირების, ისე სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, რაც, ჩვენი აზრით, საჭიროებს კრიტიკულ გააზრებასა და წინადადებების შემუშავებას მისი შემდგომი სრულყოფის თაობაზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა წინამდებარე ნაშრომის პირველი გამოცემა (2016 წ.), რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავს ეძღვნებოდა. თუმცა, მისი გამოცემიდან სულ მალე, 2017 წელს საქართველოში განხორციელდა მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეხო.[1] ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების მომწესრიგებელმა ნორმებმა. ახლებურად განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სახეობები, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა წრე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგები, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო აქტის იურიდიული ბუნება და სხვ. ამასთანავე, შეიცვალა კონსტიტუციური ნორმების შინაარსი და ნუმერაცია, რამაც გააძნელა ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება. ამ გარემოებებმა გადაგვაწყვეტინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ მეორე გადამუშავებული და შევსებული ნაშრომის გამოცემა, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების თეორიული და პრაქტიკული საკითხები განხილულია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) საფუძველზე.

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018 წ., № 2, გვ. 5-24.

თავი I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სახეობები

ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო გარკვეული მიზნისათვის იქმნება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა, კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლი). ამ მიზნის მისაღწევად საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია სათანადო ფუნქციები, ანუ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელშიც ვლინდება მისი შინაგანი სპეციფიკური ბუნება.[1] საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა (59-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მაშასადამე, მისი ძირითადი ფუნქციაა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული სუბიექტის ქმედების ან სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის დადგენას და კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ზომების მიღებას. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ასევე ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს, საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს კანონით დადგენილი საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის პირველი პუნქტი). არც ერთი სხვა ორგანო ასეთი წესით არ ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს. სწორედ ამაში ვლინდება საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის თავისებურება.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად კონსტიტუციით და კანონით აღჭურვილია უფლებამოსილებებით. უფლებამოსილება არის სუბიექტისათვის (ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის) კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, განახორციელოს გარკვეული მოქმედება, მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე. უფლებამოსილებათა ერთობლიობა ქმნის ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენციას

1 ფუნქციის ცნების შესახებ იხ. ჯონი ხეცურიანი. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, გვ. 16-38.

(იურისდიქციას).[1] კომპეტენციის მოცულობა, მისი სიდიდე ყოველთვის დამოკიდებულია უფლებამოსილებათა რაოდენობაზე. კომპეტენცია შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს უფლებამოსილებათა მომატების თუ მოკლების შესაბამისად.

იურიდიულ ლიტერატურაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს განასხვავებენ მათი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით. ამის შესაბამისად ხდება მათი კლასიფიკაცია მატერიალურ-სამართლებრივ, პროცესუალურ და ორგანიზაციულ უფლებამოსილებებად. მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებები მოიცავენ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საქმეებს, რომელთა განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს ქმედების ან სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობას. უფლებამოსილებათა დანარჩენი ორი სახეობა დამხმარე როლს ასრულებს და, საბოლოო ანგარიშში, უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას.[2]

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებები. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესუალურ უფლებამოსილებებს, მათ განვიხილავთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროდ მივიჩნიეთ საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების თავისებურებათა წარმოსაჩენად.[3]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით. თუ საკონსტიტუციო რეფორმამდე (2017 წ.) მოქმედი ძირითადი კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსი-

---

1 იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юрист», М., 2005, с. 247.

2 იხ. Н.В. Витрук. Указ. соч., с. 247.

3 ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საკონსტიტუციო სასამართლო საპროცესო სამართლის (საკონსტიტუციო სამართალწარმოების) საკითხების კვლევას. ზოგიერთი ავტორი საკონსტიტუციო სამართალწარმოებას საკონსტიტუციო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ქვედარგად ან სამართალწარმოების დამოუკიდებელ სახეობად განიხილავს (იხ. Г.Х. Нуриев. Европейская модель конституционного судопроизводства, «Норма», М., 2012; Конституционный судебный процесс. Отв. ред. М.С. Саликов, «Норма», М., 2003, с. 12-13; გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 289-290).

ლებები განსაზღვრული იყო კონსტიტუციითა და ორგანული კანონით, კონსტიტუციურიცვლილებებისშემდეგ,საკონსტიტუციოსასამართლოს უფლებამოსილებების ერთადერთი წყარო მხოლოდ კონსტიტუციაა. კონსტიტუციისახალირედაქციისიმმუხლში,რომელშიცჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად დადგენილია მხოლოდ კონსტიტუციით. სხვა საკანონმდებლო აქტით, მაგალითად, ორგანული კანონით, ამ უფლებამოსილებების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება დაუშვებელია.[1]

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი სპეციალური ნორმაა, რომელშიც ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა უფლებამოსილება. ამ ნორმის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით:

1. ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით;

2. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე;

3. საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას;

4. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული

---

1 იურიდიულ ლიტერატურაში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრა უფრო საიმედოდ მიაჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შეკვეცა მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებებით არის შესაძლებელი, რაც უაღრესად რთული პროცესია (იხ. ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. მთარგმნელი ქეთევან ალექსიძე, „სეზანი“, 2003, გვ. 97-98).

ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

5. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;

6. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;

7. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს;

8. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

9. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ეს ჩამონათვალი არ არის სრული. ძირითადი კანონის (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის "კ" ქვეპუნქტი) თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციის სხვა მუხლებითაც შეიძლება იყოს დადგენილი. მაგალითად, ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებასთან. იგი მოცემულია კონსტიტუციის 48-ე მუხლში. ამრიგად კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები 10 სახეობით არის წარმოდგენილი. საკონსტიტუციო რეფორმამდე (2017 წ.) მოქმედი კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული

კანონით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების რაოდენობა თოთხმეტი იყო, ე. ი. ოთხით მეტი, ვიდრე ეს კონსტიტუციის ახალი რედაქციითაა გათვალისწინებული. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლის კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება მისი უფლებამოსილებების ერთობლიობით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

ერთ-ერთი უფლებამოსილება, რომელიც გამოაკლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა ფორმალური კონტროლია. ამ უფლებამოსილებების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს. მაშასადამე, აქ საკონსტიტუციო კონტროლის საგანი იყო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების არა შინაარსი, მატერიალური მხარე, არამედ მათი ფორმალური მხარე კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდებოდა მხოლოდ პარლამენტის ნორმატიულ აქტებზე და მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ხელისუფლების სამართალშემოქმედების პროცესში კონსტიტუციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფას. ნორმათა ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (26-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გათვალისწინებული იყო აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივით (რაც საგამონაკლისო შემთხვევაა ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის) მისი განხორციელების სავალდებულოება ნორმათა კონტროლის თაობაზე სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას. კანონმდებელი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა ნორმატიული აქტების ნამდვილობის ზოგად წესს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი შინაარსი არ შეესაბამება კონსტიტუციას, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუტიის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც

პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციასთან სრულ შესაბამისობაში იყოს, მაგრამ, ამასთანავე, უხეშად იყოს დარღვეული მისი მიღებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისათვის აღარ იარსებებს და პარლამენტის შეკავება, რათა მან არ დაარღვიოს კონსტიტუცია, შეუძლებელი გახდება. ამიტომ არ იყო მიზანშეწონილი ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი ორი უფლებამოსილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეხებოდა და მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტას. ამის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა და გადაეწყვიტა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები. ამ უფლებამოსილებების გაუქმების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის ტვირთი საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებებზე (მაგალითად, აბსტრაქტულ კონტროლზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და სხვ.) გადავა, მაგრამ ნორმათა კონტროლი არ იქნება ისეთი ქმედითი, როგორც ეს სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში იყო შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება უპირობოდ იწვევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, შესაძლებელი იყო სადავო ნორმატიული აქტის შემოწმება როგორც კონსტიტუციურობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით.[1] საკონსტიტუციო კონტროლის ეს შესაძლებლობები საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ უკვე აღარ იქნება.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე უფლებამოსილებას. რადგანაც

1 იხ. ჯონი ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 253-263.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევა შესაძლებელი იყო როგორც საქართველოს ცენტრალური, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ, ამიტომ ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ ხელისუფლების ორივე დონის ორგანოებს: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.[1] ამჟამად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მისი კომპეტენცია, რაც, რასაკვირველია, საკითხთა უფრო ვიწრო წრეს მოიცავს, ვიდრე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის რეგულირების სფერო.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი გაუქმებული უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვას, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩაანაცვლოს კომპეტენციური დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებამ, რადგანაც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება (64-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამიტომ ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს, იუსტიციის საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ეხება და, შესაბამისად, ამ ორგანოს, იმედია, უფლება ექნება წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ცალკეულ სახეობებს სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. თითოეული მათგანი გამოირჩევა მათ ფარგლებში სუბიექტთა მიმართვისა და საქმის განხილვის თავისებურებებით, აგრეთვე ამ საქმეებზე მიღებული

1 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 41^1 მუხლი (იხ. პარლამენტის უწყებანი, № 45, 21.11.1997 წ., გვ. 54).

სასამართლოს აქტების განსხვავებული იურიდიული შედეგებით. ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული. მაგრამ ვიდრე მათ განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილებებს ახორციელებს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ უფლებამოსილ სუბიექტთა მიმართვის საფუძველზე. მაშასადამე, თუ სათანადო სუბიექტი არ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, მას არა აქვს უფლება, თავისი ინიციატივით განახორციელოს რომელიმე მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილება.

საქართველოს კონსტიტუცია, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სახეობების დადგენისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამომწურავად განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოს ამა თუ იმ უფლებამოსილების ფარგლებში სარჩელით ან წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ეს სუბიექტებია: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი, საქართველოს სახალხო დამცველი, საერთო სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გენერალური პროკურორი, ეროვნული ბანკის საბჭო, გენერალური აუდიტორი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ფიზიკური პირი, იურიდიული პირი. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის განვითარების განვლილ პერიოდს, დავრწმუნდებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტების წრე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც უაღრესად დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფაში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ფართოდ გამოყენების თვალსაზრისით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტების ინიციატივაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს, ამასთანავე, უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, „თვითინიციატივით“ განახორციელოს სა-

კონსტიტუციო კონტროლი, როდესაც იგი ფლობს ინფორმაციას კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე და „უკანონობის პასიური მოწმის პოზიციაში“ არ უნდა იმყოფებოდეს. მათი აზრით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში სრულყოფილად არ მოხდა საქართველოს კონსტიტუციის დებულებათა გათვალისწინება და შედეგად მივიღეთ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო „ერთობ შეზღუდული უფლებამოსილებით“[1].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით განიხილოს და გადაწყვიტოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხი. მაგალითად, ავსტრიის კონსტიტუციით (140-ე მუხლის პირველი პუნქტი), „საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს ფედერაციის და მიწის კანონების არაკონსტიტუციურობის თაობაზე – ადმინისტრაციული სასამართლოს, უმაღლესი სასამართლოს ან მეორე ინსტანციით საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს წარდგინებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი კანონი ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებას სამართლებრივი დავის განხილვისას – საკუთარი ინიციატივით მასზე დაკისრებული ვალდებულების ძალით.“[2]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის თვითინიციატივის საკონტროლო უფლებამოსილების მინიჭების აუცილებლობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ წინადადებას ვერ დავეთანხმებით შემდეგი მოსაზრებების გამო:

პირველი. არ არის სწორი, თითქოს საქართველოს კონსტიტუცია იძლეოდეს შესაძლებლობას, სპეციალურ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივის უფლებამოსილება. საქართველოს ძირითადი კანონი (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი) პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკითხებს (დავებს) შესაბამისი სუბიექტების სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე. კონსტიტუციის ეს დებულება, ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს საკონსტი-

1 ოთარ მელქაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისათვის. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2001 წლის მეორე კვარტალი, გვ. 75, 80.

2 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, რედ. ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2008 წ., გვ. 165.

ტუციო სასამართლოში საქმის განხილვის სხვა საფუძვლის, მათ შორის, სასამართლოს „თვითინიციატივის“ კანონით გათვალისწინების შესაძლებლობას. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღებისას, საკანონმდებლო ხელისუფლება შებოჭილია შესაბამისი კონსტიტუციური დებულებებით და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა განსაზღვრისას იგი ამ დებულებათა მოთხოვნების ფარგლებს ვერ გასცდება. სწორედ ამის გამოა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს *ორგანული კანონის 26-ე მუხლის* პირველ პუნქტში დაფიქსირებულია ავსტრიული კანონმდებლობისაგან განსხვავებული, საპირისპირო ნორმა: „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“.

მეორე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საკონსტიტუციო კონტროლის საკუთარი ინიციატივით განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეჭვის ქვეშ დადგება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაში.

მესამე. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საკონსტიტუციო კონტროლის თავისი ინიციატივით განხორციელების უფლებით აღჭურვა მიზანშეუწონელია აგრეთვე იმის გამოც, რომ ასეთ შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესებში საკონსტიტუციო სასამართლოს უშუალო ჩაბმისა და მართლმსაჯულების ორგანოდან პოლიტიკის გატარების იარაღად მისი გადაქცევის რეალური საფრთხე შეიქმნება. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის გამოცდილება, სადაც 1991-1993 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება, რომელიც შემდგომ გაუქმდა რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციით სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებებით.[1]

ახლა განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ცალკეული სახეობები. მაგრამ სანამ ამას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთი განმარტების გაკეთება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა

1 იხ. Витрук Н.В., Конституционное правосудие в России (1991-2001 гг.): Очерки теории и практики. М., “Городец-издат”, 2001, с. 21-22, 28-29, 40.

სახეობების სახელდება, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში (მაგალითად, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, კომპეტენციური დავების გადაწყვეტა და სხვ.), უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა მათ საკანონმდებლო განმარტებებს. ამ სახით მათ, ჩვეულებრივ, იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ და ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული უფლებამოსილების არსს ლაკონურად და მიზანმიმართულად გამოხატავენ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენც ამ შესაძლებლობით გვესარგებლა.

თავი II. ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის რომელიმე კონკრეტულ საქმესთან. საპირისპიროდ ამისა, კონკრეტული კონტროლი ხორციელდება მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტისას გამოყენებულია ან უნდა გამოიყენონ სადავო ნორმატიული აქტი.

აბსტრაქტული კონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტს არ მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნორმა ზღუდავს ამ სუბიექტის კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ან ლახავს ადამიანის ძირითად უფლებებს და სხვ. საკმარისია იმის არგუმენტირება, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან ნორმა არ შეესაბამება კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებას.

ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი ძველი და, ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა, რომელიც გააჩნია ყველა სისტემის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ორგანოს.[1]

---

1 ისტორიულად საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შემოიღეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი გახდა სახელმწიფოს მეთაურის კონსტიტუციური პასუხისმგებლობის (იმპიჩმენტის) საკითხი. დროთა განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია თანდათანობით გაფართოვდა და ნაციონალურ კანონმდებლობებში სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდა (იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс, „Юрист“, М., 2005, с. 53).

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ამერიკული მოდელის ქვეყნებში ნორმათა აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებენ საერთო სასამართლოები და შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმატიული აქტი, ე. ი. აბსტრაქტული კონტროლი ყოვლისმომცველი, უნივერსალურია. ევროპული მოდელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში ამ უფლებამოსილებას ახორციელებენ საკონსტიტუციო სასამართლოები (ან კვაზისასამართლო ორგანოები) და აბსტრაქტული კონტროლის ფარგლები შეზღუდული ან უნივერსალურია. შეზღუდული სახითაა წარმოდგენილი ნორმათა აბსტრაქული კონტროლი, მაგალითად, ესპანეთში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათა აბსტრაქტული კონტროლით იხილავს მხოლოდ კანონებისა და კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხებს.[1] გერმანიაში კი აბსტრაქტული კონტროლი უნივერსალურია. ამ ქვეყნის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან ბუნდესტაგის წევრთა ერთი მეოთხედის შუამდგომლობით ძალადაკარგულად ცნოს ფედერალური ან მიწის სამართლის ნორმები, თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითად კანონს, აგრეთვე მიწის სამართლის ნორმები, თუ ისინი არ შეესაბამებიან ფედერალური სამართლის ნორმებს.[2] საგულისხმოა ამ მხრივ ასევე პორტუგალიის კონსტიტუციის 281-ე მუხლი _ „კონსტიტუციურობისა და კანონიერების აბსტრაქტული კონტროლი“, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად აცხადებს სამართლის ნებისმიერ ნორმას, თუ იგი ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, ხოლო არაკანონიერად მიიჩნევს ნორმას უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე კანონის დარღვევის საფუძვლით.[3] როგორც ვხედავთ, ამ ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების შემოწმება შესაძლებელია როგორც კონსტიტუციურობის, ისე კანონიერების თვალსაზრისითაც.

მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული კონტროლის ფარგლები სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში განსხვავებულია, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობით,

---

1 იხ. ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 161-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. წიგნში: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2006 წ., გვ. 215.

2 Jarass / Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar. 15. Auflage, C.H.Beck, München, 2018, S. 1057-1061.

3 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი V, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2007 წ., გვ. 736.

კანონის ძალის მქონე აქტები ყოველთვის წარმოადგენენ აბსტრაქტული კონტროლის ობიექტს. გამონაკლისია მხოლოდ რეფერენდუმით მიღებული კანონები და კონსტიტუციური კანონები, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შედის კონსტიტუციაში. ეს გასაგებია, რადგანაც რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება გამოირჩევა უმაღლესი იურიდიული ძალით, უშუალოდ გამოხატავს ხალხის ნებას და მისი შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით. რაც შეეხება კონსტიტუციურ კანონებს, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შედის კონსტიტუციაში, ისინი კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და, ამდენად, მათზე საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვერ გავრცელდება.[1]

ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, როგორც წესი, ფაკულტატურია. მისი განხორციელება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში იგი სავალდებულოა გარკვეული კატეგორიის ნორმატიული აქტების მიმართ. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციის 61-ე მუხლის თანახმად, „ორგანული კანონები მათ პრომულგაციამდე და პარლამენტის პალატების რეგლამენტები მათ მიღებამდე უნდა წარედგინოს საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის შესახებ.“ საკონსტიტუციო საბჭოს მიერ არაკონსტიტუციურად აღიარებული ნორმები არ შეიძლება პრომულგირებული ან გამოყენებული იქნეს (62-ე მუხლი).[2]

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ სავალდებულო საკონსტიტუციო კონტროლს აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც იგი წინასწარი (პრევენციული) კონტროლის სახით ხორციელდება.[3]

---

1 იხ. Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. «Зерцало», М., 1998, с. 58-60. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია წინასწარი (პრევენციული) საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების კანონპროექტზე. მაგალითად, უკრაინის კონსტიტუციის 159-ე მუხლის თანახმად, „უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი უკრაინის უმაღლესი რადის მიერ განიხილება კანონპროექტის ამ კონსტიტუციის 157-ე და 158-ე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის არსებობისას.“ (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2006 წ., გვ. 678).

2 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი II, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2008 წ., გვ. 591-592.

3 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 40.

ამასთანავე, წინასწარი (პრევენციული) კონტროლი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსტრაქტული. ეს ცხადია, რადგანაც ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ხდება მისი ძალაში შესვლამდე და, ბუნებრივია, ამ დროს არ იარსებებს რაიმე კონკრეტული დავა ან საქმე, რომელიც წარმოიშობოდა ამ ნორმატიული აქტის მოქმედების შედეგად. წინასწარი (პრევენციული) კონტროლის უპირატესობაც სწორედ იმაშია, რომ სადავო კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების მოგვარება ხდება სამართალშემოქმედებითი პროცესის დასრულებამდე, სანამ ნორმატიული აქტი შეიძენდეს იურიდიულ ძალას და ამოქმედდებოდეს. ამით, რა თქმა უნდა, მეტი გარანტია იქმნება კანონმდებლობის სტაბილურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის, თავიდან იქნება აცილებული არაკონსტიტუციური კანონის საფუძველზე მიღებული მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გაუქმებასთან და უკვე აღმოცენებულ სამართლებრივ ურთიერთობებში კორექტივების შეტანასთან დაკავშირებული პრობლემები.[1] წინასწარი (პრევენციული) კონტროლის ეს უპირატესობები აშკარად ჩანს საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლის დროს, რაზედაც ჩვენ წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში გვექნება საუბარი. დადებით მხარეებთან ერთად წინასწარ (პრევენციულ) კონტროლს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებებიც. იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ წინასწარი (პრევენციული) კონტროლი, როგორც წესი, აფერხებს სამართალშემოქმედებით პროცესს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში უწევს გადაწყვეტილების მიღება სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკის არარსებობის პირობებში.[2]

ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, როგორც წესი, დამდგენი სახისაა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა კარგავს იურიდიულ ძალას ან არ შეიძლება ძალაში შევიდეს, თუ ხორციელდება წინასწარი (პრევენციული) კონტროლი, ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და წარმოშობს იურიდიულ შედეგებს. ამასთანავე, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, ნორმათა წინასწარი (პრევენციული) კონტროლი შეიძლება იყოს საკონსულტაციო მნიშვნელობის, ანუ

1 იხ. Н.В. Витрук, მით. ნაშრომი, გვ. 55; ო. მელქაძე, ბ. დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. „მერანი-3“, თბილისი, 2000 წ., გვ. 260-262.

2 იხ. Хельмут Штайнбергер. Структурные элементы западноевропейской конституционной юрисдикции. В сб.: Современный немецкий конституционализм. М., 1994, с. 24.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იწვევს იურიდიულ შედეგებს და სამართალშემოქმედის მიერ მისი გათვალისწინება არ წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას. მას მხოლოდ მორალური ზემოქმედების ძალა გააჩნია. მაგალითად, მოლდავეთის კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლო გამოთქვამს აზრს კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე (135-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) და იგი თან უნდა დაერთოს პარლამენტში წარდგენილ კონსტიტუციური კანონის პროექტს (141-ე მუხლის მე-2 პუნქტი).[1]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უმეტესი ქვეყნების საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში აბსტრაქტული კონტროლი შემდგომი (რეპრესიული), ფაკულტატიური და დამდგენი საკონსტიტუციო კონტროლის სახით გამოიყენება.

საქართველოში 2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ. საკონსტიტუციო რეფორმამდე იგი შეზღუდული კონტროლის სახით იყო წარმოდგენილი, კერძოდ, იმჟამადმოქმედი კონსტიტუციითა (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ზუსტად იყო განსაზღვრული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. ეს ნორმატიული აქტები იყო: კონსტიტუციური შეთანხმება, საქართველოს კანონები, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები. საკონსტიტუციო რეფორმის (2017 წ.) შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ უნივერსალური სახე მიიღო და მისი განსჯადობის სფეროში მოექცა თითქმის ყველა ნორმატიული აქტი. საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაციაში (2017 წ.) ნორმატიული აქტის სახელდების გარეშე აღნიშნულია, რომ სათანადო სუბიექტის მიმართვის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო „იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული

1 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი IV, რედ. ვ. გონაშვილი, თბილისი, 2007 წ., გვ. 644, 646.

აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

რადგანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათა აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს მხოლოდ შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის სახით, ამიტომ ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას, სახელდობრ, იგი უნდა იყოს ნორმატიული აქტი და ამასთანავე მოქმედი.

ნორმატიული აქტების სახეობები, მათი ძალაში შესვლისა და მოქმედებისწესები,იერარქიულიურთიერთმიმართება,სამართლებრივი აქტის ნორმატიულობის კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ნორმატიული აქტების სისტემას ქმნიან სამი კატეგორიის სამართლებრივი აქტები: 1. საქართველოს ნორმატიული აქტები; 2. ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტები და 3. ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები.

ნორმატიული აქტების პირველ კატეგორიას შეადგენენ: 1. საქართველოსსაკანონმდებლოაქტები;2.საქართველოსკანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; 3. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და 4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. აქედან პირველი და მეორე ჯგუფის ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

ნორმატიული აქტების მეორე კატეგორიას მიეკუთვნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა: 1. ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები და 2. ავტონომიური რესპუბლიკების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

და ბოლოს, ნორმატიული აქტების მესამე კატეგორია მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მთელი ამ მასივიდან საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმატიული აქტი, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კონსტიტუციური კანონებისა. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელი, სპეციალური

უფლებამოსილებაა და ამიტომ თუ დავა შეეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს, მაშინ იგი უნდა გადაწყდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლის ობიექტი ვერ იქნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური კანონი. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება შემდეგ შემთხვევებში: 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების წესის განსაზღვრებისას (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი); 2. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის გადასინჯვისას (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი) და 3. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას (77-ე მუხლის პირველი პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალით (მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი), სამივე ამ შემთხვევაში მიღებული კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კონსტიტუციის კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლებელია.

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციური კანონები, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შედის კონსტიტუციაში, და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი,[1] მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, თუ პირველ შემთხვევაში კონსტიტუციური კანონი ძალაში შესვლის მომენტიდან წყვეტს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით არსებობას და უშუალოდ აისახება კონსტიტუციაში, მეორე შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის მიღების შემდეგ, არ ხდება ამ კანონის ინკორპორირება კონსტიტუციის ტექსტში და იგი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის სახით განაგრძობს

1 2017 წლის 13 ოქტომბრამდე ამ კანონს ეწოდებოდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №16, 4.07.2004, მუხ. 53), რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციური კანონის ამოქმედებისთანავე.

არსებობას. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამ თავისებურების გათვალისწინებით, გ. კახიანი მიიჩნევს, რომ მისი კონსტიტუციურობის შემოწმება თეორიულად შესაძლებელია, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ მასზე საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის იურისდიქცია ვერ გავრცელდება, რადგანაც ეს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად არის აღიარებული.[1]

ჩვენი აზრით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ზემოაღნიშნული თავისებურება ვერ გამოდგება მასზე საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის თუნდაც თეორიული შესაძლებლობის დასასაბუთებლად. საკანონმდებლო ტექნიკის ეს თავისებურება განაპირობებს მხოლოდ იმ რეალობას, რომ საქართველოს ამჟამადმოქმედი კონსტიტუცია ორი ერთმანეთისგან განუყოფელი, მაგრამ ცალ-ცალკე არსებული საკანონმდებლო აქტის სახითაა წარმოდგენილი, სახელდობრ, თავად საქართველოს კონსტიტუციით (1995 წ.) და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით (2017 წ.).[2] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის ტოლფასი ნორმატიული აქტია აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით, კერძოდ: მის ნორმებს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც კონსტიტუციურ ნორმებს; მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია იმავე წესით, რაც კონსტიტუციისათვის არის დადგენილი; კონსტიტუციური კანონების ნორმების დარღვევა კონსტიტუციის დარღვევად ჩაითვლება და იგი შეიძლება გახდეს, მაგალითად, კონსტიტუციით განსაზღვრულ უმაღლეს თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის საფუძველი და ა.შ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საერთოდ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მასზე შემდგომი (რეპრესიული) აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

სხვა საკითხია კონსტიტუციური კანონების მიმართ წინასწარი (პრევენციული) კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. როგორც უკვე აღვიშნეთ, ზოგიერთ ქვეყანას ამის გამოცდილება გააჩნია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კონსტიტუციურ კანონებზე წინასწარი (პრევენციული) საკონსტიტუციო სასამართლო

1 იხ. გ. კახიანი. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1, გვ. 66.

2 იხ. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი, 2010 წ., გვ. 16, 63.

კონტროლის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ. მაგალითად, გ. კახიანი მიიჩნევს, რომ „პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი მის პრომულგირებამდე, კონსტიტუციურობის თაობაზე შესაბამისი დასკვნისათვის სავალდებულო წესით უნდა გადაეცემოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში იყოს შესაძლებელი, იგი პრომულგირებისათვის გადაეცეს პრეზიდენტს“.[1]

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. ამასთანავე, მიზანშეწონილი იქნება, კონსტიტუციური კანონები დაექვემდებაროს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ ფორმალურ წინასწარ (პრევენციულ) კონტროლსაც. ამის წინაპირობას იძლევა საქართველოს კონსტიტუციის ნორმები, რომლებიც სპეციალურად აწესრიგებენ კონსტიტუციური კანონის პროექტის წარდგენის, განხილვის, მიღების, ხელმოწერის და გამოქვეყნების პროცედურულ საკითხებს (77-ე მუხლი). მართალია, კონსტიტუციური კანონის პროექტი სათანადო წესით მისი მიღების შემდეგ, კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი ხდება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ რამდენად არის დაცული თავად ეს „სათანადო წესები“, რომლებიც კონსტიტუციითაა დადგენილი კონსტიტუციური კანონის მღებისათვის. ამ საკითხის გარკვევა კი შესაძლებელია კონსტიტუციურ კანონებზე, მათ ხელმოწერამდე, სავალდებულო წინასწარი (პრევენციული), ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების გზით.[2]

ნორმათა აბსტრაქტული საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ობიექტის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთი და იგივე სახეობის სამართლებრივი აქტი ზოგჯერ შეიძლება იყოს ნორმატიული, ზოგჯერ კი - ინდივიდუალური. მაგალითად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანება შეიძლება

---

1 გ. კახიანი. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1, გვ. 66.

2 აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგანაც კონსტიტუციური კანონისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის საქართველოს ახალი ძირითადი კანონის მიღების პროცედურები, ეს გარემოება გამორიცხავს ახალი კონსტიტუციის პროექტის წინასწარი ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ, ამასთანავე, მიუთითებს კანონმდებლობაში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზზე, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა გამოსწორდეს კონსტიტუციაში შესაბამისი დამატების შეტანით, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების პროცედურების დადგენის მიზნით.

იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი). ასევეა საქართველოს პარლამენტის დადგენილება, მინისტრის ბრძანება და სხვ. ასეთ შემთხვევებში თავად საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა სადავო სამართლებრივი აქტი ნორმატიული. ამისათვის მან უნდა იხელმძღვანელოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმით, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივი აქტის ნორმატიულობის კრიტერიუმებს და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისაგან მის განმასხვავებელ ნიშნებს (მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის ობიექტის დადგენისას, გასათვალისწინებელია ზოგიერთი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ნორმატიული აქტის ნამდვილობისათვის. მხედველობაში გვაქვს ნორმატიული აქტების იურიდიული ძალისა და მოქმედების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური წესები. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა ძირითადი კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა (53-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ ექნებათ იურიდიული ძალა. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციაში: საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, „ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმოწერის შემდეგ“ (53-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებიდან საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს დადგენილება, რადგანაც მთავრობის სამართლებრივი აქტებიდან ნორმატიულია მხოლოდ დადგენილება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი. თუმცა, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს მიიღოს დადგენილება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო აქტით და მისი მიღება გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით. ასეთ

დროს საქართველოს მთავრობა ვალდებულია ნორმატიული აქტის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მთავრობის ან სხვა ორგანოს მიერ შესაბამის საკითხზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს ამ კანონპროექტს მისი წარდგენიდან სამი თვის ვადაში, მთავრობის დადგენილება ძალადაკარგულად ითვლება და საქართველოს მთავრობას ერთმევა უფლება, იმავე საკითხზე მიიღოს დადგენილება.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ საკითხზე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლის ობიექტის განსაზღვრასთან არის დაკავშირებული. სახელდობრ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტასაც, საქართველოს პრეზიდენტის მიერ იქმნება დროებითი სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის უფლებამოსილებებს. დროებითი სახელმწიფო საბჭო მოქმედებს ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე. მას უფლება აქვს მიიღოს კანონი, რომელიც საჭიროებს დამტკიცებას ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ერთი თვის ვადაში. თუ უმაღლესი საბჭო აღნიშნულ ვადაში არ დაამტკიცებს კანონს, იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება (მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი). აქ ინტერესს იწვევს საკითხი, ვრცელდება თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლი დროებითი სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მათ დამტკიცებამდე. ამ აქტების მოქმედება, მართალია, დროებითია, მაგრამ ის შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვეს ან უფრო მეტი ხნით, თუ, ვთქვათ, ამ რეგიონში ან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას.

ჩვენი აზრით, დროებითი სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული კანონები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აბსტრაქტული კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს შემდეგ გარემოებათა გამო.

ჯერ ერთი, დროებითი სახელმწიფო საბჭო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა უფლებამონაცვლე სუბიექტია, რომელსაც ამავე კანონის ძალით გააჩნია კანონის მიღების უფლება. მეორე, დროებითი სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული კანონები, მართალია, დროებითი მოქმედებისაა, მაგრამ ნორმატიული აქტისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იგი დროებითი თუ მუდმივი გამოყენებისთვისაა მიღებული. მთავარია, იგი მიღებული იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგენდეს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელს ყოველთვის აძლევს საშუალებას, საკონსტიტუციო სასამართლოსაგან მოითხოვოს ხელისუფლების მეორე შტოს ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რაც ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მნიშვნელოვან როლს ასრულებს, საბოლოო ანგარიშში უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობასა და კონსტიტუციური კანონიერების დაცვას.[1] გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტები, როგორც წესი, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ასეთი სუბიექტებია საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი ან მთავრობა (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ისევე როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება, წარმოეშობა მის მიერ ფიცის დადების შემდეგ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული (51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). მხოლოდ ფიცის დადების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი დაიკავებს თავის თანამდებობას და შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას. საკონსტიტუციო

1 იხ. გიორგი კახიანი. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში. „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1, გვ. 62.

სასამართლოსადმი მიმართვის გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი იღებს დამოუკიდებლად და არ საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას (საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტი. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე (51-ე მუხლის მე-5 პუნქტი). საქართველოს 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, ძირითადი კანონი ამომწურავად ადგენდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, რომელთა გამოყენება ეკრძალებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს (76-ე მუხლის მე-2 პუნქტი). რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, იმჟამადმოქმედი კონსტიტუციით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ამ უფლებამოსილების განხორციელებაში არ იყო შეზღუდული. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, ძირითადი კანონიდან ამოღებული იქნა ზემოაღნიშნული ნორმა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს აღარ ეკრძალება საქართველოს პრეზიდენტის რომელიმე უფლებამოსილების განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილებებში გათანაბრებულია. გამომდინარე აქედან, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს მთავრობა კოლეგიური ორგანოა, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გადაწყვეტილებას ის იღებს მთავრობის სხდომაზე, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია მთავრობის მიერ უფლებამოსილების მოხსნისა და მთავრობის მოვალეობის შესრულების ინსტიტუტი (56-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის, პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში. ამ დროიდან მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი, უფლება აქვს თუ არა მთავრობას, რომელმაც მოიხსნა უფლებამოსილება და განაგრძობს

მოვალეობის შესრულებას, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მოთხოვნით. რადგანაც არც კონსტიტუცია და არც სხვა საკანონმდებლო აქტები არ ადგენენ მოვალეობის შემსრულებელი მთავრობისათვის კომპეტენციათა რაიმე შეზღუდვებს, უნდა დავასკვნათ, რომ მთავრობას ასეთ შემთხვევაში გააჩნია სრული უფლებამოსილება და, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობაც.

შემდეგი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მოთხოვნით, პარლამენტის წევრთა ჯგუფია. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) პარლამენტის წევრთა ჯგუფი მხოლოდ მაშინ არის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტი, თუ ამ ჯგუფის წევრთა რაოდენობა პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედია. რადგანაც კანონმდებელი პარლამენტის წევრთა ჯგუფის რაოდენობის განსაზღვრისას არ იყენებს ტერმინს „პარლამენტის სიითი შემადგენლობა“, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ერთი მეხუთედი გამოიანგარიშება პარლამენტის სრული შემადგენლობიდან, ე.ი. 150-დან და შეადგენს 30-ს. მაშასადამე, პარლამენტის წევრთა ჯგუფს შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფის წევრთა რაოდენობა 30 დეპუტატზე ნაკლები არ არის. ერთი შეხედვით ამ მარტივ არითმეტიკას სინამდვილეში პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ პარლამენტის წევრთა ჯგუფი, რომელმაც მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, ამა თუ იმ მიზეზის გამო (მაგალითად, ცალკეულმა დეპუტატებმა უარი თქვეს კონსტიტუციურ სარჩელზე თავიანთ თავდაპირველ ხელმოწერაზე, კონსტიტუციურ სარჩელზე ხელმომწერ დეპუტატს დადგენილი წესით შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და ა.შ.) 30 დეპუტატზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სუბიექტი, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის სტადიაზე კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის, ხოლო არსებითი განხილვის სტადიაზე საქმის შეწყვეტის საფუძველია. ამრიგად, როდესაც პარლამენტის წევრთა ჯგუფი მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით, შესაძლებელია, სარჩელის თავდაპირველ ხელმომწერთა რაოდენობა შემდეგში შემცირდეს ან გაიზარდოს, მაგრამ

საკონსტიტუციო სამართალწარმოების არც ერთ სტადიაზე (გარდა სათათბირო ოთახში სასამართლოს აქტების მიღებისას) იგი 30-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტართა ეს ჯგუფი ვერ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტად აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პარლამენტის დეპუტატთა გარკვეული ჯგუფის მიმართვის უფლება იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებულია როგორც საპარლამენტო უმცირესობის დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია, რომლითაც საპარლამენტო უმცირესობას შესაძლებლობა აქვს საკონსტიტუციო კონტროლის ამოქმედების მოთხოვნით საპარლამენტო უმრავლესობა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები აიძულოს არ გასცდეს კონსტიტუციის მოთხოვნათა ფარგლებს. ამდენად, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი ერთგვარი „იარაღია“ პოლიტიკური ოპოზიციის ხელში.[1] მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, როდესაც საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრთა ჯგუფმა (39-მა დეპუტატმა) სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ზოგიერთი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერით არსებითად განსახილველად მიიღო ეს სარჩელი და შეაჩერა სადავო ნორმების მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[2]

---

1 იხ. გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი. კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში. თბილისი, 2001 წ., გვ. 35; Schlaich / Korioth. Das Bundesverfassungsgericht. Stellung, Verfahren, Entscheidungen. 11 Auflage, C.H. Beck, München, 2018, S. 102; გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 191-193.
გიორგი კახიანის აზრით, მიზანშეწონილი იქნება პარლამენტის წევრთათვის დადგენილი კვოტის – ერთი მეხუთედის შეცვლა პარლამენტის წევრთა არანაკლებ 20 წევრით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში აბსტრაქტული კონტროლის განხორციელების როლს და ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებდა (მით. ნაშრომი, გვ. 193).

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2015 წლის 12 ოქტომბრის №3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მართლაც შეუძლია საპარლამენტო უმცირესობის დაცვის ფუნქციის შესრულება, მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა უფრო რეალური იყოს, საჭიროა პარლამენტის წევრთა ჯგუფის (ერთი მეხუთედის ანუ 30 დეპუტატის) ნაცვლად ამ უფლებით სარგებლობდეს საპარლამენტო ფრაქცია, რომლის შექმნა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად 7 დეპუტატსაც შეუძლია (41-ე მუხლის მე-3 პუნქტი). საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლებელია იმდენად მრავალრიცხოვანი იყოს, რომ საპარლამენტო უმცირესობამ ვერ შეადგინოს პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი. ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო უმცირესობა მოკლებული იქნება შესაძლებლობას, ისარგებლოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით და შეასრულოს შემაკავებელი როლი, რათა საპარლამენტო უმრავლესობამ და აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებით განსჯადი ნორმატიული აქტების მიმღებმა/ გამომცემმა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში დაიცვან ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნები. ზემოაღნიშნული წინადადების გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომაც, რომ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლება ნაკლებად გამოიყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, არც სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ კონტროლის ამ სახეობის ფართოდ გამოყენების გამოცდილება.[1]

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის საქმეებზე მოპასუხეა ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოც არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი. თუ კონსტიტუციური სარჩელი ეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ ნორმატიულ აქტს, მოპასუხეა ამ აქტის მიმღების/გამომცემის უფლებამონაცვლე ორგანო, ამ ორგანოს არარსებობისას კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხენი არიან საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური

1 იხ. ბესარიონ ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი, 2007, გვ. 59.

რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოები (33-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

მართალია, კანონმდებლობა ნათლად განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმათა აბსტრაქტული კონტროლით საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ კონტრასიგნაციის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, ჩვენი აზრით, საჭიროა ზოგიერთი კორექტივის შეტანა ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირებაში. საქმე ისაა, რომ აბსტრაქტული კონტროლით პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა ადგენს, რომ ყოველთვის მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუცია კონტრასიგნაციის შემთხვევაში პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობას (53-ე მუხლის პირველი პუნქტი). გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლში საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი მოპასუხე იქნება სასამართლოში მხოლოდ მის მიერ გამოცემულ იმ სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც, საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ საჭიროებს კონტრასიგნაციას, ხოლო კონტრასიგნებულ პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე მოპასუხე იქნება მთავრობა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის საქმეებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი (21-ე მუხლის პირველი პუნქტი). კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (25-ე მუხლის მე-2 პუნქტი), თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.

თავი III. ნორმათა კონკრეტული კონტროლი

ნორმათა კონკრეტული კონტროლი ტრადიციულად დამახასიათებელია საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული (ჩრდილოამერიკული) მოდელისათვის. მას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები და მნიშვნელოვნად განსხვავდება ნორმათა კონკრეტული კონტროლის ევროპული მოდელისაგან. ჯერ ერთი, ამერიკული მოდელის დროს საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება დეცენტრალიზებულად, ყველა სასამართლოს (მოსამართლის) მიერ. შესაფარდებელი ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება სასამართლოების ერთ-ერთი ფუნქციაა. მეორე, კონკრეტული კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი. მესამე, საკონსტიტუციო კონტროლი მკაცრად კაუზალური ხასიათისაა, სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე, რომელიც უნდა გამოიყენოს მის მიერ განსახილველი კონკრეტული (სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის) საქმის გადასაწყვეტად. მეოთხე, სასამართლოს (მოსამართლის) მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი არ გამოიყენება ამ სასამართლოს (მოსამართლის) მიერ მის წარმოებაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. ნორმატიული აქტი, ფაქტობრივად, კარგავს იურიდიულ ძალას, თუმცა ამ სასამართლოს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობის შესახებ არა აქვს სავალდებულო ძალა სხვა სამართალშემფარდებელი სუბიექტებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო დაადასტურებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ, მხოლოდ მაშინ ექნება მას სავალდებულო ძალა სხვა სასამართლოებისთვისაც.

ნორმათა საკონსტიტუციო კონტროლის ეს მოდელი, ე.წ. „პირველი ტალღის“ კონსტიტუციების ეპოქაში ერთადერთი იყო მსოფლიო საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკაში. მეტ-ნაკლები სახეცვლილებით მან გავრცელება ჰპოვა ზოგიერთ ლათინურამერიკულ ქვეყნებში (არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, კოლუმბია), სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, ნორვეგია, შვედეთი) და ინგლისის ზოგიერთ დომინიონში (ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი).[1]

1 იხ. А.А. Клишас. Конституционный контроль и конституционное правосудие зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование. «Международные отношения», Москва, 2007, с. 76-77, 87-88; Конституционный контроль в зарубежных странах. Отв. ред. В.В. Маклаков, «Норма», Москва, 2007, с. 36-38.

ევროპაში საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლება პირველად 1929 წელს ავსტრიის სასამართლო სისტემაში დაინერგა. თავდაპირველად ამ უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ უმაღლესი სასამართლოები. შემდეგ ავსტრიის მოდელი გაიზიარა ევროპის ბევრმა ქვეყანამ და ეს უფლება დაბალი ინსტანციების სასამართლოებზეც გავრცელდა.[1] საფრანგეთის კონსტიტუციაში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებით, საფრანგეთის საერთო იურისდიქციის სასამართლოებსაც მიეცათ საკონსტიტუციო საბჭოსადმი მიმართვის უფლება.[2]

ნორმათა კონკრეტული კონტროლის ევროპული მოდელის თავისებურებები განპირობებულია საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული სისტემის ბუნებით, რომლისთვისაც, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სასამართლო(ანკვაზისასამართლო)ორგანოსარსებობა.საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი ამ სისტემის პირობებში ხორციელდება ცენტრალიზებულად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის დადგენილი სპეციალური პროცედურების – საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფორმით. ამ სასამართლოებისათვის საკონსტიტუციო კონტროლი ერთადერთი ფუნქციაა. საერთო სასამართლოებს ნორმათა კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილება არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ მონაწილეობენ ამ პროცესში.

ნორმათა კონკრეტული კონტროლის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს შორის განსხვავება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად განპირობებულია ამ კონტინენტებზე არსებული სამართლებრივი სისტემების სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახებისადმი კუთვნილებით. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, ევროპული მოდელის პირობებში საკონსტიტუციო კონტროლის მხოლოდ ცენტრალიზებული სისტემა უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას, რადგანაც სამართლის ეს სისტემა არ იცნობს სასამართლო პრეცედენტებს. ამიტომ, თუ საერთო სასამართლოებს ექნებოდათ უფლება, საკონსტიტუციო კონტროლი ამერიკულ ყაიდაზე განეხორციელებინათ, მაშინ გარდაუვალი იქნებოდა სასამართლო

1 იხ. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. მთარგმნელი ქეთევან ალექსიძე, „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 79.

2 იხ. Г.Х. Нуриев. Европейская модель конституционного судопроизводства. «Норма: ИНФРА-М», Москва, 2012, с. 69; А.В. Антонов. Реформа Конституционного Совета Франции. Журнал Конституционного правосудия, М., 2011, № 2, с. 4-6.

პრაქტიკის არაერთგვაროვნება. გამომდინარე აქედან, დაასკვნიან, რომ ევროპული მოდელის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებს, რომელთაც გააჩნიათ საკონსტიტუციო დავების განხილვის მონოპოლიური უფლება, შეუძლიათ წარმატებით უზრუნველყონ სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება.[1] გერმანიაში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის თაობაზე, მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმათა კონკრეტული კონტროლის საქმის წარმოება ემსახურება აგრეთვე „სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებასა და სამართლებრივი პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი საფრთხის ქვეშ დადგება, თუ ცალკეული სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა არ გამოეყენებინა კანონის რომელიმე დებულება, რომელსაც ის ჩათვლიდა არაკონსტიტუციურად“.[2]

ნორმათა კონკრეტული კონტროლის ამერიკული და ევროპული მოდელების შედარების მიზანი სრულიადაც არ არის რომელიმე მათგანის უპირატესობის დადგენა.[3] ორივე მოდელი წარმატებით მოქმედებს შესაბამის სამართლებრივ სივრცეში. უფრო მეტიც, იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე საკონსტიტუციო კონტროლის ე.წ. შერეული მოდელიც, რომელიც აერთიანებს ძირითადი მოდელების (ამერიკულისა და ევროპულის) ცალკეულ ელემენტებს ან რომლის დროს საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება სხვადასხვა ორგანოების მიერ განსხვავებული წარმოშობის სამართლებრივი აქტების მიმართ. მაგალითისათვის მოhყავთ საკონსტიტუციო კონტროლის ბერძნული სისტემა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული ამპაროს (ამპარო) პროცედურები.[4] ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოდელების დახასიათება, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოში არსებული მოდელის ადგილის განსაზღვრისათვის და, შესაბამისად, იმის დასადგენად, თუ რამდენად სრულყოფილია საკონსტიტუციო

1 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах, с. 37-38.

2 იხ. გიორგი ხუბუა, იოhანეს ტრაუტი. კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, გვ. 32.

3 თუმცა, ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ევროპული მოდელის უპირატესობაზე ამერიკულ მოდელთან შედარებით. იხ., მაგალითად, ლიანა გიორგაძე. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სახე და მისი თანამედროვე მოდელები: ბრძოლა უპირატესობისათვის. „თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი“, სტატიათა კრებული, წიგნი I, გ. კვერენჩხილაძისა და ლ. გეგენავას რედაქტორობით. თბილისი, 2012, გვ. 70-73.

4 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах, с. 48-49; А.А. Клишас, მით. ნაშრომი, გვ. 96-97, 217 _ ავტორი ამ მოდელს იბერიულს (სამხრეთამერიკულს) უწოდებს.

სასამართლო კონტროლის ამ უფლებამოსილების განხორციელების საკანონმდებლო საფუძვლები საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, სავსებით მართებულად სვამენ საკითხს იურიდიულ ლიტერატურაში: მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რომელი ფორმით ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლი, არამედ ის, უნდა ჰქონდეთ თუ არა საერთო იურისდიქციის სასამართლოებს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლება, თუ ამ მიზნით ქვეყანაში უკვე შექმნილია საკონსტიტუციო სასამართლო, და როგორი უნდა იყოს მათი ურთიერთობა ნორმათა კონტროლის სფეროში.[1]

საქართველოში მოქმედებს საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა კონკრეტული კონტროლის უფლებამოსილებაც ამ მოდელისათვის დამახასიათებელი ფორმითაა ჩამოყალიბებული კანონმდებლობაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია საქართველოს ძირითად კანონში (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“. ამ უფლებამოსილების შინაარსი უფრო სრულად არის გადმოცემული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი), რომლის ძალით „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. იგივე დებულებაა განმეორებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონშიც (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი). ამ დუბლირების მიზეზი, ჩვენი აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

1 იხ. ბადრი კოჭლამაზაშვილი. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009, გვ. 103.

შესახებ“ ორგანული კანონის ზემოაღნიშნული ნორმა განსაზღვრავს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, არამედ ადგენს აგრეთვე საერთო სასამართლოს უფლებას, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით. ამასთანავე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში იქვე არის მოცემული ნორმა, რომელიც, ჩვენი აზრით, საერთო სასამართლოს ნორმათა კონსტიტუციურობის დადგენის და ამასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია: „თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად“.

ჩვენი აზრით, არა გვგონია არსებობდეს ისეთი ნორმატიული აქტი, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას და, ამასთანავე, მისი კონსტიტუციურობის შემოწმება არ შედიოდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. გამომდინარე აქედან, გაუგებარია ამ საკანონმდებლო ნორმის მიზანდასახულობა. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ეს ნორმა გზას უხსნის საერთო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისაკენ, მაშინ, როცა საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოა“.[1]

რაც შეეხება საპროცესო კანონმდებლობას, იქაც არაერთგვაროვნად არის ეს საკითხი მოწესრიგებული. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 167-ე მუხლში, რომელიც ადგენს სასამართლო განხილვის შეჩერების საფუძვლებს, აღნიშნულია, რომ თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, მაშინ სასამართლო განხილვა უნდა შეჩერდეს მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, იმავე მუხლით, სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე (მე-3 ნაწილი). როგორც ვხედავთ, საერთო სასამართლოს

1 ბადრი კოჭლამაზაშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 115.

უფლებამოსილება, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შეაჩეროს სასამართლო განხილვა, შემოიფარგლება მხოლოდ კანონის (და არა სხვა ნორმატიული აქტების) კონსტიტუციურობაში სასამართლოს დაეჭვების შემთხვევებით და ისიც მხარის შუამდგომლობის არსებობის პირობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც მხოლოდ საქმისთვის გამოსაყენებელი კანონის არაკონსტიტუციურობის მოტივით შეუძლია სასამართლოს შეაჩეროს საქმის განხილვა, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება (მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ეს ნორმა არაფერს ამბობს, თუ ვინ უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით. უფრო მეტ გაუგებრობას აჩენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმავე მუხლის მე-3 ნაწილში გადმოცემული დებულება, რომლის თანახმად, „თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით“. ცხადია, რომ კანონმდებელი აქ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კანონიერების საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტის წესს ადგენს, მაგრამ გაუგებარია, ამასთან რა კავშირშია ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა. თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, მაშინ სასამართლომ კანონით უნდა იხელმძღვანელოს, მიუხედავად იმისა, შედის თუ არა ამ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.

ჩვენი აზრით, საერთო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც დაკავშირებულია სამართალწარმოებაში გამოსაყენებელი კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტასთან, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი), ისე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით“ (167-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით“ (მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები), არასწორად არის განსაზღვრული და იგი უნდა შეიცვალოს.

ნორმათა კონკრეტული კონტროლი თითქმის ყველა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების არსენალში გვხვდება

და ნორმათა კონტროლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ნორმათა აბსტრაქტულ და ფორმალურ კონტროლთან ერთად. მართალია, საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში ამ უფლებამოსილებას მთელი რიგი თავისებურებები გააჩნია, მაგრამ მისი არსი მაინც ყველგან ერთი და იგივეა. ნორმათა კონკრეტული კონტროლი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ გარემოებებთან, კონკრეტულ საქმესთან, რომლის გადასაწყვეტად საჭირო სამართლის ესა თუ ის ნორმა ეჭვს იწვევს მისი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება კონკრეტული კონტროლი აბსტრაქტული კონტროლისაგან, რომლის დროსაც ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ საქმესთან. მართებულად აღნიშნავს ვ.ვ. მაკლაკოვი, რომ აბსტრაქტული კონტროლის დროს სადავო აქტისა და კონსტიტუციის შეპირისპირება უშუალოდ ხდება. კონკრეტული კონტროლი კი გულისხმობს შუალედურ რგოლს: შემთხვევას, რომლის გამოც ხდება კონკრეტული აქტისა და ძირითადი კანონის თანაფარდობის დადგენა.“[1]

ამ თავისებურების გამო, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლისაგან განსხვავებით, ნორმათა კონკრეტული კონტროლი შეიძლება იყოს მხოლოდ შემდგომი, ე. ი. მისი ობიექტია მოქმედი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი. რადგან ნორმათა კონკრეტული კონტროლის ობიექტს შევეხეთ, უპრიანი იქნება აქვე განვიხილოთ საკითხი, თუ რომელ ნორმატიულ აქტებს მოიცავს საკონსტიტუციო კონტროლის ეს ობიექტი. ზემოაღნიშნული ორგანული კანონებით ნორმათა კონკრეტული კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს „კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი“, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერი რანგის ნორმატიულ აქტს (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის გარდა). საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კი, ნორმათა კონკრეტული კონტროლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ კანონის (და არა სხვა ნორმატიული აქტის) კონსტიტუციურობაში საერთო სასამართლოს დაეჭვების დროს. ჩვენი აზრით, აქ სახეზეა ორგანულ კანონებსა და ჩვეულებრივ კანონებს შორის აშკარა შეუსაბამობა. საპროცესო კოდექსები, რომლებიც ჩვეულებრივი კანონებია, ორგანულ კანონებთან შედარებით მნიშვნელოვნად ზღუდავენ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოების მიმართვის ფარგლებს, რაც დაუშვებელია და უნდა გასწორდეს. ამ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე, საერთო სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ იერარქიით უფრო

1 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах, с. 55.

მაღლა მდგომი საკანონმდებლო აქტებით და, შესაბამისად, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც კანონის, ასევე სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჰერმან შვარცი აღნიშნავს, რომ არსებობდა იდეა, კანონქვემდებარე და სხვა კანონზე ნაკლები იურიდიული ძალის აქტები არ შესულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციაში და მათი განხილვა-გადაწყვეტის უფლებამოსილება საერთო სასამართლოებისათვის გადაეცათ. ავტორის აზრით, ეს პრინციპულად შესაძლებელია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ადმინისტრაციული სასამართლოები, თუმცა, იქვე მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას კონსტიტუციურ საკითხებზე იურისდიქციის ასეთი გადანაწილების შედეგად. სახელდობრ, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტული საკითხი კანონის საკონსტიტუციო კონტროლის დროს გადაწყვიტოს ერთი გზით, ხოლო საერთო სასამართლომ იგივე საკითხი გადაწყვიტოს სრულიად სხვაგვარად ადმინისტრაციული აქტის კანონიერების ან კონსტიტუციურობის შემოწმებისას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება გააუქმოს კანონი ხელფასის განაკვეთების შესახებ ქალების დისკრიმინაციის საფუძველზე, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნიოს ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ასეთივე განსხვავებას აწესებს. ამ პრობლემის დასაძლევად ჰერმან შვარცი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ უნდა მოიძებნოს გზა ყველა კონსტიტუციურ საკითხზე კონსტიტუციის უზენაესი ინტერპრეტატორის საბოლოო განმარტების გავრცელებისა და ეს უზენაესი ინტერპრეტატორი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლო. იგი შექმნილია სპეციალურად კონსტიტუციური საკითხების მოსაგვარებლად.[1] მაშასადამე, ავტორის აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერთო სასამართლოებს მიეცემათ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის უფლება, საბოლოო სიტყვა ნორმათა კონსტიტუციურობის შესახებ მაინც საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დარჩეს.

ნორმათა კონსტიტუციურობის კონკრეტული კონტროლის სფეროში საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის იურისდიქციის ასეთი გადანაწილების სისტემა მოქმედებს, მაგალითად,

1 იხ. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. მთარგმნელი ქეთევან ალექსიძე, „სეზანი“, თბილისი, 2003, გვ. 83-84.

გერმანიაში, რუსეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმათა კონკრეტული კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში საქმის წარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ კანონთა მიმართ, რომლებიც გამოცემულ იქნა ძირითადი კანონის ძალაში შესვლის (1949 წლის მაისი) შემდეგ. რაც შეეხება ადრე მიღებულ კანონებს და სხვა სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მიღებულია არა პარლამენტის, არამედ სხვა ორგანოების მიერ (მაგალითად, მთავრობის დადგენილებები), ისინი შეიძლება შემოწმებული იქნეს უშუალოდ სასამართლოების მიერ და არაკონსტიტუციურობის შემთხვევაში არ იქნეს გამოყენებული მათ მიერ კონკრეტულ საქმეთა განხილვისას.[1] ასევეა რუსეთშიც, სადაც „რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ფედერალური კონსტიტუციური კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოს მიმართვის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონი, რომელიც გამოიყენა ან უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას (101-ე მუხლი). რაც შეეხება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათი კონსტიტუციურობის საკითხი თავად სასამართლოებმა უნდა გადაწყვიტონ და, შესაბამისად, საერთო სასამართლოებს არა აქვთ უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მათი კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.[2] როგორც ვხედავთ, ამ ქვეყნებში საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებზე კონსტიტუციური იურისდიქციის გადანაწილების შემდეგ, „კონსტიტუციის უზენაესი ინტერპრეტატორის“ ერთი ცენტრი არ მოქმედებს, რამაც შესაძლებელია ის პრობლემები წარმოშვას, რომელზედაც ჩერმან შვარცი მიუთითებს.

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის იმ სისტემაში, სადაც შექმნილია სპეციალური სასამართლო ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოს (ან კვაზისასამართლო ორგანოს) სახით და რომელსაც საქართველო მიეკუთვნება, ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა მას უნდა დაექვემდებაროს. საერთო სასამართლოების კომპეტენციაში კი დარჩება კანონქვემდებარე

---

1 იხ. გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი. მით. ნაშრომი, გვ. 33-34; Lechner / Zuck. Bundesverfassungsgerichtsgesetz. Kommentar. 8 neu bearbeitete und erweiterte Auflage, C.H.Beck, München, 2018, S. 586-587.

2 იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. «Юристъ», Москва, 2005, с. 431; Конституционное правосудие в странах СНГ и Балтии. Сборник нормативных актов. Отв. ред. М.А. Митюков, «Зерцало», Москва, 1998, с. 114-115.

აქტების კანონებთან შესაბამისობის შემოწმება და, შესაბამისად, კანონიერების უზრუნველყოფა. სწორედ ამ გზით იქნება მიღწეული ქვეყანაში „კონსტიტუციის უზენაესი ინტერპრეტატორის“ ერთი ცენტრის არსებობა, კონსტიტუციური კანონიერების ერთიანობა და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის კომპეტენციათა გადანაწილების ზღვარი საკითხის კონსტიტუციურობასა და კანონიერებაზე უნდა გადიოდეს. თუ სამართლის ნორმის კონსტიტუციურობაა დასადგენი, მაშინ ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. თუ საკითხი ნორმის კანონიერებას ეხება, მაშინ იგი საერთო სასამართლოს განსჯადია.

ჩვენი აზრით, საერთო სასამართლოებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ისარგებლონ კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედებით და გამოიყენონ მისი ნორმები კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად, თუ არ არსებობს სადავო საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმა, ხოლო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა ისეა ფორმულირებული, რომ მისი შეფარდება პრაქტიკულად შესაძლებელია.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით. კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას (42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს სასამართლოს ინსტანციურობას.[1] ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა სასამართლომ (მოსამართლემ), თუ იგი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემით არის გათვალისწინებული (მე-2 მუხლი). ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი იქნება სამხედრო სასამართ-

1 ზოგიერთ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს საერთო სასამართლოების მხოლოდ უმაღლეს ინსტანციას. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციით (150-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ასეთი უფლებით აღჭურვილი არის მხოლოდ უზენაესი საკასაციო სასამართლო და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი IV, რედ. ვასილ გონაშვილი, „თბილისელები“, თბილისი, 2007, გვ. 226).

ლოებიც, თუ ისინი შეიქმნებიან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

როგორც ზემოთ ითქვა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეს ან სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას მხოლოდ მაშინ შეუძლიათ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ ისინი იხილავენ კონკრეტულ საქმეს, რომლის გადაწყვეტად უნდა იქნეს გამოყენებული სამართლის სადავო ნორმა. მაშასადამე, სასამართლო (მოსამართლე) მხოლოდ მაშინ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტად, თუ მას დაწყებული აქვს კონკრეტული საქმის განხილვა და არა აქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ამ საქმეზე. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1999 წლის 22 აპრილის განჩინებით არსებითად განსახილველად არ მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება სწორედ კანონის ამ მოთხოვნის უგულებელყოფის გამო, კერძოდ, კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი იქნა ისე, რომ შესაბამის სასამართლოში არ იყო დაწყებული საქმის განხილვა.[1]

სამწუხაროდ, ნორმათა კონკრეტული კონტროლის ამ არსებითი პირობის უგულებელყოფას ვხვდებით არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაში, არამედ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტშიც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. ამ კანონის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ჯერ ერთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, ამავე კანონის თანახმად, არ იხილავს კონკრეტულ საქმეებს. იგი არ არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო. ამ სტატუსით სარგებლობენ უზენაესი სასამართლოს პალატები (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატებისა). კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ უზენაესი სასამართლოს სტრუქტურული ერთეულებიდან მხოლოდ სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინის-

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე № 1/3/99. თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

ტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და დიდი პალატა არიან საკასაციო ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც საქართველოს საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავენ საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე კანონით მათ განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს (მე-16 და მე-17 მუხლები). მეორე, სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოების მიერ განხილული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დამთავრებული გარკვეული კატეგორიის საქმეების ანალიზსა და ამის საფუძველზე წინადადებების შემუშავებას სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფისათვის, ვერანაირად ვერ ჩაითვლება კონკრეტული საქმის განხილვად და, შესაბამისად, ვერ გამოდგება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლად. ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით შეიძლება მიმართოს სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იხილავს კონკრეტულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მესამე, კანონის ზემოაღნიშნულ დებულებაში არასწორად არის გაგებული საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) შინაარსი და მნიშვნელობა. მართალია, კონსტიტუციის ეს ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტის აღსანიშნავად იყენებს ზოგად ცნებას – „საერთო სასამართლოს“, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა სტრუქტურული ერთეული აღჭურვილია ამ უფლებით. ნორმათა კონკრეტული კონტროლის შინაარსის გათვალისწინებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი აკონკრეტებს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში მიმართვის სუბიექტებს, მიმართვის პირობებსა და წესს, მოთხოვნის მოცულობასა და შესაძლო იურიდიულ შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ვერ ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტად. ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლიათ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატებმა (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატებისა). ამის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია,

სათანადო ცვლილებები შევიდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

როდესაც საერთო სასამართლოში საქმეს იხილავს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, ასეთ შემთხვევაში ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მიერ. საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის ცალკეულ წევრებს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეს თავისი სახელით, ერთპიროვნულად მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სასამართლო კოლეგიის განხილვაში არსებული საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო ასეთი წარდგინება, რადგანაც იგი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა. საკონსტიტუციო სასამართლომ ამის თაობაზე თავის განჩინებაში განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო, რომელსაც ექვემდებარება საქმის განხილვა, „არის თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი და სწორედ მას _ ამ კოლეგიურ ორგანოს და არა ერთპიროვნულად მოსამართლეს უნდა შეეტანა კონსტიტუციური წარდგინება. ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინება არ არის შემოტანილი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ“.[1]

საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში. მართალია, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმე კოლეგიურად იხილება, მაგრამ ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით შეიძლება მიმართოს მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე-მოსამართლემ ერთპიროვნულად,

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე № 1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება; მსგავს შემთხვევაზე იხ. აგრეთვე: Конституционный судебный процесс. Отв. ред. М.С. Саликов, «НОРМА», Москва, 2003, с. 291.

რადგანაც ასეთი მიმართვის საგანია სამართლის საკითხი და არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნორმათა კონკრეტული კონტროლის დროს სასამართლოს მიერ სადავოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნებისმიერი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელ ურთიერთობებს აწესრიგებს იგი. არ არის აუცილებელი, რომ ნორმატიული აქტი უსათუოდ ადამიანის უფლებებს ეხებოდეს, მთავარია, მისი გამოყენება სასამართლოს მიერ აუცილებელი იყოს საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუ რომელიმე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის გარეშეც შესაძლებელია საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, ე.ი. მისი კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევა ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგზე, მაშინ სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინებით არ უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგანაც იგი არსებითად განსახილველად არ მიიღებს ასეთ წარდგინებას სწორედ ზემოაღნიშნული საფუძვლის გამო. მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. კახიანი, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია ნორმატიულ აქტს არსებითი მნიშვნელობა hქონდეს საქმის გადაწყვეტისათვის, ანუ უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ საეჭვო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში სასამართლო სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა საქმეზე.[2]

იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული საკითხზე, საერთო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეჩერება და ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, სასამართლოს უფლებაა თუ ვალდებულება. გერმანიის მაგალითზე გ. ხუბუა და ი. ტრაუტი მიიჩნევენ, რომ „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნებისმიერი სასამართლო ორგანო უფლებამოსილი და ვალდებულია შეამოწმოს სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.“[3] ბ. კოჭლამაზაშვილის აზრით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი) შინაარსიდან მკაფიოდ არ ჩანს, სასამართლოს უფლება აქვს თუ ვალდებულია

1 იხ. Н.В. Витрук. მით. ნაშრომი, გვ. 431.

2 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 213.

3 გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი, მით. ნაშრომი, გვ. 32.

შეაჩეროს საქმის განხილვა. მას მიაჩნია, რომ კანონის ფრაზაში _ „იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს“ _ უნდა ვიგულისხმოთ შეჩერების უფლება, რადგანაც ვალდებულების წარმოშობის მომენტის შემოწმება ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია და შეჩერების ვალდებულებად მიჩნევა სრულ აბსურდამდე მიგვიყვანს. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონზე (42-ე მუხლის პირველი პუნქტი) დაყრდნობით, ავტორი მას განიხილავს საერთო სასამართლოს უფლებად და არა ვალდებულებად.[1]

ზოგიერთი ავტორი, მართალია, აღიარებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა საერთო სასამართლოს უფლებაა, მაგრამ თუ ამას მოითხოვს სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარე, მაშინ საერთო სასამართლო ვალდებული უნდა იყოს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[2]

გ.ხ. ნურიევის აზრით, ევროპის ქვეყნებში მოქმედებს წესი, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოები ვალდებული კი არ არიან, არამედ თავისი მიხედულობით შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით, რასაც მოწმობს ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციურ და ორგანულ კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინოლოგიაც. ესპანეთის ძირითად კანონში, მაგალითად, ნათქვამია, რომ საერთო სასამართლოს „შეუძლია დააყენოს ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე...“ (163-ე მუხლი). საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით კი, საერთო სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით საკონსტიტუციო საბჭოს მიმართავს, თუ საკითხი „სერიოზული ხასიათისაა“. საკითხის „სერიოზულობას“, რა თქმა უნდა, თავად სასამართლო განსაზღვრავს.[3]

ამ საკითხზე სწორი პასუხის გასაცემად, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, სახელდობრ, საერთო სასამართლო ვალდებული რომ იყოს, შეამოწმოს მის მიერ განსახილველ ყველა საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის კონსტიტუციურობა, მაშინ მან ამ ვალდებულების შესრულების

1 იხ. ბადრი კოჭლამაზაშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 107-108.

2 იხ. ვახტანგ ხმალაძე. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2000 წ., №4, გვ. 213.

3 იხ. Г.Х. Нуриев. მით. ნაშრომი, გვ. 71.

შესახებ სათანადოდ უნდა აღნიშნოს საქმის მასალებში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაფარდებელი ნორმების კონსტიტუციურობა, მისი აზრით, ეჭვს არ იწვევს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება იმის დადაგენა, შეასრულა თუ არა სასამართლომ მასზე დაკისრებული ვალდებულება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, საყოველთაოდ, სასამართლოსადმი მიმართვა სუბიექტის უფლებაა და არა ვალდებულება, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა, ეს მისი უფლებაა და მას იგი გამოიყენებს თავისი მიხედულობით, კერძოდ, თუ თავად დარწმუნდება კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის არაკონსტიტუციურობაში. მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიყენოს ეს უფლება, იგი ვალდებულია შეაჩეროს საქმის განხილვა და ისე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაარღვევს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნას (31[1] მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და საკონსტიტუციო სასამართლოც მის კონსტიტუციურ წარდგინებას არ მიიღებს არსებითად განსახილველად (31[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტი ევროპის ქვეყნებში საერთო სასამართლოა, თუმცა, სასამართლო პროცესის მხარეს გააჩნია განსაზღვრული უფლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სასამართლოს მიმართვის ინიციირების თვალსაზრისით. ამ მხრივ ორ განსხვავებულ წესთან გვაქვს საქმე. პირველის მიხედვით (მაგალითად, საფრანგეთი), საკონსტიტუციო სასამართლოსადმი (საბჭოსადმი) მიმართვის ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს სასამართლო პროცესის მხარეებისაგან და არა საერთო სასამართლოსაგან, რომელიც იხილავს კონკრეტულ საქმეს. საერთო იურისდიქციის სასამართლოს არა აქვს უფლება, სასამართლო პროცესის მხარის ინიციატივის გარეშე, ეხ ოფფიციო, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (საბჭოს), მაგრამ, ამასთანავე, მას აქვს უფლება არ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (საბჭოს), მიუხედავად სასამართლო პროცესის მხარის ინიციატივისა. მეორე წესის თანახმად (მაგალითად, იტალია), საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველი საერთო იურისდიქციის

სასამართლოსაგან, რაც, ამასთანავე, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სასამართლო პროცესის მხარემ შესთავაზოს სასამართლოს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნით.[1]

ნორმათა კონკრეტული კონტროლის ქართული მოდელი ზემოაღნიშნული მეორე წესის შესატყვისია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიციიდან ნათლად ჩანს, რომ საერთო სასამართლო თავად უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ საქმის გადაწყვეტისათვის გამოსაყენებელი ნორმა შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაკონსტიტუციურად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი საერთო სასამართლოსმიმართვაარარისდამოკიდებულისასამართლოპროცესის მონაწილეთა პოზიციაზე, მათ შეხედულებაზე შესაფარდებელი ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე. თუმცა, მხარეების და სასამართლოს მოსაზრებები ნორმის კონსტიტუციურობის შესახებ შესაძლებელია ერთმანეთს დაემთხვეს, მაგრამ საერთო სასამართლო შესაბამისი მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს არა იმის გამო, რომ ამას მოითხოვს სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარე, არამედ იმიტომ, რომ თავად არის დარწმუნებული შესაფარდებელი ნორმის არაკონსტიტუციურობაში. მან კონსტიტუციურ წარდგინებაში უნდა დაასაბუთოს, მოიყვანოს სათანადო არგუმენტები, მტკიცებულებები, კონსტიტუციის რომელ ნორმებს ეწინააღმდეგება და რატომ ეწინააღმდეგება სამართლის სადავო ნორმა, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას.

ამ პირობების დაუცველობა შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად არ მიღების საფუძველი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მაგალითად, არ მიიღო არსებითად განსახილველად ერთ-ერთი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რომელშიც აღნიშნული იყო: „სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მხარი დავუჭიროთ განსასჯელის შუამდგომლობას სასამართლო წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოში შესასვლელად“.[2] ამასთან დაკავშირებით საკონსტი-

1 იხ. Г.Х. Нуриев. მით. ნაშრომი, გვ. 71-72.

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2002 წლის 10 ივლისის განჩინება, საქმე № 9/189 „ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“.

ტუციო სასამართლომ თავის განჩინებაში განმარტა: „სასამართლოს პლენუმი არ გამორიცხავს საერთო სასამართლოებში კონკრეტული საქმეების განხილვისას მსგავსი შუამდგომლობების არსებობას, თუმცა, ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური წარდგინების აუცილებლობამდე სასამართლო დამოუკიდებლად მიდის და არა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების გზით. იმ კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის განსაზღვრა, რომელიც კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას უნდა იქნეს გამოყენებული, სწორედ სასამართლოს მიერაა შესაფასებელი“.[1] ასევე შეიძლება მოვიყვანოთ საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება იმის გამო, რომ იგი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, კერძოდ, მასში არ იყო მოყვანილი მტკიცებულებები, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი ნორმები საქართველოს კონსტიტუციას. ნაცვლად ამისა, წარდგინებაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო სადავო ნორმის სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებთან კოლიზიაზე, რაც, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო კონტროლის საგანს არ წარმოადგენს.[2]

ახლა, რაც შეეხება ზოგიერთი ავტორის მოსაზრებას, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებული უნდა იყოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ ამას მოითხოვს სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარე. მხარის შუამდგომლობით საერთო სასამართლოს ასეთი შებოჭვის მართებულობა, ჩვენი აზრით, სავსებით საფუძვლიანად არის უარყოფილი იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, მიუთითებენ, რომ ამ წინადადების გაზიარების შემთხვევაში, სასამართლო პროცესის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება ეს უფლება გამოიყენოს საქმის გაჭიანურების მიზნით.[3] ჩვენ ამ არგუმენტს იმასაც დავუმატებდით, რომ ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ინიციატორი და სუბიექტი ფაქტობრივად სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარე ხდება, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება ნორმათა კონკრეტული კონტროლის არსსა და დანიშნულებას. სასამართლო პროცესის მხარეს

1 იქვე.
2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 1 აპრილის განჩინება, საქმე № 2/88/1, „ქ. ჭიათურის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.“
3 იხ. ბადრი კოჭლამაზაშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 109-113.

ისედაც აქვს უფლება, სასამართლო პროცესისაგან დამოუკიდებლად, თავად მიმართოს სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს.

თავისებურებები ახასიათებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ნორმათა კონკრეტული კონტროლის განხორციელების დროს. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია, რომელიც რიგგარეშე განიხილავს ამ საკითხს. განხილვის დაჩქარებული წესი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საერთო სასამართლოში, რომელმაც უნდა გამოიყენოს სადავო ნორმა, საქმის განხილვა შეჩერებულია და მისი განახლება შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების, ანუ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევის შემდეგ. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირჩევა სწრაფი სამართალწარმოებით, მიზანშეწონილი იქნება, საერთო სასამართლოებმა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გამო საქმის განხილვის შეჩერებისას, სავალდებულო წესით იმსჯელონ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, როდესაც განსახილველ საქმეზე ბრალდებულს შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ნორმათა კონკრეტული კონტროლის მოთხოვნის შესახებ საერთო სასამართლოს წარდგინებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, მოიწვიოს წარდგინების ავტორი და მოისმინოს მისი განმარტება, თუმცა მას მხარედ არ აღიარებს (27[3] მუხლის მე-2 პუნქტი). რადგანაც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას მხარეები არ არიან, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არც შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს. ცხადია, წარდგინების ავტორიც და სადავო ნორმის მიმღები ორგანოც საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას ვერ ისარგებლებენ იმ უფლებებით, რომლებსაც, ჩეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა ანიჭებს მხარეებს. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შემდეგ, საერთო სასამართლოს იმის უფლებაც არა აქვს, რომ უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა (29-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

ნორმათა კონკრეტული კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სამართალწარმოების ზემოაღნიშნული თავისებურებები მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის როდია დამახასიათებელი. უაღრესად მრავალფეროვანია ამ მხრივ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაც. მაგალითად, ამ კატეგორიის საქმეებზე იტალიის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც საერთო სასამართლომ, რომელმაც მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ამ სასამართლო პროცესის მხარეებმა, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა. იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, ისინი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მხარეებადაც კი მიიჩნევიან. ამასთან, ყველა მათგანს შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს საკონსტიტუციო სასამართლო პროცესში, მაგრამ ეს სრულიადაც არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სათათბირო ოთახში მიიღოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე.[1] მხარეების ფაკულტატიური მონაწილეობა იმაზე მიუთითებს, რომ ამ საქმეებზე იტალიის საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა ყოველთვის არ არის სავალდებულო.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო ორგანოებს, აგრეთვე იმ სასამართლო პროცესის მონაწილეებს, რომელმაც მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, აძლევს შესაძლებლობას გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. საკონსტიტუციო სასამართლო იწვევს მათ ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და სიტყვას აძლევს დამსწრე პროცესუალურ წარმომადგენლებს. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს ფედერაციისა და მიწების საერთო იურისდიქციის უმაღლესი სასამართლოებისაგან მონაცემები იმის შესახებ, თუ რა სახით და რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ ისინი სადავო საკითხზე ძირითადი კანონის განმარტებისას, გამოიყენებოდა თუ არა და როგორ გამოიყენებოდა სადავო ნორმა მათ პრაქტიკაში, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სამართლის რომელი საკითხი უნდა იქნეს გადაწყვეტილი. საკონსტიტუციო სასამართლო მათ მოსაზრებებს ატყობინებს ყველა პირს, რომლებიც უფლებამოსილი არიან გამოვიდნენ სასამართლოში.[2]

---

1 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах, с. 320-322.

2 იქვე, გვ. 283; გიორგი ხუბუა, იოჰანეს ტრაუტი, მით. ნაშრომი, გვ. 33.

ორიგინალობით გამოირჩევა ასევე საფრანგეთისა და ესპანეთის საკონსტიტუციო სამართალწარმოება ამ საქმეებზე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ, საერთოდ, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დამახასიათებელ თავისებურებას მაინც საკონსტიტუციო სასამართლო პროცესში მხარეების არ არსებობა და შეჯიბრებითობის პრინციპის შეკვეცილი ფორმით გამოყენება წარმოადგენს.[1] ამ თავისებურების დასასაბუთებლად იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ნორმათა კონკრეტული კონტროლის შემთხვევებში საკონსტიტუციო სამართალწარმოება ამ საქმეებზე საჯარო-სამართლებრივ ბუნებას იძენს, რაც, თავის მხრივ, მხარეების თვისებებს უკარგავს პროცესის ძირითად მონაწილეებს და ართმევს მათ იმ პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მხარეებს გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოში.[2] არა გვგონია ეს არგუმენტი ანგარიშგასაწევი იყოს, რადგანაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა შემთხვევებში, მაგალითად, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციური დავების განხილვის დროს, სასამართლო პროცესი აქაც აშკარად საჯარო-სამართლებრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ ნორმათა კონკრეტული კონტროლისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოება ამ საქმეებზე სასარჩელო ფორმითა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრული გამოყენებით მიმდინარეობს. ამიტომ, როდესაც საერთო სასამართლო მიმართავს კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას, ვფიქრობთ, ამ აქტის გამომცემელ ორგანოს, სულ ცოტა, იმის უფლება მაინც უნდა ჰქონდეს, თავისი განმარტებები წარუდგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესები, რომლებიც გამოიყენება ნორმათა კონკრეტული კონტროლის განხორციელებისას.

ნორმათა კონკრეტული კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებშისაქმეთაარსებითადგანხილვისას,საქართველოსსაკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საერთო სასამართლოს მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის ან საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დაუდასტურებლობის შესახებ.

1 იხ. Г.Х. Нуриев. მით. ნაშრომი, გვ. 73-74.
2 იხ. Г.Х. Нуриев. მით. ნაშრომი, გვ. 74.

არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად აღიარებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. ასეთ შემთხვევაში, როგორც საერთო სასამართლო, ისე სხვა სამართალშემფარდებელი ორგანო, რა თქმა უნდა, ამ ნორმატიულ აქტს ვერ გამოიყენებს.

თავი IV. კომპეტენციური დავების გადაწყვეტა

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017წ.) ამოქმედების შემდეგ, შეიცვალა კომპეტენციური დავების გადაწყვეტის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. მანამდე მოქმედ კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება კომპეტენციური დავების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტებს და მიმართვის ფარგლებს, ეს საკითხები მოწესრიგებული იყო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 34-ე მუხლის აზრიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნორმატიული აქტი, რომელიც არღვევს ამა

თუ იმ სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. მაშასადამე, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად არსებობს ორი პირობა:

1) სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია დარღვეულია ნორმატიული აქტით (და არა მხოლოდ მოქმედებით);

2) ნორმატიული აქტი არღვევს სახელმწიფო ორგანოს იმ კომპეტენციის ფარგლებს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით.

სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ დავის გადაწყვეტისას ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ამის თაობაზე გააკეთა განმარტება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს კომპეტენციური დავები სახელმწიფო ორგანოებს შორის, თუ კომპეტენციის დამრღვევი აქტი არ არის ნორმატიული აქტი.[1] მოქმედი კანონმდებლობით ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ამასთანავე, დგება საკითხი, თუ ვინ უნდა გადაწყვიტოს კომპეტენციური დავები სახელმწიფო ორგანოებს შორის, როდესაც სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილება დარღვეულია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს ამ პრობლემას და მაგალითად მოიყვანეს საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არსებითად არ განიხილა საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი განკარგულების (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის) კანონიერების საკითხი იმ მოტივით, რომ, სასამართლოს აზრით, სადავო აქტი წარმოადგენდა არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემულ პოლიტიკურ აქტს, რომლის განხილვა და შეფასება მის კომპეტენციაში არ შედიოდა. გამომდინარე აქედან, გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ამ სფეროში და საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი გახდეს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური კომპეტენციის დამრღვევი

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება №1/1/72-73 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“. კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. 1998-1999, თბილისი, 2002 წ., გვ. 18-19.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებიც.[1]

ჩვენი აზრით, ეს წინადადება გასაზიარებელია შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ობიექტი, როგორც წესი, ნორმატიული აქტებია, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების ფარგლებში (მაგალითად, იმპიჩმენტის ან დეპუტატის მანდატის, ან კიდევ არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების დროს) საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს თანამდებობის პირის ქმედება ან ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ამდენად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება უცხო არ არის საკონსტიტუციო სასამართლოსათვის; მეორე. სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციურ დავებზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შემოფარგვლა კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებით გამომდინარეობს არა უშუალოდ კონსტიტუციიდან, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის ნორმებიდან; მესამე. კომპეტენციური დავების გადაწყვეტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა უდავოდ ხელს შეუწყობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვასა და კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო წინადადების გაზიარება არ მოითხოვს ქვეყნის ძირითად კანონში ცვლილებების განხორციელებას. საკმარისი იქნება სათანადო ცვლილებების შეტანა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში.

კომპეტენციური დავების გადაწყვეტის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საფუძვლად უდევს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, უწინარესყოვლისა, გულისხმობს კომპეტენციათა განაწილებას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა შორის, ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმების არსებობას, აგრეთვე კომპეტენციათა

1 იხ. კახი სამხარაძე. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში. „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“. 2018, № 2, გვ. 75-77.

გამიჯვნას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა სტრუქტურაში არსებულ კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოებს შორის.

სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციათა გამიჯვნას, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ამ ორგანოთა გამგებლობის საგნის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრა. სწორედ გამგებლობის საგნის მიხედვით ხდება ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს აღჭურვა სათანადო კომპეტენციით.

სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებულია როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე.

ჰორიზონტალურ ჭრილში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის შესაბამისად, გამოკვეთილია და ერთმანეთისაგან გამიჯნულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ამ ხელისუფლებებს. ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას – საქართველოს მთავრობა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას – სასამართლოები.

ამის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია და სხვა სამართლებრივი აქტები ადგენენ ზემოაღნიშნულ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას, ანუ უფლებამოსილებათა მოცულობას და მათი განხორციელების ფარგლებს. მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ საერთო სასამართლოების კომპეტენციაა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება, შეიწყალოს მსჯავრდებული და შეუმსუბუქოს მას სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელი. საქართველოს საკანონმდებლო აქტების მიღება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცეს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტები და სხვა.

სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციები გამიჯნულია ასევე ვერტიკალურ ჭრილში. კომპეტენციათა ამ გამიჯვნას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, რომელიც გულისხმობს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებათა შორის უფლებამოსილებების გამიჯვნას. ასეთი გამიჯვნის შედეგად, ცენტრსა და რეგიონებს შორის კომპეტენციები, როგორც წესი, სამ ჯგუფად ნაწილდება: 1) ცენტრის

განსაკუთრებული კომპეტენციები; 2) რეგიონის განსაკუთრებული კომპეტენციები და 3) ერთობლივი კომპეტენციები.

საქართველოში ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. საქართველოს კონსტიტუცია ამ საკითხის გადაჭრას უკავშირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენას, რომლის შემდეგ მიღებული იქნება კონსტიტუციური კანონი უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი). ძირითად კანონში სახელდებით აღნიშნულია მხოლოდ ორი ტერიტორიული ერთეული _ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი). რაც შეეხება სხვა ტერიტორიულ ერთეულებს, მათ შექმნის შესაძლებლობაზე მითითებულია ძირითადი კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, შეიქმნება ორპალატიანი პარლამენტი ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინებით. ამჟამად განსაზღვრულია მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენცია (საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიღების ვალდებულება კი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, კვლავაც შეუსრულებელი რჩება. არც ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხებია საკანონმდებლო აქტებით დადგენილი

მიუხედავად ამისა, ჩვენ საკითხთან დაკავშირებით ერთი რამ მაინც ცხადია, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება მოექცეს რომელიმე ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციაში. ამიტომ, თუ, ვთქვათ, ავტონომიური რესპუბლიკა

თავისი კონსტიტუციით ან სხვა საკანონმდებლო აქტით მიითვისებს ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებას, მაშინ იგი დაარღვევს საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს კომპეტენციას და კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ერთი საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, სახელდობრ, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ“[1]. ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2004 წლის 7 იანვრის განკარგულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “დ“ ქვეპუნქტთან, 46-ე, 48-ე მუხლებთან და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის “თ“ ქვეპუნქტთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, თავისი 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონსტიტუციური სარჩელები და არაკონსტიტუციურად ცნო ზემოაღნიშნული სადავო ნორმატიული აქტები იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში “საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება“ მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება (მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “დ“ ქვეპუნქტი). ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის მიერ “საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ორგანული კანონის მიღება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღება, პლენუმის აზრით, ნიშნავს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის მითვისებას და წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას. ამასთანავე,

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2004, თბ., 2005წ., გვ. 44.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სადავო აქტები არა მხოლოდ კომპეტენციის დარღვევით არის მიღებული, არამედ, იმავდროულად, არღვევს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (2017 წ.) კომპეტენციური დავების გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მიენიჭათ ახალ სუბიექტებს, სახელდობრ: გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცის (2017 წ.) ძალაში შესვლამდე მოქმედი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ამ სუბიექტების უფლებამოსილებების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს მეოხებით შესაძლებელი იყო, თუ საქართველოს პრეზიდენტი ან პარლამენტი გადაწყვეტდა მათი, როგორც სახელმწიფო ორგანოების, კომპეტენციის დარღვევის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას. ამჟამად მათ ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ ყველა სხვა სუბიექტს, დამოუკიდებლად, თავად შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი კომპეტენციის დარღვევის თაობაზე. თუმცა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს კვლავაც შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია მათი კომპეტენცია, არამედ მაშინაც, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია „სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები“ (34-ე მუხლის პირველი პუნქტი). მაგრამ ისმის კითხვა: რომელია „სახელმწიფო ორგანო“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რადგანაც მასზე პირდაპირაა დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის სფეროს განსაზღვრა და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების დადგენა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ორგანოს საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს. ამ ორგანოთა ცნების ძირითადი ნიშნები მხოლოდ კანონმდებლობის აზრიდან და სამართლის პრინციპებიდან შეიძლება გამოვიტანოთ.

სახელმწიფო ორგანო, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულება ან თანამდებობის პირია.

ამდენად, ისინი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებია, აღჭურვილი არიან სახელისუფლებო უფლებამოსილებებით, მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით და ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მხოლოდ ამ ნიშნების ერთობლიობა გამოარჩევს სახელმწიფო ორგანოებს არასახელმწიფო ორგანოებისაგან, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, აგრეთვე მთელი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან. მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია. შესაძლებელია მან დაარღვიოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, ვთქვათ, მთავრობის კომპეტენცია, მაგრამ მათ შორის დავა კომპეტენციის თაობაზე არ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავას კომპეტენციის შესახებ მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს შორის, ეკლესია კი სახელმწიფო ორგანო არ არის. ასევეა პოლიტიკური პარტია და სხვა. ისინი სახელმწიფო ორგანოები არ არიან იმიტომ, რომ არ არიან აღჭურვილი სახელმწიფო სახელისუფლებო უფლებამოსილებებით და არ გამოდიან სახელმწიფოს სახელით. გამომდინარე აქედან, კომპეტენციური დავების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების დადგენის მიზნისათვის „სახელმწიფო ორგანოში“, უნდა ვიგულისხმოთ როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ორგანოები, ისე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანო, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს და, ამასთანავე, რომლის უფლებამოსილების ფარგლები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით.

ასეთი სახელმწიფო ორგანო, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს თავად საკონსტიტუციო სასამართლო. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს თვითინიციატივით მისი კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლება, მაგრამ ეს შესაძლებელია მისი ზოგიერთი უფლებამოსილების განხორციელების, მათ შორის, კომპეტენციური დავების გადაწყვეტის დროს. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის (კომპეტენციური დავების გადაწყვეტა) საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტს ან

პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს შეუძლია სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც, მათი აზრით, დაირღვა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელიც, მართალია, საქართველოს პარლამენტის სარჩელის საფუძველზე ნორმათა აბსტრაქტული კონტროლითაა აღძრული, მაგრამ ფაქტობრივად იგი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის საკითხებს.[1] თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოქმედ კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში საკონსტიტუციო სასამართლოს როლის, ფუნქციის და დანიშნულების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ორგანო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირების შემუშავებას. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ხელისუფლების ქმედებებმა არ გამოიწვიოს მისი მაკონტროლებელი ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შეფერხება და პარალიზება, რაც არაეფექტურს გახდის მთლიანად კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების პროცესს და დაარღვევს შეკავებისა და გაწონასწორების კონსტიტუციურ სტრუქტურას.“[2] ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მთელი რიგი ნორმები, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესი. ამის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ნათქვამია: „მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას არაკონსტიტუციურად უზღუდავს უფლებას, თავისუფლად აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამგვარი რეგულაცია წარმოადგენს ხელისუფლების სხვა შტოების გაუმართლებელ, არა-

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის № 3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2 იქვე, 11, 15.

ლეგიტიმურ ჩარევას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას და არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტან მიმართებით.“[1] ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის დაცვას ისახავდა მიზნად. თუმცა, ასეთ შემთხვევებში შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იქნება მიუკერძოებული მის შესახებ მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, მაგრამ თუ ამ შესაძლებლობასაც გამოვრიცხავთ, მაშინ კონსტიტუციის მცველი – საკონსტიტუციო სასამართლო სრულიად დაუცველი დარჩება და მთლიანად გახდება დამოკიდებული საკანონმდებლო ხელისუფლების კეთილ ნებაზე. საკანონმდებლო ხელისუფლება კი, ტრადიციულად, ვერ ეგუება მის ბუნებრივ ოპონენტს, რომელიც ე. წ. ნეგატიური კანონმდებლის როლით იჭრება პარლამენტის გამგებლობის სფეროში და, როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ყოველთვის კეთილგანწყობილი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ.[2] ამიტომ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცემა შესაძლებლობა, მან თავადვე უნდა დაიცვას თავი და სათანადო სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში, არაკონსტიტუციურად ცნოს ხელისუფლების სხვა შტოების ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ საფუძვლებს ზოგადად, ისე უშუალოდ მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებსა და დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევებში კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტზე აპელირება, ჩვენი აზრით, მიუღებელია.[3]

---

1 იქვე, 11, 52.

2 ამის თვალსაჩინო მაგალითია პოლონეთში 2015-2016 წლებში შექმნილი კონსტიტუციური კრიზისი, რომელიც გამოიწვია საკონსტიტუციო ტრიბუნალის (საკონსტიტუციო სასამართლოს პოლონური ეკვივალენტის) შესახებ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა და პოლიტიკური პარტიების დაუფარავმა ბრძოლამ სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად (იხ. Большаков. Конституционный кризис в Польше // «Сигма>, 28 апреля 2016, Большаков. Конституционный кризис в Польше // «Сигма>, 28 апреля 2016, http: //sig.?ma@bolshakov/konstitutsionalyi-krizis-v-polsie-kratkii-ocherk; www.Tribunal.gov.pl- შესვლის თარიღი 15.06.2016).

3 ამ საკითხზე იხ. ქეთევან ერემაძე. თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში. საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში. „მერიდიანი“, თბილისი, 2018, გვ. 432-444.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავებთან დაკავშირებულ საქმეებზე მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა (34-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მხარეების შემადგენლობასთან დაკავშირებით კანონი დამატებით წესებსაც ითვალისწინებს. კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის მიღებისთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია სარჩელის ასლი გადაუგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს. კანონის ამ ნორმის თანახმად, „თუ ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში რომელიმე მათგანი განაცხადებს, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს მისი უფლებამოსილების ფარგლების დარღვევას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია განმცხადებელი მხარედ ჩააბას საქმეში“ (34-ე მუხლის მე-3 პუნქტი). რადგანაც კანონის ამ ნორმაში მითითებული სახელმწიფო ორგანოების ინტერესებში არ შედის სარჩელის დაკმაყოფილება, ამიტომ, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლომ ისინი მოპასუხეებად უნდა ჩააბას განსახილველ საქმეში.

თავისებურებებით გამოირჩევა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგები ამ კატეგორიის საქმეებზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის საკითხებზე „კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან“ (23-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქმე ისაა, რომ ქვეყნის ძირითადი კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლებამოსილება არაკონსტიტუციურად ცნოს სადავო ნორმატიული აქტი მისი ამოქმედების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციაში იმპერატიულად არის ნათქვამი, რომ „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას“ (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი). ამ იმპერატიული ნორმიდან გამონაკლისების დაშვება მიმდინარე

საკანონდმებლო აქტებში კონსტიტუციის მოთხოვნათა უგულებელყოფაა და იგი უსათუოდ უნდა გასწორდეს.

თავი V. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია _ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა ხორციელდება. ეს ფუნქცია უშუალოდ მომდინარეობს სახელმწიფოს კონსტიტუციური მოვალეობისაგან, რომლის თანახმად "სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით" (საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებაში გადმოცემულია ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან სახელმწიფოს მიმართების, აგრეთვე სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპები, სახელდობრ:

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მიჩნეულია წარუვალ, განუსხვისებელ ადამიანურ ღირებულებებად, რომლებიც ადამიანებს ეკუთვნით დაბადებით, ბუნებით და ამდენად სახელმწიფოს არ შეუძლია წაართვას ადამიანს ეს უფლებები, უარი თქვას მათ პატივისცემასა და დაცვაზე;

ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით აღჭურვილია ყველა ადამიანი, მიუხედავად მათი ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი კუთვნილებისა თუ საერთოდ მოქალაქეობის არქონისა. ამდენად, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საყოველთაო, უნივერსალური ბუნება აქვთ;

როგორც უშუალოდ, პირდაპირ მოქმედი სამართალი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ საჭიროებენ დაკონკრეტებას ნაციონალურ საკანონმდებლო აქტებში. ისინი ყველა შემთხვევაში უნდა იქნენ რეალიზებული, უზრუნველყოფილი და დაცული სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო და ხალხიც კი, რომელიც სუვერენულ უფლებათა

მატარებელია და ხელისუფლების წყაროა, იმთავითვე შეზღუდულნი არიან ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს მათი დაცვის აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს. მათ შორის ყველაზე უფრო ქმედითია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით "ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს."

სასამართლო დაცვის უფლება თავად არის ადამიანის ერთ-ერთი დამოუკიდებელი უფლება. ამასთანავე, იგი არის ადამიანის ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების აუცილებელი გარანტია, დაცვის საშუალება. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვა, უწინარეს ყოვლისა, ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი ამ ფუნქციას ახორციელებს იმ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებით, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. საქართველოს ძირითადი კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში შემდეგნაირად განსაზღვრავს: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით „ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით" (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი).

აქედან გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ორგანული კავშირი, უშუალო მიმართება ამ ნორმატიულ აქტსა და საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შორის.

ამ მიმართების, ორგანული კავშირის არსებობა, თავის მხრივ, კარგად ჩანს ნორმატიული აქტის რეგულირების საგანში. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ნორმატიული აქტის (ან მისი ნაწილის) რეგულირების საგანი საქართველოს კონსტიტუციის მეორე

თავით გარანტირებული ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება და თავისუფლება უნდა იყოს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი[1], რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების _ შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს, ანდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით აღიარებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებენ და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ლეგალურ განმარტებაში ნათლად იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ნორმატიული აქტი მიღებული უნდა იყოს არა საერთოდ ადამიანის უფლებებთან, არამედ "ადამიანის ძირითად უფლებებთან" მიმართებით და იმავდროულად ეს "ძირითადი უფლებები" საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით უნდა იყოს აღიარებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ასეთი განმარტება, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია, რადგანაც ადამიანის უფლება, რომლის მიმართაც უნდა შემოწმდეს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, თავად კონსტიტუციით უნდა იყოს აღიარებული და გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ამ ასპექტზე მსჯელობა შეიძლებოდა ამით ამოწურულიყო, მაგრამ ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება რამდენიმე საკითხი, რომელზეც პასუხის გაცემა აუცილებელია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების სწორი გააზრებისათვის. უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია ადამიანის უფლებებიდან რომელი განეკუთვნება "ძირითადი უფლებების" კატეგორიას. რადგანაც კანონმდებელი იყენებს ტერმინს "ძირითადი", ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ არსებობს "არაძირითადი" უფლებებიც, ამასთანავე, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და ნაციონალურ კანონმდებლობაში, მათ შორის კონსტიტუციაშიც, ძირითადი უფლებები ხშირად მოიხსენიება "თავისუფლებებთან" ერთად. ამიტომ დასადგენია, რა განსხვავებაა "უფლებებსა" და "თავისუფლებებს" შორის

1 პარლამენტის უწყებანი, № 33, 31.07.1997 წ. კონსოლიდირებული ვერსია _ 05/09/2018.

და რაც მთავარია, უნდა განიმარტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დებულება, რომელიც მიანიშნებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გადმოცემული ადამიანის უფლებების ამომწურავი ჩამონათვალი, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს პრობლემებს სასამართლო პრაქტიკაში სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებებთან მიმართების საკითხის გადასაწყვეტად.

რაც შეეხება "უფლებებისა" და "თავისუფლებების" ურთიერთმიმართების საკითხს, თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ მათი იურიდიული ბუნებისა და გარანტიების სისტემის თვალსაზრისით, ისინი, საბოლოო ანგარიშში, იდენტური ცნებებია. ორივე მათგანი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ადამიანის სოციალური შესაძლებლობების ფარგლებს, რომლებიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.[1] თუმცა, ზოგიერთი ავტორი ცდილობს მათ შორის სხვაობის გამოკვეთასა და გარკვეული ნიშნის მიხედვით უფლებებისა და თავისუფლებების დაჯგუფებას. მათი აზრით, ძირითადი უფლებების უმეტესი ნაწილი ე.წ. თავისუფლებების უფლებებია. ისინი ადამიანებისათვის უზრუნველყოფენ საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო ან საერთოდ ვერ ერევა ან ერევა სპეციალური დასაბუთებით _ მხოლოდ კანონის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და შესაბამისი წესით.[2]

ჩვენი აზრით, ეს განმარტება არ არის საკმარისი თავისუფლებებსა და უფლებებს შორის საზღვრის გასავლებად, რადგანაც ზემოაღნიშნული განმარტება ასეთივე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფლებების მიმართაც.

რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებებთან შედარებით თავისუფლებებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ. ტერმინი "თავისუფლება" მიუთითებს ადამიანის ინდივიდუალური არჩევანის ფართო შესაძლებლობებზე ისე, რომ არ არის გამოკვეთილი ამ არჩევანის საბოლოო შედეგი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თავისუფლებების კონსტიტუციისეული დეფინიციები: "ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება" (მე-16 მუხლის პირველი პუნქტი), ანდა "შემოქმედების თავისუფლება

1 Права человека. Отв. ред. Е. А. Лукашева, Изд. "Норма" , М., 2002 г., с. 133.

2 კონსტანტინე კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. იურიდიული სახელმძღვანელო. თბილისი, 2003 წ., გვ. 41-42.

უზრუნველყოფილია” (მე-20 მუხლის პირველი პუნქტი) და სხვ. ზამოაღნიშნულისაგან განსხვავებით ტერმინი “უფლება” განსაზღვრავს ადამიანის კონკრეტულ ქცევას, მაგალითად, “საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება” (24-ე მუხლის პირველი პუნქტი), ანდა “ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება (27-ე მუხლის პირველი პუნქტი) და სხვ. ჩვენი აზრით, მსგავსი თავისებურებები არაარსებითია და ისინი ვერ გამოდგებიან უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებების დასასაბუთებლად. მათ შეიძლება მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ და ვერანაირად ვერ გამოიწვევენ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების განხორციელების სპეციფიკურობას იმის მიხედვით, სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ძირითად უფლებებთან თუ თავისუფლებებთან მიმართებით ხდება.

ახლა რაც შეეხება “ძირითადი უფლებებისა” და საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასთან დაკავშირებულ საკითხს. როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. მაგრამ ისმის კითხვა – რომელია ადამიანის ძირითადი უფლებები და არის თუ არა კონსტიტუციის მეორე თავში ადამიანის ყველა ძირითადი უფლება აღიარებული?

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში _ “ადამიანის ძირითადი უფლებები” გადმოცემულია ადამიანის სამოქალაქო (პირადი), პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები, აგრეთვე სპეციალური უფლებები (გარანტიები), რომლითაც ხორციელდება ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

კონსტიტუციის მეორე თავის სათაურის გათვალისწინებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ თავში გადმოცემული უფლებები არის სწორედ ადამიანის ძირითადი უფლებები. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ კიდეც, რომ “ძირითადი მხოლოდ ის უფლებებია, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული“. ამდენად, საქართველოში არ არსებობს, მაგალითად, შრომის ძირითადი უფლება, რადგან სათანადო ფორმულირება კონსტიტუციაში არ არის (კონსტიტუციის

26-ე მუხლის პირველ პუნქტში მხოლოდ აღნიშნულია, რომ "შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია").[1] ამავე დროს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებაში პირდაპირ და არაორაზროვნად არის მითითებული, რომ "კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან."

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, კონსტიტუციის ეს დებულება მოცემული იყო ძირითადი კანონის მეორე თავში (39 მუხლი), რომელიც ადამიანის უფლებებს ეძღვნებოდა. იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციის ამ ნორმის დახასიათებისას მიუთითებდნენ, რომ „მის გამოყენებას თანაბრად უფრთხიან როგორც მოსარჩელეები, ისე საკონსტიტუციო სასამართლო."[2] მიუხედავად ამისა, იგი არაერთხელ გამოუყენებია საკონსტიტუციო სასამართლოს იმ უფლებების დასაცავად, რაც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული.[3]

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის დროს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში 39-ე მუხლის დებულება უცვლელად იქნა გადატანილი ძირითადი კანონის „ზოგადი დებულებების" თავში (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება). ამ საკანონმდებლო ნოვაციამ კრიტიკა გამოიწვია ჯერ კიდევ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის პირველი და მეორე მოსმენით მიღების შემდეგ. კერძოდ, მეცნიერთა აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლით განსაზღვრული ნორმის შინაარსის ადგილის ცვლილება, გადატანა კონსტიტუციის ასამოქმედებელი რედაქციის მე-4 მუხლის მე-2

1 კონსტანტინე კუბლაშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 40.

2 იხ. დიმიტრი გეგენავა, პაატა ჯავახიშვილი. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობელისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე", 2017 წლის სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 142.

3 იხ. ბესარიონ ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2017, გვ. 155.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის 39-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკის შესახებ იხ. თეიმურაზ ტუღუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. თბილისი, 2013, გვ. 534-552; კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი მუმლაძე, მარიამ გაბუნია, თამთა მელიქიძე, თათია სიმსივე. ცოცხალი კონსტიტუცია. კონსტიტუციურ ნორმათა განმარტებანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 303-304.

პუნქტში, არსებით გავლენას იქონიებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებაზე საქართველოში, შეამცირებს მისი დაცვის სტანდარტს, შეზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ენთუზიაზმსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ფარგლებს ჩაკეტავს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში.[1] ამასთანავე, გამოითქვა წინადადება, რომ კონსტიტუციური ცვლილებების კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვისას კიდევ იყო შესაძლებელი, ზემოაღნიშნული ნორმა კვლავ დაებრუნებინათ ძირითადი კანონის მეორე თავში.[2] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში კონსტიტუციური კანონის პროექტზე მუშაობისას, ჩვენ არ ვიყავით 39-ე მუხლის კონსტიტუციის მეორე თავიდან გადატანის მომხრე, რადგანაც მიგვაჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში 39-ე მუხლის გამოყენება ისედაც პრობლემური იყო, ამიტომ მისი გადატანა კონსტიტუციის ახალი რედაქციის სხვა თავში კიდევ უფრო გააძნელებდა ამ ნორმის პრაქტიკულ გამოყენებას ადამიანის ძირითადი უფლებების დასაცავად. მაგრამ კანონმდებლის პოზიცია ურყევი აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნულ ცვლილებამდე დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოსაგან მოითხოვდა სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას კონსტიტუციის მეორე თავის ერთ-ერთ ნორმასთან, 39-ე მუხლთან მიმართებით. ამით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსარჩელე სწორად მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ამ სასამართლოსათვის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. საკონსტიტუციო ცვლილებების (2017 წ.) შემდეგ, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მოსარჩელე უშუალოდ ვეღარ მოახერხებს კონსტიტუციური სარჩელი შეიტანოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ერთადერთი საშუალება ადამიანის უფლების დასაცავად, ამ შემთხვევაში, არა თავად მოსარჩელეზე, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს კეთილ ნებაზე იქნება მინდობილი.[3]

ჩვენი აზრით, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების ადგილი საგნობრივად და ფუნქციონალურად, აგრეთვე მისი

1 იხ. დ. გეგენავა, პ. ჯავახიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 148.
2 იქვე.
3 იხ. დ. გეგენავა, პ. ჯავახიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 147.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ძირითადი კანონის მეორე თავში უფრო მოიაზრება, ვიდრე კონსტიტუციის სხვა ნაწილში. მიუხედავად ამისა, ამ ნორმის განთავსებამ კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) „ზოგადი დებულებების“ თავში არა გვგონია ისეთი შედეგები გამოიღოს, როგორც ამის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ.

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი დებულებები, რომელთა ნაწილი გახდა კონსტიტუციის ყოფილი 39-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, თანაბრად ვრცელდება საკონსტიტუციო-სამართლებრივი ურთიერთობების ყველა მონაწილეზე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე და, მათ შორის, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოზე, ისე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს კონსტიტუციის ამ დებულებით, ხოლო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სრული უფლება აქვთ გამოიყენონ ის თავიანთი უფლებების დასაცავად, მაგრამ არა ისე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსაგან მოითხოვონ სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით, არამედ მის იმ დარღვეულ უფლებასთან მიმართებით, რომელიც, მართალია, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციის მეორე თავში, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება არ არის ადამიანის უფლებათა დამდგენი ნორმა. ამიტომ შეუძლებელია მისი უშუალოდ დარღვევა. შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს არა მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ნორმა, არამედ კონსტიტუციის მეორე თავში ნაგულისხმევი უფლება, რომელზედაც თავად მოსარჩელემ უნდა მიუთითოს. სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა ძირითადი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.[1] ცხადია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს

1 კონსტიტუციაში ნაგულისხმევი უფლების შესახებ იხ. ბესარიონ ზოიძე, მით. ნაშრომი, გვ. 155-157.
ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის № 2/6/205, 232 გადაწყვეტილება საქმეზე _ „ავთანდილ რიჟამაძე და ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, თბილისი, 2004, გვ. 138-158.

პოზიციას. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინოს კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი ამა თუ იმ უფლების ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი კუთვნილება, მან უნდა დაასაბუთოს: რომ ეს უფლება არის ადამიანის განუსხვისებელი უფლება და იგი ეკუთვნის ყველა ადამიანს; რომ არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ ადამიანის ამ უფლების წართმევა, არ აღიარება და რომ იგი თავისთავად გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებული დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოს, ეკონომიკური თავისუფლების, ხელისუფლების დანაწილებისა და სხვა პრინციპებიდან.[1]

გამომდინარე აქედან, თუ ადამიანის რომელიმე უფლება არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში, მაგრამ იგი აღიარებულია, მაგალითად, რომელიმე საერთაშორისო სამართლებრივი აქტით, მაშინ ნორმატიული აქტით მისი დარღვეის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მხოლოდ იმ შემთხვერვაში, თუ იგი დაასაბუთებს, რომ ეს უფლება „თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“. სხვა შემთხვევაში. საქმე გვექნება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის შეუსაბამობასთან საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მოთხოვნებთან, რომლის დადგენაც და შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტაც სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას. ეს საკითხი შეუძლიათ საერთო სასამართლოებმა გადაწყვიტონ, ღღონდ სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის კი არა, არამედ კანონიერების თვალსაზრისით.[2]

ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი იძლეოდეს საშუალებას ადამიანის ნებისმიერ უფლებასთან ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. იგი იძლევა მხოლოდ იმ ხარვეზის შევსების საშუალებას, რაც შესაძლებელია მოხდეს კონსტიტუციაში ადამიანის ძირითადი უფლებების რეგლამენტაციისას.

---

1 იხ. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005, გვ. 334-336.

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის № 2/6/465 განჩინება საქმეზე _ „საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციოსასამართლოსგანსახილველიუფლებამოსილების შინაარსის სწორად განსაზღვრისათვის და შესაბამისად მისი ფარგლების დასადგენად საჭიროა აგრეთვე გაირკვეს, რომელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა შეიძლება შემოწმდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. რადგანაც კანონმდებელი ამ შემთხვევაში არ მიუთითებს ნორმატიული აქტის რომელიმე სახეობაზე, ამიტომ მასში უნდა ვიგულისხმოთ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად მიღებული და მოქმედი ნებისმიერი, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. რა თქმა უნდა, მათგან უნდა გამოვრიცხოთ საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ფორმულირებისას კანონმდებელი გარკვევით მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით და არა თავად კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული ნორმები. იგივე ეხება საქართველოს კონსტიტუციურ კანონსაც, რომლითაც ცვლილება ან დამატება შედის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში. მართალია, ესეც ნორმატიული აქტია და კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებს ეხება, მაგრამ მისი მიღების შემდეგ იგი კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილად და კონსტიტუციურ ნორმებად გადაიქცევა. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის ნორმები კი, რომლებიც ადგენენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, წარმოადგენენ სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების კრიტერიუმებს, საზომს, ამიტომ ისინი ვერ იქნებიან საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

მაშასადამე, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში შეიძლება იყოს ნებისმიერი ნორმატიული სამართლებრივი აქტი საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის გარდა.

მაგრამ მხოლოდ ეს განსაზღვრება არ არის საკმარისი იმ ნორმატიული აქტების დასადგენად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. ნორმატიული აქტი, ამასთანავე, უნდა იყოს მოქმედი. ტერმინი "მოქმედი" ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ნორმატიული აქტის მოქმედებასთან დროში, რომელსაც დეტალურად

არეგულირებს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მეოთხე თავი. კანონის ამ თავში გადმოცემული ნორმები ადგენენ ნორმატიული აქტების ძალაში შესვლისა და იურიდიული ძალის დაკარგვის დროსა და პირობებს. მოქმედად ჩაითვლება ის ნორმატიული აქტი, რომელიც ძალაშია შესული ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი წესით და ამასთანავე არ არსებობს მისი ძალადაკარგულად ცნობის კანონით გათვალისწინებული პირობები. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ასეთი ნორმატიული აქტი. ეს მოთხოვნა, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ნორმატიული აქტი ზოგადია და ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ყველა სახეობის მიმართ, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ნორმათა კონტროლი. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში განიხილავს აგრეთვე ძალადაკარგულ, ე.ი. არამოქმედ ნორმატიულ აქტებსაც. ეს ერთადერთი გამონაკლისი ზოგადი წესიდან, დადგენილია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლით (მე-2 და მე-7 პუნქტები), რომელიც ეხება იმ შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმატიული აქტი გაუქმდა ან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამ ნორმის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა გამოიწვევს საქმის შეწყვეტას. მაგრამ თუ სადავო ნორმატიული აქტი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა უპირობოდ არ გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად (29-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

კანონის ეს საგამონაკლისო დანაწესი ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის დადგენისა და დარღვეული უფლების სხვა სამართლებრივი საშუალებებით ეფექტიანი აღდგენის მიზანს. 2002 წლის 12 თებერვლამდე საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ასეთი ნორმა არ არსებობდა და საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა უპირობოდ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე იწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. ასეთი წესი გარკვეულწილად იყო მაპროვოცირებელი სადავო აქტის მიმღები ორგანოსათვის და ხშირ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას ხდებოდა სადავო აქტის გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა, რის გამოც საქმეზე წყდებოდა წარმოება. ეს, გარდა იმისა, რომ ლახავდა სასამართლოს ავტორიტეტს, მოსარჩელეებს ფაქტობრივად ართმევდა დარღვეული უფლების სასამართლო დაცვის შესაძლებლობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, კანონმდებელი სწორად მოიქცა, როდესაც გაითვალისწინა სასამართლო პრაქტიკით გამოვლენილი ეს ხარვეზი და საკანონმდებლო ცვლილებით ზემოაღნიშნული გამონაკლისი დაუშვა ზოგადი წესიდან.[1] ამ საკანონმდებლო ნოვაციის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საქმეს „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№2/2/425).[2]

საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი 2006 წლის 9 სექტემბერს დაქორწინდა აშშ-ს მოქალაქე მეთიუ რაიენ სტივენსზე. ქორწინების რეგისრაციისათვის მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის ცნობასთან ერთად მოსთხოვეს აგრეთვე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რომლის წარდგენის სავალდებულობა დადგენილი იყო უცხოელზე დაქორწინების მსურველი მოქალაქეებისათვის “სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტით. ასეთი თანხმობის წარდგენა აუცილებელი იყო, რადგანაც ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002 წ., №4, მუხ. 17.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2008, ბათუმი, 2009 წ., გვ. 22-33.

შესაბამისად, სააგენტოს თანხმობის არარსებობა ან მასზე უარი გამოიწვევდა ქორწინების რეგისტრაციაზე უარს. სალომე წერეთელი-სტივენსმა მიიღო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რაშიც მას გადაახდევინეს სახელმწიფო ბაჟი 120 ლარის ოდენობით. მხოლოდ ამის შემდეგ სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურში შესაძლებელი გახდა მისი ქორწინების რეგისტრაცია. ქორწინების შემდეგ, საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა, რომელშიც მოითხოვდა "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც უცხოელთან დაქორწინებისათვის აუცილებელი იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით[1] გარანტირებული მისი უფლება ქორწინების თავისუფლებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ ეს სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო 2007 წლის 25 ოქტომბერს. საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის არსებითად განხილვის დროს საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 21 მარტს ცვლილებები შეიტანა "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონში და სადავო ნორმა გააუქმა. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეწყვიტა საქმე, გააგრძელა მისი არსებითად განხილვა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სალომე წერეთელი-სტივენსის სარჩელი. თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, "საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს." გამომდინარე აქედან, სადავო ნორმის გაუქმებამ არ გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში №425 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის შეწყვეტა."

1 საქართველოს იმჟამადმოქმედი კონსტიტუციის 36-ე მუხლი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 30-ე მუხლს (ჯ. ხ.).

რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველასათვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის, ქორწინების თავისუფლებას. დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი ჩარევის გზით. რადგანაც სადავო ნორმიდან არ ირკვევა, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა ქორწინების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, ამდენად საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის ინსტიტუტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ხელყოფს მოსარჩელის ქორწინების თავისუფლებას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებებს, რომელთაც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ:

პირველი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი ნორმატიული აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმატიული აქტი ეხება ადამიანის უფლებებსა და მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად მიღების, ე.ი. საოქმო ჩანაწერის გამოცხადების შემდეგ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა სტადიაზე, მაგალითად, განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია და იგი ვალდებულია შეწყვიტოს საქმე.

მეორე, ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით (ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში), არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა სხვა უფლებამოსილების განხორციელებისას, რომელიც ნორმათა კონტროლთანაა დაკავშირებული და ამასთანავე სადავო ნორმატიული

აქტი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების შინაარსის ანალიზი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მათში გადმოცემული საგამონაკლისო დანაწესი არ არის დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ერთ რომელიმე კონკრეტულ სახეობასთან. როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებათა დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების ფარგლებშიც არის შესაძლებელი. კანონმდებლობის ეს დანაწესი ნათლად მიუთითებს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულ მიმართულებაზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შინაარსის გადმოცემისას საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილებას ახორციელებს ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (39-ე მუხლი) განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობისას, ზემოაღნიშნულ სუბიექტებს შეუძლიათ სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. კანონის ამ ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

როგორც კანონის ამ ნორმის შინაარსიდან ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა პირველ წრეს მიეკუთვნებიან ფიზიკური პირები და იურიდიული პირები. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 28 ივნისამდე ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით

კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება არ ჰქონდათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და იმავდროულად არ ცხოვრობდნენ საქართველოში, აგრეთვე _ იურიდიულ პირებს, თუ ისინი არ იყვნენ საქართველოს იურიდიული პირები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით (№ 1/466) საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ეს შეზღუდვა არაკონსტიტუციურად ცნო, რომლის შედეგადაც ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს მიეცა შესაძლებლობა თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[1] ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა და მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ორ შემთხვევაში, კერძოდ:

1) თუ სადავო ნორმატიული აქტის მოქმედებით უკვე შელახულია მოსარჩელის კონკრეტული უფლება და მან უშუალოდ განიცადა ზიანი. ასეთ შემთხვევაში, როგორც მართებულად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე, “მოსარჩელე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები, რომლებითაც უფლებებში შეჭრის ფაქტი დადასტურდება.”[2] “უფლებებში შეჭრის ფაქტი” გულისხმობს, რომ მოსარჩელე არის იმ ურთიერთობების სუბიექტი, რომელსაც აწესრიგებს სადავო ნორმატიული აქტი, ამ აქტის მოქმედება უშუალოდ მას შეეხო, მასზე გავრცელდა და შედეგად მოჰყვა მისი უფლების შელახვა. ამის გამო მოსარჩელე ნორმატიული აქტის მოქმედების შედეგად დაზარალებული პირია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ასეთ პირს “მსხვერპლად” მიიჩნევს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა წრის განსაზღვრისას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: “სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2010, ბათუმი, 2011 წ., გვ. 6-39.

2 „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინება №1/1/413, თბილისი, 2007 წლის 1 მარტი.

მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი."[1]

მსხვერპლის მაგალითია მოსარჩელე ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი საქმიდან - "საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ." სალომე წერეთელი-სტივენსმა უშუალოდ განიცადა სადავო ნორმების მოქმედება, რადგანაც მან იქორწინა სწორედ ამ ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებმაც დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი, სახელმწიფოს მხრიდან არაპროპორციული ჩარევის გზით შელახა კონსტიტუციით გარანტირებული მისი ქორწინების თავისუფლება.

2) ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით პირს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დარღვეულია მისი უფლებები და ამდენად ისინი "უფლებების დარღვევის მსხვერპლს" წარმოადგენენ, არამედ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებები და თავისუფლებები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სადავო ნორმატიული აქტი (ან ნორმა) პირს ჯერ არ შეხებია, ანუ ჯერჯერობით მას არ განუცდია სადავო ნორმით გათვალისწინებული წესების ზემოქმედება, მაგრამ არსებობს მომეტებული რისკი იმისა, რომ პირი უსათუოდ გახდება უფლებათა დარღვევის უშუალო ობიექტი. იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ პირებს "პოტენციურ მსხვერპლსაც" უწოდებენ.[2]

"პოტენციური მსხვერპლი" უნდა განვასხვავოთ იმ პირებისაგან, რომლებიც ცდილობენ ე.წ. აცტიო პოპულარის განხორციელებას, ე.ი. სადავოდ ხდიან ნორმატიულ აქტს (ან მის ნაწილს) მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ინ აბსტრაცტო არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს. აცტიო პოპულარის ჩვენი კანონმდებლობით, ისევე როგორც ევროპული კონვენციით დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტი – ამ შემთხვევაში პირი უნდა

1 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. კრებული: ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. „სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა", თბილისი, 2008წ., მეორე ნაწილი, გვ. 7-30.

2 იხ. Микеле де Сальвиа. Прецеденты Европейского суда по правам человека. Руководящие принципы судебной практики, относящейся к Европейской конвенции о защите прав человека и основных свобод. Судебная практика с 1960 по 2002 гг. – СПБ.: Издательство "Юридический центр Пресс", 2004, с. 806.

იყოს უფლებების დარღვევის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი. თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ მსხვერპლად, ამის თაობაზე ორიენტირებს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით "მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში მომავალი დარღვევის რისკმა შესაძლებელია ინდივიდუალურ განმცხადებელს მიანიჭოს "მსხვერპლის" ხარისხი იმ პირობით, თუკი იგი წარმოადგენს გონივრულ და დამაჯერებელ მოსაზრებებს პირადად მის მიმართ დარღვევის შესაძლო რეალიზაციის შესახებ."[1] ამასთან დაკავშირებით პრეცედენტულ სამართალში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ "კანონი შესაძლებელია თავის თავად არღვევდეს ცალკეულ პირთა უფლებებს, თუკი ისინი განიცდიან მის მოქმედებას მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს მისი შეფარდების კონკრეტული ზომები".[2] პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონმდებელი ადგენს, მაგალითად, საიდუმლო, ფარულ ზომებს (სატელეფონო მოსმენები, საიდუმლო დოსიეების შექმნა). ამ შემთხვევებში არ არის აუცილებელი პირმა დაამტკიცოს, რომ ეს ზომები ნამდვილად იყო გამოყენებული მის მიმართ. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იგი მაინც ჩაითვლება უფლებათა დარღვევის მსხვერპლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული პრეცედენტები სრულად არის გაზიარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საქმე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (№1/3/407).[3]

ამ საქმეზე მოსარჩელეები მოითხოვდნენ "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება)[4] მოთხოვნებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებდა სატელეფონო და

1 იხ. Микеле де Сальвиа, მით. ნაშრომი, გვ. 804.

2 იქვე, გვ. 809

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009 წ., გვ. 258-288.

4 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მე-15 მუხლს (ჯ. ხ.).

სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოების შეზღუდვის დამატებით საფუძვლებს.

კანონითგათვალისწინებულიამზომების(სატელეფონომოსმენადა სხვ.)ფარულიდასაიდუმლოხასიათიდანგამომდინარე,საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ეს კონსტიტუციური სარჩელი ისე მიიღო არსებითად განსახილველად და დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, რომ მოსარჩელეებისაგან არ მოუთხოვია მათი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის კონკრეტული ფაქტების წარმოდგენა. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეები, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სათანადო სუბიექტებად, უფრო ზუსტად კი _ უფლებათა დარღვევის პოტენციურ მსხვერპლად, თუმცა სასამართლოს ამაზე საგანგებოდ ყურადღება არ გაუმახვილებია. სამაგიეროდ სხვა საქმეზე მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ სამაგალითოდ მოიყვანა ზემოაღნიშნული საქმე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმეზე "საქართველოს ახლაგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" სარჩელი არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა, რადგან სადავო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელისათვის შეუძლებელი იყო არა მხოლოდ უფლების შესაძლო დარღვევის, არამედ უკვე დარღვეული უფლების ფაქტზეც კონკრეტული და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა. იმავდროულად, მაღალი იყო ალბათობა, რომ მოსარჩელე სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების მონაწილე გამხდარიყო.[1]

ამ საქმეზე მიღებული განჩინება იმითაც არის საგულისხმო, რომ მასში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც თავისთავად საინტერესოა ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლო შეეცადა ჩამოეყალიბებინა "პოტენციური მსხვერპლის" განსაზღვრის სტანდარტები.

საქმის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: კონსტიტუციური სარჩელის ავტორები მოითხოვდნენ საკონსტიტუციო სასამართლოსაგან არაკონსტიტუციურად ეცნო "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

1 „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინება №1/1/413, თბილისი, 2007 წლის 1 მარტი.

კოდექსის" და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის ის ნორმები, რომელთა საფუძველზეც სასამართლოსადმი მიმართვისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა გაიზარდა, რაც, მათი აზრით, ლახავდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. მოსარჩელეთა აზრით, თავისთავად ბაჟის არსებობა არ წარმოადგენს უფლების შეზღუდვას, თუმცა ბაჟის სიდიდემ, მათ შორის, ბაჟის მაქსიმალურმა ოდენობამ, შესაძლოა შეზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განმარტა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის ის დებულება, რომელიც პირებს აძლევს უფლებას, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმით "შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი" (ე.წ. "პოტენციური მსხვერპლი"). ასეთ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით:

ა) სასამართლომ უნდა შეისწავლოს ის მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსარჩელე სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების მონაწილე განჭვრეტად მომავალში აუცილებლად გახდება. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს პირდაპირი კავშირი სადავო ნორმატიულ აქტსა და მოსარჩელის უფლებებს შორის;

ბ) ცალკეულ შემთხვევაში, მოსარჩელისა და სადავო ნორმის კავშირურთიერთობა და უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა სასამართლომ შეიძლება მაშინაც შეაფასოს, თუ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელია, უფლებების დარღვევის შესაძლებლობა სადავო ნორმის შინაარსიდან აშკარად გამომდინარეობს და ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე უფლების დარღვევის საფრთხის პირისპირ შეიძლება აღმოჩნდეს."

ამ საქმეზე გამოტანილ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ "არც სასარჩელო განცხადებაში და არც განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელეებს არ დაუსაბუთებიათ, რომ სადავო აქტის მოქმედების შედეგად ისინი უფლების დარღვევის შესაძლებლობის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ. მოსარჩელეები ზოგადად სასამართლოსათვის მიმართვის უფლების, მათ შორის, საკუთრივ მათი უფლებების დარღვევის მხოლოდ აბსტრაქტულ

შესაძლებლობაზე საუბრობენ... თავად მოსარჩელეები ახლო მომავალში სასამართლოსათვის მიმართვას არ გეგმავდნენ. . . მათ კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილი აქვთ, როგორც ადვოკატებს.” ამ გარემოებებზე დაყრდნობითდასაკონსტიტუციოსასამართლოსმიერჩამოყალიბებული ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეები არ მიიჩნია უფლებათა დარღვევის “პოტენციურ მსხვერპლად” და მათი კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.[1]

აღსანიშნავია, რომ უფლებათა დარღვევის “პოტენციური მსხვერპლის” ინსტიტუტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში 2002 წლის 12 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაჩნდა.[2] ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებების სასამართლო წესით დაცვის შემდგომი სრულყოფის საქმეში. ამ და აგრეთვე სხვა საკანონმდებლო ნოვაციამ კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს კანონმდებლობა ევროპულ სამართალთან და განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფართოდ გამოყენება ნაციონალურ კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში.[3]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელია აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანამდებობის პირია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას (საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი). სახალხო დამცველის ასეთი სტატუსიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის შესაბამისი დებულების

1 იხ. აგრეთვე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინება №1/5/424, ბათუმი, 2007 წლის 9 ოქტომბერი.

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002 წელი, №4 მუხ. 14.

3 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლაშა ჭელიძე. საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა. სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები.“ რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2007, გვ. 140-223.

გათვალისწინებით, სავსებით გასაგებია, რომ "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი) და "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (21-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტი) მას ანიჭებენ უფლებამოსილებას კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მიაჩნია, რომ ნორმატიული აქტით (ან მისი ცალკეული ნორმებით) დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

აღნიშნული საკანონმდებლო დებულების აზრიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება. კერძოდ, სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება სადავოდ გახადოს მხოლოდ ის ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთანავე, სახალხო დამცველმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება სადავო ნორმატიული აქტის წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, თუმცა ამისათვის მას არ მოეთხოვება გასაჩივრებული ნორმატიული აქტით ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების მოხმობა. სახალხო დამცველს შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს ნორმატიული აქტის (ან მისი ნაწილის) კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით თუნდაც იმ საფუძვლით, რომ იგი, მისი აზრით, in abstracto არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველმა 2002 წლის 20 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 406-ე მუხლის მე-4 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის[1] იმ დებულებასთან მიმართებით, რომლის თანახმად ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სადავო ნორმებით დაშვებული იყო ბრალდებულის ცხრათვიან ვადაზე მეტი დროით წინასწარი პატიმრობის შესაძლებლობა, რადგანაც ამ ნორმების მიხედვით, პატიმრობის, როგორც

1 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მე-13 მუხლს (ჯ. ხ.).

აღკვეთის ღონისძიების, ვადის გამოთვლისას ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის დრო მხედველობაში არ მიიღებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის სადავო ნორმები.[1] ამ საქმეზე სახალხო დამცველი სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებულად მხოლოდ აბსტრაქტული მსჯელობით შემოიფარგლა და მას სადავო ნორმებით ადამიანის კონსტიტუციური უფლების დარღვევის არცერთი კონკრეტული ფაქტი არ აღუნიშნავს.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე განისაზღვრება მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც ადამიანის ძირითადი უფლებები დარღვეულია ნორმატიული აქტით. რამდენად ეფექტიანია დარღვეული უფლებების აღდგენა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების განხორციელებით?

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით შესაძლებელია დადგეს შემდეგი შედეგები:

1) თუ ადამინის უფლებათა დარღვევა განგრძობადი ხასიათისაა, იგი შეწყდება როგორც თავად მოსარჩელის, ისე ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა პირების მიმართ;

2) ეგრეთ წოდებულ „პოტენციურ მსხვერპლთა“ მიმართ, ე.ი. იმ პირების მიმართ, რომლებსაც ჯერ არ განუცდიათ უფლებადამრღვევი ნორმატიული აქტის უშუალო ზემოქმედება და კონკრეტული ვნება და ზიანი ჯერ არ მიყენებიათ, უფლებადამრღვევი ნორმატიული აქტი ვერ იქნება გამოყენებული (შეფარდებული) მომავალში.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად შეწყდება ამ აქტით ადამიანის უფლებების დარღვევა ან/და იგი მომავალში ვერ დაარღვევს ადამიანის უფლებებს. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო

1 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1/5/193, 2003 წლის 16 დეკემბერი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. 2004, თბილისი, გვ. 166-170.

სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობები დროის თვალსაზრისით მიმართულია აწმყოსა და მომავალზე.

მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადამიანის უკვე დარღვეული უფლების აღდგენა? ანუ ექნება თუ არა რაიმე გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას წარსულ დროში (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე) ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით?

ამ კითხვებთან დაკავშირებით საინტერესო იქნება სამაგალითოდ მოვიტანოთ ერთი საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. 2005 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[1]. ამ საქმეზე მოსარჩელე, რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებდა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, მოითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-11 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან[2] მიმართებით. სადავო ნორმის თანახმად, პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება არ დაიშვებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ დაპატიმრების კანონიერების გარანტიას წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლიანობის სასამართლო შემოწმების მოთხოვნის უფლება. ამიტომ თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას, მათ შორის, კანონიერი საფუძვლების არსებობის დროსაც, უნდა დაუპირისპირდეს ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება. სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტში[3] და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, გულისხმობს სასამართლოს მინიმუმ ორ ინსტანციაში საქმის განხილვას, ანუ არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტას,

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2005. თბილისი, 2006 წ., გვ. 47-57.

2 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 31-ე მუხლს (ჯ. ხ.).

3 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 31-ე მუხლს (ჯ. ხ.).

არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზემდგომ ინსტანციაში საჩივრის შეტანის უფლებასაც. ამის გათვალისწინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გასაჩივრებული ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან[1] მიმართებით.

მართალია, ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქის კონსტიტუციური სარჩელი და დაადგინა ნორმატიული აქტით ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის ფაქტი, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენაზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია. საქმე ისაა, რომ მოქალაქე ო. სვინტრაძის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან (2004 წლის 15 აპრილი) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე (2005 წლის 17 მარტი) თითქმის ერთი წელი გავიდა. ამ პერიოდში კი საერთო სასამართლომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მან, რა თქმა უნდა, ვერ ისარგებლა პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით იქნა გათვალისწინებული.

საქართველოს იმჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი, ახლად გამოვლენილ სამართლებრივ გარემოებად იყო მიჩნეული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლად გამოვლენილ გარემოებას განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლად აღიარებდა (593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, ამ საფუძვლით სასამართლო გადაწყვეტილების მსჯავრდებულის სასარგებლოდ გასაჩივრების ვადა შეუზღუდავი იყო (601-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოქალაქე ო. სვინტრაძეს, რა თქმა უნდა, შეეძლო ნებისმიერ დროს ესარგებლა ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მის მიმართ საერთო სასამართლოს

1 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 31-ე მუხლს (ჯ. ხ.).

მიერ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნის უფლებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, უზენაესი სასამართლო მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, რადგანაც ჩათვლიდა, რომ ახლად გამოვლენილ ამ გარემოებას არ შეეძლო არსებითად ემოქმედა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგზე.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია, არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეზე სამართალწარმოებისას გამოყენებული კანონის ნორმა და შესაბამისად, დაადგინა ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის ფაქტი, მაგრამ ამას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია ბრალდებულის სასარგებლოდ.

საქართველოს ახალი (2009 წლის) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სამართლებრივი შედეგები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თითქმის უცვლელი დარჩა (თავი XXVII). ცვლილება შეეხო თავად ახლად გამოვლენილი გარემოების დეფინიციას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ის შემთხვევები, როდესაც შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახლად გამოვლენილ გარემოებად ჩაითვალოს. სახელდობრ, თუ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ახლად გამოვლენილი გარემოება იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი (ანუ ნებისმიერი კანონი მისი დარგობრივი კუთვნილების მიუხედავად), ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნევა მოცემულ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ (310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). სისხლის სამართლის კანონში, რასაკვირველია, იგულისხმება მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები. ამიტომ, თუ სისხლის სამართალწარმოებისას გამოყენებული იქნა, ვთქვათ, სისხლის სამართლის პროცესის ან სამართლის სხვა დარგის ნორმები (გარდა სისხლის სამართლისა), რომლებიც შემდგომში არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ, ეს ფაქტი ახლად გამოვლენილ გარემოებად არ ჩაითვლება. ჩვენი აზრით, ეს საკანონმდებლო სიახლე

მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობებს და იგი საჭიროებს გადასინჯვას ადრე არსებული საკანონმდებლო რეგულირების აღდგენის მიზნით.

აქ, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართალწარმოებისას გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, უპირობოდ არ იწვევს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გაუქმებას. საერთო სასამართლოს რჩება უფლებამოსილება, იმსჯელოს რამდენად არსებითი გავლენა მოახდინა არაკონსტიტუციურად ცნობილმა სისხლის სამართლის კანონმა დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე. მხოლოდ ამის გათვალისწინებით საერთო სასამართლო მიიღებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, კერძოდ: სასამართლო ან უცვლელად დატოვებს განაჩენს, ან შეცვლის მას, ან გააუქმებს და დაადგენს ახალ განაჩენს.

რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, აქ ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც გამოყენებული იქნა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ საქმეებზე. ამიტომ ამ საფუძვლით საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, არ დაიშვება (423-ე მუხლი).

ასეთი წესის არსებობა, ჩვენი აზრით, საერთო სასამართლოს მოტივაციას უკარგავს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას შეაჩეროს საქმის განხილვა და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ გაუჩნდა აზრი, რომ ის ნორმატიული აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ამ საქმის გადაწყვეტისას, ეწინააღმდეგება (არ შეესაბამება) კონსტიტუციას, რადგანაც საერთო სასამართლოს მიერ ამ ნორმატიული აქტის გამოყენებით გამოტანილი გადაწყვეტილება მაინც ძალაში დარჩება, საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე რომც ცნოს იგი არაკონსტიტუციურად.

ამ წესის გამო არც მოქალაქეს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ინტერესი, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ

ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, რომელიც გამოყენებული იქნა საერთო სასამართლოს მიერ მისი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნობას არავითარი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება მის სასარგებლოდ. მაგალითად, არ გადაისინჯება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ძალაში შესულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა გასაჩივრებულ საქმესთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით კანონის ამ დებულებას, მაგრამ, ამასთანავე, კანონმდებლობის არასრულყოფილებად მიგვაჩნია ის, რომ თუ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლად, რატომ არ შეიძლება იგივე სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, როდესაც ამ გადაწყვეტილებით ხდება ადამიანის ძირითად უფლებათა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ფაქტის დადასტურება.

აღსანიშნავია, რომ ამ სამართლებრივი რეალობისაგან სრულიად განსხვავებულ წესს ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, როდესაც განსაზღვრავს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივ შედეგებს საერთო სასამართლოებთან მიმართებით. სახელდობრ, ამ კანონის თანახმად „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (მე-20 მუხლი). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის გამო მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა საერთო სასამართლოს არც განაჩენის და არც გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების

ინსტიტუტს არ ითვალისწინებს. ამ საფუძვლით შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა. ეს წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ორგანულ კანონსა და მასზე რანგით უფრო დაბლა მდგომ საპროცესო კანონმდებლობას შორის, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას არა მხოლოდ მათ შორის შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენის, არამედ საერთოდ ამ საკითხის არსებითად და ამასთანავე ახლებურად გადაჭრის გზით.

ადამიანის დარღვეული უფლებების აღსადგენად არსებული ზემოაღნიშნული მექანიზმები რომ სრულყოფილი არ არის, ამაზე უკვე პირდაპირ მიუთითებენ როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, გააუქმებს ნორმატიულ აქტს, მაგრამ „ხელს დაიბანს“ ამ აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვისაგან, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობით მას არა აქვს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონტროლის შესაძლებლობა.[1] ვ. მენაბდის აზრით კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2006 წელს გამოტანილმა გადაწყვეტილებამ საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ სათავე დაუდო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ეფექტიანობის კრიტიკას.[2] ამ გადაწყვეტილებაში[3] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით[4] დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური მიმართვის უფლება ე.წ. „არარეალური“ სარჩელის ფორმით, რომლის მეოხებით ცალკეულ პირებს შეუძლიათ სადავოდ გახადონ მოქმედი კანომდებლობის (ნორმატიული აქტების) კონსტიტუციურობის საკითხი, თუმცა მათ არ შეუძლიათ გაასაჩივრონ საერთო სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიერ მიღებული

1 ბესარიონ ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007 წ., გვ. 187.

2 ვახუშტი მენაბდე. კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში. „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, სტატიათა კრებული, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2010 წ., გვ. 126.

3 იხ. ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე _ „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, № 40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი (მე-40, 44-ე და 46-ე პუნქტები).

4 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მე-50 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს (ჯ. ხ.).

გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მათ მდგომარეობაზე. გერმანიის, ესპანეთისა და ჩეხეთისაგან განსხვავებით, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ უფლებამოსილება განიხილონ ე.წ. „რეალური“ კონსტიტუციური საჩივრები და გააუქმონ საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებიც ლახავენ მოსარჩელის უფლებებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით მსგავსება დაინახა საქართველოსა და უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილებათა შორის. უნგრეთში, ისევე როგორც საქართველოში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მხოლოდ ნორმატიული აქტების (კანონების) კონსტიტუციურობის საკითხი, ამასთანავე, მას არ შეუძლია სახელმწიფოს მიერ კერძო პირების წინააღმდეგ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების გაუქმება ან შესწორება. ადმიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ვენი უნგრეთის წინააღმდეგ“[1] უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის უფლების დაცვის არაეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ საშუალებად მიიჩნია. ასეთივე დასკვნა გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ საქართველოში ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების განხილვის ამჟამად არსებული სისტემის მიმართაც და იგი ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო საშუალებად არ ჩათვალა.

საგულისხმოა, რომ ქართულ კანონმდებლობაში ამ მოდელის შეცვლის რამდენიმე მცდელობას hქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ამიტომ ეს საკითხი აქტუალურობას იძენდა კონსტიტუციური რეფორმების კვალდაკვალ.

2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსსა და უფლებამოსილების ფარგლებს, მათ შორის, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლის საკითხებსაც ეხებოდა. პროექტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, განეხილა საერთო სასამართლოების კანონიერ

1 იხ. „ვენი უნგრეთის წინააღმდეგ“ № 21495/93, 1993 წლის 30 ივნისი.

ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობის საკითხები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით. მართალია, კანონპროექტი განსახილველი პრობლემის გადაწყვეტას გვთავაზობდა, მაგრამ საკანონმდებლო შემოთავაზება იმდენად აფართოებდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ამ სფეროში, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო საერთო სასამართლოების ნებისმიერი ინსტანციის თითქმის ყველა აქტი. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ ამ კანონპროექტმა მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა, უწინარეს ყოვლისა, თვით საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინდელი პერსონალური შემადგენლობისაგან. მათი ხელმოწერით გამოქვეყნებულ შენიშვნებში ნათქვამი იყო: „კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ იცნობს სასამართლო აქტების ასეთი ტოტალური გასაჩივრების შემთხვევებს. როგორც წესი, საჩივრდება საბოლოო ინსტანციის, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ აქვს საჩივრის უფლება, როდესაც იგი ამოწურავს უფლების დაცვის ყველა სხვა გზას. პროექტით გათვალისწინებული ნორმის მიღების შემთხვევაში დიდი ალბათობა იქმნება იმისა, რომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გასაჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც უეჭველად იმოქმედებს მისი საქმიანობის ხარისხზე. მეორე მხრივ კი, გაჩნდება პრობლემები საერთო სასამართლოში საქმეთა დროულად განხილვასთან დაკავშირებით.“[1]

ეს შენიშვნები სრულად გაიზიარა ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში და საკანონმდებლო ცვლილებების ამ სახით მიღებას მხარი არ დაუჭირა. საბოლოოდ, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების პირველივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საქართველოს კონსტიტუციაში ამ მიზნით დაგეგმილი ცვლილებები არ განხორციელებულა.

2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს წინ უსწრებდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავება, რომლის დროსაც, სხვა მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების საკითხიც განიხილებოდა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006 წ., გვ. 324.

სასამართლო ხელისუფლებისა და ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ფუტკარაძე კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებამდე აღნიშნავდა: „სამუშაო ჯგუფში გაიმართა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გაფართოვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რითაც კიდევ უფრო გაიზრდება მისი როლი და მნიშვნელობა. ამ მიზნით მზადდება კონსტიტუციის 89-ე მუხლში შესატანი დამატების პროექტი. ივარაუდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, როდესაც ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა საშუალება.“[1]

როგორც კონსტიტუციური პროცესის შემდგომი განვითარებიდან ჩანს, სამუშაო ჯგუფის ეს წინადადება არ გაიზიარა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, რომელმაც სამაგიეროდ მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებას სულ სხვა მიმართულებით.[2] ამრიგად, საკონსტიტუციო კონტროლის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე გავრცელების საკითხი ისევ ღიად დარჩა, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გზების ძიება კვლავაც გრძელდება.

ვ. მენაბდე მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილება. ეს ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლებას. მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება მხოლოდ მას შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი, როცა ამოწურულია უფლების დაცვის ყველა სხვა შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი. ამასთანავე, გასაჩივრების დროს საერთო სასამართლოს აქტის შეფასების მასშტაბი უნდა იყოს მხოლოდ მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან.[3] მართალია, ავტორი არ გვეუბნება, თუ რა გზით შეიძლება ამ უფლებამოსილების მინიჭება საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მაგრამ ისეთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გაუქმება, როგორიცაა საერთო სასამართლოს

1 იაკობ ფუტკარაძე. სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2009 წლის ნოემბერი, № 1, გვ. 71.

2 იხ. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“[2] და „ვ“[3] ქვეპუნქტები.

3 ვახუშტი მენაბდე. მით. ნაშრომი, გვ. 143.

გადაწყვეტილება, ჩვენი აზრით, კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებში მოექცეს.

ვ. მენაბდისაგან განსხვავებით, მ. შარაშიძე ცდილობს კონსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობის გარეშე დაასაბუთოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებით აღჭურვის შესაძლებლობა. მისი აზრით, „რეალური" კონსტიტუციური სარჩელების განხილვის კომპეტენციის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი.[1] გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო სასამართლოს მიერ უშუალოდ იქნება დარღვეული კონსტიტუციური უფლებები. კონსტიტუციური უფლებების დარღვევა კი შეიძლება გამოწვეული იყოს ან ნორმის არაკონსტიტუციურობით (1), ან მისი არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციით (2), რომლებიც საფუძვლად დაედო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე. ავტორის აზრით, პირველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნობს ნორმას და გააუქმებს მის საფუძველზე გამოტანილ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ხოლო მეორე შემთხვევაში გააუქმებს მხოლოდ არაკონსტიტუციურად ინტერპრეტირებული ნორმის საფუძველზე გამოტანილ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასთანავე, ორივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ პირობით, თუ არაკონსტიტუციურმა ნორმამ ან ნორმის არაკონსტიტუციურმა ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამით დაარღვია ადამიანის ძირითადი უფლებები.[2]

როგორც ვხედავთ, ავტორი ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გააუქმოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, დაუკავშიროს სამართალწარმოებისას გამოყენებული ნორმის არაკონსტიტუციურობას ან ნორმის არაკონსტიტუციურ

1 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მე-4 მუხლს (ჯ. ხ.).

2 მიხეილ შარაშიძე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური" კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები. „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები", სტატიათა კრებული, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბილისი, 2010 წ., გვ. 207-208.

ინტერპრეტაციას და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამ უფლებამოსილების მინიჭება დაასაბუთოს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლზე მითითებით. მაგრამ, ჩვენი აზრით, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლში[1] განმტკიცებული პრინციპიდან საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები უშუალოდ არ გამომდინარეობენ. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის სპეციალური ნორმა, კერძოდ, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, სადაც მკაფიოდ არის მითითებული, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სათანადო სუბიექტის სარჩელის საფუძველზე იხილავს მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება კი ნორმატიული აქტი არ არის. ამიტომ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში განმტკიცებულ პრინციპზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლოს ამა თუ იმ კომპეტენციის დამდგენი კონკრეტული კონსტიტუციური ნორმის მიუღებლად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის უფლებამოსილების გაფართოება შეუძლებელია.

სანამ საკანონმდებლო ხელისუფლება და მეცნიერი იურისტები დაკავებული იყვნენ ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ პრობლემის მოგვარების უაღრესად თამამ და ამავე დროს კონსტიტუციური კანონიერების თვალსაზრისით ერთობ საეჭვო ხერხს მიმართა. სახელდობრ, ბოლო დროს საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკა ე.წ. „ნორმის ნორმატიული შინაარსის“ კონტროლის მეოხებით,[2] რომლითაც მან, ფაქტობრივად, რეალური

---

1 შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მე-4 მუხლს (ჯ. ხ.).

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის № 1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე _ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2012, ბათუმი, გვ. 104-152; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე _ „საქართველოს მოქალაქეები _ ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2016, ნაწილი II, ბათუმი, გვ. 30-106; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე _ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2016, ნაწილი II, ბათუმი, გვ. 202-217 და სხვ.

საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილება შეიძინა თავისივე ინიციატივით, უფრო სწორედ, თვითნებურად, ყოველგვარი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე. ნორმის ნორმატიული შინაარსის დადგენისას, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს არა სადავო ნორმის შესაბამისობაზე კონსტიტუციის ნორმასთან, არამედ მისი განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკის კონსტიტუციურობის შესახებ. გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება არა სადავო ნორმა, არამედ სათანადო ორგანოების მიერ მისი ინტერპრეტაცია და გამოყენების პრაქტიკა.[1]

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი საქმე (№ 3/2/646) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან _ „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.[2] ამ საქმის არსებითი განხილვის დროს მოსარჩელემ წარმოადგინა საერთო სასამართლოების რამდენიმე განჩინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის პრაქტიკული გამოყენების შესახებ. მოსარჩელეს, როგორც ბრალდებულს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა გამოძიება რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე, აღკვეთის ღონისძიების სახით განმეორებით შეეფარდა პატიმრობა, რის შედეგადაც მისმა წინასწარ პატიმრობაში გატარებულმა ვადამ გადააჭარბა 9 თვეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენდა ბრალდებულის პატიმრობის ზღვრულ ვადას – 9 თვეს, ანუ იმავე ხანგრძლივობით, რასაც მოითხოვდა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, თუმცა, დასაშვები იყო თუ არა კონსტიტუციით განსაზღვრული პატიმრობის 9 თვიანი ვადის განმეორებით გამოყენება ერთი და იმავე პირის მიმართ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ამაზე პასუხს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი არ იძლეოდა, რაც კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზზე, მის არასრულყოფილებაზე

1 იხ. პაატა ჯავახიშვილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი. „სამართლის ჟურნალი“, 2017, № 1, გვ. 339, 345; ანა ფირცხალაშვილი. საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლი კვლავ კონსტიტუციის გადასინჯვის მიღმა. „აკადემიური მაცნე“. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 11.

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. ბათუმი, 2016, გვ. 135-186.

მიანიშნებდა. არც საერთო სასამართლოების პრაქტიკა იყო ერთგვაროვანი ამ საკითხზე.

საქართველოს კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ იმით გადაჭრა, რომ თავისი 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან[1] მიმართებით არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის შემდეგ, მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული hქონდა 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით საკანონმდებლო ხარვეზიც შეავსო, შექმნა ახალი ნორმა, რითაც „ნეგატიური კანონმდებლიდან“ „პოზიციურ კანონმდებლად“ გადაიქცა და საერთო სასამართლოების პრაქტიკაც გაასწორა, რითაც უზენაესი სასამართლოს ფუნქციების შესრულება იტვირთა.[2]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება და, საერთოდ, „ნორმის ნორმატიული შინაარსის საკონსტიტუციო კონტროლის“ პრაქტიკა არ მიგვაჩნია მართებულად შემდეგ გარემოებათა გამო: თუ სადავო ნორმა არასრულყოფილია და არ მოიცავს ამ ნორმით მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ყველა შესაძლო შემთხვევას, მაშინ მისი სრულყოფის საქმე სამართალშემოქმედის კომპეტენციაა, ხოლო თუ სადავო ნორმა არასწორადაა განმარტებული და გამოყენებული სამართალშემფარდებელი ორგანოს მიერ, მაშინ მისი გამოსწორება საერთო სასამართლოების კომპეტენციაა. „ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის“ შემოღებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა საქართველოს კონსტიტუციით მისთვის დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებს და მიითვისა ხელისუფლების სხვა შტოების ორგანოთა კომპეტენცია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპს

1 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-13 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები (ჯ. ხ.).

2 საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ეს ფორმულირება უცვლელად არის გადატანილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

და დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში. ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის ინტერესები ამ შემთხვევაში ვერ გამოდგება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული პრაქტიკის გამამართლებელ არგუმენტად. ადამიანის უფლებების დაცვის მოვალეობა დაკისრებული აქვს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს, ოღონდ კონსტიტუციითა და კანონით მათთვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

გამოსავალი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლში შეტანილ იქნეს დამატება, რომლის თანახმად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცემა უფლებამოსილება ფიზიკური და იურიდიული პირების სარჩელის საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით. ამის შესაბამისად, ბუნებრივია, სათანადო ცვლილებები უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაშიც. ჩვენი აზრით, ეს ცვლილებები უნდა ემყარებოდეს შემდეგ დებულებებს:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, როდესაც ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა სხვა საშუალება;

ბ) გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობის დადგომიდან გარკვეულ ვადაში;

გ) გასაჩივრების შემთხვევაში საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ ადამიანის ძირითად უფლებებთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით. ამასთანავე, უნდა გაირკვეს, რამდენად არსებითი გავლენა იქონია სამართალწარმოებისას დაშვებულმა ადამიანის უფლებების დარღვევამ საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

დ) სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს დაუბრუნებს მას ხელახალი განხილვისათვის, რომელიც ვალდებული იქნება ახალი გადაწყვეტილების გამოტანისას გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია.

ვფიქრობთ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი სისტემის დამკვიდრებას საქართველოში.

თავი VI. საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი

საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებითა[1] და ნაციონალური კანონმდებლობით[2] საერთაშორისო ხელშეკრულებად მიიჩნევა საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.

საერთაშორისო ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ განმარტებაში მოცემულია რამდენიმე ცნებითი ნიშანი, რომელთა გარეშეც საქართველოს მიერ დადებული აქტი არ ჩაითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად. სახელდობრ, საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს სათანადო სუბიექტებთან – სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან (1), წერილობითი ფორმით (2); იგი უნდა იყოს ორი ან მეტი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ნების გამოვლინება _ შეთანხმება, რაც გამორიცხავს სახელმწიფოების ცალმხრივ აქტებს (3), უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადება, შესრულება და მოქმედების შეწყვეტა წესრიგდება მხოლოდ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ვერ მოახდენს ზეგავლენას საერთაშორისო ხელშეკრულების იურიდიულ ნამდვილობაზე[3] (4). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს ხელშეკრულების სახით გაფორმებული ურთიერთდაკავშირებული

---

1 „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო კონვენცია (მე-2 მუხლი) _ იხ. „საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები“, საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო კონვენციების კრებული, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2008 წ., გვ. 90-120.

2 „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი (მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) _ იხ. პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32. კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018.

3 უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების გამიჯვნა სახელმწიფოებს შორის დადებული პოლიტიკური შეთანხმებებისაგან და ისეთი ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც წესრიგდება ერთ-ერთი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით (იხ. კონსტანტინე კორკელია. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ., გვ. 20-33).

დოკუმენტების სიმრავლეს და მათ სახელწოდებას. ბოლო ორი მახასიათებელი, კერძოდ, დოკუმენტების რაოდენობა და სახელწოდება, არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებით ნიშნებს, რადგანაც, როგორც მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, მათ საფუძველზე შეუძლებელია აქტის მიჩნევა საერთაშორისო ხელშეკრულებად. ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ სუბიექტებს შორის დადებული აქტის იურიდიულ ბუნებასა და ძალაზე.[1] როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც და ვენის 1969 წლის კონვენციაშიც მითითებულია, რომ ხელშეკრულების აღმნიშვნელ ტერმინებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა ხელშეკრულების ცნებისათვის და იგი შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა სახელწოდებით: შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ქარტია და ა.შ.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, მართალია, საშუალებას იძლევა დადგინდეს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული რომელი შეთანხმება ჩაითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად, მაგრამ საერთაშორისო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა, აგრეთვე, რომ იგი იყოს მართლზომიერი აქტი და არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი და არ წარმოშობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ვენის 1969 წლის კონვენციაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი საერთაშორისო ხელშეკრულებების ბათილობის საფუძვლები, კერძოდ, თუ ხელშეკრულება დადებულია ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებით, მოტყუებით, მოსყიდვით და ა.შ., აგრეთვე, თუ იგი ეწინააღმდეგება ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს (jus cogens).[2]

თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული შეთანხმება პასუხობს ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ იგი ჩაითვლება სრულფასოვან საერთაშორისო ხელშეკრულებად. მაგრამ, იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებამ წარმოშვას მხარეებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-

1 იხ. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „ინოვაცია“, თბილისი, 2010 წ., გვ. 91-92; კონსტანტინე კორკელია. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ., გვ. 45-48.

2 იხ. „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის V ნაწილი, კარი II.

-მოვალეობები, იგი უნდა იყოს მოქმედი, ანუ ძალაში შესული. ვენის 1969 წლის კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის წესი და თარიღი დგინდება თავად ხელშეკრულებაში ან მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით. ხოლო თუ ასეთი თარიღი ან შეთანხმებული წესი არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის, როგორც კი მოლაპარაკების მონაწილე ყველა სახელმწიფო გამოხატავს თანხმობას მისთვის ამ ხელშეკრულების სავალდებულობაზე (24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). ხელშეკრულების სავალდებულობაზე თანხმობა, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ხელშეკრულების ხელმოწერით, საბუთების გაცვლით, რომლებიც ქმნიან ხელშეკრულებას, ხელშეკრულების რატიფიცირებით, მისი მიღებით, დამტკიცებით, მასთან შეერთებით ან ნებისმიერი სხვა ხერხით, რაზედაც შეთანხმდებიან მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები (მე-11 მუხლი). საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლით, იგი ხდება მოქმედი და, ამდენად, სავალდებულო მისი ყველა მონაწილისათვის, რომლებიც კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ მას (პრინციპი - pacta sunt servanda).

საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოშობს ვალდებულებებს მთლიანად სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, მიმართ, რომლის შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს დაეკისრება საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამიტომ, სახელმწიფო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პრინციპის - pacta sunt servanda-ს შესაბამისად, ვალდებულია შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მიიღოს ყველა ზომა, თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ხელშეკრულების შესასრულებლად. ამასთანავე, ვენის 1969 წლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს თავის შიდა სამართლის დებულებებს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად (27-ე მუხლი). თუ ნაციონალური სამართლის ნორმები წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებთან, სახელმწიფო ვალდებულია შეცვალოს ეს ნორმები და შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

საერთაშორისო ხელშეკრულებების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში ჩართვის, იმპლემენტაციის ხერხები, როგორც წესი, განსაზღვრულია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებას ავტომატურად ანიჭებენ

შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ძალას.[1] საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“ (მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი). კონსტიტუციის ეს ნორმა, როგორც მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, იგი უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩართვას საქართველოს სამართლის სისტემაში და მათ უშუალო მოქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების ადგილს საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში, მათ იურიდიულ ძალას.[2] მართალია, კონსტიტუციის ეს ნორმა პირდაპირ არ მიუთითებს, რომ საქართველოსთვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს სამართლის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა) მისთვის უპირატესი იურიდიული ძალის მინიჭება აზრს დაკარგავდა, ის რომ საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემის შემადგენელ ნაწილად არ იყოს ნაგულისხმევი. ამ საკითხზე რაიმე განსხვავებული მოსაზრების საფუძველს მთლიანად გამორიცხავს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი, რომელშიც, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების განმეორებასთან ერთად, პირდაპირაა აღნიშნული, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“ (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი). აქვეა აგრეთვე მითითება მათი უშუალო მოქმედების შესახებ, ოღონდ გარკვეული დათქმით. სახელდობრ, ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ, თუ ისინი არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული დებულებები სრულად გადმოგვცემენ საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას საერთაშორისო ხელშეკრულებების

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 156.
2 იქვე, გვ. 157.

იურიდიული ძალის და მოქმედების შესახებ, იგი (კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი) მაინც არ არის სწორად ფორმულირებული.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის კი არა, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ის ნორმატიული აქტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობას მიეკუთვნება. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შედგება მხოლოდ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც ამ კანონიდან ჩანს, არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე აქტია. მაშასადამე, იგი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება. თავად „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებას მიაკუთვნებს ნორმატიულ აქტებს, ანიჭებს მას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში ისე, რომ მას კანონმდებლობის ნაწილად არ განიხილავს (მე-3 და მე-5 პუნქტები).

ჩვენი აზრით, კანონმდებელი ამ შემთხვევაში სწორად მოიქცა, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულება ნორმატიული აქტების სპეციფიკური, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან განსხვავებული, სახეობაა. მათ შორის არსებულ ისტორიულ, სტრუქტურულ და ფუნქციონალურ განსხვავებებს[1] რომ თავი დავანებოთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებად ჩაითვლება მხოლოდ ის სამართლებრივი ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის დადგენილი პროცედურების დაცვით. ამ მოთხოვნას კი, საერთაშორისო ხელშეკრულებები ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც მათი მომზადების, მიღების, ძალაში შესვლისა და გაუქმებისათვის დადგენილია სულ სხვა წესები. ამიტომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტების, სამართლის სისტემის (და არა კანონმდებლობის) შემადგენელი ნაწილია. გამომდინარე აქედან, შესაცვლელია „საქართველოს საერ-

1 ამ საკითხზე იხ.: პიტერ მალანჩუკი. აკჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. მეშვიდე შესწორებული გამოცემა, „დიოგენე“, 2005 წ., გვ. 20-21, 80-81; И.И. Лукашук. Конституция России и международное право. В кн.: Общепризнанные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. М.: Международные отношения, 2004, с. 45.

თაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული დებულება.

საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემის, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელი ნაწილი, ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს, რომლის მიზანია ქვეყნის ძირითად კანონთან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის და, საბოლოო ანგარიშში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება, თავისი არსით, ნორმათა კონსტიტუციური კონტროლია, მაგრამ იგი ცალკე, დამოუკიდებელი უფლებამოსილების სახითაა წარმოდგენილი, რადგანაც მისი განხორციელება დაკავშირებულია მრავალ თავისებურებასთან, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების სპეციფიკური ბუნებით აიხსნება.[1]

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ამ სფეროში (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ყველა სახეობის საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისი, უწყებათაშორისი) ხელშეკრულებაზე ვრცელდება. თუ აქტი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, მაშინ იგი საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიძლება დაექვემდებაროს საკონსტიტუციო სასამართლო კოტროლს. კონსტიტუცია აქ გამონაკლისებს არ ითვალისწინებს. მოქმედი კანონმდებლობით კი, შეუძლებელია ქვეყნის ძირითადი კანონით განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვა საერთაშორისო ხელშეკრულების სახეობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ აზუსტებს, თუ რომელ სტადიაზე (ხელშეკრულების დადებამდე, ხელშეკრულების დადების შემდეგ) შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. მათი აზრით, ამ საკითხს ნათელს ჰფენს მხოლოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული

1 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 193.

კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდეც.[1] ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის სწორი. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში ზოგადადაა მითითება საერთაშორისო ხელშეკრულებებზე და მასში, რასაკვირველია, იგულისხმება საქართველოსათვის უკვე ძალაში შესული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, მაგრამ იმავე კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტში გარკვევით იკითხება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმება შესაძლებელია მის რატიფიცირებამდეც, ე.ი. საქართველოსათვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებამდე. ძირითადი კანონის ამ ნორმაში ნათქვამია: „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.“ ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება არ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილი, მდგომარეობას არ ცვლის, რადგანაც ძირითადი კანონის მე-60 მუხლში ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები და, შესაბამისად, იგი არ არის უფლებადამდგენი ერთადერთი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. თავად ამ ნორმაში განმარტებულია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი). სწორედ ასეთი უფლებამოსილებაა განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი კი უფრო აკონკრეტებს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებს და ადგენს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს როგორც საქართველოსათვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ისე რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებები მათ რატიფიცირებამდე (38-ე მუხლი).

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ საკითხს, რომელსაც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველ სფეროში

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 226-228.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად. სახელდობრ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე დაყრდნობით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია წინასწარი კონტროლის ფორმით ვრცელდება არა მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, არამედ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე საქართველოსათვის მათ სავალდებულოდ აღიარებამდე. კ. კორკელია ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ თუ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის დებულებები ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის დადგენის შესაძლებლობაზე, საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ხაზს უსვამს არა რატიფიცირებას, არამედ „საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებას“, რაც გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებას როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ამ წინააღმდეგობის დაძლევაში, კ.კორკელიას აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ.[1]

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტისაგან განსხვავებით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მართლაც, აფართოებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ფარგლებს და ადგენს, რომ „საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებამდე, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ“ (21-ე მუხლის პირველი პუნქტი). როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ობიექტად მხოლოდ სარატიფიკაციო ხელშეკრულებებს კი არ მიიჩნევს, არამედ ყველა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას

1 კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 237-238.

(სარატიფიკაციოს და არასარატიფიკაციოს), რომელთა მიმართ ჯერ არ დასრულებულა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოსათვის მათი სავალდებულოდ აღიარებისათვის.

ჩვენი აზრით, რადგანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება მხოლოდ კონსტიტუციით (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი), ამიტომ ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო აქტით და, მათ შორის, რასაკვირველია, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის უფლებამოსილების გაფართოება დაუშვებელია. ეს საკანონმდებლო კოლიზია დაიძლევა არა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, როგორც ამას გვთავაზობენ, არამედ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანით და კონსტიტუციასთან მისი ნორმების შესაბამისობაში მოყვანით. მანამდე კი, ამ საკითხში გასარკვევად უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით (47-ე მუხლის მე-4 პუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (38-ე მუხლის მე-2 პუნქტი), რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ობიექტად მიიჩნევენ მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ასევე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც, რომელიც „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის არასრულყოფილებაზე მიუთითებს. სახელდობრ, ამ კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოსათვის სავალდებულოდ არ არის აღიარებული (21-ე მუხლი). რაც შეეხება ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მასზე კანონში არაფერია ნათქვამი. გამოდის, რომ ამ კანონის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ წინასწარი კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. საქართველოს კონსტიტუციით, როგორც ეს უკვე ზემოთ ითქვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს როგორც სარატიფიკაციო, ისე ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი. გამომდინარე აქედან, საჭიროდ

მიგვაჩნია, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში სრულად იქნას გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების სფეროში და ამ კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.

ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების როგორც წინასწარ (პრევენციულ), ისე შემდგომ (რეპრესიულ) საკონსტიტუციო კონტროლს. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება წინასწარი კონტროლის უფლებამოსილება და ისიც მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ მათ რატიფიცირებამდე.[1]

საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა ძალაში შესვლისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის რატიფიცირება, განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

„იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

---

1 ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილებით ყველა ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო როდია აღჭურვილი. მაგალითად, ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია აშშ-ის უმაღლეს სასამართლოსა და თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს. თურქეთის კონსტიტუციის 90-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დაუშვებელია საერთაშორისო შეთანხმებათა გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში მათი არაკონსტიტუციურობის საფუძვლით (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედაქტორი ვასილ გონაშვილი, ნაწილი III, თბილისი, 2006 წ., გვ. 337). უმეტეს ქვეყნებში (ავსტრია, ალბანეთი, ანდორა, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, სლოვენია, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი დ სხვ.) საერთაშორისო ხელშეკრულებები ექვემდებარებიან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს. თუმცა, აზერბაიჯანში, საფრანგეთში, სომხეთში, რუსეთში, ესტონეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში იგი ხორციელდება მხოლოდ წინასწარი კონტროლის ფორმით. ამასთანავე, სომხეთში ასეთი კონტროლი სავალდებულოა სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ (იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. «Юрист», М., 2005 г., с. 265-266; М.А. Митюков. Конституционные суды на постсоветском пространстве. М., 1999 г., с. 78).

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასთან და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების სახეობები, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი კიდევ უფრო აფართოებს სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების წრეს და მასში შეაქვს ის ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებას საჭიროებენ საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად მართებულია სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციით დადგენილი ჩამონათვალის გაფართოების შესაძლებლობა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით. ამის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ეხება სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის სფეროში საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის ფარგლების საკითხს და შესაძლებელია იგი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დავის საფუძველი გახდეს.[1] საქმე ისაა, რომ რატიფიცირება ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის როლს ასრულებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადებული ზოგიერთი ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებისათვის საჭიროა პარლამენტის დასტური ანუ რატიფიცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას იურიდიული ძალა არ ექნება. მაგრამ, იმისათვის, რომ ეს საპარლამანტო კონტროლი არ იყოს უსაზღვრო და, შესაბამისად, არ დაირღვეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის ბალანსი საგარეო პოლიტიკის სფეროში, კონსტიტუცია, ერთი მხრივ, განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის განხორციელების კონკრეტულ შემთხვევებზე საპარლამენტო კონ-

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 240-241.

ტროლის განხორციელების ფარგლებს სავალდებულო რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ამომწურავი ჩამოთვლით, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში (36-ე მუხლის პირველი პუნქტი). გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებაში შედის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ კონსტიტუციით (47-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და არა სხვა საკანონმდებლო აქტით. ამიტომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით საერთაშორისო ხელშეკრულების ახალი სახეობის რატიფიცირების სავალდებულობის დადგენის შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს და იგი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ძირითად კანონთან.

თუ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, რომელიმე სხვა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო ხელშეკრულების ახალი სახეობის რატიფიცირების სავალდებულობა, მაშინ, მაგალითად, საქართველოს მთავრობას შეუძლია, კონსტიტუციის (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (34-ე მუხლის პირველი პუნქტის) საფუძველზე, კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 47-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოიწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებიც, კერძოდ, პარლამენტის დადგენილება კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ იურიდიულ ძალას დაკარგავს. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს თავად საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად აღიარებას. იგი ძალაში შევა არასარატიფიკა-

ციო საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ. ასეთივე წესით უნდა გადაწყდეს კომპეტენციური დავა იმ შემთხვევაში, როცა სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტის გვერდის ავლით იქნება საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებული. რასაკვირველია, ამ დროს, წინა საქმისაგან განსხვავებით, მოსარჩელე და მოპასუხე თავიანთ როლებს გაცვლიან.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კომპეტენციის შესახებ დავის შემთხვევაში, თავად საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი არ განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს მხოლოდ იმ საკითხს, კონსტიტუციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების უფლება. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულების შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, მას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების ფარგლებში წინასწარი და შემდგომი კონტროლის ფორმით.

საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი (პრევენციული) საკონსტიტუციო კონტროლის დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულება. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ კანონის თანახმად, „საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობას საქართველოს პარლამენტი გამოხატავს, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის (ან მასთან შეერთებისათვის) წარუდგენს საქართველოს მთავრობა“ (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი). მაგრამ, სანამ პარლამენტი მიიღებდეს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) საფუძველზე, უფლება აქვს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელ-

შეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე.

კონსტიტუციური წარდგინების შეტანა აჩერებს საქართველოს პარლამენტში საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხის განხილვას და, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-4 პუქტშია აღნიშნული, მისი რატიფიცირება დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტებიდან, რატიფიცირებისათვის წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მოთხოვნის უფლებით მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის აღჭურვა, ჩვენი აზრით, ორი გარემოებითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რადგანაც პარლამენტში რატიფიცირებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების წარდგენის უფლება მხოლოდ საქართველოს მთავრობას გააჩნია, ივარაუდება, რომ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ან თავად მის მიერ დადებულ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებას კონსტიტუციურად მიიჩნევს. ამიტომ, საქართველოს მთავრობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით აღჭურვას ამ შემთხვევაში, ლოგიკურად, არ საჭიროებს. მეორე, თუ საქართველოს მთავრობა და მისი მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობა შეეცდება კონსტიტუციის შეუსაბამო საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, საპარლამენტო უმცირესობას ეძლევა შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვით, აღკვეთოს არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება. გამომდინარე აქედან, პარლამენტის წევრთა გარკვეული ჯგუფისათვის ამ უფლების მინიჭება საპარლამენტო უმცირესობის დაცვისა და, საბოლოო ანგარიშში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის ინტერესებს ემსახურება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ იურიდიულ შედეგებს, რომლებიც დადგებარატიფიცირებისათვისწარდგენილისაერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეული ნაწილების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ. ორგანული კანონის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი

საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების დაუშვებლობას (23-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ამ ნორმის აზრიდან გამომდინარეობს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნაწილობრივი რატიფიცირების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების თუნდაც ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობისას, დაუშვებელია ამ საერთაშორისო ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის რატიფიცირება. ასეთი წესი სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია, რადგანაც ნაწილობრივი რატიფიცირება ამ შემთხვევაში გამოიწვევდა ხელშემკვრელ მხარეებთან შეთანხმებული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტში ცალმხრივად ცვლილებების შეტანას, რაც ეწინააღმდეგება თვით ხელშეკრულების ბუნებას. იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების განხილვისას მიუთითებენ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება დაადგეს სამ ალტერნატიულ გზას: უარი განაცხადოს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე; ხელშემკვრელ მხარეებთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილება საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; შეიტანოს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.[1] თუ რომელ გზას აირჩევს სახელმწიფო, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, თუმცა ბოლო ორი ალტერნატიული გზა თანაბრად იძლევა საშუალებას საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის.[2] „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი ასეთი შემთხვევისათვის მხოლოდ ერთ გზას გვთავაზობს, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში, დადგენილი წესით, შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები (21-ე მუხლის მე-3 პუნქტი). სასურველი იყო, კანონში მითითებული ყოფილიყო, რომ ასეთი

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 228-229.

2 იხ. Р. Арнольд. Международное право в немецком правопорядке. В сб.: Общепризнанные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. «Международные отношения», М., 2004 г., с. 199.

საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება შესაძლებელია აგრეთვე, თუ მასში განხორციელდება ცვლილებები და იგი მოყვანილი იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან. აქ, ფაქტობრივად, სახელმწიფო დგას არჩევანის წინაშე, რომელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის: კონსტიტუციის უცვლელად შენარჩუნება და საერთაშორისო ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება. რა თქმა უნდა, კონსტიტუციის სტაბილურობა და უზენაესობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ამიტომ საერთაშორისო ხელშეკრულების ქვეყნის ძირითად კანონთან შეუსაბამობის გამოვლენის ყველა შემთხვევაში, კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია. მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების აუცილებლობამ გადაწონოს კონსტიტუციის სტაბილურობის პრიორიტეტულობა. მაგალითად, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებისათვის ავსტრიაში (1972 წ.) საჭირო გახდა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ხოლო ავსტრიის გაწევრიანებისათვის ევროპის კავშირში (1995 წ.) რეფერენდუმით იქნა მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიერთების ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელმაც გამოიწვია ამ ქვეყნის კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვა. საგულისხმოა, რომ ავსტრიის კონსტიტუცია შეიცავს ნორმას (50-ე მუხლი) იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ, რომლებიც იწვევენ კონსტიტუციაში ცვლილებებს.[1] მაგალითისათვის ასევე შეიძლება მოვიყვანოთ „ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ“, ე.წ. მაასტრიხტის ხელშეკრულება, რომლის საბოლოო ტექსტის ხელმოწერა დასრულდა 1992 წლის 7 თებერვალს და ამის შემდეგ დაიწყო წევრი-სახელმწიფოების პარლამენტებში მისი რატიფიცირების პროცესი. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ალბათ, არც ერთ სხვა დამფუძნებელ ხელშეკრულებას არ შეხვედრია ისეთი სერიოზული სიძნელეები რატიფიცირების ეტაპზე, როგორც ამ ხელშეკრულებას. საქმე ისაა, რომ მაასტრიხტის

1 იხ. А. Адамович. Выполнение международно-правовых обязательств. Дилеммы для национального конституционного права. Конституционное правосудие. Вестник Конференции органов конституционного контроля стран молодой демократии. Выпуск 2 (12) 2001, Ереван, с. 142-144.

ხელშეკრულება კიდევ უფრო აძლიერებდა ევროკავშირის ფედერალურ საწყისებს წევრი-სახელმწიფოების სუვერენული პრეროგატივების დათმობის ხარჯზე.[1] გამომდინარე აქედან, აქტუალური გახდა ამ ხელშეკრულების ნაციონალურ კონსტიტუციებთან შესაბამისობის საკითხი. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მხოლოდ წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს, ქვეყნის პრეზიდენტმა კითხვით მიმართა საკონსტიტუციო საბჭოს, მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების კონსტიტუციურობის, მათი ძალაში შესვლისა და კონსტიტუციის გადასინჯვის შესაძლო აუცილებლობის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭომ მაასტრიხტის ხელშეკრულება არაკონსტიტუციურად ცნო საფრანგეთის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან მიმართებით. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საფრანგეთის პარლამენტის კონგრესმა ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში, უფრო სწორედ, დაამატა ახალი თავი, რომელიც ევროკავშირს ეხებოდა. ამასთანავე, საფრანგეთის პრეზიდენტმა რეფერენდუმზე გაიტანა საკითხი, რომელზეც საფრანგეთის მოქალაქეებს უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება კანონისადმი, რომელიც ამ ხელშეკრულების რატიფიცირების ნებას რთავდა ქვეყნის პრეზიდენტს. რეფერენდუმის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ხელშეკრულების რატიფიცირებას. ამის შემდეგ, პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფმა კითხვით მიმართა საკონსტიტუციო საბჭოს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მაასტრიხტის ხელშეკრულება კონსტიტუციის შეცვლილ დებულებებს და რამდენად კონსტიტუციური იყო რეფერენდუმზე მოწონებული კანონი. საკონსტიტუციო საბჭომ ამჯერად კონსტიტუციის შესაბამისად ცნო მაასტრიხტის ხელშეკრულება, ხოლო სარეფერენდუმო კანონის კონსტიტუციურობის შესახებ დეპუტატთა შეკითხვა განსახილველად არ მიიღო იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა უფლებამოსილება, შეემოწმებინა რეფერენდუმზე მოწონებული აქტების კონსტიტუციურობა.[2] საფრანგეთის მსგავსად, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის გზით გადაჭრეს ანალოგიური პრობლემა ესპანეთმა და გერმანიამ.[3]

---

1 იხ. ლევან ალექსიძე. მით. ნაშრომი, გვ. 132; Конституция Европейского Союза: Договор, устанавливающий конституцию для Европы (с комментарием), «Инфра - М.”, М., 2005 г., с. 9; Б.Н.Топорнин. Европейское право. «Юрист», М., 1998 г., с. 142-148.

2 იხ. Д.В. Даниленко. Конституционный контроль международных обязательств и пересмотр конституции во Франции. В сб.: Общепризнанные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. «Международные отношения», М., 2004 г., с. 302-303.

3 იხ. Д.В. Даниленко. Указ. соч., с. 304; Б.Н. Топорнин. Указ. соч., с. 143.

როგორც ვხედავთ, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი უაღრესად ეფექტიანი საშუალებაა, რომლის მეოხებით შესაძლებელი ხდება, საერთაშორისო ხელშეკრულებების სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ აღიარებამდე, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევა და სათანადო ზომების მიღება. ეს კი, საშუალებას იძლევა ავირიდოთ მოსალოდნელი წინააღმდეგობა ძალაში შესული, კონსტიტუციის შეუსაბამო საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებისა და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპებს შორის.

ამ პრინციპების დაპირისპირების კონკრეტული ფაქტების გამოვლენისას, საკითხის გადაწყვეტის სრულიად განსხვავებული წესი მოქმედებს იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებებს ნაციონალურ კანონმდებლობასთან და, მათ შორის ძირითად კანონთან შედარებით, უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ. მაგალითად, ნიდერლანდების კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „საერთაშორისო ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მიიღება გენერალური შტატების დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით“ (91-ე მუხლის მე-3 პუნქტი).[1] ამის გამო ნიდერლანდებში სასამართლო ვალდებულია, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის კოლიზიის შემთხვევაში, გამოიყენოს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.[2] პორტუგალიის კონსტიტუციის (279-ე მუხლის მე-4 პუნქტი) თანახმად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის ასამბლეა დაამტკიცებს მას ქვეყნის კონსტიტუციის გადასინჯვისათვის საჭირო კვორუმით. ჩვენი აზრით, ასეთი წესი აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მნიშვნელობას კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფაში.

წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ხელშეკრულებების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლისას გაცილებით ფართოა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. „საქართველოს საკონსტიტიციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად,

1 იხ. Конституции государств Европейского Союза. Под. ред. Л.А.Окунькова, «Норма-Инфра», М., 1999 г., с. 491.

2 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 203.

საკონსტიტუციო სასამართლოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს (38-ე მუხლის პირველი და 2^1 პუნქტები).

საერთაშორისო ხელშეკრულების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია საქართველოს მოქმედი, ე.ი. უკვე ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა გზით (რატიფიცირებით, მთავრობის აქტით) არის საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შესული. მთავარია, იგი იყოს მოქმედი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი გახდეს. თუმცა, საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ხერხის გათვალისწინებით, კანონმდებელი განსხვავებულ წესებს ადგენს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის დროს. სახელდობრ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება არ ექვემდებარებოდა რატიფიცირებას და იგი სხვა (არასაპარლამენტო) გზით არის ძალაში შესული, მაშინ ზემოაღნიშნულ სუბიექტებს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უფლება აქვთ, სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მის ცალკეულ დებულებათა) კონსტიტუციურობის თაობაზე (38-ე მუხლის 2^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). მაგრამ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებულია, ე.ი. პარლამენტის აქტით არის ძალაში შესული, მაშინ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში, ხოლო თუ პარლამენტმა 30 დღეში არ გადაწყვიტა ეს საკითხი, მაშინ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება პარლამენტის წინაშე საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების ან გაუქმების საკითხის დასმიდან არა უადრეს 31-ე და არა უგვიანეს მე-60 დღისა (38-ე მუხლის 2^1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). ამრიგად, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს მეოხებით ყოველთვის არ არის შესაძლებელი. იგი განსაზღვრულ წინაპირობებს გულისხმობს და გარკვეული დროით არის შემოფარგლული. ზემოაღნიშნული

რეგულაციების არსი მაინც ისაა, რომ თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის საკითხი პარლამენტმა გადაწყვიტა (რატიფიცირებით), მაშინ მისი არაკონსტიტუციურად ცნობა პარლამენტის გვერდის ავლით კი არ უნდა მოხდეს, არამედ თავდაპირველად მის წინაშე უნდა აღიძრას საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის გამოვლენილი კოლიზიის დასაძლევად. მაგრამ, თუ პარლამენტი უარს აცხადებს არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანაზე ან საერთოდ არ იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე, მაშინ, მხოლოდ ამის შემდეგ, არის შესაძლებელი, და ისიც გარკვეულ ვადაში, უფლებამოსილმა სუბიექტმა სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ვადების დაწესება ამ შემთხვევაში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესებითაა ნაკარნახევი. ორგანულ კანონში ღიად არის დატოვებული საკითხი, თუ ვის აქვს უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, საქართველოს პარლამენტში დააყენოს საკითხი რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული დებულების) დენონსირების ან გაუქმების შესახებ. ამის თაობაზე კ. კორკელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ „პარლამენტში წინადადების წარმდგენი სუბიექტები და საკონსტიტუციო სასამართლოში საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენი სუბიექტები ერთმანეთს ემთხვევა“.[1] თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს სუბიექტებია: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი. მართალია, ეს მსჯელობა ლოგიკურია, თუმცა ასეთი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად, წინადადებას რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა (35-ე მუხლის მე-4 პუნქტი). გამოდის, რომ თუ საქართველოს მთავრობამ არ გამოიჩინა ინიციატივა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ორ სუბიექტს _ საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს არ ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ რატიფიცირებული

1 კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 231.

საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის კანონით მათთვის მინიჭებული უფლება.

ჩვენი აზრით, საჭიროა სათანადო ცვლილების შეტანა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში (38-ე მუხლის 2^1 პუნქტი) და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში (35-ე მუხლის მე-4 პუნქტი), რათა რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ზემოაღნიშნულ სუბიექტებს მიეცეს ამ უფლებამოსილების განხორციელების რეალური შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, განიხილოს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხი როგორც მათი საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებამდე, ისე ძალაში შესვლის შემდეგ, ზოგიერთი ავტორის აზრით, გაურკვეველია, შეუძლია თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, განიხილოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი იმ პერიოდში, როდესაც საქართველომ გამოხატა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შესახებ, მაგრამ ხელშეკრულება ძალაში არ არის შესული საქართველოსთვის (მაგალითად, იმის გამო, რომ არ არის გასული ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო ვადა და სხვ.).[1] ჩვენი აზრით, აქ გაურკვევლობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რადგანაც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (38-ე მუხლის 2^1 პუნქტი) გარკვევით არის მითითებული, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის საგანი შეიძლება იყოს საქართველოს მხოლოდ მოქმედი, ე.ი. ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის სავალდებულოდ არის აღიარებული, მაგრამ მისი ამოქმედება დაკავშირებულია რაიმე ფაქტის დადგომასთან, მაგალითად, რომელიმე თარიღთან, სხვა სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებასთან და ა.შ., მაშინ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის მოქმედი გახდება ამ ფაქტის დადგომის შემდეგ და, შესაბამისად, იგი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 233.

მოექცეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის სფეროში. დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში, საერთაშორისო ხელშეკრულება ვერც საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარ კონტროლს დაექვემდებარება, რადგანაც წინასწარი კონტროლის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულება მის რატიფიცირებამდე. სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში ასეთი კაზუსი კი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების, ე.ი. რატიფიცირების შემდეგ. ამიტომ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებაც შეიძლება მხოლოდ შემდგომ საკონსტიტუციო კონტროლს დაექვემდებაროს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი ამოქმედებისათვის აუცილებელი ფაქტის დადგომის შემდეგ.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების ფარგლებშიც. ჩვენ ამ საკითხს ნაწილობრივ შევეხეთ კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით, კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სახელმწიფო ორგანოებს შორის დავას, თუ რომელი მათგანის კომპეტენციას მიეკუთვნება კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების საკითხის გადაწყვეტა.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება შესაძლებელია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათა კონკრეტული კონტროლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში.

ნორმათა კონკრეტული კონტროლის დროს ის ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ საქმის გადასაწყვეტად და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან, შესაძლებელია საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი) იყოს, რაც საფუძველს აძლევს საერთო სასამართლოს, ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[1] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია პრაქტიკა, როდესაც

1 საგულისხმოა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში შეინიშნება საერთაშორისო აქტების მზარდი გამოყენების ტენდენცია (იხ. კონსტანტინე კორკელია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი, 2004 წ., გვ. 126).

საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე განხილულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი.[1]

იგივე შეიძლება ითქვას საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან. აქ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით. რა თქმა უნდა, ნორმატიულ აქტებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, იგულისხმება აგრეთვე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულოდ არის აღიარებული საქართველოსთვის და უშუალოდ ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებს, ე.ი. ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს. გამომდინარე აქედან, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი) არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია არაკონსტიტუციურად ცნოს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი).

ამასთანავე, ყურადსაღებია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავებულ იურიდიულ შედეგებს ადგენს იმის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს რომელი უფლებამოსილების ფარგლებში ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება. როდესაც მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურად საამისოდ დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი), მაშინ სადავო აქტის (ან მისი ცალკეული ნაწილების) არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული ნაწილების) საქართველოსათვის ბათილად ცნობას (ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი), ხოლო თუ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება

1 იხ. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2002, თბილისი, 2003 წ., გვ. 39-47.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული კონტროლის ან ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უფლებამოსილების ფარგლებში (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი), მაშინ სადავო აქტის (ან მისი ცალკეული ნაწილების) არაკონსტიტუციურობის დადასტურება გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული ნაწილების) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილობა გულისხმობს ამ აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედების მომენტიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასეთ იურიდიულ შედეგებს საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ძირითადი კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. კონსტიტუციით დადგენილი წესიდან ასეთი გადახვევა დაუშვებელია და იგი ძირითადი კანონის მოთხოვნებთან უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი.

კონსტიტუციური წესრიგი მოითხოვს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენას ეხება, უნდა იწვევდეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის, მათ შორის, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ხელშეკრულების, იურიდიული ძალის დაკარგვას მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ექნება უკუძალა. თუმცა, ამ საქმეში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა მაინც არ იქნება საკმარისი საერთაშორისო ხელშეკრულებების სპეციფიკის გამო. საქმე ისაა, რომ არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ორივე შემთხვევაში ნიშნავს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას მისი არაკონსტიტუციურობის გამო. ამ საფუძვლით კი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას ან გაუქმებას არ ითვალისწინებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართ-

ველოს კანონი (მე-3 მუხლის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები). ამის გამო, როგორც მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება სავალდებულოდ დარჩება შესასრულებლად საერთაშორისო დონეზე, ხოლო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე იგი შეწყვეტს მოქმედებას, რაც საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის ტოლფასია.[1]

ზემოაღნიშნული კოლიზიის დასაძლევად ჩვენ წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემაში და ადრეც გამოვთქვით მოსაზრება, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ყოფილიყო დამატება, რომლის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას დაკარგავდა საკითხზე სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ ამ გადაწყვეტილებაში არ იქნებოდა დადგენილი სხვა გვიანდელი ვადა.[2] ეს წინადადება გაიზიარეს და იგი 2017 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მიღებული ძირითადი კანონის ახალი რედაქციის შესაბამის მუხლში აისახა კიდევაც (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი). ამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს მის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში თავის გადაწყვეტილებაში დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის გავლის შემდეგარაკონსტიტუციურადცნობილისაერთაშორისოხელშეკრულება დაკარგავს იურიდიულ ძალას. ამ ვადაში სახელმწიფო ორგანოებს მიეცემათ შესაძლებლობა, განახორციელონ შესაბამისი პროცედურები არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების მიზნით. ამით თავიდან იქნება აცილებული შესაძლო დაპირისპირება საერთაშორისო ხელშეკრულებათა კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებასა და ნაციონალური სამართლის მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობას შორის.

1 იხ. კონსტანტინე კორკელია. მით. ნაშრომი, გვ. 236.

2 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 188.

თავი VII. დასკვნა იმპიჩმენტის თაობაზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილება განპირობებულია კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების პროცედურაში საკონსტიტუციო სასამართლოს მონაწილეობით. იმპიჩმენტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით[1] და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციაში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში, ცალკე არ არის მოხსენიებული და, შესაბამისად, არც მე-60 მუხლშია აღნიშნული, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებია ჩამოთვლილი, თუმცა მისი კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია ძირითადი კანონის 48-ე მუხლში. კონსტიტუციის ეს ნორმა განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა წრეს, რომელთა თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით. ესენია: საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.[2] კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის საფუძველი შეიძლება იყოს ზემოაღნიშნული თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა.[3]

---

1 იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი _ № 3875-რს, ვებგვერდი 14/12/2018. 2018 წლის 5 სექტემბრის კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 24 სექტემბრის კანონი და იმპიჩმენტის მომწესრიგებელი ნორმები გადატანილი იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (იხ. საქართველოს 2018 წლის 5 სექტემბრის კანონი № 3393 / ს, ვებგვერდი, 24/09/2018).

2 საქართველოს კონსტიტუციაში 2008 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე, ამ პირთა წრეში საქართველოს გენერალური პროკურორიც შედიოდა. მას შემდეგ, რაც პროკურატურის ორგანოები მოექცნენ იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში და მათი საერთო ხელმძღვანელობა იუსტიციის მინისტრს დაეკისრა, გენერალურ პროკურორზე იმპიჩმენტის პროცედურა აღარ ვრცელდებოდა (იხ. საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №344 _ სსმ I, № 27, 27.10.2008 წ., მუხ. 168). საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) ამოქმედების შემდეგ, პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა და გენერალურ პროკურორზე იმპიჩმენტის პროცედურა კვლავ გავრცელდა.

3 საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღებამდე,

იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა შეუძლია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, რომელიც უფლებამოსილია კონსტიტუციური წარდგინება შეიტანოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დასკვნის მისაღებად (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი).[1]

პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ დასკვნისათვის შეტანილი უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრიდან 7 დღის ვადაში (178-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ხოლო კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს საკითხი უნდა განიხილოს და პარლამენტს თანამდებობის პირის ქმედებაზე დასკვნა წარუდგინოს კონსტიტუციური წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში (48-ე მუხლის პირველი პუნქტი). „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, იმპიჩმენტის შესახებ კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია (21-ე მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო იმპიჩმენტის შესახებ კონსტიტუციურ წარდგინებას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი რიგგარეშე განიხილავს (31[2] მუხლის მე-13 პუნქტი). ამ კატეგორიის საქმეებზე შემჭიდროებული ვადების დაწესება საკითხის მნიშვნელობითაა განპირობებული. საქმე ეხება კონსტიტუციით გათვალისწინებულ მაღალ თანამდებობის პირებს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ და ფართო კომპეტენციით არიან აღჭურვილნი. ამიტომ, საკითხი მათი თანამდებობიდან შესაძლო გადაყენების შესახებ არ არის მიზანშეწონილი ხანგრძლივად იდგეს კითხვის ნიშნის ქვეშ,

---

რომელიც ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი შეიძლება დამდგარიყო პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710 _ სსმ I, №62, 05.11.2010წ., მუხ. 379).

1 საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღებამდე, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, იმპიჩმენტის შემთხვევაში თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შესახებ დასკვნას გასცემდა უზენაესი სასამართლო, ხოლო კონსტიტუციის დარღვევის შესახებ დასკვნას _ საკონსტიტუციო სასამართლო (იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710 _ სსმ I, № 62, 05.11.2010 წ., მუხ. 379).

რადგანაც ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებასა და სტაბილურობას.

პარლამენტის მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა თავისთავად გულისხმობს დაპირისპირებასა და კონფლიქტს სახელმწიფო ხელისუფლების ამ ორ უმაღლეს ინსტიტუციას შორის, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ შეკავებისა და გაწონასწორების მძლავრი კონსტიტუციური ბერკეტები. ამიტომ, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა სიფრთხილეს იჩენს და საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვავს უფლებით, იმპიჩმენტის თაობაზე საქმის წარმოებისას, მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის მიერ თავისი ფუნქციის განხორციელების დროებით შეუძლებლობის შესახებ (გერმანია, იტალია, უნგრეთი, სლოვენია), რითაც იმპიჩმენტის პროცედურის დასრულებამდე, პრეზიდენტის ყველა უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა დროებით ჩერდება.[1]

მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს კონსტიტუციური წარდგინების დასაბუთებულობის თვალსაზრისითაც. მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს: იმ ქმედების აღწერა, რომელიც საკითხის აღძვრის ინიციატორთა აზრით, იმპიჩმენტის საფუძველია; საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, წარდგინების ავტორთა აზრით, არღვევს თანამდებობის პირი, ან/და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლითაც გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა თანამდებობის პირმა, აგრეთვე სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც წარდგინების ავტორთა აზრით ადასტურებენ წარდგინების საფუძვლიანობას.[2] ამ მოთხოვნათა დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში არა მხოლოდ კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, არამედ არსებითად განსახილველად

---

1 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Отв. ред. В.В. Маклаков, «Норма», М., 2007, с. 276, 309; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, „თბილისელები“, თბილისი, ნაწილი III, გვ. 716; იგივე, ნაწილი V, გვ. 964.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) ძალაში შესვლამდე მოქმედი საქართველოს ძირითადი კანონით, საქართველოს პრეზიდენტს ეკრძალებოდა საქართველოს პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილების გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ახორციელებდა იმპიჩმენტის პროცედურებს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ (51[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

2 იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (178-ე მუხლის მე-2 პუნქტი); „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (31[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

მიღებულ კონკრეტულ საქმეზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფარგლების დასადგენად. მხედველობაში გვაქვს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმა, რომლის თანახმად, იმპიჩმენტთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებისას, „საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს მხოლოდ იმ ქმედებას, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია იმპიჩმენტის საფუძვლად“ (26-ე მუხლის მე-4 პუნქტი). გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს თანამდებობის პირის მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც კონსტიტუციურ წარდგინებაშია აღნიშნული და რომლებიც, წარდგინების ავტორთა აზრით, არღვევს კონსტიტუციას ან/და შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ამასთანავე, კანონის აზრიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ წარდგინებაში თანამდებობის პირის მიმართ ბრალდება შეიძლება შეეხებოდეს იმპიჩმენტის ერთ--ერთ ან ორივე საფუძველს ერთად, ე.ი. ან კონსტიტუციის დარღვევას, ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას, ან ორივეს ერთად. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ვერ იქნება თანამდებობის პირის ის ქმედებები, რომლებიც კონსტიტუციურ წარდგინებაში არ არის აღნიშნული და, შესაბამისად, ბრალდების საფუძვლად არ არის მოყვანილი. კანონის ეს დანაწესი გამომდინარეობს საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ერთ-ერთი ზოგადი პრინციპიდან, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივის უფლებას.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაეყრდნოს კონსტიტუციური სამართალდარღვევისათვის (დელიქტისათვის) დამახასიათებელი ნიშნების (სუბიექტი, ობიექტი, სუბიექტური მხარე, ობიექტური მხარე) შემოწმების შედეგებს და ამის შემდეგ გააკეთოს დასკვნა, ადგილი ჰქონდა თუ არა ამ თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას.[1] რადგანაც კონსტიტუციური დელიქტი არის სამართალდარღვევის ერთ-ერთი სახეობა, ამდენად მისი გამოკვლევისათვის ამ მიდგომის გამოყენება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, თუმცა კონსტიტუციურ-სამართლებრი-

1 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 247-248; კონსტიტუციური დელიქტის შესახებ იხ. პაატა ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ორ ტომად, ტ. I, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2004 წ., გვ. 66-68.

ვი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა ზემოაღნიშნული ნიშნის მიხედვით იმპიჩმენტის ერთ-ერთი საფუძვლის _ კონსტიტუციის დარღვევის, როგორც კონსტიტუციური დელიქტის, დახასიათებას. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, თანამდებობის პირის ქმედებაში უნდა ვიგულისხმოთ როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა, რადგანაც კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია არა მარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც. მოქმედებით კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია, როდესაც თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებით დადგენილი წესების დარღვევით ან არ იცავს ამკრძალავი ნორმების დანაწესს და იქცევა მის საპირისპიროდ. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობასთან შეუთანხმებლად აწარმოა მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დადო საერთაშორისო ხელშეკრულება (52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი); გახდა პოლიტიკური პარტიის წევრი (51-ე მუხლის მე-4 პუნქტი)[1]. უმოქმედობით კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია, როდესაც სათანადო სუბიექტი არ ასრულებს მავალებელი კონსტიტუციური ნორმით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ანუ როდესაც თანამდებობის პირს ეკისრებოდა მოქმედების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოვალეობა, მაგრამ არ ასრულებს მას. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა, მიუხედავად კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნისა, არ დანიშნა ახალარჩეული პარლამენტის პირველი

1 აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის სწორედ ამ ნორმის დარღვევის ბრალდებით, 2001 წელს საქართველოში იყო პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის განხორციელების ერთადერთი მცდელობა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციური წარდგინება, რადგანაც იგი შეტანილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 5 ივნისის განჩინება, საქმე №2/159/1). საერთოდ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი, სახელდობრ, 2004 წელს ლიტვის პრეზიდენტი რ. პაკსოსი იმპიჩმენტის წესით გადაყენებული იქნა თანამდებობიდან კონსტიტუციის უხეში დარღვევის გამო (იხ. Конституционный контроль в зарубежных странах. Отв. ред. В.В.Маклаков. «Норма», М., 2007, с. 546-552).

სხდომის დღე (38-ე მუხლი), არ დაითხოვა პარლამენტი და არ დანიშნა რიგგარეშე არჩევნები (56-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

კონსტიტუციის დარღვევა შესაძლებელია თანამდებობის პირის მიერ სამართლებრივი აქტის გამოცემითაც, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებს. თუმცა, თანამდებობის პირის მიერ გამოცემულ და მოქმედ სამართლებრივ აქტზე მითითება, რომ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ყოველთვის ვერ გამოდგება მისი იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის საფუძვლად. თუ კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია სპეციალური უფლებამოსილება თანამდებობის პირის სადავო სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გადასაწყვეტად (მაგალითად, ნორმათა კონტროლი, კომპეტენციური დავები, არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის კონტროლი და სხვ.), მაშინ სადავო სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა გადაწყდეს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორედ ამ უფლებამოსილების ფარგლებში.

თანამდებობის პირის სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება და თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შესახებ დასკვნის შედგენა საკონსტიტუციო სამართალწარმოების სრულიად განსხვავებული წესებით ხდება. მხედველობაში გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები, მიმართვის ფორმა, საქმის განხილვის პროცედურები, გადაწყვეტილების ფორმა, მისი იურიდიული შედეგები და ა.შ. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს განსხვავებები, ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მაგალითად, ნორმათა კონტროლი ხორციელდება სასარჩელო ფორმით, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, ხოლო იმპიჩმენტის თაობაზე დასკვნა _ წარდგინების ფორმით, მხარეებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გარეშე. ამიტომ, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმპიჩმენტთან დაკავშირებული ულებამოსილების ფარგლებში თანამდებობის პირის სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა, თუ ამისათვის არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური უფლებამოსილება.

აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე ერთი გარემოებაც, რომელიც პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს ეხება. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი სამართლებრივი აქტი ექვემდებარება თანახელმოწერას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანა-

ხელმოწერის შემთხვევაში. პრეზიდენტის ასეთ სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას (53-ე მუხლის პირველი პუნქტი). გამომდინარე აქედან, თუ საქართველოს პრეზიდენტის თანახელმოწერილი სამართლებრივი აქტი შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება არაკონსტიტუციურად, ეს არ შეიძლება გახდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი, რადგანაც თანახელმოწერა თავად კონსტიტუციით მიჩნეულია პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად. პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ნაცვლად დაეკისრება მთავრობას.

თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ყოველთვის გულისხმობს კონსტიტუციის რომელიმე ნორმის დარღვევას. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს პრეზიდენტის მიერ ფიცის დარღვევა, რადგანაც ფიცის ტექსტი საქართველოს კონსტიტუციის ნორმითაა გათვალისწინებული (51-ე მუხლის პირველი პუნქტი), პრეზიდენტს აკისრებს მნიშვნელოვან მოვალეობებს და ამდენად მისი შეუსრულებლობა კონსტიტუციის დარღვევად იქნება მიჩნეული.[1]

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისაგან უნდა განვასხვაოთ საკონსტიტუციო სამართლის პრინციპები, რომელთა დიდი ნაწილი მოცემულია თავად კონსტიტუციაში და წარმოადგენს ფუძემდებლურ იდეებსა და საწყისებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლის ამ დარგის ძირითად არსს და ბუნებას.[2] კონსტიტუციაში განმტკიცებულია, მაგალითად, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილების, სახალხო სუვერენიტეტის, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემისა და დაცვის, კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის და სხვა პრინციპები. რადგანაც ეს კონსტიტუციური პრინციპები არ ადგენენ ქცევის მკაფიოდ განსაზღვრულ წესს, არამედ წარმოადგენენ სახელ-

1 იხ. გიორგი კახიანი. მით. ნაშრომი, გვ. 253.
მიუხედავად იმისა, რომ ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიცის ტექსტი კონსტიტუციითაა გათვალისწინებული (82-ე მუხლი), პრეზიდენტის იმპიჩმენტის დამოუკიდებელ საფუძვლად, კონსტიტუციის დარღვევასთან და დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენასთან ერთად, მიჩნეულია აგრეთვე პრეზიდენტის მიერ ფიცის უხეში დარღვევა (86-ე მუხლი). – იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი. თბილისი, 2008 წ., ნაწილი II, გვ. 358.

2 საკონსტიტუციო სამართლის პრინციპების შესახებ იხ. პაატა ცნობილაძე. მით. ნაშრომი, გვ. 24-25; ოთარ მელქაძე. კონსტიტუციონალიზმი. „უნივერსალი“, თბილისი, 2008, გვ. 25-26. Конституционное право зарубежных стран. Под ред. М.В. Баглая, Ю.И. Лейбо, Л.М. Энтина. «Норма», М., 2000, с. 32-33; Теория государства и права. Под ред. В.М. Корельского и В.Д. Перевалова. «Норма», М., 1997, с. 237-240.

მძღვანელო, ფუძემდებლურ იდეებს, ერთგვარ პროგრამულ დებულებებს კანონმდებლისათვის, ამიტომ სწორედ მათ საფუძველზე და მათი სულისკვეთების შესაბამისად ხდება სამართლის კონკრეტული ნორმების ჩამოყალიბება როგორც თავად კონსტიტუციაში, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებში. კონსტიტუციური პრინციპები მხოლოდ კონკრეტულ ნორმებთან კავშირში იძენენ ნორმატიულ მნიშვნელობას.[1] მათ გარეშე, მხოლოდ კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე შეუძლებელია კონკრეტული შემთხვევის, მათ შორის, თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა. სწორად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სარჩელი, რომელიც ეფუძნება, მაგალითად, მხოლოდ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევას, ჩვეულებრივ, არ მიიღება.[2] ასევე არ უნდა იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად იმპიჩენტის თაობაზე პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინება, რომელშიც იმპიჩმენტის საფუძვლად მითითებულია თანამდებობის პირის მიერ მხოლოდ კონსტიტუციის რომელიმე პრინციპის დარღვევა. თანამდებობის პირის ქმედებით დარღვეული უნდა იყოს ქცევის ზოგადი წესის დამდგენი კონსტიტუციის კონკრეტული ნორმა, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს თანამდებობის პირის ქმედების კონსტიტუციურობის შეფასება. კონსტიტუციური პრინციპი კი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ, როგორც დამხმარე კრიტერიუმი, დამატებითი არგუმენტი ნორმის განმარტებისა და სწორი შეფასებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური პრინციპების გამოყენების ამ ფარგლებზე მიუთითებს პროფ. ქ. ერემაძე, როდესაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, იკვლევს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში კონსტიტუციური პრინციპების მნიშვნელობის საკითხს. მისი აზრით, „საკონსტიტუციო სასამართლო უშუალოდ კონსტიტუციის პრინცეპებთან სადავო ნორმის შესაბამისობაზე არ მსჯელობს, მაგრამ სავალდებულოდ მიიჩნევს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენოს მათი რესურსი კონსტიტუციის სწორი განმარტებისათვის...“[3]

---

1 კონსტიტუციური პრინციპისა და ნორმის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. „მერიდიანი“, თბილისი, 2005 წ., გვ. 334-336.

2 იქვე, გვ. 339.

3 ქეთევან ერემაძე. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი, 2013, გვ. 9-10.

ახლა რაც შეეხება იმპიჩმენტის მეორე საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) ამოქმედებამდე და მის შესაბამისად მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებამდე, ძნელი შესამჩნევი არ იყო ის არათანმიმდევრულობა, რომელსაც კანონმდებელი იჩენდა იმპიჩმენტის ამ საფუძვლის სახელდებისას. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლად კონსტიტუცია მიიჩნევდა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობას (75-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 63-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები), ხოლო კონსტიტუციის 64-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის პირების იმპიჩმენტის საფუძვლად – დანაშაულის ჩადენას (64-ე მუხლის პირველი პუნქტი). ცნებათა გამოყენებაში ასეთივე არათანმიმდევრულობა აღინიშნებოდა „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. იმპიჩმენტის განმარტებისას და მისი საფუძვლების განსაზღვრისას, კანონში მითითებული იყო თანამდებობის პირის მიერ „დანაშაულის“ ანდა „სისხლის სამართლის დანაშაულის“ ჩადენაზე (პირველი და მე-2 მუხლები), ხოლო იმპიჩმენტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნასთან დაკავშირებული საკითხების გადმოცემისას – თანამდებობის პირის ქმედებაში „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების“ არსებობაზე (მე-9 და მე-10 მუხლები). ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, ამ მხრივ უფრო თანმიმდევრული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში, იმპიჩმენტის ამ საფუძვლის აღსანიშნავად, ყველგან გამოყენებული იყო ცნება _ „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა“ (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი, 41-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საკანონმდებლო აქტებში ცნებათა ასეთი აღრევა დაუშვებელია და მან შესაძლებელია სერიოზული პრობლემები წარმოშვას იმპიჩმენტის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების დადგენის თვალსაზრისით. „სისხლის სამართლის დანაშაული“ და „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა“ არ არის იდენტური ცნებები და საკანონმდებლო აქტებში მათი გამოყენებისას მეტი სიფრთხილეა საჭირო.[1]

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება იმპიჩმენტის პროცესში. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 2/3, 2015 წ., გვ. 49; ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 233.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ თანახმად, დანაშაული არის ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). როგორც ვხედავთ, დანაშაულის ცნებითი ნიშნებია: 1) ქმედების შემადგენლობა, ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა და 3) ბრალი. იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ დანაშაულის ცნების სტრუქტურის სწორედ ამ სამივე ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს. გამომდინარე აქედან, არ შეიძლება იმპიჩმენტის საფუძვლად მხოლოდ „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის“ ცნების გამოყენება, რადგანაც იგი დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია და ამიტომ არ არის საკმარისი საფუძველი ქმედების დანაშაულად მიჩნევისათვის. ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებულად მიუთითებს პროფ. ოთარ გამყრელიძე: „საქმე ის არის, რომ დანაშაულის პირველი ნიშანი „ქმედება“ შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ იგი არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, არ ეწინააღმდეგებოდეს სამართალს. ზოგჯერ კი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სხვადასხვა გარემოების გამო არ შეერაცხება ბრალად მის ჩამდენს. ასეთ შემთხვევაში დანაშაული არ არის ჩადენილი“.[1] პროფ. ოთარ გამყრელიძეს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩადენილი ქმედების შემადგენლობა, მართალია, შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.[2]

ჩვენი აზრით, არც ის იყო სწორი, როდესაც კონსტიტუციაში და საკანონმდებლო აქტებში იმპიჩმენტის ერთ-ერთ საფუძვლად თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენა იყო მიჩნეული. საქმე ისაა, რომ იმპიჩმენტის ინიციატორთა მიერ თანამდებობის პირის მიმართ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებას უნდა მოჰყვეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომ ამ პირმა მართლაც ჩაიდინა ინკრიმინირებული დანაშაული. არადა, როგორც კონსტიტუციით, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მე-5 მუხლის პირველი პუნქტი), პირი დამნაშავედ ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი

1 ოთარ გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2005, გვ. 74-75.

2 იქვე, გვ. 81-82, 85-87.

დამნაშავეობა დამტკიცებულია კანონით დადგენილი და კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. იმ დროსაც კი, როდესაც უზენაესი სასამართლო მონაწილეობდა იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებაში და თავისი დასკვნით ადასტურებდა თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ეს სრულებითაც არ იძლეოდა საფუძველს იმის მტკიცებისათვის, რომ ამ თანამდებობის პირმა მართლაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაული, რადგანაც არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ერთადერთი სამართლებრივი აქტია პირის დამნაშავედ ცნობისათვის. უზენაესი სასამართლოს დასკვნით პირის დამნაშავედ ცნობას კანონმდებლობა არც მაშინ და არც ახლა არ ითვალისწინებს.

ამ წინააღმდეგობის თუ შეუსაბამობის ასახსნელად არ გამოდგება საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული იმპიჩმენტის გაგება. პროფ. ევა გოცირიძე, რომელმაც მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა იმპიჩმენტის ინსტიტუტს აშშ-ში, აღნიშნავს: „ყველგან – ინგლისშიც, შეერთებულ შტატებშიც – იმპიჩმენტის საფუძვლების განსაზღვრისას გამოყენებული ტერმინოლოგია, ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივია; მაგრამ, მათში ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი გაგება კი არ იგულისხმება, არამედ – პოლიტიკური. იმპიჩირებადი დარღვევა სტატუტით ან ორდინარული საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაული კი არ არის, არამედ – „დანაშაული პარლამენტის თვალთახედვით“.[1] ჩვენი სამართალი, რომელიც რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს[2] მიეკუთვნება, „დანაშაულის“ და „დამნაშავის“ ცნებების ასეთ დუალისტურ გაგებას არ იცნობს და არც კანონმდებლობაში იყენებს.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად, ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ (უნგრეთი, პოლონეთი) იმპიჩმენტის პროცედურის ფრიად ორიგინალური მოდელი შემოიღო.

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით, ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად საჭიროა

1 ევა გოცირიძე. იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, „უნივერსალი“, თბილისი, 2013, გვ. 42.

2 საერთო სამართლისა და რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების შესახებ იხ. რენე დავიდი. თანამედროეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. პროფ. თედო ნინიძის თარგმანითა და წინასიტყვაობით, „განათლება, თბილისი, 1993, გვ. 39-134, 211-287.

პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივა და ორი მესამედის უმრავლესობის მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო მის თანამდებობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების შესახებ დებულებები. ამ შემთხვევაში ბრალდება წარდგენილი უნდა იქნეს პარლამენტის წევრთაგან არჩეული სპეციალური პროკურორის მიერ. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დამნაშავედ ცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტს განზრახი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, იგი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი და მის მიმართ იმავდროულად გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსით შესაბამისი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა (31[3] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, 32-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები)[1].

პოლონეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და კონსტიტუციით განსაზღვრული სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციისა და კანონის დარღვევის, ასევე დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის საქმის განხილვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით შექმნილია კვაზისასამართლო სახელმწიფო ორგანო _ სახელმწიფო ტრიბუნალი, რომელიც შედგება დეპუტატთა და სენატორთა შემადგენლობიდან სეიმის მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით არჩეული თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილისა და 16 წევრისაგან. სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ დასანიშნი სასჯელის სახეები განსაზღვრულია კანონით. ტრიბუნალის თავმჯდომარეა უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეებს უნდა გააჩნდეთ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია (145-ე მუხლი, 198-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 199-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).[2]

თუ უნგრეთში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მართლმსაჯულების განხორციელების, ანუ საერთო სასამართლოს ფუნქციის დაკისრებასთან გვაქვს საქმე, პოლონეთში პირთა წრის მიხედვით სპეციალური სასამართლო ორგანოა შექმნილი, თანაც

1 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი III, „თბილისელები“, თბილისი, 2006, გვ. 716.

2 იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი II, თბილისი, 2008, გვ. 659, 671.

არაპროფესიონალებისაგან. ჩვენი აზრით, იმპიჩმენტის როგორც ერთი, ისე მეორე მოდელი ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების, საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს და ვერ იძლევა ამ პრობლემის გადაჭრის მისაბაძ მაგალითს.

იმპიჩმენტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად, ჩვენ თავის დროზე გამოვთქვით მოსაზრება, რომ იმპიჩმენტის საფუძვლის განსაზღვრისას, მიზანშეწონილი იქნებოდა, კანონმდებელს უარი ეთქვა „დანაშაულის ჩადენის“ და „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის“ ცნებების გამოყენებაზე და მათ ნაცვლად იმპიჩმენტის საფუძვლად დაედგინა თანამდებობის პირის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების არსებობა.“[1] უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ეს წინადადება გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) და, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. ამ საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სამართალწარმოების თავისი სტანდარტების დაცვით დაასკვნის, რომ თანამდებობის პირის ქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები, ე.ი. გამოთქვამს დასაბუთებულ ვარაუდს თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ, მაშინ თანამდებობის პირი დამნაშავედ კი არ იქნება ცნობილი, რაც მხოლოდ საერთო სასამართლოს კომპეტენციაა, არამედ მას დაეკისრება კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – გადაყენებული იქნება თანამდებობიდან. მაშასადამე, ამ შემთხვევაში კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის დარღვევა, არამედ კონსტიტუციის მოთხოვნის დარღვევა, რომელიც იმპიჩმენტის მუქარით კრძალავს განსაზღვრული თანამდებობის პირების ისეთ ქცევას (ქმედებას), რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. რაც შეეხება იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებული პირის პასუხისგებაში მიცემის საკითხს, იგი გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ე.ი. ამ პირის დამნაშავეობის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით.

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, გვ. 238.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ პარლამენტისათვის დასკვნის წარდგენით, რომელშიც დადგენილია ან უარყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში აღნიშნული პირების ქმედების კონსტიტუციურობა ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი). თუ საკონსტიტუციო სასამართლო თავისი დასკვნით დაადასტურებს ამ პირთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას ან/და კონსტიტუციის დარღვევას, პარლამენტი, დასკვნის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში, განიხილავს და კენჭს უყრის მათი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადასაყენებლად საკმარისია პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი). თუ პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ პირთა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძვლით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. დაუშვებელია აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია იმპიჩმენტის შესახებ ნორმებით მხოლოდ იმ შემთხვევებს აწესრიგებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დადებით დასკვნას გასცემს. რაც შეეხება საკითხს, თუ რა იურიდიული შედეგები მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოს უარყოფით დასკვნას, ამის შესახებ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი. ეს და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დეტალურადაა მოწესრიგებული საქართველოს პარლა-

მენტის რეგლამენტში და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით არ დაადასტურა ზემოაღნიშნული თანამდებობის პირების მიერ არც კონსტიტუციის დარღვევა და არც მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, იმპიჩმენტის პროცედურა შეწყდება (179-ე მუხლის მე-6 პუნქტი). მაშასადამე, იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება, პარლამენტის მიერ მისი აღძვრის შემდეგ, მთლიანად არის დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციაზე. თუმცა ამას ვერ ვიტყვით იმპიჩმენტის საბოლოო შედეგზე, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის მიუხედავად, თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს საბოლოოდ პარლამენტი წყვეტს კენჭისყრით. ამრიგად, იმპიჩმენტის პროცედურის ფინალურ სტადიაზე მხოლოდ პარლამენტს ეძლევა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება. პროფ. გიორგი კახიანს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომლითაც დადასტურებულია თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, საკონსულტაციო ხასიათისაა და, შესაბამისად, მას არა აქვს სავალდებულო, დამდგენი ძალა.[1]

ეს მოსაზრება არა გვგონია სწორი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების იურიდიული ძალის გათვალისწინებით. „საქართველოსსაკონსტიტუციოსასამართლოსშესახებ“ორგანულიკანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ერთ-ერთი სახეობაა გადაწყვეტილებასთან, განჩინებასთან და საოქმო ჩანაწერთან ერთად (43-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება (43-ე მუხლის მე-8 პუნქტი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს, და მათ შორის დასკვნას, მხოლოდ დამდგენი ძალა გააჩნია და არ შეიძლება ჰქონდეს საკონსულტაციო ხასიათი. გამომდინარე აქედან, იმპიჩმენტის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს საქართველოს პარლამენტისათვის და, შესაბამისად, მისი გადასინჯვის უფლება

1 იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 259.

პარლამენტს არა აქვს. ამიტომ, როდესაც პარლამენტი იმპიჩმენტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას განიხილავს, მას არა აქვს უფლება უარყოს ან შეცვალოს დასკვნის შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადებითი დასკვნის გამოტანის შემდეგ, თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ფაქტი დადასტურებულად ითვლება. პარლამენტს, მოქმედი კანონმდებლობით, ამ თანამდებობის პირის მიმართ შეუძლია მხოლოდ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა _ თანამდებობიდან გადაყენება. პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ორგანოს, ასეთი დისკრეციული უფლებამოსილების გამო, იმპიჩმენტის პროცესი ამ სტადიაზე, რა თქმა უნდა, წმინდა პოლიტიკურ ბუნებას იძენს. პარლამენტი ამ შემთხვევაში კონსტიტუციურ-სამართლებრივი სანქციის გამოყენებისას ხელმძღვანელობს პოლიტიკური მოტივებით და არა სამართლებრივი კრიტერიუმებით. მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ იმპიჩმენტს არა აქვს პოლიტიკური ბუნება. პროფ. ევა გოცირიძე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, სადაც იმპიჩმენტის უფლებამოსილება მიკუთვნებული აქვს მხოლოდ კონგრესს, ანუ ხელისუფლების პოლიტიკურ განშტოებას, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ პოლიტიკური კრიტერიუმებითა და სტანდარტებით, საქართველოში იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლო ხელისუფლებაც მონაწილეობს, რომელმაც იმპიჩმენტის საკითხზე შესაბამისი დასკვნის მომზადებისას სამართლებრივი კრიტერიუმებითა და სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს. „იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების ჩართვა, _ დაასკვნის ავტორი, _ თავისთავად, მთლიანად უცვლის იმპიჩმენტს ხასიათს, ნიადაგს აცლის მის თანდაყოლილ „პოლიტიკურობას“.[1]

ჩვენი აზრით, ქართული იმპიჩმენტის პროცედურაში საკონსტიტუციო სასამართლოს მონაწილეობა, მართალია, მნიშვნელოვნად ცვლის იმპიჩმენტის ხასიათს, მაგრამ არა იმდენად, რომ იგი წმინდა სამართლებრივ ინსტიტუტად გადააქციოს. პოლიტიკური შემადგენელი აქ მაინც საკმაოდაა წარმოდგენილი. იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანა პარლამენტის _ პოლიტიკური ორგანოს, ხელში რჩება. ამიტომ იმპიჩმენტის

1 ევა გოცირიძე. იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. „უნივერსალი“. თბილისი, 2013, გვ. 165, 171.

ქართული მოდელის შეფასებისას, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. იმპიჩმენტის ამერიკული მოდელი, როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. ევა გოცირიძე, მთლიანად პოლიტიკური ბუნებისაა, რომელიც საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ხელისუფლებას, გააკონტროლოს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. იგი დამაბალანსებელი საშუალებაა საპრეზიდენტო ვეტოსა და სასამართლო კონტროლის საპასუხოდ.[1] განსხვავება იმპიჩმენტის ქართულსა და ამერიკულ მოდელებს შორის მართლაც არსებითია, თუმცა, გასარკვევია, რომელი მოდელი უფრო პასუხობს იმ ამოცანებს, რომელიც ამ ინსტიტუტის წინაშე დგას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმპიჩმენტი უნდა იყოს პოლიტიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი თუ სამართლებრივი ინსტიტუტი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმპიჩმენტის საჭიროება აშკარაა მაშინ, როდესაც არ არსებობს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის პოლიტიკური გზით თანამდებობიდან გადაყენების ეფექტიანი მექანიზმი. მაგალითად, ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ რამდენიმე წლით და სარგებლობს პირადი იმუნიტეტით, შეუძლებელია პოლიტიკური გზით ჩამოშორებული იქნას თანამდებობას შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე.[2] ასევეა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი სხვა თანამდებობის პირებიც, გარდა მთავრობის წევრისა, რომელთა თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი). იმპიჩმენტის ინსტიტუტის ამ დანიშნულებიდან ნათლად იკვეთება, რომ იგი არ უნდა იყოს პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტი, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ზომა. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ იმპიჩმენტის საფუძველი, როგორც წესი, არის არა ის გარემოება, რომ თანამდებობის პირმა ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს, დაკარგა პოლიტიკური მხარდაჭერა და ნდობა, რაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს, არამედ ის, რომ მან დაარღვია კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნები, ე.ი. ჩაიდინა სამართალდარღვევა, რასაც იურიდიული, კერძოდ კი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

1 იხ. ევა გოცირიძე. მით. ნაშრომი, გვ. 32

2 იხ. Современный немецкий конституционализм. М., 1994, с. 35.
საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“ (51-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

მოჰყვება.[1] კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ ზომას, სანქციას იმპიჩმენტის დროს წარმოადგენს კონსტიტუციით გათვალისწინებული სუბიექტების თანამდებობიდან გადაყენება. ამ სანქციის გამოყენებით რამდენიმე მიზანი მიიღწევა: ჯერ ერთი, თანამდებობის პირის თვითნებობის აღკვეთა და მეორეც, თანამდებობის პირისათვის იმუნიტეტით სარგებლობის შეწყვეტა და მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის (მაგალითად, დანაშაულისათვის) პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობის შექმნა. იმპიჩმენტის ეს მიზნები კარგად ჩანს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ თანამდებობის პირი, რომლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი აღიძრა, გადადგა ან გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა წყდება“ (178-ე მუხლის მე-6 პუნქტი). ასეთ შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცედურა წყდება იმიტომ, რომ მიზანი, რომლისთვისაც იმპიჩმენტი გამოიყენება, უკვე მიღწეულია – თანამდებობის პირი ჩამოცილებულია სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას. გადადგომის ან განთავისფულების შემდეგ, ის უკვე კერძო პირია. იმპიჩმენტის პროცედურა კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების და არა კერძო პირების მიმართ.

თანამდებობიდან გადაყენება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ზომა, მაგრამ, განსხვავებით პოლიტიკურისა, კონსტიტუციური პასუხისმგებლობის დროს ამ სანქციის გამოყენების საფუძველი, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის სამართალდარღვევაა. ამას მოწმობს იმპიჩმენტის საფუძვლების კონსტიტუციისეული განსაზღვრებები სხვადასხვა ქვეყნებში. როგორც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, იმპიჩმენტის დროს ბრალდების მიზანია სახელმწიფოს მეთაურის გადაყენება არა პოლიტიკური საფუძვლებით, არამედ კონსტიტუციის ან სხვა კანონების დარღვევის გამო.[2] გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით

1 პოლიტიკური და კონსტიტუციური პასუხისმგებლობის განსხვავების შესახებ იხ. Н.М. Колосова. Конституционная ответственность в Российской Федерации: Ответственность органов государственной власти и иных субъектов права за нарушение конституционного законодательства Российской Федерации. «Городец», М., 2000, с. 15-23.

2 Lechner / Zuck. Bundesverfassungsgerichtsgesetz. Kommentar. 8 neu bearbeitete und erweiterte Auflage, C.H.Beck, München, 2018, S. 455.

თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებაა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის.[1]

რადგანაც იმპიჩმენტი გულისხმობს იურიდიული, კერძოდ კი _ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას თანამდებობის პირზე მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, ამიტომ მიზანშეწონილია იგი სასამართლო ხელისუფლებამ განახორციელოს და არა პოლიტიკურმა ორგანომ _ პარლამენტმა, რომლისთვისაც ეს ფუნქცია უჩვეულოა და ამ უფლებამოსილებით მისი აღჭურვა მრავალ პრობლემას წარმოშობს. სანქციის _ თანამდებობიდან გადაყენების საკითხიც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. პარლამენტს დარჩება მხოლოდ ბრალდების აღძვრის და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რაც სავსებით გამართლებული და სწორია. იმპიჩმენტის ასეთი მოდელი გამოიყენება ევროპულ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში ძირითადი კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად, ბუნდესტაგი ან ბუნდესრატი უფლებამოსილია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე აღძრას ბრალდება ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ მის მიერ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევაში. თუ ბრალდება აღმოჩნდება დასაბუთებული, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განაცხადოს მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.[2]

თავი VIII. დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება ასეთი სახითაა ჩამოყალიბებული: საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით „პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს“ (მე-4 პუნქტის „ზ“

1 იხ. Н.В. Витрук. Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс. 2-е изд. и доп. – «Юрист», М., 2005, с. 283.

2 იხ. Jarass / Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar. 15. Auflage, C.H.Beck, München, 2018, S. 844-845.

ქვეპუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების კონსტიტუციური საფუძვლებისა და მისი ფარგლების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქართველოს კოსტიტუციის 39-ე მუხლს, რომელშიც მითითებულია, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა პარლამენტის პრეროგატივაა, თუმცა ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში (მე-5 პუნქტი). ამავე მუხლშია მოცემული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალიც (მე-5 პუნქტის „ა“ - „თ“ ქვეპუნქტები). საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებებზე დაყრდნობით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი სათანადო ადგილს მიუჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებას მე-19 მუხლში. მასში, კერძოდ, ნათქვამია: საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი“ (პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგლამენტაციაში ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

პირველი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ზემოაღნიშნულ ნორმაში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება ისეა ფორმულირებული, რომ მასში არ არის პირდაპირი მითითება განსჯადი საკითხის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე, თუმცა ამავე კანონის სხვა ნორმაში (მე-40 მუხლის პირველი პუნქტი) არაორაზროვნად იკითხება, რომ ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში სათანადო სუბიექტის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი.[1] გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დაზუსტების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, საკონსტიტუციო სასამართლოს

1 აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია პროფ. გ. კახიანმა. იხ. გიორგი კახიანი. საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი. „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 279-280.

ამ უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგლამენტაციისას, მკაფიოდ იყოს მითითება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხზე.

მეორე. საქართველოს კონსტიტუციის აზრიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხი, თუ მასზე პარლამენტს უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული და ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს უფლებამოსილი სუბიექტი. აღნიშნული წინაპირობების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ამ საკითხზე. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავს სათანადო სუბიექტის კონსტიტუციურ სარჩელს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნით, თუ პარლამენტს არა აქვს მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მაშასადამე, ამ კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. ამიტომ, თუ არ არსებობს პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ვერც საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს მის კონსტიტუციურობაზე. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც არის დასაზუსტებელი საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხი“.

მესამე. საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც უკვე ითქვა, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება დადგენილების სახით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი), პარლამენტის დადგენილება საკადრო ან პერსონალურ საკითხებზე არ არის ნორმატიული აქტი. გამომდინარე აქედან, რადგანაც

პარლამენტის დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პერსონალურ საკითხს ეხება, ამდენად იგი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია. მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ კატეგორიის საქმეებზე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით, პროფ. გიორგი კახიანი აღნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში ეს არის ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის რეალიზებისას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებაა შესაძლებელი.“[1]

ავტორი სწორად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში მოქცეულია ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მართლაც, უჩვეულო ფუნქციაა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებდა, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე მოქმედ კონსტიტუციაში (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების განსაზღვრისას, მითითებული იყო მხოლოდ ნორმატიული აქტების იურიდიული ძალის დაკარგვაზე და, შესაბამისად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი მხოლოდ ნორმატიული აქტი იყო.

რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა, უზრუნველყოს, უწინარეს ყოვლისა, ნორმატიული აქტების შესაბამისობა ქვეყნის ძირითად კანონთან. რაც შეეხება ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში, მათი მართლზომიერების შემოწმება, როგორც წესი, ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენით შემოიფარგლება, რაც საერთო სასამართლოების, და არა საკონსტიტუციო სასამართლოს, კომპეტენციაა. კონსტიტუციური კანონიერების დაცვა და კონსტიტუციის უზენაესობა ასეთ პირობებში მიიღწევა იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, ხოლო საერთო სასამართლოები _ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობას საკანონმდებლო აქტებთან და

1 გიორგი კახიანი. მით. ნაშრომი, გვ. 280.

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობას ნორმატიულ აქტებთან.

ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში, ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაშვებულია იმდენად, რამდენადაც ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციით დადგენილი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პერსონალურ შემადგენლობას. საკითხის მნიშვნელობის და დავის საგნის თავისებურებების გათვალისწინებით, კანონმდებელმა მისი გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიაკუთვნა. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ხდება. მსგავსი რამ, მაგალითად, არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის კონსტიტუციურობის შემოწმების დროსაცაა შესაძლებელი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ჩასატარებელი არჩევნების (პრეზიდენტის, პარლამენტის და სხვ.) დანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (23-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დანიშნული არჩევნები. არჩევნებს კი ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებით, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია. ამიტომ არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის საქართველოს პრეზიდენტის ამ სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას.

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ნორმის დებულებას, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) იგი უკვე შეცვლილია და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების განსაზღვრისას „ნორმატიული აქტის“ ნაცვლად მითითებულია ზოგადად „აქტზე“ (სამართლებრივ აქტზე – ჯ. ხ.), რომელშიც იგულისხმება როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი).

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიციიდან ირკვევა, ამ უფლება-

მოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლი ორი მიმართულებით ხორციელდება, სახელდობრ: პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის (1) ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის (2) შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორ მიმართულებას მნიშვნელოვანი თავისებურებები გააჩნია, ამიტომ მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე განხილვა.

1. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა მის პარლამენტის წევრად აღიარებას გულისხმობს და არჩევნებთან არის დაკავშირებული.[1]

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს დეპუტატის მანდატის მოპოვების წესებს (37-ე მუხლი) და პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ გახდეს პარლამენტის წევრი. სახელდობრ, იგი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც და არჩეული უნდა იყოს საპარლამენტო არჩევნების შედეგად. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა (37-ე მუხლის მე-4 პუნქტი). გამომდინარე აქედან, თუ პირი სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა, იგი პარლამენტის წევრი გახდება. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ (131-ე მუხლი). მაგრამ იმისათვის, რომ პარლამენტში არჩეული პირი საბოლოოდ ჩაითვალოს პარლამენტის წევრად, საჭიროა თავად პარლამენტმა ცნოს მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება, ანუ პარლამენტმა დაადასტუროს, რომ იგი პარლამენტის წევრი გახდა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით, ახალარ-

1 იხ. გიორგი კახიანი. მით. ნაშრომი, გვ. 273.

ჩეული პარლამენტის დროს. კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითება, რომ ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. მაგრამ პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს (38-ე მუხლი). პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის პროცედურების შესახებ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი. მას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტს აცნობებს არჩევნების შედეგებს და პარლამენტის შესაბამის კომისიას (კომიტეტს) გადასცემს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას _ საარჩევნო ოქმებს, მასალებს არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ (86-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია შეისწავლის ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას და შედეგებს მოახსენებს პარლამენტს, რომელიც დადგენილებით ცნობს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილებას პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიით (86-ე მუხლის მე-4 პუნქტი). პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე პარლამენტის დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება:

ა) გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში;

ბ) საეჭვოდ მიიჩნია პარლამენტის დროებითმა სამანდატო კომისიამ (86-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

პირველ შემთხვევაში პარლამენტი განიხილავს არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხს მხოლოდ მას შემდეგ, თუ სასამართლოს მიერ არ დადგინდება აღნიშნული პირის პარლამენტის წევრად არჩევის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშემშლელი გარემოება, ხოლო მეორე შემთხვევაში, არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხს პარლამენტი განიხილავს

დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის გათვალისწინებით და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას (86-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი არჩევნებთან არის დაკავშირებული. პარლამენტის წევრობა და, შესაბამისად, დეპუტატის მანდატის მოპოვება მხოლოდ არჩევნების გზით არის შესაძლებელი. მაგრამ რამდენად კონსტიტუციურად ან კანონიერად ჩატარდა არჩევნები, ეს საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოების გადასაწყვეტი საკითხია. თუ სათანადო სუბიექტს სადავოდ მიაჩნია ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობა ან კანონიერება, მაშინ მან უნდა გაასაჩივროს ჩატარებული არჩევნები საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოში. სასამართლო განიხილავს ამ საკითხს არჩევნების კონსტიტუციურობის (ან კანონიერების) კონტროლის ფარგლებში და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას: ან ბათილად ცნობს არჩევნების შედეგებს, ან ძალაში დატოვებს მას. პირველ შემთხვევაში, პირი არ ჩაითვლება პარლამენტის წევრად არჩეულად, ამიტომ მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხიც არ დადგება, ხოლო მეორე შემთხვევაში _ პირი სასამართლოს მიერ ცხადდება პარლამენტის წევრად არჩეულად და, ბუნებრივია, ამას მოჰყვება მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა პარლამენტში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამის თაობაზე პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ პირის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერების ან კონსტიტუციურობის საკითხი გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში, მაშინ მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს პარლამენტი განიხილავს შესაბამისი კომისიის (კომიტეტის) დასკვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადდა სასამართლოს გადაწყვეტილებით (86-ე მუხლის მე-6 პუნქტი). გამომდინარე აქედან, დეპუტატის მანდატის მოპოვების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ორი დამოუკიდებელი უფლებამოსილებით განისაზღვრება: ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებით და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის კონტროლით.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ორ უფლებამოსილებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, მაგრამ, ამასთანავე, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ და ამიტომ დაუშვებელია მათი ერთდროულად განხორციელება. მაგალითად, პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ფარგლებში არ შეიძლება ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის სასამართლო კონტროლის განხორციელება. ამავე დროს, უნდა გამოირიცხოს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მას შემდეგ განიხილავს ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს, როდესაც პარლამენტს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა განხორციელების ამ წესრიგს უზრუნველყოფენ, 2002 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში და ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების შედეგად შეიქმნა.[1] ადრე არსებული წესი წარმოშობდა პრობლემებს როგორც ხელისუფლების სტაბილერობისა და ლეგიტიმურობის, ისე თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით. ამის ნათელი მაგალითია 1999 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისა და პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. ამ არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, პარლამენტმა 1999 წლის 20 ნოემბერს მიიღო დადგენილება პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ. პარლამენტის წევრთა ცალკეული ჯგუფების სარჩელების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობიდან 7 თვის შემდეგ ერთ საარჩევნო ოლქში, ხოლო ერთი წლისა და 4 თვის შემდეგ კიდევ 3 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნო.[2] მიუხედავად ამისა, პარლამენტმა არ შეუწყვიტა უფლებამოსილება ამ საარჩევნო ოლქებიდან

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში. წიგნში: ჯონი ხეცურიანი. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. „სეზანი“, თბილისი, 2006 წ., გვ. 291-292.

2 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/122, 128, საქართველოს პარლამენტის წევრთა ორი ჯგუფი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ;

არჩეულ პარლამენტის წევრებს. ამის შემდეგ პარლამენტის წევრებმა საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვეს ზემოაღნიშნული საარჩევნო ოლქებიდან არჩეული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის დადგენილების კონსტიტუციურობის შემოწმება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი) დადგენილ ორკვირიან ვადაში მხოლოდ ერთი სარჩელი იყო შეტანილი. დანარჩენ სამ სარჩელზე ორკვირიანი ვადა უხეშად იყო დარღვეული, რაც გამორიცხავდა მათ არსებითად განსახილველად მიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება იმ ერთ სარჩელს, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში იყო შეტანილი, მისი არსებითად განსახილველად მიღებაც გამოირიცხა, რადგანაც პარლამენტის ამ წევრს უკვე შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება, ოღონდ არა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, არამედ იმის გამო, რომ მან დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, არ მიიღო ეს სარჩელები არსებითად განსახილველად და თავის 2002 წლის 5 მარტის განჩინებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.[1] საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნები არც საჭიროებდნენ არსებით განხილვას, ვინაიდან თითოეულ მათგანში დასმული სადავო საკითხები არსებითად უკვე გადაჭრილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებში და ფაქტობრივად საქმე მხოლოდ მათ აღსრულებას შეეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ პირთა „დეპუტატობის საკითხი არ უნდა განიხილებოდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თვალსაზრისით _ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.[2] ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს სა-

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №6/134-139-140, საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2000-2001, თბილისი, 2003 წ., გვ. 18-40, 73-94.

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 მარტის № 1/2/122, 134, 139, 140 განჩინება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი (ჯ. ხ.).

დეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას სპეციფიკურ ვითარებაში, როცა იგი მთლიანად არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურობას და ბათილად ცნობას ემყარება.“ გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საჭიროა „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის დადგენილებაში ამ სამართლებრივი აქტის მიმღებმა ორგანომ _ პარლამენტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები. სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა და პარლამენტის შესაბამისი დადგენილების სათანადო პუნქტების ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენს არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნობის ორგანულ ნაწილს. წინააღმდეგ შემთხვევაში, _ აღნიშნულია განჩინებაში, _ პარლამენტის დადგენილების სადავო ნაწილების ძალაში დატოვება და მათ საფუძველზე სადეპუტატო უფლებამოსილების შენარჩუნება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის ფუნდამენტურ დებულებას, რომლის თანახმადაც „პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით... არჩეული“ პარლამენტის წევრებისაგან.[1]

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე სწორად მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დეპუტატობის საკითხი არ უნდა ყოფილიყო განხილული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თვალსაზრისით, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების არაკონსტიტუციურობა და მისი შედეგების ბათილად ცნობა, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ შექმნილ სიტუაციაში საქართველოს პარლამენტი თავად უნდა დაბრუნებოდა ამ დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის შესახებ დადგენილებას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსასრულებლად სათანადო ცვლილებები შეეტანა მასში. მაგრამ პარლამენტმა არ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განმარტებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ აღასრულა. ამის გამო, პარლამენტის წევრებმა, რომელთა სადეპუტატო მანდატი ეფუძნებოდა საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომში

1 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ჯ. ხ.).

არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნო, ბოლომდე დაასრულეს თავიანთი უფლებამოსილების ვადა.

ეს მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან გვიჩვენებს, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმება (თუ ამას სათანადო სუბიექტი საჭიროდ მიიჩნევს) ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას. ამასთანავე, თუ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის (ან კანონიერების) საკითხი გასაჩივრებულია სასამართლოში, მაშინ, როგორც ეს ზემოთ ითქვა და კანონმდებლობითაც ასეა დადგენილი, პარლამენტის შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადდა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე. ამ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, რომლის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო პარლამენტმა (მე-40 მუხლის პირველი პუნქტი). პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისადმი ამ უფლების მინიჭება, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს, საპარლამენტო უმცირესობამ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საშუალებით გააკონტროლოს იმ პირთა სადეპუტატო მანდატის კონსტიტუციურობა, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობას მიეკუთვნება. ამ თვალსაზრისით, კანონის ეს ნორმა ასრულებს საპარლამენტო უმცირესობის დაცვის მნიშვნელოვან ფუნქციას.

ორგანული კანონი აგრეთვე ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს სარჩელი შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). შემჭიდროებული ვადის დადგენა ამ შემთხვევაში განპირობებილია

იმით, რომ სწრაფად აღიკვეთოს როგორც არალეგიტიმურად არჩეული პარლამენტის წევრის მონაწილეობა, ისე ლეგიტიმურად არჩეული პირის არდაშვება საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში. ორგანული კანონის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამ საქმეებში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი (მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის დადგენილების შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციისა და მის შესაბამისად მიღებული საკანონმდებლო აქტების იმ დებულებებით, რომლებიც განსაზღვრავენ დეპუტატის მანდატის მოპოვების პირობებსა და წესებს, აგრეთვე მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეული პირი. აქ, ერთი შეხედვით, შეიძლება პრობლემატურად მოჩანდეს, კონსტიტუციის გარდა, სხვა საკანონმდებლო აქტების შემოტანა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის შემოწმების კრიტერიუმად, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ თავად კონსტიტუციითაა დაშვებული დეპუტატის მანდატის მოპოვების წესების, კონსტიტუციის გარდა, სხვა კანონითაც გათვალისწინება. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-7 პუნქტში ნათქვამია, რომ „პარლამენტის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“ კონსტიტუციის ეს ნორმა არ უნდა განიმარტოს წმინდა ფორმალური თვალსაზრისით. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ კანონმდებელმა ფორმალური თვალსაზრისით დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნა და ზემოაღნიშნული საკითხები ორგანული კანონით მოაწესრიგოს, არამედ ისიც, რომ ეს კანონი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, გამოხატავდეს მის სულისკვეთებას, ავსებდეს და ავითარებდეს მის დებულებებს.[1] სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის შემოწმება. აქვე გასათვალის-

1 მსგავს საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/2-389, საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2006-2007, ბათუმი, 2009 წ., გვ. 221-257.

წინებელია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ საკითხის განსჯადობას და მას მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივად მიიჩნევს (39-ე მუხლის მეხუთე პუნქტი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციაში არ შედის ამ საკითხის კანონიერების თვალსაზრისით განხილვა და გადაწყვეტა.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების იურიდიულ შედეგებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რა არის დავის საგანი: პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის (1) თუ არცნობის (2) კონსტიტუციურობა. პირველ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს პარლამენტის იმ დადგენილების (ან მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო პარლამენტის წევრის უფლებამოსილება (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), ხოლო მეორე შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). ამ ბოლო შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ვხედავთ, უკუძალა ეძლევა და იწვევს პარლამენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ბათილობას, რაც, შეიძლება, სამართლიანი იყოს კიდევაც, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებასთან არ არის შესაბამისობაში და ამიტომ საჭიროებს კორექტირებას.

2. **საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი.**

საქართველოს კონსტიტუცია (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი) ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია პარლამენტის წევრს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება. სახელდობრ, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

ა) პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;

თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ეს დანაწესი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პარლამენტი უფლებამოსილებას ვადამდე შეუწყვეტს პარლამენტის წევრს. საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა ან არ შეუწყდა. ორივე შემთხვევაში პარლამენტის გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია. ასეთი დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი), ისე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმების აზრიდან (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები).

წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემაში ჩვენ დავაყენეთ საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის გაფართოების შესახებ.[1] კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით (გერმანია, პორტუგალია და სხვ.), საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ პარტიის აკრძალვა, რომლის

1 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, გვ. 211.

პარტიული სიითაც იყო არჩეული დეპუტატი ან რომელმაც წარადგინა იგი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ასარჩევად, მიჩნეული უნდა ყოფილიყო პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად. ასეთივე შედეგი უნდა მოჰყოლოდა აგრეთვე დეპუტატის მიერ პარტიული კუთვნილების შეცვლას, ანუ იმ პარტიაში გაწევრიანებას, რომლისგანაც იგი არ ყოფილა არჩეული პარლამენტში.[1] აქედან პირველი წინადადება გათვალისწინებული იქნა საკონსტიტუციო რეფორმის (2017 წ.) დროს და საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი, გარდა მისი რედაქციული და ტერმინოლოგიური ცვლილებისა, ერთი ერთეულით გაიზარდა. სახელდობრ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძვლად ძირითადი კანონი უკვე მიიჩნევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი). აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, რომლის წარდგენითაც არჩეული იყო პარლამენტის წევრი. რადგანაც ეს საკითხი დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის განხორციელებასთან, ამიტომ მას დაწვრილებით განვიხილავთ წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადასთანაა დაკავშირებული, რომელიც იწყება პარლამენტის მიერ მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობიდან და მთავრდება პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან (38-ე მუხლი). პარლამენტის წევრი 4 წლის ვადით აირჩევა (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი).[2] გამომდინარე აქედან,

1 იხ. Депутат парламента в зарубежных государствах. «Юридическая литература», М., 1995, с. 63, 101.

2 საქართველოს კონსტიტუციის ამ ნორმაში (37-ე მუხლის მე-2 პუნქტი), როგორც ვხედავთ, იმპერატიულად არის დადგენილი დეპუტატის უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, იმავე ვადით აირჩევა საქართველოს პარლამენტიც (109-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არადა, ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში ჩატარებული შუალედური მაჟორიტარული არჩევნებისას, დეპუტატი აირჩევა არა ოთხი წლის ვადით, არამედ ამ პარლამენტის უფლებამოსილების დარჩენილი

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტამდე. შესაბამისად, ამ ვადით განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებიც.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრი მისი უფლებამოსილების ცნობისთანავე დებს ფიცს და ხელმოწერით ადასტურებს ფიცის ტექსტს (86-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები). მაგრამ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმას ან კიდევ დათქმებით ფიცის დადებას, ამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე თავის არიდება, დათქმებით ფიცის დადება, ან ფიცის დადების გარეშე პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება განიხილება დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად.[1] ჩვენი აზრით, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობაშიც, სახელდობრ, პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა, ან დათქმებით ფიცის დადება მიჩნეულ უნდა იქნეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძვლად. ამისათვის სათანადო დამატება უნდა შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

ახლა რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის დასრულების განსაზღვრის საკითხს. როგორც უკვე ითქვა, პარლამენტის წევრი აირჩევა პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, რომელიც მთავრდება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში

ვადით, რომელიც, რა თქმა უნდა, ოთხ წელზე ნაკლები იქნება. ამიტომ, ძირითად კანონთან სხვა კანონების კოლიზიის თავიდან ასაცილებლად, ჩვენი აზრით, საჭიროა ეს საკითხი თავად კონსტიტუციით იქნას მოწესრიგებული, კერძოდ, კონსტიტუციაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ დეპუტატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, ხოლო ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი დეპუტატის ადგილმონაცვლე დეპუტატის არჩევის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შესაბამისი პარლამენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

1 იხ. Депутат парламента в зарубежных государствах. «Юридическая литература», М., 1995, с. 24, 39.

არჩეული პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. ცხადია, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაც ამავე დროს მთავრდება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც განმარტებას მოითხოვს, კერძოდ, რა შედეგები მოჰყვება პარლამენტის დათხოვნას პარლამენტის წევრის უფლებამოსილებასთან მიმართებით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოიწვევს თუ არა პარლამენტის დათხოვნა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას?

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წევრის მანდატის მოქმედების შეწყვეტა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური. მანდატის ინდივიდუალური შეწყვეტის შემთხვევები დაახლოებით ისეთივეა, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი). მანდატის კოლექტიურ შეწყვეტას კი ადგილი აქვს, როდესაც ამოიწურება კანონით გათვალისწინებული პარლამენტის ლეგისლატურის ვადა, აგრეთვე პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში. ასეთი წესი მოქმედებს, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, სომხეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც პარლამენტის დათხოვნა იწვევს პარლამენტის ყველა წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.[1]

საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის დათხოვნა მაშინვე არ იწვევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების კოლექტიურ შეწყვეტას. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის განკარგულების ამოქმედებიდან, მართალია, პარლამენტი, როგორც წესი, წყვეტს თავის საქმიანობას, მაგრამ თავად პარლამენტი და მისი წევრები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას ახალარჩეული პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობამდე. მხოლოდ ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პარლამენტის დათხოვნა, ყველა შემთხვევაში, გულისხმობს პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რადგანაც პარლამენტის დათხოვნას მოჰყვება პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს საარჩევნო კოდექსში რიგგარეშე არჩევნები განმარტებულია როგორც არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო (მე-2 მუხლის „დ. ბ“ პუნქტი). პარლამენტი,

1 იხ. Депутат парламента в зарубежных государствах, с. 86, 100; Конституции государств – участников СНГ, «НОРМА-ИНФРА», М., 1999, с. 98.

როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, მისი დათხოვნის შემთხვევაში, ვერ დაასრულებს კონსტიტუციით განსაზღვრულ თავისი უფლებამოსილების ოთხწლიან ვადას. შესაბამისად, დათხოვნილი პარლამენტის წევრებსაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდებათ.

მართალია, პარლამენტის დათხოვნა, საბოლოო ანგარიშში, უთუოდ იწვევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო იგი არ არის შეტანილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების კონსტიტუციისეულ ჩამონათვალში (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ჯერ ერთი, პრეზიდენტი აქტს გამოსცემს პარლამენტის დათხოვნის და არა პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. მეორეც, კონსტიტუციის თანახმად (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, ამიტომ არც ერთ სხვა ორგანოს, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტს, არა აქვს უფლება პარლამენტის წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნას შედეგად მოსდევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე კოლექტიური შეწყვეტა, პარლამენტის წევრებს არ შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობით, ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს არ ექვემდებარება. ამის თაობაზე ვერც საერთო სასამართლოს მიმართავენ, რადგანაც იგი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის საგანი. ეს წმინდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხია, რომელიც საქართველოს ძირითადი კანონითაა მოწესრიგებული.

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურად პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილება.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან არ შეწყვეტის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ამოცანაა იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება პარლამენტის გადაწყვეტილება კონსტიტუციით გათვა-

ლისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ძირითადი კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტშია ჩამოყალიბებული დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების სახით. ამ საფუძვლების შინაარსი და პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად მათი გამოყენების პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამიტომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაეყრდნოს ამ საკანონმდებლო რეგულაციებს. მაგალითად, პირადი განცხადებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა დაადგინოს განცხადების ნამდვილობა და გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო განცხადებას, და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი). ცხადია, ამ დებულების მიზანია, პარლამენტმა, დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, გაარკვიოს, პარლამენტის წევრის მიერ გაკეთებული პირადი განცხადება მისი ნების თავისუფალი გამოვლინებაა, თუ იძულების შედეგია. თუ პარლამენტმა ამ საკითხს გვერდი აუარა, მაშინ იგი უსათუოდ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ საერთო სასამართლოების შესაბამის აქტებს, სახელდობრ, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს, სასამართლოს მიერ დეპუტატის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას, გარდაცვლილად გამოცხადებას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობას და მოთავსებული იქნა შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტები).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი დეტალურ განმარტებას იძლევა, თუ რა იგულისხმება პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობასა და საქმიანობაში, რომელიც კონსტიტუციაში ზოგადი აკრძალვის სახითაა გადმოცემული. რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება დაუშვებელია (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის მოთხოვნები

არ ხელყოფს პარლამენტის წევრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი). პარლამენტის წევრს ეკრძალება უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი); უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი (მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). პარლამენტის წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს საზოგადოებრივ, სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებაში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლებამოსილებას (მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი). პარლამენტის წევრი, ამასთანავე, შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა პოლიტიკურ პარტიაში (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის მხოლოდ ზემოაღნიშნული დებულებებით როდი შემოიფარგლება. ზოგიერთ შემთხვევაში იგი თავად იძლევა დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძვლების ინტერპრეტაციას და ქმნის ფრიად საგულისხმო სასამართლო პრეცედენტებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის № 1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.[1]

ვალერი გელაშვილი, რომელიც იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და იმავდროულად სამშენებლო კომპანიის შპს „ევრას“ ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელი, საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა თანამდებობის პირებთან

1 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 48-73.

შპს „ევრას“ სახელით და მისი ინტერესების სასარგებლოდ. ამით მან უშუალოდ განახორციელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოების ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რაც ემსახურებოდა საზოგადოების მიზანს.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 31 მარტს ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გამო.

ვალერი გელაშვილმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით[1] პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების არაკონსტიტუციურად, ძალადაკარგულად ცნობა და მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების აღდგენა.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ მას თავისი წილი შპს „ევრაში“ სამართავად სხვისთვის ჰქონდა გადაცემული და, ამდენად, არ არღვევდა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. იგი ასევე არ ახორციელებდა არც საწარმოს ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რადგან არ იყო შპს „ევრას“ არც დირექტორი და არც სამეთვალყურეო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრი.

მთავარი საკითხი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საქმეზე, მდგომარეობდა სასამართლოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის კერძოსამართლებრივისაგან განსხვავებულ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ განმარტებაში, რადგანაც კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, ვალერი გელაშვილი არ ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას.[2] რა თქმა უნდა, სასამართლო მთლიანად ვერ უგულებელყოფდა სამეწარმეო საქმიანობის კერძოსამართლებრივ ცნებას, მაგრამ მას, ამასთანავე, პასუხი უნდა გაეცა კითხვისათვის: სამეწარმეო საზო-

1 საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) 39-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები (ჯ. ხ.).

2 ამასთან დაკავშირებით იხ. ბესარიონ ზოიძე. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 73-77; ბესიკ ლოლაძე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოკლე კომენტარებით, ბათუმი, 2010, გვ. 95.

გადოებაში დეპუტატის ფაქტობრივი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი საქმიანობა, როცა იგი ფორმალურად არ იყო ამ საზოგადოების დირექტორი, უნდა განხილულიყო თუ არა კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობად?

საკონსტიტუციო სასამართლომ ამის თაობაზე შემდეგი განმარტება გააკეთა:

„საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მისი გონივრული განმარტება უნდა გულისხმობდეს დეპუტატის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დაუშვებლობას არა მარტი ფორმალური _ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე დანიშნული დირექტორის სახით, არამედ იმ პირის მიერაც, რომელიც, მართალია, არ არის დირექტორი, მაგრამ ფაქტობრივად ახორციელებს დირექტორის ფუნქციას... კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც... საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულია. ასეთი მიდგომა ხელ-ფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განეხორციელებინათ სამეწარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც.“[1]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სავესბით მართებულად არ დააკმაყოფილა ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. მით. გამოცემა, გვ. 62-63.

კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პარლამეტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, რომლის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება ვადამდე შეწყვიტა პარლამენტმა. ამ საქმეში მოპასუხეა პარლამენტი. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან. ორგანული კანონის ამ ნორმის მიზანდასახულობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის სუბიექტებისა და კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადის განსაზღვრისას, ისეთივეა, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ დავების გადაწყვეტის საკანონმდებლო რეგულირებისას, რომელზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ორგანული კანონით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ზემოაღნიშნული კანონის 23-ე მუხლი ადგენს იმ იურიდიულ შედეგებს, რომელიც მოჰყვება კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას ასეთ საქმეებზე. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება (მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ან პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება (მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

თავი IX. პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი

პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ინსტიტუციებია და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიები არჩევნების, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით და

კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიის შექმნა და მის საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოს მოქალაქის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა (23-ე მეხლის პირველი პუნქტი).

მართალია, კონსტიტუციით გარანტირებულია პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლება, მაგრამ ძირითადი კანონი, ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, ადგენს აგრეთვე გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაიცვან პოლიტიკურმა პარტიებმა. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით გათვალისწინებულია სანქცია პოლიტიკური პარტიის აკრძალვის სახით, რომლის გამოყენების უფლებამოსილება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მინიჭებული ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ამრიგად, ძირითადი კანონის თანახმად, მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა უფლებამოსილი, თავისი გადაწყვეტილებით აკრძალოს პოლიტიკური პარტია. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის საერთო სასამართლოს, ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე ძირითად კანონში ასეთი სახითაა გადმოცემული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების განხორციელების საჭიროება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის დროს დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქართველოს კონსტიტუცია ამასთან დაკავშირებით ორ ძირითად აკრძალვას ითვალისწინებს: პირველი, დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული

მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, და მეორე, დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი). რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამიტომ პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საფუძვლები, კონსტიტუციით გათვალისწინებულის გარდა, დამატებით შეიძლება დადგენილი იყოს ორგანული კანონითაც. ამის შესაძლებლობას, როგორც ვხედავთ, თავად კონსტიტუცია იძლევა. მართლაც, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური პარტია, რომელიც „ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება (36-ე მუხლი), აგრეთვე, თუ ის შექმნილია რეგიონული ნიშნით (მე-6 მუხლი). პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ეს საფუძვლები კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, თუმცა იგი გათვალისწინებულია ორგანული კანონით. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში, საქართველოს კონსტიტუციისა და ზემოაღნიშნული ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პოლიტიკური პარტია:

1. რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს;

2. რომელიც შექმნილია რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით;

3. რომელიც ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

პოლიტიკური პარტიების კონტროლის უფლებამოსილება საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყნებში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების კომპეტენციაა, თუმცა განსხვავებულია მისი შინაარსი და მეთოდები. ზოგიერთ ქვეყანაში იგი პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ერთ-ერთი გარანტიაა (მაგალითად, სლოვაკია, ჩეხეთი). ამ ქვეყნების კანონმდებლობებით საკონსტიტუციო სასამართლოები ამოწმებენ სახელმწიფო ორგანოების მიერ პოლიტიკური პარტიების აკრძალვის თუ მათი

საქმიანობის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას. სხვა ქვეყნებში კი, პირიქით, საქმე გვაქვს გაერთიანების შექმნის თავისუფლების შეზღუდვასთან, კონსტიტუციის დარღვევისათვის პოლიტიკური პარტიის პასუხისმგებლობის საკითხთან. ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის პოლიტიკური პარტიის კონსტიტუციურობის ან არაკონსტიტუციურობის დადგენა[1]. ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ჩვენი აზრით, პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ეს ბოლო მოდელი უფრო მეტ გარანტიებს იძლევა პოლიტიკური პარტიების შექმნასა და მათ საქმიანობაში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ჩარევის და უკანონო ზემოქმედების ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის შემოწმების ანალოგიური მოდელი გამოიყენება, მეცნიერი იურისტების აზრით „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა ამ საკითხში მდგომარეობს იმაში, რომ სანამ ეს სასამართლო არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, არც ერთ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტს, სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, ამა თუ იმ პარტიის არაკონსტიტუციურობაზე საკუთარი შეფასებიდან გამომდინარე, მიიღოს ამასთან დაკავშირებით იურიდიული გადაწყვეტილებები ან სხვაგვარად ხელი შეუშალოს მის საქმიანობას. ეს პრეროგატივა მასტაბილიზებელი ფაქტორია პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებული სისტემისათვის და ამ საკითხში ხელისუფლების თვითნებობისაგან დაცვის გარანტიაა.“[2] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძირითადი კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესაძლებლობა მიმართულია „კონსტიტუციისადმი ორგანიზებული მტრობის“ წინააღმდეგ და ემსახურება კონსტიტუციის პრევენციულ დაცვას.[3]

საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში,

1 იხ. Сравнительное конституционное право . «Международные отношения», М., 2002, с. 130.

2 Хельмут Штайнбергер. Структурные элементы западноевропейской конституционной юрисдикции. В сб.: Современный немецкий конституционализм. Институт государства и права РАН, М., 1994, с. 36.

3 Schlaich / Korioth. Das Bundesverfassungsgericht. Stellung, Verfahren, Entscheidungen. 11 Auflage, C.H. Beck, München, 2018, S. 249.

საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს ამ პოლიტიკურ პარტიას დაშლილად (დათხოვნილად) და იმავდროულად კრძალავს მისი შემცვლელი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას. ამასთანავე მას აქვს უფლება გამოსცეს დადგენილება პარტიის ქონების კონფისკაციის შესახებ.[1] აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის არაკოსტიტუციურად ცნობას, გერმანიის საარჩევნო კანონის თანახმად, შედეგად მოჰყვება ამ პარტიიდან ბუნდესტაგში არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. ამასთანავე, თუ დეპუტატი, რომელსაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა ამ საფუძვლით, არჩეული იყო საარჩევნო ოლქში, მაშინ იქ ინიშნება ახალი არჩევნები, მაგრამ ყოფილ დეპუტატს აღარ აქვს არჩევნებში თავისი კანდიდატურის დაყენების უფლება.[2] აღსანიშნავია, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მხარს უჭერდა ანალოგიური წესის შემოღებას საქართველოს კანონმდებლობაში. მეტიც, ისინი მოითხოვდნენ, რომ კიდევ უფრო გაფართოებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ფარგლები ამ სფეროში და პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შემთხვევაში, თვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პარალელურად გამოეტანა გადაწყვეტილება პარლამენტის შესაბამის წევრთათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.[3]

წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემაში[4] ჩვენ ვიზიარებდით წინადადებას იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის აკრძალვას შედეგად უნდა მოსდევდეს ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში ამ პარტიიდან არჩეული დეპუტატებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ოღონდ ეს უნდა იყოს პარლამენტის და არა საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა. საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრეს ამოცანად კი ასეთ შემთხვევაში უნდა დარჩეს არაკონსტიტუციურად შექმნილი ან მოქმედი პოლიტიკური პარტიის აკრძალვა, მისი

1 Хельмут Штайнбергер. მით. ნაშრომი, გვ. 35-36.

2 იხ. Федеративная Республика Германия. Конституция и законодательные акты. Под ред. Ю.П.Урьяса. «Прогресс», М., 1991, с. 206-207.

3 მიხეილ შარაშიძე. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოში. „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში" საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2006 წ., გვ. 98.

4 იხ. ჯონი ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. „ფავორიტი სტილი", თბილისი, 2016, გვ. 95-97.

არსებობის სამართლებრივი საფუძვლის ანულირება. რაც შეეხება დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის თუ მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, მიზანშეწონილია იგი საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელ უფლებამოსილებად შენარჩუნდეს, რათა დეპუტატს (ან დეპუტატობის კანდიდატს) ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ასეთი იყო, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო რეგულირების პრაქტიკა 1991 წელს, თუმცა მაშინ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო არ არსებობდა და პოლიტიკური პარტიის აკრძალვის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს გააჩნდა.[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ 1991 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით აკრძალა საქართველოს კომპარტია და შეწყვიტა მისი როგორც ორგანიზაციის არსებობა და საქმიანობა, გააუქმა მისი საარჩევნო რეგისტრაცია. ამის საფუძველზე საქართველოს რეპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 8 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“, რომლითაც შეწყდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, ქალაქის რაიონების, თემების, დაბების და სოფლების საკრებულოები) საქართველოს კომპარტიის სარჩევნო სიებით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება.[2]

საკონსტიტუციო რეფორმის დროს (2017 წ.) ეს წინადადება გაითვალისწინეს და საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან ერთად გადაწყვიტოს ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც. ამის შესაბამისად, საქართველოს

1 საქართველოს რესპუბლიკის იმჟამად მოქმედი კონსტიტუციით (119-ე მუხლი) გათვალისწინებული იყო კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, რომელსაც 10 წლის ვადით ირჩევდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 9 წევრის შემადგენლობით, მაგრამ ასეთი ორგანო არ შექმნილა.

2 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, თბილისი, 1991 წ., № 10, მუხ. 726.

კონსტიტუციის 39-ე მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, გაჩნდა ახალი ჩანაწერი, კერძოდ, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, „თუ იგი ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით“ (მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხება არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის, არამედ ნებისმიერი დონის (ადგილობრივი თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკის) წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს, რომელიც არჩეულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალული პოლიტიკური პარტიის წარდგენით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა გამოიხატება იმაში, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის აქტს (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რაც გამოიწვევს პოლიტიკური პარტიის, როგორც იურიდიული პირის, არსებობის შეწყვეტას აქედან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი შედეგით. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო პროცესის დროს გამოიტანა გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ, მაშინ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, იგი გამოიწვევს ამ პოლიტიკური პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და მის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით (113-ე მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ პუნქტი, 118-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (2017 წ.) ცვლილება განიცადა პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა წრემ. ჩვენი აზრით, ეჭვს იწვევდა საკონსტიტუციო რეფორმამდე (2017 წ.) მოქმედი კანონმდებლობით ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება. იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ტერიტორიული ერთეულების საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და იგი ძირითადად მიმართულია თვით ამ ტერიტორიული ერთეულის

კომპეტენციის დასაცავად.[1] ამ კონტექსტში პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის საკითხის დასმის ინიციატივის გადაცემა ზემოაღნიშნული სუბიექტებისათვის არალოგიკური იყო, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობით საქართველოში მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში მოქმედი პოლიტიკური პარტიები არ შეიძლება ლეგალურად არსებობდნენ. იმ ქვეყნებში კი, სადაც ფედერაციის სუბიექტებსა თუ სხვა ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ ასეთი უფლებამოსილება (მაგალითად, გერმანიაში მიწის მთავრობას), მათ შეუძლიათ მიმართონ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ პოლიტიკური პარტიის აკრძალვის მოთხოვნით, რომელიც შექმნილია და მოქმედებს მხოლოდ ამ ტერიტორიული ერთეულის (გერმანიაში _ მიწის) ფარგლებში.[2] გამომდინარე აქედან, სავსებით ლოგიკური იყო პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტებიდან ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების გამორიცხვა და მათ ნაცვლად ამ უფლებამოსილებით საქართველოს მთავრობის აღჭურვა.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა პოლიტიკური პარტია, ხოლო როდესაც კონსტიტუციური სარჩელი შეეხება პოლიტიკური პარტიის შექმნის კონსტიტუციურობას, მოპასუხეა პოლიტიკური პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო (35-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

თავი X. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციაში რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შემდეგნაირად არის განსაზღვრული: საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე

1 იხ. მიხეილ შარაშიძე. მით. ნაშრომი, გვ. 94.
2 იხ. Хельмут Штайнбергер, მით. ნაშრომი, გვ. 36.

იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს უშუალო დემოკრატიის ორი უმნიშვნელოვანესი ფორმის _ რეფერენდუმისა და არჩევნების დანიშვნის (ან არდანიშვნის), სარეფერენდუმო საკითხის, რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარების კონსტიტუციურობის თაობაზე წამოჭრილ დავებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მომწესრიგებელი ნორმა მოცემულია კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუცია, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის რეფერენდუმისა და არჩევნების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთელ რიგ მოთხოვნებს ითვალისწინებს უშუალო დემოკრატიის ამ ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, საარჩევნო პროცესისა თუ რეფერენდუმის გამართვის მომწესრიგებელი ყველა ნორმა ვერ იქნება კონსტიტუციით დადგენილი. კონსტიტუცია განსაზღვრავს არჩევნების (რეფერენდუმის) მხოლოდ ძირითად, არსებით საკითხებს, არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ძირითად პრინციპებს. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის სფეროში შეიძლება შედიოდეს კონსტიტუციის მხოლოდ ამ პრინციპებისა და ნორმების დარღვევის კონკრეტული გამოვლინებები.

რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების განსაზღვრისას კონსტიტუციაში გამოყენებულია ზოგადი ცნება „არჩევნები“, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ რომელი ორგანოს ან თანამდებობის პირის არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი შედის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ იძლევა მყარ კრიტერიუმებს ამ საკითხის დასაზუსტებლად, კერძოდ, ორგანულ კანონში, სახელდების გარეშე, საუბარია ზოგადად ჩასატარებელ ან ჩატარებულ არჩევნებზე. რაც შეეხება „საქართველოს საარჩევნო კოდექსს“[1], ამ კანონის თანახმად, „არჩევნებში“ მოიაზრება „საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების

1 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, № 536-რს, ვებგვერდი 10/01/2012.

თანამდებობის პირთა არჩევა“ (მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი). რადგანაც საჯარო ხელისუფლების ცნება მოიცავს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ამიტომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით „არჩევნებში“ იგულისხმება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს _ საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს _ მერის არჩევნები (პირველი მუხლი). საჯარო ხელისუფლების ორგანოების ამ ჩამონათვალში მითითებული არ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს _ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მართალია, ამ ორგანოს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“,[1] მაგრამ ამ არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების მომწესრიგებელი ძირითადი, ფუძემდებლური ნორმები მოცემულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მისი დარღვევა ნებისმიერი სამართლებრივი აქტით საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ტოლფასია. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია დადგეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. ამაზე მიუთითებს თავად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტი. რაც შეეხება ამ არჩევნების კანონიერების საკითხს, ის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად (77-ე მუხლის მე-13 ნაწილი), გადაწყდება ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ე.ი. საარჩევნო კომისიების და საერთო სასამართლოების მიერ.

საქართველოს კონსტიტუციისა (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) და „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის[2] (პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები) აზრიდან გამომდინარე,

1 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის 21 ივნისის კანონი №167 უ.ს.გ.ს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი 29/06/2012.

2 „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის ორგანული კანონი №1746 _ სსმ I, № 29, 26.11.2002 წ. მუხ. 132.

რეფერენდუმში იგულისხმება საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომელიც იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ე.ი. საერთო ნაციონალურ დონეზე. ამდენად, ადგილობრივი რეფერენდუმების გამართვის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს რეფერენდუმის დანიშვნისა და ჩატარების წესებს, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც არ შეიძლება სარეფერენდუმოდ იქნას გატანილი (52-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამასთანავე, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის[1] მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ზოგიერთი საგადასახადო საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რეფერენდუმით, ე.ი. ამ შემთხვევებში რეფერენდუმის ჩატარება სავალდებულოა, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) ამოქმედებიდან 12 წლის განმავლობაში და ისიც მხოლოდ საქართველოს მთავრობის ინიციატივით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება მოიცავს დავების განხილვასა და გადაწყვეტას შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5_მე-6 პუნქტების, 71-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;

2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის ან/და 50-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით;

3. საქართველოს პარლამენტის არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის ან/და 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 71-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;

4. საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის, 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-4-მე-7 პუნქტების, ან 2017 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს

1 საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი № 1324-რს _ ვებგვერდი, 19.10.2017 წ.

კონსტიტუციური კანონის გარდამავალი დებულებების (მე-2 მუსლის) მე-9 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით;

5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;

6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის, ან/და 74-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს – უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით კი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს დავა შემდეგ საკითხებზე:

1. რეფერენდუმი დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად;

2. რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს;

3. რეფერენდუმი ჩატარებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით[1] საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების და მის შესამაბისად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში 2009 წლის 22 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად[2], საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის ზემოაღნიშნულ საკითხებს, თუ შესაბამისი სუ-

1 „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, № 1, 04.01.06. მუხ. 2.
2 „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. 2009 წ., № 33, მუხ. 199.

ბიექტი იმავდროულად დააყენებს არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხსაც. მაშასადამე, თუ არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობაში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ არჩევნები ან რეფერენდუმი ჩატარდა ამ ნორმებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ვერ იქნება.

ამ საკანონმდებლო ნოვაციამ მნიშვნელოვნად შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „აღნიშნული ცვლილებით შევიწროვდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები. არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურობის განსაზღვრისას, აღნიშნული ცვლილების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო, ყველა შემთხვევაში, უნდა გამოვიდეს იმ ფაქტიდან, რომ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმა, რომლის საფუძველზეც დაინიშნა ან ჩატარდა არჩევნები, არაკონსტიტუციურია, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია დანიშნული ან ჩატარებული არჩევნებიც. არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის უფლება, სხვა საფუძვლით, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ გააჩნია.“[1]

რაც შეეხება არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების არჩევნებისაგან (რეფერენდუმისაგან) დამოუკიდებლად, ცალკე განხილვის შესაძლებლობას, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. მართალია, ზემოაღნიშნულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული ეჭვი გააჩინა, საარჩევნო კანონმდებლობის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმება თავად არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხისაგან დამოუკიდებლად იქნება თუ არა შესაძლებელი[2], მაგრამ სწავლულ იურისტებს შორის მაინც დომინირებს აზრი, რომ „არჩევნებისა და რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების ცალკე გამოყოფა და საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურ კომპეტენციას დაქვემდებარება არ უნდა

1 ქეთევან კობახიძე. საკონსტიტუციო კონტროლი არჩევნებზე საქართველოში. „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2006 წ., გვ. 20-21.

2 ქეთევან კობახიძე. მით. ნაშრომი, გვ. 23-24.

გამორიცხავდეს მათი გასაჩივრების შესაძლებლობას კონსტიტუციასთან და კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან შესაბამისობის კუთხით".[1] ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლო ზემოაღნიშნული ცვლილებების შემდეგაც უფლებამოსილია, ცალკე განიხილოს არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი მისთვის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული ნორმათა კონტროლის ფარგლებში. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციით, მოქალაქის სარჩელის საფუძველზე, განიხილოს და გადაწყვიტოს საარჩევნო კოდექსის ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. ეს მაგალითი იმიტომაც მოვიყვანეთ, რომ მოქალაქეს, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არა აქვს უფლება, იდავოს არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე, მაგრამ მას აქვს შესაძლებლობა, იდავოს არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე.[2]

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1) საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილოს მხოლოდ მათი მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხთან ერთად;

2) საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლებამოსილება, განიხილოს მხოლოდ არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი;

---

1 იქვე, გვ. 26.

2 იხ. თეიმურაზ ტუღუში, გიორგი ბურჭულაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, „სეზანი", თბილისი, 2013, გვ. 388-392.

3) საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ცალკე განიხილოს არჩევნებისა და რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს სრულიად დამოუკიდებელი ორი კომპეტენციის (ნორმათა კონტროლისა და არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შემოწმების) გაერთიანებამ, მათი ერთად განხილვის დავალდებულებამ, გამოიწვია არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ფარგლების შეზღუდვა, არამედ, ამასთანავე, წარმოშვა გაუგებრობები, რომლებიც უსათუოდ იჩენენ თავს ამ უფლებამოსილების გამოყენებისას სასამართლო პრაქტიკაში.

მაგალითად, თუ დავა შეეხება ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა გამორიცხავს მათ გამოყენებას ჩასატარებელი არჩევნებისას, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ასეთ სამართლებრივ ნორმებს იურიდიული ძალა აღარ ექნებათ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო, პრაქტიკულად, ვერც იმსჯელებს ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში ნორმათა კონტროლის ფარგლებს ვერ გასცდება.

იგივე პრობლემები წარმოიშობა უკვე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის განხილვისას, რადგანაც კანონმდებელმა ამ სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უშუალოდ დაუკავშირა არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევას. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია არჩევნების (რეფერენდუმის) ჩატარებისას გამოვლენილი კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები გამოიკვლიოს, დაადგინოს და შეაფასოს. მისი ამოცანა უკვე სხვა რამეა. მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაწყვიტოს საკითხი – კონსტიტუციურია თუ არა არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი სადავოდ გამხდარი ნორმები. ამის შემდეგ, მაგრამ იმავე სასამართლო განხილვის ფარგლებში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად მიიჩნევს გასაჩივრებულ ნორმებს,

მან უნდა გადაწყვიტოს მეორე საკითხიც, კერძოდ, რამდენად იმოქმედა ამ არაკონსტიტუციურმა ნორმებმა ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ის საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების თანახმად ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს. კერძოდ, მასში დადგენილია, რომ ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს:

„ა) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას;

ბ) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი“ (23-ე მუხლის 4^1 პუნქტი).

თითქოს ყველაფერი ნათელია. არაკონსტიტუციური ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნები (რეფერენდუმი) არაკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, ჩვენი აზრით, საქმე ასე მარტივად არ უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი არჩევნების მომწესრიგებელი ნორმა, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიულ ძალას დაკარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ამიტომ იგი ვერ გამოიწვევს მის საფუძველზე უკვე ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობასა და მისი შედეგების ბათილობას. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მომავალი არჩევნებისთვის ექნება მნიშვნელობა, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა ვერ იქნება გამოყენებული შემდგომი არჩევნებისას.

ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმზე და მისი დამტკიცების შესახებ საარჩევნო კომისიის განკარგულებაზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს,

რადგანაც ისინი არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებად ვერ ჩაითვლება და, შესაბამისად, არჩევნები მის საფუძველზე არ ტარდება.

როგორც ვხედავთ, 2005 და 2009 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების რეგლამენტაციის სრულყოფის ნაცვლად, უფრო მეტი პრობლემა და გაურკვევლობა წარმოშვა. ამაში, ვფიქრობთ, ადვილად დავრწმუნდებით, თუ გადავხედავთ ადრე არსებულ საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკას.

2005 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებამდე საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა, დაედგინა (რა თქმა უნდა, სათანადო სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში), რამდენად იყო დაცული ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნები რეფერენდუმისა და არჩევნების ინსტიტუტების გამოყენების დროს. რაც შეეხება ამ ინსტიტუტების მომწესრიგებელი ნორმების (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ნორმის თუ ნორმატიული აქტის) კონსტიტუციურობის საკითხს, მისი გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებების ფარგლებში იყო შესაძლებელი. მაშასადამე, სუბიექტს შეეძლო სადავოდ არ გაეხადა (და შესაძლებელია, მართლაც არ იყო სადავო) არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა და უშუალოდ მოეთხოვა ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შემოწმება. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2001 წელს განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფის (თითოეული ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს შეადგენდა) სარჩელები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ[1]. მოსარჩელეები მოითხოვდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ეცნო: 1) აბაშის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის 1999 წლის

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბილისი, 2003 წ., გვ. 73-94.

14 ნოემბრის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა და ჩატარება; 2) ფოთის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 14 ნოემბერს ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის შედეგები; 3) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 19 ნოემბრის დადგენილება „წალენჯიხის საარჩევნო ოლქის № 13 საარჩევნო უბანში ხელახალი ხმის მიცემის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სამივე სარჩელი დააკმაყოფილა, რადგანაც დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ოლქებში არჩევნები ჩატარდა საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, რომლის თანახმად, პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებები დაადგინა კონსტიტუციური სარჩელების მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლებისა და განმარტებების, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე არჩევნები ცნო არაკონსტიტუციურად ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ისე, რომ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი საერთოდ არ დასმულა.

მეორე საქმე, რომელიც განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს „საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, შეეხებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით[1].

სადავო ნორმის მიხედვით, აკრძალული იყო ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 10 დღის განმავლობაში, ხოლო არჩევნების დღემდე მე-19-დან მე-10 დღემდე ცვლილების შეტანა შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი სწორედ არჩევნების დღეს დაბრუნდა

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2005, თბილისი, 2006 წ., გვ. 5-17.

მივლინებიდან, მივიდა საარჩევნო უბანში, სადაც აღმოჩნდა, რომ იგი საარჩევნო სიაში არ იყო შეტანილი და ამის გამო ხმის მიცემის უფლება არ მისცეს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საარჩევნო კოდექსის სადავო ნორმა ხელყოფდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ და გარანტირებულ მის საარჩევნო უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საარჩევნო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, რადგანაც იგი უსაფუძვლოდ ზღუდავდა მოქალაქის საარჩევნო უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა სიების ფორმირება შესაბამის სახელმწიფო უწყებათა მოვალეობაა. როცა მოქალაქე მათი მიზეზით არ იქნა შეტანილი ამომრჩეველთა საერთო სიაში, ეს არ უნდა იყოს საარჩევნო უფლების შეზღუდვის საფუძველი. საარჩევნო კოდექსი უნდა იძლეოდეს შესაბამისი კონსტიტუციური უფლების არა ფორმალურად, არამედ რეალურად განხორციელების შესაძლებლობას.

ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო არჩევნების მომწესრიგებელი ნორმა ისე, რომ თავად არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხი არ დასმულა.

ასეთი იყო განსახილველ სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და გამოყენების პრაქტიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, სავსებით პასუხობდა არჩევნებისა და რეფერენდუმის საკითხებთან დაკავშირებით კონსტიტუციური კანონიერების სასამართლო დაცვის უზრუნველყოფის ამოცანებს.

ზემოაღნიშნული მაგალითები, ჩვენი აზრით, ნათლად გვიჩვენებენ, რომ საჭირო იყო არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგლამენტაცია დაბრუნებოდა 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის მიღებამდე არსებულ მდგომარეობას, ე.ი. არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის და არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავების განხილვის კომპეტენცია ჩამოყალიბებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს ორ დამოუკიდებელ უფლებამოსილებად.

ნაცვლად ამისა, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ლეგალური

დეფინიცია არა თუ უცვლელად იქნა შენარჩუნებული, არამედ მას ახალი ამკრძალავი დებულებაც დაემატა, რომლის თანახმად, „დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული“ (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი). ამ ახალმა ნორმამ კიდევ უფრო შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თუU არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება საარჩევნო კანონმდებლობაში, ე.ი. არ მიიღებენ არჩევნების მომწესრიგებელ ახალ ნორმას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო ამ არჩევნების წლის განმავლობაში ვერ განიხილავს ვერც ჩასატარებელი და ვერც ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება პარალიზებული აღმოჩნდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამჟამად არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაციის შეცვლის აუცილებლობა. ამასთანავე, საჭიროა სასამართლო ხელისუფლების როლის ახლებურად გააზრება და მისი კიდევ უფრო გაძლიერება არჩევნების გზით ხელისუფლების ორგანოთა ფორმირების პროცესში, კერძოდ, მიზანშეწონილი იქნება, თუ მთელი საარჩევნო პროცესი საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ წარიმართება. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სასამართლო ხელისუფლების ამ ორ ინსტიტუციას შორის საარჩევნო კომპეტენციები. საერთო სასამართლოების ამოცანა უნდა იყოს არჩევნების მიმდინარეობისას წამოჭრილი სადავო საკითხების კანონიერების თვალსაზრისით გადაწყვეტა (მაგალითად, ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის ფაქტების განხილვა-გადაწყვეტა და სხვა). საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში კი უნდა მოექცეს, არჩევნების დანიშვნიდან დაწყებული, მთელ საარჩევნო პროცესზე ზედამხედველობა, არჩევნების შედეგების დადგენა და გამოცხადება. საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა შედგებოდეს საჯარო მოსამსახურეებისგან და საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლით მოქმედებდეს.

დაახლოებით მსგავსი სისტემაა საფრანგეთში, სადაც კვაზი-სასამართლო ორგანო – საკონსტიტუციო საბჭო ახორციელებს ამ ფუნქციას[1]. სხვა ქვეყნებში კი საარჩევნო ადმინისტრაციებში უშუალოდ მონაწილეობენ მოსამართლეები ან მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული პირები (დანია, ალბანეთი, ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, პოლონეთი, კოსტა-რიკა)[2].

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა არჩევნების საკითხებზე ვენეციის კომისიის (ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით) მიერ მიღებული სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც სისტემატიზებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2003 წელს დამტკიცებულ საარჩევნო კოდექსში. ამ კოდექსის 75-ე მუხლში ნათქვამია, რომ, როგორც წესი, საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: „მოსამართლე ან იურისტი: იქ, სადაც არჩევნების ადმინისტრაციაზე პასუხისმგებლობა სასამართლო ორგანოს აკისრია, მისი დამოუკიდებლობა პროცესის საჯაროობით უნდა იყოს გარანტირებული. სასამართლოს მიერ დანიშნული პირები არ უნდა იმყოფებოდნენ საარჩევნო სუბიექტების დაქვემდებარებაში“[3].

საკითხის გადაწყვეტის ასეთი მოდელის სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი არგუმენტები:

პირველი, საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე მეტად არის დაცული სახელისუფლო და პარტიული გავლენისაგან. მას აქვს დამოუკიდებლობის დიდი ხარისხი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების მომეტებული შესაძლებლობები;

მეორე, არჩევნების სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განხორციელება მოხდება არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე და არა მის შემდეგ, როგორც ეს მოქმედი

---

1 იხ. Конституционный контроль в зарубежных странах, отв. ред. В.В. Маклаков. – М.: “Норма”, 2007, с. 192-196; ბერნარდ ოუენი. არჩევნების საკონსტიტუციო კონტროლი. „საარჩევნო უფლებებისა და პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2006 წ., გვ. 5-17; ოთარ მელქაძე, ბექა დვალი. საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999 წ., № 3, გვ. 56-57.

2 M. Tomozek. Judicial control of election in Czech Republic, Poland and Slovakia-guarantee of stability or demokratik legitimacy?: «Конституционное правосудие», Вестник Конференции органов конституционного контроля стран молодой демократии, Ереван, выпуск 2(36), 2007, с. 111-120.

3 იხ. ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია). საარჩევნო ნორმათა კოდექსი. სახელმძღვანელო მითითებები და განმარტებითი მოხსენება. მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 52-ე სხდომაზე (ვენეცია, 18-19 ოქტომბერი, 2002). თბილისი, 2003 წ., გვ. 49.

კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ამის შედეგად თანამდებობის პირის არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი აღარ გახდება სადავო და იგი, საკონსტიტუციო სასამართლოს დასტურით, შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას;

მესამე, სასამართლო ხელისუფლება, რომელიც, როგორც წესი, იქმნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისაგან, უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას ამ ორი ხელისუფლების არჩევნების გზით ფორმირებაში, რაც ხელისუფლების შტოთა შორის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი გარანტია იქნება.

თავი XI. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვას და კონსტიტუციაში შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვა შედარებით ახალი უფლებამოსილებაა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში. უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობად მისი ჩამოყალიბება უშუალოდ არის განპირობებული საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებებით. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით[1] საქართველოს კონსტიტუციას დაემატა თავი – ადგილობრივი თვითმმართველობა. ამავე კანონით საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა ახალი უფლებამოსილებით, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური უფლებების დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2017 წ.) უფრო სრულყოფილად იქნა გადმოცემული ის ძირითადი დებულებები,

1 იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი № 3710 _ სსმ I, № 62, 05.11. 2010 წ., მუხ. 379.

რომლებიც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპის განხორციელებას უდევს საფუძვლად. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს, ისინი ანგარიშვალ-დებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე და აღასრულებენ მათ გადაწყვეტილებებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკლუზიურია, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. სახელმწიფო ორგანოს შეუძლია საკანონმდებლო აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე თავის უფლებამოსილებათა დელეგირება თვითმმართველ ერთეულზე, ოღონდ, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები. იგი ღებულობს გადაწყვეტილებებს, გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

მართალია, თვითმმართველი ერთეულები ფართო ავტონომიით სარგებლობენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მაგრამ, ამასთანავე, მათზე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხორციელდება სამართლებრივი ზედამხედველობა, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი შესრულება. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისი უნდა იყოს.

საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავში განმტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის ზემოაღნიშნული დებულებები განსაზღვრავენ საკანონმდებლო რეგულირების ძირითად მიმართულებებს ამ სფეროში. სწორედ მათ საფუძველზეა მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტი – საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,[1] აგრეთვე სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობის მომწესრიგებელ სამართლებრივი აქტების სისტემაში გამორჩეული ადგილი უჭირავს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპულ ქარტიას[2], რომელსაც, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავში მოცემული ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი დებულებები ევროპული ქარტიის პრინციპებთან არის სრულ თანხვედრაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს უნდა წყვეტდნენ. ისინი არ უნდა იღებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და უნდა მოქმედებდნენ საქართველოს კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ ფარგლებში. თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნება ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოხელისუფლებისორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებით და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი (52-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობა აღჭურვილია სამართლებრივი დაცვის საშუალებებით ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრინციპების უზრუნველსაყოფად, რომლებიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავში.

1 საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონი № 1958-II ს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ვებგვერდი 19/02/2014.

2 მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1985 წლის 15 ოქტომბერს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ოქტომბრის № 515_II ს დადგენილებით. იხ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, მეორე ნაწილი, თბილისი, 2008 წ., გვ. 196-206.

საქართველოს კონსტიტუციის (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის) თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით. ამ უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავში მოცემულ ნორმებს. რაც შეეხება სხვა სახის სამართლებრივ აქტებსა და ქმედებას, რომლებიც ზღუდავენ ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას, მათ თაობაზე მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმართოს საერთო სასამართლოს („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი) და მისი მეშვეობით დაიცვას თავისი უფლებები.

ანალოგიური უფლებამოსილება გააჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებსაც. მაგალითად, „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონით, თემებსა და თემთა გაერთიანებებს შეუძლიათ კონსტიტუციური საჩივრის შეტანა, თუ მიიჩნევენ, რომ ფედერაციის ან მიწის რომელიმე კანონი არღვევს ძირითადი კანონის 28-ე მუხლის დებულებას (91-ე პარაგრაფი). ძირითადი კანონის 28-ე მუხლში კი, საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავის მსგავსად, გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ძირითადი ნორმები. მართალია, გერმანიის ზემოაღნიშნული კანონის 91-ე პარაგრაფის თანახმად, კონსტიტუციური საჩივრის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფედერაციის ან მიწის კანონი, მაგრამ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, არამედ ნებისმიერი, მათ შორის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითადი კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნებს. განსხვავება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებებს შორის განპირობებულია გერმანიის ფედერალური მოწყობით და მდგომარეობს იმაში, რომ თუ მიწის კანონმდებლობით შესაძლებელია მიწის საკონსტიტუციო

სასამართლოში თვითმმართველობის უფლების დარღვევის თაობაზე საჩივრის შეტანა, მაშინ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური საჩივრით მიმართვა გამორიცხულია.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს თვითმმართველი ერთეულის – მუნიციპალიტეტის საკრებულოს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, თუ საკრებულომ ამ საკითხზე სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო (მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები). ამ საქმეებზე მოპასუხეა ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავის ნორმათა დარღვევა. საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია. საკრებულოს სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

1 იხ. Lechner / Zuck. Bundesverfassungsgerichtsgesetz. Kommentar. 8 neu bearbeitete und erweiterte Auflage, C.H.Beck, München, 2018, S. 807-812.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლამარა გოგოლაური

დაკაბადონება
პაატა ქორქია

დაიბადა 1951 წლის 23 ნოემბერს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული (1973 წ.) და ეკონომიკის (1988 წ.) ფაკულტეტები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა (1976 წ.).

1976-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ. 1982 წელს მიენიჭა საკავშირო ახალგაზრდული პრემიის ლაურეატის წოდება მეცნიერების დარგში.

1977 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1994-2005 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1990-1992 და 1999-2000 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

1995-1999 და 2000-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად.

2001-2006 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო 2006-2011 წლებში – მოსამართლე.

მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი. იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, იუსტიციის საბჭოს, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 6 წიგნი სამოქალაქო, კონსტიტუციური და სისხლის სამართლის პრობლემებზე. პირველი წერილი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ 1979 წელს დაბეჭდა. აქტიურად მონაწილეობდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში საბჭოთა ჯარების მიერ მშვიდობიანი მიტინგის აღკვეთისას მომხდარი ტრაგედიის გამოძიებაში. არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991 წ.), საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ.), სამოქალაქო კოდექსის (1997 წ.), კონსტიტუციური შეთანხმების (2002 წ.), სახელმწიფო ენის შესახებ

კანონის (2015 წ.) პროექტების ერთ-ერთი ავტორი.

2001 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 2011 წელს მიენიჭა თინათინ წერეთლის სახელობის პრემია.

2013 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

2014 წელს გადაეცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმიდა გიორგის ოქროს ორდენი.